

114
1925/4.

208000

№ 11-12 (19-20)

63

114/4

1925

პროლეტარულ ყვლა ძვედნსა, შეერთდით!



№ 11-12 (19-20)



სოციალ-დემოკრატიული საზოგადოებრივი სალიტერატურო
და სამეცნიერო ჟურნალი

ნოემბერი-დეკემბერი

თბილისი 1926 წელი



ქართული
ბიბლიოთეკა

მხატვრული ლიტერატურა

საქართველო
რუსეთი
დასავლეთი

407

დაგრუნება საგზოგლოში

შე ენახე ისევ ჩემი სამშობლო—
სოფელი, სადაც მე იზრდებოდი,
სადაც სამრეკლო ამართულია
ისე, ვით კოშკი არყის მწვერვალით.

გამოიცვალა იქ ყველაფერი,
შათ უსხივოსნო ღარიბ ყოფაში.
ბევრი ახალი აღმოვიჩინე,
რაიც კვალ და კვალ მე ამედევნა.

ველარ ვიცანი სახლი მამისა.
ფანჯრის ქვეშ ვერხვი აღარ შრიალებს.
არ ზის სახლის წინ იქ დედი ჩემი,
და არ აპურებს ყვეითელ წიწილებს.

ალბათ დაბერდა. დიახ, დაბერდა.
შე ვიყურები მოწყენით ირგვლივ.
შეუცნაურა მე ყოველივე.
მაგრამ სჩანს ისევ მთა წინანდელი
და იმ მთის ძირში ქვა ნაცრისფერი.

გორინდულია აქ სასაფლაო.
და შავი ჯვრები!
თითქოს იბრძოდენ მიცვალებულნი
და გაიყიენენ გაშლილ ხელებით.

შოდის მოხუცი კორძიან ჯობით.
—გამელელო! მითხარ ღვთის გულსათვის,
სად ესენიანთ სცხოვრობს ტატანა?
—ტატანა სცხოვრობს იმ ქობის იქით.
მაგრამ შენ მისი რა ხარ, კაბუკო?
•ქნებ მოყვარე, ან ნათესავი,
და იქნებ შეილი ხარ დაკარგული?

— დიახ, შვილი ვარ. მაგრამ მოხუცო რა დაგემართა? სევდით რად მიტყერ?

— ო, შვილის შვილო! შენ ვერ იცანი შენი ბაბუა!

— ო, ღმერთო ჩემო,
 ნუ თუ ეს შენ ხარ, ჩემო ბაბუა?

და სევდიანი ჩვენი ბაასი
 ემსგავსებოდა მღულარე ცრემლებს.
 — ჩქარა იქნები შენ ოცდა ათის...
 ოთხმოცდა ათი მე შემისრულდა,
 და ახლო არის ჩემი საფლავი.
 შენ დაბრუნება დაგიგვიანდა,—
 ამბობს საყვედურს ღრუბლიან სახით,
 — დიახ, დრო არის მოხედო ოჯახს.
 კომუნისტი ხარ?

— არა, ბაბუა.

დები კი გახდენ კომსომოლები.
 ო, საქაგლობა! გუშინ თაროდან
 მათ ჩამოჰყარეს ძველი ბატები.
 და კომისარმა საყდრიდან ჯვარი
 ჩამოხსნა. მაგრამ სადღა ვილოცოთ?
 ახლა მივდივარ ქურდულად ტყეში
 და იქ ელოცულობ, თუ გამომადგა.
 წაყვიდეთ სახლში. თვით დაინახავ
 შენ ყოველგვე მომხდარ ცვლილებებს.
 და ჩვენ მივდივართ. ღიმილით ვუტყერ
 ყანას და ტყეებს— ნაცნობს ყრმობიდან.
 ბაბუა უტყერს სევდით სამრეკლოს.

— სალამი, დედა! დედა, სალამი!
 და მე ვიფარებ ცხვირსახოცს პირზე.
 იქ პირუტყვიც კი ატირდებოდა...
 ჩემო ღარიბო, საწყალო კუთხე!

კალენდარიდან მიტყერს ლენინი.
 აქ ჩემი დების სიცოცხლე შიღის...
 ჩემი კი არა!
 და მოვიყარო შინდა მუხლები
 ჩემი საყვარელ მხარის წინაშე.

და მეზობლები ჩემ სანახავად
მოდიან:—ქალი მწოვარა ბავშვით.
მე ვერ ვცნობილობ ვერაფის ახლა...
ბაირონისებრ ჩვენი ფინია
მესალმებოდა ჭიშკართან ყეფით.

ო, საყვარელო, ძვირფასო მზარე!
შენ გამოცვლილხარ! და მეც კი სხვა ვარ!
და თუ ბაბუა უიმედოა,
არიან დები დღეს მზიარული.

ჩემთვის არ არის თვითონ ლენინი
ხატი და კერპი. ვიცნობ ქვეყანას.
ჩემი ოჯახი მიყვარს და მინც....
თავდალუნული ხის სკამზე ვჯდები.

მარქსზე, ენგელსზე
მესაუბრება მე უმცროსი და.
ვით სახარება, მან „კაპიტალი“
ჩემ წინ ვაშალა, მაგრამ არასდროს
მე ეს წიგნები არ წამიკითხავს.

და მეცინება, როცა გოგონა
უვიცობაში მე ხშირად მიჰერს.

ბაირონისებრ ჩვენი ფინია
მესალმებოდა კარებთან ყეფით.

თარგმანი ვ. გაფრინდაშვილის.

ლენი

(ნაწყვეტი პოეზიიდან).

როსეთო! ისმის უცხო ხმაური.
ვინ არის იგი, რომ მოგველინა?
საიდან მოდის თოელის მხარეში
ის—მეამბოხე სამარადისო.
შეაერი ვენია! ის მუდამ მიპურობს
არა გარეგნულ თავის მშენებით.
ის არ შემჯდარა არასდროს ცხენზე,
ქარიშხალს ფრენით არ შეხვედრია.
ის არ სდევნიდა ცხენოსან ჯარებს,
ის არ ჰკვეთაედა თავებს მხრებიდან
ჟუჯვარდა მხოლოდ ერთი მკვლელობა—
ეს ნადირობა იყო მწყერებზე.

ჩვენთვის სულ სხვაა გმირნი—ვაეკაცნი,
გვიყვარს ისინი ბნელი წილაბით.
ის კი წინტლიან ბავშვებთან ერთად
თოელში მარხილით დაქანაობდა.
არ ატარებდა ის ხუჭუჭ თმებსა,
დამატყვევებელს ქალებისათვის.
ბელატი თავით იყურებოდა,
ვით უმდაბლესი დაბალთა შორის.
ის იყო მორცხვი და საყვარელი,
წარმომიდგება ისე, ვით სჟინქსი.
ვერ გამოვიცა, რა ჯადოსნობით
შან შეაბრუნა ეს დედა მიწა!

თქვენ თუ გინახავთ

თქვენ თუ გინახავთ
მატარებელი, გაჭრილი ველად.
ის აბროტინებს რკინის ნესტოებს,
მორბის და ნიშანს კვამლიანს სტოვებს.

და მინდვრებიდან იმას ჭენებით
დასდევნებია წითელი კვიცი;
მისდევს და მისდევს ის შეჩვენებით,
როგორც საშინელ დოღის ზეიმზე
და შალლა ფეხებს ჰაერში ისვრის.

ო, საყვარელო, რა სულელი ხარ!
რა ამაოა ჭენება შენი.
შე უბედურო, ნუ თუ არ იცი
რომ დაამარცხა ცოცხალი ცხენი
ფოლადის ცხენმა?

ნუ თუ არ იცი რომ ყრუ მინდვრებში
ვერ დაიბრუნებ იმ დროს ჭენებით,
როს პერენევი ორ სკვითელ ქალსა
სასტიკად სცვლიდა ერთ ბედაურზე.

ბედმა შეღება სულ სხვანაირად
ჭეენი კვეყანა სავაჭროებზე
და ცხენის ტყავსა ათას ფუთობით
ახლა აძღვევენ ერთ ორთქლმავალში.

მარია ვოლკონსკაიას*)

თქვენი თვალები—ტრედისფერი საღამო არი,
და წამწამები—ვით ტერრასა კიპარისების,
გაქვთ გამოხედვა,—როგორც ჩრდილი გურზუფის მთიარის—
გიცქერით სულში და უმძაფრეს სვედით ვიესები.

მე მაგონდება შლისენბურგი.. „მხარე ვიზორგი“ს.
ქაობი'ა ნისლში ვაფრენილი რაშის საყულო.
მწვანე მოიკა. მდულარება სისხლიან მორგის;
—„სადა ხარ ახლა, რილევის ლამაზო ყელო“!

ო, ბესტუქევის, ოდოვესკის შუბლო მაღალო—
ეამთა სიმკაცრემ თქვენ დაგძირათ მძიმე მორევით.
მაგრამ მოვიდა გერკულესის მოდგმა ახალი
და შავი გიდრა ძირს დაეცა მუზის მორივით.

ძვირფასო დაო, თქვენს ოცნებას ამოდ სდევდა
ტაიგის თოვლი. უიმედო ბედის ძაბილი—
რევოლიუციის თქვენ იყავით ნამდვილი დედა!
და პოეზიით დღესაც სუნთქავს თქვენი სახელი.

25 წ.

მეგობერი.

*) მკვლავისტების აჯანყებიდან ასი წლის თავის გამო.

TALLA

ვინ დაფარავს გულის ტკივილს, ზის მარტოკა ტალა,
 და გიტარა ტირის—ტირის: ტარა-ტირა-ტარა.
 სარკისაქუნ მიდის ტალა, ატრიალებს დარდებს,
 ტალა ვანდა თითისტარა, ლანდისტანი დასდევს.
 მარტოობამ გადარია: რა იქნება მაშინ,
 როს ტკივილი გადაიარს და იკიელებს ბავში?!
 თვალმა თოვლი გადმოთოვა, იყოს მუდამ კრული
 მოგონება ტანგოდორა ასე დაკარგული.
 ქოხი ძველი გადავარდა ძერასავით ქარში,
 დარდებს კუთხის შესავალითან ტომაოივით გაშლი.
 აქ მტერია შეზობელი—შურგუდაა ხსოვნის,
 ო, დაჰქცეს ევ სოფელი—მიზობლობა სოფლის.
 გვირგვინივით მზე გაშლილი არ შემოვა დილას,
 უპატრონო დედაშვილი ვერ გაუძლებს ტრიალს.
 მზეო, მუბლი რათ შეჰკარი, დღე და ღამის მწყემსო,
 ზოგი ხარობს და შეგზარის, ზოგი ავად წევსო,
 თუ მშვიდობით ამოხველი—დღესეუ გვინდა ბედი,
 თორემ ხვალ ზეგ რა მოგველის—დაბერების მეტი?
 მზეოდარო, დაგვიბრუნდი, სილამაზე გამრა,
 შენ რათ ვახდი ავდაურდი, შენ რას გავდი შარშან?!
 გოგო გავდი მდულოდარას, გულო გუგუნებდი,
 გოგო გული ველოდაო და გელოდა ბედიც.
 გაბურია ფიქრი ზნელი, სახე გაგისივდა,
 ფრთა მოტეხილ ფრინველივით გალიაში ზიხარ:
 შენ უეცრად ფანჯარაში ვადაისერი თვალებს:
 მთიდან კაკო ყაჩაღივით გადმოიქრა მთვარე.
 ეხ, მთვარეო რომ გორაობ გორა გოდორაში,
 რა გადარდებს მეგობარო, არ ბერდები გზაში.
 სად არიან მეგობრები, ბედო მინდორილო,
 დღეებია—თეთრა ქვები—და შენ ვინ დაგინდობს.
 არსად შეება შეგეტყვია: ტარა-ტირა-ტარა,
 გაეტაროს გულში ტყვია, ვინც გატირა ტალა.
 შენთვის წამიც ისარია: მოლაღატეს დასჯი,
 ნუ თუ ქალის მიზანია დამონება ვაეის?!
 დარდმა სახე დაგიფლითა, ვადაიცივი გლოვა,
 გაზაფხული გაგიფრინდა,—მეტი აღარ მოვა.
 ტალა ტირის... ტირის ტალა... ტალა ტირის ტრაურს,
 ტირის ტალა და გიტარა: ტარა-ტირა-ტარაუუუუ...

ოქტომბერი

I.

ისევ ზამთარი, ქარბუქია და ზღვაზე წარღვნა,
ყოფდება ქაფით ასწლოვანი პონტო ხნიერი,
ისმის წარმართი სტიქიონის ზღაველი, გრავნა,
გემთ ხაზას უღებს ვეშაპივით ტალღა ძლიერი...

ბორბლების ქშენით ძალა შენი ზღვაო, დაება,
ასე მგონია წარღვნისათვის მეცადინაობ!
ტალღები ტალღებს აწვეებიან მკერდით დევეები,
აბორიალებს ბორეასი მბორავავ დინამოს.

მორბის და მორბის ზღვა ფაფარით, ნადირი-ტალღა,
ათი-ათასთა გაგონილი ხმები გვაწამებს.

გმინავეს სპილენძის ყრუ—დაცემა საყვირზე მაღლა,
ვინღა მოთოკავს აწ შავიზღვის ბოღმა, საწადელს?.

ფრთიანი ანძა მოტეხილი იწყებს ბორიალს,
ვერ გადახედავს სათნოებით ნაეიდან ქრისტე—
(აქეს ლეგენდები ვაზლაპრული ძველ ისტორიას);
დღეს ახალ კაცის გადაბრუნდა ფიქრების კლიტე...

II.

ეს აღმოსავლის სისხლის ღვირად გაიხსნა კერპი!
ჩნდება ღიმილით მშობლიური სახე... ძახილი...

— „ჩაქურ-ნამგალის გამოსქედეთ საშრომო ღერბი!“
მინ გამოყარა ზღვად ქუჩებზე ღხინი მახვილთა..

მოდის ჯარები ფარავებით ოქტომბრის ბუქში,
გზა-სადგურები, დახუნჯული ეშელონები...

დასაველეთიდან ფაფახებით, მხეცების ქურქში
ჩელაზინსკამდე გარაზმულან ლეგიონები...

გაიწევა ბოლი, ხმა-ამბორი ლოთ ყაზახების,
არ უჩანს ურალს ურავანიტ გზები გამზირი.
იყო თქარუნი გაჭაფული, ხმალ-მათრახების,

წინ ბიტოუგივით ურა-ცხენზე უხით რაზინი...

ისმის: „საომრად მოგმზადე!“

ვაზნები ჩასდეს.

თოფთა სარაზი მყის გადარაზეს—

დაეწია ტყვია სატანის—

ადულდა წყლული გადასატანი:

—„სისხლი... შემიკარი!.. ამხანაგო... იარი... ი...არ...!“

—„ნაბიჯით იარ!“

„მარჯვენა ფრთა

წინ!“

წინაპართა, წინაპართა და დღეის ხალხთა

შთაბერეს სული...

ნატვრა

(დარიალს).

ვიდრე ქარია ცაში მონადირეთ,
ნისლის სივარძლებში სხედან მნათობები;
ვიდრე ჩალვადარი ლილინს მოვადენის,
ლილინს ჩამოხლეჩილს ვულის ნაფოტივით...

ო, ნეტავ მაშინ მე თავზე დამახურა,
როგორც ბავშვობისას ფოთლები ჭადარის,
შენი ცა, რომელიც მინდა ვინახულო;
შენი ცა, რომელიც ჩემს თავზე არ არის.

და იცი... წუხელის მე თერგზე ვიფიქრე;
ზეირთებს ჩახმახივით ნაპირებს უკრავდა...
ღამეს, ვით ღამურას—ლლიავში იფრენდი
და მთვარე მოსჩანდა დაბნეულ ნუკრივით.

შემდეგ ავიშენა ცა მზე შენგურემ,
სხივი სიმებივით ზურგზე დაიკარი:
ჩუმათ ჩამჩურჩულე:—ჰა, მთის ვარ ჩონგური,
მოდი და თუ იცი რამე დაუკარი.—

უჯუკუი

შეველ ვენახში, დავირბენ ვაზებს—
შენი წერილი მინდა აქ იდოს,
სიტყვა მიასწრობს ფიქრს დარბევაზე
და რქა წითლისას აფქრი აკიდოს.

და ვცდილობ ღამე დროს გამოვკლო.
დავდივარ, მინდა აღერსი ძალზე;
ცბელს სურვილს დაჰყავს მზე იკლი-ბაკლოთ,
ქრელ გველის ქერქსა ვპოულობ ვზაზე.

დაიდგამს ლექსი ფიქრთა უნაგირს,
იმედი ვარბის, ვით სირაქლემა.
ვაშინებს სევდა, დათვის ბუნავის
და მომავალზე ხელის აქნევა.

მზე სუსხავს ალვის ტიტველ კენწეროს
ჯვარს იწერს ჩემზე შუადღის ბური
და ილბათ სადმე უნდა ეწეროს,
რომ ყველას მოსწონს თავისებური.

ვენახის თავში ჰკადავენ კვინელს
მე მზესუმზირას ვარჩევ მარაოთ
და საათებმაც დაიგვიანეს,
თითქოს მტევენებში ჩაიმალო.

დავკრეფავ ლოდინს, ვით ქამა-სოკოს,
ამედევნება ელამი გრილო.
სიბნელემ ცრემლი გამაიზოვოს:
დღეს უნდა ღამე ჩამოვანგრიო.

შინაგარეული რევოლუციონიზმი

დღეს შენს შესახებ ქება აღარ დაიწერება
და ძლიერ ვნანობ, რომ მიხდება სიტყვის გატეხა,
თუმცა რას ვიზამ, როცა გრძნობა მომეფერება
და მწვერვალზეა თუქრის მთები დამეხატება...

შენი წარსული, გაძარჯლება მკერდ ვადამტყდარი
ღრმა სიხარულით ენთებოდა ბედის აღლოში,—
დღეს კი აწვდილხარ ვით ქანდაკი გამოწადარი
და თავს ველარ სცნობ საკუთარი ენის ტალღებში...

სულაც არ ვშიშობ ნთვარესავით დაპატარავდე,
რომ დილით მზისთვის გადაიქცე ხელის დაირად
მე ხომ მწყურია გაშმაგება მუდამ გფარავდეს,
მე ხომ მწყურია ატარებდე მუდამ ბაირალს!..

ვიცი ვიყვარდა: ქვის კედლები, ქუჩის არშია,
სახე გახსნილი მოედნები და საბრძობელა,
გდევდა სიკვდილი და სიციცხლე თვით აედარშიაც,
და აედარშიაც ხომ მრავალი დილა შობილა?!

დღეს უკვე სდუმხარ, თვალს არიდებ ქვეყნის ყაჩაღებს,
თითქოს აღარ ხარ და მიზანი დაგვიწყებია,
ვინ წარმოიდგენს რამდენ ვულკანს გულში აჩაღებს,
რამდენი მთები ცეცხლის ნებით იმართებიან...

რა დაგამუნჯებს, სამიარდოდ ხმას რა ჩავიკლავს?..
არა გჩვევია აცოხნება ზანტ კამეჩივით,
რადგან ბრძოლისთვის გამეტებას ვერ ვინ ჩავიჭრობს
ვიდრე სიციცხლის სამსხვერპლოზე არ დაეცემი...,



მე სრულებითაც არ მაშფოთებს შენი სიმკაცრე,
 აფთარ სახეობას ვგ გიმშვენებს და ვილამაზებს,
 რა ვქნათ, თუ ერთხელ მრავალ წლებში ქვეყანა ასკრეს?..
 რა ვქნათ თუ ბედი სასახლეებს გაათამაშებს?..

შინდა ლილები სათითაოდ რომ გადაგხსნა
 და ყველა კუთხე გადაეშალო გულის ფიცრიდან,
 როგორც შეგობარს ჩაგაშტორდე, ხმა მალა გითხრა,
 რომ მაგ მახვილით გამოჩენას ისევ გიციდიან...

კვლავ მომავლისკენ ვიციქირები იმედ ანთებით.
 შიყვარს, როდესაც ზეივანი ყვეელიანობს...
 დაკარგულია ბედში ყველა ბრილიანტები
 და სიძულვილი ვიცი აღარ დაიგვიანებს...

ებლა მგონია შენი ქება აღარ ითქმება,
 განუშებულხარ არაბეთის უგრძნობ ქვასავით;—
 ისევ გაჩნდები, როცა ტალღა გადმოდინდება,
 როცა ფარდულებს გადაიძრობს მიწა თვალ შავი...

ტფილისი

ოი, ტფილისო, რომ არ შეხილა
 შენი ჯაღო და შენი იერი,
 მე ვერასოდეს წარმოვიდგენდი
 ამ გეარ მომხიბვლელ სიმშენიერეს.
 შორიდან მოსჩანს გაშლილი უბე,
 მაგრამ უბრალო სანახაფეთი;
 და მზე შენს მიწას სხივს გულზე უფენს,
 რომ უფრო დასწევას მიწი ხავერდი.
 უწინ, აქ ალბად მხოლოდ-ლა მტკვარი
 მიჩნობდა ხარბი და მკვეთრი
 და მის ნაპირებს ნამაედა ცვარით
 ცა მუდამ წმინდა, ცა მუდამ თეთრი.
 მახსოვს ლეგენდა: ტფილი და მკერთალი,
 რომელსაც ახლა თვითონ მოყობი,
 რომ შენს მკერდიდან ნადული წყალით
 ვით დაიმდულრა ნორჩი ბოხობი.
 ბარდუბ, ისანი და ნარიყალა
 სად, დღესაც მოსჩანს ციხის კედელი;
 იყო უღრკეი ღონე და ძალა—
 თან შენი ბედის გამომჰქედელი,
 წამების ჯაჭვი არ გჭონდა მოკლე.
 შენ დაბრჯობისთვის გრეხადენ თასმებს,
 მაგრამ ქართული გული ვერ მოჰკლეს
 ის ისევ დარჩა სიცოცხლით საესე.
 ალა-მამათხან და ლანგ-თემური:
 სიგიჟის ორი სახის ჩვენება,
 როცა საკუთარ სისხლით შემურე
 მყის წაიშალა მათი ხსენება.
 და დღეს, როდესაც მზე სხეულს გითბობს

და მკერივი ტანი აღარ გრძნობს ტკივილს —
 ვეაღერსება სევდაც და სიტკბოაც,
 მისდევ წლებს, როგორც მდინარეს—ტივი.
 როგორ უხდება განიერ ქუჩებს
 მკრთალი ღიმილის ყოველი სახე!
 თითქოს მზე სხივით თმას უხუჭუჭებს
 ქუჩის ნაპირზე ჩარაზმულ სახლებს.
 ახლა, რომ მტკვარი ამაყად მირბის
 ხან ხშირ ხმაურით, ხან ხმის შილევით,
 შესაძლო არის სულ დაშრეს იგი,
 შენ კი არასდროს არ დაიღვევი!
 მზემ შენთვის სხივიც, რომ დაიშუროს,
 მიწამ სიმდიდრე: ოქრო და ვერცხლი,—
 ამოდრავდება ფოლადის ურო,
 შენ გაგინათებს ზაპსის ცეცხლი.
 ეგ არე-მარე მოფარდაგული
 მუდამ საამოდ ირგვლივ, რომ ჰყვავის,—
 არის სიმტკიცის სისხლი და გული,
 მას ვერ დასწავლებს ამაყად ყვავი-
 თი, ტფილისო, შენ მაგარ კუნთებს
 ვით არ ვუმღეროთ ქართველობაშა!
 თვითელ ჩვენგანს გულში ცეცხლს უნთებ
 და ხარ ყოველთვის მზრუნველი მამა.
 ვერ დაგაბნელებს ვაების ჩერო,
 შენ საქართველოს ბებერო მუხავ!
 დღეს ჩვენთან ერთად უნდა იმღერო,
 შენ კი გულჩვილობ და ისე სდუმხარ:
 თითქოს არაფერ არ შეგეძენოდეს,
 თითქოს ის არის რაც იყო ოდეს,
 ამოდებული სქელ სადავეთი—
 ისე ჩუმად სდგას მამა-დავითიც;
 მაგრამ მან კიდევ არ იცის კარგად,
 რომ ეს მიდამო თვალ-მიმზიდველი—
 მწველი ოფლის ღვრით მუშამ მოქპარვა
 თავის ძარღვიან გარუჯულ ხელით.
 სოფლის მწყემსიც კი თავის სალამურს,
 როცა ცხვარს ბარში მოერეკება,
 წვით აფრქვევინებს ჰანგებს საამურს
 და ზედ ამღერებს შენს ქებათ-ქებას.
 გამშვენებს თალი ცად აწვეტილი,
 ხშირი მიტინგი და ტრიბუნები.

გმწყურია წინსვლა, არ გვსურს წერტილი,
 ტფილისო, ნურც შენ მოიღუნები!
 თუ ძველად გკონდა დიდი სახელი
 ბრწყინვალე მოდგმა: ურარტელები,
 დღესაც გკვეთე და ასახელებ
 ახალი ქვეყნის მთა და ველები!
 ოუ უწინ მედგრად ებრძოდი ყველას,
 მოიგვრიე მტრები მრავალი
 დღესაც შეკუმშე გესლში ნალველა
 გახსენი აწმყო და მომავალი.
 აღარ ენდობი წარმართ დიონისს,
 თუმცა ბლომად სვამ მაღლიან ბახუსს.
 მწუხარე გვარი ბაგრატიონის —
 შენმა თვალებმა აწ ველარ ნახოს.
 ქება-დიდებით დაგზვდა წარსული,
 მოჭკროდენ შენკენ არგონიფტები,
 და მხარე მადნით შემოგარსული
 უხვი დოვლათის იყო თავდები.
 მაგრამ ახლაც ხომ ბლომად გატყვია —
 მდელი ოქრო-მკერდ ნახავერდები,
 ფიქალ გულის ძეალს ვერ გასჭრის ტყვია,
 შენ, არასოდეს არ დაბერდები.
 გამშენიერდი ჩემო ძვირუფასო
 თავისი ხვედრის სწორი მიჯნებით!
 და ვინც შეგვკითხავს, ჩვენც გავცემთ პასუხს,
 და ეს პასუხი თვით შენ იქნები.
 გაჰყვეი მტკიცეთ სისხლ ნადულ ბიჭებს
 ძველი დრო — ახალს — გზას ველარ უბნევეს;
 გწამდეს ვერაფერ გადააბიჯებს
 შენ მიწას და შენს თვალ წარმტაც უბნებს!

გველის პერანგი

რომანი

გაგრძელება*)

ქაშანის ხალიჩა

თავი მეოთხე

...un baiser ma tûrait
si la bauté n'était la mort...
მალლარმე. „ჭეროდიადა“.

ფარდულები. პატარა ფარდულები.
 თითქო კარვები ან კიდობნები.
 სავლელი ვიწრო ხეულებით.
 ფარდულები დაფსრულებელი.
 კიანქელათა ბუდე უზარმაზარი, ასფეხათი კარნაელი.
 ცის თაღი ხანდახან თუ გამოჩნდება: თითქო ფარდულები დიდი ქოლგი-
 თაა დაბრდილული. მზის თუ ეშინიათ.
 უზენის ბაზარი ლაბირინტია უფრო, შესვლა ადვილია.
 გამოსვლა?! მაგრამ ვის რად უნდა გამოსვლა?!
 თვალს თრობა უყვარს.
 იგივე რაც შამადანში—(თუ კიდევ მეტი?!):
 ქიშმიში. ზეთიხილი. ნუში. თხილი. ნიგოზი.
 ფსტაპ ნედლი და ფსტაპ მოხალული.
 ჯარრონის ხურმა. ალჯანაბადი. შერბეთი.
 ქერამი—ხაჩმახის: „მზის კვერცხი“.
 შირაზის ბროწეული მსხვილი:
 კბეზვენ და სწუწნიან—ტუჩებზე მეწამული იღვრება.
 ქსოვილი უთვალავი: აბრეშუმეული და ფარჩეული.
 ვაკხანალია მურების და ფერების.
 ჩიქები. თასები. დოჭები. თუნგები.

*) იხ. „მნათობი“ № 10 (18)

დგრნალი „მნათობი“ № 11—12 (19—20).

6279



მოხაზულები და მოხატულები.
 არშიები, თასმები, გრებილები, ზორტები, სირმები.
 ხალები, ფარდაგები, ფლასები, სიმკედლები.
 ხოროსანის რკინები, შაჰაბაზის ხმალები.
 შებები, ფარები, ჯაფშნები, ისრები, მშვილდები.
 უნაგირები, ღვედები, ლაგმები, მოსართავეები.
 ათასი და ათიათასი სხვარამ:
 ნაკეთის რეზაუმე სპარსეთის.
 შიგადაშიგ: ლავაშები—
 თითქო ახლად დამარბლებული ტყავები.

არჩიბალდ მეკეში ფარდულებს ათვალიერებს.
 ბოდსა და ბოდს შუა გაბმული კანაფი, იქვე—დიდი სკივრი, სკივრს უხის
 ზარაფი, გასწევს კანაფს და გამოსწევს კანაფს, სკივრში ფულია მრავალნაირი:
 ვეცხლი და ოქრო, სკივრი შემოხურულია ფარდებით, ძველი ვეცხლის ფული
 ფირფიტაა: მას არ ახურდავებდენ—ნაპრობით გასცემდენ, წვრილი ფული
 „შაჰი“ ყურგახურეტილია და საბმურზე აცმული, ზარაფის თვალები მას უცქერ-
 დენ როგორც ჯადოსან კრიალოსანს.

გვერდით: დატვირთული ვირი,
 ვეცხლი და ოქრო თუ მოაქვს,
 ვერ გაჰქურდავენ?! გამძარცველს ხელს მოსჭრიან,
 მეკეში ერთ ფარდულთან ჩერდება,
 ანტიკვარები სხედან, წამსვე გამოიცნობთ ჰებრაელ პროფილებს, განსა-
 კუთრებით—თუ უკანიდან შეხედეთ ყურებს: მანჭკვალისავეით მიღეულს ყვით-
 ლად, ესენი სპარსელი ჰებრაელებია.

სად არ შეხვდებით მათ?!
 ღმერთის ყველგანყოფა მხოლოდ ჰებრაელს შეეძლო გიგანა.
 უსხედან ყუთებს, შიგ თვალი პატიოსანია მრავალი,
 ერთი მათგანი მარჯალიტს ფერავს—
 თითქო ბარუხ დე-სპინოზა ალმასის მხვეწავი,
 ისიც ფილოსოფიური მზერით უცქერის ძვირფას ქვას,
 პირველად მეკემს (როგორც ყოველს ახლად მოსულს)—
 ხმაღს აწოდებენ: უთუოდ,
 ხმალი შაჰაბაზისაა: უთუოდ,
 შაჰაბაზ: ხმალი ეოვლა თვითონ აღესილი, ხმაღის სიკეთე სპარსეთში
 შაჰაბაზის სახელით იზომები, ამას ყველაზე უფრო ქართველი იგრძნობს ალბად,
 რკინა ხმაღის ხოროსანისაა:
 ესეც „უთუოდ“.
 მეკეში რკინას სინჯავს,
 „ბარუხ სპინოზა“ კი—მარჯალიტს რომ ფერავს—წვრილი თვალებით
 უტბო კაცს სინჯავს: ბევრის ვალება შეუძლია თუ არა.

ვილაც ვარდის წყალს თუ ვარდის ზეთს ყიდის.

ერთ მისხალ ვარდის ზეთისათვის საჭიროა რამოდენიმე ათასი ვარდი. მაგრამ შირაში ვარდნარია მთლად.

მოდიან ქუჩის ჯამბაზები. ჩერდებიან ფარდულთან და იწვებენ თვალთ-მაქცობას.

განზე—ყოჩებს აქიდებენ: წითურსა და შავს.

იქვე: მორიელი და ფალანგა ებრძვიან ერთმანეთს სასიკვდილოთ. ირგვლივ ცეცხლის რკალი მოუვლიათ: გაქცევა რომ არ შეეძლოს არცერთს.

ფალანგა ხტის. მორიელი მისდევს.

ფალანგა ცეცხლს მიადგება. შეჩერდება.

მორიელი მიეარდება და ჰგესლავს. ფალანგა კვდება.

მორიელი გარბის. მაგრამ გარშემო ცეცხლის ზღუდეა.

მაშინ კუდს მოიქნევს მორიელი და გესლიან წვეტს თავში ჩაისობს:

მორიელი თავს იკლავს.

ხრიალში შიში გადავარდება.

შემდეგ: ისევ ფუსფუსი და ისევ ხმაური.

არ ესმით მხოლოდ შაჰმათის მოთამაშეთ ხრიალი. თითქო ნირვანაში ჩაძირულნი—დასცქერიან შაჰმათის დაუას.

იქვე შაჰმათს ყიდიან.

ფიგურები ძელისაა. ზოგი შაჰმათის ფიგურები—უბრალო ძელის და ზოგის—სპილოსი. ყველანი კი—სხედასხვა აღნაგობის. ფიგურები შედებილია სხვადასხვა ფერით. უფრორე წითურ.

შაჰმათის მოთამაშეთა გვერდით ვაჭრობენ ყალმებით და ქალაღდებით. გადამწერნი არზებს სწერენ დაბალ მაგიდაზე—როგორც უძრავი ეგვიპტელი „სკრიბები“ (კარგი „ხელი“ სპარსეთში სიმდიდრეა).

ხალხის ხრიალი ჰფარავს ფლეგმატორულ შაჰმათისტებსაც და თვალბ-მიბნედილ სკრიბებსაც.

ყველგან—„კულლახ“ (სპარსული ქუდი).

აჭაიქ—„ammame“: ჩალმა.

ფეხებზე—„გავე“: თეთრი წულები.

ტანხე: „აბა“—მოსასხამი უსახელოო. სილისფერი თუ ღვინისფერი თუ ხაესისფერი.

ხრიალში ხანდახან ქალიც ამოყოფს თავს.

თავზე: „ჩადურ“—შავი მანდილი დიდი.

სახეზე: „რუმენდ“—თეთრი რიდე კვირვალე ნახერცტებით თვალბებისა-თვის.

ხრიალი მატულობს. ხალხი ირევა.

სპარსთა მასსაში დროდადრო სხვებიც იჭრებიან:

რუსი ჯარისკაცები თუ „ზემგუსარები“ თუ მოწყალების დები.

არჩინალდ მიეკეში ხრიალში იკარგება.



უეცრად შეჩერდება. ხედავს: კუთხეში ეილაღ ხმაღს ათვალეირებს. ისიც გამოიხედავს. არჩიბაღდ შეკრთება. ერთიშეორეს ზომევენ: თითქო მორკინალნი რომელთაც მოსწონთ ერთმანეთი. მეკეში თავს ღუნავს. ხალხის ხმაური მატულობს. უცხო ვაქი საღლაღ ინთქება.

რა ემართება მეკეშ?!
—

სპარსეთის ბაზარი მოჩვენებას აიფრენს ხოლმე.

სჯობია—სახლში დაბრუნდეს.

სახლი თიხისიგან არის ნაშენი.

რუხი კუბი: ყვითელი—შხით დაქანგული.

ქუჩა მტვერიანი. ღობე მაღალი. ისიც თიხისა.

ქიშკარი არა კანკლედ: ეზოში ვახედვა უხდელიობაა.

არავეითარი კახმულობა გარეგან.

შეგნით სახლში—შრავალი ოთახი. თითქმის ყველა შუშაბინდიანი. შუაში—დიდი დარბაზი. დარბაზში—აუზი აშადრევენებული. დარბაზის ცალი მხრით მარტო შუშაბანდი ჭერიდან იატაკამდე: შუშაბანდი წვრილმინიანი—ნაირნაირი ფორმის. მინები—შეფერილი ყველა. წითლად. მწვანედ. ლურჯად. სპარსეთში სამი ქება ბატონი: ლალი და ფირუზი და ზურმუხტი.

დარბაზიდან გამოსავალი ფართო ტერასით გძელდება. ტერასა გადის შალში. ბალი—თითქო ვარდნარი. ხილთა შორის—ალუბალი უნეტესად. ბალის ირგვლივ ალვისხეები: ტანწერწერტ მცველებად შალა ატყორცნილი.

არჩიბაღდ მეკეში შედის ეზოში: თითქო გაბრუებული.

აველებში გარჩენილი აქვს უცხო ვეის ლანდი.

მეკეშს ორი ოთახი უკავია. ოთახები დაფლულია ქეტებში. ქეტას ლამით ახდიან და დღისით ჩამოუშვებენ: ლამით სიგრილით ივსება ოთახი და დღისით სიციხისგანაა დაფარული. ოთახი სიგრილეს იკავებს როგორც ქებაული. გარეთ ხართ—ცხელი ალზი გწევათ. შედიხართ ოთახში: თითქოს წყაროს ტანში ჩაესვენთ.

არჩიბაღდ მეკეში ოთახში შედის დასიცხული.

ოთახი სადათაბ მორთული. კედელზე ხალიჩა. იატაკზე ხალიჩა. ტახტზე ხალიჩა. ფლასები და შალეები. კუთხეში—საწერი მავიდა.

ტახტზე ტაბა ტაბა ზის და ხმაღს ათვალეირებს.

— ჰაი: არჩიბაღდ..

— მზეგძელობა ტაბაა ხანს..

— თუ ინება მილაღმა..

მაგიდაზე—სურათი მამის. სახე ნელი: ვახედვა—შეკავებული.

ტაბა ტაბაა ხმაღს ათვალეირებს. ჩურჩული:

— რკინა ხოროსანისაა..

— ხოროსანის უნდა იყოს..

— სად იშოვეთ?.

- მამამ დამიტოვა..
- ძველია შეტად..
- რამოდენიმე საუკუნის წინადაა ნაკედი..
- აღბად მრავალი გახელება დაუცხვრია..
- მრავალი..
- რკინა ხოროსანისაა..
- ხოროსანსაც მოხვედრია..
- რა?!
- ხმალი..
- ხოროსანს მოხვედრია?!
- ასეთია „ხვედრი“..

ტაბა ტაბაჲ იქვენული თვალთ შეხედავს მეკეშს.

დუმილი: ამ შემთხვევაში—როგორც ხელუხლები ზღვარი.

ქება ირზევა: კარებზე რომაა გარეთ ჩამოშვებული. მოსჩანს ხმელი ყვითელი ზელი. ქურდი თუ არის. არა: სპარსეთში ქურდობაზე ვერც ღამე აცდეს ადამიანს.

ფარდა ერთი ალაბის სიგანით იხდება. შემომსვლელს აღბად ეშინია—სიციხე არ შევარდეს ოთახში. ქოშებს კარებში სტოვებს: მტკერს ოთახში არ შეიტანს. ფეხებზე რჩება წითელი მეწის წინდები.

ხალიჩაზე გაივლის შეშინებული ლინდივით. მარჯვენა მკლავზე გადადებული აქვს სამად დაკეცილი ხალი.

— ჰასანს მშვიდობა!

— მშვიდობა! დიდება ალლაჰს!

მარჯვენა ხელს გულზე მიიფარებს მუხის სქელი ფოთოლივით. თავს დალუნავს. ჰასან შორიდებულია. არჩიბალდიც ეგებება ხალისით:

— როგორა ხარ ჰასან?!

— კარგად.. დიდება უძლეველს..

მოსული ხელს ამართავს. მოსჩანან სწორი გძელი თითები: თითქო მასრები დახვეწილი. ფხილები: დაქნილი და წითურ შეღებილი. მოკაული ცხვირის სიკაპასეს (—„კაპუეტის?“) მცხრალი თვალეები ანელევენ. გძელი წვერი ინითაა შეღებილი. დრო-გამომშვებით წვერს თითების მასრები ვარცხნიან.

— მოიტანე დანაპირები?!

— იი..

და თითქო ნაზი ბავში უწვევია ხელზე—ფთხილად გადმოიღებს და იატაკზე გაჰყენს.

— ნამდვილი ქაშანია..

— ნამდვილი..

შებების უმალ ადასტურებს ტაბა ტაბაი.

იატაკზე ჰასან ხალიჩას ასწორებს. სიდიდე: შვიდი ალაბი ხუთზე. არჩიბალდ და ტაბა ტაბაჲ დაიჩოქებენ. სინჯავენ.

— აბრეშუმისა..

— დიახ: „ხალი-ი იბრიშუმ“..

წამოდგებიან. ისევ ხალიჩას უცქერენ.

გაკვირვება: ხალიჩა იშვიათი ხატულობისაა.

ჰასან ხედება მათ გუნებას.

— კედელზე გაჰფინეთ.. უკეთ დაინახავთ..

ტაბა ტაბაჲ სწრაფად კედელზე ჩამოკიდებს ხალიჩას.

ეზღაც განცვიფრებით უმზერენ.

მწვანე ვასაკისფერი შოლი. აქაიქ: თითქო მზის ფოთლები. შიგადაშიგ:

დიდრონი მოთეთრო ლაქები. შოაგულში: ტანგაშოლტილი ნიამორი მთვარის უნაზეს პროფილით და უცნაურ ყელმოღერებით. მასთან გვერდით: მორცხვი ქალწული. ისიც: თითქო მთვარესავით გარინდული. მარცხენა ხელი ნიამორის ყელს ეაღერსება. თვალები სხვაგან იცქირებიან: მზეჭაბუკს თუ ელიან. თვალს აცილებ ნიამორსა და ქალწულს—და ორი მხრით: ორი ვაჟი შვილდისარით. ორივეს სურთ ქალწულის დატყვევება?!

ტაბა ტაბაჲ ვახარებულია.

არჩიბალდ განცვიფრებულია.

— ლამაზია..

— შედეგია..

ჰასან განზეა და იღიმება. ასე იღიმება არაბი როცა უხედარ კვიცს გა-
 მოიყვანს საჩვენებლად.

ტაბა ტაბაჲ ჰასანს მოხედავს:

— ჰასან! ანგარიში ხვალ! ხალს დატოვებ!

— კეთილი..

ჰასან თავსა ხრის, ემწვიდება. მიდის.

არჩიბალდ ხალს თვალს ვერ აცილებს.

— საკვირველია მურების შეზავებით თუ შეხამებით..

— ასეთს ხალს წლობით ქსოვენ..

— როგორ?!

— ოჯახი ქსოვს რომელიმე. ორ სამ წელს უნდება. ერთი ფერებს უფრო
 არჩევს. მეორე ხაზებს. მესამე კომპოზიციას. ბკობენ. სთხზავენ. ჰქმნიან.

— თითქო ძაფებით ზღაპარს უთბრობენ..

— გინა ზღაპარი არაა?! შეხედეთ კიდევ!.

და ორნივე ისევ ხალს მიმართავენ.

— ერთი რამ მაკვირვებს.. ეს ხალი სხვა ხალებს არა ჰგავს..

მგეში დაფიქრდება.

ტაბა ტაბაჲ აგძელებს:

— სპარსული ხალი აქრელებულია საერთოდ..

— ეს კი: ნაკვეთი კონტურებითაა გამართული..

— როგორც იშვიათი სპარსული მინიატურა..

— დიახ: აქ სურათია გარკვეული..



- სხვა ხალხებში კი ამზერებია უფრო ფერების და ხაზების..
- იქ გარკვეულს ვერ დაინახავ..
- როგორც პაშიშით მოგვრილ ზმანებულს..
- როგორც ირანის კლდეების ფეროვნობას..
- ირანის მთები პაშიშის ზმანებაა..
- სპარსული ხალიჩა ამ მთების თრობაა..

კიდევ შეჩერება და კიდევ თვალიერება.

არჩილად მეკეში ატაცებულია.

- ეს ხალი ხილევა: ზმანებაში გამოქრილი თუ ზმანებაში შექრილი..
- მესმის: ასეთს ხალს ალბად თვითონ ჭრული ხალეუბი ჰქმნიან ხანდახან..
- მისთვისაა ასე იშვიათი ასეთი ხალი..
- უთუოდ..

კიდევ მზერა და თვალით სმა.

შემდეგ შემოდის სხვა. მას მეორე მოჰყვება—მეორეს მესამე. და ასე: მთელი დღის განმავლობაში.

მოაქვთ: ზოგს ხმალი. უთუოდ შაჰაბაზის,

ზოგს სპილენძის თასი სხვადასხვანიირი.

ზოგს სპარსული ფარჩა.

ზოგს სპარსული მინიატურა.

ზოგს ბეჭედი თვალიანი

ზოგს თვითონ თვალი პატიოსანი.

ზურმუხტი, იაგუნდი, ლალი, ფირუზი.

ზოგს სპილოს ძვალი.

ზოგს ძველი ფული.

ზოგს მედალიონი.

და ასე: დაუსრულებელ.

არჩილად მეკეში სინჯავს ყოველს ნივთს. მალულად ტაბა ტაბაას გადახედავს. მის უძრავ მზერაში კითხულობს ნივთის სიაცკარვეს. ყიდულობს.

მზე დროს აჩერებს თითქო. განზება ყოველი.

მძაფრია მარტოობა მზის დაყუდების ხანს.

„აღლან“ განზვართულია და თავს იტყუებს: ვითომ ეძინება. ხანდახან აკანკალდება: სიზმარს თუ ხედავს.

მარტოა არჩილად მეკეში.

თვალეებში კიდევ უცხო ვაყის ლანდის კვალია.

ხანდახან უცხო ვაყის ლანდი მარტოობას შეაჭანებს ხოლმე.

ამ ლანდს თუ ყნოსავს „აღლან“.

არჩილად კისკარისაყენ ვაიხედავს.

დოგი წამოხტება და ყუფით ვარეთ გაეარდება.

არჩილად თან მიჰყვება და ჩერდება ტერრასაზე.



„კოცნა მომკლავდა მე
სიღამაზე რომ არ ყოფილიყო სიკვდილი“...

ტუჩები ლაპარაკობენ თუ ტანი ლაპარაკობს?
ეხლა ტანიც დადუმებულია. ვაფი ისუნთქავს.
შბეცის სმენა შორეულ შიშინს შეაჩნევს.
ოკეანის შიშინი ზომ არაა სიდაფში შენახული!

ქალის ტანი იესება.

— შენ კოცნა არ მოგკლავს.

ქალი აღარ ჟსმენს. ვაფის ხვევნაში ტანი ქალის თითქო ქალია სქესით
იესება ერთიან მოხეტიალით.

იშმუშნებიან შორეული ინსტინქტები.

ქალის თვალებზე—

ათასი თვალი:

ყველა ელამი და ყველა ამღვრეული.

„აღლან“ იღრინება—

შურვილია?!

ირანის ტაშირზე მზე ბადეშია გაკვალთული.

სისხლი გოგონალის

თავი მახუთა

სისხლი სიცოცხლეა და შიში.

ქართული თქმა.

არჩიბალდ მეკეში ფარდებს ასწევს. გადის ტერრისაზე. ტაბა ტაბაა წისკ-
ლია. არჩიბალდ ელის ოლგას. ბალს ვადახედავს და ფიქრობს: ეს წალკოტი
ოლგასათვის არის გულგადახსნილი. ფიქრი ღიმილით თავედება: შეყვარებულთა
სიტყვარი ყველაზე ღარიბია.

საათს დახედავს. რად არ მოდის?! მოუთმენლობაა?!

მაგრამ მოუთმენლობას მისი ძრაობა არ ამხელს.

ესეც მამისგან აქვს ნაანდერძევი.

დახედავს კიდევ საათს. ოლგა იგვიანებს. მოისმის კიშვარის ხმაური.

გული ყურს იცქვიტავს. მაგრამ მყისვე ჩამოუშვებს: ჯარისკაცია ბარათით.
ოლგასაგანაა?!

მეკეში ბარათს კითხულობს. ვერ მოვა: არ გაანთავისუფლეს. სიტყვებში
მოკუმშული ნაღვლი უნახაობის. თუმცა გუშინ ხომ აქ იყო. მაგრამ შეყვარე-
ბულმა „გუშინ“ არ იცის.

არჩიბალდ მეკეში გადის ბაღში. დასეირნობს.

ეს რა სიმღერაა?! არჩიბალდ გულისყურია მარტო.

ჰა: ისევ ის სიმღერა—აბგერმის აბლო რომ მოგვმა.

უცხო და ნაცნობი: ძველი ქართული სიმღერა.
სიმღერა ბალიდან მოისმის. ბალი იქვეა—აბლო.
არჩიბალდ ქუდს იხურავს. მიდის როგორც სომნამბულა.
სადღაა რეფლექსი?!

ბალში ფარდულებია სახელდახელოდ გამართული. ჩრდილების ქვეშ—გაწყობილი მაგიდები. ვინ გინდა რომ იქ არ იყოს?! „ქალაქთა კავშირი“, „წითელი ჯვარი“, „საეროზო კავშირი“, „ზემგოსარები“ და მოწყალეების დები.

უქმე თუ არის.

არჩიბალდ განმარტოებულ მაგიდას უსხდება.

ათვლიერებს:

რუსები. ლიტველები. პოლონელები. ბერძნები. ოსები. ქართველები. სომხები. ყველაზე მეტი—რუსები. მათზე მეტი—ქართველები. კიდევ მეტი—სომხები. პროფილები: ასსარგადონიდან კარაპეტამდე.

ერთ მაგიდას ქართველები უსხედან.

მლერიან და სმურებს გადადიან.

— სიტყვა პეტრიძეს!

გაისნის თამაღის ხმა.

— პეტრიძეს კი არა: პეტრიწის!

თამაღის ხმას ირონიით გადასჭრის მეორე ხმა.

უეცრად მესამე წამოხტება პეტრიძეს თუ პეტრიწის გაგონებაზე ხმელ კაცს ფერი ეცვლება. თხელი ცხვირი იმწვეტება და ნესტოები იბერებიაან. სახე—ნადვილი მაქიკი: ყველს რომ ჰკვეთავენ. მარცხნით ჩაქნულ ტუჩზე სევდა გარჩენია. სევდას უცნაური ღიმილი წამოცმია როგორც შამფურის წვერს. თმები იგრუზებიან. თვალები დასისხლულან და კიაფობენ როგორც აწითლებული პილპილები. მკერდი ჩაეარდნილა და ქშენს ჩაფუშულ საბერველივით. მთელი ტანი: თითქო მალარიის ვიზიონით არის აცახცახებული. ხმელი კაცი პირველ შეხედვაზე თითქო საწყალია. მაგრამ წამოდგება თუ არა—მაქიკის სახეს სიამაყის იერი გადაურბენს.

ახლაც აყენებულია ჩახმახივით:

— დიახ: პეტრიწი! ჩემი გვარი პეტრიწია!.

— ფილასოფოსის არა?!

ხუმრობს მეორე, მარცვალი „ლა“ მთლად „აგდებაა“.

— დაეხსენ თუ კაცი ხარ..

წაურჩურჩულებს მეორეს მესამე.

— თორემ თუ დაიწყო: შენი ტერია...

ვიღაცას სიცილი წასქდება.

— დიახ: პეტრიწი! პეტრიწი!

გაიძახის ხმელი კაცი.

— ვიცით რომ პეტრიწი ხარ...

ებლა კიდევ სხვა იცინის.

— ამდენი «ტრიწი» რა აშკარაა?!

გაისმის სიტყვა განზე.

სიცილი ხარხარში გადადის.

— ეგ იმ სუფრას ჰკითხეთ!

იძახის ვილაც: სომხეთა შიგნიდან უთითებს.

— რაააოო!?

უკმეხი გამოწვევა.

— ჩენი პეტრიწი სულ «ტრიწის» გაიძახის. თქვენი მოდგმის თუ არის: ბატონო კიშმარიტოვ..

წამოხტება მოკლე კაცი. თავს მედიდურად ასწევს: თუმცა შთაბეჭდილება ისეთია თითქო მიკერებული აქვს. მზრებში იმართება და იღებს გამოწვევ პოხას ცხვირი: არუასავით ჩამოწოლილი. ზედ: პენსნე. მოსჩანან გადმოკაკლული ლეღის-ფერი თვალები.

— თქვენ მაგებს თავი დაანებეთ..

— გვარი არ მოგწონთ თუ: ბატონო კიშმარიტოვ?!

არ ეშვება ქართული სუფრა.

კიდევ სიცილი და ხარხარი.

— ვის მამსგავსებთ თქვე ოხრებო?!

ყვირის გახელეზული პეტრიძე.

— გამსგავსეს თუ არა... თვითონ უმსგავსო წენა...

შეუტევს კიშმარიტოვ.

ხრიალი. აშლა. წაწვეწამოწვევა.

სპარსელი ბიჭები მაგიდებს უთვალთვალეზენ შეძებრებვიით: თუ ვინიკობაა შეეჯახონ—ეგებ თეფშები და ბოთლები გადაიარჩინონ.

ხრიალი მატულობს.

პეტრიძე ისტორიულ სახელებს ისერის.

კიშმარიტოვ ყვირის: «გამიშვიო»..

არჩიბალდ მეკეში განზე გაიხედავს. ხედავს—მოდის ძალაღი ყმაწვილი. არჩიბალდ მოჰკრავს თვალს და შეირხვევა: «ისაა» ბაზარში რომ ნახა. უცხოც გადმოხედავს დარიდებით.

გაისმის ძახილი:

— ვამებ! ვამებ! ვამებ!

ახლად მოსული ღიმილით უახლოვდება მაგიდებს.

— რა დაგემართათ?!

— არაფერი.. პეტრიძე და კიშმარიტოვ წალაპარაკდნენ.

ვამებ ორივეს გადახედავს. ორივეს—ალერსით.

მაგიდები მშვიდდებიან.

შემდეგ მიდის კიშმარიტოვთან. მიესალმება. ხელს შიარზე დაუსვაშს. ვაც-ხარებული—ნელდება.

გამობრუნდება. მიდის ქართულ სუფრასთან.

— რა მოვივიდა სერგო?!

ტკითხება პეტრიძეს.

— სარგის და არა სერგო!

პეტრიძე ჯერ კიდევ არ დამცხრალა.

— სარგის კი არა: „სარქის“..

— სარქის! სარქის!

— ესლა აკლდა „ტრიწის“..

სიცილი, ხარხარი, ხრიალი.

— თქვე ოხრებო: სახელსაც მიფუქებო?

ყვირის ანთებული პეტრიძე.

უკანასკნელ სიტყვებზე კიშმარიტოვ ისევ წამოხტება და მზადაა შეტევისათვის. პეტრიძეც აყვანილია გადაძახებისათვის. მიგრამ ახლად მოსული დააფლებს მას ხელს, იყვანს მალა: და ააბურთავენს როგორც ბავშს. შემდეგ: დაუშვებს ძირს და გადაკოცნის.

პეტრიძე ღმება:

— რა კაცი ხარ ვამებ..

თითქმის ცრემლიც ვრევა. დაჩუმდება ოდნავ დარცხენილი.

ვამებ სუფრას უჯდება.

და ისევ: სმურები და სიმღერა.

არჩიბალდ მეკეში ახლად მოსულს თვალს ვერ აცილებს:

ოცდაშვიდი წლის თუ იქნება, როგორ დადის?! „აღლანს“ ჰგავს მოჭნილობით. სიმაღლით—არჩიბალდის ტოლი, აღმოსავლურად გადაკეთებული „გალიფე“. კანჭებზე: ყვითელი ზოტუორტები, ასეთი ფეხები არჩიბალდმა პირველად აბგერმთან იბილა. თქოები მოკვართული. ზედა ტანზე: ფრენჩი ოდნავ გადაქართულებული. წელი წერილი. მკერდი აკვრივებული, ბეჭები მსხვილი და მომრგვალო. ხელები დათასმული და მარჯვე.

პაუზა სმურების შუა.

უეცრად ვამებ არჩიბალდისკენ მოიხედავს.

მეკეში მზერა სასტიკი აქვს. მაშ თავი რად დახარა?!

ვერ გაუჩერა? არა...

ფეხების სხვა რამ იყოს.

მაღალი შუბლი ივერიელის. ორბული ცხვირი, თვალეები: თათლისფერი ოდნავ გლანარევი. ტუჩები: თითქო ბავშვის, მეტყველება დანელებული და მიაგარი.

არჩიბალდ მეკეში სუნთქვას იკრავს. უეცრად შეირხევა:

თვალი თვალს მოჭკრა—და დაინახა: „ის“ კიადი ვახელების...ის...ის...მიმალული რომაა თუ შეკავებული...

და უეცრად ვილაცას ლანდმა გადაიბრინა.

არჩიბალდს ბაგეზე სიტყვა ასკდება:

სიტყვა—რომელსაც მხოლოდ „ძე“ დაიძახებს.

მიგრამ ხელები მავიდას ეყრდნობიან—

და მომსკდარი სიტყვა იბრწობა უთქმელი.

თუ თვითონ იბრწობა?!

ახლად მოსული იფურება: წარბები შეუთამაშდა და ტუჩები აელეწა. მორ-
კინალის მზერით უცქერს უცხოელს.

— სიმღერა! სიმღერა!

— აბა: აზარყეში!

— ვამეხის სადღეგებლო!

ლხინობენ, მღერიან, ლალობენ.

ამ დროს ამ ბაღში ერთი ვინმე არ ლხინობს და არ ლალობს.

სიმღერა ედება სხვა სუფრებსაც.

სომხების სუფრაზე თაბია. ვიღაც გასაოცრად უკრავს. თარი ნელდება და
მეორე კაცი დაირს იღებს. შეათამაშებს ხელში და ყურთან მიიტანს: და თით-
ქო უბაყურააო—გაჰკივის მწარეთ ბაიათს:

რუსთაველი აღიარ გვეყაავს გამკითხავი ვინ არიი...

აღსდგე თამააარ დედოფალო! შენთვის ტირიის...

უეკრად პეტრიძე წამოხტება:

— ვინ კითხავს მაგ უზნელურს ან რუსთაველს ან თამარს?! ვაჰმე ისტო-
რიაე!

„უბაყურიანი“ შეჩერდება.

ისევე გამოწვევა: ჩახმახივით აყენებული.

ვამეხ სარგისს ამშვიდებს.

მოპირდაპირე სუფრაც წუნარდება.

მაგრამ უეცრად ქართული სუფრიდან გაისმის სმფრი:

— გაუმარჯოს იმ ამბავს: რომ სომეხი სპარსეთში ქართული სიტყვებით
სპარსულ ბაიათს გაჰკივის...

— კაი შეზავებია შენ ნუ მომიკვდები...

კვერს უკრავს მეორე.

კიდევ სიცილი და კიდევ ხარხარი.

ქიშმარიტოვს ველარ აკავებენ. სუფრაზე ხელს ურტყამს და ხმაჩახლენილი
ვაიძახის:

— ეს კი თავხედობაა: ამდენის მოთმენა შეუძლებელია..

ხრიალი და მიწევმოწვევა.

სომხების მაგიდას ვიღაც ბანგელიანი უზის: ოსი თუ თათარი. ტანად—აბ-
მახი და აყლაყლა. ეტკობა საშინელი ძილა. სახე ნავაზს მიუგავს ცხვრის ფა-
რას რომ სდარაჯობს.

ქართული სუფრა სიცილს ვერ იკავებს.

ბანგელიანი კაცი ნელნელ დგება და თითქო ყვეფას აპირებხსო—ქართულ
სუფრას გადაბედავს. თვალღებში: ბრაზი.

ყველა მაგიდეები მას უცქერენ ებლა.

ერთ კუთხეში ქალებიცაა.



ორის შეჯახება უფრო სასტიკია როცა მესამე უყურებს. მესამის თვალი რომ არ იყოს—შესაძლოა შეჯახება არც მოხდეს.

ოსი თუ თათარი ზღაპრებით ირხევა და დამცინავი გამოწვევით ქართულ სუფრას უყურებს.

ქართული სუფრა ილესება როგორც მდინარედან გამოყვანილი ცხენი შვზე: ჯერ კიდევ სველი.

შესაძლოა პაუზა ამით გათავდეს?!

არა: თვალი „მესამისა“ წამქეზებელია—

და ქართული სუფრიდან ისმის:

— ამ საფთხოზელას რაღა უნდა!

კიდევ სიცილი. კიდევ ხარხარი.

ახმაზი უეცრად მუშტს დაჰკრავს მაგიდას. მუშტი თითქო მოკსერის ხელია დიდს ტყავის ხელთათბანში გახვეული. მაგიდა გაიშხარება და გადაქანდება. სპარსელი ბიჭები გადარჩენილ ბოთლებსა და თეფშებს მისცვივდებიან.

აულაუფდა ყვირის თვალეზამღვრული:

— ასე დაგამსხვრევთ!

არჩიბალდ მეკეში მართო ვამებს უცქერის.

ვამებ გაქვავებულია. კუნთები თავის ალავასია ყველა.

პეტრიძე წამოხტომას აპირებს. ვამებ ეხლა მას არ აჩერებს, რისთვის არ?!

არ იცის, ტანში რაღაც ქაეილს გრძნობს.

ამ დროს პეტრიძის სიტყვაც გადავირდება:

— მაგ სუფრაზე მჯდომთ „ისტორია“ მაინც აქეთ.. ერთი ამ ნავაზს ჰკითხეთ: აბა რა გააჩნია..

— წახდა შენი „ისტორია“ შე წამხდარო!

ისმის პასუხად ახმაზის მაგიდიდან.

თვითონ ახმაზი კი იშვერს ბანგვლიან ხელებს:

— აი რა გამაჩნია..

— გაგაჩნია თუ არა..

— თავს გაგიჩეჩე შენი „ისტორიით“—შე ორჩოფება..

— აბა ერთი სცადე..

— ესცადო თუ არა: თქვენმა ვამებმა არ დაგიცვას..

პაუზა. ეხლა რაღაც უნდა მოხდეს.

ვილაცას თვალეზი ვამებს ზომავენ.

ვამებ ყურსაც არ იბერტყავს. მხოლოდ ეაშლს აიღებს და შეაგდებს მალა. ესერის ფიშტოს და შუაზე გააპობს, შემდეგ ისევ გაქვავდება. თითქო უფრო მზიარულია. დაცდილი თვალი შეატყობს: რომ მზიარულება ცოტა გადაშეტებულია.

არჩიბალდს მოსწონს ვაეის სისწრაფე და თავშეკავება.

მაგრამ ახმაზი არ ცხრება:

— ფოკუსობის მეტი რა იცის მავან?!

ვამებ სწოლოდ ეხლა შეუტევს გამჭრელი გახედვით. ტანში ატაცება ემზნევი. შორიდან მუსიკის ნატებიც ისმის.

— გთხოვთ დაჩუმდეთ..

ვამებ წამოწეულია მწვეარივით.

— დაეწუმდე თუ არა— შენმა....

და გაეარდება გინება როგორც თავწაქრილი ძაღლი.

აუღაყუღას სიტყვა არ დაუმთავრებია..

ვამებ მოსწყდება და თვალისდახამხამებაში ახმახს გააწნავს საშინელ ხილას. ახმახი ბორგავს დაკოდილი დათვივით. შებმა.

შეუტევს ახმახი. იშლება რკალი.

ვამებ დაწურულია არაბული ურა კვიცივით.

მოუქნევს ახმახი. ვამებ განზე გახტება. კრივი ასცდება.

მოქნეული ძლიერია მეტად: გადაძალავს მომქნეველს: ახმახი იბნევა. ვამებ შემთბვევას იყენებს. დაეცემა თავს გადაქანებულ ახმახს და ერთსაც დაარტყამს საშინელი ძალით.

ახმახი იმღვრევა. თვალები ებნევა.

არჩიბალდ მეკეში ვამების თვალებს სინჯავს:

შხერა აღესილი აქვს ვაგს შევიარდენივით.

არჩიბალდს ღელვა უნელდება.

ქართველების სუფრაზე ატაცებაა.

ახმახი ირევა. დორბლებს ჰყრის, შეუტევს ხელმეორედ. მოუქნევს გამეტებით. ვამებ განზე რჩება და მოქნეული ხედება ფარდელის ზომს. ზოდი ტყდება და ფარდული იზნიქება.

ახმახი ირევა და თვრება ღონით.

თან ბრაზი ახელებს. თვალებს სისხლი აწევება.

ვამებ მზადაა: როგორც მოზომილი ტორი ვეფხის.

შის თვალს არაფერი ებარება...

ეს რა ჩოჩქოლია?! ერთი შეუტევს მეორეს: იქვე—გვერდზე. რა მიზნით?! საბაბი რომ არვის დაუნახავს?!

ახმახი ბრაზით იხრჩობა.

თუმცა იმედს არ ჰკარგავს:

ბოლოს ხომ ჩაიგდება მაინც ხელში.

გადავარდება როგორც აღიდებულ მდინარით მოვიარდნილი ხერგი და თავს დაეცემა მოპირდაპირეს საშინელი გამეტებით. ვამებ—ახლაც განზე გავარდება.

მოქნეული გადაძალავს მომქნეველს.

ახმახს რეტი ესხმის. დაბორგავს.

ამ დროს—თითქო განზრახ:

მოჩნუბართა მეორე წყვილი ახმახისა და ვამების რკალში შეიქრის. უცაბედათ?!

ახმახი გადადის შეტევაზე. ვამებ მოქნეულს იცდენს. ახმახი კიდევ შეუ-

ტევს, ვამეხი იცდენს, ახმახი მოუქნევს, ვამეხ ვიარტყამს, ახმახი კიდეე მოუქნევს, ვამეხ ისევ განზე ვახტება...

მაგრამ უეცრად მოჩუბართა მეორე წყვილი განზე ვახტომილ ვამეხს ფეხებში მოექცევა, ვამეხ წაიფორხილებს და ცალი ფეხი ჩაეკეცება...

ახმახი სარგებლობს შემთხვევით, გაექანება და ისაა—უნდა გაანადგუროს დარტყმევით წაფორხილებული ვეჯი... მაგრამ უცხოელის ფრენი უკვე განზეა გადადებული: არჩიბალდ მეკეში ფოლადური მოსხლეტით ახმახს დაეტაკება..

ხრიალი, ჩოჩქოლი.

ახმახი ეხლა უცხოელს შეუტევს სასიკვდილოთ...

მაგრამ ერთი ღიზითიანი დარტყმა ბოქსერისა—და უხარმაზარი ხერგი მიიმხი მიწაზე იშხლართება.

ხრიალი, აფრხაური, წამოწევა.

ვამეხ ფეხზეა და რკალს აკეთებს.

არჩიბალდ მეკეში მის მხარეზეა.

ორივეს ნდომა ეხლა მარტო ისაა: რომ საერთო შეხლაში ერთიე არ მოხედესთ.

არევიდარევა ცოფთება უფრო და უფრო.

ზოგნი რევილეერებსაც იძრობენ.

სიკედილის სუნი ახლოა სადღაც.

მაგრამ ამ წამს საშინელი ყვეით დოვი მოვიარდება. „აღლან“ ხედავს თავის პატრონს ვარშემოსეულს და ვაადურებული მეომართა რკალს ერთი შეტევით არღვევს, ის არის: ორი სამი იქვე უნდა გაანართხოს მიწაზე—რომ პატრონი შესძახებს: „აღლანი!“ დოვი მშვიდდება, თუმცა საშინლად იღრინება.

მოჩუბარნი სახტად რჩებიან.

დოვისათვის სროლა ფიქრადაც არ მოსვლიათ.

არჩიბალდ და ვამეხ მორკინალთა თვალებით ზიამევენ ერთიმეორეს, თვალებში ეხლა—უცხო სიხარულია.

უცხოელი თავს ამცნობს ყველას:

არჩიბალდ მეკეში.

ხალივის რკინა

თავი მუჟახე

ხალივის რკინამ იციის ვახელება.

გიორგი სააკაძე.

ტერასაზე სივრილეა.

ტაბა ტაბაა ზის უძრავად როგორც გველი ქვიშაზე გამოლტილი.

ჰამაკში ოლგას ტანი იშხვართება.

სარგის პეტრიძე ხმაღს ათვლიერებს.

ფურნალი „მნათობი“ № 11—12 (19—20).

არჩიზალდ ტაბა ტაბაჲს ხატავს.

სპარსი თუ ჰინდუ თუ ეგვიპტელი თითქო „რუხჲ ელოლჲიმს“ უმზერს. ცხერი — ადამიანის, ბაგე — ადამიანის. წვერი — ადამიანის, ყველაფერში — ხაზი პიროვნების. თვითონაც — პიროვნება: ქვეყანაზე ერთხელ მოვლენილი. მთელი ყოფა — ახლო და ხელსაზები. და მაინც: შორს წასული: ყოფა საღლაც გადას-ხმული თუ გადაღვენთილი.

შუადღისას როცა მზე ხელდება — ცხენი ცხელ უძრობაში გადაყირაფდება.

მაგრამ ტაბა ტაბაჲ ცხენი არაა. იგი სხვაა. კაცი და მოჩვენება. პიროვნება და ლანდი. სახე და მასკა. ყოველს დაცილებული: ეგებ მისთვის — რომ იხილოს ყოვლის წარმომშობი.

„რუხჲ ელოლჲიმ“: წაიჭურჩულენს ხანდახან თავისთვის მხატვარი. უძრავ მასკას უეცრად გოგირდისფერი თვალეები შეარხვევენ. ასეთი თვალეები გველს აჩერებენ ცხელ სილაზე.

მხატვარი აკვირდება.

დახატოს უნდა პორტრეტი ინდივიდუალი.

მაგრამ პორტრეტი მოცილებული უნდა იყოს ყოველს ახლოს. საქმელი — როული და თითქმის შეუძლებელი. მაგრამ შეუძლებელი ახელგნს ხელოვანს.

სახატი ზდება საშურველი.

მხატვარს ეინი ერევა.

— არჩიზალდ! რა მოგივიდა ბალში?!

გაისმის ოღვას ხმა: სიყვარულით დარბილებული. თუმცა ღიმილში ირონიაც ეპარება.

— მე თვითონ არ ვიცი..

— როგორ?!

— ოღვა! გახსოვს საღამო ლოხანაში?!

— მახსოვს..

— რამ გათქმევინა ის ამბავი?!

— მე თვითონ არ ვიცი..

— როგორ?!

— თითქო ჩემში სხვა ლაპარაკობდა..

— გესმის ებლა?!

— რამოდენიმედ..

— ჩემშიც თითქო სხვა მოქმედობდა..

„ჩემში სხვა“: სიტყვა ნახულია. ქალი უფრო ნახულობს სიტყვას. ტაბა ტაბაჲ მხატვარს შემოხედავს უეცრად. მხატვარს ფერი ეცვლება.

სარგის ბეტრიძე ისევ ხმაღს ათვალეირებს.

აოცებს ხმაღზე წარწერა.

— ბატონო არჩიზალდ! სადაურია ეს ხმალი?!

— ჰამადანში ვიყიდე..

— იცით: რა აწერია?!

— არ ვიცი..

— „ირუბაქიძე“...

— რაა?!

— გვარი ძველი ქართველი თავადის.

არჩიბალდ მეკეში საღებავს ამტერდება უაზროდ.

— ჰამადანში რა უნდოდა ამ ხმალს?!

ეკითხება ნახევრად წამომდგარი ოღვა.

სარგის პეტრიძე ყიფით ივსება:

— ყაზუინი ერთხელ თამარის ლაშქარში აიღო..

— ჰამადანი?!

— ჰამადანიც ვანელო ქართულმა ლაშქარმა ბაგდადისაკენ..

— როდის?!

— მონღოლების დროს.

— ირუბაქიძე...

ამზობს თავისთვის ტაბა ტაბა.

ოღვა ისევ სარგის პეტრიძეს მიმართავს:

— ეხლაც არის ეს ვეარი?

— მონღოლების შემდეგ გადავიარდა..

არჩიბალდ მეკეში თითქო ტაბა ტაბაჲს უცქერის. ნამდვილად კი საუკუნოებში იხედება.

ოღვა პეტრიძეს არ ეშვება:

— შემდეგ რა დაემართა?!

— ორგვარად გაიყო: ჩოლაყაშვილად და მაყაშვილად. ჩოლაყა და მაყა ძმები იყვნენ.

— რა გვარებად გაიყო?!

არჩიბალდ მეკეშს სიტყვა აღარ ემორჩილება.

— ჩოლაყაშვილად და მაყაშვილად..

— თქვენ უჭედიოდ ხომ არა ხართ ბატონო არჩიბალდ?!

ეკითხება ტაბა ტაბაი.

— არა.. ხატვის დროს გუნებისცელა ბუნებითია..

მბატვარი განაგრძობს ხატვას. თუმცა გრძნობს: რომ გული სადღაც სხვა-განაა.

ეხლა ხმალს ოღვა ათვალეირებს.

— ლამაზია..

— შეიძლება მეც ვნახო?!

ვაისმის ტაბა ტაბაის ხმა.

სარგის პეტრიძე ხმალს ოღვას ვამოართმევს და გადასცემს ტაბაის.

— რკინა ხოროსანისაა..

— არა. რკინა ხალიბისაა..

გაუწყვეტს პეტრიძე.

— ხალიბის?! რა არის ხალიბი?!

ვაისნის მეკეშის ხმა შემკრთალი.



ქართული
საქმიანობა

— უძველესი ტომი ქართული. ამ ტომმა იცოდა რკინის შეხვედრის საიდუმლო. მანვე იცოდა შტკიცე კედი..

— გამიგონია..

ჩურჩულობს თავისთვის სპარსი თუ შინდუ თუ ეგვიპტელი.

— რომელი საუკუნის უნდა იყოს?!

ეკითხება ოლგა.

— შეთორმეტე საუკუნის..

— რა ნიშნებია?!

— წარწერის „ხელი“. ასეთი ასოებით მეტორმეტე საუკუნოებში სწერდნენ. დიდი თამარიც ასე სწერდა. დახედეთ ამ ასოებს; კალიის ხნარტულ ფეხებით რომ იკლანებია..

პეტრიძე ხმალს ისევ ოლგას გაუწოდებს.

ოლგა მეტის სიყვარულით ათვალერებს.

არჩიბაღდ მეკეში ჯდება.

მოესმის ტაბაის ნელი სიტყვა: „დაისვენეთ“.

„აღლან“ პატრონს უახლოვდება. ეალერსება.

შხატარის სმენაში მართო ეს სიტყვებია:

„ირუბაქიძე“ — „ჩოლაყაშვილი“ — „მეყაშვილი“ — „ხალიბი“ — „დიდი თამარ“ — „მეთორმეტე საუკუნე“ — „მონღოლების შემოსევა“ —

სიტყვები: თითქო მძღვეარნი ნოპირდაპირენი.

რა პატარაა და უმწეო ამ სიტყვებთან ხერხემალ მივარი არჩიბაღდ მეკეში?!

პაუზა. ოლგა ხმალს სარგის პეტრიძეს უბრუნებს:

— თქვენ შეყვარებული ხართ საქართველოს ისტორიაზე..

— მწველი და ლამაზია.. მისთვის..

— სხვაგან არაა „მწველი და ლამაზი“?!

სარგის პეტრიძე პათოსია ცალიერი.

გადაშენებულ მცენარეს დარჩება ხანდახან ნერგი სანიმუშო. თითონ ღგმა აღარაა მცენარის. აღარც ნიდაგია. მაგრამ სადღაც კუთხეში ამ ღგმის ნერგი გარჩენილა. ისტორიისთვის?! ნერგი ცოცხლობს წარსულით თუ გარდასულით.

სარგის პეტრიძე ამ ნერგის პათოსია.

ოლგა კითხვას უმეორებს:

— სხვაგან არაა „მწველი და ლამაზი“?!

— არა..

ტაბა ტაბაი გამოცოცხლდება. ათვალერებს პეტრიძეს. თითქო პირველად ხედავს.

არჩიბაღდ მეკეშს თავი დაუღუნავს. ეშინიან შეხედოს პეტრიძეს; მანიაკის სახე პათოსით აპილპილებული მართლაც საშიშარია.

ოლგა ირონიული ღიმილით ხედება მანიაკის „არას“.

პეტრიძე განავრძობს თუმცა არაეის უთხოვია.

— არა. აბა მიჩვენეთ სხვაგან ასეთი მწველი და ასეთი ლამაზი? მცირე



აზიიდან მოდის ქალწული. მისი ტანი ბევრს ქაბუეს გაახელებდა. მიუტოვებია ყველაფერი. მოაქვს მხოლოდ მცნება ჭრისტესი. უკანასკნელი მისი უხილავი საქმროა. მოდის და არ იცის: საითქენ. თითქო ალლოთი: მოადგება ივერიას. დაალობს მის ხურვალობას ჩვენი მიწა. წყარო ტანს გაუფრილებს. ქალწული ვაზნარს წვიყვარებს. განათლავს ერს და მისცემს მას ჯვარს.. არ არის ეს მწველი და ლამაზი?!

... მაგრამ მოითმინეთ..

... ასეთი მწველი და ასეთი ლამაზი შესაძლოა სხვაგანაც იყოს. ხოლო არის თუ-არა სადმე ასეთი რამ?!

... ქალწული ჯვარს ვაზის ნასხლევისაგან გამოსჭრის. სხეების ჯვარი: ან ქვისა ან რკინის ან უბრალო ხის. ყოველთვის მშრალი და წუობე. აქ კი: ჯვარი—ვაზის. ვაზი ხომ სახეა: მიწის—ნიადაგის—სიცოცხლის. სხვაგან ჯვარი წამების და დასჯის ნიშანია. ჩვენი ჯვარი: ლხინია თვითონ..

... მაგრამ მოითმინეთ... ეს კიდევ არაფერი..

... ქალწული ვაზის ნასხლევს თავის თმებით შეჭკრავს. თითქო ჭრილობა შეუხვია ნასხლევს: რომელიც იცრემლება. ჯვარი—ქალის თმებით შეჭრული. მიჩვენეთ სხვა სახე უფრო მწველი და უფრო ლამაზი? ჯვარი—ვაზის ნასხლევისაგან გამოჭრილი. ჯვარი—ქალის თმებით. ქალის თმები ხომ სახეა:

ქალობის—ქალწულობის—დედობის.

... არა.. სხვების ჯვარი ბერწია. ჩვენი კი—ნაყოფიერი და ნაყოფიერი.

... ეს ჯვარი ეხლაც ასვენია ტფილისის სიონში.

მანიაკის სახე განათებულია.

ხმელი მაკიკი თავისებურ სხივოსანი ხდება.

ოღვას ღიმილი უჭრება.

ტაბა ტაბაი თვალებს არ ახანზამებს. თითქო სურს მზერით გახვრიტოს მანიაკი.

არჩიბალდ მეკეში თავს უფრო ღუნავს. ხელებს რაღაცას აჭერს საშინელი ძალით. გული აჩუყებული აქვს.

პაუზა აუტანელი.

პეტრიძე გაშეშებულია. ზევით იცქირება.

ტაბა ტაბაი რბილი ხმით მიმართავს:

— კიდევ რომ მომიყვებოდით.. ვრცლად..

— როცა გნებავთ..

პაუზა.

არჩიბალდ „აღლანს“ ხელს უსევამს.

დოგი უეტრად დაიღრუნს. უფრებს სცქეტს.

გაიხედავენ: მოდის ვამეხ.

„აღლან“ გაემართება. უნდა დაუყუფოს. მაგრამ ვაგის იღერსი და—აღერს მკისეე დოგის ლაქტუკი მოჰყვება.



გაქვეყნებული
განცხადებით

მეკეში წამოდგება. წინ მიეგებება. ვამებ ხელს ართმევს ყველას. ოლგას ხელზე აკოცებს.

მეკეში უყურებს დოვსა და ვაქს: თითქო ერთიმეორეს ადარებს. საოცარი მსგავსება რხევაში თუ ძრაობაში. ბიოლოგია—დაწმენდილი თათასი წლებით. მაგრამ ერთი რამ უფრო აკვირვებს. დოვი შემოსულს არ უბღვერს: თითქო პატრონს ზედება. ვაქს ნადირის უშუალობა თუ ატვს. მისთვის აღბად ყველაფერი იოლია.

ვამებ სარგისს მიმართავს:

— სარგის თუ სარქის.. პეტრიწი თუ პეტრიძე.. არა?! სულ შენი ბრაღია გუშინწინდელი ამბავი..

— ამის დათმობა არ შემძლია..

მანიაკის სიტყვებში ბავშვის სერიოზულობაა.

— რამ ვადაგროა ასე ისტორიულ გვარზე თუ სახელზე?!

— ისტორია გვარია და სახელი.. უნდა გავმართლდე ისტორიაში.. ბნა ამის გარეშე არ არის..

ბავშვის სერიოზულობა კიდე პათოსში გადადის.

ტაბა ტაბაი ეხლა განცვიფრებით უცქერის პეტრიძეს.

— ჰაა: სარგის! შენ უკვე გამართლებული ხარ.. ისტორიაში და ყველგან..

და ოცდაშვიდი წლის ვაჟი ორმოცი წლისას ხელს დაადებს მხარზე.

არჩიბალდ უცქერს. არის ირონია?! არა. არის კადნიერება?! არა. არის ფამილიარობა?! არა. ეგების მანიაკი გრძნობს ამას?! არა. პირიქით: მანიაკი ლბება და განაკვეთჩხლებული თვალები ესველება.

ვამებ იცინის:

— დარწმუნებული ვარ საქართველოზე გაამბობდათ.

ლიმილი: მეკეშის—ოლგასი—ტაბაის.

— სანაძღვოს ვიძლევი: ვაზის ჯგვარზეც ილაპარაკებდა..

ლიმილი ჰჭრება.

მეკეში უცქერს. არის გამასხარავება?! არა. არის პათოსის გაციება სუსხით?! არა. ეგების მანიაკი გრძნობს ამას?! არა.

სარგის დანელებული ხმით მიუგებს მხოლოდ:

— შენ ყველაფერი უნდა გაჰკილო..

— არა.. არა.. ჩემო სარგის..

და ოცდაშვიდის წლივ ვაჟი ხელს დაჰკრავს მხრებზე ორმოცი წლის მანიაკს.

უკანასკნელი კიდევ უფრო ნელდება.

მეკეში განცვიფრებულია.

ვამებ ეხლა ოლგას მიმართავს შებღვანხილი:

— სხვა?!

— გამოწვევას როდის ელით?!

— ვისგან?!

— აი იმ...

— ძალიან დაგშენდებით..

ამსუბუქებს ატმოსფერას ოღვას ხმა.

— თქვენ მტერს ორად გაეპობ..

ვამებს გაბედულობა უბრუნდება. ხმაღს ეხლა მეტი სითიმამით ათამაშებს. პაუზა.

პეტრიძე წამოდგება. წასვლას აპირებს.

— ბატონო მეკეში! ქართულის გაკეთილი ხვალ მზად უნდა იყოს.. მე სასტიკი ვარ.

— „სასტიკი?!“

და ვამებს სიცილი წასცდება.

— კეთილი..

მიუგებს მეკეში პეტრიძეს..

ვამებ თავისას არ იშლის: —

— სარგის! ირაპშანდა ხომ არ გიცდის?!

ტაბა ტაბაი ამ სახელზე წამოცოცხლდება.

სარგის ოდნავ ნაწყენია:

— რაა სულ ხუმრობა..

— მაბატრე სარგის.. ეს ისე მომივიდა.. ხომ იცი..

— ვიცი: შენ ყველაფერი „ისე“ მოგდის..

ვამებ დაიფლებს ხელს მანიაკს. აიყვანს. ააბურთავენს: თითქო ბავშს. დაუშვებს. აკოცებს.

სარგის ღნება. მიდის თავჩაღუნული. მისმა სიხარულმა ცრემლი იცის.

— კაი კაცია საწყალი სარგის..

ვამების სიტყვები სარგისს თითქო აცილებენ.

ტაბა ტაბაი ღვება. ოთახში შედის.

ვამებიც თან მიჰყვება.

ტაბა ტაბაი ხალს ათვალთვრებს.

ვამებ სურათს მოჰკრავს თვალს მაგიდაზე. მივირდება. აიღებს. აკვირდება. ფითრდება.

შემდეგ საშინელი სისწრაფით—კარებში შემომავალ მეკეშს:

— ბატონო არჩიბალდ! ეს ვინ არის?!

— ქართველი თავადი..

— გვარი?

— არ ვიცი..

— საიდან ჩავივარდათ ხელში?

— მამამ დამიტოვა.. მეგობარი თუა..

ვამებ თვალში თვალს უყრის თითქო მორკინალი.

მეკეში უტეხია ნებით და მშერიტ. მაგრამ ატყობს: ვაჟის თვალს ვერ უძლებს. უფრო ძლიერია?! არა. მან იცის ერთადერთი მშერა ძლიერი: ეს არის ტაბა ტაბაის მშერა. მისი თვალები ცივია და გამზერეტი..

აქ კი: სითბოა და სინელე. ასეთი მშერა მხოლოდ წყაროს თვალსა აქვს.



ოლგა გრძნობს ვაჟის უჩვეულო გუნებას. ვადიხსნის მკერდს—საცა ოარი მაგარი შირაზის ვარდია. ძველად ასეთი ძუძუებზე ქანდაკი სისხვერპლო თასებს ასხავდა თიხისაგან. ვაჟი ცხელი ტუჩებით ეწაფება თასებს: მოიკლას წყურვილი?! მაგრამ ერგვა უჩვეულო გუნება და ისევე ბალიშზე მიდებს თავს ოდნავ ამრეზილი.

ქალი გრძნობს ვაჟის უგუნებობას. ერთს კიდევ აკოცებს შუბლზე და მიდის. უმჯობესია დარჩეს მარტო: ამას ფიქრობს. ხოლო ისიც საფიქრალია: რომ ქალში „ქალურმა“—(მარტო ქალურმა)—რადაც უცხო ტყენა იგრძნო, თვითონაც ვერ ერკვევა.

ვაჟის ფიქრები ერთ ლითონად ისხმიან. ეს ლითონი არის „მამა“. არც დრო. არც სივრცე. არც რაიმე საგანი სხვა. არც თვითონ ოლგა. არც ვამბ. არც ტაბა ტაბაჰ. არავენ და არაფერი არ იჭერს მის გუნებას. მთელი არსი გაფსილია ერთადერთი ლითონით. ეს ლითონი არის „მამა“.

ვაჟი დგება. მიდის კუთხეში. ხსნის ჩემოდანს. ამოიღებს მიმალულ კოლოფს—წითურად დანისლულს. კოლოფზე მიკრულია სქელი პერგამენტი. ზედ აწერია ინგლისურად:

„გახსენი კოლოფი მაშინ: როცა—

ერთი ფიქრით იქნე ლითონივით აესილი“.

ვაჟი აკვირდება. რამდენჯერ მისულა ამ კოლოფთან?! ლონდონში. პარიზში. ლონზანში. ხმელთაშუა ზღვის პირას ურგოთრის ვილაში. ჰამადანში. ვერსად გაუბედნია მისი ვახსნა. ნუთუ ყაზვისს უნდა ერგუნოს ეს ამბავი?!

უნელბიეთ მაგდისაკენ ვაიხედავს. იქიდან მაშის თაფლისფერი თვალემბი იტკირებიან. თვალეზი ფშენებიან: ვახსენ. უცარი მოსხლეტით ხსნის კოლოფს. შიგ მოზრდილი პაკეტია. ზედ აწერია ქართულად:

„ირუბაქიძე“.

ვაჟი კითხულობს გვარს და ხალიზის რკინა აგონდება. ხსნის პაკეტს. მრავალი ხელნაწერი პერგამენტზე. „ხელი“ მრავალნაირი. თუმც ერთი მიონც სჭარბობს: მტკიცე და მკვეთრი.

კითხულობს. ცოტა ესმის. სდგას გარინდული. არ იცას რა ქნას.

შემოდის სარგის პეტრიძე.

არჩიბაღდ მეკეში სალამსაც არ აცლის—მიმართავს:

— ბატონო სარგის! საიდუმლო მინდა ვაგიზიაროთ. მჯერა—არ გასტეხავთ

— ფიციავ: ნინოს ჯვარს—ხახულის ღვთისშობელს—თამარის ხსენებას—საიკაძის გადატეხილ ხმაღს...

— ფიცი არაა საჭირო, აი პერგამენტები. ვამაცნეთ.

— მიპოქეთ...

მანიაკის თვალეზი აკიაფდებიან. ყვითელი ხელნაწერების დანახვაზე თვითონაც ყვეთლდება. მოჭკრავს თვალს ძველს ქართულს და „გარჩენილ ნერგის პათოსი“ კვლავ აღვივდება. კითხულობს ჯერ თავისთვის. შემდეგ გადისცემს. მაჭიკი სახე წინასწარმეტყველის ცეცხლით ინთება.

„575 წ. ქრისტეს დაბადებიდან. თვე ივლისი. გარდაიცვალა თავადი ირუბაქ ირუბაქიძე, თავის გვარი ქალღმერთიდან გამომკადა, სიტყვა „ირუბაქ“ ქალღმერთი ძირისაა. უნდა ნიშნავდეს ხის კორძს: საკუთრივ ძელქვისას. თვითონ არავის უმხელდა. ხოლო ზოგიერთმა იცოდა: კორძი იგი ცეცხლია ხის, ხანდახან გახელდება დამარღვეული და აინთება. ხე იწეის და თვითონაც იფერფლება. სხვა ხეს ცეცხლი—კორძში ანთებული—არ ედება. თავადი იყო ახოვანი ტანად. ლაშაში თვლიად. ცხვირი ჰქონდა ორბული. შუბლი—ღია და მაღალი. ბაგე თხელი და შვეტი: ქალწულური და თან სასტიკი. თვალები: გველის სიშავის წყალში რომ იშალება. ცქერა—განზე. კაცს გვერდით უცქერდა: კაცის იქით იხედებოდა ორკოლი მზერიით. ჰქონდა ნათელი. იცოდა საიდუმლო სწავლანი. საკუთრივ—მოსე და პითაგორ. უყვარდა უფრო მოსე. იყო სულით დაცხელი და გულით ჩელი: როგორც მოსე. იცოდა ენები: ჰებრაული და ბერძნული. უყვარდა უფრო ჰებრაული. ბევრჯერ უთქვია: ღმერთებს მარტო ჰებრაულით თუ დაელაპარაკები. ღიმილს მის სახეზე წლობით ვერ ნახულობდენ, როცა გაიღიმებდა ნათელს ჰგვრიდა: ბავშვს ემსგავსებოდა. ცრემლი მის თვალზე არავის უნახავს. მაგრამ ამბობენ: ხშირად ბავშვები ნახვრეტით შეიხედავენ მის ოთახში. ნახულობდენ: იგი სტიროდა. ეს ხდებოდა დიდი განარების გამო. სთხავდა ლექსებს. სულ მოსეზე მღეროდა. ხშირად უთქვამს: არ არის ხილვა უნათლესი სინამაჟსა. არ არის გახელება უფიცხელესი მცნებათა დიდის დამსხვრევისა. არ არის ხალხის დაურვება უძლიერესი ორმოცი წლის უდაბნოში ხეტიალისა. არ არის წყვეა უსაშინელესი ისრაილისა, არ არის წინახილვა უუზურდულესი მესიის ალექსისა. ხშირად იგონებდა მოსეს გახელებას და წყევას: „ისრაელში უღალატა თავის ღმერთს—და განიზნოს იგი ოთხი ქარით ზეცისა“. მაგრამ თანვე დაუმატებდა: სიკვდილის წამს მოსეს მაინც გაუღია გული და რქვა: „შეხედეთ ისრაელს! ოდეს მოვა გამო—მარადი მოვივლენთ თქვენ წინამეტყველს ჩემსავით. პირში ჩაუდუნებს მას სიტყვას და იგი გეტყვით თქვენ უოველს—რასაც მარადი დაიბარებს მას“. ბოლოს მის სიკვდილსაც მოიგონებდა და იტყოდა: არ არის ნაღვლი უძაფრესი ალექსულ ქვეყნის არხილვისა თუ ვერხილვისა. არ არის კაცი უმარტოესი. არ არის სიკვდილი უსაშინელესი: მოსე თითქო ვაქრა. ლექსებს თავადი ხმაბლდა წარ-



ქართული
ლიტერატურა

მოსთქვამდა, ზოგმა ეხლაც იცის ნაწყვეტები ზეპირად: დაწერილი არ დაუტოვები, უყვარდა მეწამული ფაშატი მოკვანილი უდაბნოდან. როცა ვანრისხდებოდა—ცხენით გავარდებოდა: ეშინოდა თავის სიფიცხის, კეთილი კაცი იყო, სძავდა ტყუილი, იყო თვითონ მართალი, მკერდის შუაგულს ხალი ჰქონდა: მზის ნიშანი, გვარის დალიაო—ამბობდა, უყვარდა ფერი: ყვითელი—ლურჯი—წითელი, უფრო ყვითელი, უყვარდა ვასაკა—ღმერთს რომ აღიდგებს ნაწივმარზე ყაყანით ხეზე აცოცილი, უყვარდა ხილვა: რქა ნაყარი გველი რომ იხდის პერანგს ცხელ რიყეზე, უყვარდა ღიდი შუადღე, მაგრამ თანვე ეშინოდა მისი, მოკვდა გაჩერებულ მზეში: ღიდი მუზის ძირს მივიძინა“.

არჩიბალდს სუნთქვა ეშვება.

სარგის თითქო შეშლილია.

— მეორე..

გაისმის ვაჟის ხმა.

სარგის კიბხულობს.

„წმ. გრიგოლ ხანძთელის დროს სცხოვრობდა ვინმე ირუ ბაქიძე, სახელად რადამე, კაცი ახოვანი, ფიცი, გადამ-
ლახველი, ცოლი ჰყავდა ლამაზი, მტრები დაედევნენ ერთ-
ხელ, რადამე და მისი ცოლი ცხენებს მიჰქენებენ, ცოლი
ორსული იყო, ველარ შესძლო ცხენის ჭენება, „მომაკალ“,
ეუბნება ვაჟს, „როგორ“ მიუგებს ქალს, „სუკეთესია
მოგვედე ვიდრე მტრებს ხელში ჩავუვარდე“, — „მერე?“ —
„შენ გადაარჩები“, ვაჟი ყოყმანობს, შორიდან მოისმის
ცხენების თქარათქური, ვაჟი იძრობს ხანჯალს, ჩაჰკრავს,
დაჭრილს მდინარეში გადაისვრის, ვაჟი გარბის, მტრები
მისდევნენ, ვაჟი გადაარჩება, გაივლის ხანი, რადამეს მოახ-
სენებენ: სასიკვდილო ჭრილობა არ ყოფილა: ცოლი გა-
დაურჩენიათ მეთვეზეთ, რადამე გახარებულია, გამართავს
ლხინს შავი ზღვის პირას, ცოლი მოვა, დინახავს თუ
არა შორიდან—რადამე იკივლებს საშინლად (—ხომ გაი-
მეტა მაინც ერთხელ!), ბედისწერას გრძნობს, მოახტება
თეთრ ტაიქს, გააქენებს, ცხენით მოშავალ ცოლს ბეკედს
გადაუვადებს, ცოლი დაიქერს ქმარი ტაიქს ზღვაში შე-
ავადებს: ინთქება, ცოლი ჯერ გაოცებულია, შემდეგ—თვი-
თონაც გადაჰყვება“.

— შეტრდით ცოტა..

არჩიბალდ ღელვას ვერ იკავებს.

სარგის ვიაღმასებელია.
 — ეხლა სხვა წაიკითხეთ.
 სარგის კითხულობს.

„ეღომობის ხანს ეწვია ივერიის წმ. მამა იოვანე: ბერი წმ. ათონიდან. ნაბა სამშობლოში: შური-უნდობლობა-გაფტანლობა. ეტკინა გული. ამბობენ: წყევაც წაცდა. გიემგზავრა ისევ ათონს. იქ ამცნეს: ესპანიაში ქართველებიაო. წაივინა სანახავად. ეს აზნავე შეიტყო ვინმე ირუბაქიძე თავადმა. გაემართა თვითონაც იჭითკენ. უნდოდა წმ. იოვანეს ფეხები დაეკონა. გზაზე გაიგო: მამა იოვანე შუაგზიდან უკან დაბრუნებულყო. ირუბაქიძემ დააპირა ათონისაკენ წამოსვლა. მაგრამ უცერად ესპანიის ნახე მოესურვა. გაემგზავრა. შემდეგ—ათონს მიაშურა. საქართველოში აღარ დაბრუნებულა“.

არჩიბალდ შეკეში გაგუდღულია.
 სარგის პეტრიძეს ხმა ღალატობს.
 მართოლვით იღებს სხვა რვეულს.
 კითხულობს დატეხილი ხმით.

„ვინმე თავადს ირუბაქიძეს მეწამული ფაშატი ჰყავდა— უღაბნოდან გამოგზავნილი საჩუქრად. თავადი ფიცი იყო და ამაყი. თუმცა გულით ჩვილი და თვინიერი. ფაშატზე თავადის ვარდა არავინ მჯდარა. მოხდა—რომ თვითონ ნათელმა სთხოვა ცხენი: დიდმა თამარმა. თავადს ფერი ეცვალა. ვერავენ გაიგო: გახარების იყო თუ წყენის. ცხენი ვაუგზავნა. მეორე დღეს ფაშატი უკან მოგვარეს. გადასცეს თამარის მადლობა. თავადს ფერი ეცვალა. ვერავენ გაიგო: ღალატის იყო თუ წყრომის. ფაშატი მოწყვანთ უკან გაატანა. თამარს გაუკვირდა. თავადს შეუთვალა: როგორ მივიღო—როგორც საჩუქარი თუ როგორც უკადრობა. თავადმა გადასცა: როგორც დედოფლის გულმა გადასწყვიტოს“.

არჩიბალდ შეკეშს სიმძიმე ეხსნება.
 სარგის პეტრიძეს ღიმილი ეპარება.
 იღებს სხვა რვეულს.
 კითხულობს.



ხასიათით ძველს ირუბაქიძეს. სწერდა ლექსებს. ერთი ლექსი გადარჩა დალუპეას—„ირუბაქიძის ხასა“. უყვარდა მასაც მოსე და პითაგორ. მკერდის შუაგულზე მასაც ხალი ჰქონდა: მზის ნიშანი. ამზობდა: მისი გვარი მზის თესლისაა: მზესავით ცხელი—მზესავით ნათელი—მზესავით გახელებული—მზესავით მართალი. ოდეს სიკვდილის მოახლოება იგრძნო—გავიდა აივანზე. აივანი გადაჭყურებდა თვალუწვივინელ ველს. ველზე თაველაუყრელი სიმინდის ლუში ტბა ირხეოდა. დახრილი მზე მეწამულ მურებს ტბის ტბორებზე შეავად უშვებდა. ირუბაქიძემ იგრძნო სიკვდილი—და კედლიდან შეტრად ხმალი ჩამოვარდა. ხალიზის რკინა ორად გადატყდა. ირუბაქიძემ იგზნო უჩვეულო: თითქო მასში გვარის ბერხმალი გადაინსვრა. სიკვდილის წინ თვალუწვივინელ სივრცეს საშინელი სიტყვა გადაჰქივლა: სიტყვა „მაშალი ცეცხლის“ ქალდეველთა. ამ დროს თავლაში წითელი ფაშატი აბორკდა. მოსწყდა ბავას და გარედ გავარდა. თავადი ხედავს: რომ ცხენი გახელებულა და ცნობს—დაილუპება. ფაშატს თავადის ხასა დაედევნება: ჩურქეზი ქალი თმაწითელი. ცხენს ჰამანდით დაიჭერს. მოახტება უბელოს და მდინარისაკენ მიუშვებს გააფთრებულს. ყანა უფენს მას სილუშეს და მზე აყრის მას მეწამულოს. ხოლო გაშლილი თმა ქალისა მოწყვეტილი ვარსკვლავის ღელეს გააყოლებს. ირუბაქიძე ტკბება თითქო—და ერთი კიდევ გადასძახებს: მოვა დრო და საუკუნოებში ჩემით იმღერებს ეინშე. ქალწული ცხენით ხრამზე გადაიჩხება. ირუბაქიძე დაეცემა მოკვეთილი“.

— არ გააგრძელოთ!

ჰკივის არჩიბალდ მეკეში.

სარგის—ცახცახით:

— მხოლოდ მინაწერი.

— წაიკითხეთ.

კითხულობს: „ირუბაქიძეს ყავდა ორი ვაგი: მაყა და ჩოლაყ“.

— გაიმეორეთ კიდევ..

— მაყა და ჩოლაყა..

— მაყა და ჩოლაყა...

— არ გახსოვთ რომ ვითხარით: მაყაშვილი და ჩოლაყაშვილი აქედან

წარმოიშვენ..

— მაყაშვილი...

არჩიბალდის ხსოვნაში რაღაცამ იწივლა.

დუმბილი. სიცალიერე.

არჩიბალდ მეკეში მზენაკრავს ჰგავს.

სარგის პეტრიძე ცხელებიან თვალებით ლანდებს იჭერს.

ხელებში—ცახცახი.

გადის უბმოდ ნახევარი საათი თუ მეტი.

არჩიბალდ გკითხება:

— ნეტავ ლექსი აქ არის?!

— აქ უნდა იყოს.

სარგის ეძებს. ნახულობს.

— წაიკითხეთ.

კითხულობს.

* ტანს გეტმასნება სველი აღერდი.

ჭირვალი კაბა გიმხელს თეძოებს.

და აზიდული მაღალი მკერდით

შიეფინები მწვანე ეზოებს.

დაქნილი ფრჩხილით ტარობს კორტნი

და ტაროც ხედება ძუძუს რძიანი.

გაკოცებს ხავო სიმინდის ყლორტის—

და ატევრილი სხეულმზიანი

როგორც ავაზა

შენ ტანხურვალი

დაეძებ კეროს—

რომ დაგიურვოს...

გზედავ და ვიცი: შენი კუნთები

დათესლილია ჩემი სურვილით.

წამოვიწვევი.. შენ გაბრუნდები

გადაღეწილი მზეცის წყურვილით—

და გავარდები...

დაგედევნები...

თეთრი მუხლები თითქო ჰკივიან:

შენი ვარ შენი მოდი გეენები.

მეც დაგეწვევი და ცხელწვევიანს

ავიყვან ხელში

და გადაგისერი დიდ საწნახელში—

რომ შენი ტანით დავსრისო მაგრად

მწითე მტევნები...

მაგრამ თვალები—

თვალები—თვალები:

უნდობი ტალღა და ხელიკი ლუში.

ათასი ქალი და ყველა მრუში.

აშარა თუ ხარ კახა და ურცხვი.
 გწყურია ვაფი უცხო და უცხო.
 არა ხარ ჩემი. არ ხარ არვისა.
 თუმც არაოდეს არ ხარ უარზე.
 იცოდვ: მოვგრებ ნებას ყუაზე.
 ერთბაშად შეგსვამ ღვინოს ქარვისა.
 და შენი თმების წითური მორგვით
 მივაკრავ მაგრად
 ცხენის ძუაზე...
 მაგრამ თვალები —
 თვალები — თვალები:
 ეხლა მადონა — წმინდა — ხასხასა.
 რა გიყო მე შენ უძღვებო ხასაე?!
 ნელი და ტკბილი
 ქვემეფინები —
 რომ გადავიტყეთ ჩვენ კიდევ წყვილი.
 ელაიურ ღვინოს მომახვევ რიდეთ.
 მეც დაერბილდები რისხვარის მოშლით.
 ავამზეურებ როგორც ზუბის ტარს
 ირუბაქიძის
 და ერთხელ კიდევ
 გასუღრულ მტევანს
 გაგშოლტავ ლოშნით...

არჩიბალდ მეკეშს სუნთქვა უადვილდება.
 სარგის პეტრიძეს სიხალისეც ეწვევა.
 — იქითა რვეული რაღაა?
 — ეს ახალია...
 არჩიბალდ თვალს მოჰკრავს მამის „ხელს“.
 — წაიკითხეთ...
 სარგის კითხულობს.
 არჩიბალდ შიშია მარტო.

*მე — თამაზ მაყაშვილი. გადმოხეწილი საქართველოდან.
 ვწერ ბოლოსიტყვას. მეც ხომ ირუბაქიძე ვარ. ჩვენი გვა-
 რი ბოლო საუკუნოებში კახეთს დაბინავდა — იყალთოში.
 მოედვა სენი: ბნელა და შეშლილობა. მამა ჩემი იმერეთში
 გადასახლდა: საირმეს ახლო. იქაც გაჰყვა უბედურება.
 მოკვდა მამა ავი სენით. დედა ჩემი გადაჰყვა ძეობას. მო-
 მიკვდა ოთხი ძმა და სამი დაჰ. მათში: ერთი ძმა მტერს
 შეაკვდა და მეორე ცხენით ხრამში გადაიჩხა. დებში:

ერთი ქმარმა მოჰკლა და მეორე ავმა ზნემ გააჭრო. დაე-
კარგე სამი ვაჟი და ორი ქალი. ცოლიც ძეობას გადაჰ-
ყვა. დაერჩი მარტო. დამარჩა ოთხი წლის ვაჟი. მომადგა
გადაშენება. გავეყიდე მამული: გარდა ეზოსი სახლით და
საჯვარეთი. მოვაშორე ევროპას: საცა უმწიფელობაში
ესწავლობდი. მყავდა სიყრმის მეგობარი ლორდ კ—რტ.
ევროპაში ვაჟიც თან წამოვიყვანე. სახელი „არჩილ“ არ-
ჩიბაღდად შევუცვალე. გვარად მეძახდნენ—„მაყაში.“ „მგე-
შად“ გადავაკეთე. სევდა აქაც მკლავდა: რაღაც აუხს-
ნელი. მომენატრა საქართველო. მოვისტოვე დაბრუნება.
ველარ გავბედე. შემდეგ: ვაჟი მეგობარს ჩაუბარე. ის
უპატრონებს. დეფტოვე 30.000 სტერლინგი. მე კი მი-
ვალ ბასკეთის მხარეში. თუ მოერჩი—შვილს ვნახავ.
მკლავს სევდა საქართველოსი. გული იხსენებს ლამაზ
ნ — — — ს...“

გაქვავება ცრემლებით.

— ეს რაღაა?!

სარგის იღებს პატარა ბოხჩას.

ვახსნის. შიგ: მიწის ნატები.

გაკვირვება.

— საქართველოდან გადახვეწილებს თან მიჰქონდათ მისი მიწა.

სარგის გარბის არეული.

არჩიბაღდადის ქვითინს რა დაანელებს.

გაგალი ცაყხლი

თავი 80430

არის ცეცხლი მამალი
და არის...

ქალღეური თქმა

დღეს პორტრეტისათვის ვერ იმუშავეს.

დასავლით დიდი ქვის ბუკა ქალაქის. პატარა ბიჭები ჯოგს მორეკავენ.

ჯოგი მოიზღაზნება და მოაქვს ავსილობა და დანელება.

არჩიბაღდად მეკეში სასეირნოდ მიდის.

ჯოგს გადახედავს. ავსილია ჯოგით თვითონ.

ბოლო დანელება?!

ცეცხლი დაუღუღლია ნაღვერდალში. გარედან მხოლოდ—ფერული და ნა-

ცარი. ცეცხლის საოცარი სახელი—„იზუბაქიმე“.

ხსოვნას სდაღავენ უცხო სიტყვები და საქმენი:

რადამეს გახელდება. ესპანიაში გადახვეწა. სიამაყე (თუ სიყვარული?) ნათელი თამარის წინ. კარდუს ექსტაზი. ქდეულია ყველა ეს და მოშვილდული დიდის ირუბაქიდის დანელებით და უკანასკნელი ირუბაქიდის ყივილით.

ხასიათში: სიფიციხე და ჩვილობა. წვა და დაუღდეგრობა.
და ყველგან—„მამა“.

რომლის სახელი ცეცხლის ნალებით სდაღაეს ტვინს.

ასეთი ცხელი ნალები თიმურის გავარდნილს ცხენს თუ ჰქონდა.

ჩაუვლის გვერდით სიზა—სალარის სასახლეს.

დღეს ამ სასახლეში „ქალაქთა კავშირის“ საავადმყოფოა.

დიდი ქვის სახლი ორსართულიანი ბალითაი გარემოცული. ირგვლივ ერთი ვერსის კვადრატზე: მაღალი გალავანი თიხისაგან ნაშენი. შიგ ხეივანი—აღვის ატყორცნილი ხეებით გაწვდილი.

ჩაუვლის გვერდით დიდ ქიშკარს.

ქიშკარიდან გამოდის ვამეხ.

„აღლან“ გაიქცევა და ეგებება როგორც საყვარელ მეგობარს. მეგობარიც აღერსით ხედება.

სალამი.

არჩიბალდ ულიმის, პირველად გახსნილ შუბლს მოაქვებს თვალს. თითქო უჩვეულო ხასი დაინახა: არჩიბალდს ჩრდილი გადაუარს. წყენის—თუ...

ვამეხ უმაღლე ცნობს—რომ შეხვედრილი მას ათვალეფერებს. გრძნობს უხერხულობას. თავს ღუნავს.

მიდიან ჭალაქის გარეთ. დუმილი.

— „საირმე“ სად მდებარეობს საქართველოში?

— ფერსათის მთების კალთებზე..

— ფერსათის მთების...

ზომ არაფერი გახსენებია?!

— იმერეთსა და სამეგრელოს გადასცქერის..

— იმერეთსა და სამეგრელოს..

ზომ არ ახსოვს ბავშვის ცქერა სერიდან?!

— თქვენ საიდან გაიგონეთ?!

— ევროპაში გამიგონია.. ერთი ჭართველისიგან..

ვამეხ იპენეულ უცქერს.

არჩიბალდ დაძაბულია.

— „საირმე“ ჩემი მხარეა..

— თქვენი მხარე?!

რად არის ვაოცება ასეთი კუჭტი?!

ვამეხს თვალი მალი აქვს: არაფერი გაეპარება.

— დიახ: ჩემი მხარე.. ჩემი სოფელი მის კალთებზეა..

დუმილი, არჩიბალდ ნებას იკრებს.

— ლამაზი მხარეა?!

— ულამაზესი..

კიდევ დუმილი.. თუ ფიქრები ორი მბრითი?

— ჩემი სოფლიდან მოსჩანს რიონის თვალუწვდენი ველი..

— რიონის..

ზომ არ დაუნაზავს თვითონაც: „რიონი“..

ვამებს იქნეულობა ემატება.

გზას განავრძობენ.

არჩიბალდ ნებას შეილდავს.

— ლამაზი სახელია „ნიონი“..

ეს რა შუაშია?! ასე შემოჭრილად?!

ვამებ—იქვით:

— რამ გავახსენაით?!

— ვაზის ჯვარის ამბავმა..

— სარგისმა ვიამბოთ აღბათ..

— დიიბ..

ვამებ რბილდგება.

— არის კიდევ სხვა ქართული სახელი ქალისა—„ნიონის“ გარდა—„ნარიით“ რომ იწყებოდეს?!

ეს კიდევ რაღაა?! ვამებ უნდოთ უცქერს.

— მგონი არაა..

— ან თუ არის: „ნიონისავით“ ოთხი ასოსაგან რომ შესდგებოდეს?!

რამ ააკვიატა?! ვამებ გაოცებულია.

— არ არის..

არჩიბალდ ცაბცახს იკავებს. მაგრამ დუმილი უფრო აუტანელია.

— რა ლამაზი სახელია..

— დედა ჩემს „ნიონი“ ჰქვია..

— „ნიონი“?! დედა თქვენს?!

რად არის გაკვირვება ასე ცხარე?!

ვამებ—უნდოთ:

— დიიბ: დედაჩემს..

მხოლოდ ეხლა შეხედა პირდაპირ ვამებს:

ისევე ის: უშუალო და პირველმიწა.

არჩიბალდ დარცხევა. თავი დახარა.

ვამებ იგრუნება ოდნავ: ბავშვის გული იქნეულია.

კიდევ დუმილი და კიდევ უხერხულობა.

ვამებ გაიხედავს. განზე ხილნარია. აშიშვლებს ხმალს და გავარდნება. და

ოითქო თავდასხმული მტერიიო—შეუტევეს მაჯის სიმსხო ტოტებს. ყოველი მოქნევა ცვლავს ტოტს და ისერის ტოტს: ერთს—მეორეს—მესამეს—მეოთხეს—მეხუთეს.

არჩიბალდ უცქერს. ეხლა დატკბობით.

ტანი აწურული. მაჯა კლდეული. მკლავი გახელებული. თვალები: ირუბაქინის ცეცხლს ხომ არ ჰყრიან?!

„ის არის“: ფიჭრობს არჩიბალდ.

ბსონენს მამის უკანასკნელი სიტყვა სწვავს:

„გული იგონებს ლამაზ „ნ...ს“..

ვამებ თითქო გადაიროია: ველარ ჩერდება.

არჩიბალდ უახლოვდება:

— ლონეს სინჯაეთ?!

— არა: ხალიბის რკინას..

— მძაფრი ცეცხლი გქონიათ..

— რკინა მაგარია და ბასრი..

და გაშიშვლებულ და გაშვეტილ რკინას სიამით დახედავს.

ჩააგებს ჭარქაშში. მშვიდდება.

კიდევ დუმილი.

— პონტო გაგიგონიათ?!

— ზავი ზღვაა?!

— დიახს.

— როგორ არა..

— პონტოს მაგონებთ..

— როგორ?!

— დაუგდეთ ყური..

ძველ დროში ერთხელ პონტოს მარცხენა ნაპირას მიადგენ მეზღვაურები. იქ ცხოვრობდენ ამორძალები. ქალებმა ახლად-მოსულნი ტყვეებად აიყვანეს. თვითიული მთავანი მიაკრეს ბაგას. უნდოდათ: შემდეგ სკვითებისათვის მიეყიდნათ. ერთ ამორძალსა და ერთს ტყვეს შორის სიყვარული დიბადა. ქალმა სთხოვა თავის დას—ამორძალთა დედოფალს—არ გაეყიდნათ უცხოელნი. დედოფალი დასთანხმდა. უცხოელნი დარჩენ, შეეთვისენ ამორძალებს. ისწავლეს მათი ენა. მოუთხრეს ქალებს საკვირველნი ამბაენი. ამბავთა შორის—ერთი: რომ მათ გვერდით გაუარეს კუნძულს საცა ტაძარია და დიდი სიმდიდრე. მეზღვაურებმა იცოდენ ხომალდის კეთება: სახომალდო ხეებით კი განთქმული იყო ამორძალთა მხარე. გააკეთეს ხომალდები. აიყვანეს ცხენები ხომალდებზე და გასკურეს. მიადგნენ კუნძულს. უბძანეს უცხოელებს: ხეები მოეჭრათ ტაძარის გარშემო. დაიწყეს კრა. მაგრამ წალდები უკანვე ხედებოდათ. მაშინ ამორძალები თვითონ დაეცნენ ტაძარს. მაგრამ უეცრად ახილლეს გამოფარდა—(ტაძარი მისი იყო). ცხენებს დაეცათ შიშის ზარი. დაწყვიტეს ლავები. გადმოაგდეს ქალები. დაიწყეს მათი სრესა ფლოკებით. ფაფარი აიყვარათ მალლა და ყურები აეცქვიტათ. დაგლიჯეს ქალები. გამოშიგნეს. იწყეს კამა. დაძლენ მუცლებით. შემ-



ქართული
ლიტერატურა

დღე—გახელდენ სისხლით დამთვრალნი და გავარდენ კუნ-
ძულის კიდურზე. უეცრად გახედეს ზღვის ზედაპირს.
ცხენებს ხმელეთი ეგონათ. გადაცვიდენ. ავარდა ქარიშ-
ხალი. ხომალდები ერთმანეთს ეხეთქენ. დაიმსხვრენ... ასე
მოგვითხრობს ფილოსოფი-ტრატე თავის „Heroicus“-ში..

არჩიბალდ ლიმილით უცქერს ვამეხს.

— საშინელი გახელებაა: არა?!

— გახელება დიდი.. მაგრამ მე..

— როცა თქვენ ტოტებს სჭრიდით—ეს გახელება მომაგონდა. ასეთები
ხოლოდ ამორძალთა მხარეში იბადებიან. ფიცხელი ხართ..

— საირმეში ეხლაც ბევრია სახომალდო ხეები..

— მაგრამ შავი ზღვის პირას ამორძალები აღარ არიან..

— ჩვენ ხომ ვართ?!

თითქოს წასცდა ვაჟს—შერცხვა.

— თქვენ ხართ და ხალიბის რკინაც თქვენია..

არჩიბალდ იღიწება. ვამეხს სიმძიმე ეშვება.

იღებს ხმაღს. დაატრიალებს. ისმის ფოლადის მზუილი.

დაუშვებს. გახედავს: „შვეტია კოდალივით“.

ჩააგებს ქარქაშში.

გაიხედავს: ეს ვინ მოდის?!

მის წინ ჯარისკაცია ქართველი.

— პეტრიძე მოიყვანეს..

— მერე?!

— ავაღაა..

— რა დაემართა?!

— არ ვიცი.. სულ იმას გაიძახის: ვარ სარგის ციხისჯვარელიო..

— საწყალი..

ვამებს მიზნის: დაავიწყდა ამორძალებიც და გახელება?!

„სარგის ჯაყელი ციხისჯვარელი“—

ჰაა: ეს პერგამენტზე ეწერა.

ფიქრობს არჩიბალდ.

ნუ თუ ცეცხლი გადაეღვა?!

შორიდან ვამეხს უცქერს მიმაელს:

„ის“ არის: უშუალო—ცეცხლი—აღეწილი.

მაგრამ მანიაკი: სარგის ციხისჯვარელი?!

და ფიქრებს ისევ ის ცხელი ნალები მოაწვენ.

„ცეცხლი მამალი“ ძველ ქალღველთა—

აქ არის აღბად შუაგული. წვა შორეული. დაცილება: ყოველ საგანს—

ყოველ არსს—ყოველ მოვლენას. საკუთარ „მესაც“. ყვინვა და ჩაძირვა სიღრმით
და სიგანით: შორსშორს—ზესკნელში თუ ქვესკნელში. მზის დიდი გაბერება
ბიბლიისა. ფოთოლის ურხველობა. გარინდება და გაქვავება. გაღბობა და გიდ-



ნობა. „პიროვანის“ დაკარგვა. გაქრობა ყოველ „მაისს“ და ხილვა „ერთის“ — რომელიც ყველაშია როგორც „მამა“ წარმომშობი: სულისჩამდგმელი და ამოძრავებელი.

პაპა: სადაა ამოცანა ეგვიპტის პროფილის და ეგვიპტის სტილის. იქ იყო ნამდვილი მზერა „მამალი ცეცხლის“. მისთვისაა მისი პროფილი ასეთი უძრავი და ასეთი შორსწასული. სახე—მუშია. გაქვავება ყოველის: რადგან მზერა—მარადში გადასული—შტერდება. პირამიდები, ქვაბულები, სასაფლაოები, მუმიები, მენაჰტები—რამზესები—რადიმესები, ქეები—ქეები—ქეები, უძრავი ყველგან. უსიკოცხლობა?! სიკვდილი?! არა ხილვა ზენაარ ცოცხლის—და თვალების გაგანიერება. ხილვა სიკვდილის—და მშერის გაშტერება. გაქვავება „მამალი ცეცხლიანი“ თვალის.

და თან: რა სიმკვეთრე და სიმიგრე!

არჩიბაღდს აგონდება:

კონსტანტინეპოლის ერთ მუზეუმში ორი სარკოფაგია თითქმის ერთმანეთის გვერდით. ერთი ჰელენური და მეორე ეგვიპტური. პირველი მარმარისაა: ნათელი და ღამაზ სხეულებით ნაკეთი. მაგრამ რბილი და მჭრალი როგორც თვითონ თეთრი მარმარი. მეორე ქვისაა. არა, კაცი ვერ გამოიცნობს: არის იგი: ქვის—რკინის—თუჯის—ბრინჯაოსი—თუ სხვა რამის. კაცს ჰგონია: თუჯის ქვა თუ ქვის რკინა. მომწვანო: მაგარი—ხავისსურვი—მზედაკრული. ფორმით: უზარმაზარი გველის თავი. არა; ამას ვერ დაამზობს მიწის კატასტროფაც: ისეთი მაგარია და მკვეთარი.

ებლა თვითონ გუნება:

ჰელენურ სარკოფაგთან სიკვდილი თითქო თამაშია და სიკოცხლე. აქ კი: შიში და საიდუმლო.

არჩიბაღდ მიდის. თითქო ვილაცას მიჰყავს.

ებლა: ისევ ის წინაპარნი.

ისინიც იწვოდნენ ალბად ამ ცეცხლით.

ისინიც იცნობდნენ ხომ ატეხილობას და დაყუდებას.

სახლს უახლოვდება.

ხანდახან ტაბა ტაბაჰის ლანდი გაურბენს:

ისიც ხომ უძრავია და გაქვავებული. ნამდვილი ეგვიპტელი.

მაგრამ ეგვიპტის პროფილში ხასიათიკაა პიროვანი.

პორტრეტისათვის...

და ტერრისაზე ქალი ხედება..

არის ცნობა. დიდი პითაგორ კროტონში პროზერპინას საფლავთან მოსწავლეებს ერთ საღამოს საიდუმლო სწავლას გადასცემდა. უეცრად მის წინ ქალწული დაეარდება. ღამაზი ტანი მარჯვედ ასბმული. მკერდი: ნდომით აბორცვილი. თვალურსა და კუჭტი. პითაგორ ხედავს: საკმაოა სათუთი შეხება—და ქალი დაიღვრება სისხვის-საგან. „მაღალო! დიდო! მიხსენ სიყვარულისგან: რომე-



ქართული
განმანათლებელი

ლიც წვავს სულს და ნთქავს სხეულს“. პითაგორ ერის
კიდევ გადახედის, არას ეტყვის. მაგრამ შემდეგ—სცენა
მეორდება მეტის ავსილობით და მეტის გახელებით.
პითაგორ ეხლა ჩახედავს თვალეზში კირვეულს და იქ
მარად შეუღლებას ამოიკითხავს. ეს იყო ქალწული თენაო.
იგი გახდა პითაგორის ცოლი. პითაგორ მაშინ სამოცი
წლის იყო.

არჩიბაღდ მეკეში მისი ნახევარი ხნის თუ არის.

მის წინ ოღვაა: როგორც ქალწული თენაო.

ასეთი დაძაბული ვაქს იგი ჯერ არ უნახავს.

აქ არის ცეცხლი.

ხოლო არა ის: შუაგულში მყოფი.

არამედ სანაპიროზე მოხეტიალი.

იქ თვითონ ნაპირია—

რომელსაც ესაა წყალი გადმოხეტიაეს.

მთელი ყოფის ერთ შორგეში მოქცევა:

ერთი თვალი. ერთი მხერა. ერთი გული. ერთი ფეთქვა.

ნაპირი და პირი. პირი და სახე. კონკრეტი:

აი ეს—ამ წამს რომაა და სხვა წამს სამუდამოთ გაქრება.

„მააა“: უკანასკნელ რხევამდე. მისი თვალი და მისი ჯადო.

ტალღა: რომელსაც თუ დაღევ—(პეშვით ვერ დაიქერ).

ჰაა... ფიქრობს არჩიბაღდ..

ეს სხვა ცეცხლია: პიროვანი..

ეგვიპტის პროფილი პიროვანიცაა..

მაშ: ორი ცეცხლი.. პორტრეტისათვის..

ოღვა ჰამაკში გაიკვალთება.

შემოდის ტაბა ტაბაა.

ხედავს არჩიბაღდ. ეგვიპტური სახე შორსაა თითქო. მაგრამ ეს ცილი
ვოგირდისფერი თვალეზის?!

აქ თითქოს ორივეა: „ისიც“ და „ესეც“.

— ვნახე..

იძახის თავისთვის არჩიბაღდ.

ტაბა ტაბაა გაკვირვებით:

— რა ნახეთ?!

— ეგვიპტის პორტრეტის საიდუმლო.

— „მამალი ცეცხლი“: არა?!

— კიდევ სხვა ცეცხლიც..

ტაბა ტაბაი ღიმილით მთვარის ხორკლებს ჰყრის.

„ალღან“ ჰამაკთან აზმორებს განართხული.

ოღვა გასუდროულია.

ირაკუნდა

თავი მისაკ

ეი რუხეთ აქთაბი ქიშვარი დილ.
ტაბი მეჰრეთ მიეე მუნაგვარი დილ.
ნასირ იზნ ხოსრო.

- მიწა..
- რა მიწა?!
- სარგის კვდება..
- კვდება?!
- მიწას ვაიძახის..
- რა მიწას?!
- მიწას ვთხოვს..

არჩიბაღდ განზე გაეარდება. ხსნის ჩემოდანს. იღებს კოლოფს. ხსნის:
იღებს ბოლიჩას. ხსნის: იღებს მიწის ნატუნს. ჰურავს. ჰკეტავს.
ოღვა ვაოცებამ თუ წაიღო?!

არჩიბაღდს მიწა ხელში უჭირავს.
მიდიან. მირბიან.

თხელი ცხვირი კიდევ უფრო წამწვეტილა.
ჭროლა თვალებს ცეცხლი ეკიდებათ. ასეთი ნაკვერჩხალი მხოლოდ უღაბ-
ნოში კიაფობს ხანდახან.

ჩაქნულ ბაგეს სევდა გარჩენია. სევდას ირონია წამოცვია.

ჩაქცეული მკერდი კიდევ უფრო ჩაქცეულა. ქშინავს ჩაფუშული საბერეგ-
ლივით.

ხელებზე ხტილებსა და ძარღვებს დაითელი.

წამოკაკლული თვალები არავის უცქერენ.

ასეთი თვალები ვიღაცამ კუნელაზე დაინახა მესოპოტამიაში.

ტუჩები თავის თავს ელაპარაკებიან:

„რამა“: პირველი შქნელი. ჩვენც—პირველიდან.

„ამონ-რა“: „ამონ“: ამო. აამო. ამან.

„რა“: რა. რამე. რაიმე.

„რამა“: რამ.

ჰოი ქართულო! შენშია პირველი: „ის“.

რა. რა. რა. ყველგან: რა და რა. „რამა“ და „ამონ-რა“.

ვარ. ხარ. არის. ყველგან—„რა“.

არს. არსი. არე. მარე. გარე.

ეინ თქვა ქართულად არ არის „გაისტ“—„დუხ“.

არის: „არიჰ“. მე ვთქვი ეს პეტრიწიმ.

არა: მე სარგის ჯაყელმა ციხისჯვარელმა.

თვალები გვერდზე გადმოიანთხვევენ ნაკვერჩხალს.

— სად არის ვამებ?!
— ამ წამში მოვა..
— მიმატოვა..
— არა ეხლავე აქ იქნება..
თვალეები უკბად არჩიბალდს მიანათებენ.
— ჰაა: არჩიბალდი არა არჩილ..
არჩიბალდს ფერი ეცვლება.
— ნუ გეშინიათ.. საიდუმლოს არ გავტეხ..
არჩიბალდი ფიქრდება.
— თუმცა „არჩიბალდს“ „არჩილი“ სჯობს..
არჩიბალდი თავის გულში მანიაკის თვალს ხედავს.
შეეშინდა საიდუმლოს გამჟღავნების?!
არჩიბალდი სხვა რამის შეეშინდა უფრო. მან იცის დაცდით: მომაკვდავი
გულთამბილავე ხდება უკანასკნელ წამს.
ნებას შეილდავს. მიაწოდებს მიწის ნატებს კმაღლით.
ხმელი ტანი ავარდება:
— ჰოი მიწავ! საქართველოს მიწავ!
მიწავ—ირუბაქიძის გულზე დაღვულო!
ირუბაქიძე კარდუ: სარგის ჯაყელის ციხისჯვარელის მეგობარი იყო.
მე ვარ სარგის! სარგის ჯაყელი! ციხისჯვარელი!
საქართველოს ყველა მთავრებმა უღალატეს.
არ უღალატნია მხოლოდ ციხისჯვარელს.
ვარ ციხისჯვარელი! სარგის!

ხელები—ძვლები. ძვლები მიწის ნატებს გულზე ადებენ დამქნარ ტანს.
თვალეები სცილდებიან ცოცხლებს—იქ მყოფთ.
თვალეები უდაბნოში იშხირებიან.
უდაბნოში ნაკვერჩხლებია.
ნაკვერჩხალთ ცრემლები სდით.
— ჰაა: წყარო! თბილთა—წყარო! დედავ! სიღონია! დედავ! წყალი მო-
გატეხ?! მწყურია დედავ! დამალევიანე.. ჰო: დოქით.. დოქით.. გული გამიგრილე..
ვიწვი.. არ წიქტუ.. მე მოგებმარები.. მე წამოვიღებ.. რა გატირებს?! დედა!
ძუძუები გაგიშრა?! თმები გაგათეთრებია.. დედა! ჩენი ნისლა ხარი წყალს
სევას..

ცრემლები არც სხვა თვალებს ზოგავენ.
კარი იღება. შემოდის ვამებ. მასთან—ქალიშვილი. თავზე: თეთრი თავსა-
ფარი. მოწყალების დამ თუ არის ახალი.
უცნაოდ თავსაფარს წაიგლეჯს.
ღრუბელიდან ხანდახან ასე გამოანათებს მთვარე.
მაგრამ თვალეები: ირანის ლამური ცის ელვარი..
შეტვრდება ვაფითრებული. ეს: ერთი წამი.

შემდეგ მოხსლეთით ლოგინისკენ გაიქცევა.
 ოლგას გვერდს ჩაუვლის. თითქმის იმხელაა.
 მიეარდება ლოგინთან. დაემხოზა. მარცხენა ხელით საბანს ასწევს. მარჯ-
 ვენას ფეხებს შეაზებს სწეულისას. „ცივია“: და რალაც უკურნებელი დაუარს
 ტანში.

ხმელი თავი ოდნავ აიწვეს.

ტუჩები დაიყვირებენ:

— ირაპშანდა!

— საირიგჰი!. საირიგჰი!.

ჭვითინი. ირაპშანდას თავი ჩაქცეულ მკერდს დაეცემა.

ვამებ იქვეა ახლო.

— ვამებ!.

— სარგის!.

— არ დამტოვო.. არ მიმიტოვო...

— შენთან არ ვარ?! რის გეშინია?!

— მომეც ხმალი..

აძლევს. ძელები—ხელები ფოლადდებთან: ხმაღს ატრიალებენ და სინჯავენ.
 თვალები—ოდნავ დამცხრალნი ეხლა კითხულობენ წარწერას: „ირუბაქიძე“. ტუ-
 ჩები გაიძახიან:

— ირუბაქიძე მეგობარი იყო სარგის ჯაყელის..

მეც ჯაყელი ვარ: სარგის ციხესჯვარელი..

ყაზინი თამარის ჯარში აიღო..

შაჰაბაზ!. შაჰაბაზ!. სადა ხარ!. ვამოდი!.

ხმაღში გიწვევ!. გაგაპობ ორად ირუბაქიძის ხმალით!.

ვაგანადღურებ!. შაჰაბაზ!. შაჰაბაზ!.

* * *

პირქვე დამხოზილ ირაპშანდას შაჰაბაზის სახელი მზის შუბად ცნათება.
 მხრებს ამართავს. თავს ასწევს: თითქო გალიღებულნი.

— საირიგჰი!.

— ირაპშანდა!. მე ვეხუმრები შაჰაბაზს.. არ მოგკლავ..

— საირიგჰი!.

— არ მოგკლავ.. რა ვატირებს?!

ვახსოვს ნასირ იბნ ხოსროს ლექსი: შენ რომ მასწავლემ!

„ეი რუხეთ აჭთაბი ჭიშვარი დიღ.

ტაბი მეჭრეთ მეიე მუნავეარი დიღ.

ნაქში რღიეთ მეიე სურაჰიე ჩეშმ.

სუზი ეშყი ტუ ყუდი მუჯმარი დიღ.

ზიღვი ტუ ბურღე აბ ეზ რუხი აკლ.

ხალი ტუ კერღე ხაქ ბერ სერი დიღ.

ტუყმეიე სუმბულეთ ზი ხუნი ჯიგარ.

მესტიე ნარგისეთ ზი საღერ დიღ.

ეშუ დარია ვე დილ დერ უ სადაფ ესტ.
 რუჭ ლავებ უ ვესლ გოჰპარი დილ.
 დუშ ბა ბულბულანი ყალემი ლეიბ:
 მიზედ ინ დასტან ქებუთერი დილ.
 ჭი ჯაჰან ფერტუისტ ეზ რუბი დუსტ
 ჯუმლეგე ჭიანათ საიეთი ფსტ“.
 (ჰოი შენ! ეისი სახეც—გულის მზარის მზე.
 ვისდამი ტრფილის სითბოც—გულის გავსილი მოვარე.
 ეისი სურათი სახის—სურით: ლეინო თვალსათვის.
 ვისდამი ტრფილის სიცხე—გულის საცეცხლურის ალოც.
 ვისმა ზილფმა გონებას მოსტაცა ნათელი.
 ვისმა ხალმა გულს მტვერი დააყარა.
 ვისი ბაგენი სწოვენ ჯოგრის სისხლს.
 (ვისი თვალეზი ეწაფებიან გულის ბარძიშს.
 სიყვარული ზღვავა. გული—სადაფი მისში.
 სული—წყალში მყვინაფი. ვისალი: გულის მარგალიტი.
 წუხელ გულის მტრედი ასე ეტყოდა
 იდუმალი ქვეყნის ბულბულებს:
 ქვეყანა მეგობრის სახის თინათინია
 და ყოველი არსი მისი აჩრდილი.)

ხელები—ძვლები ჭალის თმებს ეხებიან. ძვლები ფერს იცვლიან: თმებს ჰკოცნიან. თვალეზი ჟდაბნოში იცქირებიან. იქ ნაკვერჩხაღანი რალაცას ებრძვიან. სულს თუ ჭლაფავენ.

გულზე—მიწის ნატეხი.

თვალეზი დაიხრებიან: ჟდაბნოდან მოდიან.

მიწას დაჩერებიან.

ხელები თმებს სცილდებიან. მიწას ეხებიან.

ტუჩები ჰკვივიან:

— მიწავ! მიწავ ქართულო!

ხმაღს ჩაგასობ მკერდში.. ხმაღს შიგ გადავტეხავ..

ნატეხს რკინას შიგ ჩავტოვებ.. არ დაიტანგება..

გახსოვს სააკაძის ხმალი?!

მოდის სააკაძის ხმალი!

გადაიმსხვრევა შენს გულში..

— სარგის! სარგის!

გაისმის ვამეხის ხმა.

— ვის წყველი!? რა გემართება?!

— ვის ეწყველი!? არ ვიცი..

— სარგის!

— ვამეხს. არ მიმატოვო..



— შენთან ვარ.. ვიქნები..
 — წამიღებ?!
 — წაგიყვან..
 ვამების ხელი თვალებს აეფარება.
 ძელებს—ხელებს მიწა ტუჩებთან მიაქვთ. შტრალი ტუჩები ცოცხლდებიან.
 მიწას ჰკოცნიან. პირი მიწას სკამს.

ძახილი წყევარი:

— შწარე ხარ შწარე: მიწაე ჭართფლო!
 მარჯვენა ძელი მიწას გადაისვრის.
 მაგრამ ტანს ქვითინი აიყვანს.
 მარცხენა ხელში კიდევია ნატეხი:
 — არა.. ტკბილი ხარ ტკბილო: საქართველოს მიწაე!
 ტუჩები ისევ მიწას ჰკოცნიან—

— ვამებ!

— სარგის!

— არ დამტოვო..

— შენთან ვარ..

— წამიღებ?!
 ვაეი ერემლებს ველარ იკაეებს:

— წაგიღ.. წაგიყვან..
 — არა წამიღე..

ხელები—ძელები ქალის თმებისკენ იწვევენ.

— ირაჰშანდა.. ირაჰშანდა..

— საირიგჰი..

— ელოიელოი ლამაჰ საბაქთანო..

— საირიგჰი!

სარგის აღარას იტყვის.

ბუზის ზუილი და ფოთოლის რხევა.

ტოტიდან ჩიტი ვარდება და კვდება. რა იქნა?! ყველაფერი აქაა. ფეხები.
 თავი. ნისკარტი. ფრთები. სადაა?! დუმილი. ზმა დუმილიდან: სად იყო?! ვინ
 შეახო ხელი?! ვერც ეხლა შეეხები.

ყვითელი მაჰიკი ნათელით იფინება.

სახე დამშვიდებულია, დანელებული.

ტუჩებზე სევდა აღარაა. არც ირონია.

კარგად განისვენებს.

ბუზის ზუის. ფოთოლი ირხევა.

ირანის ტაშირი გასუდრულია: პანი თუ იბადება.

ამაღამ სახლიდან ვაიპარება საწყალი ირაჰშანდა.



ერთი ბალი ეგულება, იქ წაიღებს ტანს: ტანს განძრევა უნდა, იქ გაიხელს თვალებს; ცრემლებს გადმოშვება უნდა, იქ დაიჭერს პატარა ჩიტს: ვულს მოფერება უნდა.

ბაღში ვიღაც დაიწყებს სიმღერას.

ირაპშანდა ყურს დაუგდებს.

ეს სიმღერა არაა, ეს ტირილია, სლოკინი, ოხვრა.

ნეტავ ყოველი გული ასე მღერის?!

ვის უძახის? ვის უხმობს?!

გადახვეწილი თუ არის ვინმე, მაგრამ—დაბრუნდება? ეგებ ის არ დაბრუნდეს თუ ვერ დაბრუნდეს.

ირაპშანდას თვალები დაინისლებიან.

გულს დაუბრუნდება თავისას, ვინაა ეს გული? ეგებ ისაა—ბაღში რომ იღვრება სისხლით? აქაც კენესა, აქაც ოხვრა, აქაც სლოკინი, რად იღვრება სისხლით? რაღაც დაჰკარგა? აღარ შეიძლება დაბრუნება? აღარც ნახვია? არაოდეს?

ირაპშანდას ხელი აუკანკალდება.

პატარა ჩიტი ხელიდან გაუვარდება.

ირაპშანდა ჩიტს დახედავს:

რად არ კედება გული? რად ფართქალობს ასე დასისხლული? სურს—„იმ“ გულის ფეთქე გაიგონოს!? ოდესმე მაინც, რომ ველარ გაიგონოს!? სიცალიერე იმეუშნება.

ირაპშანდას გული წაუფა, დაეცემა.

გულს ბაღში მომღერალი დაიჭერს და აამღერებს—

თუ აატირებს?!

ირანის პლატო დამწუხრებულია.

ჭალაქის დასავლეთ ბჭედან ქუჩაა, მარცხნით—ბჭედან ახლო—მეკევის ბინა, ნახევარი ვერსის მანძილზე მეორე ქუჩა შეპოვებულია მარჯვნივ, იხაზება სამკუთხე.

ამ სამკუთხეში მოქცეულია „წითელი ჯვარის“ საავტომობილო ნაწილი, აქ ასვენია სარჯისის ცხედარი კუბოში.

ვამებ სიტყვას ასრულებს.

არჩიბალდ გაოცებულია, თვალს ადევნებს ვაშქს, კირისუფალია ნამდვილი, ის არის მიცვალებულისათვის: მამა—დედა—დაპ—ძმა, დარბის იქითაქით ქუდმუხდილი, არის ათასი წვრიმალე: საშინელი წვრიმალე, უფრო მძაფრი სიკვდილის არეში, კუბო, ნებართვა, ავტომობილი, მოწყობა, მისვლა, მოსვლა, ფული, ყველაფერს ვამებ აკეთებს.

კუბოს სდებენ საბარგო ავტომობილში.

ხალხი შეკრებილია, აქ არიან: ქართველები—ყველა, თანე: შტაკში და ტაბა ტაბაი, მათთან—ოღვა.

აქაიქ სპარსული სახეებიც მოსჩანან.



სპარსი ქალები პირაფარებულნი შორიდან იცქირებინან.
 მათ შორის ერთია—ყველაზე მაღალი.
 განზე დგას. ტანზე—შავი მოსისხამი. თავზე—ზაფრანისფერი მანდილი.
 სახეზე—თეთრი რიდე. რიდეზე—ორი ნახვრეტი თვალებისთვის. ვლვარება და-
 ნისლულ ზურმუხტების: ყორნის ფრთებში დამუჭულ ზურმუხტების.
 ქალი დგას უძრავად. განზე.
 ავტომობილი მზადაა.
 ვამებ შოფერის გვერდით ჯდება.
 სახე მწუხარე აქვს. მაგრამ არა მტირალი.
 მზნედ არის. თვალს აელეებს შეკრებილთ.
 ავტომობილი იძვრის.
 ვამებ თვალს მოჰკრავს განზე მდგომს, იცნო.
 — ირაპშანდა!
 უძრავი ფიგურა თვალეზე ხელს მიიდებს.
 — ირაპშანდა!
 კიდევ შეძახება—თითქო სიხარულით.
 უძრავი ფიგურა გატრიალდება და გავარდება..
 გული!

(ბოლო მეცხრე თავის. გაგრძელება იქნება).

შავი ვარსკვლავი

პ რ ე მ ა.

როცა დაწვევლილ ცოდვის ფრინველმა
 ცეცხლის სვეტები გადმომაყარა—
 სულის ჳიობში გამოზრდილ გველმა
 უბედურება შემომახარა,
 აქედან—ჩემი ხმელი სხეული
 ჯვარზე ჰკიდია თვალდახეული:
 ასე დამწმინდა უბედურება,
 ჩემი ვარსკვლავი ვახდა წყვეული
 და ჩემი ლექსი—ბედის მღურება.
 მზე ჩემთვის სითბოს აღარ იმეტებს,
 დაქცეულია ყველა ხიდები,
 გამოვიტირებ ყველა იმედებს
 და ვგვიპტეში გავიყიდები.
 ნუ გაიხსენებთ ჩემს სახელს ავად:
 ბედი დამეცა გლოვის ვარსკვლავად.

I.

„გქონდა სამშობლო საყვარელი და—შიატოვე.
 რად გენანება დახლებილი შენი თვალები.
 გიყვარდა სატრფო და—ულირსმა—სხვას მიათხოვე,—
 ბარემ დასთოვე ევ ცრემლები, განაწვალევი.
 შენ ვადასთხარე მოგონების ყველა ლერწები
 და რა გატირებს უცხო ზღვაში, უცხო აფრაზე.
 ეხლა რას უზნობ, ეძახი და ეილერსები,
 როცა იღბალი სამშობლოში შენ გააბრაზე.
 ზღვაში იალქნით საკუთარი ჩაუშვი კუბო
 და რაღას ნანობ გადაოხდელ პანაშვიდებზე.
 ნუთუ გგონია შენი გულით ზღვა დაავუბო,



როცა ჰკიდისარ დასახრჩობად ბედის თითებზე.
სოფლის საყდარზე შიატოვე შენი მერცხალი
და, უმაღურმა, დაილოცე შენ ძაბთაპირზე.
ებლა კი ნანობ, რომ ჩავიდგა თვალებში წყალი
და შენი გული, რომ ფართხალობს მღვრია ნაპირზე“...
ასე აყივლებს წინდანიანს აჲ სოფია
და ჯვარმობსნილი კონსტანტინე ასე მახელებს.
უიმედობა ჩემს თვალებში ჩინასობია,
მაგრამ იმედათ ვეფარები ძვირფას სახელებს...

2

დაპბერავს ქარი საქართველოდან
და მოგონებას გაეყვები ჩქარა—
ასეთი ბედი რად მომელოდა,
რად ავეკიდე ქარიდან ქარა.
გადამეზღება წარსული დღენი
პოეზია და ცევი თითები.
გადამიარენ ვით ამოჩქლები
ამბებო, ზღვებით განადიდები;
მაშინ გავიწევე ცისკენ ცერებზე,
გავიმართები, გულს გაეაქორებ.
და საქართველოს მზიან სერებზე
ცრემლიან თვალებს გადავაგორებ...

3

ქარია. სწივა.
ისეთი ზამთარია.
ქარია. ავღარია.
პოეზიას სცივა.
ქუჩაზე მიქრიან
მოლუნული კაცები.
ფიქრია —
მოსატაცები.
ჰყვირიან. იქადიან ტრამვაები.
პოეტები დიდთან აბუზული.
სიცივეა. ვაება.
იხევა აფიშა რუსული.
იწყება თეატრები. შესავალთან დიდი ოპია.
ვინ მოგვხატობი.
ანათებს შორით ჟუბო სიტყვა—
„გასტრონომია“.

გალარიზდა „ბუნოს აირეს“
 შეიქნა ვაჰარი ჰაერის,
 ნუთუ არავინ გაიარს კეთილი.
 აღარც ჰარს გაეწყო რამე.
 გაყინულია კიბეც და კედელი.
 საშინელი იქნება ღამე.
 სძინავს ქაშვეთსა და პარლამენტს.
 გვიანია. აწი ვის მოედები.
 ვინ გადურჩება ასეთ ამინდს.
 ღმერთო—
 გაათბე პოეტები.

4

ბელოდან ხელში გადაღის გაზეთები,
 სადაც მთავრობის სადგოვია.
 რა ამბავია ასეთი.
 — ომია.
 — ომია.
 — გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს.
 ეძახიან ყველას.
 ყველას,
 რომ თათარი მოადგა ბათუმს.
 აკარას ზარბაზანი ათოვს
 და
 სამშობლო მოითხოვს ზველას.
 ისმის სახელები—
 ზენკელი—
 — ბრესტ-ლიტოვსკი:
 — ტროცკი.
 მიფრინავს ტრამვაები. ქუჩები. სახლები
 აღარაა ფიქრის დროც კი...

5

საქართველოსკენ ოცნებაში ყველანი მივჭრით.
 და ყველას გული სამშობლოთი მოკონილია,
 რა არის საქართველო თქვენის ფიქრით—
 სინამდვილეა, თუ ტყუილად მოკონილია.
 რადაა საქართველო მარტო გესლი
 და მარტო ხიდი,
 ან მისი თესლი
 ნათრევი და ხიდზე ნაყიდი.

საქართველო ნისლია და ბურუსი.
 ეროვნული სიტყვაა დაღატი.
 იქნება ერგულემ იძმო რუსი,
 რომ ჩაეცვა უცხო ხალათი.
 საქართველო უცნაურია
 საუკუნეთა დენაში.
 იქნება რუსთაველიც იყო ურია,
 რომ გაიქცა პალესტინაში.
 რა ვქნათ, რომ საქართველო გვაწუხებს
 და ჩასობილია ყველაში.
 გვიკერს სიყვარულის მარწუხებს,
 მაგრამ —
 ვის უნახავს სამშობლო
 საქართველოში.

16

საქართველოში არ ყოფილა არც ერთი მეფე
 და საქართველო ზღაპარია შოთა's გარეშე.
 ვის გააგონოს საქართველომ ტირილის ხმები.
 ვინ დაინახოს ჩვენი ბედის უღვთო თარეში.
 დიდი დავითი. თამარი და კახთა ბატონი.
 მოურაეი და სოლომონის გამრისხანება?
 გრემი. იყალთო. სიონი და წმინდა ათონი.
 ქართლის ძღძუზე დაწრეტილი თათრის ხანები, —
 შათ ხსენებაზე დაფიწყება დაიბანაკებს.
 ეგ, ყველაფერი უმზეო და უსაბუთოა:
 საქართველოს ბედს შოთა — ღმერთი მარტო განაგებს.
 მარადისობა საქართველოს მინ დაღუტოვა.
 და როცა ქართლი სასიკვდილოდ დაისუღრება
 და მისი ვონების მოაწვევა ცხელი ანთება,
 როცა ივერი გასახმობად გაიფუტრება
 და მის ჯიში ქვეყნით — ქვეყნად გაიფანტება, —
 მაშინ ქვეყანა მარტო შოთას გაახსენდება,
 ანაფორაში, ის დადგება უფლის წინაშე.
 საქართველოდან მოწყვეტილი ის იენთება
 და საქართველოს გაანათებს პალესტინაში.

17

რუსთაველის ხატთან მე ვაგდივარ ხელგაბაწრული
 და უკვდავ სახეს, გაძარცული, მე ვევედრები: —
 მიიღე გული, სიყვარულით გადაბასრული



უფალო ჩემო, შენს სიყვარულს ვინ შეედრება.
 შემდეგ შევფიცავ პოეტების მაღალ სიაზე
 უფლის ბალიდან, რომ დასწურეს შხამი მტევნები.
 ვილოცავ მათზე. ავტირდები პოეზიაზე
 და, ნატირალი, კვლავ სიყვარულს დავედევნები.

19

არ მყავს არავინ.
 ჩავესვენე, როგორც დაისი.
 მწარე დღეები გულს მიღარავენ,
 ასე მივდივარ—უდაბნოში თეთრი თაისი.
 მე სიყვარულის დახეული გავზდი წერილი.
 უძლური ვარ ქიანკველაზე.
 არ ვნატრობ შეელაზე—
 ცხელი უდაბნოს ცხელი ქვიშით ფეხდასერილი.
 წამერთვა სიამე.
 ასეთი ვარ სიყვარულით ბრნობილი —
 ყმა, ბატონისგან სხვაზე დათმობილი
 და კომლიანი ფუჭი-იამა:
 მიკადოს ქვეყანაში უნაზეს ფერებით
 ქალები, რომ ხატავენ, მოფერებით.

სტამბოლი, 1922 წელი.

ქალაქი ხევში.

ვიწრო ხევში პატარა ქალაქი ჩაბუდრებულა. ხის კოლოფები ორჩოფე-
ბაზე შენდვარა. ქვეშ სცხვრობს ოჯახის სიმდიდრე—ლორი, ცხვარი, ძროხა. ზედა
სართულში ადამიანის ბუნავია.

ქალაქი ხევში ბედნიერად ათენებდა და ბედნიერად აღამებდა. დაღამების
შემდეგ მალე იძინებდნენ, ქუჩაში არაფერი სტკეპნიდა ტალახს და ტყუილად
ბეჭტავდა ფარანი, ძირ-მომხალ ბოძზე დასკუპებული.

დღით საშვიტნოების წინ სკამებზე იდევნ ნიკიტნები, მსუქნები და წი-
თელი საბით.

რისგან სუტდებოდენ მიკიტნები, იყო საკვირველი. ღვინო ჰქონდათ ნოძ-
მარებული, ვიტრინაზე საინი ცივი ლობიოთი და ყვიჩილი წინა პარასკევს
დაკლული.

მიკიტნები ისე შეჰყვებოდენ მუშტრებს დუქანში, თითქო სწყინდათ, რომ
სკამიდან ააყენეს. მუშტრები დაზგაზე დაკლიდენ ერთ ან ორ კვარტს, დამ-
კენარ ბოლოკს დააყოლებდენ, შენხმარ პურს საელოგო სეფისკვერივით დაჭ-
რილს და ხანდახან ნისიასაც გაიყოლებდენ.

ქალაქი ხევში ბევრი რამეთი იყო საკვირველი და საკვირველთა შორის
იყო მდინარე და მდინარეზე ფიცრული ბიდი.

ზაფხულში, როცა მზე დიდი ხნით ჩაწვებოდა ხევში და ხეც იჭით გო-
რაკებზე, ყანებზე, მინდვრებზე-მდინარე იკლებდა და მიდიოდა ღელესავით,
რომელშიაც მთელი დღეობით ცუარენ ღორები და სოფლიდან ჩამოსული დედა-
კაცები გზის შესამოკლებლად კაბა-დაკაპიწებული წყალს ფეხით გადადიოდენ.

შუა ზაფხულში წყალი აყროლდებოდა სახლებიდან და დუქნებიდან გად-
ნოყრილ ნავავით, მკვდარი ძაღლის ლეშით, ქათმების ბუმბულით, კვერცხის
ნაქუქებით.

ასეთ დროს ბიდი არც კი იყო მაინცდამაინც საჭირო. დამშრალ მდინა-
რის კალაპოტში რიყე ქვებზედაც ადვილად შეიძლებოდა გადასვლა.

მდინარეც ნაწვიმარზე იცოდა ვადარევა.

უკვე შორიდან ესმოდათ ქალაქში როგორ მოხშუოდა წყალი და მოათ-
რევა ქვებს, ამოგლეჯილ ბუჩქებს, ხეებს, მიწას. ხმაურობდა ვიწრო კალაპოტ-
ში ჩაქედილი მდინარე, ბრაზიანი ვეფხივით ღრიალებდნენ ქაფიანი ტალღები.

გადარეცხდენ ნაპირებს და როცა მზე ისევ ჩაწვებოდა ხევში, დაწუნარდებოდა და ისტუმრებდა ღორებს და კაბა დაკაპიწებულ ქალებს მსუქანი ფეხებით.

დაწუნარდებოდა მდინარე, მაგრამ ახმაურდებოდნენ ვიწროხეველები: მოღრღინების დროს მდინარე იყო დაუზოგავი და არ უსვენებდა ხიდს.

რამდენჯერ არ შეუდგეს ბოძები, არაფერი ეშველა წყალი გასტეხდა ხეებს და ხიდზე გავლა საწინააღმდეგო ხდებოდა.

ყოველ გაზაფხულზე შეორდებოდა ეს, ყოველ ზაფხულში მოჰყავდათ ღორ-გლები, ხეებს გამოსცვლიდნენ, ახალ ლურსმებს დაარტყამდნენ, მაგრამ საქმეს მაინც არაფერი შევლოდა.

ხშირად თათბირობდნენ ამაზე ვიწროხეველები, მაგრამ წლები წლებს მისდევდნენ და უკვე რამდენიმე თაობას ახსოვდა, რომ მამის დროსაც ხიდის გვერდით ღუქნის წინ თავს იყრიდნენ და ყაყანობდნენ ხიდის სისუსტეზე და მდინარეზე, რომელმაც საქმე გააჭირვა.

ქალაქში ბევრი არ სცნობოდა, მაგრამ მით შორის იყო მრავალი პატივსაცემი და ზოგი ფრიად პატივსაცემი: ექიმი, რომელიც თოხარკით დადიოდა მეზობლებში, ბები-ქალი—რომელთანაც იშვიათათ თუ მივიდოდნენ, რადგან ღვიძლები; დახელოვებული იყვნენ ნოლოვინების საქმეში; აფთიაქის გამგე, რომელსაც მუდამ წამლის სუნის სდიოდა და ვანთქმული იყო იმით, რომ ღვინოს კარგად აყენებდა; ღვინო ნესტორი, რომელსაც ეკლესიის დახურვის შემდეგ მხოლოდ ის საქმე ჰქონდა, რომ კრიალოსანი უნდა ეტრიალებინა, და ბევრი კიდევ სხვა, რომლებსაც ნუ შეგაწუხებთ, რადგან მათ უყვართ მოშილიფებული ხალათები, ფოლაქ შეხსნილი პერანგები და სიმშვიდე ყველაფერს ურჩენიათ.

შეიძლება ხევის ქალაქი არავის ენაზე და სახლები არავის აეშენებია და ჩვეულებრივ ხევად დარჩენილიყო—ვინ მოსთვლის რამდენი ხევია საქართველოში, სადაც მხოლოდ ქორები ბუდობდნენ—რომ გვერდით რკინის გზას არ ჩაეგლო.

მდინარის მარცხენა მხარეს, ხევში და ფერდობზე, ქალაქი იყო გაშენებული, მარცხენაზე კი პატარა სადგური თეთრი კირით შეღესილი.

სადგურზე იყო ყველაფერი, რაც ჩვეულებრივად არის სადგურებზე—ვის არ გაუგონია სვედიანი ზარი, არ ატუნია ბოთლით წყალი ბოქლომ დადებულ დიდი კათხიდან, არ უყიდნია სადგურის გვერდით პატარა დუქნიდან თიხის სურა-მაგრამ ყველა სადგურებზე არ იყო ასეთი გულლია და პირმცინარე ტელეგრაფისტი.

მართალია, მისი ახალგაზრდა სახე ხანდახან დასერილი და პაპიროზის ქალღმერთით იყო აწებებული, რადგან ადგილობრივ დალაქებს ყოველთვის არ ჰქონდათ პირაწყობილი სამართებელი, მაგრამ ეს სრულიადაც არ უფუჭებდა მოხდენილ სახის იერს.

ხევის გოგონები სიამოვნებით ლაზლანდარობდნენ მასთან და უყვარდათ მისი ყვითელკანტებიანი ქუდი და თეთრი კიტელი, რომელზედაც ფოლაქებს ამჭერალი აქვს ორთავიანი არწივი.

ტელეგრაფისტი ხშირად ქიშკობას უწევდა ვიწრო ხევის ახალგაზრდობას.

წინად ეს უხაროდა და აღიზიანებდა მის თავმოყვარეობას, მაგრამ როცა ყაბალაბ თავწაქრულმა ბიჭებმა არწიეობიდან არხინად დაბრუნებულს ხიდის ყურთან ერთი-ორჯელ დაუზოგავად სცემეს, ტელეგრაფისტმაც უკლო ხურუმს და ამის შემდეგ მხოლოდ სადგურის ბაქანი დაინარჩუნა საასპარეზოთ.

მასთან ყოველთვის ჯოგებათ დადიოდნენ გოგოები, მაგრამ ყურადღებით წყალობდნენ და ლაპარაკი ზღვარდათ მოწიფულ მოქალაქეებსაც.

ტელეგრაფისტმა ყოველთვის იცოდა ახალი ამბები, ხანდახან ვახეთებსაც კითხულობდა და დიდხინიდან შერჩა ერთი ჩვეულება: ყოველ დღე დაურეკდა ჯერ მახლობელ, მერე შორეულ სადგურებს და ბოლოს იკითხავდა-რა ამინდია ტფილისში.

ამის გაგება არც ისე ძნელი იყო მისთვის, მაგრამ სიხარულს შატებდა ის გრძნობა, რომ ჯერ უნახავ შორეულ ადგილთან ჰქონდა კავშირი.

მობერებულ დროს ჩაუვლიდა ხეეს სამგზავრო მატარებელი,—მაშინ, როცა მზე იყო გადახრილი და საქნარი ყველას მოღუფლი ჰქონდა.

დარეკდნენ თუ არა სადგურზე მატარებლის გამოსვლას, ვიწრო ხევის ახალ-გაზრდობა აჩქარდებოდა ბაქანისაკენ.

ისინი არასოდეს უკვდიდნენ ვინმეს ჩამოსვლას, არც შეხედავდნენ მტვერიან ფანჯრებიდან გამოშვრილ დაღალულ სახეებს და გულგრილად ისტუმრებდნენ გზით გავლილ მატარებელს.

თუმცა ქალაქში იშვიათად ხდებოდა ახალი ამბავი, მაგრამ თუ რაიმე მოხდებოდა პირველად ბაქანზე ითქმობდა და აქედან მოეფინებოდა მთელს ქალაქს.

სალაპარაკო არასოდეს შემოაკლდებოდათ ხეეში და რომ არ ყოფილიყო, უნდა გამოგონებიათ,—მეტი რა ჯანია, რა უნდა ქნას კაცმა იმის შემდეგ, როცა მზე გადაიხარა, მუცელი კარგად გამლაღეთის მოცემულით და ტოლები შეიკრიბნენ რომელიმე ამოჩემებულ ეზოში, სადგურის ბაქანზე, ან აფთიაქის წინ რომ პატარა ბაღია!

ვიწრო ხევის გოგოებს ხანდახან არც მამაკაცები ჩამოუფარდებოდნენ და ყველაზე უფრო აფრასიონი.

აფრასიონს მთელი ქალაქი იცნობდა. აფრასიონს მთელი დღეები არ სცალოდა. აფრასიონმა ყველაფერი იცოდა, ყველგან საკირო კაცი იყო. ამას აღმასკომში უნდა წაპყლოდა, იმას საეადმყოფოში, თხოვნების წერას ვერ აღდიოდა, ყველა კრებაზე უნდა შემძვრალიყო.

სამაგიეროთ ყველას თავისიანათ შიანდა, სადილ ვახშამზე დაუპატივებლათაც რომ მისულიყო, არავინ შეწუხდებოდა. სუფრაზე დასაჯდომ ადგილს თითონ მოიძებნიდა, დუქნებიდან უძახოდნენ, ერთ-ორ კიკა ღვინოს ფეხზე გადააკრევენდნენ, დასაყოლებულ პურის ნატებს თითონ მოიფათურებდა.

აფრასიონმა ყოველთვის პირველმა იცოდა ამბავი და ის, რაც ეხლა ყველაზე უფრო აღვლევდა ვიწრო ხეველებს, პირველად მისგან გაიგონეს.

ეს ამბავი კი იყო უბრალო და შეიძლება არავისაც ელაპარაკა მასზე, რომ ვიწრო ხევის ქალაქი ცოტა გაზრდილიყო, მდინარეზე მუდამ უჩინდო ხიდი არ ყოფილიყო და ხიდის მარცხნივ ეკლესიის გაღავენში არ ეცხოვრა ღვღელ

ნესტორს, რომელმაც ერთხელ უჩვეულო დროს გამოიღვიძა და სახლებიდან გამოირეკა ხვეის შეშინებული მობინადრენი.

ლონიერი ძილით ეძინა ხვეს და ხვეში ქალაქს.

ამ დროს რომ ვინმეს შეეხებდა მთავარ და ერთად ერთ მოკენჭილ ქუჩაზე როგორ იქვარტლებოდა ფარანი, რომელიც მრავალი თვეების განმავლობაში გადმოსავარდნათ იყო გამხადილი და საკვირველი იყო, ამდენს ხანს რა ძალა ამიგრებდა ბომზე—გულაჩუყებული კაცი უსათუოდ ატირდებოდა, დარბაისელი კი უსურადღებოთ გვერდს ვერ ჩაუვლიდა და ჩაფიქრდებოდა მის მწარე ბედზე.

ლამის ცა ასე მოწმენდილი რომ არ ყოფილიყო, სადგურზე მყოფს შეიძლებოდა ეფიქრა, რომ წვიმდა—ისე შეშინობდა ბაქანზე და სადგურის დარბაზში დაკიდებული გაზის სანათი.

ლამით ჩაივლიდნენ ზოლზე მხოლოდ საბარგო ვაგონები. გადმოდიოდნენ მხარზე პლაშგადაკიდებული კონდუქტორები ხელში გაქვარტლულ სანათურებით, რომელნიც ციციანათელებივით ბეუტაფდნენ.

ტელეგრაფისტი ასეთ ღამეებში შორიგობის დროს ყოველთვის იხდიდა თავის კიტელს და მოწყენით იჯდა მანქანასთან.

დაულაღავად უკაკუნებდა მანქანა, მიჰქონდა ამბები აღმოსავლეთით და დასავლეთით—ზოგი სიხარულის, ზოგი მწუხარების.

ძილმორეული თვალები ტელეგრაფისტს უეცრად გაუბრწყინდა.

როგორ არ გაგებარდება კაცს, რომ ვიწრო ხვეიც გააბხენდა ვილაქას და ამ ღამეში სალამივით გადმოსძახა შორეთიდან:

— დეპეშა ხვეში! მამა ნესტორს! შოდი და ნუ გაგებარდება?

ალტაცებაში იყო ტელეგრაფისტი.

დეპეშა იყო ტფილისიდან.

ახ, ეს სანატრელი, უცნობი ტფილისი! ის უსათუოდ უცნაური ქალაქია! რა თქმა უნდა სჯობია ყველა ქალაქებს. ვიწრო ხვეთან ხომ შედარებაც არ შეიძლება!.. ამაზე ფიქრიც ზედმეტია, მათი ერთად ხსენება სასაცილოა... შუაგულ ტფილისში, ალბათ, ამართულია ერთი ისეთი მაღალი სვეტი, რომელიც ყველა ადგილიდან სჩანს. სვეტზე კი ვეებერთელა სანათი ჰკიდია... სანათი ბრწყინავს, როგორც დიდი ვარსკვლავი, როგორც დიდი მთვარე... ხალხი გამოდის ქუჩაში, იყურება ფანჯრებიდან, შეხედავენ—უკიდია თუ არა და როცა დაინახავენ—ემბებათ, დამშვიდდებიან და შემდეგ დაიძინებენ... ან შეიძლება სხვა რამეთია საკვირველი ტფილისი, მაგრამ რომ არის რაღაც, რაც ანსხავებს, ამაში ეკვის შეტანაც ბოროტება!

დეპეშა გადაწერა ხელით, ლამაზათ გამოიყვანა ასოები, დაბეჭდა და დაამზადა.

არა, გადადგმა შეუძლებელია! უსათუოდ ამაღამვე უნდა მიუტანოს! რა მოაქდევინებს დილაშენ? და ისიც ხვეში, სადაც ასე ადრე იძინებენ და ღამეა გრძელი, როგორც არსად!..



ქული კისერზე მოიგლო და გამოვიდა. ხიდანვე თამამად მივიდა, მაგრამ შესდგა თუ არა ნაბიჯი ხილზე, შეჩერდა.

ვინ მოსთვლის რამდენი ავარია ქალაქში! შეიძლება ეხლაც უღარაუგებენ სადმე ხიდის ყურში... კარგად ახსოვს ის სილა და მუშტები ერთ საღამოს რომ გაუმასპინძლდნენ. მისი განმეორება კი არაფერი სანატრელია.

რამდენიმეჯერ ზაიარა ხიდის ნახევარი, — იქით კი, თითქო ვილაც უხილავი ჩასტიდებოდა, თითონ ფეხები არ ადგამდნენ ლაჯებს. ასე გვიან გავლას კი ვიწრო ხევში პატიოსანი კაცი არც იკადრებდა.

ღრმად ეძინა ქალაქს. სჩანდა რომ კიდეც დიდხანს არ მოიფუნებოდა თვალებს, არ აპრიიდებოდნენ კარები და ხის კიბეები.

უყურებდა ტელეგრაფისტი სიზმარში მყოფ ვიწრო ხევს და ვერ გაერჩია — ღელეთ რომ მდინარე ჩამოდიოდა იმისი ხმა იყო, თუ სახლები ხვრინავდნენ.

კარგი კი იქნებოდა ამალამვე გადაეცა დეგეშა. კაცი რომ არაფერს მოეული და ტკბილ სიზმარში ხარ, უეცრად გავალვიძებენ და შეგაჩრიათ ხელში დეგეშას... რა სჯობია ამას!..

მაგრამ ხიდის ბოლოში გადასვლა სახიფათო იყო და ამას გარდა ისიც მოაგონდა, რომ ღვდელს ორი შეუპოვარი ნაგახი ჰყავდა და მათთან მოფერებით, ან შეწყრომით ვერაფერს გააწყობდა.

ის იყო გულდაწყვეტილმა უკან წასვლა დააპირა, რომ ხიდის ბოლოში დუქანთან თვალი მოჰკრა ადამიანის ლანდს. მიაცქერდა და იცნო — აფრასიონია. დალაბეროს ლმერთმა, გაიდვიქრა მან. რაეა ტაჯივით დაფოთილობს ეს კაცი!..

— აფრასიონ! გაისმა ლამეში შემპარავი გაუბედავი ხმა.

ხმაზე ლანდი შეჩერდა. როცა დარწმუნდა ტელეგრაფისტი, რომ ნამდვილად აფრასიონი იყო, თამამად მიიძახა:

— აფრასიონ! ერთი წუთით, შენი ჭირიმე!

ლანდმა, რომელიც მართლა აფრასიონი გამოდგა, არც იკითხა ვინ უძახოდა, მტერი იყო თუ მოყვარე, და პირდაპირ მიაშურა ხიდს.

— სად იყავი ასე გვიან?

— ნარდმა შემიყოლა კარბესთან, დინჯათ დაიწყო აფრასიონმა, მაგრამ უეცრად თითქო რაღაც მოაგონდა ხმა მაღალი სიცილი დაიწყო.

— იმას კი დავაყენე კაი დღე, შივაყარე მარსი და მარსი! გავხეთქე კაცი გულზე...

აფრასიონი მზად იყო დაწვრილებით ეამზნა თავისი გამარჯვების ამბავი, მაგრამ ტელეგრაფისტმა უცებ შეაჩერა, მკლავში ხელი გაუყარა, განზე გაიხზო. აფრასიონმა გაიკვირვა.

— დეგეშაო? გლახა ხომ არაფერია იმ უბედურის თავზე?

— როცა მიიტან, გაიგებ... ნუ მიგდის სული!..

გახარებულმა იმით, რომ ასე გვიანაც იშოვა საქმე, აღარ ჩააცივდა და გასწია ნესტორისაკენ.

— ასე უთხარი არ შეშინდეს! მიიძახა ტელეგრაფისტმა.



სხვას რომ არ სკოდნოდა, აფრასიონს მაინც ეცოდინებოდა ნესტორის ნაგაზების ამბავი. ვხანში სარი ამოაძრო ლობეს, ნოიშარჯვა ხელში და ჩქარი ნაბიჯით მოჭვრტყლა.

ვიწრო ხევში ყველა ძალღი ისე ჰყავდა შეწვეული აფრასიონს, რომ ვაგლაბათ არ შეუყუფდნენ. ნესტორის ნაგაზები კი ვერაფრით მოიშინაურა. რამდენჯერ მისულა, რამდენჯერ უნახავთ, მაგრამ ის ლთისაგან დაწყველილები თავისას არ იწლიდნენ.

— სხვა ქვეყნიდანაა მოყვანილი! ჩვენებურმა უფრო იცის დანდობა და და კაცის ცნობაზე მეტი ჰქუა აქვს...

ბრთხილად მივიდა აფრასიონი ლობესთან და გადაიხედა. მთვარის სინათლეზე ნათლად გაარკვია ორი ღიდი ნაგაზი. ისინი მშვიდათ იწვენ შუა ეზოში, მაგრამ სჩანდა, რომ უხიზლობდნენ.

აფრასიონმა თავი დაუარა ეზოს, მარდათ მოახტა ლობეს, დააპირა კიდევ ეზოში გადახტომა, მაგრამ უცრად ძაღლები თოფნაკრავივით წამოიჭრნენ და გამოეჩინნენ იქითქენ, საიდანაც ხმა მოესმათ.

აფრასიონი შერჩა ლობეზე. ლობას ძირში კი ერთმანეთს ასკდებოდნენ ძაღლები, ყალყზე დგებოდნენ და გადმოთრევას უპირებდნენ უცნობს, რომელსაც ასე გვიან გაებედნა ეზოში გადმოხედვა.

რა ტკბილი სიტყვები არ დახარჯა აფრასიონმა, როგორ არ მოუაღერსა, მაგრამ ვერაფერს ვახდა.

— ძაღლი მიაყვდა თქვენს პატრონს, გაბრაზებით დაივიწყა აფრასიონმა, რა ოხრათ უნდა ეს ვეშაპები!

მიხვდა აფრასიონი რომ ეზოში ვერ გაბედავდა გადასვლის, ერთი კიდევ ამოიოხა გული გინებით და ჩამოჯდა ლობეზე.

ძაღლებს კი სიავე თანდათან ემატებოდათ და ხელდებოდნენ ბრაზისგან, რომ ვერ სწედებოდნენ ლობეზე არხენად მოკალათებულს.

ვინ იცის რამდენ ხანს იქნებოდა აფრასიონი ლობეზე, რომ ძაღლების შეუჩერებელ ყეფაზე ნესტორს არ გაღვიძებოდა და აივანზე არ გამოსულიყო.

— ნესტორ! მიყვირა აფრასიონმა, — შენ სახელზე დებეშაა, ძაღლები კი არ მიშეებენ,

მეხი რომ გაეარდნილიყო ამ მთვარიან ღამეში, ასე არ გაუყვირდებოდა ღველს.

დებეშა, და ისიც ასე გვიან, ცხადია ცუდი რამეს მომასწავებელი უნდა ყოფილიყო.

რამოდენიმე თვეა შვილი ყავდა მეტეხნი.

— ალბად უბედურებაა ჩემ თავზე! გაუელვა ნესტორს, — ასე რომ არ ყოფილიყო, რათ გამოგზავნიდა დებეშას!

ნესტორმა ჩაიძუნძულა კიბე, აფრასიონს საშუალება მისცა ლობიდან ეზოში გადმოსულიყო და შეიყვანა სახლში სანათს აუკიდეს, გახსნეს დებეშა, მაგრამ სახტად დარჩენ: რუსული არც ერთმა არ იცოდა, დებეშა კი რუსულად ეწერა.

გადაატრიალეს, გადმოატრიალეს, მაგრამ ტრიალით საჭმეს რას უშველიდნენ.

უფროებდა ნესტორი უკნობ ასოებს და ბრახისაგან წვერებიც უთამაშებდნენ.

ხედავდა, რომ დეპეშაში რაღაც ეწერა, გრძნობდა რომ შვილისაგან იყო. გული აღარ უთმინდა გაეგო რა უბედურება დატრიალდა მის თავზე, მაგრამ რომ არ მოეთმინა, მგები რა ჯანი ჰქონდა.

გამწარებულ გულზე ნესტორმა ცოლიც გააღვიძა.

მობუცებული, ცალმხარზე დამბლა დაკემული ქალი, დიდის ვაი-ვაგლახით და ხენეშით წამოჯდა ლოგინზე და უგონო თვალები ქმარს მიამატერა.

— ხედავ ამას? გაცხარებით მიიძახა ნესტორმა და ცხვირწინ დეპეშა აუფრიალა.

ქალმა უგონო თვალებით შეხედა დეპეშას და თუნცა მის სახეზე არაფერი აღბეჭდილა, მაგრამ იღბათ უკვირდა, რომ ასე უდროოთ გაღვიძეს მხოლოდ იმისათვის, რომ ქალადღის ნაგლეჯი ეჩვენებიათ.

— შენ ვერ შეიტძლებ წიკითხვას? ნიუბრუნდა ნესტორი აფრასიონს.

აფრასიონმა წაიყურა, თითქო არ გაეგონოს.

— აბა რაღის იქამებოდი კმაწვილო! სასოწარკვეთსლებით მიიძახა ნესტორმა, — ქვეყანას შენ პატრონობ და ერთი გლახა დეპეშის ვერაფერი გაიგე? ვისაც გამოართვი იმას მაინც ვერ კითხე? რას მოათრევი ჩემი გულის გასახეთქავე!

— ასე დამაბარა, არ შეეშინდესო! დისამშვიდებლად უთხრა აფრასიონმა, ამან უფრო გაუძლიერა ღედელს ეჭვები.

— ასე შემოთვალა, არ შეეშინდესო?

— სწორედ!

— მერე და, შე მამაცხოვნებულო, ველარ კითხე რისი არ შემშინებოდა?, ნესტორი მზად იყო გულის ჯავრი დეპეშის მომტანზე ამოეყარა. აფრასიონი მიუხედა ამას და რომ წყრომას ასცდენოდა, კითხა:

— შენი ქალიშვილი არაა სახლში?

ნესტორმა დაავლო ხელი სანათს და შეიღო შვილის ოთახის კარები. ოთახში არავინ იყო.

— ლეტეცია, გოგო! დაიძახა ნესტორმა, შეიცადა პატარა ხანს, მერე აივნიდან გადასძახა, მაგრამ არავინ უპასუხა.

მგონი დეპეშაც კი გადაავიწყდა ნესტორს, ასე გააკვირვა ამ ამბავმა. ახსოვდა, რომ ერთ დროს დაწვენ. ცხადია იწვეა, — ამას ისიც მოწმობდა რომ ლოგინი ანგრეული იყო. მაგრამ მერე სად გაქრა? ასე გვიან ქალიშვილ ქალს რა უნდა სხვაგან?

— ეს რაღა უბედურობაა ჩემ თავზე! გამწარებით ფიქრობდა ნესტორი, რა შავით დამლაშებია მე უბედურს!

აფრასიონი რომ არ უოფილიყო და არ გიეგო, ოჯახის სირცხვილს დაფარავდა კაცი, მაგრამ ახლა რა ეშველებოდა! ქვეყანას მოსდებდა ეს ენატარტალა კაცო, ხვალ მთელ ქალაქს სალაპარაკოთ ექნებოდა ეს ამბავი.

— აღარ დავეძებ ბატონო, არაფერს დავეძებ... კინჩხი უტეხია და კისე-



ქართული
განჯიანობა

რიც იმ ჩემ ქალიშვილს!. თუ არ გაიტან ამ ამბავს, ხომ კარგი, თუ არა და როგორც გენებავდეს.. ყველას უთხარი, ყველას ჩამოუარე.. რა დაგამაგრებს ენაზე! ნეტა ამაღამაც არ გაიღვიძებდე ხალხს. არაფერს ვეძებ, ყველაფერი ახია ჩემს თავზე!

ასე ბუზღუნით გამოვიდნენ ნესტორი და აფრასიონი სახლიდან, გაიარეს ეზო და აფთიაქის გამგესთან გასწიეს.

ქლოშინით მიდიოდა ნესტორი.

როგორ მიიბიჯებდა ბნელ ორღობეებში, როგორ გადადიოდა ქვებზე და კოლბოხებზე, — არ გრძნობდა გაბოროტებული ღვდელი.

გვერდით კი მითხარიაკობდა აფრასიონი.

დებეშაზე უფრო აფრასიონს ლეტეციას ამბის გაგება უნდოდა. დებეშა სად წაუფიქროდათ, ორი დღე-ღამე რომ ეარათ, მიიწვ ნესტორს ექნებოდა ხელში.

— სად იქნება ახლა ის? ფიქრობდა აფრასიონი და მარდათ ხტოდა ქვიდან კოლბოხზე, კოლბოხიდან ქვაზე. გაეჩვიე, ქალბატონო, ღამე სიარულს?

აფრასიონს, რა თქმა უნდა, ჰქონდა გაგონილი, რომ ლეტეცია და კოლია გადამეტებულად მეგობრობდნენ, საექვეთ მეგობრობდნენ, მაგრამ თუ იმ ზომამდე იყო მისული მათი საქმე, რომ სხვისგან დაფარულად ღამით, ზეღებოდნენ ერთმანეთს, ეს არ წარმოედგინა.

ლეტეციას რომ გკულით უნდოდა ვათხოვება, — ეს ძველი ამბავი იყო. მაგრამ რჩევა—რჩევაში მშობლებს ხელში აბერდებოდა.

რევოლიუციამდე იყო და, თვითონ ნესტორი ურიგებდა ერთ მშვენიერ მოხელეს. ლეტეცია თავდაპირველში რატომღაც ჯიუტობდა და თქმეა შემდეგ თითონაც მოინდომა, მაგრამ გვიან იყო—იმ კაცს სხვა შეაჩქეს ხელში.

სამსახურის კაცს ვიწრო ხევში ასე ადვილად ვინ მოუხვეწებდა!

შემდეგ, როცა მეფობა მოისპო, ნესტორი მოწადინებული იყო და ლეტეციასაც ამას ეუბნებოდა გონება—ჯორდანიას კაცი უნდა აერჩია.

ის იყო საჭმეე ვათავდა, რომ ჯორდანიას კაცები თითონ შესანახი შეიქნენ და სამადლოთ ვინ მისთხოვდებოდა მათ?!

კომუნისტობის დროს უფრო ძნელი შეიქნა საქმროს მოძებნა—ვინც სახარბიელო იყო, ის ლეტეციას ახლოსაც არ ეკარებოდა, და მღვდელის ქალიშვილობა ხომ სულ უფუჭებდა საქმეს!

ამასობაში ლეტეციას უფროსი ძმა დაიჭირეს, ოჯახი დამწუხრდა და ქალის ვათხოვებაზე ვის ეცალა.

ერთხანს ლეტეციას ძმასთან მისი ამხანაგი კოლია ცხოვრობდა, ღამეობით ისინი სადღაც დაძვრებოდნენ, გადაცმული მიიპარებოდნენ და სხვა გზით ბრუნდებოდნენ შინ.

ერთ ღამეს ლეტეციას ძმა შინ აღარ დაბრუნებულა და მხოლოდ ორი დღის შემდეგ გაიგეს, რომ დაეჭირათ რამოდენიმე ამხანაგთან ერთად. კოლია იმ ღამეს ვადარჩა, მაგრამ გადაიკარგა, დიდხანს იმალებოდა და ბოლოს, როცა დარწმუნდა, რომ არავინ დაეძებდა, სააშკარაოზე გამოვიდა.



ბშირად მიდიოდა ნესტორასთანაც და თუ მას ყურადღებას აქცევდნენ, ეს იმიტომ, რომ შეილის მეგობარი იყო, თორემ ამა ისე რა ჩასათვალა იყო!

ნესტორს ბშირად უყვარდა პოლიტიკაზე საუბარი და თუმცა გაზეთებით მაინცა და მაინც თავს არ იწუხებდა, მაგრამ იმაზე მაინც უყვარდა მსჯელობა და კამათი, რაც ვიწრო ხევში ითქმოდა.

ხანდახან კოლიაც უწყალობებდა ერთ-ორ სიტყვას და ასეთ წუთებში ნესტორი კაცათ გრძნობდა თავს.

ერთ დღეს, როცა კამათლების გორებით დაიღალენ, ნესტორმა ჩვეულებრივად პოლიტიკაზე გამოავდო სიტყვა:

— კოლია, შეილო, ვითომ დიდხანს უნდა ვიქნეთ ამ ყოფაში? როგორია ჩვენი საქმე?

რომ არ ეკითხა, უკეთესი იყო. ეს კითხვა საბედისწერო გამოდგა ორივესთვის.

კოლია ამას შემდეგ აღარ მოსულა ნესტორთან და რეტდასხმული დადიოდა ქუჩაში,

— სოციალისტს ვუძახი თავს, პროლეტარებს შეერთებისაკენ მოვუწოდებ ცხოვრებაში მიტანჯია... რა მაჭვს ღვდელთან ხაერთო რომ იმასაც კი შეკითხება— „ჩვენი საქმე როგორ არის“?

ამ დღიდან კოლა ისევე გასწორდა წელში, სამსახურში მიიწვიეს, საქმეც ჩააბარეს და ყველას თვალში კაცი გახდა.

ამის შემდეგ ლეტეციაც მეტი ყურადღებით ხედებოდა და საყვედურებით აღრზობდა რომ დაივიწყა მათი ოჯახი.

საყვედურებს თუმცა არ უმოკმედნია კოლიაზე და ღვდლისას არ მისულა, მაგრამ ლეტეციას ბშირად ნახულობდა და რადგან ეგონა, რომ ნესტორი არც ეხლა გაიპეტებდა მისთვის მხოლოდ ფარულად ხედებოდა მას.

— მივედიო! შეაჩერა აფრასიონმა აფთიაქთან ნესტორი, რომელიც ისე დაქადნებული მიალაჯებდა, რომ ალბათ მთელი ღამე წინ ივლიდა ვინმეს რომ არ შეეჩერებია.

მოთმინებით აღჭურვილი ავტორი აქ აღწერდა იმას, თუ როგორ შევიდნენ ჩვენი გმირები აფთიაქის გამგესთან, როგორ დიდხანს უჯაჯგუნეს კარებსა და აფთიაქის გამგემ ვერ გაიღვიძა, რადგან კარებზე მუშტების რტყმევა როგორ გააღვიძებდა, როცა ძილს ვერ უფრთხოებდა თავისი ხერინიც, რომელიც აფთიაქის ეზოში ისმოდა.

ავტორი, ალბათ, იმასაც აღწერდა, თუ როგორ გაიღვიძა და რა ურცხვად წარსდგა აფთიაქის გამგე ჩვენი გმირების წინ; რამდენი ხანი დასჭირდათ სანამ თავის მოსულის მიზეზს გააკვბინებდნენ ნამძინარევს; როგორ ანათო სანთელი, როგორ ეძებდა სათვალეებს, რომელიც თურმე სრულიად ზედმეტი ყოფილა, რადგან როცა ღებეშის კითხვაზე მიდგა საქმე,—სათვალეები ჩამოიხსნა და ისევ მიაგდო საღლაც.



ქართული
 ენციკლოპედია

— უბედურებია ჩემს თავს? შეეკითხა ნესტორი, როცა გამგენ რამდენჯერმე გადაიკითხა დეპეშა.

— არც ისეთი! შთქნარებით მიუგო აფთიაქარმა.

— ცოცხალია? შიშით ჩაჰკითხა ღვდელმა.

— ცოცხალი კი არა თავისუფალია და ზევ ჩამოდის ხევში... რას გადაჩეულხარ კაცი?

ყველაფერს მოელოდა ნესტორი ამის გარდა. დიდხანს იხადა ბოდფში გაღვიძებისათვის, შეწუხებისათვის, მშვიდობის ღამე უსურვა, დალოცა, კიდევ მრავალჯერ მოიბოდინა და სახლისაკენ ჰქნა პირი.

მხოლოდ ახლა იგრძნო ნესტორმა დაღალვა და მუხლებსაც ზომაედა ქვებზე და კოლბობებზე.

ამ სიხარულზე შეიძლება არც ვახსენებოდა ლეტეცია, რომ უკან აჩრდილივით აფრასიონი არ ასდევნებოდა.

აფრასიონი აცეცებდა თვალებს, ეწინააღმდეგებდა არაფერი გამოპაროდა ღამეში და ისე ჰქონდა ყური მომარჯვენული, რომ შორიდან ადამიანის სუნთქვისაც ვაიგონებდა.

ის იყო ვაიარეს ხიდისკენ მოსახვევი ორლობე, რომ ბელოს ძირში ლანდი დაინახეს.

ორივემ სუნთქვა შეიკრა და შეჩერდნენ.

მთეარის სინათლეზე აფრასიონმა უცხად იცნო, ნესტორის მოხუცებული თვალები კი დიდხანს ვერ დატყუებდნენ, რომ ეს ლეტეცია იყო.

— კოლია არის, კოლია! აღტაცებული იყო ამ უცაბედი შეხვედრით აფრასიონი და ისე ხარბათ უყურებდნენ მისი თვალები მორგეზე ჩამომჯდარ რწყვილს, როგორც დიდი ხნის მშვიერი ნადირი გენრიელ ლუქმას.

ნესტორმა ცოცხალი ხანს უყურა, ველარ მოითმინა, დაიკაპიწა ანაფორა და გადაეარდა მათკენ.

— ვად დამხვდი თუ ვაქვაცი ხარ! იღრიალა ღვდელმა და ალბათ ეტაკებოდა კოლიას, აფრასიონი რომ არ გაჩხეროდა და ფარად არ აყუდებოდა.

რა მოხდა ამ ერთ წუთში, როგორ დატრიალდა ყველაფერი, რა მეხი გაეარდა, რა ცა ჩამოინგრა-ამას ვერც კოლია, ლეტეცია, ნესტორი და ვერც აფრასიონი, რომელიც ციყვივით დახტოდა ღვდელსა და სასიძო კაცს შორის, ვერ იტყოდნენ.

აფრასიონი გაიშალა განიერი ანაფორა, დატრიალდა ბელოს დიდი ხე, მორგევი, სახლები, გორაკები, მთელი ხევი.

— თმებით გაორეე შე წუპაკო! ბლაოდა ნესტორი და დასაქერათ დასდევდა ლეტეციას.

ის იყო ნესტორი სწვდა თმაში ქალს, მაგრამ ლეტეცია დაუძვრა ხელიდან და გადაეშვა ორლობეებში.

შირბოდა ლეტეცია, აღარ ეზოგებოდა საკვირაო ფეხსაცმელები, არც ჩითის ახალი კაბა, რომელიც წვეტრან ლობეებს ედებოდა. უკან კი ძნელად მისდევდა ნესტორი და აფრასიონი, რომელიც ანაფორას კალთაში ჩაფერუნოდა და ვითომ ცდილობდა მის შეჩერებას.

ხიდის მოსახვევში ლეტეცია შეჩერდა, მერე სწრაფათ დაუხვია, ერთი სა-
ზარლად დაიცივლა და მდინარისაკენ გადაეშვა.

ნესტორი შეშინდა ამ კვილზე, დაიბნა და შეჩერდა.

— ნუ გეშინია, ვერაფერს ავნებს თავს, — ამწვიდებდა აფრასიონი, — მდი-
ნარე მაგას კი არა, ქაანვეკლას ვერ დაახრჩობს, ისეა დამშრალი!

ქალის კივილზე რამოდენიმე კაცმა გამოიხედა ღუქნებიდან.

— ვინა ხარ? ვინ კივის? ვადასძახეს ღამეში ერთმანეთს პერანგის ანარა
გამოსულმა მდღუქნეებმა.

ქალის სასოწარკვეთილი კივილი ისევ გაჟოროდა.

— რა ამბავია? რა მოხდა? სად არის? ვაისმა ხმები ყოველი მხრიდან.

ხმები ღუქნიდან ღუქანზე გადადიოდა, სახლიდან სახლზე. ჩაძინებული
ვიწრო ხევი შეიძრა და აფორიაქდა.

სახლებიდან დაიძრნ ქრატებით. ორლობები აივსო კაცებით, ქალებით,
ბავშვებით.

ზოგი ქრატით, ზოგი ანთებულ კვარით ხელში მიიბოდა იქითკენ, საიდა-
ნაც მეტი ხმა ისმოდა.

— არ შეშინდე მამაო, არ შეშინდე! ამწვიდებდა აფრასიონი ნესტორს,
რომელიც გარეგნული დაყურებდა წყალიდან ამოთრეულ ლეტეციას.

— იმ გუბეში რა დაახრჩობდა! საყვედურით დაიძახა ვიღაცამ ხალხიდან, —
ხომ ხედავ, ლორიც ვერ იმალება წილ!

მართლაც, იმ გუბეში, საიდანაც გონწასული ქალი ამოთრეეს, დიდი ტა-
ხები ეყარნ და ღრუტუნით თითქო საყვედურს ამბობდნ, რომ სიმწვიდე დაურ-
ღვიეს ასე უღროოთ.

— მუცელი უნახეთ, წყლისაგან გაბერილი არ ჰქონდეს! ფეხით დაჰკი-
დეთ! იძლეოდნ რჩევას ხანშესული დედაკაცები.

მაგრამ არაფერი ეს საჭირო არ იყო, რადგან არც ერთი ყლაპი წყალი
არ ჩასვლია ქალს პირში. რა დაალევიებდა ამ აწმორებულ წყალს, რომელში-
აც ღორებიც კი არ დებდენ დინჯებს!

ნესტორის დასამწვიდებლათ კაცი მარც აფრინეს ეჭითან, ლეტეცია კი
მხრებზე გაიდვა ოთხმა ღონიერმა ახალგაზრდამ და წაიღეს შინ.

— ვიცილი ბატონო, ამით დათავდებოდა ეს ამბავი! ეუბნებოდა ყველას
აფრასიონი, — ოჯახი შეარცხვინა, ქალს სახელი გაუტეხა, უნდა ითხოვოს მეტი
რა ჯანი აქვს!

ყველა ცდილობდა აფრასიონის ახლო ჩამდგარიყო და გეგონა ის ამბა-
ვი, რომელსაც ისე ხარბათ და შეუჩერებლად ქაქანებდა ხან ერთ, ხან მეორე
წრეში.

ექიმის მოსვლის შემდეგ ხალხიც დაიშალა. ორლობები ისევ დაბნულდნ.
მალე დამწვიდდა ქალაქი. ჩაიძინეს და ახვრინდნ ორიოფეხაზე შემდგარ
კოლოფებში. და ტელაგრაფისტმაც ტკბილ სიზმრებს მისცა თავი მას შემდეგ,
როცა გაიკო, რომ ტფილისსაც, ისე როგორც ხეეს, დანათოდა პირავსილი
მთვარე.

ჩემი ცხოვრების გზაზე.

გავრძელება*)

XVI.

გამოცხადდა იაპონიასთან ჩხუბი. პარაკლისები პარაკლისებს სცვლიდა. ნაწილის უფროს გამოვყავდით ამ პარაკლისებზედ ყველა უკლებლივ და მღვდელთან ერთად ავალომბედა: „სნამი ბოგ, რაზუმეიტე იაზიცე ი პოკოროიტეს, იაკო სნამი ბოგ“. ზოგიერთებზედ ეს საოცრათ მოქმედობდა. ერთი ახალგაზრდა აფიცური (გვარათ სტეფანოვი მახსოვს) გიცივით გვარწმუნებდა რომ ზემო მოყვანილი ფსალმუნის დროს გაშლილი ბაირალი აშრიალდაო უეცრათო და ეს ნიშანიაო რომ ღმერთმა შეისმინა ჩვენიო და გვანიშნა რომ გამარჯვება ჩვენიო... ეს მან მოუყვა ნაწილის უფროსს და ამ ლკანასკნელმა დააგელა სტეფანოვს ეს ცხადება გაეგებინებია საზოგადოებისათვის გახეთის საშუალებით. აფიცურმა მოათავსა „ჩერნომორსკი ვესტნიკ“-ში წერილი; აღნიშნა რასაკვირველია ეს ზენას ცხადება და გამოვიდა თითქო ჩვენ პოლკოვნიკს ეცნო მომავალი უმკველი გამარჯვების ამბავი მტერზედ. თვით პოლკოვნიკი თავს გვიყრიდა აფიცრობას და თელი საათით გვესაუბრებოდა რუსეთის სიძლიერებზედ, იაპონელების თავხედობაზედ, რომ გამარჯვება უეკველია ჩვენი, საჭიროა მხოლოდ ერთსულოვნება და რწმენა რომ ჩვენ გაეიმარჯვებთ. როგორც შემდეგ შევითქვით ის იმეორებდა ჩვენ წინ „ნოვოე ვრემიადან“ ამონაკითხს და ვებერაედა სუვორინის და მენშიკოვის წერილებით. ორიოდე ათისი მანეთი ქონდა მოგროვილი აფიცრობას იმ მიზნით, რომ ავადმყოფ ამხანაგისათვის დახმარება გაეწიათ. პოლკოვნიკი შეუწდა აფიცრებს, მსურვალე სიტყვით მიმართა და თელათ ეს ფული გადაგზავნა სუვორინს, რომელიც აგროვებდა თანხას ახალი გემების ასაშენებლათ. მაგრამ მის ენტუზიაზმსაც ფრთები ეკვეცებოდა იმ დამარცხებებით რაც რუსეთის ჯარს ხედებოდა იაპონელებისაგან. მე მომდიოდა ცალკე „რუსკია ვედომოსტი“ რომელშიც თავსდებოდა შესანიშნავი წერილები მიხაილოვსკის (მოსკოველი სტატისტიკოსი იყო) ომის მიმდინარეობის შესახებ. ამ წერილებში ნათლათ იწლებოდა რუსეთის ჯარის მოუწყობლობა, უფროსების უფარვისობა

*) იხ. „მნათობი“ 10 (18).

და ამგვარები. ამ წერილებს ხმამაღლა ვკითხულობდი ხოლმე აფიქრებში და ამის მოსმენა ერთგვარ განწყობილებას იწვევდა მათში. წინათ რომ აღმაცერათ უყურებდნენ ამ გაზეთს, ახლა ათიოდემ კიდევ გამოიწერა თავის სახელზედ. ეს არაფრათ ეპიტნიავა პოლკოვნიკს, გამოსთქვა თავის გაკვირება, აკრძალვით კი არ აუკრძალავს ამ გაზეთის ტრიალი აფიქრობაში.

ნაწილის უფროსი ავად ვახდა. ნაწილი მე ჩამხარდა, როგორც უფროს აფიქერს. ეს არ იყო სასიამოვნო რადგან ადვილად შესაძლებელი იყო თავზედ მოეხევიო ისეთი რამ, რის არსებით წინააღმდეგი იყავი. წაგებული ომის შემდეგ მეტი და მეტი მღვლეარება ემჩნეოდა ყველგან—ჯარშიაც და მცხოვრებლებშიაც. საიდუმლო განკარგულება განკარგულებაზედ მოდიოდა. მთავრობა ყოველთვის ჯარის იმედით იყო და ყოველ დღისათვის ინიშნებოდა მორიგი სადარაჯო გუნდი, რომელიც დაბარებისთანავე უნდა გაჩენილიყო ნაბრძანებ ადგილზედ. ყოველ წამს მზათ უნდა ყოფილიყავი რომ მოგთხოვდნენ გუნდს.

მასხოვს ერთხელ უკვე შესაღამოებული იყო—ჩვენი ნაწილიდან მოითხოვეს გუნდი. გუნდი წასასვლელად გაემზადა, — უნდა დამდგარიყო მანთაშევის ქარხნის ქვემო, ხიდზედ, უგრედ წოდებულ მანთაშევის გადასასვლელთან. აქ მუდამ ორომ-ტრიალი იყო, მუდამ ხალხი ფუსფუსებდა—ერთი სიტყვით სახიფათო ადგილი. ცოტა რამ კმარიყო, რომ უბედურება მომხდარიყო. გუნდი უნდა წაეღებინა აფიქერს (გუსკოვი იყო გვარათ) რომელიც ორი წლის წინეთ ანთაძის გუნდში იყო, მუშებთან რომ შეტაკება მოუხდა, ახლა ჩვენთან იყო გადმოსული. გამოვედი გუნდთან და მივმართე დარიგებით, — ვარიგებდი რომ ყოველივე მათი წინააღმდეგ ნათქვამ სიტყვას არ აყოლოდენ, დაეთმოთ თუ ვინმე მოქმედებითაც განიძრახოდა მათთან შეხმა-შეტაკებას, ზედ-მეტო მოთმინება უნდა იქონიოთ იმიტომ, რომ აღელვებულ ხალხს აღმათ რალაც აწუხებს ისე, იმ ზომამდე რომ თავს იფიქვენს და უთარაღო შეიარაღებულს აღარ ერიდება—ესე იგი საკვდილზედ მიდის თავის გაკირვების გამო. ეს ვაეალებთ თქვა, რომ მეტის-მეტე დამთმენი იყენეთ და გამწარებულ ხალხს მეტი გამწარება არ მიაყენოთ.

გაეიხმე განზედ აფიქერი და უთხარი:

— ივან მიხაილოვიჩი! ხომ გახსოვთ რა გამწარება გამოეცადეთ პერესილნი პუნკტზედ—ყველაფერი აიტანეთ ოღონდ ხიფათს აწორდეთ!

— იმედით იყავით!.. მწვედობით დეებრუნდებით! მომიგო მან. საღამოდან დილანდინ გუნდი გადასასვლელზე იდგა, არა შეხედრია რა გარშემო მოფუსფუსე აფარებულ ხალხთან.

რანოდენივე დღის შემდეგ ქარხნიდან სამი მუშა მოვიდა ჩემთან, მათ მითხრეს რომ მუშებმა გაიგეს თუ რა დარიგება მიეცა გუნდს როცა იგი იგზავნებოდა გადასასვლელზედ და დიდ მაღლობას გიძღვნიანო თქვენო და გუნდს რომლისაგან ერთი უკადრისი სიტყვა არავის გაუფონია, თმეცა ამისათვის ზოგი უგუნური საბაზს აძლევდაო.

ჯარისკაცებს და მუშებ შორის ეტყობოდა ახლო კავშირი იყო გაბმული: ამაში ნათლად დარწმუნდებოდი კაცი მათი ზონაყოლიდან. ამასთანავე თავს



ამოყაფდნენ ხოლმე „ერთგული“ ჯარისკაცები, რომელთა ყავდათ მეთაურებათ ჩვენივე ორიოდე აფიცერი, ნამდვილი რუსები, რომელთა სძულდათ არა-რუსი და რომლებიც ყოველივე უწყისობას აწერდნენ ამ არა-რუსთა ღალატს. ერთი ამ ტიპის აფიცერი იყო მებრძოლ გუნდის უფროსი, გვარათ ანდრეევი, საოცარი რუსაპეტი; მას ამაგრებდა ნაწილის უფროსი მის მიმართულებაში და იგი თავის გუნდში თავს უყრიდა ერთგვარ „ერთგულ“ ჯარისკაცებს. ეს უკანასკნელები ჯაშუშობდნენ, ჩემთა ხულიგნობდნენ იმ იმედით რომ ჯაშუშობისათვის ყველაფერს აპატიებდნენ. მებრძოლ გუნდი პირდაპირ ბუდე იყო ამ გარყვნილ ჯარისკაცების. კარგათ იცოდნენ ჩემი მათდამი განწყობილება, მე არ ვმალავდი ამას, მაგრამ იმედინათ იყვნენ ნაწილის უფროსის მხრივ და თავებულუათ ირჯებოდნენ ხშირათ, ნაწილის უფროსი ავიდ ვახდა, გოსპიტალში იწეა, ნაწილის მოთავეთ მე ვიყავი, მაგრამ მათი თავებულება მაინც იჩენდა თავს—გათამამებელი იყვნენ, რომ მათი „ერთგულობისათვის“ ყველაფერი ეპატიებოდათ.

ერთმა ამ თავებუთავანმა საოცარი საქმე ჩაიდინა.

რა მე ჩაედექი ნაწილის უფროსის ადგილის ნაწილში ერთგვარი მშვიდობიანობა ჩამოვარდა. ციხის კამენდანტმა ერთხელ კიდევ მითხრა—თქვენი უფროსობა მოხდა ნაწილს, ალბათ თქვენი პოლკოვნიკი ვერ ირჯებოდა საჭიროებისამებრ. მებრძოლ როტაში ვეღარ მოითმინა ფელდფებელის ადგილზედ ყოფილმა უნტერ-აფიცერმა თავისი ხულიგნობა რომ არ გამოეჩინა.

ახლად გამოწვეულ ჯარის კაცს, გვარად ჩაიკას, ცოლი მოუვიდა სოფლიდან (რუსეთიდან). ჩაიკა საწყალი, დამთხალი ახალგაზნა იყო; ცოლი—ლამაზი ქალი. ჩაიკა ავადებული ყავდათ გუნდში და როცა მისი ლამაზი ცოლი დაინახეს—უფრო ოუმახსარდნენ; ვაეცენენ ქალს და აეტორღილენ. ქალი ხშირად მოდიოდა ქმრის სანახავად, განგებ გვიანობამდი არ ატყობინებდნენ ჩაიკას ცოლის მოსვლას და ელაზღანდარებოდნენ ხოლმე. გუნდის უფროსმა უნტერ-აფიცერმა, ფელდფებელის თანამდებობის აღმსრულებელმა, რიბაკოვმაც მოიწონა ჩაიკას ცოლი და გახუმრების შემდეგ ჩაიკას ნების აძლევდა ცოლი უახარმაში მიეღო ხოლმე; მერმე თავის ოთახშიაც პატივობდა და ერთ დღეს, როცა რიბაკოვმა ოთახიდან ყველა გამოორეკა, კარი ჩაუკეტა ქალს და რამოდენიმე ხნის შემდეგ ატირებული ქალი გამოვიდა—ყველამ გაიგო რაც ჩაიდინა რიბაკოვმა და შეიქმნა ერთი სიცილი, სტენვა, ყვირილი. მიხვდა ჩაიკაც რაც მის თავზე ამბავი იყო; გონება დაკარგული გავარდა შეშის საწყობისაკენ და თავის ჩამომოხრობა გააპირა. იგი კიდევ გამოესალმებოდა ამ სოფელს, რომ არ მისწრებოდნენ და არ ჩამოეხსნათ პაწიოდან. მაინობეს ეს ამბავი, დავნიშენ გამოძიება და გამოძიებამ გამოარკვია ის რაც ზემოთ მოვიყვანე. გამოძიება გაუგზავნე ციხის უფროსს, ვენერალს, რომელს ჩვენი ნაწილი ექვემდებარებოდა და ვითხოვე, რომ რიბაკოვისათვის ჩამოერთმიათ მისი უნტერ-აფიცრობა. გენერალმა ჩამოართვა უნტერ-აფიცრობა და დაატუსაღა. გუნდის უფროსი გულმოდგინეთ ექონაგებოდა თავის „ერთგულს“, მაგრამ არა გაუფიდა რა. მე მამრალეზდა რომ სდევნილა ამისთანა „ერთგულ“ ჯარისკაცებს როგორც არის რიბაკოვი. განზე ბუტბუტებდა გუნდის უფროსი და უცდიდა პოლკოვნიკის გამოსვლას გოსპი-

ტალიდან. პოლკოვნიკს გოსპიტალიში შეატყობინეს, რომ მე ვსდევნი „ერთგული“ ვინც არის და რომ ტყვილა უბრალოთ დავსაჯე რიბაკოვი. როცა პოლკოვნიკი გამოიწერა გოსპიტალიდან მე მისაყვედურა რომ ასეთი კარგი კაცი დავსაჯე, როგორც რიბაკოვი, რაღაც უბრალო შეცდომისათვის, თუ კი ადგილი ქონდა შეცდომასათ და რამოდენიმე თვის შემდეგ, რაღაც უბრალო შემთხვევა იშოვა და ჩემდა შესარცხვენად, იმდენი შევეცადა რომ რიბაკოვს დაუბრუნა უნტერ-აფიცრობა. მახსოვს ამან დიდი ლაპარაკი გამოიწვია, როგორც აფიცრებში, ისე ჯარის-კაცებში.

მონასტერი ირეოდა.

გენერალი მადლობას მეუბნებოდა, ნაწილის უფროსი კი გულმწკრალოდ იყო ჩემზე, მამრალემა რომ ისე არ ვიქცეოდი როგორც საჭირო იყო სამხედრო პირისათვის. ხან და ხან დარიგებასაც მაძლევდა თუ როგორ უნდა მკავებოდა თავი.—თქვენ ხშირად რჩებით ჩემ მაგიერ—მითხრა მან ერთხელ და უნდა ვახსოვდეთ რომ მაშინ თქვენ გიჭვტ ნაწილის უფროსის ყველა უფლებანი. თქვენ უფროსი ხართ და ნებას არ უნდა აძლევდეთ აფიცრებს მოგმართონ თქვენ სახელით და მამის სახელით. უნდა მოგმართონ გოსპოდინ კაპიტან, თქვენ ამ დროს უკვე მათი ამხანაგი არა ხართ—ეს უნდა შეიგნებოთ მათ—ამაშია დისციპლინა და ამ დისციპლინას უნდა იცავდეთ მტკიცეთ! დამიჯერეთ, გამოცდილი მგომარს!

— მაპატიეთ, მე ვერ ავასრულებ თქვენ რჩევას—ჩემის ახრით ასეთი ახლობლობით უფრო გაიტანება საქმე და ადვილდება მოქმედება... ვერც რა-რიგით ვუბრძანო რომ დღეს მიძახეთ გოსპოდინ კაპიტან, ხვალ დავით სამსონიჩ! მაპატიეთ და მაგას ვერ ვიზამ! და მისდა ვასაჯერებლად დაუმატე:—მე იმისაც ვერ დაუშლი როცა ჩემს შემსცირობული სახელით მომმართავენ, ეს მე შექმნება კიდეც!

— უცნაური კაცი ხართ! თავის ქნევით თქვა პოლკოვნიკმა—წააგებთ მაგით, დაიმახსოვნეთ ჩემი სიტყვა.

დიდათ საწყინარი ქონდა როცა, მის ავადმყოფობის დროს ერთ აფიცრს, რომელმაც ნაჩუბარებათ, რადგან ოცდა რვა წლის არ იყო და ფული ვერ წარმოადგინა (უნდა წარმოედგინა ხუთი ათასი მანეთი—ასეთი იყო კანონი) ცოლი შეართო და როცა შეუსრულდა ოცდარვა წელიწადი განცხადება შეიტანა ნება დაერთოთ დაქორწინებისათვის, ამ აფიცრს უპირებდა პასუხისცემაში მიცემას, როგორც კანონის დამრღვევს და ისეთ პირს რომელმაც შეირთო თუნცა საბუთით აზნაურშელის ქალი, მაგრამ საეჭვო აზნაურის. ერთი სიტყვით ვაიბა ემაწვლილი აფიცერი, რომელიც რაღაც მიზეზს ვამო არ მოსწონდა, ვაიბა ერთ დავიდიარაბაში. დატანჯა საწყალი ახალგაზდები. ვისარგებლე მისი ავადმყოფობით, შეუჭდი ციხის უფროსს, გენერალს და ისე შევაჯერე იგი რომ მან დააკანონა ამ აფიცრის დაქორწინება. პოლკოვნიკი დიდათ უკმაყოფილო დარჩა ჩემი და მისაყვედურა არ უნდა გექნათ—დოლინინი (აფიცრის გვარია) ვერ არის რიგიანი აფიცერიო. მე არ ვიცი რაში ატყობდა იგი ურიგობას, მხოლოდ ჩემს შესახებ მან მართლა და ურიგობა გამოიჩინა—რამოდენიმე თვის



შემდეგ, არეულობის დროს, იგი იყო ერთი ხუთ-ექვს აფიცერთ შორის, რომლებიც მხარს უჭერდნენ ჩემს წინააღმდეგ პოლკოვნიკს და ამოწმებდნენ რომ მე პროპაგანდის ვეწეოდი აფიცრებსა და ჯარის-კაცებსში. ამით მდგომარეობას იკეთებდა საწყალი მის გუნებაში, მაგრამ შემდეგში ეს საბოლოოდ გაუხდა ჩემთან.

როგორც ზემოთ ვთქვი მონასტერი ირეოდა, ირეოდა დღე-დღეზე უფრო და უფრო. ქერა უფრო და უფრო ვრცელდებოდა, მაგრამ მუშებს ეს არ აწინებდა, თითქმის უფრო ათამამებდა კიდევ. ქუთაისში ლადო მესხიშვილმა დასდგა მონტის პიესა „კაი გრაკიბი“. პიესამ დიდი აღტაცება გამოიწვია საზოგადოებაში. ბათუმის მუშებმა საგანგებოთ მიიწვიეს ლადო თავისა დასით, რომ ეთამაშა ეს პიესა ბათუმის მუშების წინაშე. საკვირველი იყო როგორ გააპარეს ცენზურას ეს რევოლუციონური ნაწარმოები. მახსოვს მისი წარმოდგენა ბათუმში ლადოს დასის მიერ. ეგრედ წოდებული რკინის თეატრი ვაკედელი იყო ხალხით. ყოველი ცხარე სიტყვა კაი გრაკის, რომელს ასრულებდა ლადო მისებური შნოით, იწვევდა ტაშის ცემას და გრიალს. აღტაცება თანდათან მატულობდა და წარმოდგენის დასასრულს უშვევრვალეს წერტილამდე მივიდა. მღელვარე ხალხმა თეატრშივე დასძახა მარსელიეზა. გუგუნით გამოვიდა თეატრიდან და რკინის ლიანდაგით გაემართა ბარცხანასა და გოროდოკისაკენ. ვადმოქართულებული მარსელიეზას სიტყვები მკაფიოთ ისმოდა ლამეში.

მე და ორი ჩემი ამხანაგი—აფიცრები (ჯაყელი და კამოყვი) გამოვიდით რა თეატრიდან, ჩვევქვით მარხილში, ზამთარი იყო, და ვავსწიეთ ჩვენი ბინისაკენ. ვილაცამ თვალი მოვვკრა, შეგვნიშნა რომ აფიცრები ეიყავით, და მოგვაყვირა:

— შეფის მონები!.. ოპრჩნიკები!

ამას აყვენ სხეები და შეიქმნა ერთი ყვირილი, სტვენა, ლანძღვა-გინება ჩვენ მიმართ. საძაგელ მდგომარეობაში ჩავარდით. მივატანეთ ამ ყიყინში ელექტრონის ფარნამდი. სანათლევედ კარგად გაგვარჩიეს და გაისმა ხმები: გაიუმდით, გაიუმდით, კლდიაშვილია... ჯაყელი... იმღერეთ!

შეწყდა შემოძახება, სტვენა და მალე მარხილშიაც უკან მოიტოვა რევოლუციონური სიმღერებით მომავალი ხალხი. რამდენიმე დღის შემდეგ ჩემთან მოვიდნენ როტნილდის ქარხნიდან სამი მუშა-მუშა მოსე ბაბილოძის მეთაურობით და ვადმომცეს რომ ლამეში ვერ გაარჩიეს ვინ მოდიოდით მარხილით და შეუფერებელი სიტყვებით მოგმართესთო.

— ნუ გეწყინებათ, ამბობდნენ ისინი—ასეთი შემთხვევა უნებურათ შეგხვდება, თორემ ჩვენ ვიცით ვის პატივისცემით უნდა ვხვდებოდეთ და ვის სიცოცხლე გაუმწაოთ!

მღელვარება თანდათან მატულობდა, მატულობდა ქერა და დატუსაღება მუშებსა და ჯარისკაცებს შორის.

ერთ დღეს ბათუმის ქუჩები მოიფინა განცხადებით და ბრძანებით—გამოცხადდა ახალი ბრძანებელი—ბარცხანის გუბერნატორი, როგორც იგი უწოდებდა თავის თავს. მთავრობის გუბერნატორი სრულიად დარდილა ახალად გამო-

ჩენილმა „ბარცხანის გუბერნატორმა“; ამის ბრძანებებს გაცილებით მეტი ძალა ჰქონდა თელათ ბათუმლების თვალში ვიდრე მთავრობის გუბერნატორს. ქალაქის ცხოვრების ხელმძღვანელი, გამყარებული, ნამდვილი მართველი შეიქმნა ეს „ბარცხანის გუბერნატორი“ რომელს მთავრობა გამწარებით დაეძებდა, რომლის ვინაობის გაგებას თავგადადებით მაცადინობდა, მაგრამ მშრალზედ რჩებოდა. ვერაფერ ვაიგო ვინ იყო ეს ახალი გუბერნატორი, საიდან გაჩნდა, ვინ იყო მასთან მომუშავე, არაფერ იცოდა მისი ვინაობა, მაგრამ ყველა მისი ბრძანების აღმასრულებელი, მისი სიტყვის მორჩილი, ვამგონი და გამყოლი იყო. საოცარი გავლენა ჰქონდა ყოველ მის ბრძანებას; მას ემორჩილებოდა თელი ქალაქი, მისი შიშის ქვეშ იყვნენ თვით მთავრობის წარმომადგენლებიც. „ბარცხანის გუბერნატორი“ უზინარი ნამდვილი დიქტატორი იყო და ეს დიქტატორობა მას შერჩა კარგა ხანს—იმ დრომდე სანამ რეაქციამ არ გაიმარჯვა.

თელი ქალაქი შიშის ქვეშ იმყოფებოდა; ყველანი არეულობის მოლოდინში იყვნენ. მთავრობა გახურებულ მუშაობაში იყო რომ მაგრამ დახვედროდა ამგვარ ხალხს, გაფაციკებით დაეძებდა ზომებს, რომლითაც შეიძლებოდა ხალხის დაწყნარება, დამორჩილება. არეულობის მოლოდინის შიშმა განსაკუთრებით იმატა თებერვლის დღეებში—ცხრამეტი თებერვალი, ძველი სტილით, გლვითა განთივისუფლების დღე იყო და ამ დღეს ყოველთვის დღესასწაულოდნენ, ახლა იმის შიში შეიქმნა რომ ამ განთივისუფლების დღეს გამოსვლა არ მომხდარიყო. ამისი შიში ჰქონდათ და მთავრობის წარმომადგენელი რჩევებს მართაფდნენ რჩევებზედ. ერთ ამ რჩევებზედ, ციხის უფროსისაგან მიწვეულს, მეც დავესწარი, რადგან ნაწილის უფროსი ისევე ავად იყო და მე ვასრულებდი ნაწილის უფროსობას, ასე რომ მათდა უნებურად იმისთანა არა სასიამოვნო პიროვნება, როგორც მე ვცაყვი ბევრი იმთავანისათვის ვინც ამ საღამოს იყო თავშეურილი. საკითხი იყო დისმული თუ რა ზომები მიეღოთ ცხრამეტი თებერვლის მოსალოდნელ გამოსვლის წინააღმდეგ. განსხვავებული აღვლევით ლაპარაკობდა ერთი ინტენერი პოლკოვნიკი, რუსაშეტი რომ იტყვიან: იგი გამოსთქვამდა ცხარე სიტყვებით თავის მწუხარებას, რომ ყოველ ნაბიჯზედ ქუჩაში ხედებოდა ისენი ვინც ამ არეულობისათვის იყვნენ გამზადებულნი და დადიოდნენ თავისუფლათ, თამბაათ, უშიშრათ, მომლოდინე ხელსაყრელ წამისა და მედიდურათ გამოიყურებოდნენ, რადგან კანონი საშუალებას არ იძლეოდა მათდა დისკავებლათ.

— იგი მიდის ამ ქუჩაში თქვენი თვალის წინ!.. ის გეჩხირებთ თვალში თავის ცისფერ თეთრ კოპლებიანი ბლუზით, ერთგვარი ქუდიით თავზედ, ხანდახან ნაბად მოხურული—ვიცი რაც ვაგბატონი ბრძანდება, რა ფიქრებს ატარებს თავში, რა განძრახვებით არის აღვსილი—ვიცი, ვუყურებ და გულზედ ვსკდები რომ კანონი ნებას არ იძლევა სტაცო ხელი და გულის საჯერათ მოეპყრო. ეს სისუსტეა და იგი ათამამებს მათ და პირში დაგვცინიან მოჭრიდებლათ; ვეთავაზებთ, საჭიროთ ვხდით ვუმტკიცოთ თუ რა მიმართულების და განძრახვის ხალხნი არიან—როცა აქ საჭიროა სასტიკი ზომების მიღება, რომ



მოცხნაით ამისთანა საზიზღრები და თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი აღრევა და უწყსრიგობა!

ლაპარაკი ჩამოვარდა, რომ დაქერილთა რიცხვი ნამეტნავად იზრდებოდა და დასატყევი ადგილი თითქმის აღარ არისო. ეს საკითხი წამოაყენა გუბერნატორმა გენერალმა დრიაგინმა.

— რამოდენიმე დღის შემდეგ ჩვენ უცნაურ გაქირვებაში ჩავარდებით— დასაკავებელი ბლომათ იქნება, მათი მოსათავსებელი ადგილი კი არ გვექნება, თქვა მან,— უკანასკნელი დაქერილები ბურუნტაბიეში (სიპაგრე ზღვის პირას) მოვითავსეთ... ახლა იქაც ვაივსო! ამაზედ უნდა ვიუიჭროთ!

— მე მგონია აქ მაინცა და მაინც დიდი თავსატეხი საქმე არ არის! სულ უბრალო საშუალებით მოვიშორებთ ამ არა სასურველ ელემენტს თავიდან და ახლებნისათვისაც ადგილი გვექნება! თქვა ნავთსადგურის უფროსმა ზღვის კაპიტანმა.

— ესე იგი? შეეკითხა გუბერნატორი.

— გადმომეკით თქვენი ტუსალები მე. გადმოიყვანეთ ერთ-ერთ ბარკასხედა ბარკასს გაფიყვანთ შუა ზღვაში და თქვენ თავისუფალი იქნებით ამ არამზადებისაგან! განმარტა ნავთსადგურის უფროსმა. ნათქვამმა ეტყობოდა ყველა გააკოცა. ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე.

— ჩვენ აქ მგონი სერიოზულათ ვლაპარაკობთ! თქვა დრიაგინმა.

— მეც სერიოზულათ ვლაპარაკობ! წაილაპარაკა მეზღვაურმა.

— არა, ამგვარ წინადადებას მგონია აქ არ მიიღებენ! ასეთი რამ შეუძლებელია!.. თქვა დრიაგინმა.

— თქვენი ნებაა!—მე კი მგონია ეს შესაძლებელიც არის და ადვილათ მოსახერხებელი!—არ წყნარდებოდა მეზღვაური—რა საჭიროა ცერემონიები?!.. ვისთან?!.. ჩაიძირება ერთი დამალი ბარკასი—და თან ჩაიტანს ყველის ისე, რომ ვერაეინ ვერას გაიგებს იმათ შესახებ!

ეს ნამდვილი აზნავია. ამა მხეცურმა წინადადებამ შეკრებილობაზედაც მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა და ამ მხეცი მეზღვაურის წინადადება უარყოფილ იქნა.

ამგვარ მხეცურ წინადადებებს მშორად იძლეოდნენ სხედასხვა პირები.

ახლად დანიშნულ გუბერნატორათ გენერალ პარკაუს მიწვეულ კრებაზედ (ამ კრებაზე მე არ დაესწრებივარ) განდარმის როტმისტრმა როკნოვმა წინადადება შეიტანა: ხალხის შესაშინებლათ წითელი მამალი ავაფრინოთო. ეს ისე უტიფრათ წარმოისრულა როტმისტრმაო, მითხრა ამის გადამოცემა, კრებაზედ ყოფილმა პარუზიკმა ჩეჩელაშვილმა, რომ თავი ვერ შევიკავეო და როტმისტრის ნათქვამს დაერთო—დაეიწყათ აღუქსანდროვის ბალიდან!

ე. ი. პირველად ცუცხლი უნდა გაჩენოდა გუბერნატორის სახლს, ის იყო პირველი სახლი აღუქსანდროვის ბალიან. ჩეჩელაშვილს გადაკრულათ ნათქვამს რასაკვირველია მიუხედავად, შესწყვიტეს თურმე ლაპარაკი „წითელ მამალზედ“, ჩეჩელაშვილს მაშინ არა ანანებდეს მისი სითამამე, მაგრამ შემდეგ კი გაუხიენეს და დაუწყეს დევნა.

ნავთსადგურის უფროსის რჩევა სულ მივიწყებდას არ მისცემია. ერთ დღეს ჩემთან მოვიდა ჩემი ამხანაგი აფიცერი, გვართ ევანგელიდი, საოცარი ალღევებული. მან მითხრა რომ მიმინმეს ციხის შტაბში და იქიდან გამაგზავნეს გუბერნატორთან ბრძანების მისაღებათ. ბრძანება მისცა გუბერნატორმა ბურუნტაბიიდან გამოეყვანა დატუსაღებულები და გადაეყვანა ნავთსადგურის უფროსისაგან ნაჩვენებ ბარკასზედ; ბარკასი უნდა გაეყვანათ ზღვაში და იქ ჩაეძირათ მასზედ მყოფ ხალხით ღამით. ევანგელიდი მითხრა პირდაპირ გადავირიე ესეთი ბრძანების ასრულებას რომ მაკისრებდენო; ჯერ შევეყითზე რატომ მე ამოშირჩიეს ამისთანა საქმის შემსრულებლად, მერმე პირდაპირ გამოუცხადე რომ არაფრის გულისათვის ამგვარ ბრძანებას არ შევასრულებო და თუ ვინმე სხვა გამოჩნდა ამის შემსრულებელი მე გამოვაქვეყნებ ამის და ქვეყანას გაავაგებინებო. ძრიელ შეწყუბუნენ თურმე რომ შეცდნენ და ამ აფიცერში არ აღმოჩნდა ისეთი პირი როგორც მათ ეგონათ და ესაჭიროებოდათ. ბურუნტაბიის ტუსაღები საზარელ სიკვდილს გადაარჩენ; ევანგელიდი გამოისტუმრეს — მხოლოდ უბრძანეს რომ არ გვეხმაურებინა ეს ამბავი. მაგრამ მან მაინც ვერ დასძლია ჩემთვის არ გაეგებინებია.

— ვიცი რალკას დამმართებენ ჩემი ურჩობისათვის, მაგრამ ჩემი სინდისი თავისუფალი მექნება... რომელმა ჩემმა საქციელმა დააიმედათ, რომ მე შეეასრულებდი ასეთ საზიზღარ საქმეს, შეკვირს!.. რაც უნდათ ის მიყონ! აღელვებით დაათავა მან თავისი ამბავი.

არ ეპატია ევანგელიდის მისგან ბრძანების შესრულებლობა მოკლე ხანში იგი ბათუმიდან გადაეყვანეს მიკოპისკენ ერთ-ერთ უახახთა პლასტუნების ბათალიონში სადაც ათას უბედურებაში ვახვეული ძლივს გადაარჩა ცოცხალი.

ცხრამეტი თებერვლის, გლეხთა განთავისუფლების დღისათვის, არეულობის მოლოდინში დიდ მზადებაში იყო ქალაქის უფროსობა. რა არეულობები დაიწყო სამხედრო მთავრობა ყოველ დღიურათ ნიშნავდა განსაკუთრებულ მორიგე უფროს აფიცერს და თითო კვირაობით აცხადებდა თუ რომელ დღეს რომელი ნაწილიდან რომელი აფიცერი ინიშნებოდა მორიგეთ. წინა გაწერილობით მე ძალიან ამოირებული ვიყავი თვრამეტსა და ცხრამეტ თებერვლის მორიგეობას, ესე იგი ერთრიგათ ამოირებული ვიქნებოდი თუ მართლა რამე გამოსვლა იქნებოდა. გულდაწყენარებულად ვიყავი. მაგრამ ეს გულდაწყენარება მალე მოიშალა: ერთ საღამოს მოსულ ბრძანებებში ახალი, შეცვლილი მორიგეთა გაწერილობა იყო და ამ შეცვლილი გაწერილობით მე ვინიშნებოდი მორიგეთ თვრამეტის თორმეტ საათიდან ცხრამეტ თებერვლის თორმეტ საათამდინ, ესე იგი თუ გამოსვლა-არეულობა მოხდებოდა მე უნდა ვაგზავნილიყავი ცეცხლში — პირდაპირ განძრახ შედგენილი გაწერილობა იყო, ეჭვი არ უნდოდა, რომ თუ რამე მოხდებოდა მე დამტეხიდა თავზედ. ამკარა იყო რომ მე მაგდებდენ განსაცდელში. მე დი ჩემი ბედი-ვოქევი და არც კი შევკითხებივარ შტაბში თუ რატომ შეცვალეს წინანდელი გაწერილობა და ახალში მე რომ მომაქციეს მორიგეთ თვრამეტ-ცხრამეტს.

ჩაედექი მორიგეთ. თვრამეტს მშვიდობიანობაა; ცხრამეტს დილიდან ტე-



ლეთონები ამუშავდა-კითხულობენ ყოველ წამს ხომ არაფერი ცნობააო საიდან-მეო. სრული სიწყნარე და მშვიდობიანობა. ახლოდებდა თორმეტი საათი-გამო-ცვლის დრო. უკვე თორმეტია... თორმეტს გადაცილდა; შემცვლელი არსად არის. ტელეფონი აწიკწიკდა. ეჭვსა და ღმერთი...
 — შტაბიდან... ცნობა მიღებული აღექსანდროვის ბაღში ხალხი გროვდება, მღერიან რევოლუციონურ სიმღერებს-მიიღეთ ზომა... გაფანტეთ დაუყოვნებლივ... ყახახებს მოგაშველებთ!

ვინმე ჩემს განკარგულებაში მყოფი ყახახი, უბრძანე გამოეცვანა ცხენი; შევედვი, ყახახს უთხარი მოშორებით გამომყოლოდა და გავსწიე აღექსანდროვის ბაღისკენ. მივდივარ და თან ფიქრს ვეძლევი რა რიგით დამიხვდება შეგროვილი ხალხი, რა სიტყვით მივმართო, მათში ბევრა ჩემი კარგი ნაცნობები იქნებიან. მაგრამ ჩემი ხათრისათვის ხომ არ დაიშლებიან და გაიფანტებიან—თავს არ იზოგავენ და ხათრს რა ადგილი შეიძლება ჭონდეს, რაც იქნება ის იქნება... ოღონდ საბარცხენო მოქმედებას ავცდე!

მივდივარ, კაცის ნახახი არსად სჩანს ქუჩაში. ცხენის ფეხის ხმა უსიამურათ გირტყამს ყურში. ვადუბნებ მეორე ქუჩას, აგერ აღექსანდროვის ბაღი... სიწყნარე, სიჩუმე; არ ისმის მღერა, მივდივარ ბაღის დაყოლებას... ბაღში ერთი კაცი არ სჩანს; ჩვევარე ბაღი, ციხის მახლობლათ ვარ. ციხის კარებთან დგანან ათიორდე კაცი, სხვაგან არსად არა სჩანს სულიერი. წავედი ამ ჯგუფისკენ. რამდენიმე კარებთან მდგომი ვამოხრდნენ კარებს და ჩემსკენ წამოვიდნენ.

— ოჰ, კერკეთია! რა ამბავია?—ეს როტშოლდის ქარხნის მუშა იყო.

— შეიღობა ბატონო!.. ხუთშაბათია დღეს, ნახვის დღე... ამხანაგების სახანავათ ვიყავით,—მომიგო მან,—თქვენ რამე გავსარჯათ, დავით? მომღიზარო სახით მომწართა კერკეთიამ.

— ცნობა მისვლია შტაბს ბაღში აუარებელი ხალხია თავშეყრილი და რევოლუციონურ სიმღერებს მღერიანო!

— არა, ბატონო, დღეს არავინ გამოვა, თავს ტყვილი არავინ შეაკლავს.. ყველამ ვიცით რომ დღესათვის დიდი მზადება აქვს მთავრობას... თუ რამე გადაწყდა უფრო მოსახერხებელ დროს ამოვარჩევთ!.. დღეს არაფერი იქნება! გეიტინა კერკეთიამ. გამოვბრუნდი და ის იყო ბაღის ყურეზედ მოველი თუ არა ვაზნენსკის ქუჩით მოქრის ჩვენსკენ ცხენოსან ყახახთა ჯგუფი, მოქრის-მტვერში გახვეული. დამინახეს და ერთბაშით შეჩერდნენ.

— თქვენს განკარგულებაში! მომახსენა ურიადნიკმა.

— არა ხართ საჭირო... გაბრუნდით უკან კაზარმაში! უთხარი და იქვე გაეაბრუნე ჯგუფი. უკანა ვაზნედაც ქუჩაში არავინ შეშვედრია. შიშს მიცემული მცხოვრებნი შეყურებულიყვნენ თავიანთ ბინებში და ეშინოდათ გარეთ გამოსვლა. გვარიანი დავვიანებით ჩემი შემცვლელი მორიგეც გამოჩნდა. ეს იყო არტილერიის პოდპოლკოვნიკი, კიეველი გინაზიელი ე. ი. ჩემი ნაამხანაგარი.

— პეტრ დანილიჩ, კარგათ დაგვიანე გამოცვლა!.. ყველა შეგაშინათ დღევანდელმა დღემ მე გამწირეთ ვითომ!.. არაფერია, ბუდი ჩემი მწყალობელი!

— შტაბში შემაჩერეს... მერე ბრძანება შენ ვადმოგცეს და მეც აღარ ვეჩქარე! მომივო მან დარცხენილათ.

ყველა შიშ ქვეშ იყვნენ; შიშიც ვრცელდებოდა და მატულობდა, რადგან არეულობა იზრდებოდა და იზრდებოდა, გურიის ამბებს დასასრული არ უნდა; აქაურობას ცუცხლი ჰქონდა მოკიდებული. აქაური ამბები ყოველგან ეფინებოდა. მთაერობამ შეისმინა მშვიდობიანობის მომხრეთა რჩევა და გურიაში ვაგზაენა მეუვის მოადგილის თანაშემწე სულთან-კრიმგირეი. სულთან კრიმგირეი დადიოდა სოფლიდან სოფელს და ეკითხებოდა ხალხს თუ რა აწუხებდა მას, რას თხოულობდა, რა აღელვებდა. გურულები გულახდილათ უკვებოდნენ კრიმგირეის ყველაფერს და ესეც დიდის ყურადღებით უსმენდა მოლაპარაკეთ. მთაერობა აქ ისე შიორს წავიდა, რომ ნებაც კი მისცა ყველაფერი ნათქვამი გაზეთებში მოყვანილიყო. კრიმგირეის თან დაყვებოდნენ ვაზეთების სავანგებო კორესპონდენტები; ამათში ერთა ისეთი პირიც როგორც იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე-მწერალი ილიკო ნაკაშიძე, რომელიც ხელმძღვანელობდა კრიმგირეის და აგნებინებდა მდგომარეობას. მთაერობა ეტყობა ცდილობდა მშვიდობიანი გზით მოესპო არეულობა.

სხვა ხასიათის იყო იმავე ხანებში მოგზაურობა მეუვის მოადგილის მეორე თანაშემწის გენერალ მალამასი და კავკასიის სამხედრო საოლქო შტაბის გენერალ გრიაზნოვის. ესენი დადიოდნენ სამხედრო ნაწილებში ელაპარაკებოდნენ აფიცრებსა და ჯარის კაცებს.

ზაფხული იყო მალამა და გრიაზნოვი ბათუმში რომ ჩამოვიდნენ. ჩენი ნაწილი ბანაკათ იდგა ზღვის ნაპირზედ. მივიდნენ ბანაკში ორივე გენერლები — მალამა და გრიაზნოვი, მალამა, როგორც უახახთა გენერალი, ჩოხაში გამოწყობილი; მშვიდობიანი სახის გამომეტყველებით, ჰალარა, იგი განხედ დგებოდა თითქმის და ლაპარაკსაც, სიტყვის უთნობდა გრიაზნოვს.

გრიაზნოვი დიდი პატრიოტი-რუსი იყო. რუსეთის გადალმა მას არა სწამდა რა. რუსეთის ერთმა მძლავრმა წრემ ამოარჩია იგი და გამოგზავნა თბილისში რომ სუსტ-რბილ ფორონცოვის გვერდით ყოველიაყო მავარი, მკაცრი, შეუღრეკელი პირი-რუსეთის პოლიტიკის მძლავრი გამძლოლი.

მალალი, მოქნილი, სასტიკი გამომეტყველების სახით, მკვეთრი სიტყვით მოლაპარაკე იგი შეხედულობითაც სასტიკი იყო. გვარდიის გუსარი, გენერალური შტაბის გენერალი, მედიდური, როცა გელაპარაკებოდათ უსათუოთ იგრძნობდით რომ იგი თქვენ არაფრად არ გავდებდათ და მოწყალებათ უნდა მიგელოთ რომ მისგან არ ისრისებოდით.

დაგვაყენეს ჯგუფებათ: აფიცრები ცალკე, ცალ-ცალკე ფელდფებელები, უნტერ-აფიცრები და ჯარისკაცები. მალამა განხედ გადგა; ჯგუფებს ელაპარაკებოდა მხოლოდ გრიაზნოვი.

— იცით, რასაკვირველია, ბატონები, — მოგვმართა მან-რაც ამბები ხდებდა ამ უკანასკნელ ხანებში. მე დამავალი გრაფმა მენახეთ და ვადმომეცა მისი ღრმა რწმენა, რომ თვითთული თქვენთავანი მტკიცეთ შეისრულებს თავის მოკვლეობას და აასრულებს წმინდათ მიღებულ ფიცს. მეც დარწმუნებული ვარ



ამაში და ვფიქრობ ნება შექნება თქვენგან გადავსცე გრადს თქვენნი თანახმობა და შეუღრეკელი გადაწყვეტილება ემსახუროთ უკანასკნელ წუთამდე თავგადადებით მეტეს და სამშობლოს!

ხმა არავის ამოუღია. გენერალმა ჩამოუარა ყველა ჯგუფებს, ესაუბრა ცალ-ცალკე. მალამა განმარტოებით იდგა; როცა გრიაზნოვმა გაათავა ჯარის კაცებთან ლაპარაკი, იგი მივიდა მალამასთან; გენერლები ჩასხდნენ ეტლში და წავიდნენ ბანაკიდან; ჩვენ კარგა ხანს ვიდექით ხმა ვაკმენდილნი—ეგრანობდით რომ რალაც მოახლოვებულ უბედურების წინაშე ვიდექით, ეტყობოდა რალაც განსხვავებული შხადება იყო.

ამ ხაფხულში ხშირ-ხშირათ დავდიოდი ბათუმიდან სოფლად, სადაც მყავდა ცოლ-შვილი. სოფელელები მეზობლები მთხოვდნენ ხშირად მეწლო და მეცნობებია მათთვის ნამდვილი ამბები იმის შესახებ რაც გარშემო ხდებოდა. მეც ხათრს არ უტეხავდი მეზობლობას და სოფელში ამოსვლისას დაღვებით ვუყვებოდი ხოლმე რაც ხდებოდა ჩვენს გარშემო. ხალხი უცნაურათ ღელავდა. „ერთობა“ ისნოდა ყოველ ფეხის ნაბიჯზედ; ყველანი „ერთობა“-ში უნდა შესულიყო, „ერთობა“-სათვის ფიცი უნდა მიეღო; ვინც „ერთობა“-ს განზედ უღვებოდა იგი სასტიკათ იდევნებოდა. სოფლად მაპასახლისი თითქმის განზედ იყო მიტოვებული, მეტი ძალა და გავლენა ქონდათ ახლად ამორჩეულ ასისტანტებს და ათისთავებს. ხშირად იმართებოდა მიტინგები—მრავალ რიცხოვანი მიტინგები დღისით; ამ მიტინგებზედ ხალხს ელაპარაკებოდნენ მოსული „მქადაგებლები“ როგორც ამათ ეძახოდნენ.

ერთხელ ჩემს სოფლად ყოფნის დროს, წერილი მომივიდა-მატყობინებდნენ ხელ სათემო მიდორზედ სკოლასთან დიდი მიტინგი იქნებაო და რასაკვირველია თქვენთვის იგი საინტერესო იქნებაო და იმეღია დაესწრებითო, მწერდნენ მიტინგის მოწყობნი. მეორე დღეს დილიდან სოფელი ამოძრავდა. ჩემი სახლის ბალკონიდან ვუშვრდი რა რიგათ მიეწურებოდნენ ქალები, კაცები, ბავშვებიც მიტინგისთვის დანიშნულ ადგილისაკენ. როცა მე მივედი დიდი მინდორი საგეს იყო ხალხით. ელოდნენ სვირიდან „მქადაგებლებს“. „მქადაგებლებმა“ დაიგვიანეს მოსვლა, მაგრამ ეს აუარებელი ხალხი მოთმინებით უცდიდა მათ. კარგა ხნის დაგვიანების შემდეგ გაჩნდნენ ესენიც. მოსულმა ყმაწვილ-კაცებმა დაიკავეს ადგილი სასწავლებლის ბალკონზედ; ხალხი მოქუჩნდა ბალკონის წინ და დასხდნენ მიწაზედ. ჩამოვარდა სიჩუმე; ყველანი სმენად იყვნენ გადაქცეული. დაიწყო ქადაგება. ლაპარაკობდა ყმაწვილი კაცი; ლაპარაკის კილო თავიდან ვაცხარებული იყო; „მქადაგებელი“ მოუთხოვდა იმ უსამართლობაზედ რომლით ტანჯავდა მთავრობა ხალხს, იმ შევიწროვებაზედ რომელში იმყოფებოდა ხალხი მთავრობისაგან, მთავრობის სისასტიკეზედ, ხალხის უფულებობაზედ, მთავრობის შეუბრალებლობაზედ და ყოველ ამისგან ხალხის გკონომიურად დაცემაზედ და გაღარიბებაზედ. სამწუხაროთ ბშირათ იხმარებოდა ხალხისთვის გაუფებარი სიტყვები, რაც, სმენად გადაქცეულ ხალხს, აშკარად ეტყობოდა უმძიმებდა ნათქვამის სრულად გავებას. მიუხედავად ამისა ადგილიდან არაეინ დაძრულა სანამ მქადაგებლებმა თავიანთი სათქმელი არ



გამოლოცეს და მახლობელ სოფლისაკენ პირი არ ჰქნეს, რომ მეორე დღეს იქაც ეჭვდავნიო.

ამ ხანებში ქუთაისის გუბერნატორათ იყო ცნობილი სტაროსელსკი. იგი იყო აგრონომი, ზესტაფონის მახლობლად საქარის სანერგეს ვაზზე. მას ჰქონდა მინდობილი ფილოქსერასთან ბრძოლის წარმოება, რასაც იგი აწარმოებდა დაუღალავად, ცოდნით და გულწრფელად, რის გამო დიდათ ხელი შეუწყო განადგურებულ შეგენახეობის აღორძინებას. მასთან მუშაობდა დიდძალი ხალხი, ვარს შემოსვენული ყავდა ახალგაზრდობა, რომელნი მუშაობაში ვანეთიარების გარდა, ვითარდებოდნენ გონებრივითაც, რადგან აქ მრავალი შეგენბული ახალგაზრდობა იყო, ერთგვარ მიმართულებით ვატაკებულნი. ამ ახალგაზრდობიდან შემდეგში მრავალმა ისახელა თავი საზოგადო ასპარეზზედ მოღვაწეობით. სტაროსელსკის იცნობდა ხალხი და დიდს პატივსაც სცემდა მას. მთავრობამაც ალბათ ამიტომ დანიშნა იგი ამ ვაჭიროების ხანაში გუბერნატორათ. სტაროსელსკიც ხალხის სასარგებლოთ ხმარდობდა თავის უფლებებს. იგი მუდამ დადიოდა სოფლებში, ესაუბრებოდა მცხოვრებლებს, ესენიც გულლიათ ესაუბრებოდნენ და პირველით მოხდა რომ ადმინისტრაცია და ხალხი ასე სადათ, ასე დაახლოვებულათ და გულგახსნილათ, წლობით ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ.

— ერთი უნდა ვესტუმრო სტაროსელსკის-მითხრა ერთხელ ჩემმა მეზობელმა მჭედელმა ილიამ—უნდა ვესტუმრო... ვიცი ისე მიმიღებს თითქო თავის ძმას!

ძვირფასი ის იყო, რომ ეს კაცი გულწრფელად ემსახურებოდა ხალხს და მის სასიკეთოდ იყო განწყობილი. თანაშემწეთ ყავდა ალექსანდრე ყიფშიძე-კაცი დიდათ ვანეთიარებული ზედმიწევნით მცოდნე ქართული ხალხისა, ენერგიით სავსე მოწინავე მოღვაწე, ამათთან იყო საგანგებო მინდობილობათა მოხელეთ პეტრე ყიფიანი. პეტრეს ყმაწვილობისას, როცა სწავლას ათავებდა, თბილისის რეალურ სასწავლებელში შემოეტყუება სასწავლებლის დირექტორი იმ დროს თავის ხულიგნობით ცნობილი ლილოვი. ყიფიანი რასაკვირველია გამოაგდეს სასწავლებლიდან უფლება ახლილი საღმე დაესრულებინა სწავლა. მან გასწია საფრანგეთში და რამდენიმე წლის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში როგორც ნასწავლი აგრონომი. ცოცხალი, დიდი ენერჯის პატრონი, ინიციატივიანი იგი შეიქმნა სასურველი საზოგადო მოღვაწე პიროვნება.

სტაროსელსკიმ, ყიფშიძემ და ყიფიანმა დიდი ვალი დასდევს თავიანთ მუშაობით საერთო არეულობის დროს. ამით მუშაობის წესის წყალობით ხალხის გულის თქმის გამოთქმას თავისუფლება ეძლეოდა და ეს გამოთქმა აშორებდა ვაშხეცებას და შეგნებაში შეყავდა. ამიტომ იყო რომ სტაროსელსკის და ყიფშიძის დროს, ხალხის საოცარ აღელვების დროს, ხალხი არ დახარალებულა, არ დარბეულა და არ წამებულა, სულ სხვა სურათს წარმოადგენდა აღმოსავლეთი საქართველო, რომელს არ ელირსა სტაროსელსკისთანა მართველი-მეთაური. აქ საშინელი შეჯახება იყო ხალხის სხვა და სხვა ელემენტების და მთავრობა თავის მოქმედებით თუ აძლიერებდა ამ შეჯახებას, თორემ ვერაერთარ სარგებლობას ვერ უწევდა.



იმ საოცარ არეულობას, რომელიც სუფევდა ტფილისის გუბერნიაში ზედ დაერთო საშინელი გადაკიდება სომხებსა და თათრებს შორის. ბაქოს ელექტამ თელი ქვეყანა აილაპარაკა და შეაძრწუნა. ასეთი ამბის გამეორება მოსალოდნელი შეიქმნა ტფილისშიც. უზბედურების ასარიდებლად ქართველობა ჩაიდა შუაში და ყოველგვარ ზომას ღებულობდა ამ ორ ერს შუა შეტაკება არ მომხდარიყო. შედგა მოღარაჯე რაზმი სამასი კაცისაგან ქართველთაგან. მთავრობამ მათ მისცა სამასი თოფი. რაზმს მეთაურობდა ისიდორე რამიშვილი.

ამგვარადვე საშიშარი მდგომარეობა შეიქმნა ბათუმშიც. აქაც მოსალოდნელი იყო სომხებისა და მუსულმანების შორის შეჯახება. ამის ასაცდენად გაიმართა მოსალაპარაკებელი მიტინგი აზიზიეს მეჩეთის გაღავანში; რამდენიმე დღის შემდეგ ამგვარივე მიტინგი—სომხების ეკლესიის გაღავანში. ბაღი მოაწყდა აუარებელი. ეკლესიის ეზო ვერ იტევდა მოსულთ; ეკლესიის გარშემო ქუჩები ვაშედილი იყო ბაღით. ეკლესიის ეზოში ამართული იყო ტრიბუნა; მოლაპარაკე სომხთაგანს ცვლიდა მოლაპარაკე მუსულმანი. ბაღი სმენათ იყო გადაქცეული. უცერად შეიქმნა განაპირზედ ჩოქოლი, ყვირილი, ხმაურობა, რომელიც თან და თან მძლავრდებოდა. გაისმა საშინელი კივილი-წივილი; აინძრა ეს ზღვა ბაღი, ერთმანეთს ეხეთქებთან, გარბიან, ერთმანეთს ესრისებთან. ნამდვილი ელექტა, სრესა; საზარელი ყვირილი. დაცარიელებულ ქუჩაში გამოჩნდა აფიცერი და მისთან სასროლათ მომარჯვებულ თოფებით რამოდენიმე ჯარისკაცი.

— რაზაიდის, სვოლოჩ! რაზაიდის ნე ტო ბუდუ სტრელიატ! ყვიროდა აფიცერი და იწეოდა ეკლესიისკენ. შეიქმნა სროლა, საბედნიეროთ მიღლა; დამფთხალი ბაღი ერთმანეთს ეხეთქება შიშისაგან გონებადაკარგული. ჯოჯოხეთია ნამდვილი.

გავარდა ბატარეია ბურუნ-ტაბიეზედ ზარბაზანი; იგრილა მეორედ, მესამეთ. ზარბაზნები ახმაურდნენ მთებზედ. ეს ნიშანი იყო, ჯარებს ეცნობებოდა რომ ქალაქში არეულობა დაიწყო და გამოსულიყო დანიშნულ ადგილების დასაკავებლათ. ცხენოსანი კაზაკები თავნომულეებული ჯინით დაქროდნენ ქუჩებში. ნათესადგურისკენ ატყდა სროლა. როგორც შემდეგ გამოირკვა აქ მოკლულ იქნა თერთმეტი ქალი და შამა-კაცი.

როცა ცოტა მიწწმარდა გამოვედი იმ სახლიდან ეკლესიის პირდაპირ რომ შევაფარე თავი და გავეშურე გოროდოკისკენ ჩემს ბინაზედ. ქუჩაში რასაკვირველია ჯარისკაცების მეტი არავინ არის; მხოლოდ ევრო-ეგერ სახლის ქიშკრებთან მომდგარი შეწინებული მცხოვრები აქანკალეებული კითხულობდა.

— საბედის ხომ არ დაუშენენ ზარბაზნებსო!

თელმა დღემ წარმოუდგენელ შიშინობაში განვლო. ეს მოახდინა არდავანის პოლკის კაპიტანმა გვარათ აუსტრინმა, მთვრალმა. მას არ მოეწონა ეს ყრილობა, მოინდომა მისი გაფანტვა; რაღაც ეშმაკათ შეხვდა მისი გუნდის ჯარისკაცები გიეილა ესენი და შეიჭრა ხალხში ყვირილით.

— რასხოდის სვოლოჩ! ატო ბუდუ სტრელიატ! და ატეხა საზარელი ამბავი.



რამოდენიმე აფიცურმა განაცხადეს თავისი წინააღმდეგობა აუსტრინის მოქმედების შესახებ, მაგრამ უფროსობამ აუსტრინს არაფერი შეაბუღებინა, გამცხადებლებს კი საყვედური გამოეცხადათ.

რუსეთიდან საზარელი ამბები მოდიოდა, განსაკუთრებით საზარელი ამბები იყო ებრაელების დარბევების შესახებ, რასაც ადგილი ქონდა რუსეთის ბევრ ქალაქებში. აბოპქრებული ბრბო, შავრაზმელების ხელმძღვანელობით შმოწყალოთ ელეტდა, შეუბრალებლათ აცამტეკერებდა ებრაელობას, არ ზოგავდა არაფრით. ეს ელეტა წარმოებდა, როგორც შემდეგში გამოიჩინა მთავრობის ნებადართვით და ხელშეწყობით. ებრაელების ამგვარი ელეტა მოხდა ოდესაში, რადიკ განსხვავებული მსეცური უდანაშაულო ხალხის სრესა. სურათი იმის რაც ქუჩებში ხდებოდა თურმე პირდაპირ ზღაპრული რამ იყო. სისხლი იღვრებოდა ყოველ ფეხის ნაბიჯზე; ქუჩები მოფენილი იყო თურმე უამრავი მსხვერპლით. დაიღუპა უთვალავი ხალხი, მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერი, ოდესის უნივერსიტეტის ლაბორანტი ალექსანდრე (საბა) კლდიაშვილი. მუკრებელს საზარელი ხალხის ელეტისას ვერ ზოფთმინა სახლში ყოფნა და საცოდავთა მისაშველებლად გამოვიდა ქუჩაში და იგიც შეუბრალებლად კახაკების წასროლი ტყვიით გამოსაღწეულ იქმნა წუთი სოფელს. დაიღუპა ახალგაზრდა მეცნიერი, საოცარი გრძობიერი ადამიანი, ყველა მისი მცნობის საყვარელი პიროვნება. ნიჭიერი, გატაცებული მეცნიერებით, იგი განსხვავებულ მუშაობაში იყო ჩამბული ქართული სახელოვან მეცნიერებთან ოდესის პროფესორებთან პეტრე მელიქიშვილთან და ვასილ პეტრიაშვილთან. წინა თვეებში ის იყო მივლინებაში გერმანიაში; იქიდან დაბრუნებულმა პარტიული დეპუტატით მან მოიარა საქართველო. ერთ საღამოს სრულად მოულოდნელად იგი გაჩნდა ჩვენს ოჯახში. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ქონდა; მასთან იყო ახალგაზრდა სტუდენტი ვასილი ბერეჟიანი. საგმიანი ლაპარაკის შემდეგ პატარა სუტრა გავუშალე და წინ გაველაგეთ სხვადასხვა ხილი, ლენინო და ფელამუში; უთხარი რომ ეს ყველაფერი სიმონეთიდანაა ჩამოტანილი თქო, შენი საყვარელი სიმონეთიდანაა თქო. იგი განსხვავებულად შეეხალისა მიტანილს მით უფრო, რომ ყველაფერი სიმონეთიდან იყო. მას გაოცებით უყვარდა თავისი სანზობლო სიმონეთი და სიმონეთლებსაც განსხვავებულად უყვარდათ თელათ მათი ოჯახი, ვრიგოლ კლდიაშვილის და ეფრო ყიფიანის ქალის ოჯახი. ამათ შესახებ ქვევით მექნება სიტყვა აქ კი მხოლოდ საცოდავ საბას შესახებ. ლამაზი, შნოიანი იგი სულითაც ლამაზი და საყვარელი არსება იყო; მისი გული ადესილი იყო ადამიანისადმი სიყვარულით; მისი კეთილი არსება მხოლოდ იმაზედ ზრუნავდა რომ კეთილი ეთესა თავის გარშემო. მოსწავლეობის ხანას, შემდეგაც როცა მეცნიერულ მუშაობაში ჩაება, იგი სოფლად მყოფი გახატულის თვეებში მართავდა საჯარო ლექციებს, წარმოდგენებს, გასართობებს სოფელულებისათვის; იყო მათთან გაბმული საუბარში, ყოველგვარად მაცადინობდა სინათლე შეტანა მათში. მხეცის წასროლი ტყვია შტბლში მოხვდა დარბეულთა საშველად გამოსულს. მისმა დაღუპვამ დიდი მწუხარება განიოწვია საზოგადოებაში, უნივერსიტეტმა მისი ნეშტი გადმოგზავნა საქართველოში განსასვენებლათ.



ქართველთა
მწიგნობართა

ბათუმი დიდათ ემზადებოდა მოკლულის ცხედრის მიღებას. დილა იყო როცა გემი მოაღვა ნაპირს. გემიდან გადმოსაყენეს მიცვალებული. მახლობლების ვარდა აქ არავის უშვებდნენ, მაგრამ რაღაც ხერხით ერთი ჯარის კაცს მაინც მოეხერხებინა და მოიჭრა კუბოსთან. კარგათ მახსოვს ზისი აღელვებული სახე. მისი აკანკალებული, მორთილაფი ხმა, რომლით მან მიმართა მიცვალებულს:

— ძვირფასო ადამიანო, შენ ჩვენითვის გასწორე შენი სიცოცხლე, შენი მეცნიერება. შენი ყველაფერი, ჩვენი საცოდავი ხალხის მისაშველებლად გამოხვედი... შენც იგი გვქვდა რაც ჩვენებს და ჩვენ არასოდეს არ დავგიფიცებთ შენს ჩვენამდე გულკეთილობას, შენს სახელს, შენს ჩვენითვის ძვირფას სახელს! გმადლობთ, გმადლობთ ძვირფასო ადამიანო! შეჩვენება შენს მკვლელებს... ჩვენ მტარვალვებ!

მწარედ ატვითინებული იგი გაშორდა კუბოს.

იგი იყო ებრაელი ჯარისკაცი.

გემთმისადგომიდან კუბო გადაასვენეს აზიზიეს მოედანზედ, სადაც იყო მომზადებული საგანგებო ადგილი. მოედანი სავსე იყო ხალხით; წესიერებას იცავდა ამ შემთხვევისათვის ამორჩეული პირები. შემადლებულზედ დასვენებულ კუბოსთან ამართული იყო მაღალი ტრიბუნა ორატორებისათვის. მთავრობა არ ეროვდა და ნებაც დართო გასვენება გამსვენებელ კომიტეტს ისე მოეწყო როგორც სურდა. ასეთი საქციელი მთავრობის მეტად მნიშვნელოვანი იყო და ამცდენიც უბედურებისა, რაც უსათუოთ მოხდებოდა წინააღმდეგ შემთხვევაში. ეს ზღვა ხალხი ისეთ გუნებაზედ იყო რომ საკმარისი იქნებოდა ცოტა რამ, რომ თავი გაემეტებინა. დეპუტაციები ბაირალბით ცვლიდნენ დეპუტაციებს კუბოსთან და დგებოდნენ რიგში.

მთავარი ხელმძღვანელი იყო ვეკილი დინინი, ებრაელი. ბათუმის თელი ებრაელობა მოვიდა აზიზიეს მოედანზედ მიცვალებულის პატივსაცემად და მათ ხმამაღლა ტირილს დასასრული არ ქონდა როცა ტრიბუნაზედ ასულნა რაბინმა დავით ზილბერმეისტრმა მიმართა თავის მხურვალე სიტყვით მიცვალებულს.

მრავალი ორატორი ამშვენებდა თავისი მხურვალე, ვაბედული, ლამაზი სიტყვით ტრიბუნას. განსაკუთრებით კარგები იყვნენ სოსიკო მდივანი, სერიო-ვა ქავთარაძე, მკურნალი, ფეოდოროვი.

სიტყვების დასასრულის შემდეგ მიცვალებული წაასვენეს სადგურზედ ქუთაისში დასაკრძალავად. ზღვა ხალხი მიყვებოდა კუბოს გასაოცარი წესრიგით; პროცესიის წინ მიუძღოდნენ ცხენოსნები ასლან ბეგ აბაშიძის მეთაურობით კუბოს მიყვებოდა ხორა მარსელიეზას და სხვა რევოლუციონურ სიმღერებით.

ხალხით გატენილ ქუჩებში პროცესია გაჰიარებით იწეოდა წინ.

— გზა მიეცით... ნათესაგებია მიცვალებულის, ნუ ჩამოაშორებთ, თქვა ვიღაცამ რა დავგინაბა რომ კუბოს ჩამოგვაცილეს.

— რა დროს ნათესაობა!.. ეს მიცვალებული ყველას გვეუთვნის... ყველასია! წამოიძახა პასუხით ჩვენ წინ მიმავალმა, მაგრამ მაინც თავაზიანათ მოგვიმართა მიბძანდითო.



სადგურის კარებთან ამალღებულსედ დასვენებულ კუბოს კვლავ რიგ-რიგობით, მღერით, ჩაუარა მრავალმა დეპუტაციამ თავიანთ დროშებით რის შემდეგ კუბო შეისვენეს ვაგონში. მატარებელი საღამოს ვადიოდა ქუთაისისკენ. მე მივბრუნდი სახლში, მომზადებულვიყავი მიცვალებულის გასაყოლათ. ჩვენი ნაწილის მეორე შტაბ-ოფიცერს შევუთვალე, რომ ქუთაისში მივდივარ თქო, — ნაწილის უფროსი თავისებურათ თავის ბინაში იყო შეყუჟული, ვითომ როგორც ავადმყოფი, ნამდვილ დამთხალი, შეშინებული ყოველ წამში არეულობის მოლოდინით.

ჩემს მზადებაში მოსამსახურე ჯარისკაცმა ბრძანება შემომიტანა — ნაწილის უფროსი ნაწილს თავს უყრიდა კახარმების გვერდით მინდორზედ. გავკვირდი, მაგრამ მივხედი რომ ეს შიშის, გადაშერებული შიშის ბრალი იყო: არეულობა შესაძლებელიაო, მღელვარე ჯარებმაც შეიძლება მოწაწილეობა მიიღოსო და რომ ჯარისკაცები კახარმებიდან არ გასულიყვნენ, საშვალებათ მოიგონა ნაწილის გამოყვანა თელი შემაღვენლობით.

მოკლე ხანში ნაწილი სრულად თავშეყრილი იდგა თოფებით; აფიცრობაც თელათ აქვე იყო. გამოჩნდა თავის ბინიდან მომავალი, ჯოხის ბიჯებით, ნაწილის უფროსი. ავადმყოფ კაცის ხმით იგი მიესალმა ჯარს და შემდეგ მოიახლოვა გუნდები და მიმართა სიტყვით.

მტერი არ ცხრებოა, ამოზდა იგი, თამამდება და დაურიდებელი ხდებაო; იფიწყებს ყოველივე რიგს, წესიერებას, მორჩილებას; აღარ ახსოვს აღარც ღმერთი, აღარც მეფე, აღარც სამშობლო; ესენი აცთენენ მწვიდობის მოყვარულ ხალხს, აშინებენ, ეშუქრებიან და თქვენ ყოველ წამისათვის მზათ უნდა იყვეთ რისხვიანი წინააღმდეგობა გაუწიოთ ამ მოლაღატეებს და არ დაინდოთ ისინი.

სიტყვა იყო გრძელი, დაუსრულებელი; აგონებდა მიღებულ ფიცს მეუფისა და სამშობლოს წინაშე, აფრთხილებდა რომ ღმერთი პასუხს მოსთხოვს ყოველს ჩვენთაგანს თუ როგორ ვიყავით მისგან დაყენებული მირონცხებულის წინაშე, რომ ამის ღალატისათვის უფალი საშინელ სასჯელს მისცემს ყოველს ამის ჩამდენს, მაგრამ თქვენისთანა კარგები რასაკვირველია ამგვარ რამეს აცთება, არ აყვება და აერიდება.

— მჯერა, დარწმუნებული ვარ, არ გამიმწარებთ ჩემს მოხუცებულობას! იქნებით მტკიცეთ მიღებული ფიცზედ, მედგრათ შეხვდებით სამტოთ აფარდნილთ, თუნდაც ესენი ნათესავეები და ახლობლებიც იყვნენ. არ წაიწყმიდოთ თქვენი სული!.. გამიგონეთ მოხუცებულ, გამოცთილ ადამიანს! ავადმყოფი იმისათვის ავდექი დღეს, რომ გაგაფრთხილოთ, გაგახსენოთ თქვენი მოვალეობა და აგარიდოთ ღებედურებას. თქვენმა სიყვარულმა ამაყენა მწოლიარე ავადმყოფი, თქვენზედ ზრუნვამ დამავიწყა ჩემი თავი და იმედი მაქვს შეისმენთ საყვარელო შეილგობ ჩემს სიტყვებს!.. რა ვქნა ამ ეამად მტერი არ შემიძლია... ავათ ვარ!.. ავათ ვარ! დღეყრდნო ჯოხს და აქვითინდა.

ეს, რასაკვირველია, ერთგვარ შთაბეჭდილების მოსახდენათ ნახმარი უანდი იყო.



ქართველნი
გერგულნი

ცოტა ხნის შემდეგ აცრემლებული პოლკოვნიკი გასწორდა წელში და წამოიძახა:

— შეილებო, მოვიგონოთ ჩვენი წმინდა ბაირალი და ერთხელ კიდევ შევფიცოთ რომ მის არ უღალატებთ სისხლის უკანასკნელი წვეთამდინ! პორუჩიკ ივანჩენკო!— მიმართა მან აღიუტანტს-წაიყვანეთ მუხიკანტები და გამოიტანეთ ბაირალი!

ბაირალი მის ბინაზედ ინახებოდა ყარაულის ქვეშ. მოიტანეს მუსიკით ბაირალი; გაშალეს, რაც საგანგებო შემთხვევაში ხდებოდა ხოლმე.

პოლკოვნიკმა მოყვა თუ რა საუნჯე აქვს ნაწილს დამსახურებული. რომ ეს წმინდა გიორგის ბაირალი, უმაღლესი ჯილდო, წინაპრების სისხლით შეძენილი უნდა შეეინახოთ ჩვენი სისხლით და არ გაეთელინოთ იგი გონება დაკარგულ მტერს, მტერს მით უფრო საზიზღარს და საძაგელს, რომ იგი შინაურია. დიდხანს იქაქანა ამგვარად პოლკოვნიკმა და დაბოლოს წამოიძახა:

— შეეფიცოთ და ვემთხვიოთ! ყველამ ვემთხვიოთ!.. აღიუტანტო, ჩამოატარეთ ბაირალი რომ ყველამ შეიძლოს მთხვევა!

მემბაირალტრემ ასწია ბაირალი და აღიუტანტის თანხლებით დაიწყო ჩამორება პირველი გუნდიდან. ვინ პირჯვარს ისახავდა და მოწიწებით ეამბორებოდა ბაირალს, ვინ გოჭნძრევლად იდგა, გაშეშებული, ზოგნი თავს უკან სწევდნენ რომ არიდებოდნენ ბაირალს.

აფიკრობა ცალკე ჯგუფათ ვიდექით. ამ კამედიას რომ ეხედავდით გულზედ ესკდებოდით და გულის ფანტკალით ველოდებოდით იმ წამს როცა ჩვენც მოგვყენებდნენ სამთხვევით ბაირალს და თავზედ ამ დროს დაგვადებოდა პოლკოვნიკიც. იღბლად პოლკოვნიკი მოშორებით დაგვიჩა და მემბაირალტრემაც, გამოტოილმა პოდპორუჩიკმა იაკინთე ზომერეკმა, ოსტატურათ ჩავვიარა ბაირალით, ისე რომ აგვაშორა უსიამოვნობას.

როგორც იქნა დასრულდა ეს საზიზღარი კომედია, იმ წამს გავსწიე სადგურსაკენ, რადგან მატარებლის ვასელის დრო ახლოვდებოდა. ღამით გასულ მატარებელს უკვე ჩაქვიდან უხედებოდა ხალხი ყოველ სადგურზედ; ყოველ სადგურზედ დეპუტაციი, სიტყვა—გამობა დღევანდელი დღის და იმედი სინათლიან დღის გათენების მოახლოებაში.

გათენებული იყო სამტრედიაში რომ მივედით. სადგური გატენილი იყო ხალხით. გამოცხადდა უამრავი დეპუტაციები თავისი ორატორებით. მოვიდა სამღვედლოებაც და მოკლე პანიშვიდი გადაიხადა. რადგან მოლაპარაკეთა რიცხვი მეტად დიდი იყო იმუღუნული შეიქნენ მატარებელი მეტ ხანს გაეჩერებინათ. გულმხურვალე სიტყვებთან გარშემო ისმოდა რველიოციონური სიმღერები. სადგურის გარშემო მიდამო პირდაპირ გუგუნებდა.

ჭუთაისში გუმბრნატორმა სტაროსელსკიმ განკარგულება გასცა ტუნაში არ გამოსლდიყენენ არც კაზაკები (ამათი უფროსი კი გამოსვლას აპირებდა თურმე პროცესის დასაწყლეთ) და არც ფეხოსანი ჯარი. სტაროსელსკისთან საგანგებო მოხელეთ მყოფი პეტრე ყიფიანი სადგურზედ დაგვიხედა და შეგვა-

ტყობინა რომ სტაროსელსკისაგან ბრძანებაა ვაცემული პროცესიის ხელი არავინ შეუშალოს და არ ეწინააღმდეგოს.

დიდი ვაჭირვებით, ხალხის სიმრავლის გამო, როგორც იქნა მივაწიეთ სობოროს შოედანს. სობოროს კარგბთან ვაკეთებულ შენაღლებულზე დაასვენეს მიცვალებულა.

გულმხურვალე მოლაპარაკეთ დასასრული არ ქონდა.

როგორც იქნა დათავდა ორატორთა რიგი და რეგოლიუციონური სიმღერების მღერით მიცვალებული შემოატარეს ბულვარს და დაკრძალეს მთავარ-აშველოზის ეკლესიის ვალაევანში. ზღვა ხალხი გაიზინა ქუჩებში და ჩამობინდებულში კიდევ დიდხანს ვაისმოდა რეგოლიუციონური სიმღერების ხმა და გუგუნნი.

ველგან მღელვარება, კველგან არევ-დარევა. მოუსვენარია, აშფოთებულა დიდი და პატარა.

ბათუმის ქალთა გიმნაზიაშიც ატყდა ერთი ამბავი; მოსწავლე ქალიშვილები დაიყენენ ჯგუფებათ; მოითხოვეს მასწავლებელ ქალის გაძევება. შემდეგ მოთხოვნილებები წარუდგინეს გიმნაზიის გამგე-ქალს. პროტესტანტებს მხარი მისცა იმ ხანებში ოდესიდან ჩამოსულმა სოსიკო მდივანმა და გიმნაზიის რევიში ძირიან ფესვიანად შეაცვლევინეს ამ ხანად შეშინებულ გამგეს.

ვაეთა გიმნაზიაში უფრო აღრე იყო დაწყებული მღელვარება, გიმნაზიის გამგეთ იყო ვინმე ვინოვრადოვი, კარგი პედაგოგი, არა ურიგო აღმიანი, მაგრამ ბავშვებთან მოქცევაში მშრალი ცივი კაცი. მოსწავლეებმა საოცრათ შეიძულეს იგი.

მასწავლებელთა შორისაც აღმოჩნდა ბევრი ისეთები, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა ველარ ეგუებოდა.

გიმნაზიაში დამყარდა არა სასიამოვნო მდგომარეობა.

მე გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა კომიტეტში ვიყავი; ყოველ დღე უფროს კლასის მოწაფეები მოდიოდნენ საჩივრებით და სამღურავებით დირექტორზე და მასწავლებლებზე. მერვე კლასიანმა ჯინორიამ და ორმა მისმა ამხანაგმა გიმნაზიიდან გარადოკამდინ (სადაც ჩემი ბინა იყო) ლამით მსდიეს და მეტის მეტად აღელვებულნი მაჯერებდნენ როგორც დირექტორის გადაყენების საჭიროებაში, ისე ზოგიერთ მასწავლებელთა სრულიად მოხსნაში მასწავლებლობიდან.

იძულებულნი ვავბლით მოგვეწვია მოსწავლეთა მშობლები და მოველაპარაკნა შექმნილ მდგომარეობაზედ.

თავმყერილ მშობელთა ერთი ნაწილი კრებაზედ გამოსთქვამდა იმ აზრს, რომ საჭირო იყო სასტიკი ზომების მიღება ურნ მოწაფეთა მიმართ, რომელნიც ხელს უშლიან სწავლის მოსურნე ამხანაგებს, აცხადებდნენ რომ ყოველივე დათმობა მხოლოდ ცუდ შედეგს მოიტანდა, სხვა არაფერი სიკეთე იქნებოდა. ზოგნი კი ვამტკიცებდით საჭიროებას თავი მოგვეყარა უფროს კლასიანი მოწაფეებისათვის, შეგვიბებოდით თუ რა აწუხებდა მათ, რა აღელვებდა და აშფო-



თებდა, მოგვესმინა მათი სამღერავე მათ მასწავლებელთა მიმართ რაც ქონდათ და იმის მიხედვის დაგვარათ გვემოქმედნა შემდეგში. ამ წინადადებას მრავალი მომხრე მოიპოვა და მეორე დღისათვის მოწვეულ იქმნენ უფროს კლასიანთა კრება.

კრება იყო სააქტო დარბაზში. სასწავლებლის მთავრობის მხრივ არავინ დაგვისწრია—ეცხვით მხოლოდ მშობელთა კომიტეტის წევრები, თორმეტ—თოთხმეტი კაცი.

ჩვენ შეკითხვა—წინადადებაზედ, რათა გაეცნოთ ჩვენთვის თავიანთი სათქმელი, ზოგმა სრულიად უარყო ყოველივე მღერება მასწავლებელთა მიმართ, ზოგმა სხვა და სხვა შემთხვევები მოიყვანა უფროსების ცუდად მოპყრობის შესახებ; გაებნენ წერილმანებში, —მათი ნათქვამი ვერ აღედნა საჭირო შთაბეჭდილებას, ამას როგორც ეტყობოდა თავით მოსწავლეებიც გრძნობდნენ და გააწარდნენ.

მაშინ წამოვიარდა ერთი შევეგრემანი ყნაწილი და სიტყვის ნება მოითხოვა.

— რა საჭიროა აქ ამდენი წვრილმანების მოყვანა! — აღუღებთ დაიწყო მან, — გუბნებით ჩვენი მოთმინება დათავდა... შეისმინეთ ჩვენი — გუბნებით გთხოვთ მოგვაშორეთ ვინაგრაღოვი... აქ ამბობენ რომ კარგი პედაგოგი... შეიძლება, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მეტი ვუყუროთ მის სახეს, მის გაქვავებულ სახეს, რომელზედ არასოდეს ღიმილი, უბრალო ღიმილი არ დაგვინახავს, ვეღარ ვუტლებთ მის ნორალ დარბევების მოსმენას, ის გონებასთან კი არ მიდის, თავში კერავით გვირტყანს; მისი მაღალი, ტლანქი, გიშეშებული აგებულობა თითქო ჩვენს გაგლეტას ლამობს... თქვენ, ჩვენ მშობლებს გწადიათ რომ აქ ჩვენ ვისწავლოთ, ჩვენც გვინდა ვისწავლოთ, ვიმაკადინოთ, მაგრამ ამათთან სწავლა არ შეგვიძლია, არა; თუ ჩვენი სიკეთე გსურთ შეისმინეთ ჩვენი თხოვნა... თორემ ნიგვიყვანთ იმ ზომამდე, რომ ერთ დღეს ჩვენ სრულიად დავკარგავთ მოთმინებას და ჩვენდა უნებურად ვეცდებით ჩვენს მალეღებულს და კისრის ცემით ჩავათრევთ კიბეზედ კარებამდინ!

— ნამდვილია, ნამდვილია! ასე მოხდება! იყვირეს მოსწავლეოა უმეტესობამ, — ასე ვიხანთ, ასე ვიხანთ! ყვიროდნენ ძალზედ აღუღებული ბავშვები.

ლაპარაკის გაგრძელება ყოველად შეუძლებელი იყო და აღარც იყო ამ ნათქვამის შემდეგ კრება დათავდა.

თათბირის შედეგ, მეორე დღეს მიუგზავენთ დირექტორს ორი კომიტეტის წევრი და ვთხოვეთ სასწავლებლის დასაცავათ, შეეტანა მზრუნველთან თხოვნა სხვაგან გადაყვანის შესახებ. დირექტორმა შეისმინა მიმართვა და მოკლე ხანში გაშორდა სასწავლებელს, გადაიყვანეს სტაფროპოლში. მასთან ერთად სხვა და სხვა ადგილას გადაიყვანეს რამდენიმე მასწავლებელიც; ზოგი თავის ნებითაც გაშორდა აქაურობას შეზინებული იმ განწყობილებით, რომელიც დამყარდა მოსწავლეთ და მასწავლებელთა შორის.

იფეტქა ჩვენს ნაწილშიაც.

შუა დღე იყო—ჯარისკაცების სადილობის დრო იყო. მე ჩემ ბინაზედ ვიჯავი. ოთახში შემოვარდა მოსამსახურე ჯარის კაცი და აღელვებით მითხრა:

— ბატონო, კაზარმებში არეულობა... გადააქციეს სადილი! გზობილობენ მობძანდითო!

გავსწიე იმ წამს. პატარა ხილია კაზარმებთან გადასასვლელი. ხილთან რამოდენიმე აფიცერი დგას.

— დავიდ სამსონი, თქვენ თუ დააწყნარებთ ამ ხალხს, თორემ მეტად არა სსსიამოვნო ამბავია! მომწართა ერთმა ამოთავანმა, გუნდის უფროსმა.

— რაშია საქმე?.. რამ გამოიწვია? ვკითხვ.

— რა ეცი!.. სადილი გადაღვარეს, ყვირიან, იგინებიან, არაეის კადრულობენ... გაღირიენ პირდაპირ! მომივთ მან.

მევედი კაზარმებთან. ჯარის კაცები კაზარმებშუაა გამოფენილი. ისმის აღელვებული ხმამალალი ლაპარაკი. ყვირიან, ისმის გინება—უცნაური ალიკოთია.

შევედი ჯარის კაცებში.

— რა ამბავია? რა მოგივიდათ?.. რაშია საქმე? მივედივარ და ვეკითხები. პასუხს არაეინ იძლევა. კაზარმებშიც ვეკარ—ვეკარ ნაქცევი სადილი სჩანს. სამხარეულოს წინ ტბა დგას გადაღვრილი ბორშის. შევედი სამხარეულოში—დგანან შიშს მიცემული მხარეული ჯარისკაცები.

— რა ამბავია?.. რამ გამოიწვია ეს ამბავი? შევეკითხვ.

— მშვენიერი ბორშის იყო... რატომ ასე ყველამ დაიწუნა არ მესმის! მომიგო უფროსმა მხარეულმა.

— მშვენიერი იყო!.. დარღვების წინ მე გავსინჯე! მითხრა მორიგე აფიცერმა, რომელიც ჩემთან დადიოდა.

გარედან ისეე ხმამალა ლაპარაკი ისმის, ყვირილი, გინება.

გამოვედი სამხარეულოდან, შევდექი სამხარეულოს შემალვებულ კიბეზედ და გადავძახე ჯარისკაცებს მოახლოვებულეყვნენ.

თავდაპირველათ რამოდენიმემ მხოლოდ დასრულა ბრძანება, მერე როგორც იქნა თელათ ნაწილში იმ დღეს მყოფმა ყველამ მოიყარა თავი სამხარეულოს წინ.

როცა შეწყდა ყაყანი, დაწყნარდნენ შევეკითხვ:

— რაშია საქმე?.. რატომ გადაღვარეთ სადილი... მშვიერი დეიტოვეთ თავი?.. რამ აგაღელვათ?.. თქვით, ნუ გეშინიათ, აქ დასჯაზედ არაა საქმე, ვაგვაგებიეთ რაშია საქმე!

ცოტ-ცოტარა იწყეს ლაპარაკი. მოლაპარაკენი უფრო არა რუსი გამოდიოდა: პოლონელი, ქართველი, სომეხი, ებრაელი. თავში დაიწყეს რომ საქმელი უვარგისია, მარტო წყალი, ხორცი მკლე, ძარღვი, შავი; აქედან გადავიდნენ იმაზედ, რომ გუნდებში მეტის-მეტე სასტიკობაა, რომ პირუტყვებით გვეპყვიანო, უთავბოლოდ, უსამართლოთ, სულ მცირე შეცთომისათვის გესჯიანო; ცუდათ ვეპყრობიანო და შემხედვარე არაეინ არისო. დიდი, გრძელი ლაპარაკის შემდეგ ისეე კითხვა მივეცი.

— რას მოითხოვთ, ყოველ ამის გამოსასწორებლად?

— გვეყვოდეს გუნდებში ამორჩეული კაცები, რომლებიც თვალს ადევნიებენ ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს ყოფას... ისინი ჩვენი ამორჩეულნი იქნებიან და უფროსებმა თავისუფლება უნდა მისცენ მათ მოქმედებაში. ჩვენ კარგ, სანდო ამხანაგებს ამოვიჩრევთ!

ამას მოითხოვდნენ დაინებით და მეც აღუთქვი, რომ ეს მიღებულ იქნებანაწილის უფროსისაგანაც. გადაწყვიტეს ყოველ გუნდში ორ-ორი ასეთი რწმუნებული ყოლებოდათ ამორჩეული.

გრძელი ყაყანის შემდეგ ყრილობა თან და თან დაცხრა, დამშვიდდა.

— ეს ისე იქნება როგორც ვითხარით, მაგრამ მშვიდები რომ რჩებით, რას შერგებით ახლა? სიცილით მივმართე კრებას.—ახალ სადილს რითი გავიკეთებენ?

— არაფერია, ექნებით ასე ვახშობამდინ! მოისმა ხმები იქით აქედან.

— აბა ისე იყოს: ახლა მოგეცემით ჩაი და საღამოს გასაძღოში ვახშამი! გადავძახე სიცილით.—ახლა კი დაიშლენით!

— ძალიან კარგი!... ძალიან კარგი! იყვირეს ჯარის კაცებმა და ნხიარულ გუნებაზედ დამდგრებმა ხმაურობით გაითანტნენ კაზარმებში.

რამდენიმე ჯარისკაცები დამედევნენ ჩემი ბინისაკენ მიმავალს და მითხრეს რომ რწმუნებულებს დღესვე ამოვიჩრევთ გუნდებშიო. ერთი ამათთვანი იყო მესრობოვი გორელი.

— თავი არ შეირცხვინოთ, ბიჭო! ამოაჩინეთ ისეთები, რომ მართლა ღირდნენ, უხერიოები არ შემოგვპარან!—უთხარი მას.

— არა ბატონო, როგორ გეკადრებათ! არც ჩვენ შევირცხვენთ თავს და არც თქვენზედ ცუდს ვინმეს ვითქმევინებთ! მომიგო მან.

არაფრით მოეწონათ რწმუნებულების არჩევის ამბავი ზოგიერთ გუნდის უფროსებს, რომლებიც მოშორებით იდგნენ და მელოდებოდნენ გავგოთ რითი გავთავიფე ლაპარაკი ჯარისკაცებთან.

დიდათ იწყინა ნაწილის უფროსმა, რომელიც ისევე თავის ბინაში იყო შეყუთული თავმოავადმყოფებული, დიდათ იწყინა როცა გაიგო თუ რითი გავთავიფე მოლაპარაკება გამოსულ ჯარისკაცებთან. მისი სიტყვით მე უნდა მიმელო სასტიკი ზომები და უსათუოთ აღმოჩენიან ამრევის თავები. თავის ოთახში იყო დიდგულზედ.

— ეს დათმობაა!... დათმობით არაფერი ხერი გამოვა, დამიჯერეთ! გაჯავრებით თქვა მან, მაგრამ ჩემგან მიცემული რწმუნებულების ყოლის ნება არ მოშალა, დაამტკიცა.

ჩემზედ უკმაყოფილოთ დარჩენილმა, წინათაც უკმაყოფილოთ მყოფმა ჩემი მოქმედებით, მან მოუყარა თავი ჩემს ცოდვებს,—რომ მე რევოლუციონურ გასვენებას არ ავერიდე, რომ მე რბილათ მოვექეცი ჯარისკაცებს როცა იმათ არეულობის მსგავსი მოქმედება გამოიჩინეს, რომ მე ცუდ მაგალითებს ვუჩვენებ ხელქვეითებს და ამგვარები—თავი მოუყარა და საოლქო სამხედრო შტაბში გაგზავნა. მას სწადდა მე გამოვეყვანე დამნაშავეთ ყოველ უწესობაში რაც ნა-

წილში ხდებოდა და მოხდებოდა, თავისი თავი იმ ამით დაეფარა ყოველ პასუხის გებისაგან. ეს ყველაფერი მე შენდევში გავიგე.

საოლქო სამხედრო შტაბის უფროსმა გენერალმა გრიაზნოვმა ბრძანება გასცა ამაზედ სამი დღის განმავლობაში გაგზავნილ ეყოფილიყავი დალესტანში უდაბურ ადგილას, დეშლაგარში მდგომ საბურის პოლკში. ბრძანების გამოგზავნა შეგვიანდა—არსენა ჯორჯიანიშვილის ნასროლმა ყუმბარამ ბარიათინსკის ქუჩაზედ სული ვაიციებინა გრიაზნოვს.

მაგრამ ამაზედ ქვევით.

არეულობა თვით საოლქო სამხედრო შტაბში მზადდებოდა. შტაბის უფროსი გენერალი გრიაზნოვი ვერ ურიგდებოდა იმ დარბილების პოლიტიკას, რომელსაც ადგა ვარანცოვი. მან გადასწყვიტა „რბილი“ მართველის ჩამოშორება და „საჰირო“ ზომების მიღება ყოველივე გამოსვლების ჩასაქრობად. მისი გეგმით სათივეში უნდა მოქცეულიყო ერთგვარი აზრით გამსკვალული სამხედრო პირები, სანდონი და შეუღრეკენი. ამგვარი ჯგუფი კიდეც შედგა და მისმა წევრებმა იწყეს მიმოსვლა ყველა სამხედრო ნაწილებში დადგენილ გეგმის გასაცნობად და წამოყენებულ ზომების ამოქმედების საჭიროების ჩასაგონებლად. ყოველ ქალაქში უნდა შემდგარიყო საოლქო შტაბის მთავარ კომიტეტის ქვეკომიტეტები.

ამგვარი მიზნით ბათუმშიაც ჩამოვიდნენ თბილისიდან რამოდენიმე პირი და გამართეს თელი გარნიზონის აფიცრების კრება, კრება ოფიციალური. გრიაზნოვი აღარ ერიდებოდა ვარანცოვს.

ამ კრებაზედ მე არ წავსულვარ—წინდაწინ ვიცოდი რაღაც საზიზრობა იქნებოდა და კიდევაც ასეთი რამ იყო, როგორც მერე ვიდგომეც. მტკიცება სასტიკი ზომების მიღების საჭიროებაზედ, ხალხის შეშინებაზედ შეუბრალებელ საშუალებების მიღებით, ნაშეღი ძალის გამოყენება და ამგვარები,—ყაყანი, უთავბოლო ყვირილი, თავაშეხებული ვინება—ამან მოინდომა გრძელი კრება უშედეგოთ ჩატარებული. ქვე-კომიტეტი ვერ იქნა ამორბული; ეს გადიდა შემდეგ კრებისათვის, რომელიც მოკლე ხანში უნდა მომხდარიყო. ასეც იქნა.

შემდეგ კრების თავმჯდომარეთ იყო საოლქო არტილერიის უფროსი გენერალი რენეტინი (მისარევის სკოლის ამხანაგი), თბილისიდან ბათუმში გამოგზავნილი ვარანცოვის მიერ. ეს მოწინააღმდეგე იყო გრიაზნოვის პარტიის, მისი გეგმის, მისი განძარბებების.

ამ აღამიანის შესახებ რამოდენიმე სიტყვა. მაღალი, მსხვილი, განიერ მხარ-ბეჭიანი, გრძელი ქალარა წვერით, მძიმეთ მოსიარულე-იგი ნამდვილი დი-თვი იყო შეხედულობით, ამ დათეში საკვირველი აღამიანი იყო მიმალული. ბათუმში ჩამოსვლისას მან განსხვავებული დახმარება გალწია ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებს, ამ დროს ყოფილ გაფიცვისათვის დაკვირვით, მეტერბურგში გაგზავნილ შუამდგომლობით, გარდა ორისა, ყველა განათავისუფლები; ის ორი იარაღით გამოსულიყვნენ და თითო წლის ციხით ვადაირჩინა.

მისი და მსახურობდა ბათუმის ქალაქის გამგეობაში. ამის საშუალებით, ამის

ახლო ნაცნობმა, სოციალ-რევოლუციონერმა ვინმე კახანოვსკიმ რეშეტინს, მისგან გამოთქმულ სურვილისამებრ, მიუყვანა ერთ საღამოს ორი რევოლუციონერი.

— ჩემი ახალი ნაცნობები მშვენიერი ახალგაზღვები აღმოჩნდნენ, — მითხრა რეშეტინმა თბილისში — დიდხანს ვისაუბრეთ, ვიდავით; ერთი მათგანი მაინც მეტად გონებიანი იყო, ფხიზელი და საკმაოდ განვითარებული. დიდ მეგობრებას დავშორდით ერთმანეთს და წასვლისას უფრო ცხარე მოლაპარაკეს უთხარი: ძვირფასო ანტონ ოლონდ მახელის ერთდღე... მახელის ამღები მახელითვე დაიღუპებათქო... ძლევა გონებით უნდა და ძლევაც უმძველიათქო! საუბედუროთ ამისთანა ახალგაზღობას სდევნიან მოსმენის მაგივრათ!

ეს რეშეტინი იყო მეორე კრების თავდღომარე. სამხედრო საკრებულოს დარბაზი სავსე იყო თავშეყრილ აფიცრებით. იყვნენ რასაკვირველია თბილისის კომიტეტიდან, შტაბიდან, გრიახნოვის პარტიიდან, გამოგზავნილი წევრები, ლაპარაკი იყო უმთავრესათ იმ აქტანულ მდგომარეობის შესახებ, როგორც ორატორები ამბობდნენ, რომელნიაც სამხედრო ნაწილი იყო ჩაგარდნილი ამ არეულობის დროს; ჩიოდნენ რომ რბილად მოქცევამ სამხედრო ნაწილებიც გამბედაობას ჩამოაშორა, რომ სამხედრო პირის პრესტიჟი ეცემა ასეთი დარბილებული პოლიტიკის გამო, რომ ბევრი აფიცერი ირჯება ისე როგორც სამხედრო მოსახლურის შესაფერისი სრულიად არ არის; რომ საჭიროა სამხედრო ნაწილების სიმეგრის დანახება და ყოველ საშვალებით შექმნილ უწყესობის ჩაქრობა, მოსპობა. ამაზედ იყო ყველა მოლაპარაკის სიტყვა, გრძელი და ხშირად დაუთავებელი. თავმჯდომარე მოთმინებით იყო, სიტყვას არავის აწყვეტივებდა, დაბოლოს ამოიღო საათი, ჩახედა და თქვა:

— სადილობის დროა; შეგვიძლია დავიშალოთ... გვეყოფა რაც ვილაპარაკეთ! და წამოადგა.

ეს პირდაპირი დაცინვა იყო, მაგრამ ვინ რას გახედავდა — თავმჯდომარე გენერალ-ლეიტენანტი იყო, არავითარი არჩევნები, არავითარი კომიტეტი; ბათუმს არც შემდეგში ყოლია სამხედრო კომიტეტი-გრიახნოვის მომხრეთა კომიტეტი.

არეულობა დღითი დღე იზრდებოდა, ვრცელდებოდა. ყოველმხრიდან საოცარი ამბები ისმოდა, ხალხი „ერათობა“-ს ემბრობოდა. გამოსვლები დღითი-დღე მატულობდა გურია ნამდვილ აჯანყებაში იყო. ოზურგეთის მახლობლად წასაკირალთან ჯართან ბრძოლა მქვეყანა ალაპარაკა და გააოცა.

სამხედრო ნაწილებშიც ხშირი შექმნა უწყესობა, მაგრამ ეს ისე იყო უორგანიზაციო, ისე შეუკავშირებელი; რომ მთავრობა ადვილად ესეოდა და იმორჩილებდა გამოსვლით. საოცარი ჩევრი იყო მსხვერპლი.

ბათუმში ყოველ ფეხის ნაბიჯზედ ლაპარაკი ისმოდა საერთო გამოსვლის საჭიროებაზედ; გატაცებულნი ამტკიცებდნენ რომ ყველაფერი მომზადებულია, რომ ჯარი გამოსვლთა მხარეზე გადმოვიდო, როგორც კი აჯანყება დაიწყებაო. ეს პირდაპირ თავის მოტყუება იყო. კახარმებში არავითარი სისტემატიური მუშაობა არ ყოფილ; იყო მხოლოდ ჯგუფები, მათი თანაგრძობანი, მაგრამ მაგარი ერთსულოვნება არ იყო. წინააღმდეგ, რუს ჯარისკაცებს აგონებდნენ, რომ რუსეთის

დამბობა სწავლიათო და ამისათვის მაცადინობენო ყველა არა რუსნიო და კავშირდებიანო! ამას დიდი დაჯერება ქონდა და რუსი ჯარისკაცებსა და არარუსთა ჯარისკაცებს შორის ძლიერი განხეთქილება სუფევდა, ვადამტკრებულებივით იყვნენ.

ერთ დღეს გარადოკიდან ეტლით მიმავალი პოლიცემისტერის თანაშემწეს ნობელის ქარხანასთან, თავს დაესხნენ, თოფები ესროლეს. თანაშემწის მზღებლებმა თოფებითვე უპასუხეს და ჩასადრებულები გააქციეს, ესროდნენ და უყვაროდნენ საყარაულოდან გამოცვლილ, კაზარმაში მიმავალ ჯარისკაცებს ესროლათ გაქცეულებსათვის. იყვნენ ესენი ჩენი ნაწილის ჯარისკაცები; ისინი ჩაწენენ თხრილში; ოთხნი იყვნენ; უფროსი იყო ევრეტორი მიხა წერეთელაშვილი, გორელი, ქარხნის მუშათ ყოფილი. მას ნება არ მიუცია თოფი ესროლათ გაქცეულებსათვის. ერთმა ამათთავანმა, რუსმა ჯარისკაცმა, გააზნოლა წერეთელაშვილი და ისეც თავის გუნდის უკროსთან კი არა, — მებუთე გუნდის უფროს მტავე რუსაპეტს, დასმინა რომ წერეთელაშვილმა აგვიკრძალა სროლაო, თორემ გაქცეულებს მოვკლავდითო. შეიქნა გამოძიება. წერეთელაშვილი მოვიდა ჩემთანა მიშველეო. ბედათ გამოძიება მიენდო ნეტად რიგიან ოფიცერს, სომეხს.

— ისაკ არტემი! იცოდე გამოძიება ისე წაიყვანე წერეთელაშვილს არაფერი მოედოს! მშვენიერი ბიჭი არ დაიღუპოს! უთხარი.

ასედაც იქმნა: წარდგენილმა გამოძიებამ ბრალდებას ვადაარჩინა წერეთელაშვილი, მაგრამ მაინც გამოუჩახეს შეცთობა და მცირე სასჯელი დაადგეს.

ამდაგვარი მაგალითები მრავლად ხდებოდა და ამიტომაც რაც შემეძლო ვაფთხილებდი, რომ ჯარების შემოერთების იმედი განოსვლების დროს ნუ გაქვთ თქო, ნუ იტყუებთ თავს რომ ისინი მოგვემზობიან და თქვენთან იმოქმედებენ თქო.

— ჩვენთან იქნებიან... ეს ასე იქნება, უსათუოთ! საპიორები მზათ არიან, მინიორები დაძახებას ელიან... სხვებიც! დაყოვნება აღარ შეიძლება... ყველგან ცეცხლი მოკიდებულა!.. ჩვენც მხარი უნდა მივეცეთ... ეს გადაუდებელია! გაცხარებით ისწოდა ყოველ ნაბიჯზედ.

ბათუმი უცნაურად დღლავდა.

სალამო ჟამია. ვარადოკიდან მივდივარ ქალაქში. ვადავცილდი ეგრედ წოდებულ მანთაშევის ვადასასვლელს, ზედა ტოხიდან ეტლი-ლინეიკა მოდის; ლინეიკაზედ მჯდომთ ფარნები უკავიათ ხელში. ერთი მითვანი ქალაქის თავის ანდრონიკაშვილის მეუღლეა, თეთრ ხალათში, წითელი ჯვრით გულზედ.

— ლიდი ნიკოლაენა, რა ამბავია? შევეციოთხე გოაცებულმა?

— ნულა კითხულობთ!.. უბედურებაა... კაზაკებს დაუჭრიათ ხალხი და მიუყრ-მოუყრიათ. რამოდენიმე კედარი მოვნახეთ, ვეძებთ კიდევ! უბედურებაა მითხრა აღელვებულმა მანდილოსანმა; — ეგებ კიდევ ვნახოთ სადმე ან ზეკდარი, ან დაჭრილი! და ლინეიკით მყოფნი განაგრძობდნენ ძებნას ქუჩებში.

გაოცებულმა ჩქარი ნაბიჯით გაესწიე წინ, რკინიგზის სადგურისკენ. ელექტრონის სადგურის იქით შეეხვდი ქალაქის თავს ანდრონიკაშვილს ერთათ რამდენიმე ხმოსანთან. ესენი გამოსულიყვნენ ქუჩებში რაკი ვაფგოთ კაზაკების



მიერ ჩადენილი მხეტვარი გამოსვლის ამბავი და ახლა მიდიოდნენ ქალაქის გამგეობაში, სადაც უკვე აღარებელი ხალხი იყო თავმოყრილი. შიგნით შენობაში ხალხი აღარ ეტეოდა; კიბეხუდ, გარეთ ქუჩაში მოხლავიფებულია ხალხი, გარება არ შეიძლება.

მეტის-მეტეი მღელვარებაა: საბჭოს დარბაზში ორატორი ორატორს ცეკის. მეტო ნაწილი გადუღებულ გამოსვლას მოითხოვს, ბრძოლას. უმძიმელი გამარჯვება სწამთ.

ზოგი კი თავის შეკავებას არჩევს, რომ უფრო შეკავშირდნენ, შემაგრდნენ. კარლო ჩხეიძე, თავმჯდომარე კრების, ყოყმანშია გადუღებულ გამოსვლის საკითხში, მაგრამ ტრიბუნაზედ ადის ფეოდოროვი და მისი ვახურებული სიტყვის ქვეშ კრება ერთსულოვანი ხდება; გაიტაცა ხალხი, მისი სიტყვის შემდეგ ჩხეიძე მომხრეა გადუღებულ გამოსვლაზედ.

ფეოდოროვი იმ ახლო ხანებში ჩამოვიდა ბათუმში რუსეთიდან; ახლავა-და, საოცარი მქერმეტყველი, ცეცხლიანი სიტყვით მოლაპარაკე, პირველ გამოსვლისთანავე მან ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ბათუმელებზედ; შეუდარებელი ორატორი-ფეოდოროვი ილაპარაკებსო-ეს უყრიდა თავს თვალის დახამამამებაში აღარებელ ხალხს და მისი სიტყვების მორჩილი იშლებოდა.

იმ საღამოსაც მისი სიტყვა გადაწყვეტო სიტყვა შეიქმნა-ხეალ გამოსვლაა. კრება ხმაურობით იშლება,—მიიჩქარიან; ხვალისათვის უნდა მოემზადონ. უნდა შეატყობინონ მინიორებს, როგორც ჯარებში მოწინავე და უფრო შეგნებულ ნაწილს, მიღებული გადაწყვეტილება, რომ ესენი შემოუერთდნენ გამოსულ ხალხს.

მაგრამ მინიორებთან მისწრო არდაგნის პოლკის კაპიტანმა პეპანმა. მან რამდენიმე ჯარისკაცის თანხლებით მოულოდნელად შეიჭრა მინიორების კაზარმაში და რიხით მოითხოვა მიეცათ მისთვის, ვინც ალღუვებდა მონიორთა გუნდს.

თავებდობამ გაიმარჯვა; კაპიტანს ხელში მისცეს რამოდენიმე მინიორი, როგორც აჯანყების მქადაგებლები. პეპანმა ესენი დაატუსაღა და წაიყვანა. გუნდში განსხვავებული ყარაული დააყენეს. უნიტო კაპიტანი პოლკოვნიკობას ეძებდა და იშოვა კიდევ.

დილა უთენიიდან დაიწყო ქუჩებში მოძრაობა: აკეთებდნენ ბარიკადებს, კრიდნენ ტელეგრაფის ბოძებს.

გარს შემოერთდნენ ალექსანდროვის ბაღთან ლაბინის პოლკის კაზაკთა ასეულის კაზარმას; ჩაეკეტეს კაზარმაში ასეული.

ბრძანება მოვიდა ეყოფილიყავით ჩვენ ჩვენ ბინებზე ახალი ბოძანების მიღებამდინ.

დილას ადრე ჩემთან შემოვიდა ჩვენი ნაწილის უერშალი შონია. შეიარაღებული.

— წუხელ გამოსვლა გადაწყდა... მივიღივარ! მოვედი გამაგებთხოვით! შვილობით გვენახოს ერთმანეთი! ვატრიალდა და დავშვა კიბეზედ.

გაიარა რამოდენიმე ხანმა. ვილაცამ კარებზედ დარეკა. მოსამსახურემ კარი გაუღო.

— ვიქტორ! შეეძახე ვიცებულმა შემოსულ ყმაწვილს.—საიდან? რაობით?.. როგორ შემოვიშვეს ეზოში?

— ჩხიკვიშვილმა გამომგზავნა, ნაგანის ტყვიებს შეპირებიხართ! მომიგო ფარცხალაძემ.

— კი მარა, რატომ აქამდისინ არ შემომითვალა!.. დღეს? ეს წინდოუხედობაა, შენ გენაცვალეს.. შემოსულით რალაც ნაირად შემოდი, მარა ვასვლა არ გინდა?!.. მერე ტყვიებით ჯიბეში!—ვიქტორ ეს რყილით თავის დაღუპვება შენიც და ჩემიც!.. ეს რატომ ვერ მოიფიქრეთ, თქვე დალოცვილებო.. ა, ამ შვიდ ტყვიას მოგცემ, მეტს არა.. ამითაც რომ ხელი წავავლონ იცი რა იქნება დღეს?

ყმაწვილი იდგა გაშეშებული; ახლა ხვდებოდა რა საფრთხეში იყო მოქცეული. საპირო იყო მისი უწინებლათ გაპარვა.

— ვასილ! დაუძახე ჩემს მოსამსახურე ჯარისკაცს, რუსი იყო. ვასილი, ეს ყმაწვილი უნდა გააპარო ისე რომ არავინ დაინახოს... თუ ეზოს უკანა კარი, ბარცხანაზე რომ გადის, ღია-გაბატარე იმ კარში, თორემ რამე რიგათ გადაახტუნე კედელზედ. არავინ დაგინახოსთ კი, გესმის!

— შესმის!.. ახლავე!.. წამოზახნდი! მაუბრუნდა იგი ვიქტორს.

— შეიდობით!.. მართლა ეგ ჰკუიანურად ვერ მოგვივინდა! წაილაპარაკა მან და გაჰყვა ჯარისკაცს.

გულის დანტკალით ველოდებოდი ვასილის დაბრუნებას.

— გაეპარე!.. ბედზედ პატარა კარი გაღებული იყო!.. არავის დაუნახავართ!.. კარგათ გავაპარე! მზიარულად შემოვარდა ოთახში ვასილი.

— ყოჩაღ, იცოცხლე! მივიძახე გულზე მოშვეებულმა.

გულდამშვიდება კი შორს იყო, ქალაქი არეულობაში იყო. გამოსულებმა ხელთ ჩაიგდეს ქალაქი. კასარმაში ჩაქვტილმა კახაკების ასეულნი თეთრი ბაი-რალი გამოაფინა. მოლაპარაკება გაიმართა. კახაკებს აღბათ ეგონათ რომ სამხედრო ნაწილებმაც მიიღეს მონაწილეობა გამოსვლაში და ამიტომ მორჩილება გამოუცხადეს. სამი დღე ქალაქი გამოსულთ ხელში იყო.

მთაფრობამ აჯანყების ჩაქრობა გადასწყვიტა. ისარგებლეს შინ მიმავალ, სამსახურ გათავებულ ჯარისკაცებით; მათ გამოუცხადეს, რომ როგორც კი ჩააქრობენ არეულობას, ხალხს დააწყნარებენ—სახლშიაც მაშინ გაგამგზავრებთო. ჯარისკაცებმა გაიგონეს რა ეს და ისიც რომ ადგილობრივნი (ტუხემცევი) რუსეთის სამტროდ გამოდიან, გამოედინენ ქუჩებში და დაგრიენენ გამოსულებს. შეიქმნა სასტიკი შეჯახება. ჯარისკაცებისაგან აღარავის დასოგვა აღარ იყო. არ ვიცი რამდენად მართალი იყო, ამბობდნენ ოცდაათამდინ იყო მკვდარი.

გამოსულებს სძლიეს, გაფანტეს. აჯანყება ჩაქრეს.

შეიქნა ქერა, დატუსაღება. ღამით ბულვარის ახლოს, გინნახის მახლობლად მოკლეს ციხეში რომ მიყავდათ ვეკილი დინინი, ვითომ გაქცევას დაპირებული.



რანდენიმე დღის შემდეგ ჩამოვიდა თბილისიდან გრიაზნოვის მიერ გამოგზავნილი დამსჯელი რაზმიც.

არეულობის ჩასაქრობად გამოგზავნა ეს რაზმი გრიაზნოვმა. რაზმი საღვურ წიფასთან გადმოეშვა რკინის გზის დაყოლა რისხევით და ვაეზით. რკინის გზის მარჯვნივ და მარცხნივ ყველაფერი შეუბრალებლად ნადგურდებოდა, ცეცხლს ეძლეოდა, იწოდა, იღუპებოდა; არავის დაზოგვა არ იყო; გზაში შემხდური, უდანაშაულო ხალხი ვაურჩევლად, ვაოკითხავად იხერხებოდა. საშინელება რამ იყო ამ რაზმის მსველელობა; ზღაპარი—მისი მოქმედება.

თავხარადაცემული სოფლები ზოგ ალაგას უხვდებოდა რაზმს შემოსილი ღვლით, საეკლესიო ბაირალებით, ხატებით; მუხლ დაჩოქვილი ევედრებოდნენ შებრალებას, შეწყნარებას; მწარე ცრემლით შეტიროდნენ, ეფიცებოდნენ სრულ მორჩილებას, მაგრამ ყოველივე ამით იყო—არც გამგონი, არც შემბრალებელი არავინ იყო.

ცეცხლი, ალი, ნგრევა, წვა, კვლი ყოველი ფეხის გადადგმაც. ზღაპრული შეუბრალებლობა, ქვეყნის აწიოკება.

ორი დღის შემდეგ ჩემი თვალით ვნახე, თბილისისაკენ მიმავალმა, ყველა ეს გადაწყვეტილი, გადათუთქული ადგილები, მინგრეულ-მონგრეული, დაქცეული შენობები, მოშაპარი ერთიანად მოსახლეობა, ვნახე და აცრემლებული შევეყურებდი გულ ადუღებული ამ საშინელ სანახაობას ვაგონის ფანჯარიდან.

გახეთ „ცნობის ფურცელი“-ს სურათებიან დამატემაში არის ეს საზარელი, საშინელი სანახაევი სურათები აღბეჭდილი.

პოლკოვნიკმა კიკნაძემ ჯარისკაცებს მიმართა გადამეტებული სისასტიკისაგან თავი შეეკავათ. კიკნაძეს უჩივლეს, საყვედური გამოუტხადლეს და რაზმს დააშორეს, უკან თბილისში გაგზავნეს.

ქობულეთიდან დებუტაცია ჩამოვიდა—ჩვენ არა დაგვიშავებია რაო, ნუ გააოხრებებთ ჩვენს თავს, ჩვენს საცხოვრებელსო. გენერალმა რეშეტიწმა მოიარა ქობულეთი, შეპირდა ქობულეთელებს რომ იგი ცნობებს რაზმის უფროსს ქობულეთელებს არაფერი აენონ. მაგრამ დამსჯელ რაზმის მტარვალ გამგესთან, გამხეცებულ ალიხანოვთან ფის რა გაუფიქროდა; მით უფრო მისგან დაგვიწოდ მის ხელქვეით თანამშრომლებთან.

ქუთაისში მან დაატყვევა სტაროსელსკი და ყიფშიძე; ორივე ყარაულის ქვეშ გაგზავნა თბილისში როგორც არეულობის ხელის შემწყობნი.

რაზმმა თავისებური მოქმედებით ჩამოაწია ბათუმამდე; ქობულეთის მიდამოც მისრესილ-მოსრესილი შეიქმნა მიუხედავად რეშეტიწის შუამდგომლობისა.

ბათუმში ჩამოსულ ძლევა მოსილ რაზმს დიდი პატივისცემით შეეგება ადგილობრივი ადმინისტრაცია. გამართულ საზეიმო სადილზე (მე არ დაესწრებოვარ, მაგრამ ვიცი რაც იყო დამსწრესაგან) დიდი ქება, შესება მშვიდობიანობის დამყარებელთა, დიდება და მადლობა. გამარჯვებულებიც დიდით იქედნენ თავს; მოუთხოვრებდნენ გადახდილ საქმეთა შესახებ.

ერთმა ქართველმა პოლკოვნიკმა—სადილზედ სიტყვა წარმოსთქვა ერთ-ვულეზაზედ და ფიცის შესრულებაზედ.

— მე ჩემი საკუთარი სოფელიც კი არ დამიშოვავს! თქვა მან. თავმოწონებით.

ერთგულ მოსამსახურეს საკადრისი პასუხი ვისცა რეშეტინმა, უამისოთაც გულნაწყვეტმა რომ მისი თხოვნა არ შეიწყნარეს, გადაბუგეს ქობულეთი და პირშავად დაარჩინეს მცხოვრებლებთან.

— პოლკოვნიკო, აჯობებდა ჩემით ყოფილიყავით და არაფერი გეტქვათ; ვერაფერი სანაქებო საქმე შეისრულეთ; ვანდალებს ემსგავსებით და პირადით უჭვენ ორკაცი ვანდალობა გამოიჩინეთ! ვის წვაფდით? ვის ხოცავდით?— თქვენთანებს, თქვენს ნათესაებს!

დარცხვენილობა ხმა გაკმინდა პასუხი ვერ ვისცა გენერალს.

გრიანოვი არ ჯერდებოდა იმას, რაც მან მოიშოქმედა დასავლეთ საქართველოს დასაწყნარებლად. დასასჯელათ, მას ქონდა შედგენილი უფრო საშინელი გეგმა მთელი კავკასიის მცხოვრებთა შესაშინებლათ და თავზარ დასაცემათ, რომ დაევიწყებინა ყველასათვის ყოველივე სურვილი აჯანყების შესახებ.

თუ როგორ გვიგე ეს გეგმა ამაზე ქვევით შექნება.

ამ გეგმით უნდა შემდგარიყო განსაკუთრებული რაზმი, ოცი ათასი კახაკისაგან, თავისი არტილერიით, ტყვიისმტრქვეველებით; რაზმს უნდა მოეწოდებოდა მთლათ ამიერ-კავკასია და ნება ეძლეოდა თუ სადმე რაიმე უწყსოვებას შეამზინებდა შეუბრალებლად მოპყრობოდა მცხოვრებლებს, რაზმს შიშით უნდა შეეპყრო მცხოვრებლები და დაუზოგველათ ამოეღებრა ყოველივე ურჩობის სურვილი; რაზმს ეძლეოდა სრული უფლება დაწვის, დახვრეტის, ჩამოხრობის თავის გადაწყვეტილებით, ყოველგვარათ დასჯის.

ქვეყანა საბოლოოთ უნდა განადგურებულიყო; და განადგურდებოდა გამოუბრუნებლად, მაგრამ გრიანოვს არ დაეცალა.

არსენ ჯორჯიაშვილის მადლიანი მარჯვენით ნასროლმა ყუმბარამ სული გააცხებინა მტარვალს ბარიათინსკის ქუჩაზედ; მოსპო მისი ცოფი, მისი ბრაზი, მისი მხეცური აზრების შემქმნელი ტვინი ქუჩის მტვერში ამოთიიხნა.

დედაც ნუ სტირი, მამა ნუ სჩივი.

მე მოვაშორე ქვეყანას ქირი.

ათქმევინებს ჯორჯიაშვილს ხალხი, მისგან შეთხზულ ინავე დღეებში სასიმღერო ლექსი, რომელს მღეროდა დიდი და პატარა ყოველგან.

ჯორჯიაშვილმა იხსნა ქვეყანა საშინელებისაგან. თავგანწირული, სიცოცხლით სავეე ახალგაზღა—უდიდებულესი გმირთა-გმირია—ქვეყნისთვის თავდადებული.

უმალლესი გმირთა—გმირი იყო იგი იმ წამსაც როცა ხეს მიყრდნობილმა ხალხის მჭლეტელ პოლიციელებს შესძახა:

— ეხსენით ხალხს... მე მოვგალი მტარვალი, მე!

ჯორჯიაშვილმა მოსპო მტარვალი; ქვეყანა გადაარჩინა უბედურებას; ჯორჯიაშვილისაგან ვადუბდელით დავალებულია ჩვენი ქვეყანა. დავალებული ვარ



პირადათ ნეც; მისი წყალობით, ვთვლი მე, შემრჩა სიცოცხლე; მისით მოგატანე დღემდინ ცოცხალმა.

როცა გრიაზნოვმა ცნობა მიიღო ჩემზედ რომ მე რევოლუციონურ გასვენებას (ალექსანდრე კლდიაშვილის გასვენებას) ვაყვევი, ბრძანება ვასცა სამი დღის განმავლობაში ვაგზავნილ ვყოფილიყავი დალესტანში, უდაბურ ადგილას, დეშლაგარში მდგარ სამურის პოლკში. ჯორჯიაშვილმა მოკლა გრიაზნოვი, აირია ყველაფერი, ჩაიკეტა რკინისგზა, აიბნა მისვლა მოსვლა, ურთიერთობა. ამან ორი თვით დაავიანა ბრძანების მიღება ჩვენს ნაწილში. ჯორჯიაშვილს გრიაზნოვი არ მოეკლა მე ვაგიგზავნებოდი დალესტანში და პოლკში მივიდოდი სწორედ იმ დროს როცა იქ საზარელი ამბავი მოხდა. აჯანყდნენ ჯარისკაცები შესიენ პოლკის საკრებულოს, მოუშვენეს იქაურობა, მოკლეს ცხრა აფიცერი, პოლკის უფროსი, გამოიტანეს პოლკის ბაირალი და კია-ქია დიწიწენეს. უმკველია ნეც მოვხედებოდი ამ მოკლულთა რიცხვში—ვინ მიცნობდა ახალ მისულს, რა გადამარჩენდა და თუ ამ დალუპვას გადავრჩი სადღაც მივიარდნილ დეშლაგარში, ეს სწორედ ჯორჯიაშვილის წყალობით მოხდა.

დედავ ნუ სტირი, მამა ნუ სჩივი.

მე მოვაშორე ქვეყანას ქირი.

დედის ცრემლი არ მინახავს, ჩვენთვის თავდადებულის მამის ცრემლი კი ვნახე.

სასახლეში ვიყავი ფილიპე მახარაძის სანახავათ. ქუთაისის მახრა განიცდიდა საშინელ შიმშილს მოუსავლობის გამო. ჩვენმა თემმა ნთხოვა მიემართნა ტფილისში ფილიპე მახარაძისათვის, დახმარებისათვის რომელიც დამწეულთა შემწე კომიტეტის თავმჯდომარე იყო. კომიტეტის ხელში ყოფილი სიმიდი უკვე განაწილებული იყო, მაგრამ მახარაძემ გვისაწვალა და თემს დაენიშნა ორასი ფუთი მშვენიერი ამერიკული ღერღილი, ამასთანავე სხვა წელავათები.

ამისათვის მისულს სასახლის დერეფანში მომესმა ვიღამაც ახსენა ჯორჯიაშვილი. შეეჩერდი. მივიხედ-მოვიხედე—ჩემს მახლობლად დგას ტანმორჩილი მოხუცი, ხმელი, ჩოხა ახალობიანი; მის გვერდით მალალი, პიდგაკით, წარმოსადგვი ახალგაზდა; ყმაწვილი მოსამსახურეს ელაპარაკება.

— ვინაა აქ ჯორჯიაშვილი? ვკითხე მალალ ახალგაზდა კაცს.

— ეს გახლავთ! მომიგო მან მოხუცებულზედ ჩვენებით.

— არსენასია რა არი? შევეკითხე.

— მამაა!.. მახარაძეს ყავს დაბარებული!

მოხუცი იდგა გაყუჩებული.

— ნეტავ თუ სადმე ინახება არსენას სურათი—საინტერესოა მისი ნახვა! მივმართე ახალგაზდას.

— აგერ მაქვს! თქვა მან და უბიდან ამოიღო პატარა წიგნაკი, გახსნა და გამოიღო სურათი და გამომიწედიანა.

ყმაწვილი, მოკლეთ გაკრეჭილი თმა, ჰაწია უღვაწები; სასიამოვნო შეხედულობა სახის.

ახალგაზდა კაცმა, რკინიგზაში მოსამსახურემ, გვირათ კაპანაძემ, რო-

მელიც სიძე იყო ჯორჯიაშვილის, მომიყვა რომ არსენა პატარა იყო როცა უფროსმა სიძემ იგი წამოიყვანა სოფლიდან ტფილისში, აქ მიეზარებინა, რკინის-გზაში მოსამსახურეს, რკინისგზის სასწავლებელში და შემდეგ საშსახურშიაც შეეყვანა. საოცარი ცოცხალი და ნიჭიერი ყმაწვილი იყო. ყველაფერი ეინტერესებოდა. კარგად შესწავნილი ყმაწვილი იყო.

სურათი გადაეცეც; მოხუცმა გამოართვა სიძეს იგი, ააჭრდა, უყურა, უყურა და ათრთოლებული დაბალი ხმით წაილაპარაკა:

— ჩემო ბიჭო! და მხურვალებო ეამბოროა.

მოხუცს თვალებიდან ცრემლი ჩამოდიოდა.

* * *

რევოლუცია მარცხდებოდა. არეულობა არ ისპობოდა, შესამჩნევად ნელდებოდა კი. რუსეთში მომძლავრდა მთავრობა; დამსჯელი რაზმები დათარეშობდნენ ყველგან და თავხარს სცემდნენ მტხოვრებელთ.

აჯანყებული გემო „პატიომკინი“ იძულებული იყო რუმინეთში შეეფარებინა თავი; ცეცხლიანი სიტყვებით წამოთქმული მეზღვაურ ლეიტენანტის შიშდტის მიერ ფიცი ჩაქრა და გაბედული მეზღვაური დატუსაღებული და დახვრეტილი იქნა. ამგვართვე იღუპებოდნენ ყოველგან.

მთავრობა იმარჯვებდა.

გრაიზნოვის მოკვლის დღიდან ჩაკეტილი რკინისგზა, მოშლილი მისგლამოსვლა ორი თვის შემდეგ ისევ აიხსნა. სადღაც გაჩერებულმა ბრძანებამ ჩემი დალესტანში გაგზავნის შესახებ მოაწია. სამი დღის განმავლობაში უნდა გავმგზავრებულიყავი დეშლაგარში. ამის შილებამდინაც ჩვენი ნაწილის უფროსი ჩემს შესახებ არ ისვენებდა.

ერთხელ დამიბარა და მითხრა რომ ცნობა მიღებულიო რომ გარადოკზედ მოდიან ნუშებო და მე მგზავნიდა არტილერიის პოდპოლკოვნიკ ბაუმანთან დასახმარებლად მუშებთან შეტაკების დროს.

მივედი ბაუმანთან.

— ჩტო ზა ჩეპუხა! წამოიძახა მან, —საიდან გამოიგონა თქვენმა პოლკოვნიკმა მაგისტანა ამბავი! გაბრუნდი გენაცვალე, დათიკო, დაბრუნდი შენს სახლში!

მიბრუნებულმა პოლკოვნიკს უთხარი ბაუმანის გაკვირება. მან უკმაყოფილებით გააქნია თავი და წაიღულუნა:

— ეხ!... ეხ!

გული წყდებოდა რომ ნუშები არ მოდიოდნენ მართლა გარადოკზედ და მათთან შეტაკებაში არ ვიღუპებოდი.

ერთი დღიდან უცნაური ცვლილება შევამჩნიე ჩემი თანამოსამსახურე აფიცრების ჩემთან მოქცევაში. ამხანაგური ურთიერთობა, რამოდენიმეს გამოზაკლებით, ოფიციალური ურთიერთობით შეიცვალა. დღისით, ჩვეულების წინააღმდეგ, საშსახურის გამო თორემ ისე ლაპარაკს ვრიდებოდნენ. საღამოობით თუ შემებმებოდა რომელიმე რაპარაკში, როცა ბნელაში დაედოდი ჩემი ბინის მახლობლად. ამ გარემოებით გაკვირებული შევეკითხე ამის შესახებ ჩემს ახლო მეგობრებს.



თურმე ნაწილის უფროს ებრძანებინა აფიცრებისათვის თავის მოყრა. წინადადება მიეცა ეთქვათ თუ ვინ რა იცოდა ჩემდა საწინააღმდეგო და დაველეზინა რომ ჩემთვის ბოიკოტი გამოეცხადებინათ. რამოდენიმე აფიცრს განეცხადებინა, რომ მე ვქადაგობდი სოციალისტურ იდეებს, რომ ვითამამებდი ჯარისკაცებს—ეს რამოდენიმემ, უმეტესობას უარი ეთქვა ბოიკოტის გამოცხადებაზედ, მაგრამ ნაწილის უფროსის წინაშე შიშის გამო მორიდებით იყვნენ ჩემთან.

გრიანოვის ბრძინების მოსვლისთანავე ჩამაბარეს მოწერილება სამ დღეში მოეზადებულაყავ წასასვლელათ. სამწუხარო ის იყო, რომ ამგვარ არეულობის დროს სადღაც უდაბურ ადგილას ეიკარგებოდი, უკან მირჩებოდა ცოლი ოთხი ბავშვით, მათში ორი მოსწავლე.

ნაწილის უფროსმა აისრულა სურვილი—მომიშორა თავიდან, გადამაგლო უდაბურ დეშლაგარში.

მესამე დღე იყო ნაწილის სამართველოდან გამოსული ნაწილის უფროსი შემხედა ეტლით მიმავალი. გააჩერა ეტლი.

— მიდიხართ? გადმომძახა.

— მივდივარ!

— ქალადღები ჩაიბარეთ?

— ჩავიბარე!

— ჰო, მინდა ორიოდ სიტყვა გითხრათ: ფთხილათ იყავით ახალ ადგილას. ცოლ-წვილის პატრონი ხართ, თავი შეიკავეთ; იქ არ ვაპატრიებენ ისე როგორც აქ... ფთხილათ იყავით, მიიღეთ ეს ჩემი კეთილი დარიგება!

— მე სრულიად არ ესაუბროებ თქვენს დარიგებას და არც გავუყვები თქვენს კეთილ რჩევას! ვუბასუბე თავგაბზრბულმა კეთილი დამრიგებელის სიტყვებით.

— გაგახსენდებათ ჩემი ნათქვამი, გაგახსენდებათ როცა ვანწარდებით, მაგრამ გვიან იქნება... საკვირველი ხალხი ხართ... რაც რუსეთმა სიკეთე გიყოთ თქვენ ტუზემცებს მიიხც გძულთ რუსეთი, გძულთ! ამით ვერას გაიტანთ! მომახალა მან.

— ჩვენ გეძულს გლაზა, საძაველი რუსი... კარგი ჩვენთვისაც კარგია! ჩვენ ვიცით გარჩევა და ვარჩევთ, დიას! მიფუგე.

— არა, თქვენ ყველა გძულთ, ყველა!

— სჯობია შევსწყვიტოთ ლაპარაკი! შეუტყე-ვნანობ რომ გამოგელაპარაკეთ... კარგს რას გაიგონებს კაცი თქვენგან! მივახალე, მივიდევთ ქუდთან ხელი და ვაეშორდი კეთილ დამრიგებელს.

ჩემი სურვილი ახლა იყო როგორმე არ გამემარჯვებინა ჩემზედ მტრათ გადაკიდებულნი, აეშორებოდი უდაბურ ადგილას გადაკარგვას. გადაწყვეტიე ამისათვის გაეჩერებულყოფი თბილისში და შემეგლო საოლქო სამხედრო შტაბში. შტაბის უფროსათ იყო დროებით გენერალი ბერხმანი, მეტად რიგიანი პიროვნება.

— ვიგზავნები სამურის პოლკში. პოლკში წვიდი შტაბ-ოფიცერია, მე მერვე ვიქნები. რა მიზნია? მივმართე ბერხმანს.

— პოლკოვნიკ კლდიაშვილი? და გენერალი ჩამაჩერდა.

— დიხ!

— არ დაგიმალავთ რაც თქვენ შესახებ აქ ამბავია! შობრძანდით, დავსხდეთ ავტო! გენერალი დაჯდა და მეც გვერდით მომიჯინა.

— თქვენ შესახებ შტაბში იმდენი ცნობებია მოსული და ისეთნაირი, რომ ბოლო დროს მათ რწმენაც ეკარგებათ. ცნობაა რომ თქვენ რევოლუციაში ღებულობდით მონაწილეობას, რომ რევოლუციონურ გასვენებას არ აერიდეთ, რომ ჯარისკაცებთან სხეანიარათ ირჯებით, რომ მათ სურვილზედ დადიხართ, ცუდ მაგალითს აძლევთ უნცროს აფიცრებს! და გენერალმა გულახდილად გადამიშალა ყველაფერი რაც ჩემს შესახებ უწერია შტაბში ჩემი ნაწილის უფროსს.

— ერთი სიტყვით თქვენ გადასაყვანი კი არა ჩამოსახრობი კაცი ხართ! ღიმილით დაათავა ბერხმანმა.

— და ამის წარმოდგენით უნდა ვიკარგებოდე?

— რატომ უნდა დაიკარგოთ?

— აბა რა ექნა, რომ გამარჯვება ისეთ პიროვნებას არ რჩებოდეს, როგორც არის ჩენი ნაწილის უფროსი? ალღევებით მივმართე ბერხმანს.

— მე ვაცემულ ბრძანებას ვერ მოვლი, ვასწავლით კი გზას თქვენ საქმეს რომ შეიუფაროთ... ინახულეთ გენერალი რეშეტინი; ის იყო თქვენთან ბათუმში იცის კარგათ ბათუმის ამბები, ალბათ თქვენს შესახებაც ექნება გაგონილი — შეიძლება დაგეხმაროთ და მოაწოდებინოს ბრძანება... ინახულეთ გენერალი! გულითადი რჩევა მომცა ბერხმანმა.

გავეშურე რეშეტინისაკენ. მიველ — მითხრეს სახლში არ არის, წასულია კავკაეში, ორი სამი დღის შემდეგ ჩამოვაო, გამოვბრუნდი ბერხმანთან.

— რეშეტინი კავკაეში ყოფილა... სამი დღის შემდეგ ჩამოვაო... მე კი ამდენი ვადა არა მაქვს თბილისში დაერჩე რა ექნა? მივმართე შეწუბებით.

— დარჩით! ნებას გაძლევთ დარჩეთ სანამ არ გამოიკეთებთ თქვენს საქმეს! ტკბილათ მითხრა ბერხმანმა.

მოულოდნელად მიჩნდებოდა მონხმარე ადამიანი.

სამი დღის შემდეგ რეშეტინიც ჩამოვიდა. მივედი. თავის სამართველოში იყო. ჩაჯდა სავარძელში მაგიდასთან, მე წინ დამიჯინა.

— რაშია საქმე? ჩაილაპარაკა თავის გრძელ ჰალარა წვერებში და ჩაღუნა თავი.

გადმოუშალე ჩენი ნაწილის ცხოვრების სურათი, პოლკოვნიკის ყველა უმსგავსო მოქმედება აფიცრებთან და ჯარისკაცებთან, მისი გამრყენელი ვაფლენა ნაწილის შეპაღვენლობაზედ — ერთი სიტყვით ის უცნაური ატმოსფერო რომელიც ნაწილს ებნია მისი წყალობით, რომ ჩემში ხედავდა თავის მოწინააღმდეგეს, მისებურ ნაწილის წვართნის ხელისშემშლელს, რომ შეშინებულს რაც ნაწილში ხდებოდა იმის პასუხისმგებლათ არ ეცნოთ მე მახვევდა თავზედ ყველაფერს, მე მხდიდა დამნაშავეთ, ასეთი პიროვნებისაგან რომ ვიწიბლები ეს მწვევტს გულს და გთხოვთ დამხარებას, რათა უსინდისო ადამიანმა არ გაიმარჯვოს.

ვლაპარაკობ, ვლაპარაკობ გაცნარებით — ის კი ვისაც ველაპარაკები ზის გაუნპრეველად, მსხვილი თავი მაგიდაზედ გაწვილ ხელეზე უდევს. ხმას არ



ქართული
გენგაზიტიკა

იღებს, არც შემოუხედავს ჩემთვის. ვანეგარძობ სიტყვას და თან ვუღს ვასკდები, ჩემს თავს ვესაყვედურებ რათ მოველ ამ დავთან, ყრუ დავთან, რომელსაც უფაფერი ჩემი ვერ შევასწინე. ამან უფრო გამწარებულ კილოზედ ამაღაპარაკა. თავი ვაინძა, ამაართა და ორი დიდრონი თვალი მომეპყრა.

— პოდპოლკოვნიკ! ბეერი რამ რაც თქვენ მომიუყვით მე ბათუმში, ჩემს იქ ყოფნის დროს, ვაგონილი მქონდა, თქვენ ხშირად ვახსენებდენ ჩემთან; მაკვირვებდა ეს და ერთხელ კიდევაც ვუთხარი თქვენი ავად მახსენებელს—ავად ვახსენებდნენ და იმათში თქვენი ნაწილის უფროსიც იყო—ვუთხარი მაკვირვებთ რომ ამ შტაბ-ოფიცერზედ ასე მუდამ მელაპარაკებით და ასე იხსენიებთ,—რადაც სხვანიირი პიროვნება უნდა იყოს ასეთ უსრადლებას რომ იქცევს; ის ან ვირი უნდა იყოს, არ დავიმალავთ ვიხზარე ეს სიტყვა, ან ვირი უნდა იყოს და ვირულათ დელიუზოს, ანა და არც ისე საუფებელი თქო როგორც თქვენი სიტყვებიდან ვამოდისთქო. ვატყობდი რომ რაღაც თაღლითობა იყო და არ დამიბარებიათ ამიტომაც. ახლა კი ვერწმუნდები რომ ვირი ის თქვენი ნაწილის უფროსი ყოფილა!

გულზედ მომეშვა.

— მოხარული ვარ რომ შემოიარეთ ჩემთან; დავგებარებით, მაგრამ ჯერ მქირია რანდენიმე ცნობა, მივიწერები ბათუმში, ციხის შტაბის უფროსს, პოლკოვნიკ მდივანს მივწერ. პატროსანი კაცია, მართალს შემომითვლის და ამის შემდეგ გმტყვით ჩემს პასუხს. თუ წინააღმდეგი არ იქნებით ასე ვიზამ!

— დიდათ გმადლობთ! გთხოვთ წერილი მე ვამატანოთ ბათუმში, მე წავალ და ორ დღეში დავბრუნდები პასუხიანათ, უფრო მალე იქნება... თუ ეს შესაძლებელია. მატარებელი საღამოს მიდის.

— რატომაც არა... კარგი, შემოიარეთ სამ სათზედ და წერილი მზათ იქნება. კარგი!

სამ საათზედ ისევ რეშეტინთან ვიყავი მის ბინაზედ. ჩამაბარა მდივანთან მინაწერი წერილი და გამომეყვა წინა ოთახში. ვიცვამ პალტოს, რეშეტინმა გამომართვა პალტო და ჩამაცვა. ეს კარგ ნიშნად მივიღე აღბად გენერალს სწავლია ჩემი დახმარება მართლა, ასე არ მომეცქეოდა სხვანიირათ რომ შიველე.

ვაგწვიე გახარებულმა. ხვალ მე ვაგწინდები ბათუმში, დამინახავს ჩემი ნაწილის უფროსი და შეფუთადება-დაღესტნის მავიერ მე ისევ ბათუმში! ეს მისთვის ჩასაფიქრებელი რამ იქნებოდა.

დილას ეტლით რომ ჩოუარე კაზარმებს ჩემს ბინაზედ მისასვლელად (ჩენი ბინები კაზარმების იქით დიდ შენობაში იყო) დამინახეს თუ არა, ჯარისკაცები გამოეფინენ კაზარმებიდან და გაცოცხლდნენ გაიძახოდნენ:

— პოდპოლკოვნიკი დაბრუნდა, პოდპოლკოვნიკი დაბრუნდა!

შევედი სახლში. გაცოცხლა. მკვდარი რომ გაცოცხლებულყო ისეთი ამბავი. მოფუყვი ყველაფერი, დავისვენე ცოტა ხნით და წავედი მდივანთან წერილით. ესეც ვაოცდა ჩემი დანახვით. მეორე დღეს მე ისევ ტფილისისკენ ვემნი პირი სპასუხო წერილით ხელში. მდივანისგან წერილი წაიკითხა რეშეტინმა და ტბილათ მიტბრა:



— ძალიან კარგი! ძალიან კარგი! ერთი კვირის შემდეგ შემოიარეთ არტილერიის სამმართველოში... მნახეთ! საქმეს განოვაგებრებთ! ნუ წეწუხდებით! ვენერალ ბერხმანს მე ვნახავ და ვიტყვი მეტ ხანს დავარჩინოს ტუილისში.

ჩემი სიბარული უსამო იყო; ეს კაცი პირდაპირ ჩემი გამაცოცხლებელი შეიქმნა. აფრენილი, იმედიანი დაებრუნლი სახლში. ბინათ ვიცი ჩემ ნათესავთან, არქიტექტორ სიმონ კლდიაშვილთან, ქართული უნივერსიტეტის ამშენებელთან, ჩემი სიბარული რომ შემწე გამომიჩნდა სავსებით გაიზიარეს აქ. მოხუცი, ტკბილი დედის მავარი ჩემთვის, ბიცოლა ჩემი უფრო თავისებური აღერსიანი სიტყვით მიიმედებდა, რომ ჩემი მტრები ჩემზედ ვერ გაიზარჯებდნენ. კუსმენდი მის იმედთან სიტყვას და მეც იმედიანი ვხდებოდი.

— მხნეთ იყავ, შევილო, მხნეთ! მართალ კაცს მისი სიზოათლე არ დაეკარგება, საზიზღრებმა როგორ უნდა გაიზარჯონ! არ მოასწრებთ გამჩენი!

საზიზღრების დამარცხების მოლოდინში იყო გამჭარებული საყვარელი შევილის, მისი „ბიქის“, მისი ძვირფასი საბას დამყარველი მოხუცი. იმედიანი რომ საზიზღრები დამარცხდებოდნენ, რომ გამარჯვება მოახლოვებულია და უმძველი იგი სძლევდა თავის უსაზღრო მწუხარებას, და ამხნეველდა ყველას თავის ვარშემო.

შეწუხებული, ხშირად ისევ შავ ფიჭრებით გარტყებული აქ ამ ოჯახში ეივიწუხბდი მწუხარებას და ყოველ უსიამოვნებას. მწუხარება კი მალაყდა, თუთქეყავდა ჩემს ნერვებს.

ბავშობიდანვე ვუყვარდი ბიცოლა ეფროს, მის მრავალ შეილებ შორის მეც მქონდა სასიყვარულო კენჭული.

შესამჩნევი ქართველი ქალი იყო ბიცოლა ეფროს. იგი იყო ქვიზნათელი ყოფიანის გვარის ქალი, დიმიტრი ყოფიანის ახლოხელი ნათესავი. ბავშობას მახსოვს მას ეხეიენენ ვარშემო ყოველი კუთხის ქალები, მის ოჯახში თავს იყრიდა სოფელელების ქალიშვილები, მისგან სწავლობდნენ წერა-კითხვას, ხელსაქნარს, განსაკუთრებით ხალიჩების ქსოვას, რამაც ბევრი გლების ოჯახი ფეხზედ წამოაყენა. მთელი სოფლი მისი მოსიყვარულე იყო, მისგანაც შეყვარებული და ეს საყვარული, საკეთილოდ განზადებულობა მან თავის შეილებსაც ჩაუნერგა ღრმად. ქუთაისში, სადაც მას ქონდა საკუთარი სახლი, იგი ახლო მონაწილეობას დებულობდა ქართულ სცენის მოყვარეთ წრეში, ჩინებული მოთამაშე იყო ხნიერ ქალების როლში, თარგმნიდა რუსულიდან, წერდა პატარა-პატარა წერილებს. მისმა ოჯახმა დაზარდა დღევანდელი სახელმწიფო უნივერსიტეტის ამშენებელი არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილი, მისი ქალიშვილი იყო მარიამ ძნელაძისა, პირველი ქართველი მომღერალი. კონსერვატორია დასრულებული ქალი, რომელსაც დიდი დეაწლი მიუძღვის ქართული მუსიკის განვითარებისათვის შრომაში; მისი შვილი იყო ტრადიციული დაღუპული, ახალგაზდა მეცნიერი დიდი იმედის მძღველი ქვიპოსი, ოდესის უნივერსიტეტის ლაბორანტი ალექსანდრე კლდიაშვილი. მოხუცებულობაშიც არ დაკარგვია სიფხიზლე, საზოგადოებრივი ინტერესი, იმედინაობა უყვეთესი მომავლისა. მხნეუდებოდი ამ ოჯახში ნყოფი.

დის მავგარი იყო ძნაც, მიშო ყიფიანი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ერთ დროს, ახალგაზღვობისას ციმბირში ნაყოფი პოლიტიკური მოღვაწეობისთვის, იგი ხშირი მყოფი იყო თავის დის ოჯახში, რომელიც მას განსხვავებით უყვარდა და რომელიც იგიც ამგვართვე უყვებდა.

ამათ წრეში უნებლიეთ გავიწყლებოდა ყოველივე პირადულათ საკუთარი მწუხარება, უსიამოვნობა.

ხშირად მოდიოდა აქ, მაშინ ახალგაზდა, ახლად გამოსული სამუსიკო ასპარეზზედ, დღეს ჩვენი სასიქადულო, საყვარელი კომპოზიტორი, ზაქარია ფალიაშვილი. ფალიაშვილი, ცხომელიძე და მაშო ძნელაძისა აშხადებდნენ ქართულათ როსინის ოპერასა „სევილიელი დალაქი“.

აქ ყოვენამ შემაძლებია ამეტანა ის მწუხარება, რომელიც მე მიდგა ჩემი მდგომარეობის გამოუტყვევლობის გამო. საქმე ჭიანჭურდებოდა, მოელოდნენ შტაბის ახლად დანიშნულ უფროსის გენერალ შატილოვის, ჩამოსვლას პეტერბურგიდან.

ერთ დღეს რეჟეჟინმა დამიბარა საოლქო შტაბში. მივედი. ოთახში ვხივართ რეჟეტინი, ინგინერ პოლკოვნიკი დუმბაძე და მე. გაიღო კარი და ოთახში შემოვიდა კობტა, შუა ტანის ყუბანის კახაკთა გენერალი. გენერლები დიდი საღამით მიესალმენ ერთმანეთს.

— რა ტენით თქვენი რაზნის, თქვენო აღმატებულებავ? შეეკითხა რეჟეტინი.

— იმთავითვე უარი უთხარი მის შედგენაზედ და დღესაც უარს ვიუბნევი.. ვისაც უნდა იმას დაივალონ, ნონახონ სხვა ვინმე; მე ამგვარ ექსპედიციას სათავეში არ ჩაუდგები და არ შემოვივლი ამიერ-კავკასიას. ვითხოვე სანსახურიდან გამათავისუფლონ-არ მითხოვენ; ახლა მინდა ვითხოვო პეტერბურგში მაინც გამიშვან, შევბუღება მომცენ. ერთი იქ გაავაგებინებ მაინც თუ რა ხდება აქ! სთქვა შემოსულმა გენერალმა.

— კარგს იხამთ, ძალიან კარგს იხამთ! უთხრა რეჟეტინმა, — აქ კიდევ გეგმებს მისდევენ და რა სიკეთეს გამოივლიან არ ვიცი!

რამოდენიმე წუთის შემდეგ კახაკი გენერალი გავიდა ოთახიდან. შეეკითხეთ რეჟეტინს თუ ვინ იყო ის გენერალი.

— გენერალი ვიშესლავეცკია! ყუბანის კახაკთა დივიზიის უფროსი. მშვენიერი გენერალია. მომიგო რეჟეტინმა და მოგვიყვა იმ ექსპედიციის შესახებ გენერალმა რომ ახსენა.

ამიერ-კავკასიის შესაძრწუნებლად, შესაშინებლად, მთავრობის სიძლიერის დასანახავად და ყოველგვარი არეულობის ჩასაქრობათ გრიანოვის შემუშავებულ გეგმით უნდა შემდგარიყო ექსპედიცია ოცი ათას კახაკისგან თავის არტილერიით, ტყვისმტკვეველებით; ექსპედიციას უნდა მიმოეღო თელათ ამიერ-კავკასია და ამოიფხვრა დოუზოგველად ყოველივე ურჩობის სურვალნი მტხოვრებლებში; ექსპედიციის უფროს სრული ნება ეძლეოდა დაწვის, დახურეტის, ჩამოხრობის, ყოველნაირად დასჯის სადაც და როგორც საჭიროთ დაინახავდა. ექსპედიციის ყოველგვარი საშვალეობით უნდა დაეწყნარებია ქვეყანა.

ექსპედიციის უფროსათ გრიაზნოვი ნიშნავდა გენერალ ვიშესლავეცს, მაგრამ ამან უარი უთხრა.

— გენერალი მეტად რიგიანი კაცია, რომ ამგვარი რამე მხეცური საქმე ეკისრებინა, თქვა რეშეტინმა.

გრიაზნოვი არ ეშვებოდა, აძალებდა, მაგრამ ბედმა არ დააცალა მისი გეგმის შესრულება—ჯორჯიაშვილმა მოუსპო სიცოცხლე და იხსნა ქვეყანა აზრებისაგან.

ცოტა ხნის შემდეგ შატილოვიც ჩამოვიდა თბილისში. რეშეტინმა მითხრა გამოცეხადებოდი მასთან და ის მეტყოდა თავის გადაწყვეტილებას. გამოცეხადე; შატილოვმა მითხრა, რომ მან იცის ყველაფერი ჩემს შესახებ რეშეტინისაგან და რომ თანახმაა ჩემი სურვილის გადაყვანილი ვიქნები სოხუმში, სოხუმის პოლკში. ორ დღეში უნდა მივსულიყავი შტაბში განკარგულების მისაღებათ.

ორი დღის შემდეგ შტაბში მიხულს მორიგე გენერალმა კნიატევიჩმა მითხრა:

— თქვენ ითხოვეთ სოხუმში გადაყვანა, შტაბის უფროსი თანახმა იყო, მაგრამ მერე გამოცვალა—თქვენ დაბრუნდებით ისევ თქვენს ნაწილში... ეგ იმიტომ რომ იცოდნენო, ამბობს გენერალიო, რომ კაცის ბედით თამაში დაუშვებელიაო!

მივიღე ახალი მოწყობილობა. გამარჯვებისაგან სიხარულით აფრენილი დაებრუნდი შინ. აქაც გაბარება, მადლობა რეშეტინს და მეორე დღესვე გავეშურე ბათუმისკენ.

ჩვენი ნაწილის უფროსი, პოლკოვნიკი, აღარ დამხვდა, იგი, როგორც ორმოცდათვრამეტი წლის წესრულეული, დათხოვნილი იყო სამსახურიდან. ასეთი იყო კანონი. მის მაგიერ იყო ახლად დანიშნული პოლკოვნიკი ტუნებერგი, თბილისის საინჟინრო სასწავლებლის გუნდის უფროსი, პიროვნება, როგორც თბილისში მითხრეს, მეტად რიგიანი და შესამედილი. ბათუმში ჩასვლისთანავე გამოვეცხადე და უთხარი:

— პოლკოვნიკ, თქვენ რასაკვირველია გავგებულნი ვაქვით ყველაფერი ჩემს შესახებ. მე ისევ დამაბრუნეს უკან, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მე იგივე ვარ, რაც აქამდის ვიყავი. მე ისევ იმ აზრზე ვარ, რომ ჯერ მოქალაქე ვარ და მერე სამხედრო პირი; უაღრესად მორეტერესე ვარ რაც დღეს ჩვენს ცხოვრებაში ხდება, თვალს ვადევნებ, ვაძლევ ანგარიშს და ვმსჯელობ გულახდილათ, დაუშალავათ. ჯარისკაცთან და ხელქვეითთან როგორც წინათ ვიყავი, ისე ვიქნები შემდეგშიც. თუ თქვენ შეგიძლიათ ამგვარი შტაბ-აფიცური იგუოთ თქვენთან, მეც თქვენი შრომის მონაწილე ვიქნები, პატიოსანი მონაწილე, თუ არა და მითხარით და მე არ შეგაწუხებთ ჩემი აქ ყოფნით. შეიძლება სულაც გავეშორდე სამხედრო სამსახურს—შრომა არ მეზარება, საშრომს ყოველთვის ვიშოვი.

—დავიდ სამსონიჩ! ასეა თუ არ ვცდები, დავიდ სამსონიჩ,—გრძნობით მითხრა ტუნებერგმა—მიიღეთ ჩემგან მადლობა, რომ ასე გულახდილათ, ასეთი ნდობით მოხვედით ჩემთან; ამას მე დიდათ ვაფასებ და სიტყვას გაძლევთ მეც



გარეგნული
ბუნებისკაცა

გიბასუხებთ ამისთანავე ნდობით და დაიმედებული ვარ ჩვენ კარგათ, ამხანაგურათ რომ ვიმსახურებთ; მე გაგებული მაქვს ყველაფერი და პატიოსან სიტყვას გაძღვეთ ამ ჩვენი ბაასის შემდეგ რომ ვინმე მოიწადიოს თქვენს შესახებ ჩემი გაკნობიერება და ცუდათ მოგობსენიოს—ასეთ პირს მე დოფირდებლად კარგებზე მივეუთითებ, პატიოსან სიტყვას გაძღვეთ!

რამდენინე დღის შემდეგ უნდა გავბრუნებულიყავ თბილისში, გენერალ ბერხანისაგან მოწმობა ამელო, რომ იმან დამართო ნება დაერჩენილიყავ თბილისში ჩემი საქმის თაობაზედ.

— დაწყნარდით? მხიარულად შემგვითხა ბერხმანი როცა მივედი მასთან შტაბში.—ხომ აღარ ღელავთ? რაზე ჩამოსულხართ?

— თქვენი მოწმობა მჭირია, რომ თქვენ ნება დამართეთ თბილისში დავრჩენილიყავ და არა დაუკითხავად შეცვრებულვარ.

— დიდის სიამოვნებით! წავედეთ ჩემს კაბინეტში გაეშურა თავის კაბინეტისაკენ, მეც გავეყვი.

— აბა მითხარით, მიკარნახეთ რაგვარი მოწმობა გჭირიათ და მეც დავწერ! თქვა და მიუჯდა მაგიდის.—დაბმანდით!

საჭირო მოწმობა მალე დაიწერა, მოაწერა ხელი, დაკრა ბეჭედი და გამომიწოდა.

— სხვა არაფერი?

— გმადლობთ, არაფერი!

— აბა ახლა მონიყვეით რათ შემოგვიკიდეს ისე დოფოგველად ცეცხლი? ამისაკ დაწვრილებით მოუყვევი ყოფილი ჩემი უფროსის ამბავი, ჩვენი ყოფა-ცხოვრება მის ხელში, ჩემი ურთიერთობა მასთან, აფიცრებთან, ჯარისკაცებთან, საზოგადოებასთან. სხვათა შორის უთხარი რომ მისაყვედურებდა თქო რომ გადამეტებულ ყურადღებას ვაქცევ რაც ხდება საზოგადოებაში, როგორ მარიგებდა რომ მხოლოდ სამსახური უნდა მახსოვდეს და რაც სამსახურს ვარეშე ხდება—ეს ჩემზე უფროსების საქმეაო.

— ვოტ ტაკ-ტაკ! წამოიძახა ბერხმანმა—სამსახური როგორ დამავიწყებინებს ყველაფერს! შორსა ვარ ჩემი ქვეყნიდან, სამსახურში გართული, მაგრამ ჩემი გული დუღს, რაც ბალტიის მხარეს დღეს აყენებს მილერ-ზაკომელსკი (ბერხმანი ბალტიის მხრიდან იყო).—მოსვენებას მოკლებული ვარ იქაური ამბებით!

გამოთხოვებისას მადლობა ვუთხარი იმ დახმარებისათვის მან რომ გამიწოდა. გენერალმა ტკბილად მომიგო.

— მადლობა რისთვის?—მე მხოლოდ რჩევა მოგვეცით რა ვხედავდი თქვენს დიდ მწუხარებას და ამ რჩევამ კეთილი ნაყოფი მოიტანა თავის თავით; და თუ მადლობაზე მივა საქმე, თქვენი მადლობა იმით იქნება გადახდილი, რომ როცა თქვენ შეგხვდებით ვინმე აი ისე შეწუხებული როგორც თქვენ იყავით—მიხედეთ, ნუ წოუყრუებთ, დახმარეთ როგორც შეიძლოთ—აი ეს იქნება თქვენი ჩემთან მადლობა! და ეს ისე შნოიანათ, ისე ლამაზათ წარმოხატვა ამ კაცმა, რომ აღტაცებაში მომიყვანა და შევძახე:

— ეს ისეთი ძვირფასი სიტყვებია, რომ მათ გავონებაზე ორკეც მიდლობას მოგახსენებთ... ორკეც მიდლობას!

გულგაღონიერებული ჩამოვედი ბათუმში. მელირსა ერთგვარად მოხსენება, მაგრამ საუბედუროთ მოკლე ხნით. ნაწილის უფროსი მოულოდნელად გახდა ავით და ნახევარი წლის ჩვენთან ყოფნის შემდეგ გარდაიცვალა. მისი ნაცვალის ახალგაზდა კაცი, კარიერისტი, ჭკუა მოკლე, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა თუ რითი მოეწონებინა თავი უფროსებისათვის და ქალაქის მცველ რაზმის გამგებლათ ყოფილიყო, რომ ამ თანამდებობის აღსრულებისათვის დღიური ფულით თავისი ჯამაგირი გაეორკეცებინა თითქმის. თუმცა მთავრობა უხვად აგზავნიდა ჯარისკაცებისათვის საკითხავად სხვა და სხვა ბროშურებს, ეს თავის გულმოდგინებით თავის მხრივ იწერდა ამგვარ ფურცლებს და ბროშურებს, არიგებდა გუნდებში და ავილებდა აფიცრებს ეკითხნათ ჯარისკაცებისათვის და შეეთაყვისებინათ მათთვის ამ ბროშურებში გატარებული აზრები. რა შედეგი ქონდა ამგვარ მუშაობას! ბროშურებში ისეთი აზრები ტარდებოდა განსაკუთრებით მიწის შესახებ, რომ ჯარისკაცებს თუ აღიზიანებდა უფრო, თორემ არ ამშვიდებდა და აწყენარებდა. ამ აზრების ჩამწერგველთა მდგომარეობაც მეტად ცუდი იყო.

— დავიდ სამსონი, მე მეტი აღარ შემიძლია! მეუბნებოდა გამწარებით ერთი უმაწილი აფიცერი—მეტი აღარ შემიძლია! იმ ბროშურებით მე ჯარისკაცებთან აღარ მივალ, არ მივალ არაფრის გულისათვის. რომ დოუწყებ კითხვას, კითხვაში გადავაგვლებ თვალს თუ რა შთაბეჭდილებას ახდენს წანაკითხი მსმენელ ჯარისკაცებზედ და თითქმის ყველას სახეზედ ღიმილია; გულში ეციონებათ, იკავებენ სიცილს; მოგჩერებიან ისეთი თვალით თითქო დავკინიან, მისხარად ავიგდებენ, გრანობ, რომ არ ეშინოდესთ და შეეძლოთ თავისუფლათ გამოთქვან თავიანთი აზრი. არა! რაც უნდა მიყონ ამ ბროშურებით ჯარისკაცებს აბლო არ გავეკარებები, არა! ეს საქაგლობაა სხვა არაფერი! პირდაპირ ვახელებთ ჯარისკაცებს!

თავით უფროსი ისეთი იყო, რომ ჯარისკაცებთან ორ სიტყვას ვერ გადააბამდა სათქმელათ, არც იცოდა რა სამსახურისა; იყო კარიერისტი, მუდამ იმის ფიქრში თუ რა გზით წაეწია წინ, რეაქტია ძლიერდებოდა—ესეც რეაქციონერობდა. ბედით გონი აკლდა, თორემ უბედურების დამტეხი რამ იქნებოდა, თან მთხალიც იყო.

ზაუზუნლის საღამოა; ბანაკათ ვართ ზღვის ნაპირზედ, ქალაქის განაპირათ. ეზივარ ჩემს კარავში, ვმუშაობ. კარავში შემოვარდა აფიცერი, მესამე გუნდის უფროსი, პოლონელია.

— დათიკო, კომანდირი გხმობილობს... მალე, მალე!

— რა ამბავია?

— ეშმაკმა იცის, რაც ამბავია! ჯარისკაცებში არეულობაა... რალაც ცუდი ამბავია... მალე, მალე! მეუბნებოდა გაფაციცებული აფიცერი.

— ეგერ ზის საკრებულოს აივანზედ!.. იცოცხლე ის შეშინებულა!



შევედი საკრებულოში; აივანზე, გაზეთით ხელში, აკიდებულ ლამპართან ზის პოლკოვნიკი. მოკუნტულია.

— რა ამბავია, ვლადიმერ ივანიშ! ვკითხე.

— მორიგე აფიცურმა ეს არის მომახსენა ბანაკში ჯარისკაცებში რაღაც უწყისობა... მუზიკანტები უკრავდნენ, დაჩევიან, გაუფანტავთ... რაღაც ამბავია... დავიდ სამსონინ, გამიგეთ რა არის... რაზედ აღელდნენ! თქვენ აქ ძველი აფიცური ხართ, თქვენ გაგიგონებენ! პოლკოვნიკი ეტყობოდა გვარიანად იყო შეშინებული.

გავედი ბანაკში. ისმის ყაყანი, გულმოსული ლაპარაკი.

— რა ამბავია! შევეკითხე პირველ შემხდურ ჯგუფს.

ხმას არავინ იღებს, გაჩუმდნენ.

— თქვით, რა ამბავია? ვიმეორებ. ისევ სიჩუმე, იქით კი ისევ ყაყანი, ისევ გულმოსული ლაპარაკი.

მივდივარ კარებში. მიახლოვებასთან ყაყანი წყდება, ხმას არავინ იღებს. გარეშემო კი ისევ ხმა მაღალი, გულმოსული ლაპარაკი.

— არ გრცხვენიათ! ვუყვირე მეც, — რაღაც გინდათ თქვათ და ვერც ამბობთ! ალბათ მტყუანი ხართ, აბა რომ გაგაჩუქათ!

ჩემ გვერდით მორიგი აფიცურა იდგა.

— წადით თქვენთვის! უთხარი მას. ვიფიქრე ამისთან არ უნდათ ილაპარაკონ. მორიგი გამშორდა.

— თქვით... გამაგებოთ რამ ავრიათ?.. რა მოხდა ისეთი? აქ დისასჯელათ ხომ არ მოვსლულვარ, მინდა ვიფიგო რა მოხდა, რატომ გაფანტეთ მუზიკანტები აყვირდით?

— ტუსალები კი არა ვართ, ჯარისკაცები ვართ! წაშოიძახა ერთმა.

— ტუსალები არა ვართ!.. არა ვართ ტუსალები! იყვირეს აქეთ-იქიდან.

— თუ ტუსალები ვართ გამოგვიცხადონ!

— რის ტუსალები? რა ტუსალები?.. ვინ დაგატუსაღათ? ვკვითხებოდი გაკვირებული.

გამოირკვა, რომ ნაწილის უფროსს განკარგულება გაეცა ბანაკის გარეშემო დაეყენებინათ ყოველ ორმოცდაათ ფეხის ნაბიჯზე ყარაული რომ არავინ შესულიყო ბანაკსა და ვერც ვინმე ნება დაურთველათ გასულიყო. ყარაულები დააყენეს და ჯარისკაცებს გასართობათ, ბრძანების თანახმათ, გამოეყვანათ მუსიკა მინდორზედ. ჯარისკაცები ამაზედ აღელდნენ, აყვირდნენ, გაფანტეს მუზიკანტები და იმუქრებოდნენ ყარაულების ძალით მოხსნას.

— ბატონო, მოახსენეინეთ ყარაულები თორემ ჩვენ ცუდ ამბავს დავატრიალებთ! გფიცავართ... თავს გავიშეტებთ და ჩვენსას კი ვიწამთ! მითხრა ერთმა ჯგუფმა — ესენი იყვნენ გორელი ჯარისკაცები მეტწილად.

— კარგი, კარგი! დაწყნარდით, დამშვიდდით! აქ რაღაც გაუფებრობა! ამასაც გავიგებ და ყარაულებს მოვახსენებინებ. ტუსალები ვართო... რამ გაფიქრებინათ ეს! დაწყნარდით!

გავბრუნდი საკრებულოში. გზაში მორიგე აფიცურმა მითხრა, რომ მან

სალამოს მიიღო ბრძანება ბანაკის ყარაულების შემოვლების შესახებ და იქიდანვე მომლოდინე იყო არეულობის და კიდევ ასე მოხდა.

— რა გაიგეთ? შემომეგება პოლკოვნიკი როცა დამინახა.

ნოლყევი, რომ მისგან გაცემულმა ბრძანებამ ყარაულების ჩაყენების შესახებ ბანაკის გარშემო გამოიწვია უკმაყოფილება და აღელვება თვით ბანაკში.

— ნამეტანი წყინთ! უნდა მოიხსნან უსათუოთ! უთხარი.

— აბა როგორ ექნათ—რას გაიგებ ვინ მოდის, ვინ ელაპარაკება და რას ელაპარაკება ჯარისკაცებს... ხომ იცით რამდენი არა სასურველი პირები დასრიალობენ... ვინ იცის რას არ ავრცელებენ, რის არ ელაპარაკებიან! აბა რა რიგათ ავარიდოთ ამით ჯარისკაცები?

— ამით არა გამოვა რა; უნდა მოიხსნას ყარაული თუ არ გინდათ მეტი აღელვება შექმნათ.

— კარგი უბრძანეთ მორიგ აფიცრის მოხსნას... მარა... აბა როგორ იქნება.. როგორ იქნება! აბნეულით ალაპარაკდა შიშით გამქრალი და თან გაცემულ უგუნური ბრძანების უკან წაღებით დარცხვენილი პოლკოვნიკი.

მეტად აბნეული იყო ეს ახალი ტიპის კარიერისტი. თავის თავის მეტი თითქო არა ახსოვდა და თავის წარმატების მეტი არა აწუხებდა რა. ქვეყანა რომ ცეცხლმოკიდებული იყო, რომ ყველა დინატურესებული იყო სათათბიროს წევრების არჩენების წარმოებით, რომ ქვეყანა ემზადებოდა სათათბიროს შეკრებას და მთავრობისათვის იქ თავისი ოისხვის დაცემას—ეს ყოველივე დიდ ყურადღებას არ იქცევდა მისში. მაგიერათ აღტაცებაში ნოდოდა გურიაში მომქმედ ხერსონის პოლკის პოლკოვნიკი კრილოვის მომქედებით.

— ყოჩალი კაცია! გაბედული, მტკიცე!... კაცი მაგვარო უნდა! ამბობდა მის გარეშემო თავმოყრილ გვრედ წოდებულ „პარტია პრავოვავო პორიადკა“-ს მომხრეთა აფიცრებში.

— მაგვარი კაცი ყოველ საქმეს გაიტანს!

კრილოვი თავის პოლკით, ხერსონის პოლკით, გამოგზავნილი იყო კიევიდან გურიის დასაწყენებლად. გურიას ვერა რას უხერხებდა ადგილობრივი ადმინისტრაცია და მიუსიეს კრილოვი თავის პოლკით. კრილოვი დიდის რიხით ჩამოვიდა გემით ბათუმში, აქ განსხვავებულადაც მიღებულ იქნა, როგორც მხსნელი პირი. პოლკოვნიკმა ვითომ ისარგებლა კარგი შემთხვევით, მოინდომა საქმის გაკეთება; თხოვა კრილოვს ერთი ჯგუფი მისი პოლკის ჯარისკაცების რომ შემოხვეოდა ბარცხანას ღანით და ჩბრეკა მოეხდინა. მისი აზრით ახალმოსულები უფრო სანდონი იყვნენ და ჩბრეკაში არავის დაინდობდნენ. კრილოვმა ათხოვა ჯარისკაცები; შემოერთნენ ღამით ბარცხანას, ატეხეს ალიაქოთი, შედეგი კი არაფერია; უთავბოლოთ დაწყებული საქმე უთავბოლოთ გათავდა.

კრილოვი ცეცხლითა და მახვილით შევიდა გურიაში. ეს ტანმოპირი თხელი, შავგვრემანი კაცი საოცარი სასტიკ ადამიანის მატარებელი იყო თავის არსებაში. არავითარი დახოვევა, არავითარი შებრალება მან არ იცოდა. მისი შეხედულებით აქ მტერი იყო და მტრულად უნდა მოქცეოდა. ბრუნდი, მართალი, უდანაშაულო-ყველა ერთია, ერთი აზრისანი არიან, გარჩევა საქირო არ

იყო; იქ ღმერთი გააჩნევდა ბრალიანს და უბრალოს; კრილოვი კი წვევდა, ცუცხლს აძლევდა, სიკვდილს აფენდა მარჯვნივ და მარცხნივ. საკმარისი იყო ჯაშუშის უბრალო ცნობა, რომ დასმენილის სახლ-კარს წაესმებოდა ფისი, ზედ გადაესხმებოდა ნავთი და აფარდნილ ალში, მწაოე ცრემლით ხმა მალლა მოტი-რალ პატრონთა ბლავილში იფერფლებოდა შენობა, იწოდა საზოდო, იღუპებო-და საჭონელი, ნიავედბოდა თელი ქონება.

წარმოუდგენელი სასტიკობა! — იგი ვანუშორებელი თვისებაა რუსის თეთ-წყრობელი ხელისუფლების მდიარებელისა.

უნაყოფო სასტიკობა!

კრილოვის სასტიკობამაც უნაყოფოთ ჩაიარა. მან ვერ მოსდრიკა, როგორც ის თქრობდა, ვერცა. ნერვებ აშლილი, მოქანცული, მოღალღული იგი იბუღე-ბული გახდა მიეტოვებინა თავისი პოლკი, გურია და გაბრუნებულყო კიევში. შეშინებული რომ არ მოეკლათ, ნამალევათ ჩამოიყვანეს იგი ბათუმში და ნამა-ლევათ, ღამით, არა ნავთსადგურიდან, ბათუმის ბულვარიდან ნავთი ნიაყენეს ზღვაში გაჩერებულ გემს, ჩასვეს და გაისტურეს საიდანაც იყო მოსული.

ამისთანა პიროვნებას მოყავდა ალტაკებაში ზენი პოლკოვნიკი, მოკლე ხნის შემდეგ მასაც ბედი ეწია — მოწონებული შეიქმნა და წინ წაიწია — მიიღო უფრო დიდი ნაწილი. მოგვორდა, მაგრამ მე კი ხლათორის ვადაქვიდა.

ჩვეულებისამებრ აფიცრობამ ამათაც გაუმართა ვამოსაშვიდობებელი ვახშა-მი. ვახშაშხედ იყო აგრეთვე ახლად დანიშნული ნაწილის უფროსი, კიშინევი-დან გადმოუყვანილი, კიშინევი ყოფილ ებრაელების საზარელ დარბევებაში მონა-წილეობის მიმღები, შესახედავით ნამდვილი აბრაგი, ახნახი, მსხვილი, სახე ნა-ყუავილები, ბრიალა თვალებით, რობრობა, რალაც მოუსვენარობით შეპყრო-ბილი.

ვახშამი უფერულათ გრძელდებოდა, უბალისოთ. წამსლეულმა მოიკატუნა თავი და ბოდიშით მიმართა მყოფთ იმ შეცთომებისათვის მას რომ მოსვლია უნებლიეთ, ზოგი გამოუტყველობის გამო, ზოგჯერ გამოუტყვევლობის გამო.

— ყოველთვის კი ვცთილობდი კეთილი გულით შეშუშვნა, კეთილი გუ-ლით მივდგომოდი ყველას! დაათავა მან თავისი სიტყვა.

ჩამაკვიდნენ პასუხი მიმცა ნათქვამზედ. არ ვიყავი კარგათ და არც მინ-დოდა აელაპარაკებულოყავი, უარზედ ვიდექი. მაგრამ არ მომეშვენ, არ მომცეს საშველი. წამოვდექი და მოკლე სიტყვით მივწართე. სხვათა შორის ვთქვი, რომ ჩვენმა ყოფილმა უფროსმა ალიარა, რომ უწყეთომო არ ყოფილა მისი უფროსო-ბა, ასე იშვიათად აღიარებენ ხოლმე საუბედუროთ და თან დაუშობა რომ იგი იყო მოწადინებული კეთილი ემოქმედა და ამის გამო შეცთომა უნებლიეთ ხდე-ბოდაო. კეთილი გულით მოქმედება მართლა და მშვენნიერია და მხსნელია მრ-ვალ შეცთომათგან, მაპატივებელი შეცოდებისაც.

— თქვენ გეტქვებით საქმე უფრო მეტ შემადგენლობასთან, უფრო მეტ ხელქვეითებთან. გაშალეთ ეს კეთილი გული თქვენ რომ გრძნობთ თქვენს არ-სებაში, გაშალეთ კიდევ უფრო ფართოთ და ამით თქვენც გაგიადვილებათ

მდგომარეობა და მის გამცდელი ზღაპრები თქვენი დამწვინებული და მადლობელი იქნებიან. თქვენი ნახსენები კეთილი გულის სადღევრძელო იყოს!

ეს იყო შაბლონური, უფერული სიტყვა.

ახალი უფროსი გადაწეული საჯდომის ზურგზედ, მომწერებია ღიმილით ნაკევილებიან ფართე საბეზედ, აქნეს თავს—საყვედურს მანიშნებს; ნიშნავალი ყოფილი უფროსი გეიფებია, ჩაღუნა თავი, უცნაურად ზედ ვტყობა.

რა ითქვა საამისო?! რა იქმნა ამის გამოწვევა?!.. ჯანდაბას! როგორც უნდათ ისე მიიღონ ზენი ნათქვამი!

მეორე დღეს ახალი უფროსი მამობილობს ნაწილის საშპრთველოში. შევედი მასთან კაბინეტში.

— ნუ ბატოშკა, რა ტენით ეს წუბელი?—წანომდგარია, დვას ზეზე, მოკალით კაცი?! მომხალა.

— რაობით? მოკლეთ შევეკითხე.

— მოკალით... თქვენი სიტყვით მოკალით!

— არ მესმის!

— მოკალით გეუბნებით! ახრობინდა ახმახი—განა ვერ შეამჩნიეთ რა ნაირათ იმოქმედა მასზედ თქვენმა მიმართვამ? სახლში რომ მოვედით ძლიეს დავაწყნარე, ძლიეს დავამწვიდე... მგონი არც ძინებია ისე გაიტარა ღამე. ამის მიზეზი თქვენა ხართ! დიახ თქვენ!

— მე მაკვირებს თქვენი ნათქვამი... სულ არ მესმის... საიდან რა განოგავით... რა ითქვა საამისო!..

— შმ, კაცი დაპირებეთ პატივსაცემათ, ისიც მოგენდოთ, მოვიდა და თქვენ კი იმის მაგიერათ რომ გექოთ ეს ადამიანი, რომელიც უკანასკნელად იყო თქვენს საზოგადოებაში, თქვენ ქების მაგიერათ მოყვეთ შეცთომების ხსენებას, შეეხეთ მის კეთილ გულს, ისე რომ დაცინვით უნდა მიეღო... უსათუოთ დაცინვით, დიახ!

— გასაოცარია! ფ ვინდათ რალაც ჩემს შესახებ! მკვებეთ გავაწვევტინე სიტყვა; აქ რალაც ქსელი იზმებოდა ჩემ წინააღმდეგ. როგორც გნებავთ ისე განმარტეთ ჩემი ნათქვამი—ნება თქვენია! მე ამაზედ არც ავს ვეტყვით, არც კარვს, დიახ!

— იმიტომ რომ სათქმელი არა ვაქვთ რა! თქვენ გეტყობოდით აპრობდით მეც შემებოდით იმ კეთილი გულის გაშლას რომ ასწავლიდით, აპრობდით ჩემთვისაც მოგვეთ დარჩება...

— ვულთმისანი ყოფილხართ! დაცინვით მოვეტკირი.

— კი... აპრობდით, მაგრამ ვერ გახედეთ!

— ცდებით, რომ მდომებოდა კიდევაც გეტყოდით!

— ვერ გახედეთ! ჯინიანათ წამოიძაბა მან.

— შეტად ცთებით!.. რით დამაქარგვინეთ გამბედაობა? მკვებეთ ეესროლუ მეც.

— არა თქვენ უცნაური ადამიანი ყოფილხართ მართლა!

წინდაწინ ვაცნობია ჩემს თავს. — თქვენ ცუდ მაგალითს აძლევთ უნკროს



ქართველი
გენგრაფიკოსი

აფიცრებს... ეს შტაბ-აფიცრის არ შეშენის; სამსახურის წინაშე ვალდებული ვარ აღენიშნო თქვენი წუბანდელი საქციელი ბრძანებაში, გამოგოცხადოს ამ ეამად სასტიკი საყვედური და გაგაფრთხილოთ შემდეგისათვის, ამით მეც ჩენს ვალდებულობას ავასრულებ და იმ მშენიერ ადამიანსაც, თქვენგან შეურაცყოფილს, დავაწყენარებ და დავაქნაყოფილებ!

— როგორც გნებავდეთ, ვინ გყავთ დამშლელი!

— არ გეწყინოს!

— სრულებითაც არა! ასე გინდათ, ბრძანება თქვენგან იწერება... პოვალუსტა, როგორც გეხასიათებოდესთ! ჩემთვის სულ ერთია! ავდებულათ უთხარი.

მეორე დღეს ვინახულე ციხის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი მდივანი.

— ნუ ი რახდელალ ვის პო პერვოშუ ეე ზნაკომსტვე ვაშ ივანიცი!—სიცილით შემზვდა მდივანი.—მაგრამ მოგიხდებია, რომ ვერ ისწავლე ამ ხალხთან როგორ უნდა იყო! რა ვილაპარაკებს, დაანებე თავი! ზომ ხედავ რა ხალხია!

— რა ვთქვი? გავინეორე მისი ბრიყველი სიტყვები, მეტი არაფერი. ეს ახალი ვაებატონი შემხადებულნი ყოფილა ჩემს შესახებ ეუკოესკისაგან და ამისაგან კი არაფერი ვამიკვირდებ. გულნაწყენია ჩემზედ რომ აფიცრობა ჩემს სიტყვას უფრო მისდევდა ვიდრე მისას, რომ ზშირათ იძულებულს ვხდიდი უკან წაეელო ან შეეცვალა თავისი ბრიყული ბრძანება-განკარგულებანი. გულმოსულია რომ ამას წინად აფიცრობამ ჩემ წინააღმდეგ საწადილში არ გაყვა აშკარად: არჩვენები იყო აფიცრთა საზოგადოების სასამართლოს წევრების. წინდაუბედავად გამოვიდა შეკრებულ აფიცრებაში რაღაც წერილით თუ როგორი პირი უნდა ირჩეოდეს სასამართლოს წევრად, მის გუნებაში აფიცრებს დირექტივა მისცა თუ ვინ ამოერჩიათ; ყველამ თითქმის ისე მიიღეს მის გამოხვლა, რომ მას არ უნდოდა მე რომ არჩეულ ვყოფილიყავი სასამართლოს წევრად, როგორც ყოველთვის ვირჩეოდი, და არც სასამართლოს თავმჯდომარეთ, მის ჯინაზე ბართებით მეტძალი ხმა მივიღე; ჩასვეს ჯორი ტალახში—წევრათაც ამომირჩიეს ჩვეულებისამებრ და სასამართლოს თავმჯდომარეთაც. დარჩა შერცხენილი, ჩემზედ გაჯავრებული. კეთილი გულით მივდიოდი ყველასთანო! კეთილი გული!... ახალია და ამ თავიდანვე ეტყუბა რაც პერსონა ბმანდება! დაშინება მომინდომა!

— იყავი, ადამიანო შენთვის! ნუ ებმები მაგათთან ლაპარაკში... სამსახური და გათავდა!.. გარწმუნებ არ დაგზოვანენ; ურიდეთ. ვირჩევთ!

— სულ როგორ მოვერიდები! არაფერია გაუძლებთ როგორმე ამისთანა ოხრებსაც! წამოვიძახე.

— შევაძლებიოს! სიცილით მითხრა ჩემმა მოსახურემ.

ორიოდე დღის შემდეგ შევხვიდი ჩემზედ გულნაწყენ ეუკოესკის. ვერ მოვითმინე და შევეკითხე.

— რა გეწყინათ იმ საღამოს ისეთი, რომ, როგორც პოლკოვნიკი ივანიცი ამბობს თქვენ უსაძღვროთ აღელდით და მთელი ღამე აღელვების გამო არც თქვენ მოგისვენიათ და არც ის მოასვენეთ?

- არაფერი! მომიგო მან.
- აბა ივანიცკი რომ ბრძანებანი გამქიმა რაღა იყო?
- ეგ არვიცი მე... ეს მან იცის!

გამეცინა.

— ეს მან იცის! ჩემდა თავად კი გეტყვით, რომ იმედი მქონდა ჩემიან სხვაგვარათ იქნებოდით ვიდრე იყავით. ხშირად ისე გამოდებოდა თითქო ნაწილის უფროსი თქვენ იყავით და არა მე; ხანდახან აფიცრისათვის სასაყვედურო სიტყვა ვერ მითქვამს, რომ თქვენ არ გამოსარჩლებოდით ხოლმე და მფარველობა არ გაგეწიოთ!

— კეთილი, მაგრამ ამით მე ხელს გიშლიდით ნაწილის მართვაში და აფიცრებთან კეთილ განწყობილებისათვის თუ გუბმარებოდით?! თქვენ რომ ბიკოვსკი აფიცრთა საზოგადოების სასამართლოს ქვეშ მოაქციეთ სულ უმნიშვნელო საქმის გამო და შემდეგ მოსვენებას არ აძლევდით აბაღაზდა აფიცრს, გულს უჩაგრავდით—არ უნდა ამომეღო ხმა, როგორც თქვენ თანაშემწეს არ უნდა მფთქვა თქვენთვის რომ მეტს შერებოთ, რომ თქვენი მოპყრობით ყნაწვილს ხასიათს უფუქებდით? ეს სასაყვედუროა და ამგვარება სხვა?!...

— მე თავათ გამაკვირვა ივანიცკის ბრძანებამ! არ უნდა დაეწერა იმისთანა ბრძანება... ეგ ნამეტანი ქნა!

— თქვენ დასაკნაყოფილებლათ იყო! სიცილით უთხარი.

ივანიცკი ამ ბრძანების შემდეგაც ისე იყო ჩემთან თითქო არაფერი უსინდისობა ჩაენიოს. მე ეხედავდი რა ადამიანთან მქონდა საქმე და გაშორებით მეტირა თავი, სამსახური-სხვა არაფერი. ის კი როგორც შენხედებოდა ისე მომეტკეოდა, რომ გარეშე შემხედვარე იფიქრებდა თითქო ჩემი დიდი პატივისმცემელი ყოფილიყო. მეტწილად ცდილობდა შევყოლოდი პოლიტიკურ ლაპარაკში.

— დავიდ სამსონი! გარწინებთ პასუხისმგებელი სამინისტროა საქირო... ისიც კადეტებისაგან შემდგარი! უსათუოთ კადეტებისაგან შემდგარი! სხვაფერ ხსნა არ არის! თქვენ როგორ ფიქრობთ!

ივანიცკი და პასუხისმგებელი სამინისტრო და ისიც კადეტებისაგან შემდგარი! ეს წმინდა წყლის პროვოკაცია იყო. წოუყრუე, არა ხმა, კრინტი.

— რატომ გაჩუმებულხართ? რატომ თქვენც არ იტყვით თქვენ აზრს? ნიღდით მონაწილეობა ლაპარაკში!

— არაა საქირო! მიუუგე. აკი ლაპარაკობთ!

— როგორ არაა საქირო? არ მეშეება.

— იმიტომ რომ არ ვიცი რანაირათ იქნება მიღებული ჩემი ნათქვამი... როგორ გადაკეთდება იგი!

გაშტერდა და გაკვირვებით მომაშტერა თავისი ბრიალა თვალები. მიმიხედა რასაც ვეუბნებოდი.

— გასაოცარი კაცი ხართ, უნდა გითხრათ! წილიაპარაკი მან ისე, რომ ეტყობოდა უბრალოდ გრძობდა თავს.

უფრო მეტი თავაზიანი შეიქმნა ჩემთან, მაგრამ მეც არ ვყვებოდი მის საკენჭხედ; კიშინიოვის პოგრომშიკი რას დაზოგავდა რომ ხელთ ვგვდე!



საქართველო

განმახიერება

წესი იყო ყოველ წლებით კომისიებს შეედგინათ აფიქრების ატესტატები. კომისია სდგებოდა ნაწილის უფროსებისა და გენერლებისაგან. დადგა ეს დღეც. კომისიაში მონაწილე მეც ვხდებოდი, როგორც აფიქრთა საზოგადოების სასამართლოს თავმჯდომარე; მე უნდა მიმეცა ატესტაცია ჩვენი ნაწილის აფიქრებისათვის, ჩემი ატესტაცია კი უნდა წარედგინა ნაწილის უფროსს.

დანიშნულ დღეს შეიკრიბა კომისია. მე და ჩვენი ნაწილის უფროსი ერთათ მივედით; ვაზი იგი ოხუნჯობდა, იცინოდა, დაცინოდა ზოგიერთ ჩვენს აფიქრებს; ჩემთან განსხვავებულ მეგობრულ კილოზედ ლაპარაკობდა. კომისიაში მე მივეცი საჭირო ატესტაცია—რასაკვირველია არც ერთისათვის არა საზარალო და გამოვედი, რადგან ნაწილის უფროსს ჩემი ატესტაცია თავისუფლათ წარედგინა.

კომისიის შემდეგ ივანიძე კიდევ უფრო იფაზიანი და ენა ტკბილი შეიქმნა ჩემთან. ვატყობდი მშვენიერად, რომ ეს გულწრფელი მოქცევა არ იყო; იმდენად ამის ეშვაკობა და ცუდლუტობა არ მაწუხებდა, რამდენადაც ის, რომ ავად გავხდი—მისუსტა ჩემმა ნერვებმა. ახლა მხოლოდ იმაზედ ვფიქრობდი, როგორმე ჯანი შემენახა და ნერვების აშლა არ მომეცოდა.

ციხის უფროსად ვადმოგვიყვანეს გენერალი ალფრანი—ფინლანდიელი ტომით, ახალგაზდა გენერალი, კარიერისტი, რომელმაც პირველ მოსვლაზედვე გამოგვიცხადა, რომ ვინც რამეთი შეცოდა ცხრაას ხუთშიო ყველამ ვალფეალოთ უნდა მოინანიოს თავის შეცოდებაო. ციხისათვის მას სწადა სხვანაირი ელფერი მიეცა, სხვანაირად აემუშაებინა ციხეში მდგარი ჯაოები. სხვანაირი ვარჯიშობა, მაცადინობა, ხშირი მანევრები. ერთ ამ მანევრებიდან დაბრუნებულს შინ სამმართველოდან მომიტანეს კონფერტი. გავხსენი, წავიციოთხე:

„პოდპოლკოვნიკუ კლდიაშვილი. ეგო სიატელსტეო გრაფ ნაშოლ სეოე-ვრემენი ჩტობი ვი პოდალი ოტსტავკუ“.

კეთილი. მადლობა ღმერთს რომ ამით ვრჩები. მეორე დღესვე შევიტანე სამსახურიდან ვადადგომის განცხადება. ნაწილის უფროსმა აქაც არ ნიატოვა თავისი თაღლითობა. შემიხმო თავის კაბინეტში და დიდის მწუხარებით მომმართა, რომ იგი მეტად შეწუხებულია ამგვარი მოწერილობით, რომ მას აოცებს სამსახურიდან დათხოვნა ისეთ თვალსაჩინო შტაბ-აფიქრის როგორც ვითომც ვიყავი მე, რომ ჩემმა უფროსებმა არ იციანო სწორი დაუყსება მოსამსახურის.

— თქვენი დათხოვნა! ეს ისეთი შეცთომია რომ პირდაპირ ვირევი, ჩემს თავს არ ვუჯერებ!.. ვერასგზით ვერ გამიგია რა მიზეზით, რა მიზეზით!.. ვერ გამიგია ვის უნდა ექნა ეს!.. ეჭვი კი მაქვს... თქვენ ნამეტანს ენდობით პოლკოვნიკ მდივანს; მეტს} რამეს ვტყუდით და იმანაც ისარგებლა თქვენი გულახდილობით... კი ძალიან ეჭვი მაქვს, რომ ეს მისი ნამოქმედარია!

გამეცინა. მდივანზე აქვს ეჭვი! ჩემს უზომო ქებაში! სწუხს ვადამეტებით ჩემს დათხოვნას! ამტყუნებს უფროსებს! ეს ყოველივე ისეთი ტლანქი საქციელი იყო, რომ ააშკარაებდა ამ ყოველად ზნე დაკარგულ პიროვნების ცუდლუტობას.

— უსათუოთ აქ მდივანი ურევი! განიმეორა მან.

- არა, მდივანი აქ არაფერშია!
- რა შინდობა იცით კაცის, დავიდ სამსონის! ეს გლუპავსთ თქვენ!
- მე ვიცი ვინც არის აქ მიზეზი!
- ვინ? მე ხომ არა? ეგებ ჩემზე გჭონდეთ ეჭვი?
- მე არც მინტერესებს ვინ რა მოიმოქმედა ჩემს წინააღმდეგ! მე მინტერესებს დღეს ჩემი ჯანმრთელობა, თორემ იმის სრულიად არ მეშინია, რომ ამ სამსახურს ვტოვებ. მუშაობა ვიცი, არ მეზარება და თავს კარვად გავიტან. მე კიდევ მოვისვენებ!

მის გუნებაში მატყუებდა. აშკარა იყო რომ აქ მისი ნამოქმედარი იყო და შემდეგში კიდევაც დანამდვილებით გავიგე ეს. მე რომ საატესტაციო კომისიიდან გამოვედი, ამ ვაებატონმა წარადგინა ჩემი ატესტაცია, ატესტაცია ძრიელი კარგი როგორც მისამსახურის. ამას ვერ გადაუხედა რადგან მუდამ ასეთი ატესტაცია მჭონდა, მაგრამ ქვეშ მიეწერა: „ნე მოგუ რუზატსია ჩტო ეტოტ შტაბ-აფიცერ ვ სლუჩაე ნაროდნავო დვიგენია ოსტანეტსია ე ნაშინ რიადაბ ესე იგი პოლიტიკურად არა სანლო პირათ აღნნიშნა და მეც დამითხოვეს სამსახურიდან.“

რადგან წინეებზედ შემოწმებული იყო ჩემი ჯანმრთელობა ეჭიშვება იცუნეს საჭიროთ ჩემი ვაგზუნა წინააგუკასიის მინერალურ წყლებზედ. ზაფხულზედ ვიყავ წყლებზედ—ეს უკანასკნელი წყალობა იყო მთავრობისაგან ჩემზედ მიღებული. აგვისტოში ჩამოვედი ბათუმში. ამ თვის დამლეც ჩვენი ნაწილის წლიური დღესასწაული იყო; ჩვეულებისამებრ დიდი წვეულება, დიდი ნადიმი დიდი ქეიფი. გვარიანად შემთვრალეებულმა ნაწილის უფროსმა მიგლო ხელში.

— როგორ გუნებაზედ ხართ? მეკითხება ლიპილით.

— მშვენიერზე! მივეუგე.

— არ იქნებით მშვენიერ გუნებაზედ, ტყუილია!

— გარწმუნებთ მშვენიერ გუნებაზედ ვარ!

— მშვენიერ გუნებაზედ მაშინ იქნებოდით ჩემთვის რომ მოგემართნათ და მდივნისათვის თავი დაგვენებინათ, მდივანმა ვერ გიშველით, მე კი გიშველიდით!

— თქვენთან მე არასოდეს არ მოვიდოდი შველის სათხოვნელად!

— რატომ? მდივანმა რა გიშველით? გიშველით?

— მიშველა თუ არ მიშველა თქვენთან მაინც არაფრისათვის არ მოვიდოდი.

— არ მოხვიდოდით! ვითომ რაო?

— რა და თქვენისთანა პიროვნებას მე არასურის გულისათვის არ მიმართავ დახმარებისათვის!

— ხო, ხო, ხო, არ მიმართავდით?! კიდევაც გზა გიჩვენეს!

— გიხაროდეთ! მეც არ ვწუხვარ სრულიად!

— წუხართ, მარა მალავთ! წუხართ როგორ არ წუხართ! ვიცი რომ წუხართ!

— გარწმუნებთ რომ არა! მიხარია კიდევ რომ თქვენისთანა პიროვნე-
ბას ვშორდები, თქვენისთანა პიროვნებასთან აღარ მექნება საქმე!

— ოჰო! თქვენ ძალიან სიტყვებს ისვრით! ფრთხილათ იყავით! წამოიძახა
ივანიკი. ღვინისაგან გაწითლებული მისი ნაცვავილები გადატყვეპერებულ
სახე უფრო წამოინთო და გადმოქაჩა თვალები.

— ფრთხილათ იყავით!

— შეაშინეთ ვინც შეგიშინებიათ! ან რას გელაპარაკებით—ან და თქვენ
რაში გვირდებათ ჩემთან ლაპარაკი—კარგს თქვენს შესახებ ვერასფერს ვერ
გაიგონებთ! ეს მგონი თქვენ უკვე იცით!

— კარგად მიცენიხართ და იმიტომაც გავაძვევთ! დიახ! გავაძვევ! ხა, ხა,
ხა! გაღიხარხარა ჩემმა მოსაუბრემ.

— იმსაც ვნახე თქვენ როგორ გაათავებთ! უთხარი და გაეშორდი.

მე თითქმის ვუწინასწარმეტყველე მას. რამოდენიმე თვის შემდეგ იგი
გადაიყვანეს ყარსში, იქ გაება რალაცა საზიზღარ საქმეში—მგონი ფულის
გაფლანგვაში, პასუხის გებაში იქნა მიცემული, სამსახურიდან დაითხოვეს და
მალე სულიც გააცხო.

რამდენიმე თვის შემდეგ ბრძანებაც მოვიდა პეტრბურგიდან ჩემი სამსა-
ხურიდან დათხოვნის შესახებ.

გათავდა ჩემი სამხედრო სამსახურიც. ეს არაფრათ მაწუხებდა, სამწუხარო
ის იყო მხოლოდ რომ ჯანმრთელობა ძლიერ შემერყვა: შფოთში, შეუწელებელ
აღელვებაში გატარებულმა წლებმა თავისი ქნეს—მომტენეს, ავადმყოფათ გამზა-
დეს. მივატოვე ბათუმი სადაც ოცდა ექვსი წელიწადი გაეატარე და საცხო-
ვრებლათ გადმოვედი ქუთაისში, რომლის მახლობლად ჩემი სამშობლო სოფე-
ლია, სიმონეთი.

ამის წინებზედ მოხდა საზარელი მკვლელობა, რომელმაც თელი საქართვე-
ლო შესძრა. წიწამურში მოკლეს თავის მამულში, საჯურანოში, ეტლით მიპაე-
ლი ილია ქავჭავაძე. უცნაურათ დაიკარგა წინაზედ ვანო მაჩაბელი, მას გლოვ-
და ქართველობა—ახლა ასე უცნაურად მოუსპეს დღე ილიას, რომლის გარშემო
ქართველობა ტრიალობდა. საჯურამოდან ცხედრის ჩამოსვენებას თბილისში უთვა-
ლავი ხალხი დაესწრო. ოლგის ქუჩაზედ აღმართული იყო პირველი კაფედრა
და პირველმა სიტყვა წარმოსთქვა საოცარი გრძობით სილოვან ხუნდაძემ;
საოცარი მძლავრი სიტყვა იყო ნათქვამი მიხეილ წერეთლისაგან. მიცვალელები
დაასვენეს სიონში. მეორე დღეს გასვენებას დაესწრო არა ჩვეულებრივი ხალხი
—ტყვა არ იყო ქუჩებში; პროცესია საოცარი წესიერებით მიიმართებოდა წინ.
სასახლის ვიწრო ქუჩაში ისეთი ძნელი შეიქმნა გარბა, რომ კილამ გაეცილი-
ტეთ. მთაწმინდის ძირში ამართული იყო მეორე კაფედრა. მრავალ სიტყვათა
შორის საოცარი სატყვები იყო წარმოთქმული სოსიკო მდიენისაგან და ვლასა
მგელაძისაგან. თვით საფლავზედ სიტყვებს დასასრული არ ქონდა. როცა შიკვა-
ლებული მიწას მიაბარეს უკვე კარგა დასალიმოვებული იყო.

ბაჟა ნახშირი.

რომანი

წიგნი მორატე

ბაჟა ნახშირის მსახურნი.

გაგრძელება*)

§ 1.

ბოლი მთლიად ერთიანად გაიტაცა ახალმა საქმემ, რომელიც გაცილებით უფრო საინტერესო იყო და შეტადაც აღელვებდა მას, ვიდრე მეჯინების ან თანაშემწის მდგომარეობა, საქმემ, რომელიც უფრო მეტ საშიშროებას წარმოადგენდა, ვიდრე ჩამოქცეული კლდე ან ჯორების წიხლი. ერთგვარმა სიზარმაცემ, ფიზიკური დაქანცულობის შედეგმა, ჯერ კიდევ ვერ მოასწრო მასში ავადმყოფური ფორმების მიღება, ის ახალგაზდა იყო, მასში სდულდა ახალი განცდების წყურვილი.

მაგრამ ჯეროი მინეტტი, რომელსაც ხოლი ყველაზე ადრე უმელავენებდა ოლსონის გეგმებს ნორტ-ვალის შესახებ, უკეთ იცნობდა ამგვარი ხასიათის მღელვარებას. უდარდელი გამომეტყველება გაჰქრა მის სახეზე. ამის თვალეში რაღაც მოუსვენრობა გამოკრთოდა.

— შე არ ვიცოდი თუ საქმე აქამდე მივიდოდა! — წამოიძახა მან, — მაშ დიდგ ჩემთვის და როზასთვის უსაქმურობის დღეები.

— რად ფიქრობ აგრე?

— ჩვენ უეჭველად გაგვიტაცებს საერთო ნაკადი. მე ხშირად გვებნებოდი როზას: — შენ ეძახი შენს თავს სოციალისტს, მერმე რა ხეირია აქედან? აქ ასარჩევი არაფერია: უსარგებლოა ხმის მიცემა სოციალისტებისათვის. სულ ერთია შენი ხმა ანგარიშში არ შედის, ჩვენ ვვინდა კავშირი! როზა კი მეტბნებოდა: — აცალე პატარა. მოვაგროვოთ მცირეოდენი ფული, ცოტა ბავშვებიც წაშოიზარდონ, და შემდეგ კი ჩვენც შეუერთდებით, თუნდა იმისათვის ოჯახის კეთილდღეობის გაწირვაც მოგვიხდეს.

*) იხ. „ნათობი“ 10 (18).



ქართველთა
მწიგნობართა
კავშირი

— ჩვენ ხომ ჯერ არც კი ფიქრობთ კავშირის მოწყობის შესახებ; მე სულ სხვა გეგმა მიქვს,— მიუფო ხოლმე.

მაგრამ ჯერრის მარტო ეს აღარ აქმაყოფილებდა.

— კმარა ამდენი ცდა. მუშებზე აღარ შეუძლიათ მეტი მოცდა. მე ყოველთვის ვამბობდი: ეს ერთბაშად გაივლის, როგორც ქარიშხალი. დაიწყებს ვინმე ბრძოლას და მას უკან გააჭევიბიან სხვები.

და ჯერრამ შეხედა როზას, რომელიც შეშინებული უცქეროდა მას თავისი შავი თვალებით.

— ჩვენ აუცილებლად ჩაგვიტორევეს ეს საქმე,—საქვეა ჯერრამ, და ბოლმა შენიშნა, თუ როგორ შეხედა ორივე კოლუმნარმა ოთახს, სადაც ჯერრის და ბების ეძინათ.

ხოლი სდუნდა; მისთვის ნათელი ვახდა, თუ რას ნიშნავს ამ ხალხისათვის აჯანყების მოწყობის ცდა. ის ერთსა და იმავე დროს ცნობისმოყვარეობით და თანაგრძნობით აკვირდებოდა მათ შინაგან ბრძოლას, ბრძოლას, რომელიც იმგვარადვე ძველია, როგორც კაცობრიობა, ბრძოლას პირადი ინტერესების, საკუთარი კეთილდღეობის, და კოლექტიური მოვალეობის გრძნობის შუა.

იმ ბრძოლის დაწყება საყვირებით არ იყო ვახშაურებელი, მხოლოდ ოდნავ გასაგონი ჩუმი ხმა დაჰყვა მას თან.

დაბოლოს, წუთიერი სიჩუმის შემდეგ, ჯერრამ ჰკითხა ხოლს, თუ რაში გამოიხატება მისი და ოლსონის გგნა. ხოლმა აღხსნა, რომ მას უნდა გამოსცადოს კომპანიის დამოკიდებულება კანონისადმი კონტრალიორების შესახებ. მას თავის გეგმა საუცხოვოდ მიაჩნდა, ჯერრი რაღას ფიქრობს ამის შესახებ?

ჯერრამ ნაღვლიანად გაიღიმა:

— ჰო, აბალგაზდა კაცებისათვის ეგ კარგი გეგმა არის,—თქვენ ოჯახობა არა გყავთ.

— ჰოდა კეთილი,—სთქვა ხოლმა.—მე სიამოვნებით ვიკისრებ ჩემს თავზე კონტროლიორის როლს.

— ჩვენ უნდა ავირჩიოთ კომიტეტი,—ჩაურათო ჯერრამ.—დაე კომიტეტმა ილაპარაკოს ზედამხედველთან.

— კარგი. მაგრამ კომიტეტში ჩვენ დავნიშნავთ ისეთებს, ვისაც ოჯახი არა აქვს, ან იმათ, ვინც ბლოკშტატში სტოფრობენ,—მათ არაფერი აქვთ დასავარგავი.

მაგრამ ჯერრი მაინც სერაოზული და ნაღვლიანი იყო.

— ჰო, მაგრამ ისინი მეტად უგონოები არიან იმისათვის, რომ ორგანიზაციულად იმუშაონ.

შემდეგ მან დაიწყო აზრის გამოთქმა იმის შესახებ, რომ კომიტეტის გარდა კიდევ უნდა დაეარსებინათ რაღაც ჯგუფი, რომელიც კარგად უნდა ყოფილიყო მოწყობილი ორგანიზაციულად და რომელიც საიდუმლო კრებებს მოიწვევდა ხოლმე.—ბოლოს და ბოლოს ეს იგივეა, რაც კავშირი, ხოლო ზედამხედველები და ჯამუშები მას არ შეხედავენ სხვაბრე, თუ არა როგორც საკავშირო ორგანიზაციას, მდაროებზე კი არაერთი კავშირების დაარსება არ იყო ნება-

დართული; რამდენიმე სერბიელმა მოისურვეს სათვისტომოს დაარსება—მათ ესეც კი აღუძრავლეს. თუ ვინმეს თავის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაზღვევა უნდა, ამას აწყობს თვით კომპანია, იგივე კომპანია იღებს ჯიბეში დასაზღვევ პრემიებსაც ისიც კი არა ხერხდებოდა, რომ სამშობლოში ფოსტით ფული გადაეგზავნათ.

ბოლი პირის პირ შეხვდა იმ დაბრკოლებებს, რომლებზედაც მას ოლსონი მიუთითებდა. და პირველი მათ შორის ჯერბის შიში იყო. ბოლმა კი კარვად იცოდა, რომ ჯერბი „ლაჩარი“ არ არის.

— მე თქვენგან არაფერი არა მსურს გარდა კეთილი რჩევისა,—უთხრა ბოლმა.—მიჩვენეთ რამდენიმე საიმედო ახალგაზნდა კაცი და მე შევძლებ დავიჭირო მათთან ისეთი კავშირი, რომ თქვენზე არაფითარი ეკვის მოტანა არ იქნება შესაძლებელი.

— თქვენ ჩემთან სცხოვრობთ,—ლაკონიურად მიუგო ჯერბი.

და სრულიად მოულოდნელად ბოლისათვის წამოიჭრა ახალი დაბრკოლება.

— თქვენ ფიქრობთ, რომ მართო ამ გარემოებას შეუძლია უსიამოვნება მოგაყენოთ?

— რა თქმა უნდა, ყველამ იცის, რომ ჩვენ ორივენი საუბარს ვაწარმოებთ, რომ ჩემს ოჯახში წარმოითქმის სიტყვა „სოციალიზმი“. მე შეპყვულად დამითხოვენ.

— მაგრამ თქვენს მხარეზე ხომ თქვენი ნათლიმამა სდგას, ნალირო № 1-ის ხედამხედველი?

— იმას აქ არაფრის ვაკეთება არ შეუძლია, უკიდურეს შემთხვევაში მასაც დაითხოვენ. იტყვიან: ამ იდიოტმა კონტროლიორი დაიყენა თავის ოჯახში.

— მაშ კარგი,—მიუგო ბოლმა. ამ შემთხვევაში მე დამრჩენია ის, რომ გადავიბარგო აქედან, ვიდრე გვიან არ არის. თქვენ კი შეგიძლიათ განაცხადოთ, რომ მე არ აღმოვჩნდი საიმედო პიროვნება.

ორივე მინეტტი ჩუმად ისხდნენ, ნაღვლიანიები, ამ სიტყვებზე მათ ერთმანეთს შეხედეს. იმათ ემძიმებოდათ ისეთი კარგი მდგმურის მოწორება, როგორც ბოლი იყო, მასთან ერთად იმ ქირის დაკარგეაც, რომელიც იმათ ასე თუ ისე დახმარებას უწყევდა. ბოლიც დალონდა; მას ძლიერ შეუყვარდა ეს ოჯახი, ჯერბი, მისი ახალგაზნდა ცოლი, პატარა ჯერბი და, ასე გასინჯეთ, ზანგივით შავი ბებიც, მიუხედავად იმისა, რომ ის სულ მუდამ ყვიროდა, ხმოურობდა და უშლიდათ ლაპარაკს.

— არა,—სთქვა ჯერბი.—არა მსურს გამოძრომა, ჩემი სოციალიზმა არის მონაწილეობა მივიღო საერთო საქმეში!

— კარგი, თქვენ მიიღებთ მონაწილეობას, მხოლოდ ესეა კი არა. დარჩით ჯერ მალაროში და მოეხმარეთ ოლსონს იმ შემთხვევაში თუ მე დამითხოვენ. არ შეიძლება, რომ ერთად დავკარგოთ ჩვენი საუკეთესო ხალხი.

მათ ილაპარაკეს კიდევ ცოტა ხანს და ბოლოს გაჩერდნენ ბოლის წინადადებაზე. პატარა როზა დაჯდა თავის ადგილას და შემსუბუქებით ამოიხარა.



წამების ხანა გადაიდო, მას კიდევ შეეძლო თავის პაწაწინა სახლში ცხოვრება, დალაგება თავისი სამის ოთახის და დატკობა თავისი ბრწყინვალე ჭურჭლით-ლობით და ქსოვილი თარღებით.

§ 2.

ხოლი ვადიბარვა რემინიციკისთან. მძიმე მსხვერპლი იყო, მაგრამ ამის წყალობით მას აღმოუჩნდა მუშებთან დაახლოვების საშუალება.

იმან და ჯეროიმ შეადგინეს იმ მუშების სია, რომლებზედაც სრულიად უშიშრად შეძლებოდა დამყარება. სიაში პირველად მიეცე სიკორია იყო ჩანიშნული. კომიტეტში მოხვედრა და ზედამხედველთან მოლაპარაკება,—მოხუცი მიეცსათვის, რა თქმა უნდა, მთელი მისი სიცოცხლის ოცნებათა შესრულებას ნიშნავდა. მაგრამ ეს იმან სულ უკანასკნელ მომენტში უნდა გაეგოს, თორემ ადვილად მოხდებოდა, რომ მიეცე, რაიმე მიზეზის გამო, მავალითად რომოდა რომ მოჰპარონ მას, გაბრაზდება, დაეიწყებდა ყველაფერი და მთელ საიდუმლოს წამოროშავს.

ხოლთან ახლოს ახალგაზდა ბულგარელი მეზობდა, სახელად ერქვა მას ვერსპაკი. მისი უბანი ძლიერი აღმართით შეწყვეტოდა მთას, და მას ძლიეს ჰყოფნიდა ძალა იმისათვის, რომ იქიდან ცალიერი რომოდები განოვეგორებოდა. ერთხელ, როდესაც ის აწვალბდა თავის ცალიერ რომოდებს, იქ უცერად გაჩნდა ალექ სტონი. როგორც მოსული და დიდი ფიზიკური ღონის კაცი, ალექ სტონი გოლიათის ზიზლსა ჰგრძნობდა ფიზიკური სისუსტიისადმი. სუსტი ბულგარელის ყურება აბრაზებდა მას, და რამდენჯერმე კიდევაც შემოჰკრა ხელი. ბულგარელმა ხელი ასწია, — დარტყმისაგან თავის დაფარვა სურდა, თუ შემოეკრა თავის მხრით, ამის თქმა ძნელი იყო, მაგრამ ის კი მოხდა რომ სტონი ეტაკა მას და წიხლის კერფთ გაატარა იგი კორიდორში და თან საშინელი გინება მიაცილა. ეხლა ბულგარელი სხვა უბანში ნუშაობდა, საიდანაც მან ორმოცი რომოდა ქვა გამოზიდა და ჯილდოდ სამი დოლარი მიიღო. საკმაო იყო შეგეხედნა კაცს ბულგარელის სახისათვის, როდესაც მის გვერდით ზედამხედველმა გაიარა, და საესებით დარწმუნდებოდი იმაში, რომ ის, როგორი პროტესტიკ გინდა, ისეთის თანახმა იქნებოდა.

ხოლმა იცოდა კიდევ ერთი მუშა, რომელიც ის-ის არის საავადმყოფოდან გამოსულიყო, სადაც ის მოხვდა სამთო ინსპექტორის რეველერის ტართან საბედისწერო შეტაკების წყალობით. ის პოლონელი იყო და საუბედუროდ ერთი სიტყვაც არ ესმოდა ინგლისურად. მაშინ ოლსონმა დაიხმარა მეორე პოლონელი, რომელმაც ცოტაოდნად იცოდა ინგლისური და ითავა თავის ქვეყნის კაცთან მოლაპარაკება. გარდა ამისა, ხოლი იცნობდა კიდევ ერთ ახალგაზდა იტალიელს, სახელად როვეტას, მისი ნდობაც საესებით შეიძლებოდა.

ხოლმა იფიქრა კიდევ ერთ შესაძლებელ წევრზე—მერი ბარკზე. უკანასკნელ ხანებში ის განზრახ გაურბოდა მასთან შეხვედრას, ის გრძნობდა, რომ უაქვოდ აღსე უნდა მოიქცეს, რაც არ უნდა მკაცრი იყოს ასეთი ქცევა და რამდენადაც არ უნდა დასტანჯოს მან თვითონ იგი. ის ბევრს ფიქრობდა იმის

შესახებ, რაც მოხდა: როგორ მოხდა ეს? ასეთ შემთხვევაში მამაკაცი ვალდებული თავის თავზე მიიღოს მთელი დანაშაული, მაგრამ ეს სამშობო მამაკაცისათვის და ის ეძებს თავისი საცქიელის გამართლებას. ნუ თუ ხოლი უნდა გამოტყდეს იმაში, რომ მას უფლება არა ჰქონდა იმ საღამოს ნერისათვის მკლავში ხელი მოეციდნა ისეთი ცუდი გზით სიარულის დროს? მაგრამ მერის ბომ სრულებით არ ესაჭიროებოდა მისი მიშველება, გზა მისთვის ჩვეული იყო და ნაცნობი, ის მიდიოდა მასზე თამამად, ისე როგორც ხოლი. გარდა ამისა მან, სენტრიმენტალური გრძობით გამსჭვალულმა, კიდევ მეტის უფლება მისცა თავის თავს, ის უშუშვლად ცუდად მოიტყა მერის წინაშე. მას ხომ წინასწარ შეეძლო გაეთვალისწინებია, რომ მერი მთელ თავის დაუჟამაყოფილებელ გრძობას და თავისი დამშვეული სულის მთელ ნაღველს მიაპყრობს მისკენ, რომელიც „სულ სხვა“ იყო იმათთან შედარებით, ვინც გარშემო ვრტყა მერის.

მაგრამ ხოლმა ეხლა თითქოს გამოსავალი ნახა მდგომარეობიდან, საჭირო იყო გაეღვიძებია მასში ახალი ინტერესი, მიემართა მისი გრძობები სხვა, უფრო საიმედო კალაპოტით. მართალია, მას, როგორც ქალს, კომიტეტში შესვლა არ შეუძლია, მაგრამ მერი მოახერხებს კეთილი რჩევის მიცემას, ხოლო მისი მკეთარი და თამამი ენა აღბად არა ერთსა და ორ მუწას გაიტაცებს, ხოლი საესებით გაიტაცა ვეცამ მერის შესახებ, მაგრამ ის მსჯელობდა წმინდა მამაკაცური თვალსაზრისით.—და ამიტომ ის ახალ სენტრიმენტალურ მახეში გაება. მას თავშიაც არ მოსდიოდა, რომ კონტროლის გამო მოძრაობით დაინტერესების საუფუძლად მერის სულში შეიძლება დაიდვას ხოლთან ხშირად შეხვედრის სურვილი; კიდევ უფრო ნაყლებს ფიქრობდა ხოლი იმის შესახებ, რომ თვითონ ისიც დაიწყებს მასთან ხშირი შეხვედრის მიზეზის ძებნას.

ხოლს სულ სხვა ეხატებოდა, ის ხედავდა მერის ახალ როლში, რომელიც უფრო წარმტაცი იყო, ვიდრე მრეცხავის ან მზარეულის როლი. აენტო მისი „პოეტური“ ფანტაზია: ის ჩაუნერგავს მერის ახალ იმედებს, მისცემს სიცოცხლის მიზანს. ვანა არ ყოფილან ქალები ყოველი დიდი მოძრაობის სათავეში?

ის გაემართა მერისაკენ და ნახა იგი მისი ქობის კარის წინ.

— ძალიან მოხარული ვარ, რომ გხედავთ ისევე, ვო სმიტ, წამოიძახა და ღიმილით შეხედა თვალებში.

— მეც ძალიან მიხარია, მერი ბარკ,—უპასუხა მან. მერის თამამად და თავისუფლად გვირა თავი, მაგრამ ხოლს არ შეეძლო არ შეენიშნა, რომ ის ჩვეულებრივზე უფრო ფერწასული გამოიყურებოდა. ნუ თუ ეს ცოცხალი ირლანდული ფერი სახისა შეიძლება რომ დაიფერფლოს? მას ეჩვენა, რომ მერი გამხდარა, ლურჯი ჩითის ტანსაცმელი ისე მჭიდროდ აღარ ედგა ტანზე, როგორც წინად.

ხოლმა მაშინავე ჩამოავლო სიტყვა თავისი მოსულის მიზნის შესახებ.

— მერი დღეს მე ჩვენება ვაზილე, და ამ ჩვენებაში მომეველინეთ თქვენ.

— მე მოგველინეთ თქვენ ჩვენებაში? რას ნიშნავს ე?

ხოლმა გაიცინა.

— მე გნახეთ თქვენ გაბრწყინებული სახით, თქვენი თმები ოქროს გვირ-



გვინივით ელაფდენ, თქვენ თოვლივით თეთრ ცხენზე იჯექით და ტანთ გეცვათ თეთრი, რბილი, სხივოსანი სამოსელი, როგორც ორლენანის ქალწულს ან სუფრაეისტების წინამძღოლს საზეიმო პროცესიის დროს. თქვენ მიუძღოდით წინაურაცხელ ლაშქარს, მერი. მე მკონია, თითქოს ეხლაც კი მესმის შორეული მუსიკა.

— რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

— შევიდეთ სახლში, იქ ავიხსნით ყოველივეს.

ისინი შევიდნენ ცალიერ სამზარეულოში და დასდნენ მოწულულ სკამებზე. მერიმ დაიწყო მუხღებზე ხელები, როგორც ბავშვმა, რომელიც ელის, თუ როდის დაიწყება ზღაპარი.

— მალე, — სთვბა მერიმ. — მიამბეთ, თუ რა ახალი სამოსელით მომართო მე თქვენმა სიზმარმა. ნუ თუ აღარ მოგწონთ თქვენ ჩემი ძველი ჩითის კაბა?

ხოლმა გაიღიმა.

— ახალ კაბას თქვენ თვითონ შეიკერაეთ, მერი, თქვენი სულის უნაზესი ძაფებისაგან, გმირობის, ერთგულობისა და თავგანწირვისაგან.

— ეს ჩსეე ლეკსსა ჰგავს. მაგრამ რა გაქვთ მაინც ამ სახით წარმოღვენილი.

ხოლმა მიიხედა-მოიხედა.

— ხომ არავენ არის აქ?

— არავენ.

მან ინსტიტუტურად ჩურჩულით დაიწყო დაპარაკი და უამბო მერის ყველაფერი, რომ გამოჩნდა „მუწათა დიადი კავშირის“ ორგანიზატორი, რომ მას სურვილი აქვს გამოაღვიძოს არაბები და ააფროთიანოს ისინი აჯანყებისათვის. მერის სერიოზულობა დაეცყო.

— ჰო, აი რაში ყოფილა საქმე, — და მისი ხმა დაეცა, სახე თოვლივით სპეტაკ ცხენზე და რბილ სხივოსან სამოსელში — გაჰქრა. — აქ ეს სრულიად შეუძლებელია.

— რატომ.

— თვით მე შეების ვამო. ხომ ვახსოვთ რაც გითხარით მე თქვენ ერთხელ რაფერტისას: ყველა ისინი ლაჩრები არიან.

— ჰო, მერი, თქმა იდელია, მაგრამ რა ძნელია, როდესაც თქვენი თავშესაფარიდან გაგდებენ...

— რად გეუბნებით თქვენ ამას მე? — წამოიძახა მან მოულოდნელი გატაცებით. — განა მე ცოტა მინახავს ჩემი საკუთარი თვალებით?

— ვიცი, მერი. მაგრამ მე მინდა, რომ თქვენ მოწაწილეობა მიიღოთ ბრძოლაში.

— განა თვითონ არ მინდოდა მე ეგ? რამდენჯერ მკონია სურვილი ვცემოდი ზედამხედველს და მომეკენიბა მისთვის ცხვირი.

— კეთილი, — გაიცინა ხოლმა, — ჩვენ შეგვიძლია შევიტანოთ ეგ ჩვენს პროგრამაში.

მაგრამ მერიზე არ მოქნედებდა მისი მხიარულება, ის ისენაღვლიანი იყო,

მისი ფიქრები ისე დაეშვენ ძირს, რომ ხოლს უნდოდა აეღო მისი ხელი და ენუგეშებია იგი, მაგრამ მან სწრაფად ჩაიკლა გულში ეს სურვილი, მან ხომ მერის ენერჯის ახალ გზაზე დაყენება გადასწყვიტა.

— ჩვენ უნდა ავამხედროთ მუშები, მერი.

— დაანებეთ თავი, ჯო,— თქვენ სულ ერთია, ვერაფერის გაკეთებას ვერ მოახერხებთ; განსაკუთრებით მათთან, ვინც ინგლისური ენა არ იცის;— ბერძნები და ბულგარელები კიდევ ჰო, ისინი თავის სახლში იბრძვიან, იბრძოდნენ შეიძლება აქაც. მაგრამ ირლანდიელები, ირლანდიელები— არასოდეს! ისინი, ვინც გამართული იდგენ, დიდი ხანია აღარ არიან, ხოლო ისინი, ვინც დარჩენილი— ნონებივით იბრძვიან ქედს; მართალია ისინი ბუზღუნობენ და სწაველიან ზედამხედველს, მაგრამ საკმაოა გაიხსენონ შავი სია, რომ მივიღენ და მუხლის თავებზე იფორთხონ მის წინაშე.

— ასეთ ხალხს ესაქიროება...

— ასეთ ხალხს ესაქიროება არაყი, მათ უნდა ისეირნონ უბნებში პროსტიტუტკებთან ერთად, გაჭონილი ბანკოთი უნდა მოუგონ ერთმანეთს ფული! ისინი ეძლევიან ამ თავის გასართობებს, სადაც კი შესაძლებელია, უკეთესი მათ არაფერი უნდათ.

— თუ ეს ასეა, მერი, მით უფრო მეტი საფუძველი გვაქვს მისთვის, რომ ვავენათლოთ ისინი. თუნდაც მათი შეილებისათვის. შეილები მაინც აღიზარდონ სხვა სახის აღამიანებად! ბავშვები ინგლისურ ენას მაინც სწავლობენ...

მერიმ გესლიანად გაიციინა.

— თქვენ ნახეთ უკვე ჩვენი შკოლები?

ხოლმა უარყოფითი უპასუხა. მაშინ მერინ უანბო მას, თუ ერთ ოთახში როგორ იყო ას ოცი ბავშვი შეყრილი, ხშირად თითო სკამზე სამ-სამი იჯდა. მისი მრისხანე დააგზნებული სიტყვებიდან ხოლმა გაიგო, რომ შკოლა არსებითად უძრავ მიწებზე დადებული გადასახადებით უნდა შენახულიყო, მაგრამ ვინაიდან არავის მთელ რაიონში ერთი ფეხის დადგმა მაშაც კი არ გააჩნდა, ანტიკომ შკოლა კომპანიის გამგეობაში გადავიდა. საშკოლო კომისია შესდგებოდა მაღაროს ინსპექტორის მისტერ კარტრაიტის, ქარხნის დუქნის მოსამსახურის ჯეკ პრედლოვის, და მოძღვარ სპრევისაგან. რაც შეეხება მოხუც სპრეგს, ზედამხედველი თუ კი უბრძანებდა. ის ენით ალოკავდა სასწავლებლის იატაკს.

— ჰო, ჰო,— იცინოდა ხოლი,— თქვენ ფიქრობთ, რომ ის ყველაფერს ჩაიდენს, რადგან მისი პაპა ორგანიზტი იყო! ¹⁾

§ 3.

მერი ბარკმა დედის რძესთან ერთად შეირგო სასოწარკვეთილება, ამ შხამმა მოწამლა მისი ხორცი და სისხლი.

ხოლმა მალე შეიგნო, რომ მასში იმედის გაღვიძება იმდენადვე მიძიმე ამოცანა იქნება, როგორც იმ მუშების გამოუზიზლება, რომლებსაც ასეთი ზიზლი

¹⁾ ორგანიზტი ეწოდება დაცხებით ირლანდიელ პროტესტანტებს.



ქართული
ენების შესახებ

გამოუწვევია მისში. მერის ჰქონდა მზეობა, ამაში ხოლს ერთი წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი, მაგრამ როგორ უნდა დაერწმუნებოდა იგი, რომ მის ეს თავისი მზეობა სხვების ვასამხმეებელად გამოეყენებია?

— მერი, — უთბრა მას ხოლმა ხეყწით. — თქვენ ხომ ნამდვილად სიძულვილს არა გრძნობთ ამ ხალხისადმი, თქვენმა გულმა იცის მათი ტანჯვა და თანაუგრძობობს მათ. თქვენ ვაიღებდით მათი ბავშვებისათვის თქვენს უჯანსაღულ ცენტს, თუ კი ეს საჭირო იქნებოდა.

— თქ, ძვირფასო, ჯო, — წამოიძაბა მან, და ხოლმა დაინახა რომ, მისი თვალები ცრემლით ვაივსო. — მე ისინი მხოლოდ იმიტომ მძულან, რომ ძალიან მიყვარან, ხანდახან მზადა ვარ შედამხედველები მოვკლა, ხან კი მათი მოწყობა! მათ მიიბარით, რა გსურთ ჩემგან, რა უნდა გვაეკეთო?

ხოლმა ვერც კი მოასწრო ეპასუხნა, რომ მერიმ დაუწყო გველა თავისი ნაცნობების ჩამოთვლა. ერთ მათგანს ხოლი ატყლილებლად უნდა მოლაპარაკებოდა; მართალია, ის ძალიან ბებერი იმისათვის, რომ მოძრაობას მიემხროს, მაგრამ მის შეუღლია კარგი დარიგების მოცემა. ეს არის ბებერი ჯონ ედსტრომი, შვედი, მინეზოტის შტატიდან. როდესაც იქ სამთო სამუშაოები დამთავრდა, ის აქ გადმოვიდა სამუშაოდ. რვა წლის წინად დაახლოვებით მან მონაწილეობა მიიღო ერთ დიდ ვაფიციკაში და ის მისი შეიღებით შავ სიაში იქმნა შეტანილი. ამ უამად მისი შეიღები ვაფანტული არიან მთელ ქვეყანაზე, მამა კი აქ დარჩა, მუშაობდა ფერმებზე, იყო აგრეთვე შემეკეთებულ ოსტატად რკინის გზაზე ვიდრე, დაბოლოს, რამდენიმე წლის წინად ხელახლა არ მოეწყო მალაროებზე, როდესაც მუშა ხელის სიმცირე აღმოჩნდა.

— ის ბებერია, ძლიერ ბებერი, ამბობდა მერი, უკვე თითქმის სამოცი წლისა იქნება. როდესაც ხოლმა შენიშნა, რომ ეს წლოვანება არც ისე დიდია, მან უპასუხა, თუ რა იშვიათად მოხდება, რომ ამ ხნის კაცმა მალაროებში მუშაობა შესძლოს კიდევ, აქ იშვიათად თუ ვინმე ცოცხლობს მაგ ხანამდე. ედსტრომის ცოლი სასიკვდილოდ იყო გადაადებული, და საერთოდ მას ძალიან ცუდი ცხოვრება ჰქონდა.

— არ იქნება კარგი, რომ ჩვენი გულისთვის მოხუცმა ადგილი დაჰკარგოს, — სთქვა მერიმ. — მაგრამ ყოველ შემთხვევაში მის შეუძლია საქმიანი დარიგება მაინც მოგვეცეს.

სალამოზე ისინი ვაემგზავრენ ბლოკშტატში ედსტრომთან. მოხუცი შვედი ერთ ნამცეცა ხის სახლში ცხოვრობდა, რომელშიაც ერთად ერთი ოთახი თიხის იატაკით ორ ნაწილად იყოფოდა თხელი ფიცრის ფარდულით, რომ მომსვლელებისაგან მომაკედავი დაეფარათ. ავადმყოფს ჰქონდა კიბო და მთელ ოთახში მძიმე საძაგელი სუნის ტრიალებდა. ერთ ხანს ხოლი ვერაფრითარ გზით ვერ განთავისუფლდა მყრალი სუნისაგან და არაფერზე სხვაზე ფიქრი არ შეეძლო. ბოლოს მან სძლია თავისი სისუსტე მით, რომ წარმოადგინა თავი ისე თითქმის ბრძოლის ველზე ყოფილიყოს, და რომ ის ერთნაირად მზად უნდა იყოს როგორც ბრძოლაში, ისე ლაზარეთში წასასვლელად.

მან მიმოიხედა გარშემო და შენიშნა, რომ ირგვლივ კედლის კუჭრუტა-



ნები ქინძვებით იყო გამოტენილი, ხოლო გატეხილი ფანჯრები კი შაქრის ქალღღღით აკრული. მოხუცი, როგორც სჩანდა, ცდილობდა წესრიგი დაეცვა ბინაზე. ხოლმა შენიშნა აგრეთვე კედელზე ფიკარი წიგნებით. სექტემბერი იდგა, მაგრამ ამ მთებზე სიცივე უკვე საგრძნობი იყო; მოხუცი იჯდა მოკუნტული რკინის ლუმელთან, რომელშიაც მზიარულად გუგუნებდა ცეცხლი. მოხუცის თავს ჩაჩოხავით გარს ერტყა თხელი თმის კულულები, აბურძვენილი წვერი სულ თეთრი იყო, იმდენად თეთრი, რა თქმა უნდა, რამდენადაც ეს შესაძლებელია საერთოდ ნახშირის მალაროებზე. მისი სახე, უწინარეს ყოვლისა, კაცს აოცებდა არაჩვეულებრივი სიმკრთალობით. მექსა და დაღალულ თვალებში უღრმესი გულკეთილობა გამოსჭევოდა; ხმაში სინაზე ისმოდა და ის გეგებოდა ისე, როგორც ამბორი. მოხუცი წამოდგა სტუმრების მისაგებებლად და გაუწოდა ზოლს თავისი აცახცახებული ხელი. სული ტლანქი იყო, დაკოკრილი, მახინჯი, შეცის თათის მავგარი, მან მიღწონა სტუმრებს გრძელი სკამი და ბოდიში მოიხადა, რომ სახლი არეულ-ღარეული იყო. ხოლმა უკვე გაიგო, რომ სამოცი წლის კაცს კიდევ შეუძლია მალაროებში იმუშაოს, მაგრამ სამოცდა ერთისა კი ამას ვეღარ შესძლებს.

ხოლმა სთხოვა მერის არადფერი არ ეთქვა მას მათი მისვლის მიზნის გამო, ვიდრე ის არ შეიმუშავებს წარმოდგენას მოხუცის შესახებ; ამიტომ მერომ დააწყო იქედან, რომ იკითხა მისის ელსტრომის მდგომარეობა.

— სულ ისე, როგორც იყო, — უპასუხა მოხუცმა. როგორც ყოველთვის, ებღაც უგონოდ წევს. ექიმი ბარტი ნახულობდა ხოლმე, მაგრამ სხვა ვერადფერი მოიგონა გარდა მორფის მიცემისა. „მეტი აქ არადფერი არ შეიძლება“, იმეორებს სულ მუდამ ექიმი.

— ის მაინც ვერადფერს მოიგონებდა, შესაძლებელიც რომ ყოფილიყო რაიმეს ვაკეთება, — შენიშნა მერომ ზიზლით.

— არც ისე ცუდია, როდესაც ფხიზელია, — მოთინებთ შენიშნა მოხუცმა.

— ჰო, მაგრამ არის კი ხშირად ფხიზელი? — მიუგო მერომ და შემდეგ მიმართა ხოლს: — ექიმი მთავარი ზედამხედველის ბიძაშვილია.

— მაინც კიდევ, ამბობდა ელსტრომი, აქ ექიმობის საქმე უკეთ არის, ვიდრე სხვა ადგილებში. მაგალითად, ხარვეი-რჩეში, სადაც ის წინად მუშაობდა, ერთმა მუშამ თვალი დაიჭრა: ოპერაციის დროს ექიმს ინსტრუმენტი ხელიდან გაუვარდა, და მუშამ სამუდამოდ დაკარგა მხედველობა; დასახიზრებულ ხელებს და ფეხებს უწესოდ უზვედდენ, ასე რომ მუშებს ეძლეოდათ არჩევანი: ან დასახიზრებული დარჩენა, ან მეორე ექიმისათვის მიმართვა, რომ მას ერთხელ კიდევ გადაეტეხა მისთვის ძელები. საექიმო საქმეც იმგვარსავე მდგომარეობაშია აქ, როგორც სხვა საქმეები. ექიმი არის კომპანიის უზარმაზარი მეტანიზმის ნაწილი. იტყვი რამეს ზედმეტს მის შესახებ — და შენ დავითხოვენ სამუშაოდან. არა კმარა ის, რომ ყოველ თვეში ხელუხისიდან თითო დოლარს გვიკლებენ ექიმის შესანახად, იძულებული ვხდებით, კიდევ ცალკე ვაძლიოთ ვიზიტის ფული, ექიმიც თხოულობს ვიზიტისათვის იმდენს, რამდენიც მას მოეპრიანება.



— აუცილებლად უნდა მიეცეს ვიზიტის ფული? — ჰკითხა ხოლმე.

— უსათუოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში ექიმის ჰონორარს ჯამაგირიდან გამოგიკლებენ, — უპასუხა მოსტემა.

— ხანდახან კი ფულს აძლევ ექიმს, თუნდაც არავითარი სამსახური არ გაგიწიოს, — ჩაუბრუნა მერიმ. — თი, მაგალითად, მისტრის ცამბონიმ, როდესაც უკანასკნელი ბავშვი გეოლა, გადაიხადა ოცდა ხუთი დოლარი, ექიმი კი მივიდა მასთან სამი საათის შემდეგ, რაც ბავშვი დაიბადა.

§ 4.

საუბარი გრძელდებოდა. ხოლმე მოხუცის გამოსაცდელად ჩამოაგდო სიტყვა იმ აურაცხელი შვეიწროების შესახებ, რომელსაც მშუები განიკდიდნენ, და დაასვენა, რომ, მისი აზრით, ერთადერთი ხსნი მუწათა კავშირში უნდა იყოს.

ედსტრომმა გამოაცდით: შეხედა თავისი მუჭი თვალებით ჯერ ხოლს და შემდეგ მერის.

— ჯონ, სრულიად არა არის რა აქ საწინააღმდეგობით, — აჩქარებით სთქვა მერიმ. — თქვენ შეგიძლიათ ენდოთ მათ.

ედსტრომი ჯერ კიდევ მიანც გვერდს უქცევდა პირდაპირ პასუხს: მან სთქვა მხოლოდ, რომ ერთხელ ის იღებდა მონაწილეობას გაფიცვაში, რის შემდეგ მას აზის ბოროტმოქმედების დაღი, და ამიტომ იმის შეუძლია მალაროებზე დარჩეს მანამდე, სანამ ის მხოლოდ და მხოლოდ თავის საკუთარ საქმეს აკეთებს.

არ არის დაფიქრებული ჯერ კიდევ ის როლი, რომელსაც ის გაფიცვაში ასრულებდა; მან მხოლოდ იმის გამო იშოვა სამუშაო, რომ ხალხი ესაჭიროებოდათ, ვარდა ამისა, მალაროს ზედამხედველი მისი პირადი მეგობარი იყო.

— ზამბეთ მას დიდი გაფიცვის შესახებ, — სთხოვდა მერი, — ეს მხოლოდ ამ მოკლე ხანში მოვიდა ჩვენს მხარეში.

როგორც ეტყობოდა, მერის სიტყვებმა დაამშვიდეს მოხუცი; მისი უნდობლობა გაქრა. მან დაიწყო იმ საშინელი ამბების მოყოლა, რომლის შესახებ მშუები ეხლაც ჭრჩხულით დაპარაკობდნენ ერთმანეთში. ეს უდიდესი ძარღვების დაჭიმვა ათი ათასი მონის მიერ საკუთარი თავისუფლების მოსაპოვებლად საშინელი სისასტიკით იქმნა ჩაქრობილი. მას შემდეგ, რაც მალაროებში მუშაობა დაიწყო ადგილობრივი ადმინისტრაცია საესებით მალაროების მეპატრონეთა გაფლენის ქვეშ მოექცა. ამ შემთხვევაში ეს გაფლენა გამოყენებული იქმნა არეულობის ჩასაქრობად, გამოიწვიეს ჯარები, რათა აეჭულეხათ გაფიცულები, რომ მათ მუშაობა განეხლებოდათ. აჯანყების მეთაურები და აქტიური მონაწილეები გაუსამართლებლად და გამოუჭიებლად ჩაყარეს ციხეში; როდესაც ყველა კამერები გამოიტენა უკვე, ღია ადგილზე ააშენეს ფიცრული და ორასამდე კაცი შერაცხეს შიგ: შემდეგ ისინი ჩაყარეს საბარგო მატარებელში, გაიყვანეს ღამით შტატის საზღვრების გარედ და გადმოსხეს უსურსათოდ და უწყუნოდ უდაბნო ველზე.

ჯონ ედსტრომი ამ ორას კაცში ერთა. ის მოყვა შენდგე, თუ როგორ მიმივდ ვალახეს და დასკრეს ციხეში ერთი მისი შეილი; როგორ ეგდო მეორე შეილი რამოდენიმე კვირა ნესტიან სარდაფში, გახდა რევმატიზმით აიად და სამუდამოდ დასახიჩრდა. ეს იყო პოლისინენების საქმე; ხოლო როდესაც ზოგიერთმა ადგილობრივმა ავტორიტეტულმა პირმა სცადა პროტესტისათვის ხმის ამოღება, მიიღცია იჭერდა იმათაც; სამოქალაქო მოსამართლეებსაც კი აკრძალული ჰქონდათ ამ ამბების გამო ხმის დაძვრა. „ძირს კონსტიტუცია!“—ასეთი იყო იმ გენერალის ლოზუნგი, რომელიც დამსჯელ რაზმს უფროსობდა, ხოლო ხელკვეითები ამბობდენ: „ჩვენ უჭვენებთ ამ სადაგლებს, თუ რაც არის „habeas corpus“¹⁾ „post mortem“²⁾“

ოლსონის თავდაპირველობამ დიდი შთაბეჭდილობა მოახდინა ხოლზე, მაგრამ შეუდარებლად მეტი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე მოხუცმა შევდმა. როდესაც ის ყურს უგდებდა მის სიტყვებს, მას იპყრობდა სასოების და მოკრძალოლი პატივის ცემის გრძობა. როგორც არ უნდა იყოს, ეს გაუგებარია. მაგრამ ჯონ ედსტრომი ლაპარაკობდა ყველა იმ ზუქარის შესახებ ისე, რომ არც მის ენას და არც მის გულს შხამი არ ემჩნეოდა. ნას ვარშემო ერტყა გაპირვება და უიმედობა, თავშესაფარი მისი ნახევრად დანგრეული იყო, ოჯახი ქვეყნად ვაფანტული, კარზე შიმშილი და სილატაქე მისდგამოდა, მიუხედავად ამისა მას კიდევ შეეძლო შეეხედნა გავლილი ამბებისათვის ისე, რომ არ ეგრძნო ზიზღილი მათ მიმართ, ვინც მთელი მისი სიცოცხლე დაამსხვრია.

მისი გულწიფლობის მიზეზი არ იყო სიბერე, დაუძღურება, არც ის, რომ მასში ჩაქრა ნეამბობე სული; ეს შედეგი იყო იმისა, რომ მან შეისწავლა ეკონომიური ცხოვრება და გაიგო, რომ ხალხს აბრმავებს და უწამლავს მათ სულს ყოვლად უფარგისი ეკონომიური სისტემა. „მაგრამ დადგება დღე,“—სთქვა მან, — „როდესაც ეს საზიზღარი სისტემა შეიცვლება, და ადამიანს საშუალება გაეხსნება ნაშინ გულკეთალობა გამოიჩინოს ხალხისადმი“.

მერი ზარკმა მისცა აქ თავისუფლება თავის მხურვალე სასოწარკვეთილებას. როგორ შეიძლება, რომ უკეთეს მომავალს ველოდეთ? მეპატრონეები სასტიკი და საზიზღრები არიან, ნუშები ლაჩრები და გამცემები. რჩება ერთად ერთი იმედი ღმერთზე, შეიძლება მან მოახდინოს ცვლილება, მაგრამ ღმერთი ანდენი ხანი უტყპრის ყველა საშინელებას და მაინც კიდევ ითმენს მათ.

ხოლი ცნობის მოყვარეობით უცდრდა თუ რას უპასუხებდა ამაზე ედსტრომი.

— მერი, — მკითხა მოხუცმა. — წაგიკითხათ თქვენ რამე აფრიკის კიანქველების შესახებ?

— არა, — უპასუხა ქალმა.

— მილიონი მასები ამ კიანქველებისა მწყობრი ქარავანით გაწვდილი მიდიან გზაზე, თუ მათ წინ ორმო გადაელობათ, მაშინ თავში მიმავალნი ფარდებიან შიგ, მათ ზედ ეკრებიან შენდგენი და ასე მანამდე, ვიდრე ორმო თავამდე

1) პიროვნების ზღვრულსებლობა.

2) სიკვდილის შემდეგ.

არ გაივსება; მაშინ ყველა დანარჩენები გადადიან მეორე ნაპირზე, ჩვენც ამ ქიანტველებივით ვიჭკვეით, მერი.

— ვერაფერს ვერ გადაიფიქრის ორმოს!—წამოიძახა მან.—რამდენიც არ უნდა ჩაიკვივდნენ შიგ, ეს ორმო დაუსრულებელად ღრმა არის.

მოხუცმა უპასუხა:

— არც ერთ ქიანტველას არ შეუძლია იცოდეს ეგ, მათ იციან მხოლოდ ის, რომ ისინი აუცილებლად უნდა ჩაიკვივდნენ ორმოსში. როდესაც კვდებიან მაშინაც კი ერთმანეთს ებლაუჭებიან ისინი, რომ გაიკეთონ ხიდი, რომელზეც გადაცოცხლები გაივლიან.

— მე არ ჩავეარდები, მე ვამოვტრიალდები უკან,—გატაცებით წარმოსთქვა ქალმა.—მე არა მსურს ორმოსში ჩავარდნა!

— თქვენ შეგიძლიათ გამოზბრუნდეთ უკან,—გაიღიმა ედსტრომმა,—მაგრამ შემდეგ თქვენ ზეღაზლა დაიქვრთ თქვენს ადგილს ქარავენში. მე უკეთ გიცნობთ, ვიდრე თქვენ იცნობთ თქვენ თავს, მერი.

ოთახში ღრმა სიჩუმე გამეფდა. გარედ შემოდგომის ქარი ღმუროდა, და ხოლს უცებ ეჩვენა, რომ სიციცხლე რაღაც სასტიკია და შეუზრალეული.

თავის კაბუჯურ გატაცებაში მას წარმოედგინა, რომ რევოლიუციონერობა მეტად წარმატადი და საინტერესო რამ იქნება; მაგრამ ქიანტველობა, ერთის როლი ასეულ მილიონ მასაში, უძირო ორმოსში ჩავარდნა,—როგორ შეუძლია კაცს თვალში უცქიროს ასეთ ახრს? მან შეხედა გაათვრებული მუშის მოხრილ ფიგურას და უეცრად მოაგონდა რემბრანდტის სურათი „მოწაფენი ემპაუსში“: მოღუშული, ბინძური ოთახი სამიკიტნოში, ორი ჩამოვლევილი კაცი უცქერის ჩუქმად შარავანდელით ვაბრწყინებულ საბეს იმისას, ვინც მათთან ერთად მავიდას უხის. არ იყო საჭირო განსაკუთრებული ფანტაზია იმისათვის, რომ წარმოედგინა ხოლს შარავანდელი ამ მშვიდი და წყნარი მოხუცის თავის გარშემო.

— მე არასოდეს არ მადუიქნია, რომ მოვესწრებოდი იმ დღეს,—ჩუმად სთქვა მოხუცმა.—მხოლოდ იმის იმედი კი მქონდა, რომ ჩემი შვილები მაინც ნახავდნენ მას, ეხლა კი აღარც ეს მჯერა. მაგრამ არასოდეს არ შემზაოვია ეჭვი იმაში, რომ მუშები, როცა იქნება, მიადწევენ აღთქმულ ქვეყანას. ისინი აღარ იქნებიან მონები და მათი შრომის ნაყოფს ვერ გაანიავენებენ უსაქმური მუქთა-ხორები. ჰო, მერი, დაუჯერე კაცს, რომელმაც კარგად იცის ეს: თუ მუშა, კაცი იქნება ის თუ ქალი, გულში არ ატარებს ამ რწმენას, მაშინ მისთვის დაკარგულია ცხოვრების აზრი.

ხოლი დარწმუნდა, რომ მოხუცის ნდობა შეიძლება და გააცნო მას თავისი გეგმა. შემდეგ, როდესაც მერის გაფრთხილება მოაგონდა, დაუმატა:

— ჩვენ არაფერი არ გვინდა თქვენგან გარდა კეთილი რჩევისა. თქვენი ცოლი ავად არის...

— იმას დიდი ხნის სიციცხლე არა აქვს,—ნალვლიანად გააწყვეტინა მოხუცმა,—მეც მალე გავყვები თან. ის მცირე ძალა, რომელიც მე დამრჩენია, მზადა ვარ კარგ საქმეს შევწირო.

მათთვის, ვისი სიცოცხლეც სრულიად დამოკიდებული იყო მალაროში მუშაობაზე, ეს შეთქმულება აშკარა მკაცრი სინამდვილის სახეს ატარებდა. რაც შეეხებოდა ხოლს, ის უაღრესად კრიტიკულ მომენტებშიაც კი მის რომანტიკულ მხარესა ჰგონობდა. მას შემთხვევა ჰქონია წაეკითხა რევოლუციონერების შესახებ, გაეგო თუ როგორ სდევნის მათ პოლიცია; მან იცოდა, რომ ამგვარი მღელვარება და არეულობა ხშირად ხდებოდა რუსეთში; მაგრამ რომ ეთქვა ვინმეს იმისთვის, რომ ეს შესაძლებელია მოსდეს თავისუფალ ამერიკაში. მისი საუნდერსიტეტო ქალაქიდან რამდენიმე საათის სავალ მანძილზე, ის არაფრის გულისათვის არ დაუჯერებდა მას.

მეორე დღეს, საღამოს ის გაიწერა ქუჩაში ზედამხედველმა. ამ მოულოდნელი შეხვედრის დროს ზოლი მოიკეტა შიშისაგან, როგორც ჯიბგირი, რომელიც უკვებ პოლისმენს წააწედა.

— ალლო, ყმაწვილო! — უთხრა ზედამხედველმა.

— ალლო, მისტერ სტონ! — უპასუხა ზოლმა.

— მე მინდა მოგელაპარაკოთ.

— მზად ვარ გამსახუროთ, მისტერ, — და გაიფიქრა გულში: — მორჩა გაეუბი ნახეში!

— შევიდეთ ჩემთან. — უთხრა სტონმა. ზოლი გაქცეა უკან მას ისეთი გრძნობით თითქოს ხელები უკვე ხუნდებში ჰქონდა გაყრილი.

— მითხარით — დაიწყო სტონმა გზაშიდავე, — ჩვენ ხომ პირობა გვქონდა რომ თქვენ მაცნობებდით მე ველაფერს, თუ კი სადმე გაიგონებდით, რომ ზედმეტს ლაპარაკობენ.

— მე ვერ არაფერი ვამიგონია.

— ჰო, მაგრამ თქვენ შეგძლოდა შეტი გულმოდგინება გამოგჩინათ, შფოთიანი ელემენტების მონახვა ყველა მალაროებში შეიძლება.

ხოლმა შემსუბუქებით ამოისუნთქა, მაშ ეს შემცდარი შიში ყოფილა.

მათ მიალწიეს სახლს. ზედამხედველი დაჯდა ევრანდაზე და მიუთითო სკამზე ხოლს, ასე ისხდნენ ისინი საღამოს ბინდში ჩაძირული, სტონმა დაილაპარაკა ნელი ხმით:

— მე სხვათა შორის, სულ სხვა რამეზე მინდა მოგელაპარაკოთ. არჩევნების შესახებ.

— არჩევნების შესახებ?

— ნუ თუ არ იცით, რომ ჩვენთან არჩევნებს მოვლიან? ჩვენი დემუტატიკონგრესში გადაიკვალა, და სამი კვირის შემდეგ სამშაბათიდან მისი მოადგილის არჩევნები მოხდება.

— შესმის მისტერ სტონ. — ხოლს გაეცნა გუნებაში: ეხლა მას პირადად შეუძლია შეაფასოს ის, რაც მას ოლსონმა უთხრა.

— თქვენ არაფერი არ გავიგონიათ ამის შესახებ? — ჰკითხა ზედამხედველმა.



— სრულებით არაფერი, მისტერ. მე პოლიტიკა არ მაინტერესებს, მასთან მე არაფერი მესაქმება.

— ჰო, სწორედ ვგრძეც უნდა მსჯელობდეს მალაროს მუშა.— კნაყოფილებით სიტუა ზედამხედველმა.— ყველას რომ მისცა საკმაო გონიერება იმისათვის, რომ პოლიტიკური საქმეების მოწყობა პოლიტიკოსებს მიანდონ, მაშინ, პერწმუნეთ, ისინი უკეთ იცხოვრებდნენ. ისა სჯობს, რომ მათ თავის პირად საქმეებზე იზრუნონ.

— მართლსა ბრძანებთ მისტერ, — მოაჩილებით დაეთანხმა ხოლი, — ისე როგორც ჯორჯების, მათი მოვლაც უნდა იცოდეს, რომ დაზღვეული იქნე ქმუცლის ტკივილისაგან.

ზედამხედველმა გაიღიმა.

— მე ეხედავ, რომ თქვენ უფრო კეთილგონიერი ხართ, ვიდრე ბევრი თქვენი ამხანაგი. თუ თქვენ მოიქცევით ისე, როგორც მე მინდა, იცოდეთ ვალში არ დაგრჩებით.

— გმადლობთ, მისტერ სტონ. მომეცით ნხოლოდ საშუალება, რომ გემსახუროთ.

— აი, მაგალითად, არჩევნები. ჩვენ ყოველ წლიურად ვიღებთ გარკვეულ თანხას არჩევნების ჩასატარებლად; ცოტა რამ აქედან თქვენს ჯიბეშიაც შეიძლება ჩაეარდნილიყო.

— ეს მე ძალიან გამომადგებოდა. — და ხოლნა გამოხატა სიამოვნება თავის სახეზე, — მაგრამ რა უნდა გავაყეთო?

ჩამოვიარდა სიჩუმე; სტონმა მოსწია ყალიონს, შემდეგ საქმიანი ტონით სიტყვა:

— მე მინდა ისეთი კაცი, რომელიც შესძლებდა ყველგან ყველაფრის გაგებას და განაცნობდა შემდეგ საქმის ვითარებას. მე ვეფიქრობ, რომ უკეთესი იქნება, თუ ამ საქმისათვის ავიყვან ისეთ პირს, რომელიც არავითარ ემეებს არ იწვევს, ვიდრე ის, რომ არ ვისარგებლო მათი სამსახურით, ვინც ჩვეულებრივ ჩემთვის მუშაობენ. შერიდანწი და პედროში ხმები დადის, რომ ვითომც დემოკრატებმა ძალიან აიშვეს თავი; კომპანია შეწყუბებულია ამ ამბით. თქვენ გეცოდინებათ ალბად, რომ საყოველთაო სათბობი მასალის კომპანია რესპუბლიკანურ პარტიას ეკუთვნის?

— გამიგონია, დიას.

— თქვენ ვგებ ფიქრობდეთ, რომ ვიღაც კონგრესის წევრი სადღაც ვაშინგტონში ჩვენ ვერავითარ ზარალს ვერ მოგვაყენებს? ჰო, მაგრამ საარჩევნო კომპანიის დროს ის მოსდგება და გადააყრუებს მუშებს, რომ კომპანია ვითომც ექსპლოატაციის უშვრება მათ.

აი ამისთვის მინდა, რომ თქვენ ცოტა გაძვირ-გამოძვრეთ მუშებში, ჩამოაღოთ აქა-იქ სიტყვა პოლიტიკის შესახებ და გამოტეხოთ, თუ ვის გაღგონია მათ შორის ჰაკ დაუგოლის სიტყვები (სწორედ მაკ დაუგოლია მე რომ დემოკრატი ვახსენე წელან), მე მინდა კიდევ ვიცოდეს, ხომ არსად გამოჩნვილან ნორტ-ვალში პარტიული ფურცლები ან აგენტები. უკანასკნელები სარგებლო-



ბენ თავიანთი უფლებით, მოდიან აქ, ამბობენ სიტყვებს და ღმერთმა იცის კიდევ რას არ სჩადიან. ნორტ-ვალი ქალაქის რაიონის საზღვრებში მდებარეობს მამასადაძე, კანონი მათ მხარეზეა, და თუ ჩვენ რომელმე მითგანი არ შემოუშვით აქ, ყველა ვაზეთები ყაყანს ასტეხენ, ეს კი არ არის სასიამოვნო. ამიტომ ჩვენ უნდა გაუხწორდეთ მათ ჩუმიად, შეუმჩნეველად. საბედნიეროდ ჩვენ არა გვაქვს ბინა მიტინგებისათვის, ხოლო გარედ კი მიტინგების მოწყობა აკრძალულია ადგილობრივი წესების ძალით. იმ შემთხვევაში თუ ფურცლები გამოჩნდა იუცილებლად უნდა შეუშალოთ ხელი მათ გავრცელებას. გესმით?

— მესმის.—სთქვა ხოლმე და გახსენდა ოლსონის ფურცლები.

— ჩვენ გამოვაქვეყნებთ ლოზუნგს: „კომპანიას სასურველად მასჩნია, რომ არჩევნებზე რესპუბლიკანური პარტიის კანდიდატი ვავიდეს“. თქვენ კი ყური დაუგდეთ და ეცადეთ გაიგოთ, თუ როგორ შეხვდებიან ამას მუშები.

— ეს ადვილია ძალიან. მაგრამ, მითხარათ, მისტერ სტონ, ღირს კი ვერე თავის შეწუხება? ნუ თუ მთელ ამ უჯახილების მასას ხნის მიცემის უფლება აქვს?

— უცხოელებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ, ჩვენ, პირიქით, ვანგებ ვცდილობთ მივსცეთ მათ მოქალაქეობრივი უფლებები,—ერთი კიკა ლუდი და ისინიც ხნას მისცემენ ყველაფერს, რასაც კი ჩვენ მოვინსურებთ, თავი და თავი ის უცხოელები არიან, რომლებმაც ინგლისური ენა იციან და დიდხანსაც უცხოვრიათ აქ; ისინი თავის ქერტში ველარ ეტევიან და სწორედ საწიშროებასაც ყველაზე ნეტს წარმოადგენენ. რაკი პოლიტიკანობას დაიწყებენ; მათი გაჩერება ალარ შეიძლება, და ვერც კი მოვასწრებთ გონზე მოსვლას, რომ იმათ ხელში ჩაიგდებენ კავშირების ორგანიზატორები, და ისინიც მოისურვებენ პატონ-პატრონების როლში გამოსვლას.

— ჰო, ჰო, მესმის,—სთქვა ხოლმე და გულში ჰკითხა თავის თავს, შესაფერი ტონით იყო მის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვები თუ არა.

მაგრამ ზედამხედველს სხვა დარღვები აწყუხებდა.

— ამას წინად მე ვუთხარი სი ედამსს, რომ მე მჭირდება ისეთი ხალხი, რომლებიც ლაპარაკობენ ყველასათვის უცნობ, ყველასათვის აბსოლუტურად გაუგებარ ენაზე. მაგრამ რა მერმედ? ხომ ვერ დაუშლი, რომ ინგლისური ენა ისწავლონ.

ხოლმე გადასწყვეტა ესარგებლნა შემთხვევით და შეეცხო თავისი კოდნა.

— მისტერ სტონ, თქვენ ხომ შეგიძლიათ, ბოლოს და ბოლოს, არ მიათვლოთ ის ხმები, რომლებიც თქვენთვის შესაფერი არ არის.

— იცით რა,—უპასუხა სტონმა,—ამოკანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება უბრალოდ მოკვარახკინდეს ყველაფერი. მე ეთავი მთავარი ინსპექტორი ხეპი-გელჩში; იქ ჩვენ არა ვკარგავდით დროს პოლიტიკაზე, კომპანია მაშინ დემოკრატიული იყო, და ჩვენც უბრალოდ არჩევნების დღესავდექით და დემოკრატიული პარტიის კანდიდატს ნივაწერეთ ოთხასი ხმა, მორჩა და გათავდა. ვერც კი მოვასწართ ამის მოწყობა, რომ მოწინააღმდეგე პარტიამ შეიტყუა ქალაქში მუშების ნაწილი და აიძულა იქ ისინი განეცხადე-



ქართული
ბიბლიოთეკა

ზიათ ფიც ქვეშ, ვითომც მათ რესპუბლიკანულს მისცეს ხმები. რესპუბლიკანურმა გახეთქებმა მთელი ალიაქოთი ასტეხეს, და ვიღაც ტუტუცმა მოსამართლემ არჩევნების ხელმეორედ ჩატარება მოითხოვა. ჩვენ მთელი ღამე ვაწვალეთ სია, დიდი დავიდარაბა გადაგვხდა ამის გამო.

ზედამხედველმა გაიცინა, ხოლი ბანს აძლევდა მის მრავალმეტყველი სახით.

— როგორც ზედავთ, ამ საქმეშიაც საჭიროა ცოტა რამეს ცოდნა, ცოტა რამეს შესწავლა. თუ მაღაროებზე რამდენიმე ხმა აღმოჩნდა ჩვენთვის არა სასურველ კანდიდატების ნხარზე, ეს სულ ერთია მაინც გამოაშკარავდება, ხოლო თუ სასურველი კანდიდატი ერთ ხმად გავიდა, ამას შეუძლია უკმაყოფილება გამოიწვიოს. ბევრი ზედამხედველები არ აქცევენ ამ გარემოებას ყურადღებას, მაგრამ მე თავის დროზე შევისწავლე საქმე, მე მაქვს ჩემი საკუთარი მეთოდი, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ არ მიეცეს ოპოზიციას თავისი გამოჩენის საშუალება. გე'რით?

— მესმის!

— დაუშვათ, რომ მაღაროს მუპატრონეს უფლება არა აქვს ჩაერიოს პოლიტიკაში; მაგრამ ხომ არ შეუძლია, რომ სრულიად გულგრილად უქტიროს იმას, თუ რა ხალხი მუშაობს მის მაღაროებში. არც იქით არც აქეთ: ბოროტება ძირიან-ფესვიანად უნდა ამოითხაროს, მორჩა და გათავდა!

ხოლს არასოდეს არ შეეძლო დაეიწებოდა მისი მსუქანი ხელების მოძრაობა, რომელსაც ის თავის სიტყვებს აყოლებდა. ზედამხედველი განაგრძობდა შემდეგ, მაგრამ მისი ხმის ბგერაში უკვე იმდენი გულკეთილობა აღარ ისმოდა.

— იმათ, ვისაც არა სურს ხმის მიცემა ესე, როგორც მე ამას შოვითხოვ, შეუძლიათ წაეთრიონ აქედან და სხვაგან მისცენ ხმა. აი ყოველივე, რის თქმაც მე მინდოდა პოლიტიკის შესახებ.

ისევ ჩამოვარდა პატარა სიჩუმე, რომლის დროსაც სტონი ყალიონს ეწყობდა. შემდეგ ის აღბად მიხვდა, რომ ყველა ეს დეტალები სრულიად ზედმეტია პოლიტიკურ კითხვებში ხამი კაცისათვის. როდესაც მან დაილაპარაკა ისევ ხოლთან გამომშვიდობების დროს, მის ხმაში შეგობრული ტონი ისმოდა.

— მაშ ასე, თქვენ იცით თუ რა უნდა ვააკეთოთ. ზეალ ვააცხადეთ რომ ხელი იღრძეთ და რამდენიმე დღე მუშაობა არ შეგიძლიათ, ეს საშუალებას მოგცემს თქვენ გაიარ-გამოიაროთ მუშებში და ყური დღუგდოთ რასაც ისინი ლაპარაკობენ. მე კი ვეცდები რომ თქვენი ხელფასი არ დაიკარგოს.

— ეს მეტად სასიამოვნოა ჩემთვის, — სთქვა ხოლმა გაბარებით, მაგრამ ძალიან კი არა, ოღნავ.

ზედამხედველი წამოდგა და გამოყარა თუთუნის ყალიონიდან.

— მაგრამ გახსოვდეთ კი, მე ველი თქვენგან შესაფერ საშახურს. მე თვალი მიდენებია სხვებისათვის მაგგვარ საბუშაოზე, მე მაქვს ჩემი საშოში. შეიძლება თქვენაც თვალ-ყურის ქვეშ გამყოფოთ, თქვენ ეს არც კი გეცოდინებათ.

— კარგი, — სთქვა ხოლმა კმაყოფილი ღიმილით. — ფეცდები ეს არ დავივიწყო.

§ 6

ხოლის პირველი საქმე იყო ტომ ოლსონის მოძებნა და შეტყობინება მისთვის, თუ როგორ არის საქმე. ორივე გაზარებული იყვნენ.

— ეხლა მე ზედამხედველის მფარველობის ქვეშ ვიმყოფები, — იცინოდა ხოლი.

ორგანიზატორმა უკებ სერიოზული სახე მიიღო:

— ფრთხილად იყავით სამსახურის გაწვევაში.

— რატომ?

— მას შეუძლია ბოლოს თქვენს საშუალებით ფონს გავიდეს. ამ ვაებატონებს ისეთი მანერა აქვთ: თუ თქვენ როგორმე საქმე გაგირთულდათ მათთან, ისინი შეეცდებიან დაამტკიცონ, რომ თქვენ იმათგან ფული მიიღეთ ან, ყოველ შემთხვევაში, მოთხოვდით ფულს.

— მაგრამ მას არაერთიარო დასამტკიცებელი საბუთი არ ექნება.

— აი სწორედ ეგ მაქვს მეც მხედველობაში. იმ შემთხვევაში, თუ სტონი უჩვენებს, რომ თქვენ მისი თანხმობით მოქმედებდით, მუშებ შორის ყოველთვის გამოჩნდება ვინმე ისეთი, რომელიც მოიგონებს რომ თქვენ მასთან პოლიტიკის შესახებ ლაპარაკობდით. უფრთხილდით ფულის აღებას.

ხოლმა გაიცინა.

— ფული მე არასოდეს არ მიჩერდება ჯიბეში. მაგრამ რა უნდა უთხრა ანგარიში რომ მომთხოვოს?

— შეუდევით ეხლავე თქვენს გეგმას ჯო, რომ არ მისცეთ მას ანგარიშის მოთხოვნის დრო.

— კარგი, — უპასუხა ხოლმა. — მაგრამ მე მაინც მინდა ცოტაოდნად გავერთო ზედამხედველის ფაორიტის როლში.

შეორე დღეს, დილით ადრე, შეუდგა „ნარდობი ხელის“ კომედიის შესრულებას.

ის მიეარდა ბებერ მიკესთან ტკივილისაგან დამანქული სახით, რითაც მან იგი მეტის მეტად შეაშინა. როდესაც ხოლმა აღხსნა მას ბოლოს თუ რაშიც იყო საქმე, რომ მას აღარ შეუძლია მუშაობის გაგრძელება, მოხუცი გამოუდგა უკან თავის თანამშემწეს რბენით მთელი მალაროს სიგრძეზე და ურწევდა ყვირილით, რომ ცხელი კომპრესები დაიდოს ხელზე. ხოლმა დასტოვა მოხუცი სლოვაკი თავის ანაბარა და დააჩქარა ზევით ამოსვლა, რომ გამთბარიყო მზის საოცნებო სხივებით და თავის ზედამხედველის კეთილ მოწყალების კიდევ უფრო საოცნებო შექით.

ის ჯერ სახლში წავიდა და მაჯაზე ძველი კონკი შემოიხვია, გარედან კი სუფთა ცხვირსახოცით შეიკრა. ასეთმა შეცთომაში შემყვანმა ხელმა უფლება მისცა მას არ ემუშავა და აგრეთვე უფლება გამვლელთა თანაგრძნობის მოპოებისა. შემდეგ ისევ გავიდა ქუჩაში.

გზა და გზა მალაროს ეზოსაკენ № 1, ის შეხვდა დაბალ ჩასვენულ კაცს მოუსვენარი შავი თვალებით, გამხდარი ინტელიგენტური სახით და ჩქარი ნი-
მოხერით. თუმცა მას მალაროს მუშის კოსტიუმი ეცვა ტანთ, მაგრამ არაფერ არ
ჩასთვლიდა მას უბრალო მუშად: მთელ იმის თავდაქერაში იყო რაღაც ავტო-
რიტეტული და ძლიერი.

— დილა მშვიდობის, მისტერ კარტრაიტ, — უთხრა ხოლმა.

— დილა მშვიდობის, — უპასუხა მთავარმა ზედამხედველმა: შემდეგ, როდესაც
ბოლის შეხვეული ხელი შეიმჩნია: — ხელი გაიჭვრით?

— დიას, მისტერ, ცოტათი ხელი ვიღრძე; სერიოზული არაფერია, მაგრამ
მუშაობას მაინც მიშლის.

— ექიმთან იყავით?

— არა, მისტერ, მე ვფიქრობ, რომ ეს იმდენი არაფერია, არა ღირს.

— არა, წადით, სჯობს ეჩვენოთ ექიმს, ნაღრძობი საფრთხილოა ძა-
ლიან.

— კარგი, — უპასუხა ხოლმა. შემდეგ, როდესაც გაენართენ წინ, მან ჰკითხა. — როგორ ფიქრობთ, მისტერ კარტრაიტ, ბევრი წანსენია მაკ დაუფოლის
შხარეზე?

— არ ვიცი, — უპასუხა მან ცოტა გაკვირვებით. — იმედი მაქვს, რომ ცოტა.
ხომ არ ფიქრობთ მისთვის ხმის მიცემას?

— ოჰ, არა! მე რესპუბლიკანელი ვარ, მე დაეიბადე რესპუბლიკანელად.
გკითხეთ მხოლოდ იმიტომ, რომ მეგონა თუ მოისმინეთ მისი სიტყვები.

— მე რაც ვემეხება, ეცევათ რომ მომიხდეს მისი მოსმენა. თქვენ გაინ-
ტერესებთ პოლიტიკა?

— დიას, მისტერ, რამოდენიმე მაინტერესებს. სხვათა შორის, ამ ჩემი
უბედური შემთხვევის მიზეზი სწორედ პოლიტიკა იყო.

— რანაირად? ხომ არაყის წაეჩხუბეთ?

— არა. საქმე იმაშია, რომ მისტერ სტონმა გამოსთქვა სურვილი მომეხ-
დინა ზუსტად განწყობილების ცოტაოდენი დაზვერვა და მან შირია ხელი
მეღრძო და რამდენიმე დღე მესეირნებია თავისუფლად.

კარტრაიტი მიიჭურდა ხოლს და სიცილს ძლივს იკაიებდა. შემდეგ მიმოი-
ხედა ვარშემო და უთხრა:

— ცოტა ფრთხილად უნდა იყოთ ასეთ საქმეზე.

— მე ვფიქრობდი, რომ დამშვიდებით შემიძლია დავენდო მთავარ ზედა-
მხედველს. — მშრალად მიუღო ხოლმა.

კარტრაიტმა დაკვირვებით შეხვდა მას თავისი მკვეთრი თვალებით,
და ხოლმაც, რომელშიაც დემოკრატიულმა სულმა გაიღვიძა, უპასუხა მას მი-
თივე.

— თქვენ უკეთეს ახალგაზდა არა ხართ, შენიწნა დასასრულ კარტრაიტ-
მა. მაჩვენეთ, თუ რა შეგიძლიათ, ეცადეთ გამოგვადგეთ, დი მე ჩემის შირით
ვიზრუნებ, რომ თქვენი შრომა ტყუილად არ დაგვეკარგოთ.

— კეთილი, მისტერ, გმადლობთ.

— გინდათ რომ ამჩვეველი აგენტი იყოთ? ეს თქვენ სამ დოლარს მოგ-
ცემთ დღეში.

— კარგი, მისტერ, — და ამ სიტყვებთან ხოლმე გადაჭარბებული მოწიწე-
ბით გაიღიმა. — თქვენ, როგორც ვამიჯონია, ნორტ-ვალის ქალაქის თავი
ხართ?

— ჰო, ქალაქის თავი ვარ!

— მომრიგებელი მოსამართლე კი თქვენს ქარხნის დუქანში მსახურებს,
აი მაშ, მისტერ კარტრაიტი, თუ თქვენ ოდესმე ჯანმოთელობის დამცველი კო-
მისიის თავმჯდომარე დაგვირდეთ, მე სიანოვნებით მივიღებ ამ თანამდებობას —
რა თქმა უნდა მაშინ, როდესაც ჩემი ხელი მოჩვენითი იქნება.

სიტყვა ეს თუ არა, ხოლი შეტრიალდა და გაუდგა თავის გზას. ასეთი
უტიურობა „დამხმარეს“ მხრით ყოველად წარმოუდგენელი იყო; კარტრაიტი
მთლად გაშტერდა და დიდხანს უცქერდა მიმავალს წარბშეკრული.

§ 7.

ხოლი უკან მოუხედავად გაემართა პირდაპირ საწყობისაკენ. შესავლის
თაზე ეკიდა აბრა: „საეპრო კომპანია. ნორტ-ვალი“. მალაზიაში ვილაც სერ-
ბიელი ქალი ხელების მოძრაობით ანიშნებდა, თუ რა სურდა მას რომ ეყიდნა;
ორი პატარა იტალიელი გოგო უცქერდენ, თუ როგორ უწონიდნენ მათ ერთ
ვირვანქა შაქარს. ხოლი მივიდა სასწორის უკან მდგომ კაცთან. ეს იყო საშუა-
ლო ხნის კაცი, თუთუნის კვამლისაგან გაყვითლებული უღლაშებით.

— დილა მშვიდობის, ბატონო მოსამართლე!

— ჰო! — უბასუხა სილის ცდამსმა, ქალაქ ნორტ-ვალის მომრიგებელმა
მოსამართლემ.

— მოსაერთოლევ, — ჰკითხა ხოლმე, — რა აზრისა ხართ თქვენ არჩევნების
შესახებ.

— მე არა მკალია არჩევნებზე ფიქრისათვის, აგერ შაქარსაც ვერ ავდივარ.

— როგორ ფიქრობთ, მისტერს ვინმე ხმას მაკ დაუგოლს?

— მე არ ურჩევდი მას, ვინც იმის მხარს დაუჭერს, რომ მე წინწინვე გა-
ვეფრთხილებიე ამის შესახებ.

— რატომ? — გაიღიმა ხოლმე. — ამას ამბობთ თავისუფალ ამერიკის რესპუბ-
ლიკაში?

— აქ, თავისუფალი ამერიკის ამ ნაწილში, ადამიანს სრული თავისუფ-
ლება ეძლევა თხაროს ნახშირი და არა ხმა აძლიოს ისეთ ოხერს, როგორიც
მაკ დაუგოლა.

შემდეგ, როდესაც შეახვია შაქარი ქალაქში და პირში საღეჭავი თუ-
თუნის ახალი ნაჭერი ჩაიდო, „მომრიგებელმა მოსამართლემ“ ჰკითხა ხოლმე:

— თქვენ რა გაქვთ საყიდელი?

ხოლმე მოითხოვა ნახევარი გირვანქა ქლიავის ჩირი, რომ რაიმე საბაბი
ჰქონოდა მალაზიაში გაჩერებისა და მოსამართლესთან საუბარისათვის, ვიდრე ის
თავის თუთუნს ღეკავდა.



— ერთხელ მეც ვმსახურებდი საწვრილმანო სავაქრო საწყობში.
 მართლა? სად?

— „პეტერსენი და კომპანია, უესტერნ სიტი“.

ხოლი ისე ხშირად იმეორებდა ამ ზღაპარს, რომ ბოლოს თვითონაც კი დაიჯერა თითქმის.

— კარგ ჯამაგირს აძლევენ იქ?

— გვარიანს,— შენდევ, როდესაც მოიგონდა უცებ, რომ მას წარმოდგენაც კი არა აქვს იმის შესახებ, თუ რა ითვლება კარგ ჯამაგირად საწვრილმანო საწყობში,— საჩქაროდ დაუმატა:— ოჰ, თავი შტკივა.

როგორც ეტყობა მოსამართლე არ იყო ლაპარაკის გუნებაზე, მაგრამ ხოლმე ვაიფიქრა გულში: არ შეიძლება, რომ საწვრილმანო დუქანში მგდომი ვაქარი მოხარული არ იყოს პოლიტიკაზე ვინმესთან ლაპარაკის შემთხვევისა, თუნდაც ეს ვინმე ნახშირის მთხრელის თანაშემწეც იყოს.

— მითხარით— წარმოსთქვა მან,— რა უნდა ჰქონდეს კაცს მაკ დაუგოლის საწინააღმდეგო?

— რა უნდა ჰქონდეს კაცს მისი საწინააღმდეგო?— სთქვა მოსამართლემ, — აი თუნდაც ის, რომ იგი შეუფერებელი კანდიდატია კომპანიისათვის.

მან გამომცდელი თვალით შეხედა ახალგაზდა მუშას.

— რამდენი ხანია, რაც თქვენ ამ პოლიტიკაში გადავარდნილხართ?— წაიბუზღუნა მან. მაგრამ ახალგაზდა კაცის მოცინარე თვალებიდან სჩანდა, რომ ის საუბრით დააკმაყოფილა მოსამართლის პასუხზე იმის კითხვაზე, და ამ გარემოებამ აიძულა მოსამართლე დაეწყო დეტალური აღწერა დემოკრატიული პარტიის კანდიდატის ყველა ცოდვებისა. ამგვარად გაეზა საუბარი, რომელსაც მალე შემოუერთდენ: ბუხალტერი ბობჯონსონი, ფოსტის უფროსი გალიციელი ებრაელი ჯექ პრედოვიჩი, ადგილობრივი სასწავლებლის კომისიის წევრი, რომელმაც იცოდა ყოველგვარი მანუფაქტურის სახელი ზუსტად სხვადასხვა ენაზე.

ხოლმე ვაიფო ეხლა ამ საუბრიდან, თუ რა ბოროტმოქმედებები ჩაიდინა რაზონაციონალურმა პარტიამ პედროს ოლქში. მისი კანდიდატი მაკ დაუგოლი ჩვეულებრივი ავანტიურისტია. როდესაც ის მოვიდა შტატში, მან დაიწყო იქედან, რომ ეკლესიებში ორატორობას და მორალის ქადაგებას შეუდგა.

— გარდა ამისა, პედროში მას მთელი სამი ოჯახობა ჰყავს!— ამტკიცებდა სი ედამსი.

— მერმედ რა უყოთ, შენიშნა ხოლმე.— თუ ხმებს დაუჯერეთ, არც რესპუბლიკანური კანდიდატია მაინც და მაინც წმინდარი. ამბობენ, რომ უკანასკნელ კრებაზე ის მთლად მათერალი იყო.

— შეიძლება.— სთქვა მომრიგებელმა მოსამართლემ.— ჩვენ არ გვინდა ვიქონიოთ საქმე ანტიალკოჰოლიკურ კანდიდატებთან— ან მუშა კანდიდატებთან, რომლებიც მოუღწიეს აქ და დაუწყებენ მუშებს აურორაქებას მაღალი ზელუისისა და სამუშაო დღის შემოკლების დაპირებით. შემდეგ ასეთი არამზადა მიბძანდება დამშვიდებული ვაშინგტონში, ხოლო ჩვენ კი უნდა ვიტყვით მერმედ თავები.

— ალბად ცოტა ფულები არ იხარჯება იმისათვის, რომ მთელი პოლიტიკა ხელში გეჭიროს, — შენიშნა ხოლმე.

— ეგ ჩვენ არ ვცეკითხება, მაგას კომპანია იხდის, — სთქვა მოსამართლემ, ბოლო საშკოლო კომისიის წევრმა დაუმატა:

— ფულის როლს ამ შემთხვევაში ასრულებს ლუდი.

— მესმის, — გაიცინა ხოლმე. — კომპანია ყიდულობს კანდიდატის ლუდს და ახმარს იმას, რომ მოავროვოს მისთვის საკმაო ხმები.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ფოსტის უფროსმა. ამ სიტყვებთან ის დაიბარა ჯიბიდან სიგარის ამოსაღებად, და ხოლმე შენიშნა, რომ მას ექვსჯერ ვერცხლის ეტონი ჰკიდა.

— ეს თქვენი დამსახურების მაჩვენებელი ნიშანია, როგორც რწმუნებულის, არა? — ჰკითხა ხოლმე და შემდეგ პრედოვიჩს მიმართა: — თქვენი ეტონი სადღა არის?

— მე მივიღებ მას არჩევნების დანთავრების შემდეგ, — გაიცინა ჯეკმა.

— თქვენი, მოსამართლე?

— მე მონრივეტელი მოსამართლე ვარ, კმაწვილო, ღირსებით წარმოსთქვა სილასმა.

ხოლო ვადიხარა დაზვანე და დინახა, რომ საშკოლო კომისიის წევრის ნარჯვენა ფერდზე რალცია არის გამობერილი, და როდესაც ხოლმე სკადა წასწვდომოდა, მან უნებლიეთ იტაცა ხელი ამ ადგილზე.

ხოლმე მიმართა ფოსტის უფროსს:

— თქვენი სადღა არის?

— დაზვის ქვეშ, — დაიღრია ბობი.

— თქვენი, მოსამართლე?

— ჩემი რეკლამერი კონტორის მაგიდის უჯრაშია, — სთქვა მოსამართლემ.

ხოლმე ღრმად ამოიოხრა: “დასწყველოს ღმერთმა, ეს ნამდვილი მახეა!” მან მოახერხა მზიარული გამონეტყველების შერჩენა, მაგრამ დიდ მზიარულებას კი არ განიციდდა. მისი „პირველი, უზრუნველი ალტაცება“, რომლითაც ის ნორტ-ვალში მოვიდა, უცუოდ გაფრინდა.

§ 8.

ორი დღე რომ გავიდა მას შემდეგ, რაც ხოლმე პირველი ნაბიჯი გადასდგა პოლიტიკურ ასპარეზე, გადაწყვეტილ იქნა მოეწყოთ მისს დევიდის სახლში მუშების კრება, რომელთაც უნდა მოეთხოვნათ კონტროლიორის დანიშვნა სასწოროთან.

როდესაც იმ დღეს მივე სიკორია ბრუნდებოდა მილაროდან, ხოლმე ვაიყვანა განზე და უამბო მუშების განზრახული კრების შესახებ. მოხუცი სლოვანის სახე სიხარულით განათდა; მან წაავლო ხელი მზრებში თავის თანაშემწეს:

— თქვენ ამას სერიოზულად ამბობთ?

— რა თქმა უნდა, სერიოზულად, გინდათ შეხვიდეთ კომიტეტში, რომელიც ხელმეხედველთან მოილაპარაკებს?



— პლტვა ღარიბია!— წამოიძახა ნან (მის ენაზე ეს რაღაც საშინელს ნიშნავდა). გეფიცებით იუდას, რომ მე კიდევ მომიხდება ჩემი ბარგი-ბარხანის შეკერა!

ხოლმა ცოტაოდენი სინიდიისის ქეჯნა იგრძნო; კარგია ვანა მისი მხრით, რომ ამ ამბავში მოხუც კაცსაცა რევს?

— თქვენ ფიქრობთ, რომ შალაროს დატოვება მოგიხდებათ?

— ამ შემთხვევაში კი მომიხდება, ვგონებ, შტატიდან წაბრძანება, და შეიძლება, მთლად სამშობლოში წასვლაც.

ხოლი მიხედა, რომ ესლა ის მიუხედავად მისი ყოველგვარი სურვილისა, ველარ შესძლებდა მოხუცის დაკავებას, — უკანასკნელი იმდენად ლელავდა, რომ ვასშმის ჰამაც კი ველარ მოახერხა როგორც რიგია, და ხოლიც ვერ პედავდა გაეშვა იგი იმის წიშით, რომ მოხუცს არაფერი წამოეყრანტალებია.

გადასწყვიტეს, რომ კრების მონაწილენი მოსულიყვნენ კრებაზე ცალცალკე და სხვადასხვა გზით.

ხოლი პირველი მივიდა დანიშნულ ბინაზე და ნახა, რომ თანჯრები სახლში ფარდებ ჩამოფარებულია და ლამაზები ჩაწეული. ის შევიდა უკანა კართი, სადაც სადარაჯოზე „დიდი ჯეკი“ დევოდი იდგა. დიდი ჯეკი, „სამხრეთ უელსის ფედერაციის“ წევრი, როდესაც ხოლის ვინაობაში დარწმუნდა, გაუშვა იგი უსიტყვოდ.

შემდეგ გამოცხადდა როვეტა, ახალგაზდა იტალიანელი, მას მოჰყვა უკან მოხუცი ჯონ ელსტრომი. რადგან სკამები საკმაო არ აღმოჩნდა, დევიდის ცოლმა კედლის გაყოლიება დასდო რამდენიმე ხელსახოც გადაფარებული ყუთი. ხოლმა შენიშნა, რომ ყველანი ყუთებზე ჯდებოდნენ და სკამებს შემდგომ მომსვლელებს უტოვებდნენ. შემოსულის ღროს მუშები თავის ქნევით ესალმებოდნენ ერთმანეთს; ღრმა სიჩუმე შეფოებდა.

როდესაც მერი ბარკი გამოჩნდა, ხოლმა მაშინვე შეაჩნია მისი სიხის მეტყველებით, რომ ის ხელახლა თავისი პესიმიზმის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. პირველათ ამან ცოტა არ იყოს კიდევაც გააბრაზა ხოლი. ის იმდენად აღფრთოვანებული იყო ყველა ამ ამბებით, რომ აღფრთოვანებას მოითხოვდა სხვებისგანაც, განსაკუთრებით მერისგან. როგორც ყოველი იდამიანი, ვისაც ცოტა მწუხარება გადაუტანია, ისიც ვერ აიტანდა სხვების სახეზე სულ მუდამ ტანჯულ გამოიმეტყველებას. რა თქმა უნდა მერის ჰქონდა ყველა საფუძვლები მისთვის, რომ პირქუშად ყოფილიყო განწყობილი, — მაგრამ მაინც მან საჭიროდ დაინახა ბოდიში მოეხადა მის წინაშე თავისი „მუდმივი ჩივილის“ გამო. მერიმ ზომ კარგათ იცოდა, რომ ხოლი ელოდა მისგან სხვების გამხნევებას, ის კი მიჯდა აგერ თავისთვის კუთხეში ისეთი სახით, თითქოს უნდოდა ეთქვა: „მე ჰიანტყველა ვარ, მე ვრჩები რიგებში, მაგრამ არ შემიძლია მოვიტყუო თავი, თითქოს მე ყოველივე ამისაგან რაიმეს მოველოდე“.

როზამ და ჯეროიმ, მიუხედავად იმისა, რომ ხოლი ცდილობდა შეეკავებია ისინი ამ საქმეში მონაწილეობის მიღებისაგან, მაინც არ მოიშალეს თავისი და

მოვიდნენ კრებაზე დასასწრებლად. მათ უკან მოჰყვნენ ბულგარელი ერესმაკი და ორი პოლონელი, კლოვსკი და ზამეროვსკი.

ხოლი ვერა გზით ვერ ახერხებდა პოლონელების გვარების დახსომებას, მაგრამ ისინი არა თუ გულკეთილად იცინოდნენ, როდესაც ის იმათ გვარებს ამახინჯებდა, არც კი თაკილობდნენ სრულიად, როცა ხოლმა, ბოლოს და ბოლოს, მათ უბრალოდ დაუწყო მიმართვა—ტონი და პეტე. ეს იყო წყნარი, მორჩილი ხასიათის ხალხი, რომელიც თავისი საიოცხლის განმავლობაში ყოველგვარ შევიწროებას შეეჩვია. ხოლს ვადაძქონდა თვალთ ერთი მოხრილი ტანიდან მეორეზე, ხედავდა თავის წინაშე მათ საწინელ სახეებს, რომლებიც ნახევრად ჩამობნელებულ ოთახში კიდევ უფრო ნაღვლიანი და მოღუშულები სჩანდნენ, და ეკითხებოდა საკუთარ თავს: შესძლებს კი ეს სიმკაცრე, რომელმაც გააბედღვიათ იმათ პროტესტი, ჩაუნერგოს მათ აგრეთვე სიმტკიცე და შეურყევლობა საქმეში?

ვიღაც დაგვიანებულმა მუშამ, რომელსაც აღბად კარგად ვერ გაეგო, თუ როგორ იყო დათქმული კრებაზე მოსვლა, დააკატუნა კარზე, და ხოლმა შენიშნა, როგორ შეკრთენ ყველანი, ზოგი კი შეშინებული წამოხტა ადგილიდან. მას არა სჯეროდა, რომ ყველა ეს კაცები და ქალები, რომლებიც საიდუმლოდ შეკრებილან აქ, როგორც დამნაშავენი, არ ისახავენ თავიანთ ფიქრში სხვა მიზანს, გარდა საკუთარი კანონიერი უფლებების მოთხოვნისას.

უკანასკნელი გამოცხადდა ავსტრიელი მალაროს მუშა სახელად გუშარი, რომელთანაც ოლსონმა უკვე მოასწოო კავშირის დაქვერა.

ვინმეს უნდა დაეწყო ლაპარაკი; ყველანი შემკრთალი და მოუსვენარი სახით მისჩერებოდნენ ერთმანეთს. მათ შორის უმეტეს ნაწილს არასოდეს არ მიუღია მონაწილეობა რაიმე შეთქმულებაში, და ამ საქმეში სრულებით არაფერი გაეგებოდა. ოლსონი, რომელიც, რა თქმა უნდა, მეთაური იყო, განზრახ განზე იდგა, რათა მათ საკუთარი ძალებით გადაეწყვეტიათ სასწოროს კონტროლიორის საქმე.

— უნდა დაიწყოს ვინმემ საუბარი, — სთქვა მისის დვეიძმა, მაგრამ როდესაც შეხედა, რომ ხმას არაფერ იღებს, მან მიმართა ხოლს:

— თქვენ მოგელით კონტროლიორობა, დაიწყეთ თქვენ.

— მე აქ ყველაზე უმცროსი ვარ, — შენიშნა ღიმილით ხოლმა. — რიგია რომ ვინმე უფროსმა დაიწყოს.

ყველანი სერიოზული სახით განაგრძობდნენ სიჩუმეს.

— აბა წინ, მალე! — იცვირა ბებერმა მიქემ.

მაშინ ადგა, დასასრულ, ხოლი. კიდევ არა ერთხელ მოუხდებდა მას ამ მდგომარეობაში მოხვედრა; ის განათლებული კაცია, ამერიკელი, და ძალა-უნებურად იძულებული იქნება მეთაურის როლი იკისროს ხოლმე.

— რამდენადაც ვიცი, თქვენ გსურთ სასწოროთან თქვენი კონტროლიორი იყოლიოთ. მე გამიგონია, რომ კონტროლიორის დღიურ ჯამაგირს სამი დოლარი შეადგენს. მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ შეიდი მუშა ვართ, ეს კი არა კმარა. მე თანახმა ვარ ვიყო კონტროლიორი და ამისათვის ავიღებ თქვენგან ოც-ოცდა

- თქვენ, — უთხრა ხოლს მისის დევიდმა.
- მაგრამ მე ხომ დაინტერესებული ვარ გასამრჯელოთი, მე არ შემფეროს ამის შესახებ ლაპარაკი.
- მაგრამ თქვენს მეტი ხომ ამას ვერაფერს შესძლებს, — სთქვა დიასახლისმა.
- რა თქმა უნდა, — დაეთანხმა მიკე, — მოლაპარაკება უთუოდ ამერიკელმა უნდა აწარმოოს.

ხოლო მაინც უიარზე იდგა. თუ მოლაპარაკებას ის იკისრებს, მაშინ ეს ისეთ სახეს მიიღებს, თითქოს მან ასტუცხა მთელი ეს ამბავი მხოლოდ და მხოლოდ იმ მაღალი გასამრჯელოსათვის, რომელიც კონტროლიორის თანამდებობასთან არის დაკავშირებული.

დიდხანს მსჯელობდნენ და კამათობდნენ ამ თემზე.

ბოლოს ადგა მოხუცი ჯონ ედსტრომი და განაცხადა:

— მივიღეთ მე კომიტეტში.

— კომიტეტში მიგიღოთ? — ჰკითხა ხოლმა. — მერმედ ხომ გაგადგებენ ადგილიდან და რალა ეშველება მაშინ თქვენს ცოლს?

— მე ვფიქრობ, რომ ჩემი ცოლი ამაღამ მოკვდება, უბრალოდ სთქვა ედსტრომი.

ერთ წამს ის ჩუმად იჯდა და ტუჩებმოკლებული წინ იყურებოდა, შემდეგ განაგრძო:

— ექვნი იმ აზრის არის, რომ დღეს თუ არა, ხვალ მაინც უთუოდ მოხდება ეს, და მაშინ ჩემთვის სრულებით ერთი იქნება ყველაფერი. მე მომიხდება პედროში ცოლის დასამარხავად წასვლა და თუ არ მომცემენ უკან დაბრუნების ნებას, რა მნიშვნელობა უნდა ექნეს ამას ჩემთვის? მე შინდა ვავაყეთო თქვენივე ყველაფერი, რაც კი შემიძლია. მთელი ჩემი სიცოცხლე მე მალაროებში მუშაობას მოეანდომე, ეს კარგად იცის მისტერ კარტრაიტმა; შეიძლება მან მიიღოს ეს გარემოება მხედველობაში. მე, ჯო სმიტი და სიკორია წავალთ მასთან მოსალაპარაკებლად, ხოლო თქვენ დანარჩენები დაუცდით შედეგებს, საჭირო არ არის, რომ ტყუილია უბრალოდ თქვენც დაჰკარგოთ სამუშაო.

§ 9

მას შემდეგ, რაც კომიტეტის საკითხი მოწესრიგდა, ხოლმა უამბო მათ, რომ სტონმა დაეცა მას ჯავშუშობა გაეწია მუშების ნიშარტ. უკეთესია, ფიქრობდა იგი, რომ ეს იცოდნენ მათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ზედამხედველები ადვილად შესძლებდნენ ისარგებლონ ამ იარაღით მისსავე წინააღმდეგ. ოლსონმა ზომ კიდევაც გააფრთხილა იგი ამის შესახებ: „თქვენ, შეიძლება, დაგიწყონ ლაპარაკი, რომ მე გამცემი ვარ, მაგრამ მაინც უნდა მენდოთ“.

— გენდობით, გენდობით! — წამოიძახა ბებერმა მიკემ, დანარჩენებმა თავები დაიჭნიეს თანხმობის ნიშნად.

— კარგი, — უბასუხათ ხოლმა. დარწმუნებული იყავით ერთ რამეში: თუ მე მოვახერხებ მიმღებ პუნქტზე გაძრომა, თქვენ ყოველთვის მიიღებთ ნამდვილ წონას.



ქართული
 ენციკლოპედია

— სმენა! სმენა!—დაიყვირა გვეგვი ინგლისურ წესზე, და ოთახი გუგუხით გაიფსო. ვერავის ვერ შეეწყვიტა ხმაური, მაგრამ აშკარად სჩანდა, რომ ყველა თანახმა იყო.

ხოლო დაჯდა და მოიხსნა ხელიდან სახევეცი.

— ასე, მან უკვე შეასრულა თავისი როლი,—სთქვა მან და აუხსნათ ხელის ღრძობის მთელი ისტორია.

— როგორ?—წამოიყვირა ბებერმა მიკემ.—მაშ აბა აგრე მასულელებდით მე თქვენ?

მან წააგლო ხოლის მაჯას ხელი და, როდესაც შეამჩნია, რომ მასზე სიმსიენის ნიშანწყალიც კი არა სჩანს, ისეთი ძალით შეარყია თვალი, რომ კინაღამ მართლა უღრძო, რის შემდეგ ერთი ისეთი გადიხარხარა, რომ ლოყებზე ცრემლები წამოუფიქვდა ღვარად.—ახ, შე ეშმაკო შენა!—ამბობდა იგი.

იმავე დროს კლოვესკიმ აუხსნა მთელი ეს ამბავი ზამეროვსკის. მას შენდეგ, რაც ხოლი ნორტ-ვალში მოვიდა, მას არასოდეს არა სმენია ასეთი გულწრფელი სიცილი.

თუმცა შეთქმულებს ძალიან ცოტა დრო ჰქონდათ სიცილისათვის; ისინი ისევ საკმეზე გადავიდნენ. გადასწყვეტეს, რომ კომიტეტი მივა შედამხედველთან მერვე დღეს საღამოზე, მუშაობის გათავების შემდგომ. შემდეგ ჯონ ედსტრომმა წინადადება შერტანა ერთმანეთთან შეთანხმებით გამოემუშავნათ მოქმედების საერთო გეგმა იმ შემთხვევისათვის, თუ მათზე ძალას ჰიიტანენ.

— თქვენ ფიქრობთ, რომ საკმე მადნამდე მივა?—იკითხა ვილაკამ.

— რა თქმა უნდა,—სთქვა მიკე სიკორიამ.—ერთხელ სენდერზეგში ჩვენ წავედით ზედამხედველთან, რომ გვეცნობებოდა მისთვის ვენტილიაციის გაფუჭება. პასუხად კი გაუშალა და ერთ ჩვენგანს სთხლინა ცხვირში და სამივენი პანდურის ცემით გამოგვრეკა გარედ.

— ჰო,—სთქვა ხოლმა,—ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ამისთვისაც.

— კი, მაგრამ როგორ მოიტყუებით თქვენ ამ შემთხვევაში?—ჰკითხა ჯერრიმ. ხოლისათვის დადგა მომენტი დაემტკიცებოდა მათთვის თავისი უფლება წინამძღოლობაზე.

— თუ მე მან ცხვირში მთხლინა, ის მიიღებს ჩემგან ხურდას,—აუხსნა მან.

მუშების ნაწილმა ტაში დარკვა მას: სწორია, აი როგორ უნდა ლაპარაკი! ხოლი აღტაცებაში მოვიდა, ის წინამძღოლად გრძნობდა თავს, მაგრამ მოლოდინულად მის რწმენას საკუთარი ძალისადმი უღმობელი მახვილი ჩაეცა გულში, ხოლო მის საამაყეს კარგი წყობურტი მოხვდა ცხვირში, კუთხიდან გაისმა ზუმი, გაბრაზებული ხმა ქაღის:

— ჰო, მაგრამ მერე მოგკლავენ!

მან შეხედა მერის, მისი გამოცოცხლებული სახე ანთებულიყო, შუბლი მოლღული ჰქონდა.

— რა ვსურთ სთქვათ ამით?—ჰკითხა ხოლმა.—თქვენის აზრით ჩვენ ისა გვწართებს, რომ სამარცხვინოდ გავიქცეთ?

ჩემის აზრით ისევ ეგ სჯობია თავის შეკვლას.

— რა უნდა ჰქნათ, თოფი რომ მოგიღიროთ მან?

— ნუ თუ ის გააზნედავს კომიტეტზე იარაღით მოსვლას?

მობლცმა მიკემ გააწყვეტინა ორივეს:

— ერთხელ ბორელაში.— მე ვიამბეთ, როგორ გამოშპარეს რონოდა? მე ვეუბნებთ მწონავს, რომ რონოდა მოშპარეს, ის კი მიღერს თოფს და მიყვირის: „წაერთიე აქედან, შე ბებერო თხა, თორემ გაგიხვრეტ მაგ ტყავს!“

უნივერსიტეტში ყოფნის დროს ხოლი ყოველთვის ატარებდა ამბანაგებში იმ აზრს, რომ ყაჩაღთან შეხვედრის დროს უნდა დაუყვირო მას: „მიმწორდი, ჩემო ძმაო, თავიდან! იწრომე და იშოვე თვითონ! მე კი არაფერი მაქვს ისეთი, რისთვისაც ღირდეს ჩენი მოკვლა“. განა შეიძლება შეედაროს მოპარული ნივთის ფასი აღამიანის სოცოცხლის ფასს? ეხლა თითქოს დადგა პრაქტიკაზე გადასვლის მომენტი, მაგრამ ამის ვაკეთება მას როგორაც არ მოსდებოდა თავში. ეხლა ის შხად იყო შუბლი შეეხებოქა კედლისათვის, თითქოს რაღაც ერთი ტონი ნახშირი ყველაზე უფრო მთავარი საკითხი იყო მის ცხოვრებაში!

— აბა რა უნდა ვქნათ?— იკითხა მან. დათმობაზე ხომ ვერ წავალთ?

და მაინც ამ კითხვის მიცემის დროს ხოლმა მშენიერად იცოდა, რომ მერი მართალი იყო.

მისი თვალსაზრისი იყო ისეთი კაცის თვალსაზრისი, რომელიც მუშათა კლასს არ ვეუთვნოდა. მერი კი, მიუხედავად მთელი მისი სიფიცხისა, მიუთითებდა თავის შეკავების აუცილებლობაზე. უკვე მეორეჯერ დაკოდა ამ საღამოს მერიმ ხოლის სიამაყე, და მიუხედავად ამისა მისი უსიამო გრძნობა ალტაცებად შეიკვალა: მან იცოდა, რომ მერის ჰკუიანი თავი აქვს მხრებზე და რომ მის დახმარების გაწვევა შეუძლია მისთვის. მოხუცი ჯონ ედსტრომის სიტყვებმა კიდევ უფრო აღაფრთოვანა ხოლი:

— უნდა ვიმოქმედოთ ისე,— სიტყვა მობლცმა მაღაროს მუშამ,— რომ თავიდან ავიცილოთ ყოველივე ის, რაც ხელს შეუშლის „მუშათა დიადი კავშირის“ საქმეს; ამისათვის, რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ არავითარ შემთხვევაში ფიზიკური წინააღმდეგობა არ უნდა ვაუწიოთ.

თუმცა ეს აზრი მეორე მხრივთ შეუთრეგებელ მოწინააღმდეგეებს შეეყარა.

— ბრძოლა! ბრძოლა!— ღრიალებდა ბებერი მიკე, და უცებ ისეთიბირად წამოიყვირა, თითქოს მას უკვე სთხლიშეს მართლა ცხვირში.

— აი ასე, მე თუ მკითხავთ!

— თუ შემოკვრაზე თქვენც შემოკვრით უპასუხეთ,— უხსნიდა ედსტრომი,— მაშინ ჩვენი საქმე დაილუბება უბეველად. კომპანია იტყვის თითქოს ჩვენ ჩხუბი ავსტებეთ, ჩვენ თავს ვესხმით ზედახედვლებს, მაშასადამე დანაშაულიც მიგვიძღვის, არა ჩვენ გვმართებს მხოლოდ მორალური ზეგავლენით მოქმედება.

მეორე ხნის კამათის შემდეგ მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ ყოველი მათგანი უნდა ეცადოს თავის შეგვეებას—ვიდრე ეს მის ძალას არ აღემატება. შემდეგ ყველამ მაგრა ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი და დასდვეს სიტყვა, რომ მტკიცედ დაიჭერენ თავს. როდესაც კრება დაიხურა, ყველანი სათითაოდ გა-



ქართველნი
ბიზნესისტეზა

ვიდენ, უკვე ბნელი ღამე იყო, და შეთქმულები, სერიოზული და მზრუნველი სახით, თავ-თავიანთ სახლებში წავიდნენ.

§ 10

ბოლს ცუდათ ეძინა იმ ღამეს. მის გარშემო რეჰინიცკის მდგურები ბერი-ნადედენ, ის კი იწვია და ფიქრობდა იმაზე თუ რა იქნება ხვალ. არა სასიამოვნო სურათებიც წარმოუდგენს: ის ხედავდა თავის თავს გატეხილი ცხვირით, ღისში და ბუმბულში ამოგორებულს. ფიქრობდა ის აგრეთვე თავის თეორიაზე „უაჩა-ლების“ შესახებ, რა საწინელო უაჩაღია ბოლოს და ბოლოს ეს საყოველთაო სათბობი მასალის კამპანია! არ არის განა საჭირო, რომ სწორედ ამას უყვიროს კაცმა: „შენ თვითონ იმუწავე და ირჩინე ისე თავი!“

შემდეგ ბოლს ვაახსენდა ელსტრომის ქიანჭველები და შეეკითხა თავის თავს, რა ძალა არის ისეთი, რომელიც მათ აერთიანებს.

როგორც კი ინათა, ის აღვა და გასწია მთებში, რომელთა სასწაულებრივ თვისებას ადამიანის ძალ-ღონის განმტკიცება და განახლება შეადგენს. როდესაც მათი მწვერვალების ვადაღმა მზე გამოჩნდა ის უკანვე დაეშვა. კომპანიის კონტორასთან ის შეხვდა ელსტრომს და სიკოროას.

ისინი მიესალმნენ ერთმანეთს. ელსტრომმა სთქვა, რომ მისი ცოლი დღისით გარდაიცვალა. ნორტ-ვალში არ იყო დამმარბავი ბიჭო, ამიტომ მან მიიხდო ნაცნობ ქალს წაეღო ცხენდარი პედროში, რათა თვითონ თავისუფალი ყოფილიყო კარტრაიტთან მოსალაპარაკებლად. ხოლმა ნელა დაადო ხელი მოხუც მხარზე, ჩუმად, ყოველგვარი მანუგეშებელი სიტყვების გარეშე: ის ხედავდა, რომ ელსტრომი შეულოვდა იმ ამბავს და ებლა მზად არის თავისი მოვალეობის შესასრულებლად.

— წავიდეთ!—სთქვა მოხუცმა და სამივე კონტორაში შევიდნენ. დარაჯი წავიდა მოეხსენებია იმათი მოსვლა. ისინი ჩუმად იდგნენ და უცდიდნენ ხელში ქულების ტრიალით, როგორც ეს მდაბიო ხალხმა იცის.

ბოლოს კარებში მისტერ კარტრაიტი გამოჩნდა. მისი დაბალი, გამზდარი ფიგურა სიმკაცრით და ავტორიტეტით სუნთქავდა.

— რაშია სიქმე?—იკითხა მან.

— ნება მოგვეცით მოგელაბირაკოთ,—უთხრა ელსტრომმა.—ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ჩვენთვის აუცილებელია სასწოროთან კონტროლიორის ყოლა მისტერ.

— რაო?—სიტყვა გაისმა ისე, როგორც მათრახის ვადაყრა.

— ჩვენ გვინდა, რომ სასწოროთან კონტროლიორი გვყავდეს, მისტერ. ერთი წამით ღრმა სიჩუმე ჩამოვარდა.

— გამომყეთ უკან.

ისინი გაჰყვნენ მის კანტორის უკანა ნაწილში. მან მოიხურა კარი მათ შემდეგ.

— მაშ აბა, რაშია, ბოლოს და ბოლოს საქმე? ელსტრომმა კიდევ გაიბეორა თავისი სიტყვები.



- რამ მოგიყვანათ ნაც აზრამდე?
- არაფერმა იმდენად, ჩვენ უბრალოდ ვფიქრობთ, რომ ასე აჯობებს.
- თქვენ ფიქრობთ, შეიძლება, რომ სწორ წონას არ გიჩვენებენ?
- დიახ, ზოგიერთი მუშები... ჩვენ ვფიქრობთ, რომ აჯობებს, თუ კონტროლიორი გვეყოლება. ჩვენ თანახმა ვართ, რომ ის საკუთარ ხარჯზე შევი-ახოთ.

- ვინ გვეყოლება კონტროლიორად?
- ჯო სმიტი.

ბოლმა მავრად დაიჭირა თავი და მშვიდად გადაიტანა კარტრაიტის შეხედვა.

— ა! ეს თქვენა ხართ?— და ერთი წამის შემდეგ:— აი რატომ შელაპარაკებოდი თქვენ მე ასეთი თავხედობით.

ბოლი ეხლაც სიამოვნებით შიახლიდა ორიოდ გულის მოსაფხან სიტყვას პირში, მავრამ თავი შეიკავა. ჩამოვარდა სიჩუმე.

— ეს მითხარით მხოლოდ, რად გინდათ ასე ტყუილა უბრალოდ ფულის გადაყრა?

და კარტრაიტმა დაიწყო მათი მორჯულება, ცდილობდა დაემტკიცებია, რომ ამით ისინი ვერაფერს ვერ მოიგებენ. მალაროებზე საქმე შრავალი წელი მიმდინარეობს ერთზელვე მტკიცედ დამკვიდრებული სისტემით და არავის ამის გამო არავითარი საჩივარი არ განუცხადებია. სასაცილოა იმის ფიქრი, თითქოს ასეთი მსხვილი, პასუხისმგებელი ფირმა ნების მისცემდა თავის თავს რამდენიმე ტონა ნახშირი მოეპარა წონაში თავის მუშებისათვის. სიტყვა კიდევ რამდენიმე ხანი გრძელდებოდა ამ ყაიდაზე.

— მისტერ კარტრაიტ, — სთქვა ელსტრომმა, როდესაც ზედამხედველმა გაათავა, — თქვენ იცით, რომ მე მთელი ჩემი სიცოცხლე მალაროებში გავატარე და უმეტესად კი ამ ოლქში ვმუშაობდი. ამიტომ, თუ მე გეუბნებით თქვენ, რომ მალაროებზე საერთო უმაცოფილება სუფევს, ვინაიდან მუშები ფიქრობენ, რომ მათ არ უჩვენებენ სწორ წონას, მე მაგეს ამის საფუძველი, მე ვიცი რასაც ვამბობ. თქვენ ირწმუნებით, რომ ამის გამო არავითარი ოფიციალური საჩივარი არ შემოსულა, — ამის მიზეზი თქვენ თვითონ ძალიან კარგად იცით...

— რა მიზეზია, სთქვით?

— ჰო, კარგი, — უთხრა ჩუნად ელსტრომმა, — შეიძლება თქვენ არც იცოდეთ მიზეზი. ყოველ შემთხვევაში ჩვენ მოვედით იმისათვის, რომ კონტროლიორი მოვითხოვოთ.

როგორც ეტყობოდა მთავარი ზედამხედველი უაღრესად გაოცებული იყო და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ბოლოს მან სთქვა:

— წარმოიდგინეთ რა სამწუხარო იქნება კომპანიისათვის, როდესაც ის გაიგებს, რომ მუშები მოტყუებულად სთვლიან თავს.

— ჩვენ სრულებითაც არ ვამბობთ იმას, რომ კომპანიას ეცოდინება ეს ამბავი, მისტერ კარტრაიტ. სრულიად დასაშვებია, რომ ჩვენ ექსპლოატაციას გვიწევდეს ცალკე პირები, ხოლო თქვენ და კომპანია კი არაფერ შუაში ხართ.



ქართველთა
მწიგნობართა
კავშირი

კონტროლიორი სასწორთან ერთგვარად დაიცავს როგორც თქვენს, ისე ჩვენს ინტერესებს.

— დიდად გმადლობთ, — მშრალად უპასუხა კარტრაიტი, მისი ტონიდან სჩანდა, თუ რა ძალდატანებით იკავებდა იგი თავს, — რა კი თქვენ მაგვარ გადაწყვეტილებამდე მიხვედით, ჩვენ აღარაფერი გვაქვს სალაპარაკო; ჩემს რეზოლიუციას ვაიგებთ შემდეგ.

მის სიტყვებში სჩანდა, რომ ის აუდიენციას დამთავრებულად სთვლის, მიკე სიკორია მოჩილებით გაემართა კარისაკენ. მაგრამ ედსტრომი კი ერთი იმ ჭიანჭველათაგანი იყო, რომლებიც უკან არ იხევენ, და მიკე, შეხედა თუ არა მან მოხუცს, მაჩქაროდ დადგა ისევ თავის ადგილზე და თან შეეცადა, რომ მისი მოძრაობა არავის შეემჩნია.

— ჩვენ სათხოვარი გვაქვს თქვენთან, მისტერ კარტრაიტი, — უთხრა ედსტრომმა. — ჩვენთვის კარგი იქნებოდა თქვენი რეზოლიუცია დღეს გავვევო, რომ ხელ კონტროლიორი მუშაობას შესდგომოდა.

— რად გეჩქარებათ აგრე?

— არ არის არავითარი საფუძველი საქმის გაკვინურებისათვის; ჩვენ მხედველობაში გვყავს უკვე კაცი ამ თანამდებობაზე დასანიშნავად და მზად ვართ გადავხადოთ მისი შრომის ჯილდო.

— ეინაა მზად, რომ გადახადოს? თქვენ ორი?

— მე არა მაქვს უფლება დავასახელო დანარჩენი, მისტერ.

— ოპო, მაშეფარული მოძრაობა ყოფილა?

— რამდენიმეთ, — დიახ.

— აი რაში ყოფილა საქმე, — სთქვა კარტრაიტი მრავალმნიშვნელოვანი ტონით. — და მერმე თქვენთვის სულერთია როგორ შეხედავს ამას კომპანია?

— არა, მისტერ კარტრაიტი, მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ მიზეზს, თუ რატომ უნდა წავიდეს კომპანია ამის წინააღმდეგ. ეს წმინდა საქმიანი ხასიათის საკითხია.

— თქვენ ეს აგრე უბრალოდ გეჩვენებათ, მაგრამ მე კი სხვა შეხედულების ვარ, — გაფიქვდა კარტრაიტი, შემდეგ, შეიკავა რა ძლიეს თავი, დაუმატა:

— ვაიგეთ ბოლოს და ბოლოს: მართლაც რომ იყოს ამაში რაიმე საჭიროება, კომპანია არაფერს იტყუოდა იმის წინააღმდეგ, რომ მუშებს კონტროლი ვაეწიათ სასწორისათვის. კომპანია ყოველთვის მზად არის გააყეთოს, რაც კი აუცილებლად საჭიროა. მაგრამ არ შეიძლება ბოლოს და ბოლოს ასეთი სისწრაფით საკითხის გადაჭრა. მე გაცნობებთ შემდეგ ჩემს გადაწყვეტილებას.

ბებერი მიკე და ედსტრომი გაემართენ კარისაკენ. მაგრამ ესლა მესამე ჭიანჭველა გადაეშვა ორმოში.

— როდის მისცემთ ნებას კონტროლიორს, რომ თავისი მოვალეობის აღსრულებას შეუდგეს, მისტერ კარტრაიტი? — ჰკითხა ხოლმა.

ზედამხედველმა აათვალღიერ-ჩაათვალღიერა იგი გამგმირავი თვალით, მაგრამ მაინც შეიკავა თავი.

— მე არა მსურს ესლა გიპასუხოთ თქვენს კითხვაზე. თქვენ ვაიგებთ ამას

მაშინ, როდესაც მე ეს მივხატებ. დღეისათვის კი ესეც კმარა. — მან გააღო კარი, თითქოს უბრძანებდათ იქედან გასვლას.

— მისტერ კარტრაიტ, — ჰკითხა ხოლმე, — განა არსებობს კანონი, რომელიც უკრძალავს მეშვეს საკუთარი კონტროლიორის დაყენებას სასწოროთან?

კარტრაიტის შემოხედვა ყოველგვარ სიტყვებზე უფრო აშკარად ამოწმებდა იმას, რომ მან ძალიან კარგად იცის კანონი. ამ შემოხედვით დაქმავილი ბუღალმა ხოლმე განაგრძო:

— მე ამირჩია მუშათა კომიტეტმა კონტროლიორის თანამდებობაზე; კომიტეტმა გაცნობათ ეს თქვენ. მაშასადამე ცხლა მე ოფიციალურად შემოიღო ჩავსთვალე ჩემი თავი კონტროლიორად, მისტერ კარტრაიტ, და მე შეუდგები კიდევაც ჩემი მოვალეობის აღსრულებას.

და ხოლი, იმის და დაუდგლად, თუ რას უპასუხებდა ამაზე ზედამხედველი, გაეშარა კარისაკენ, მას თან გაჰყვნ მისი საკმაოდ დამფრთხალი თანამგზავრები.

§ 11.

კრებაზე გადაწყვეტილ იქნა პროპაგანდის მიზნით ფართოდ გავრცელებით მუშათა წრეებში კონტროლიორის სასარგებლოდ დაწყებული მოძრაობის ამბავი. როდესაც გამოვიდა კონტორიდან სამი დეპუტატი, მათ გარს შემოეხვია ცნობისმოყვარეთა მთელი გუნდი. ყოველი მხრიდან კითხვები გაისმოდა, მუშები უამბობდნ თავ-თავის თანამემამულეებს დეპუტატების ნათქვამს, უხსნიდნ, კომენტარებს უკეთებდნ.

ხოლი წავიდა რემინიციკისთან. ვახშმის შემდეგ მან დაიარა მუშათა სახლები, ყველგან უხსნიდა მუშებს, რომ საქმე მათ კანონიერ უფლებას შეეხება. მას მოუშორებლად უკან დაჰყვებოდნენ ედსტრომი და ბებერი მიკე, — ოლსონმა გააფრთხილა ისინი იმის შესახებ, რომ მათ ერთი წუთითაც კი არ მოეშორებიათ ხოლისათვის თვალი. როგორც ეტყობოდა, ზედამხედველებსაც ისეთივე ბრძანება ვაეცათ: როდესაც ხოლი გამოვიდა რემინიციკიდან, მან შენიშნა სხვებში ჯეკ პრედოვიჩი, რომელიც ყველგან ზურგს უკან დასდევდა მას. არ იყო არავითარი ეჭვი, რომ ის თვალ-ყურს ადევნებდა იმას, თუ ვის ელაპარაკებოდა ხოლი.

სამივემ დაიწყეს ბქობა იმის შესახებ, თუ სად გაეთიათ მათ ღამე. ბებერი მიკე ძალიან შეფიქრიანებული იყო: ჯაშუშების მხრით მთელში ასეთი განსაკუთრებული თვალ-ყურის დევნება, ეჭვებს უძრავდა მას, რომ ვაი თუ ღამით მათზე თავდასხმა მოეწყობო. ის უყვებოდათ საწინელ ამბებს, რომლებსაც ასეთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ხოლმე: გამოიგონებენ ზღაპარს, და დაამტკიცებენ, რომ ისინი დაბოცეს სიმთვრალის დროს რომელიღაც ქალის განო იტებილ ჩხუბში. უკანასკნელი გარემოება განსაკუთრებით აწუხებდა ხოლს, მას აგონდებოდა თავისი მშობლები და მამლობლები. არა, ღამე სოფელში დარჩენა შეუძლებელი იყო; მაგრამ არ ხერხდებოდა არც ძირს ჩასვლა კანიონით: თუ კი ის ალაყაფის კარს ვასცდებოდა, უკან მას ალარავინ შემოუშვებდა ალბად.



მაშინ მას ასეთი აზრი მოუვიდა თავში: რატომ არ უნდა შეუცვენ ისინი კანონს ზვეით? სოფელს მეორე მხარეზე გალაგანი არ ერტყა, მხოლოდ კლდეები და ბუჩქნარი, გზაც კი არ იყო.

— მერე სად უნდა დავიძინოთ?— ჰკითხა გულგახეთქილმა მიკემ.

— ღია ცის ქვეშ, — უპასუხა ხოლმა.

— პლუგა ღარიბია! ღამის ჰაერმა რომ გამსჭვალოს ჩემი ბებერი ძვლები, არა?

— ნუ თუ თქვენ ფიქრობთ, რომ რა კი ოთახში გძინავთ, ამიტომ თქვენს ძვლებში დღის ჰაერი რჩება? — უპასუხა სიცილით ხოლმა.

— რა თქმა უნდა, თუ კი ფანჯარას დავხურავ და ძვლებზე საბანს დავიფარებ.

— რაც იქნეს იქნეს, ვაგვდეთ ერთხელ ღამის ჰაერზე დაწოლა, რაღაც ყოველ შემთხვევაში უკეთესია, ვიდრე ის, რომ თქვენს ძვლებში ვინმემ დანა ჩაარკოს.

— მაგრამ ეს ოჯახდაქცეული პრედოვინიც ხომ ჩვენს უკან მოფხოკიალობს ზვეით.

— რა უყოთ, ერთი ვერაფერს დაგვაკლებს, ხოლო თუ დამხმარეების მოსაყვანად წავიდა, მაშინ ჩვენ ხელად გაეშვებით სიბნელეში.

ედსტრომმა, რომლის ცოდნა ინტროშიაში ნაკლებად პრინციპული იყო, ვიდრე მიკესი, მოიწონა ხოლის წინადადება.

მათ წაიღეს საბნები და ვარსკვლავებით განათებულ ღამეში წაფხოკიალდენ ზემოთ კანიონით. რამდენიმე ხნის განმავლობაში მათ ესმოდათ, თუ როგორ ქლოწინებდა იმათ უკან ჯაშუში, მაგრამ მალე მისი ნაბიჯის ხმა მიწყდა. გათენებამდე მათ არავითარი საფრთხე არ მოელოდათ. ხოლს არა ერთხელ ჰქონია შემთხვევა გაეთია ღამე გარედ, როგორც მონადირეს; მაგრამ იმისავე შესრულება კვალ მიგნებული ნადირის როლში — ეს სრულიად უჩვეულო ამბავი იყო!

ალიონზე ისინი წამოდგნენ, გაოცეს დანამული საბნები, თვლები მოიშმუშნეს. ხოლი ახალგაზდა იყო, ის ალტაცებული იყო დილის სილამაზით, ხოლო საბრალო მიკე სიკორია კი ოხრავდა და სჩივოდა თავისი ბებერი ძვლების გამო. მას ელანდებოდა, რომ იმას რაღაც განუკურნელი ხენი შეეყარა, და მხოლოდ მაშინ გამხნედა, როდესაც ედსტრომმა დილის ყავაზე ჩამოაგდო სიტყვა. ისინი საჩქაროდ დაეწვიენ მირს და შევიდნენ სასადილო დუქანში. ეხლა დგებოდა კრიტიკული მომენტი, როდესაც ხოლი უნდა დაჩინილიყო მარტო, მცველებს მოკლებული. ედსტრომი გაემგზავრა პედროში ცოლის დისამარხავად, ხოლო მიკე უეჭველად სამუშაოს უნდა დასდგომოდა, რომ კომპანიისათვის დათხოვნის საბაბი არ მიეცა. კანონს, რომელიც ზრუნავდა მუშების კონტროლიორზე, მხედველობაში გამოარჩენოდა კონტროლიორის დაცვაზე ზრუნვა.

სიბრაზით ნოთმიწებიდან გამოსულმა ხოლმა ველარ დაიკცა სიფრთხილვ და გამოააშკარავა კარტრატის კონტორაში თავისი მოქმედების გვემა.

როგორც კი წავეიდნ მუშები სამუშაოდ, ის დაუცოვენებლივ გამოცხადდა მიმღებ პუნქტზე.

— მისტერ პიტერს, — მიმართა მან მწონავს, — მე დაყენებული ვარ აქ კონტროლიორად.

მწონავი, დიდი შავი უღვაშებით, რომლებიც რამდენიმეთ ნიცშეს ამსგავსებდა მას, თითქოს ნამდვილად შეფიჭრიანდა.

— რაო?

— მუშების ნაწილმა, — სთქვა ხოლმა საქმიანი ტონით, — მე ამირჩია კონტროლიორად. როდესაც რომოდები დაიწყებენ მოსვლას, მე კონტროლს ვაუწყებ წონას.

— მაგრამ დარჩით კი მანდ, ვარედ, უმაწვილო!

პიტერსის ტონიც სრულიად საქმიანი იყო.

პრეტენდენტი კონტროლიორის თანამდებობაზე ჩამოვდა მიმღები პუნქტის საფეხურებზე და დაიწყო ცდა. ეს ისეთი ადგილი იყო რომ ხალხი აქ ბლომად მიდი-მოდიოდა და ისიც უშიშრად გრძობდა თავს. ზოგიერთი იმის გვერდით გამვლელი მუშები იცინოდნ და თვალს ჩაუყრავდნ ხოლმე მას, ზოგიც ზურბულით ამხნევებდა. ასე დამჯდარიმა ვაატარა მან მთელი დილა როგორც სათხოვარის მქონე ჩინელმა მანდარინის სასახლის კართან. ძალიან მოსაწყენი საქმე იყო, მაგრამ ხოლი ფიჭობდა, რომ მოთმინება იმას მეტი აქვს, ვიდრე კომპანიის.

§ 12.

რამდენიმე ხნის ვასკლის შემდეგ ხოლთან ვილაც კაცი მივიდა. ეს იყო ბუდ ელამი, ჯეფ კოტონის თანაშემწე, მომრიგებელი მოსამართლის უნტროსი ძმა. ეს იყო რიგიანად ჩასკენილი, ლოყა წითელი ბიჭი, რომლის შესახებ ლაპარაკობდნ, რომ ის მშენებრად ხმარობს თავის მუშტებს.

— ეი, თქვენ! — უთხრა ბუდმა. — ფოსტაში დებეშა არის თქვენს სახელზე მოსული.

— ჩემს სახელზე?

— თქვენ ხომ ჯო სმიტი გვქვიათ?

— კი.

— დებეშის მისამართში აღნიშნულია თქვენი გვარი.

ხოლმა გაიფიქრა, რომ არავის არ შეეძლო დაედებეშნა ჯო სმიტის-თვის. ეს მხოლოდ მათ მოიგონეს იმისათვის, რომ ის აქედან გაიტყუნო.

— რა სწერია დებეშაში? — ჰკითხა მან.

— მე რა ვიცი?

— საიდან არის გამოგზავნილი?

— არ ვიცი.

— რომ სთქვას კაცმა, თქვენ შეგებლოთ აქ მოგეტანათ ის ჩემთვის, — მწვიდათ შენიშნა ხოლმა.



მან სიბრაზით ანთებული თვალებით შეხედა ხოლს. ეს ბუნტი კი არა, ნამდვილი რევოლუტია არის!

— დასწყევლის ღმერთმა, როგორ, მე თქვენი სარბენი ბიჭი ხომ არა გკონიერათ?! — დაიღრიალა მან.

— განა კომპანია ბინაზე არა გზაენის დეპეშებს? — ზრდილობიანად იკითხა ხოლმა.

ბუდი ძლივსა ჰფარავდა თავის გაადთრებას.

ხოლი ფრთხილად ადევნებდა წის თვალს. მაგრამ ეტყობოდა, რომ მათ, ვინც ბუდი გამოგზავნეს, შესაფერი ინსტრუქციებიც მისცეს იმას; მან ჩაყლაპა თავისი ბრაზი, და გატრიალდა და წავიდა.

ხოლი განაგრძობდა თავის პოსტზე ჯდომას. სადელი თან წამოიღო იმ ფიქრით, რომ ცალკე მოუხდებოდა სადლობა: მან იცოდა თუ რასახიფათო იყო მუშებმსათვის მისდამი სიმპატიის გამოჩენა. ამიტომ ის ძალიან ვაოცდა, როდესაც მასთან მივიდა უზარმაზარი შვედი იოგანსენი და მოუჯდა გვერდით. ცოტა ხნის შემდეგ მას შეუერთდენ ახალგაზდა მექსიკელი და ბერძენი, — რევოლუტია იზრდებოდა.

ხოლი დარწმუნებული იყო, რომ კომპანია მეტს აღარ მოითმენდა საქმის ამგვარ ვითარებას. და მართლაც, მალე სასადილო დასვენების შემდეგ მიმდებოდა პუნქტიდან გამოვიდა მწონაეი და ხელის დაქნევით დაიქახა ხოლს, რომ მისულის იგი მასთან.

— მოდი თქვენი ერთ წუთს.

ხოლი მივიდა.

შენობა, სადაც სასწორი იდგა, საკმაოდ ღია იყო განვლულების თვალი-სათვის, მაგრამ ერთი მხრით იყო უკანა ოთახში შესასვლელი კარი.

— შემოდი თქვენი, — უთხრა მწონაემ.

ხოლი მაინც ერთ ადგილზე დგომას განაგრძობდა.

— კონტროლიორი აქ უნდა იყოს, შენობის ამ ნაწილში, მისტერ პიტერს.

— მაგრამ მე მინდა მოგელაპარაკოთ.

— მაგრამ მე აქედანაც შემიძლია ვავივინო, მისტერ.

ხოლმა ძალიან კარგად იცოდა, რომ აქ იმას მუშები შეხედავდენ და მხოლოდ ამაში იყო მთელი მისი ხსნა.

მწონაეი შევიდა კონტორაში; ერთი წუთის შემდეგ ხოლისთვის ნათელი შეიქნა, თუ რასაც უშაბდებდენ მას; კარი გაიღო და ოთახიდან ალექ სტონი გამოვიდა.

მან შეხედა თავის პოლიტიკურ მიმდევარს, შემდეგ მივიდა მასთან.

— ემაწეილო, — ჩუმად წარმოსთქვა მან, — თქვენ გადაამლაშეთ; მე არაერთარ შემთხვევაში არ მოველოდი, თუ თქვენ ეგრე შორს წაბედიდოდით.

— რა თქმა უნდა ამას თქვენ არ მოელოდით, მისტერ სტონ, — უპასუხა ხოლმა.

ზედამხედველი კიდევ უფრო მიუახლოვდა მას.

— რა გინდათ, ყმაწვილო ბოლოს და ბოლოს? რას მოგცემთ თქვენ მთელი ეს ისტორია?

ბოლმა თამამად შეხედა მას თვალებში.

— გამოცდილებას.

— თქვენ დიდი წარმოდგენისა ხართ თქვენს თავზე, შვილიყო. მაგრამ თქვენთვის გაცილებით უკეთესი იქნებოდა გონზე მოსულიყოთ და გეფიქრათ იმის შესახებ, თუ სით მიდიხართ. სულ ერთია, თქვენ მაინც თქვენსას ვერ გაიტანთ, ვაიგეთ ეს ერთხელ და სამუდამოდ. წამოდით ისევ აქეთ, მოვლამარკოთ კარგად ამის შესახებ.

ღრმა სიჩუმე.

— ნუ თუ თქვენ არ იცით, თუ რითი თავდება ჩვეულებრივ მაგგვარი ამბები, სმიტ? საკმაოა გაჩნდეს სადმე ერთი ნამცეცი ცეცხლი,—ჩვენ ჩაგატრობთ მაშინავე მას, ჩვენ ეს კარგად გვეხერხება, სპეციალური აპარატიც გვაქვს ამისათვის. ვაივლის ერთი-ორი კვირა და ყველაფერი დაიწყდება. სად იქნებით მაშინ თქვენ?

ბოლი განაგრძობდა ჩუმიდ დგომას. მაშინ ზედამხედველმა სტრუქულით დაიწყო ლაპარაკი:

— მე მესმის თქვენი მდგომარეობა; თქვენ მხოლოდ დაბიქნიეთ ერთი თავი და მე მივხედებთ, რომ ყველაფერი რიგზეა. საღამოზე ეტყვით მეშებს რომ თქვენ კონტროლს უკეთებდით წონას და რომ წონა სწორია. მაშინ მუშებიც კმაყოფილი დარჩებიან, ბოლო ჩვენ კი გაეასწორებთ მერმე ანგარიშს ერთ-მანეთში.

— მისტერ სტონ,—სერიოზულად წარმოსთქვა ბოლმა,—მაქვს თუ არა მე უფლება ვსთქვა, რომ თქვენ მე ქრთამსა მთავაზობთ?

ზედამხედველი უცერად მთლად გამოვიდა მოთმინებიდან. ზედ ბოლის ცხვირის წინ უშველებელი მუშტი აიშართა და ყურებში ქუქურმა გინებამ გუფუნით გაიარა. მაგრამ ბოლს ერთი ზეწვის ოდენზედაც არ დაუწევია უკან თავისი ცხვირი, მისი მრისხანე თვალები მუშტის ზემოდან ცეცხლს და ელვებს აყრდნობდა ზედამხედველს.

— უკეთესი იქნება, მისტერ სტონ, თუ თქვენ შეიგნებთ, ბოლოს, მდგომარეობას. მე ჩემს ამოცანას ძალიან სერიოზულად ვუცქერი და არ გირჩევდით, რომ ძალა მოგეტანათ თქვენ ჩემზე.

სიბრაზისაგან კუთხზე შეშლილი ზედამხედველი ერთ წუთს ის იყო კინადამ ეტაკა ბოლს. მაგრამ, როგორც სჩანდა, იმასაც, ისე როგორც ბუდ ედამსს, მიცემული ჰქონდა განსაზღვრული ინსტრუქციები. ის უცბად შეტრიალდა და წავიდა კონტორაში. ბოლმა შეიკადა ცოტა, რომ დამშვიდებულყო, შემდეგ წყნარი ნაბიჯით გაემართა სასწორისაკენ. აქ პირველად აღმოჩნდა იგი საძინელო მდგომარეობაში: ის უნდა გამოსტეგოდა თავს, რომ მას ნახშირის სასწორის არაფერი ვაეგება სრულებით. სამწუხაროდ მას არ მისცეს დრო შეეფსო თავისი ცოდნა. მოვიდა მწონავი.

წაეთრით აქედან!

— ხომ თვითონ თქვენა მთხოვდით აქ შემოსვლას,—მშვიდით უთხრა ბოლმა-ქურნალი „ნათობა“ № 11—12 (19—20).

— ეხლა კი მე მოვითხოვ, რომ თქვენ აქედან გახვიდეთ.

თხოვნით ნოსულმა ჩინელმა ისევ დაიკავა თავისი ადგილი მანდარინის სასახლის კართან.

§ 13.

როდესაც გაისმა საღამოს საყვირის ხმა, მივე სიკორია მაშინვე გაეშურა ხოლისაკენ უკანასკნელი ამბების გასაგებად. მივე ზეიმობდა; მასთან გამოცხადდა კიდევ რამდენიმე მუშა, რომლებმაც გამოსთქვეს მოძრაობაში მონაწილეობის მიღების სურვილი.

მობუცმა არ იცოდა რისთვის მიეწერა ეს გამარჯვება, თავისი პროვანდისტული ნიჭისათვის თუ თავისი თანაშემწის, საუცხოო ახალგაზრდა ამერიკელისათვის, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ის დიდად იმეობდა გამარჯვებით. მან გადასცა ხოლს პატარა ბარათი, რომელიც მას ვიღამაც ჩაუქუშა ხელში.

ხილმა იცნო ტომ ოლსონის ხელი. ორგანიზატორი აუწყებდა მას ბარათში, რომ ყველგან მალარობებში სულ სასწორის კონტროლიორზე ლაპარაკი, და ამიტომ, რაც არ უნდა ჰქონდეს იმ ვაგებატონებში, ის სთელიდა ამას, პროვანდისტ თვალსაზრისით, დიდ წარმატებად. დასასრულ ის ურჩევდა ხოლს არ მოეშორებია ლამით რამდენიმე კაცი მუშა, რომ მოწყვეტი ჰყოლოდა იმ შემთხვევისათვის, თუ კომპინია „რაიმე გეგმა განიზრახავდა“. „ფრთხილად იყავით ახალ ხალხთან, მათ შორის ვინე უეჭველად ჯაშუში აღმოჩნდება“.

ხოლი და მივე ერთად მსჯელობდნენ იმ საკითხზე, თუ სად უნდა გაეტარებიათ მათ ეს ღამე. არცერთ მათგანს სურვილი არა ჰქონდა ღამე ისევ გარეთ გაეთია—სლოვაკს მისი ბებერი ძელების ვამო, ხოლს კი, იმიტომ, რომ, როგორც თვითონ შენიშნა, მას რამდენიმე ჯაშუში ადევნებდა თვალს. ის მოელაპარაკა რემინციკის ზოგიერთ მდგმურებს, რომლებმაც აღუთქვეს მას დახმარება; ხოლმა აქითბათ, მხად არიან ისინი, რომ მისთან ედსტრობის ქობში გაათიონ ღამე, თუ არა.

ისინიც, მოხიბლულები მისი ნდობით, დასთანხმდნენ. ყოველმა მათგანმა აიღო თავისი საბანი, და პატარა რაზმი გაემართა დანიშნულ ადგილისაკენ.

ხოლმა აანთოლამუა, მოაწყო სახელდახელო მიტინგი თემაზე კონტროლიორის შესახებ და, სხვათა შორის, გართობის მიზნით ჯაშუშების ქერას შეუდგა.

ერთი ახლად მოსულთაგანი პოლონელი იყო, სახელად ვოაკოვსკი,—როცა ასეთი სახელი გაიგონა ხოლმა, რომელიც ერთხელ უკვე წამორბიკდა ზამეროვსკიზე, საბოლოოდ დაჰკარგა პოლონური გვარების ოდესმე გამოთქმის იმედი. „ეოა“ იყო ტანმოჩილი, სერიოზული შეხედულობის კაცი, ნაღვლიანი, დაქანცული სახით. მან სთქვა, რომ ის მოვიდა აქ, ვინაიდან იმას მობეზრდა ამდენი თავის გაქურდვინება, ამიტომ ის სიამოვნებით მხად არის შემოიტანოს თავისი წილი კონტროლიორისათვის. დაე გააგდონ იგი სამსახურიდან, სულ ერთია მისთვის, ბოლოს და ბოლოს, წყალმა და მეწყერმა ზიდოს ეს კომპანია. ამის შემდეგ ის გამოეხვია საბანში, გაიშალა იატაკზე და ამოუშვა მალე ხმა-მალალი ბერინვა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სრულებით არ შეესაბამებოდა წარმოდგენას ჯაშუშზე.

შეორე იყო იტალიელი, სახელად ფორენცა. მის ჰქონდა მეტი წარბები და ძალიან მრისხანე ვარეგნობა, რომელიც მეტისმეტად შეეფერებოდა ბოროტი ადამიანის როლს რომელიმე მელოდრამაში. ის იჯდა კედელზე ზურგით მიყრდნობილი და ცდილობდა რაღაც აეხსნა. მისი ინგლისური ენა მეტად ძნელი გასაგები იყო, მაგრამ დიდი ჯაფის შემდეგ ბოლოს გამოირკვა რიგობა იქნა, თუ რაში იყო საქმე. თურმე ის შეყვარებული იყო ვიღაც „fanciulla“¹⁾, მაგრამ „fanciulla“ მხოლოდ აბულებდა მას. და აი ეხლა ეს დარწმუნდა, რომ ის თავცალიერი კოკეტა ღირსი არა ყოფილა სიყვარულის. ეხლა მისთვის სულ ერთია ვაივადებენ მას სამსახურიდან თუ არა. „მე დავანებე თავი „fanciulla“-სათვის ბრძოლას, ეხლა მე ვიბრძვი კონტროლიორისათვის“—წაიბურღლუნა მან დასასრულად.

მესამე „ვოლონტიორი“ ბერძენი იყო, ენა გრძელი ახალგაზდა, რომელიც სადილობის დროს გვერდით მოუჯდა ხოლს მიმღებ ჰუნქტთან; მისი გვარი იყო აპოსტოლიკოსი. მან მიიყარა ხოლს კითხვები, განაცხადა, რომ მას ძლიერ ეინტერესება საკითხი კონტროლიორის შესახებ. მას უნდოდა გაეგო დაწვრილებით მთელი გეგმა, არის თუ არა გამარჯვების იმედი, ვინ გამოიწვია მოძრაობა და ვინ იღებს მასში მონაწილეობას, ხოლი ყოველივე ამაზე უპასუხებდა მოკლე დარიგებებით იმის შესახებ, რომ ატყილებულია მუშებისათვის სოლიდარობა ერთმანეთში.

ყოველთვის, როგორც კი მიადგებოდა ხოლს ბერძენი თავის კითხვებით, ის უხსნიდა მას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მუშებისათვის დასახული მიზნის მიღწევას, და რომ ამისათვის მათ მტკიცე კავშირი უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან და მზად უნდა იყვნენ გასწირონ ყველაფერი საერთო საქმისათვის. მას შემდეგ რაც ხოლმა მთელი ნახევარი საათი ვაიყრუა აპოსტოლიკოსი ათასნაირ განაყენებულ თეორიებზე ლაპარაკით, მან გაანება ბოლოს თავი მას და მიკე სიკორიასთან გადავიდა. ხოლმა თვალი ჩაუკრა მიკეს, და ისიც მაშინავე შეუდგა მხოლოდ და მხოლოდ ჯამუშების შესახებ ლაპარაკს და საშინელი სურათების დახატვას, თუ პატიოსანი მუშები როგორ გაუსწორებენ მათ ანგარიშს. დასასრულ თავისი უშედეგო თავდასხმებით საბოლოოდ დაქანცული ბერძენი დაწვა დასაძინებლად იატაკზე. ხოლი მივიდა ბებერი მიკესთან და წასჩურჩულა მას, რომ „იჟდა“ ყველაზე უფრო შესაფერი სახელი იქნებოდა ბერძენისათვის.

§ 14.

ბებერმა მიკემ მალე დაიძინა. რაც შეეხებოდა ხოლს, მან მოასწროა საკნაოდ დაესვენა ამ დღეების განმავლობაში, რომლებიც მან თითქმის უწრომლად გაატარა, გარდა ამისა მის დაძინებას უშლიდენ ფიქრები. ის იწვია ჩემად და აბლოგებით ორი საათი და უკლებ შენიშნა, რომ ვიღაც გაინძრა. მან ოდნავ გაახილა თვალი და პატარა ლამფის შუქზე დაინახა, რომ რომელიღაც მძინარეთაგანი წამოიწია ზეზე. ჯერ ხოლმა ვერ გაარკვია თუ ვინ იყო იგი, შემდეგ კი იცნო, რომ ეს ბერძენი იყო. ხოლი იწვია გაუნძრევლად. რამდენიმე ხნის შემდეგ მან გადასწყვიტა შეეხედნა ისევ და დაინახა, რომ ხელებით იატაკზე დაყრდნობილი ბერძენი რაღაცას უგდებს ყურს. თვალის ქუთუთოების ოდნავი გახს-

1) fanciulla არის იტალიურად ქალიშვილი.

ნით ის აცვირდებოდა, თუ როგორ წამოდგა ბერძენი, ფრთხილად ფეხის ცერებზე შემდგარმა როგორ გადააბიჯა მძინარით და მიუახლოვდა მას.

ბოლი ცდილობდა რაც შეიძლებოდა თანაბრად ესუნთქა, ვითომც და სძინავს. ეს ძალიან საბიჯათო იყო, ვინაიდან ბერძენი დაიხარა მასზე და ადვილად შეეძლო დანა ჩაეკრა მისთვის. მაგრამ საჭირო იყო რისკზე წასვლა.

გაეიდა რამდენიმე ხანი, რომელიც ხოლს საუკუნედ მოეჩვენა, და მან იკრძნო, თუ როგორ სინჯავს ბერძენი მას თავისი თითებით და როგორ უახლოვდება გვერდის ჯიბეს.

— მას უნდა ჩეი ვახხრეკა, — იფიქრა ხოლმა და დაუწყო ცდა, თუ როდის შეიძლოდა ბერძენის ხელი მეორე ჯიბემდე. კიდევ გაიარა მთელმა საუკუნემ. ბოლოს, აპოსტოლიკოსის წამოდგა და წაფორთხდა უკან თავის იდგილზე. ერთი წუთის შემდეგ ის უკვე ისევ იატაკზე გაწვედილი იწვა. სახლში სრული სიჩუმე გამეფდა.

ხოლმა ჩუმად გაისინჯა ჯიბე; მისი ხელი რაღაც სივანს წააწყდა; ხოლი მაშინვე მიხვდა, რომ ეს ქალაღის ფულის შეკვრა იყო.

აჰა, — გაიფიქრა მან, — აი თურმე რაშია საქმე! მან გაიცინა გულში. მის თავში უცებ მისმა ბავშვობამ გაიარა — ძველი გაცვეთილი ზანდუკი მშობლიური ქერის თავზე, რომელშიაც მისი მამის ძველი საეკლესიო წიგნები ინახებოდა. ის ნათლად ხედავდა თავის წინ ამ წიგნებს: გაქონილი ყავისფერი ყდები, პრიმიტიული სურათები: „ბედნიერება და მხნეობა“ ჰორაცი ალჯერის, „სიცოცხლე და სიკვდილი“, „გმირული განმზადება“ და კიდევ რამდენიმე ასეთი წარმტაცი სათათური. წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა მასზე მაშინ ამბავმა იმის შესახებ, თუ როგორ მოვიდა ქალაქში უბრალო სოფელელი ბავშვი, შეხვდა იქ ბოროტმოქმედს, რომელმაც ის იყო კასა მოჰარა თავის ბარონს, და როგორ ჩადო ჩუმად ამ ბოროტმოქმედმა კასის გასაღები ჯიბეში უდანაშაულო გმირს. როგორც სჩანდა, საყოველთაო სათბობი მასალის კომპანიის მოხელესაც წაგიტხოლი ჰქონია თავის სიყმაწვილესში ჰორაცი ალჯერის თხზულებები.

ხოლს კარგად ესმოდა, რომ ის რაც შეიძლება მალე უნდა განთავისუფლდეს ამ ფულებისაგან. ჯერ მან იფიქრა უკანვე ჩაედო იგი „იუდასათვის“ ჯიბეში ჩუმად, მაგრამ შემდეგ გადასწყვიტა მათი დამალვა ელსტრომისათვის, რომელსაც მალე ალზად დიდი გაჭირვება მოელოდა.

მან შეიცადა ნახევარი საათი, სანამ ბერძენი დაიძინებდა, შემდეგ ფრთხილად და სრულიად უხმოდ გააყეთა დანით პატარა ორმო იატაკში და ჩამარბა შიგ ფული. მერმე ის გადაფორთხდა სხვა იდგილზე და დაწვა. კიდევ დიდხანს ვერ შესძლო მან დაძინება მოზღვავებული ფიქრების გამო.

§ 15.

დაუცდიან მტრები ვათენებას თუ ესლავე დაესხმიან თავზე? უკანასკნელი უფრო შესაძლებელი იყო მისი აზრით და ამიტომ სრულებითაც არ გააკვირვებია, როდესაც დაახლოვებით, ორი საათის შემდეგ ეილიცამ გარედან კარის ხელი შეაჯანჯგალა. ერი წუთის შემდეგ კარი ხმაურით გაიღო და მასში გამოჩნდა რამდენიმე მხარბევიანი კაცი. დაიწყო ჩოჩქოლი. ზოგი ხმამაღალი ბუზლუნით წამოაცვივდა, ზოგიც გაოცებული, ნახევრად მძინარე იჯდა ისე, რომ არაფერი არ ესმოდა. „აი ის საზიზღარი!“ — დაიყვირა ერთმა მოსულთავანმა.

რომლის ხმაში ხოლმე მაშინვე სამთო ოლქის ინსპექტორი ჯგჯ კოტონი იცნო. „ასწიეთ ხელები! ჰო, ეს თქვენ შეგხებიათ ჯო სმიტ!“ ხოლმე ალარ დაუცადა რევილვერის ტუჩის გაღვლეხას და დაემორჩილა.

ჩამოვარდა სინთუმე, ვინაიდან სპექტაკლის გათამაშება დამსწრეთათვის იყო განზრახული, ამიტომ საჭირო იყო მიეცათ მათთვის დროც რათა მათ საესეებით გამოღვიძებოდათ და შექვისათვის თვალები შეეჩვიათ. ხოლი იღვა იმავე დროს მალა აწედილი ხელებით, ჩირაღდნების შუქზე მას შეეძლო მოსულთა სახეების ვარჩევა. აქ იყვნენ: სამთო ინსპექტორი, ბუდ ედამსი, ალექ სტონი, ჯგჯ პრედლოვიჩი და კიდევ ვიღაც ორი ახ სამი კაცი.

— აბა, ბატონებო,—სთქვა ბოლოს კოტონმა,—ეს ვგონებ თქვენ გინდობდათ, რომ კონტროლიორი გყოლოდათ? ეს კი ის არის, ვინც თქვენ ამ თანამდებობაზე დანიშნეთ, ხომ? მართალია თუ არა?

სინთუმე.

— ეხლავე დაგიმტკიცებთ თუ რა კაცაც არის ეს. დღეს მოვიდა იგი მისტერ სტონთან და წინადადება მისცა მას თქვენი ვაცემის.

— ეს სიცოცხლე,—მშვიდად სთქვა ხოლმე.

— მან მიიღო მისტერ სტონისაგან ამისათვის ფული,—განავრძობდა კოტონი.

— ეს სიცოცხლე, გაიმეორა ხოლმე.

— ფული თანვე აქვს!—დაიყვირა სამთო ინსპექტორმა.

ხოლი მიუბრუნდა მუშებს და დაუყვირა:

— მათ უნდათ ჩემი გაშავება თქვეის წინაშე, ამხანაგებო, არ გაასულელებოთ თავი.

— ჩემად!—დაუყვირა კოტონმა.—მე დაგიმტკიცებთ ამას თქვენ ეხლავე, ფული უშავებლად თან უნდა ჰქონდეს! ჯგჯ, გაჩხრიკეთ იგი.

— ფინხლად ადევნეთ თვალი, ამხანაგებო!—დაიყვირა ხოლმე.—ისინი, ეხლავე ფულს ჩამიდებენ თვითონ ჯიბეში!

ბენური მივე გულმოსული მივარდა. ხოლმე დააშვიდა იგი:

— არაფერია, მივე დაანებეთ თავი!

— გაიხადეთ თქვენი კურტკა, ჯგჯ,—უბრძანა სამთო ინსპექტორმა,—დაიშკლავეთ სახელოები, აჩვენეთ ხელები!

ყოველივე ეს ძალიან ჩამოჰგავდა ჯამბაზის ოინების წარმოდგენას; პატარა ებრაელმა გაიხადა კურტკა, დაიშკლავე იდაყვებამდე სახელოები, უჩვენა ხელები მაყურებლებს, მიტრიალ-მოტრიალდა. შემდეგ ის ნელა გაეშარათა ხოლისაკენ, როგორც ჰიპნოტიზიორი, რომელიც ემზადება დააძინოს თავისი მდიდრები.

— ადევნეთ თვალი,—სთქვა კოტონმა.—მე ვიცი, რომ ფულები მას თანა აქვს.

— ურადლებამ!—დაიყვირა ხოლმე.—ის მე ფულს შემომამარებს!

— ასწიეთ ხელები, ყმაწვილო!—უბრძანა სამთო ინსპექტორმა.—დაიხიეთ ჯესანი!—უყვირა მან მივე სიკორიას და სხვა მაყურებლებს, რომლებიც უფრო ახლოს მივიდნენ და ერთმანეთის მხრების ზემოდან იჭვრიტებოდნენ.

იმ დროს ხოლი სიცოცხლის გუნებაზე როდი იყო, მაგრამ შემდეგში კი მას ყოველთვის ეცინებოდა, როდესაც მოიგონებდა, თუ პრედლოვიჩის კომიკური ფიგურა ხოლის განხრევის დროს როგორ ცდილობდა რაც შეიძლება შორს ყოფილიყო მისგან, რათა ყველას აშკარად დაენახა, რომ ფულს იგი ნამდვილად ხოლის ჯიბიდან ამოიღებდა. მან ჯერ შვინი ჯიბეები გაუსინჯა, შემდეგ პურანგის ჯიბეები; აჩქარება საჭირო არ იყო, რათა მთავარი ეფექტი ბოლოსათვის შეენახა.

— შემოტრიალდით!—უბრძანა კოტონმა. ხოლი დაემორჩილა. პრედლოვიჩი მოსდგა შარვლის ჯიბეების ჩხრეკას. მან ამოიღო იქედან სათითოოდ საათი,



საეარცხელი, პატარა სარკე, ცხვირსახოცი. ყველა ეს ნივთები ასწია ზევით დაათვლიერა და შემდეგ დაყარა იატაკზე. როდესაც მან გახსნა საფულე, გარშემო მყოფ ხალხს მოლოდინისაგან სუნთქვა შეეკრათ. კომპანიის გაუმძღვრობის წყალობით პორტმანში სულ რაპდენიმე შავი ფული აღმოჩნდა. პრედლოვინმა დახურა საფულე და დაავდო ძირს.

— აცოლეთ, ჯერ კიდევ ყველაფერი არ გაუზნრეცია, — იყვირა ცერემონი-მეისტერმა. — სადღაც ზომ უნდა ექნეს უმპველად. გვერდის ჯიბეები დაუთვა-ლიერეთ, ჯეკ?

— ჯერ კიდევ არა, — უპასუხა ჯეკმა.

— კვრავდ ვაუსინჯეთ! — დაიყვირა კოტონმა.

ყველანი წინ წამოიხარენ ცნობისმოყვარეობით. პრედლოვინი დაეშვა მუხლის თავზე და გაუზნრეცია ჯერ ერთი, შემდეგ მეორე ჯიბე. როცა მან ამოიღო ხელი იქედან, მისი სახე ისეთ ვაკეირვებას და იმედის გაცრუებას გამოხატავდა, რომ ხოლმა ძლიერ შეიკავა სიცილი.

— ჯიბეებში არაფერი არა აქვს, — სთქვა მან,

— რაო? — იყვირა კოტონმა, და ერთმანეთს მიჩჩერდენ: — დმერთს გეფი-ცებთი, გაამო სადღაც!

— მე არაფერი ფული არა მაქვს, ამხანაგებო! — სთქვა ხოლმა. — მათ სურათ ჩენი ვასულელება.

— მან გადამალა ის! — ღრიალებდა სამთო ინჟენერი. — მონახეთ ჯეკ!

პრედლოვინი ისევ შეუდგა აჩქარებით ძებნას, ის თრთოდა და ღელავდა. ის იღარ აქცევდა ეხლა ყურადღებას მაყურებლებს, მას მეტად აწუხებდა ფულების დაკარგვა. ხოლი იძულებული შეიქნა გაეხადა ყურჯა. ჯეკმა გაურღვია სარჩუ-ლი, გაუხსნა შარვალი დაუქებნა იქაც, დაუზნრეცია ჩექმები.

მიუხედავად იმდენი ზებნისა ფულები მაინც არ მოინახა. მძებნელები ძა-ლიან გაოცებული იყვნენ და იდგენ ისე, რომ არ იცოდენ რა ექნათ.

— მან მივყიდათ თქვენ მისტერ სტონს ოცდაბუთ დოლარად! — დაჟინე-ბით იმეორებდა სამთო ინსპექტორი. ალბად ვადამალა სადღაც.

— ამხანაგებო! — დაიყვირა ხოლმა, — მათ მომიგზავენეს მე ჯაშუში და უბრძანეს მას, რომ ჩემთვის ფული ჩაედო ჩუხად ჯიბეში.

ამ სიტყვებთან ერთად მან შეხედა აპოსტოლიკოსს, რომელიც შეკრთა და დაიხია უკან რამდენიმე ნაბიჯი.

— ეს არის! აი ჯაშუში! — უყვირა ბებერმა მიკემ. — დაგენაძლეებით რაზე-ღაც გინდათ, რომ ფული კიდევ მასა აქვს! — და ის შეეცადა ნერძენისაკენ გაძრომას. სამთო ინსპექტორმა მოიხაზა, რომ დადგა სპექტაკლის ვათაგების დრო.

— კმარა სისულელი! — მოკლედ სთქვა მან. — წამოათრიეთ აქ!

იმეფ წმას ხოლის ხელები მაგრად ეჭირა ორ კაცს, ხოლო მესამემ კი საყვლოში ჩააელო ხელი, და ვერც კი მოასწრეს მუხებმა გონზე მოსვლა, რომ მსხვერპლი უკვე ქუჩაში გაათრიეს!

შემდეგმა ხუთმეტმა წუთმა ბევრი სიმწარე მოუტანა პრეტენდენტს კონ-ტროლიორის თანამდებობაზე. ბნელ ქუჩაში სამთო ინსპექტორს და ილეც სტონს უკვე, სრული შესაძლებლობა ჰქონდათ თავისუფლება მიეცათ თავისი გაავთ-რებისათვის. ისინი მოსდგენ ლანძღვა-გინებას, რტყმას და ფეხებით თელვას. ერთმა დამკვეთთაგანმა ისე გადღვრიხა ხელი, რომ მან წამოიყვირა ტკივილისა-გან; მაშინ ისინი უფრო მეტის გაანახლებით ეტაკენ მას და უბრძანეს, რომ გაჩუმებულიყო.

შემდეგ მათ სწრაფად, აუბმაურებლად წაათრიეს იგი ბნელი და ჩუმი ქუჩით სამთო ინსპექტორის კონტორაში და იქედან იმ შენობაში, რომელაც ნორტ-ვალ-ში სატუსალოთ იყო გამოყენებული. ხოლს გულწრფელად გაეხარდა, როდესაც ის ბოლოს მარტო დასტოვეს და მძიმე ოკიასის კარი მაგრამ მიიხურა იმის უკან.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

კრიტიკა, მხატვრობა
== და მემუარები ==

დიმიტრი ჟაჟგევის და ალექსანდრე ჟაჟგევის გიორგის ბრძოლის გასაღები.

ნაწილი მეორე

თავი მესამე

გაგრძელება*)

ამ საკვირველს დროს, როდესაც სანდრო თავის გამარჯვებას დღესასწაულობდა და დიდი ზეიმი ჰქონდა, მე და ვანია შადური პატარა ღარიბათ მოწყობილს სადგომში დედა-შვილურათ ტკბილათა ვსცხოვრობდით, ვფუსფუსებდით: ის თავის გაკვეთილების მზადებაში იყო გართული, მე კი საზრდოს შოვნის ზრუნვაში. რაც ხანი ვადიდოდა, ცხოვრება მიჭირდებოდა: ჩემი დღიური მუშაობის საფასური ვერ ვგაქმავდივარ, უკანასკნელი ჟონებრივი წყაროები შრებოდნენ. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ გაკვირება მაშინ გამიორკეტდა, როდესაც ვანია შადური მუცლის—სახადით ავით გამიხდა. საჭიროთ არა ვრაცხავ, რომ მკითხველს დრო დაეკარგვინო იმის მოთხრობით, თუ ჩემთვის რა გვარ შესაწუხებელი ხმა იყო, როდესაც ექიმმა იმის ავთმყოფობა დაასახელა... მუცლის ტიფის მოვლა საყოველთაოთ—შემავიწროებელია: აზიზის-დიეტის დაცვის სისუფთავე, როგორც ეჭირება ამისთანა სენით დაავადებულს და კიდევ სხვა და სხვა წერილმანების ასრულება—საზოგადოთ ყველასათვის ძნელია და ნამეტნავათ ღარიბი პატრონისთვის. გაკვირებაში ჩავარდი! მე ვგრძობდი იმას, რასაც შეილისადმი ვგრძობს ღარიბი, მაგრამ მოსიყვარულე დედა, ჯაფა არ მწუხებდა, მოვლა არ მეზარებოდა, ჩემი ფიჭრი მხოლოთ იქით იყო მიმართული, რომ ავთმყოფი უკეთ მომეყო და იმისთვის არაფერი დამეკლო. ექიმმაც და ნაცნობებმაც მიჩიეს, რომ საავთმყოფოში დამეწვინა, რადგანაც როგორც გადამდები ავთმყოფობა, ისე ხანგრძლივი და ძნელი მოსახლეობა. მოვლის და ავთმყოფის შინ შენახვის სიძნელე მეც კარგათ მესმოდა, მაგრამ მაინც გულმტკივნეულათ ვანებზარებ არ მომეშორებინა, თვალწინა მყოლიყო და მე თითონვე მომეგლო. ამ გვარი ავთმყოფის მუდმივი დარაჯობა აუცილებელი საჭიროება იყო... მე ფული არა მქონდა სხვა მომვლელი მეჭირავნა... დედობრივის ზრუნვით ვადმოვიყვანე ჩემს საკუთარს ოთახში, ჩემს საგებელის გვერდით დაედგი იმისი კრაოტი და მე თითონვე დაუდგე დარაჯად.

*) იხ. „მთაბი“ № 10 (18)



მე ეს წესბუნება იმიტომ არ მომეყავს, რომ დავიკვივებო: მიყურეთ რა კარგი დედაკაცი ვარ მეოქი!.. არა! მე ისრე მოვიქნე, როგორც ჩემს გარემოებაში მყოფი უმეტესობა მოიქცეოდა, ისრე აქვსარულე ჩემი მოვალეობა, როგორც უმეტესი თქვენგანი ასარულეობდა. თუ მკითხველს ამ გვარი აზრი თავში გაურბენს და კვებნაში ჩამომართმევს, მაშინ მოწყალეობითა ვთხოვ, ცოტა შეფერხდეს, მადროვოს, წინასწარ ამ გვარს დასკვნას ნუ შოახდენს, რადგანაც ჯერ ვერ მიხვდება თუ ვისთვის და რისთვის არის საჭირო ვისზე ვამცნო, თუ ვინაა შადური როგორ მიყვარდა და რა რიგი კავშირი იყო ჩვენში?.. მე მკითხველს შხოლოთ ამასა ვსთხოვ, რომ არ დაივიწყოს: ჩემი და ჩემი პატარა მეგობრის ვანია შადურის დედა-შვილური კავშირი. როცა ამ ჩემს მწარე მოთხოვნას ბოლომდენ წაიკითხავს, მაშინ კი, რაღა თქმა უნდა, თავისი მკვიდრი და მოუდგომელი აზრი უნდა წარმოსთქვას.

ვანია ამ დროს იყო 14—15 წლის ბიჭი, მაგრამ მე იმისი მოვლა და უფრდგულესი მოსამსახურის მოვალეობის ასრულება არ მეროთირებოდა... დღე და ღამე სიციხიანს ავათმყოფს თავს ვადღე და ყველა სამსახურს, რასაც კი გარემოება მოითხოვდა—დაუზარებლათ ვასრულებდი; არცა მცხვენოდა და არც შეთაკილებოდა იმის კრაოტთან მუშაობა. ყველას მოყვებნება, რომ ამგვარს ავათმყოფს აზიზი საზრდო უნდა და იმის მოპოვების ფული მე არა მქონდა, მაგრამ ეშოულობდი...

ჩემს ჯიფის კარგი შედეგი მოპყვა: ვანია მომჯობინდა, და ცოტა ხნის განმავლობაში სრულეობით კარგათ შეიქმნა: თავის სკოლას და მეცადინეობას დაუბრუნდა.

რამდენსამე თვის შემდეგ, ჩემი თფილისში დარჩენა შეუძლებელი გახდა: ახალციხის მახრის ბებიათ დანნიშნეს და იქ უნდა წავსულიყავ. მე მიედიოდი, მაგრამ ვანია... ის გახდა ჩემი ზრუნვის საგანი: თან წამეყვანა? რისთვის უნდა მომეცლინა სწავლას? თბილისში დამეგდო... ვისთან და რა საშუალებით?! დირექტორმა აღმიბთქვა სტეპენდის დანიშვნა, რადგანაც დიდის ქებით შეამყო იმისი ნიჭი. გასაჭირი რამდენიმე თვე იყო, მაგრამ ღარიბის ფეფეში წელიწადს უდრის.

ჩემი მდგომარეობა სანდრომ ზედმიწევნით იცოდა; ვანიას პატრონობა იმან იკისრა:

— ქალო, რასა სწუხარ ვანიასთვის, ჩემთან დაავდე, მე არ შემავიწროვებს და სახარჯო ფული იმდენი აღარ დასკირდება.

დავსთანმდი, თუმცა არ მიამა, რადგანაც სანდროს უთავბოლო ცხოვრება ვიცოდი. რაც გროშები ჯიბეში მიქყოდა, ძმურათ გაეიყავით, შენდგეშიც შეტლებისა და გვარად დავპირდი შემწეობას. ესთხოვე რომ წერილები ხშირათ მოეწერა, თავის ანბები დაწერილებით შეატყობინებინა. ვაგზლამდინ გამომაცილა და მეგობრულათ, დედა შვილურათ გაეშორდით ერთმანერთს.

პირველ ხანებში ვანიას წერილები ხშირათ მომდიოდა, რომლებიც ასე იწყებოდა: საყვარელო დედავ ღიზავ! მეც პასუსს იმავე კილოთი ესწერი და ამ გვარათ უაღერსებდით ერთმანერთს!

ცოტა ხნის შემდეგ ერთი მასწავლებელი მეთარველ ანგელოზათ გამოუჩნდა ვანიას: მწერდა ჩემთან გადმოვიყვანე და დიდის ქებით ამკობდა. ვანიას დირექტორმაც დამამშვიდებელი ანბები მომწერა: „შადური სწავლაში მუყათია, ნიკით და ზნეობით სამაგალითო, ისე უჭირავს თავი როგორც განათლებულს ხტუდენტსაო. ვანიასზე წარმოთქმული აზრები მახარებდნენ და ვამაყობდი კიდევ, რომ ამისთანა კარგი შეილოზილი მყავს. იმისაგან მოწერილს წერილებს სხვებსაც ვაკითხებდი, თავი მომწონდა და იმის მომავალზე დიდი იმედები მქონდა, რადგანაც დირექტორმა სთქვა: „შადური ისე კარგათა სწავლობს, რომ როგორც საუკეთესო მოწიფეს სახელმწიფო ხარჯზე, ვეცდები, პეტერბურგში გაეისტუმროვო“. ეს სასიამოვნო ანბავი იმის მამას ალოშკასაც შევატყობინე.

მე ახალციხეში ბინა მოვიკიდე, მაგრამ ჩემი სამშობლო სტეფანწმინდა მუდამ მელანდებოდა და იქაურ ხალხთან კავშირი არ შემიწყვეტია. მე და ალოშკა შადურს მიწერ-მოწერა გვექონდა; ის თავის მეგობრობას და ძმობას არ ზაკლებდა, თუმცა რა მადლი მქონდა ამისთანა მიწერ-მოწერას, როდესაც ალოშკამ თითონ წერა-კითხვა არ იცოდა და მუდამ შესამე პირი გვეჩხირა შუაში, მამასადამე გულახდილი ურთიერთშორის საუბარი შეუძლებელი იყო. ამ მდგომარეობაში მყოფნი, რაღა თქმა უნდა, რომ საიდუმლო საქმეებზე ჩვენ გულნადებს და გულის მოძრაობას ერთმანეთს ვერ ვარდავსცემდით, იძულებული ვიყავით მხოლოდ მოკითხვის წიგნები გვეგზავნა ერთმანეთისთვის და ხანდახან იგავებით გავიხსენებდით ხოლმე ჩვენს საიდუმლო საქმეს. საწყალი, ჩემი ხტუდენტი ალოშკა! გამომიგზავნიდა ხოლმე სოფლის ძღვენს და მომწერდა: „მე თითო მტკივა, კალამი ხელში ვერ ამიღია და ამიტომ ჩემი ხელით ვერა ვწერ რილსა. ხომ იცი, სხვის ხეწნა მეჯავრება! ძრიელ ჯავრი მომდის; ბევრი რამა მაქვს მოსაწერი და სხვისი პირით ვერ ვარდმოძიკია“. მწყუროდა ალოშკას ნახვა! ჩემი ხელობა იმისთანა იყო, რომ სულ მუდამ ტყვე ვიყავ ჩემის მოვალეობისა. ალოშკას ვიბარებდი, ისიცა მპირდებოდა მოსვლას, მაგრამ სოფლური მუშაობა ხელს უშლიდა: შემოდგომის ვერ მოახერხებდა, ზამთრისთვის დამპირდებოდა მოსვლას, ზამთარში გაზაფხულისთვის ვადასდებდა, გაზაფხულს ზაფხულისთვის და ისევ და ისევ შეიორდებოდა იმისი დაპირება. სოფლის საქმეები: ხენა-თესვა, სამკალ-სათიბი და სხ. და სხ. სოფლის საქმეები, ჩვენის ერთმანეთის ნახვის სურვილს შეუძლებლათა ხდიდა. ღმერთმა არ ინება, და ჩვენი ერთმანეთის ნახვის სურვილი — არ განაბორციელა....

ახალციხეს მოვაწყე ჩემის შრომით პატარა კუთხე და დავიწყე ცხოვრება მყუდროთ, როგორც ზემოთ აღვნიშნე: ალოშკას ოჯახობა ძალიან მწამდა და მიყვარდა; იმასთან მეგულებოდა კიდევ ერთი პატარა ბიჭი ლევანა, ვიფიქრე იმისი წამოყვანა. ვანიას ჯავრს მოვრჩით და ეხლა ლევანა განვიზრახე წამომიყვანა და ახალციხის სამოქალაქო სასწავლებელში მიმებარებინა. სოფელს გლეხებს ყოველთვის უჭირდებოდათ შეილების სასწავლებელში მიცემა და ვაზრდა. მინდოდა ჩემს მეგობარს ალოშკას მიეშველებიყავ შეილების ვახლაში. ალოშკას მივსწერე ჩემი აზრი, იმან სიხარულით მიიღო: „დასაკლავად არ დაგიქერ შეილსა და შენ ხომ აღსაზრდელათა მთხოვ“ ზრდილობით და გულკეთილობით აღ-



საესე წერილი მომივიდა, რომლის შემდეგაც 10-12 წლის ლევანა პატარა ხურჯინ აკიდებული მესტუმრა. დაუყოვნებლათ შეუდეგ იმის მოწყობას: მივაბარე სამოქალაქო სკოლაში, ჩემს სადგომში ბინა მოუწყვე და შეუდეგით ახალ ცხოვრებას. მასწავლებლებმა ჩქარა მიატყიეს ლევანას ყურადღება და რაც ზემოთ ვანიახე ვსთქვი იგივე აზრი წარმოსთქვეს ლევანაზე. მართლა რომ შესანიშნავი ბავშვი იყო!

რადგანაც მასწავლებლებისაგან დიდი ქება-დიდება მესმოდა ლევანას შესახებ და მე თითონაც ძრიელ შემოიყვარდა ამის გამო გარდაესწყვიტე, რომ უკანასკნელი ღონისძიება ვიხმარო და იმისი სწავლა განათლება ბოლომდე მივიყვანო. ალოშკასა ვწერიდი ჩემს ალტაცებას და განზრახვას ლევანას შესახებ და ვემუქრებოდი, რომ **შვილხ ალარ დაგანებებ**. საწყალს ალოშკას უხაროდა შვილის სიკეთე. გვიპრდებოდა მოსვლას და ჩვენ შორის სიაზოვნებით დროს ვატარებამს. რუსული ანდაზაა: „აღამიანი განიზრახავსო და ღმერთი კი გარდაიზრახავსო“—ჩვენც ასე მოგვივიდა.

ბანი და დრო მიდიოდა, წელიწადი წელიწადს მიერკეებოდა... დღიური ცხოვრება და ანგარიშები დროსა სქამდნენ, წარსული შთაბეჭდილებები თანდათანობით უფრო და უფრო ჰქრებოდნენ, ვანია შეადურმა შეასრულა სწავლა და როგორც დრო გადიოდა იმისი ანბავი მიძვირდებოდა. რას აპირებდა შემდეგში? რა სწავლა ალარა ვიცოდი რა....

1888 წ. მაისი ილეოდა და ჩემი ლევანა ეგზამენებისთვის ემზადებოდა. თუმცა მე სრული იმედი მქონდა, რომ გამოცდის დროს გაიმარჯვებდა, მაგრამ თითონ ბავშს კი მღელვარება ეტყობოდა, და მუშაობას უნატებდა. ლევანას ეგზამენებამდე კიდევ რამოდენიმე დღე ჰქონდა დარჩენილი, როდესაც ჩემი მოსამსახურე გოგო გახარებული შემოვარდა, ჩემს ოთახში და მახარა: „ვანია მოვიდა!“

მე წამოვიჭერ, გავარდი ეზოში, ისე ალტაცებით მოგვხევე, როგორც დიდი ხნის უნახავს დედას შეჭფერის თავის შვილის მისალმება.

საკვირველი იყო! პირველსავე სიხარულის წუთებში მე რაღაცა გამოუთქმელი უსიამოვნოება ვაგრძენი: თითქოს რაღაცა უსულ-უგულო, ყინულისაგან გამოქანდაკებული ქმნილება მივიკარ გულზე.... უსიამოვნო სიცივე ვიგრძენ და გამატიროლა... რასაკვირვლია, ეს გრძნობა უანგარიშო იყო და უაზროც, ელვასავით გამკრა. მე მოვიწორე ეს დაუპატოებელი გრძნობა და შევეცადე სიამოვნებას მივეკმოდი.... ვეხვევოდი, უაღერსებდი, ვაჭმედი, ვათბობდი მშობლურის აღერსით და არას ვზოგავდი მისთვის, რომ დამემტკიცებინა და გამეახლებინა ჩემი დედა-შვილური სიყვარული.

ვანიას შევეუბრებდი, თვალები ხედავდნენ, მაგრამ გული ვერა სცნობდა!....

ჩემს წინ იდგა, გამზდარი, ახალ ულვაშზე აშლილი ყმაწვილი კაცი, რომელსაც სახის გამოპეტყელება ყმაწვილური არა ჰქონდა... ნაცრის ფერი ჩოხით, მიწის ფერი სახით. საიქიოდან მოსულსა ჰგვანდა!..

ტკვი არა მქონდა, რომ ვანია ჩემს სანახავათ მოვიდა და ჩემი სიამაყე სიამოვნებას იწვევდა: ჩემმა გაზრდილმა, გამდელი მომიგონა მეთქი! მაგრამ... ჩემდა სამწუხაროდ, იმისი ქცევა არ ეთანხმებოდა ჩემს ფიქრებს: არც ერთი თბილი

და ტყბილი სიტყვა არ წარმოუთქვამს, არც ალერსით შემოუხედნია ჩემთვის, პირიქით მეფურობებოდა, თითქოს მიწურებოდა რამეს—ისე იქცეოდა. საკვირველი იყო! იმისი წინაშე ჩემს თავს დამნაშავედ არა ვგრძნობდი, სიყვარულისა და კეთილი ზრუნვის მეტი, იმის წინაშე არა მიმიძლოდა რა და ამგვარი ჩვენი შეყრა—მაუიქრებდა. მთლათ ჩემი მესზიერება მოვიკრიფე, გადავაქოთე, ვარდი-ეჩხრიკე წარსული, მინდა მივხდარვიყავე: რამ გამოიწვია ვანისა ჩემდამი უკმაყოფილება?... ვერა მოვიგონე რა, ვერ მივხვდი!... ყველა ვარემოების აწონ-დაწონის შემდეგ, ძალდატანებით ჩემი თავი თითქმის დავარწმუნე: რომ ვანია ალბათ, იმისთანა გამოუთქმელი ხასიათისა დადგა, სცხეენიან, ვერ ახერხებს სიყვარულის და პატივის ცემის გამოთქმას სიტყვით, თორემ რამ აიძულა ჩემთან მოსვლა, თუ არ ჩემის ნახვის სურვილია? ამითი ხომ საქმით დამიმტკიცა ჩემი პატივისცემა. იქნება გულჩვილობა დიაცობათ მიაჩნია? იქნება შეკრთა, გადაეჩვია ალერსს? იქნება დალაღულია და უფერულათ იმიტომ. მეჩვენებდა?.. ამისთანა კითხვებით ჩემს თავს, მე თითონვე ვამშვიდებდი და ვანიას ყურადღებას უთასებდი. ვაკვირდებოდი და იმას ჩემი ყურადღება და ალერსი არაერთ მიაჩნდა იონუნზიაც არ მოსდიოდა. ისე იქცეოდა თითქოს სხვა რაღაზედაც ფიქრობდა გარინდულივით იყო.

დიდება შენთვის ღმერთო—ფეტიქობდი მე—ეს ბიჭი ასე რამ შესცვალა? რა მოუვიდა, რომ ასე შეიცვალა?.. იმისი მოციინარი თვალები რათ გამოიყურებიან საიდუმლოებით მოცულს უდაბნოთ? იმისი ღია შუბლი რამ დაღვრიმა, რამ დაბარა—დააქნო? ჯერ რომ ჯეელი ბიჭია, რა ვარემოებამ შემესრა იმის ყმაწვილობის ჯილა? დიდება შენთვის ღმერთო; რათ გამოიყურება ასე პირქუშათ? რა აწუხებს?

და კიდევ მრავალი სხვა და სხვა კითხვები მოსვენებას იღარ მაძლევდნენ. ვანია ჩემთან დარჩა 2 დღე და სულ ამფერად და ამისთანა გუნებაზე მეჩვენებოდა, ვერც დასვენებამ დაამშვიდა იმისი ნერვები, ვერც ალერსმა დააბოო იმისი გული.

კვიდილობდი ვამომეწვია სალაპარაკოთ: კვითხავდი როგორ აპირებს თავის ცხოვრების მოწყობას? პირდაპირ პასუხს არ მაძლევდა, შინაურობის ანბავსა კვითხავდი, ვერაფერი გამავებინა. მე არ უსვენებდი: უანზე ლევანს კარგათ სწავლა, იმისი ოსტატების აზრი იმაზე, მაგრამ იმის დაღვრემილს სახეზე სიამონება ვერ ამოვიკითხე. ესეც ვერ გავიგე: დიდის ხნით იყო ჩემთან მოსული? რათ მოვიდა? როდის აპირებს წასვლას? საიდან მოვიდა: სტეფანწმინდიდან თუ თბილისიდან?... ერთის სიტყვით ვიფანტებოდი, ვამოცინად ვამბდომიყო ამ ყმაწვილის ქცევა...

ჩემი ოთახის გამოსავალი კარები ეზოსკენ გამოდიოდა 3-4 საფეხურის კიბით, ჩემის სამზარეულოს პირდაპირ. სადილს უან გამოვედი ბალკონზე და სწორეთ იმ კიბეზე ჩამოვსჯექი; ეზოში ჩვენის მეტი არავინ იდგა და მაშასადამე მარტონი ვიყავით. მე სრულიად დამშვიდებულის კილოთი, კიდევ შავეცადე ვანიასთან გამოლაპარაკებას.

ვანია თავს მაღვა. ისევ ისეთი ნაცრის ფერი ედო. თვაპირზე აღმური



ქართული
ბიბლიოთეკა

აზდიოდა; უფერული შალის ჩოხა ეცვა, ღვედის სარტყელი შემორტყმული, რომელზედაც ეკიდა უშველებელი შავ-ქარქაშიანი პტყელი ხანჯალი. რაღაც უფერული ტყავის პატარა ქუდი ჩამოეფხატა შუბლზე და დედამიწას დაჰყურებდა. მე გულმოდგინეთ ძირიდან ზევით შეეყურებდი, რადგანაც კიბეზე ვიყავ ჩამომჯდარი. ვუყურებდი და ვგრძნობდი, რომ უწინდელი ჩემი საყვარელი ვანია აღარ იყო და მამასადამე ძველებურს დედა-შვილურის კილოთი დაპარაკს ალაგო აღარა ჰქონდა. ვაიმე... თავს მადგა სასტიკი ჯალათი, რომელიც ხელების პრანჭვით ხანჯლის ქარქაშზე თითებს აფაჟურებდა... დედამიწაზე თითქოს ვეღარ ვაჩერებულეო — ტოკავდა, როგორც ცეცხლის-მფრტვევი მთა. ვიგრძენ, რომ ჯოჯოხეთის აღს უნდა ამოეხეთქნა... გამტერებული შევეურებდი, ვინება ვერ მომეკრიათა: რა მოზდიოდა ამ ახალგაზდა 20-ს წ. ყმაწვილ კაცს? რა აღელვებდა? ისეთი სანახაობა ჰქონდა, თითქოს გაათურებულის ზღვის-ტალოასავით, მოპირდაპირე უნდა წაეღვია... დათავს როცა დასჭრიან მაშინ ღამობს მტრის დაძლევას, ბრჭყალეობით ვაფათერას... მაგრამ ამ პირქუშს ბიჭს, რომ ირავინ ერჩოდა მაშ იმისი შეხედვა ადამიანს ჯოჯოხეთს რათ აგრძნობინებდა?..

მინდოდა მეთქვა რამე, ვეღარ ვახერხებდი. ძნელი მისახვედრი იყო: რა ზედ და როგორ დავწყო ადამიანს დაპარაკი, რომ იმის მრისხანების მსხერპლი არ გამხდარიყო. ეს შესაზარი წამი რითიმე უნდა დამთავრებულეო. ვიგრძენ გაჭირვება და ამასთან საჭიროება, რომ ჩქარა ბოლო მომეღო ამისთანა მდგომარეობისთვის.

— მადლობა დამერის, რომ სტეფანწმინდას ყველანი კარგათ არიან—დავიწყე მე.

— რა კარგათ არიან?! როგორ არიან?! დავწყო მრისხანეთ ბოღვა ვანიამ. ვაიმე, ხომ არ გაგიყვდა? ვიფიქრე მე და სმენათ გარდავიტყეო. ის ბოღავდა, ლობე-ყორეს აწყდებოდა. ვის უჯავრდებოდა? რას ანობოდა? რომ მომკლათ მაინც ვერ გეტყვი: დაპარაკის და წყრომის აზრს მაინც ვერ მივხვდი, ვიფიქრე: შეიშალა მეთქი..

როდესაც ძალზე ტოყვას მოჰყვა და ხანჯლის ქარქაშზე ხელების ფათურს, მაშინ შევერთი, ვიგრძენ საჭიროება რომ ჩქარა მოეშორებიყავ, საფათერაკოთ ატეხილ მღელეარე ადამიანს. გაქცევა იმისაგან უხერხულად მიმიანდა, რადგან ვამამეკიდებოდა და ვითომც, არც ვეკადრე. ნელა წამოდგომა ვარჩიე, პატარა ხანს კიდეც ვაჩერდი და წყნარის სიარულით შევიარე კარი. ხანდახან ადამიანი სინამდვილით იმას გრძნობს, რისაც გამოთქმის საბუთი არა აქვს: ის თითქოს ბურანში იყო, სარწმუნო ვარ, რომ ღამობდა ჩემს გამოკიდებას მაგრამ იმისი მხეცური სურვილი ავლავმე, ჩემის მშვიდათ ადგომით და მსწრაფლად მოშორებით.

მე ეხლა ყოვლად დარწმუნებული ვარ ჩემს მიხვედრის სინამდვილეზე და ვიმედოვნებ, რომ თქვენც დამეთანხმებით, როდესაც ბოლომდენ მომისმენთ.

შინ შევედი გაკვირებული, შეწუხებული, შეშინებული!.. მივედი ქონისაკენ გაღებულს ფანჯარასთან და დალონებული მიეცეუდე: ვფიქრობდი ამ უცნაურის ვარემოების გამომწვეველ ფაქტებზე.. და იმათ შედეგებზე.

ჩემმა პატარა მოსამსახურე ვოგომ სამზარეულოში თურმე ჩაირბინა რა-
ღაც საკმისთვის და მუისვე დაბრუნებული შემოიჭრა ჩემთან: „ლევანა ბარგს
ალაგებს, ვანიას მიჰყავს!“

მე გაშმაგებული ისევ ბალკონისაკენ ვავეშურე, სამზარეულოს კარები ღია
იყო და ბალკონიდან ხმა სწვდებოდა. ველავიდი, მაგრამ რაც შემეძლო თავს
ვიკავებდი...

— ლევანა! შენ ბარგს რომ ალაგებ, სად მიდიხარ?!

— მე მიმყავს!—გაცოცხლეთ შემომძახა ვანიამ და კარებში წინ გადმოდგა.
მე გაჯავრებამ თავი დამაიწყვა და უპასუხე:

— შენ მაგასთან საქმე არა გაქვს! მაგას ეხლა ვგზამენები აქვს და ვერ-
სად წავა. ეგ ბაწვი თავისმა მამამ მე ჩამაბარა და მოვალე ვარ ისევ იმას ჩა-
ვაბარო როცა საჭიროება მოითხოვს. ჩემს უნებურათ მაგას ვერ წაიყვან და
თუ გაზედვ წაყვანა, სარწმუნო ვარ, მამაშენი მადლობას არ გვტყვის.

ვცდილობდი, რომ საწყენი არა შეთქვა რა.

— აბა ნახე თუ არ წაიყვან!.. გაჯავრებული, ენამორეული იმეორებდა
ამ სიტყვას.

ვიფიქრე: ცოტათი რომ შეუტოო, იქნება არგოს შეთქვი.

— არამც თუ ეგ არ უნდა წაიყვანო, თუ შენ ღმერთი გწამს და სენი-
დისი გაქვს შენც არ უნდა წაახვიდე ჩემს უნებურათ! შენ მე ჭრჩობას მიწევ
ეგრე თავაწყვეტილი?! ამ საქციელს მამაშენი არ მოგიწონებს. ან და რა უუ-
ღება გაქვს უმცროს ძმაზე, მაშინ როდესაც მამამ მე ჩამაბარა?.. არ გაბედო
მაგისი წაყვანა!— ესთქვი და მაშინვე ოთახისაკენ შევტრიალდი მოიმედოვნე,
რომ ჩემი სიტყვა იმოქმედებდა ვანიანზე.

მე შორიდან მესმოდა: „აბა ვნახოთ თუ არ წაიყვან!.. აბა ვნახოთ თუ
არ შემოძლია მაგისი წაყვანა და სხ.“

ვოგო ჩავგზავნე ანბის ვასაგებათ და მე კი მოლოდინში გაჯავრებული
ბოლთას ვცემიდი; ვოგო ჩქარა დაბრუნდა და მითხრა: „ვანიამ ლევანა წაიყვა-
ნა“-ო!

— როგორ თუ წაიყვანა?! მივიარდი ფანჯარასთან, გავიხიდე და სინამ-
ღვილე ვარდამეშალა: პირქუშ ვანიას ზურგზე ხის ყუთი აკიდებული, ლევანა
დაერქვა და მიდრიოდნენ... მე იმათ თვალი ვავადევნე და მწიარეთ დავიკვივითინე...

ლევანას არ ვემდურებოდი, მებრალეებოდა კიდევ, მაგრამ ვანია კი იმ
დღიდან ჩემთვის შევდარია! მინამ მიზაველი ის ორი ძმა კუნას მიეფარებოდნენ,
შე უყურებდი და კრემლებს ველარ ვიკავებდი... რადამიშვევია ამ ორის ბაშ-
ვისთვის? კეთილის ზრუნვის მეტი, რომ არა მიმიძლეის რა, მშვიდობაც არ
მითხრეს ისე მირბიან ჩემგან?!.. როგორც უცხონი, რითიმე გულნატკენნი, შე-
მომწყრალებივით მირბოდნენ ჩემგან?!.. ნუ თუ იმოდენა პატივისცემის ღირსი
არა ვარ, რომ წასვლის დროს შემოაუღლიყენენ და მშვიდობა ეთქვათ?!.. უბეში
გველის წიწილი გამითბია რალა? რათ მოვიდა ვანია? რა იყო იმის მოსვლის
საგანი? ნუთუ იმიტომ გარდმოლაბა მთა და ველი, რომ ჩემთვის თავისი უპა-



ტივეციმულება და სიმძულვარე დაემტკიცებინა?! დიდება შენთვის ღმერთო და რათა? რა დაემავე?

გული ჩაწყვეტილი ვიდგეი ფანჯარასთან და მრავალი კითხვები, ერთი მეორეზე უმწვევესი – სცვილიდნენ და ჰვეიდენ ერთმანეთს... სული მეხუთებოდა! ეხლა უფრო ძრიელ მომწყურდა ალოშკას ნახვა: მინდოდა შემეჩივლა და მეთქვა, რომ ვანიასთანა უმცროსი სიბერის დროს ვერ გვიპატრონებს მეთქი... დიას, მწარე წუთები მაგრძნობინა ამ შემთხვევან... ჩამიფუნა ყველა ის მისწრაფებანი, რასაც მე ლევანისათვის ვფიქრობდი. ვანიამ თავისი მოქმედებით სრული სურათი დამიხატა ადამიანის სისაძაგლისა, უმადურობისა... მაგრამ უბედური!.. ამაზედაც არ შეჩერდა: შემდეგ მოიქმედა შესაძრწუნებელი, ადამიანის სმენისათვის შესაზარი საქმე... იმან თავისი ხელით მოჰკლა თავისი პატიოსანი მამა ალოშკა!..

აი მკითხველო, რა საზარელი საქმე, რა შემადრწუნებელი დანაშაულობა ჩაიდინა იმ უბედურმა ვანიამ, რომელსაც ალტაცებაში მოვეყვანდით თავისი ნიქით და ტკევით!.. გული მიწუხს, ნერწყვი მიზრება ამ შესაზარი საქმის მწერალს. და თითონ კი, მომქმედი ამ ავაზაკობისა არხევიანდ კიდევ დედამიწისა სტეკპნის და კიდევ ლამის ადამიანთა შორის ვაგშირს...

საქმე ასე დატრიალდა...

ზემოთ აღწერილის ანბის შემდეგ, როდესაც ტირილით გული მოვიოხრე და ცოტათი დაემშვიდდი, მაშინვე ალოშკას წერილი მივსწერე, როგორც მამას, ალოშკას გაუფრთხილდი და მკრთალის ფერებით აღწერე ვანიას მოქმედება, იმის პასუხი დაუყოვნებლივ მომივიდა (ჩემდა საუბედუროთ ვერ შევინარჩუნე წერილი... ვადახელა-ვადმოსელაში დამკარგვია) სავე შეიღებინადმი წყრომისა და მე კი იმითი მანუგეშებდა, რომ «თულა ცოცხალი დავრჩი, შემოდგომაზე უთუოთა ვნახავ და კარგა ბანსაც დავრჩები შენთანაო.» სხვათა შორისა მწერდა: მე და შენ რომ ვიცით ის ერთი ხულიერი აქ არის და მე და შენ რომ ვიცით იმ საქმეზე ბვერი ველაპარაკე. აბა, შენ რომ არ გვეუროდა საქმის გარემოება, ეხლა თითონვე აღიარა სინამდვილე. მესწრადება შენი ნახვა, რომ ყველაფერი დაწერილებით ვიანბო... აღარ მოვეშვები, შენთან უნდა მოვიყვიანო, ყველაფერს შენთან ვათქმევიანებ*...»

საწყალო ჩემო ალოშკავ! როდესაც ნახვის იმედებსა მწერდი, შენი დღეები დათვლილი უოფილა... პატიოსანო მეგობარო! დღესაც კეთილად ვიგონებ და მადლობას გიძღვნი იმ ტკბილის მეგობრობისათვის, რომელსაც ჩემს ვამო შენ იჩენდი... საუკუნოთ იყოს განსვენება შენი!... ალოშკას ლოდინში დღეები გძელდებოდა... ამ უკანასკნელის წერილის შემდეგ ანბავი აღარა მამდიოდა რა და როგორღაც გული მიკვენსოდა. ერთს ჩემს ნათესავს ქალთან სტეფანწმინდას მიწერ-მოწერა მქონდა და იმას შავეკითხე: რატომ აღარასა მწერ მეთქი?... ალოშკას უკანასკნელნა წერილმა მეტის მეტათ აღმიძრა სურვილი ალოშკას ნახვისა, რაღაც ნაირის შფოთვით ველოდი იმის წერილსა, მომწყურდა იმის ნახვა და იმასთან მოლაპარაკების საქიროებას ვგრძნობდი.

...მე კარგათ მიხებდი ვინ იყო ის ერთი ხულიერი და რა საქმეზედაც

წარმართული

წიგნი

მპირდებოდა მოლაპარაკებას... ერთს დილით ფორტალიონმა წერილი მომიტანა ყაზბეგის სადგურის ბუკდით... მე საჩქაროთ გავეჯიჯე ბუდე, მესწრაფებოდა წაეთხევა... ჩემი ნათესავი ქალი მწერდა: „ღაო ლიხაე! ეავიანებ წერილს იმიტომ, რომ შენი შეწუხება, შემფოთება მეტის მეტათ მეძელება... მაგრამ როდემდინ დაგიმალო... საწყალი ალოშვა უკანასკნელ დღეშია... ვანიამ კარტჩით გატენილი თოფი მშინარეს, შიგ გულისპირში ესროლა და ფილტვები ჩაუნგრია... შერენებელი მაისის მკელი დაატუსაღეს, დუშეთს წაიყვანეს. ალოშვა გუშინ ახიარეს და მგონიან დღეს ხეალ ვათიედება... ზიმედოთ არის...“

ალოშვას უბედურობაჲ გამწარა! ვაშვამებელი აქა-იქა ვაყუდებოდი... გაქრა დავაპირე, რომ ერთხელ კდევ მენახა ჩემი ალოშვა. მაშინვე დევეშა დავკარი, ანბავი ვიკითხე, მაგრამ პასუხი... იმისი სიკვდილის ხმა იყო...

თუ ამ ხმ. მ როგორ ამაშუთა, აღარას ვიტყვი: ყველანი, ვინც თვალყურს გადავინებდნენ თითონაც მიხედებიან, რა დანავლისი იყო ჩემთვის დარა გუნ ბახედ ვიქნებოდი... ალოშვანი დავკარგე სიუკეთესო მეგობარი. ამისთანა მძიმე დაკარგვამ გული მომიკოა. ვიგარძენ, რომ ვიღამაც ჩვენზე ძალა მოიტანა... მაგრამ... მიზეზი სიკვდილისა? რათა? რისთვის? როგორ?... ეს კითხვები მეტის-მეტით წაილე ებდნენ. ე სვანაც იმედი მქონდა, რომ ზედმიწევნით სიქმის ვარემოებას უკმატყობინებდნენ—მაშინვე წერილები დავგზავნე. მანამ იმათგან პასუხები მომივიდოდა, მე წარნოდგენლი მქონდა, რომ რახედმე შეკამათდნენ მანა შვილი და გამწვავებული ჩხუბის დროს, შემს ხვევით, უნებურით მოკლდა ვანიის ამ გვარი უბედურობა... ამ ხმის გაგონების უშალ, თვალწინ წარმომიდგა იმისი პირქუნი ქტევა, როდესაც ჩემთან ყოფნის (უკანასკნელათ) დროს, ჯალათივით თავს რომ წარმომადგა, ხანჯალზე ხელების ფაფურით... რომ მაშავონდებოდა, გამაჯროლებდა ხოლმე. თერმე ნამრვილი ჯალათი ყოფილია...

წერილების პასუხები მომივიდა, ყველანი ერთსა და იგივესა მწერდნენ: ძილის დროს შეიღმა მამა მოკლა: კარტჩით გატენილი ორ ლუღიანი თოფი შიგ გულისპირში სდარუზაო. მე ამ გვარი პასუხებზე არ მაკმაყოფილებდნენ: მეტი მინდოდა მკოდნიყო, მიზეზი ამ გვარის უბედურობისა, მინდოდა გამეგო დაწვრილებით, თუ რამ განიწივია ამისთანა უბედური შემთხვევა. აღარავის უსვენებდი...

ყუელაზე დალაგებული და ფრიალ საინტერესო წერილი მომივიდა პავლე ლულუშაურისაგან, როკელიც ალოშვას უპირველეს მეგობრათ ითვლებოდა. ჩემდა სასიამოვნოთ ეს წერილი ნებჩანა, რომელსაც აქვე ურთობ, რადგანაც საინტერესოთ მიმანჩია. ეს პატრიცეპული გლეხი, სტეფანწმინდის მკვიდრი მცხოვრებია ჩვენი კარის ნეზობელი, რომელმაც როგორც ალოშვასი, ისე ჩვენი საერთო საქმეები ზემიწევნით იცოდა, პავლე ლულუშაური ამ უბედურის შემთხვევის დროს დარიგლის ზეობაში იმყოფებოდა. ეს სანდო პირი აი რასა მწერდა:

25-ს ოქტომბერს 1888 წელს

ს. გველეთი.

მუდამ სახსოვარო და სიძმედოვო ლიხაე!

ბოღაშს ვიხიდი, რომ ეს ხუთი—ექვსი წელია მას აქეთ, რაც ჩვენ დავა-

ჭურნალი „წათობი“ № 11—12 (19—20).



შორდი და ჯერ ორჯლის მეტათ თქვენთვის არ მომიწერია აქაური ანბები. ახლა საბრალო ალოშკას სკედილი გაძლევს შემთხვევას, რომ მოგწეროთ და გაგიზიაროთ ჩენი ამისგამო მწუხარება.

დაეკარგეთ ჩენი ძვირფასი ალოშკა! ის ალოშკა რომლის ბადალიც (გაბედვით შამიძლია თქმა) აღარ მგულება არამც თუ ჩენს სოფელში, მთელს ხევშიაც.

თუმცა ჩენი ხალხი ისეთია (თუ ქვეყანაც ასეთი), რომ ღირსეულს კაცს სიციცხლის დროსვე ვერ აფასებენ, მაგრამ იმ.ნეი სიციცხლის დროსვე დიდი პატივი და სიყვარული დაიმსახურა ხალხში, მეტადრე საწყლებისაგან და დიდაგრულებისაგან, რომელთაც ის შემწობას და მფარველობას უწევდა. ამიტომაც იმისმა სიკედილმა ხალხში ისეთი გლოვა და მწუხარება გამოიწვია, რომ არც ერთის ვაჟკაცის სიკედილის დროს ეს არ მახსოვს, გარდა განსვენებულის დიმიტრისა. არ დაიფიწყებს იმათ ხევი, და ძვირად იქნება სტეფანწმინდის ესეთი ოჯახი, რომ იმათი შესანდობარი თასი არ დილიოს წვეულობაში.

ცუდ დროს მოასწორო საბრალოს სიკედილმა! შარშან ლენინობისთვის აქეთ (რაც გიორგიმ იჯარით ჩააბარა მაშული) ის არ მოეროდა არავითარს ხარჯსა და ვილსა, იმ იმედით, როგორც მეტყობდა ხოლმე საბრალო, „არა უშავრა, ჯერ ეს საქმეები დავაყენო წრებზე და ბოლოს ამედი მაქვს, მომავლის ახალწლამდენ, ჩემს საქუთიარს საქმეებსაც ვავსწმენდო.“ აი სწორეთ ამ დროს გამოაქლო, გამოსაკლებმა ვანიამ და არამც თუ ველარ მიაღწია თავის მიწანს, პირ იქით 800 მანეთი ვალი დაუვდო საბრალო ქვრივ-ობლებს, იმ ვალს გარდა რომლის გადახდაც გიორგიმ იკისრა.

იქნება ეს გაუმოება სხვების (ზოგიერთების) თვალში იმის პატიოსნებას, ვითომ, ამცირებდეს, მაგრამ რომელს პატიოსანს კაცს არ დამართნია სიკედილ შემდეგ ასე. მე კი დაბეჯითებით ვიცი, რომ იმს-ამ ზოგიერთებივით ცხოვრების საგნათ ჯიბისა და მუცლის გასქელება არა ჰქონდა. ის იღვა და მხნეთ მიზღვედა სიმართლესა და აოასოდეს არ გარდაუხვევდა ამ გზიდან.

უბედური ვანია—როგორც უკვე გაგებულე გეჟნებით ჯერ ისევ დღეშეთის ციხეში ზის, გამოძიება დაგვიანდა: ზოგი მოწმეები: შაქრო და სანდრო არ გამოცხადნენ გამაძიებულთან და თავდებით გამოშვების ნებაც იმათ გამო გვიანობს. ზოგიერთები ანბობენ ნებით მოახდინაო (მამის მკვლელობა), შეიძლება მეც მეფოქონა ესა, რომ არა მცოდნოდა, რომ ამ ბოლოს წელს ისეთი კეთილგანწყობილება ჰქონდათ ერთმანეთში, (ხაზს მე უსჯამ), რის გამოც, არ შემოიძლიან ვიფიქრო რამე... სხეთა შორის, განსვენებულმა დიდი შემწეობა და დახმარება აღუთქვა ვანიას და სვიმონს, სასწავლებლის გამართვაში, რომელსაც ესენი ამ წელს აპირებდნენ და სხ. და სხ.

ალოშკის მოკვლის გარემოება იმ ასე გამოირკვა: საბრალოს კაეკავში გათხოვილი ქალი ჰყვანდა და თავისი ცოლი პატარა შვილებით იმასთან სტუმრათ წაეცვანა, ასე რომ ოჯახში მარტო ვანია და ერთი მოჯამაგარე თურმე ჰყვანდა. სწორეთ იმ შავსა და ბნელს საღამოს ე. ი. 30-ს მკათათყეს, ალოშკა დაბრუნებულიყო, ვილაც ნაღნობები შეხვედრიან გზაზე და იმათთან ერთათ

დარიელის ხეობა ამოეარნათ; რადგანაც დიასახლისი შინ არ ეგულებოდა ალოშკა ღუქანში გაუმასპინძლდა და ცოტა გადაეკრათ კიდევ სტუმარ—მასპინძელს. ამ ქვივის დროს ალოშკას ვანიბა არ დავიწყებია: ღუქნიდან მოჯამაგირის ხელით ხორცი გაუფზავენია საეახშმეთ (განა ზონეას და კეთილგანწყობილებას არ ამტკიცებს ეს მოქმედება?). შეუთვლია: „ეახშმით ნუ გველი, მე ჩემის სტუმრებით ამოვალ“ ვანიას მანისავან ამოგზანილი ხორცი გემრიელათ მიუთმევი, მაშისა და სტუმრებისთვის ქვეშაგევი გაუშლია, მამა შექვიფებული ამოსულა დასაძინებლათ თავის სტუმრებითურთ, ვანიას უმცროსობა გაუწევი: ტანთ ვახადა, ლამაზა ვააქრო და თითონ თავის ოთახში ვასულა.

ღამე ყოფილა საშინელი ბნელი და წყვედიდი, სანდრო იმ ზაფხულს და სწორეთ ამ უბედურების დროს ყაზბევში სცხოვრობდა, იმ ოთახის ფანჯარა, რომელშიც სანდრო სცხოვრობდა, ჩვენ სახლის ეზოს ვადაპყრებდა (სადაც ალოშკა იდგა). იმ შემადრწუნებულს ღამეს სანდროსთან სტუმრათ ყოფილა ერთი ჩენი ნათესავი ანდრია ყაზბევი. ამათ უმუხსაიფენიათ 9 10 საათამდენ და როდესაც ჩვენ სახლის კაცს შინ წასეღა დაუბიარებია, მაშინ სანდროს არ გაუშვია და ამ სიტყვებით მიუმართავს: „ამისთანა ბნელს ღამეს არ ვაგვიშვებ, გზა დაგვბნევა, ვერ ახვალ“ ო. თუმცა იმისი სახლი შორს არ იყო და გზა არაფერი საბიფათო იყო, მაგრამ სანდროს თხოვნას და გულშემატკიცებობას გაუტრია და დარჩენილა: სოფლებში ხომ საზოგადოათ აღრე იძინებენ და ამ განსხვავებით საშინელს ბნელს ღამეში, კიდევ უფრო აღრე მიმალულა ხალხი. ყველგან სიჩუმე ყოფილა... ჩენის ეზოსკენ უცრათ თოფის ხმა გაუვონიათ, წამოეარდნილან... პირდაპირ ალოშკასთან აქრილან და უნახავთ სისხლის გუბეში მცურავი, უგონოთ...

შემდეგ მნახელები ვამოჩნდნენ, რომ ვანიას თავის ოთახიდან ღამა ვამოუტანიბა, შესულა ალოშკას საწოლში, რამდენსამე ნაბიჯის სიშორეზე ვატენილი თოფი შიგ გულის-პირში დაუმიზნია და უსოოლია... შედეგი ყველასთვის ცხადია.

ამ ბოროტმოქმედის ფსიხოლოგია საკვირველია და ფრიად საინტერესო: მკვლელმა ნახა, რომ იმისი მსხვერპლი იმის თვალწინ სისხლის მორევში ცურავს, ის უსულ-უფულო ტყინასავით დატრიალდება და სოფლისკენ ვასწევს!.. არც შეშუოთება, არც დაკვილება, რომ ხალხი მიშველებიყო... თავს დაანებებს თავის ხელით მოკლულს მამას, არხეინათ მთელს სოფელს ვაივლის, მივა ერთს თავის კარგს ნაცნობთან და თავის კარგ ბიჭობას და პატიოსან საქციელს აღიარებს!..

თოფის ხმაზე შეიყარა ხალხი, სისხლის მორევში მცურავს ალოშკას დაუწყეს ტრიალი ვონს მოიყვანეს... ვაილვიმა ცოცხალ-მკვდარმა ტანჯვითა და წვალებით კიდევ რამდენიმე დღე იცოცხლა...

მოვიდა მახრის ექიმი, ვამოძიებელი, შეადგინეს პროტოკოლი...

პირველს ვამოძიების დროს ალოშკას კარგათ შეეძლო ლაპარაკი: თოფის სროლის ვარემოება კარგათ ჰქონდა წარმოდგენილი, სხვა ვიზედმე ეჭვის მიტანა ფიქრათაც არ მოსეღია, პირდაპირ თავის შვილს ვანიბაზე მიუთითა... „მე



ქართველთა
მწიგნობართა კავშირი

იმითი უფრო ვიტანჯებით-ანბობდი თურმე საწყალი-რომ ხელები მაქვს დაჭრილი (საბ-ალოს, გულზე ხელებ დაკრებილს გულალმა სძინებია იმ საშინელს წუთას!) და ამის გამო არ შექაძლიან ჩემის მკვლელისთვის სამავიეროს მინიკებაო!...

... თეზობა ამ გვარს საქმეში გულკეთილობს: ვანიასაც გამოუჩნდნენ დამრიგებლები, ასწავლეს გამოძიებულთან როგორ ელაპარაკნა. იშოვნა ცრუ მოწმეები რომ ვითომც უნებურათ შეამთბვა ამისთანა უბედურება და სხ. და სხ. თათბირსა და მოაზრებას აღარ ზოგავდნენ მისთვის, რომ პატიოსანი ჭკბოცი განსაცდელისაგან დაეხსნათ. თითონ ალოშკა-სთა:აც მივიდნენ სოფლის უფროსი კაცები და სთხოვეს: რადგანაც საქმეს აღარა ეშველებარა, შენ შეიღს ვანიას ნუ დაჰკარგავ: გამოძიებელს შენ თითონვე უთხარ, უნებურათ მოუვიდა თქო. ალოშკამ გარდაჭრით უარი სთქვა: „შე სიცოცხლით მარტო სიმართლეს ველტოდი და სიკვდილის დროს ტყუილს ვერ ვიტყვიო!“...

... ალოშკა შიიქვია, ვანია დაიტუსაღეს: ალოშკა დამარხეს, ვანიას გამართლების საქმეს შეუღდა სოფელი

მთავრობის მოსამართლეებმა ეს მძიმე საქმე, ადვილათ გადაათვალიერეს საერთო დავთრებში აღნუსხეს და საგანგებო, საგულახხმო არაფერი ამოიკითხეს. როგორც სახე ღმერთო სუღების წესს-წყობილების წესია-ყველაფერი შეისრულეს: გამაძიებელმა გამოაძაა, იკრუეროა სუღმა ალაგობრივი ნაბუა-გამოკითხვა მოაბდინა (неотвѣтъ и отриц-и), ვეკიღმა გარემოება კარგათ მოაწყო კარგათ ილაპარაკა...

ასე და ამგვარად: ყველანაირი მხარე უკანონო მოქმედებისა, კანონიერთ გაირჩა, დასაბუთდა... სუღმა გამოაცხადა თავისი მსჯერი: რადგანაც ასე არ იყოვო, ისე უნდა ყოფილიყოვო ე. ი. რადგანაც ვანიას ნებით არ მოუკლავს თავისი მამა მაშ უნებურათ მოუვიდაო: ვანია გაამართლეს... ალოშკა ქვეყანამ დაივიწყა... მართალია ალოშკას პატროსანი სიცოცხლე წაიღეკა, ავაზაკი—ვანიას კი ქვეყნიერებაზე სოფეს...

ვაი დედაშენსა! ჩემო საყვარელო ალოშკავ... საგულისხმოა: რა იაფათ დაუასდა შენი წამება, შენი უბრალო სისხლის დაღერა!

თუშკა ეს შემადრწუნებელი საქმე ხალხის სამავიერომ გაარჩია, მაგრამ ღმერთი?...

... ეს არის ჩემთვის განოჯანა, დიდხ ხელოვნებით დაკვლანძული ნახკვი... რომლის საიღუმლოებას ჩემი ცნობის მოყვარეობა, დიდათ გაუმწეივებია... ეხლა ვადავათვალიეროთ ბრალდებულების ოქმი...

Вручен 6 июля 1889 года

Обвинительный акт,

Боим предается суду Тифлисскаго Окружнаго Суда житель Душетскаго уезда, с. Казбек, Иван Алексеев Шадури, обвиняемый в отцеубийстве.

В ночь на 30 июля 1888 г. в с. Казбеке, Душетскаго уезда у себя в доме во время сна был поражен выстрелом из ружья, местный житель Алексей Шадури, который 8 следующаго Августа месяца умер. Судебно-медицинским осмотром и вскрытием трупа покойнаго Алексея Шадури установлено, что ему были нанесены выстрелом из ружья заряженнаго картечью следующия раны: одна в верхней части передней поверхности грудной клетки; одна в тыльной поверхности левой ручной кисти, пять в наружной стороне нижней трети праваго предплечья, две в правой стороне шей; две впереди праваго плечеваго сочлененья, пять над правым соском и сем в середине нижней части передней поверхности груди. Первые две раны правильно—овальнаго очертанья, небольшие 2½ дюймов в диаметре, с рваными, раскрытыми и окруженными ожогою краями, а остальныя круглыя с перовыми, вдавленными внутрь припухшими и окруженными кровоподтеками—краями и ранны по величине своей в диаметре двум линиям. Рана ручной кисти поверхностная, в верхней-же части груди глубокая, с двумя в две своем косыми каналами, по которым зонд проник в грудную полость. Направление однаго из этих каналов с низу вверх-вправо, а другога с низу вверх-влево. Под некоторыми равами, глубоко в мышцах оказалась мелкая картечь. Вскрытием грудной полости обнаружены 1) раздробленне леваго груднаго ключичнаго сочлененья и концы втораго ребра с правой стороны у грудной кости, 2) темно-багровый, почти черный цвет окружности раны верхней части грудной коробки на значительном разстоянии, с совершенным разрыхлением мягких частей и 3) на-конец черноваго-серый цвет верхних частей легких, особенно леваго, почти совершенно превратившихся в грязную кашицу. На основании изложеннаго врач заключил, что Алексей Шадури умер от гангрены легких, обусловленной рапелнем его в грудь огнестрельным снаря-дом. Произведемым одновр-менно с этим предварительным след-ствием констатировано, что виновником причивенья смерти Алексею Шадури был сын его Иван Шадури, который будучи привлечен к



ответственности по сему делу в качестве обвиняемого не признав себя виновным в умышленном убийстве отца своего, объяснил, что в день происшествия отец его приехал из Владикавказа в сел. Казбеке и не заходя домой, пошел в духан и прислал с работником своим Махутози Хетагури мясо, не дожидаясь отца, он, Иван Шадури, поужинал без него с сказанным Хетагури и мальчиком Миха Судмашвили, к концу же ужина явился домой и отец его с односельцем своим Иваном Пицхелаури и жителем г. Владикавказа Иваном Шадури, причем все были очень пьяные. Просидев до полуночи Иван Пицхелаури и Хетагури пошли спать к себе по домам, Судмашвили лег также спать в первой комнате а отец его и гость Иван Шадури легли на приготовленных им, Иваном Алексеем Шадури, постелях—отец на кровати, а гость на полу во второй комнате, в которой на столике, стоявшем у одного из двух окон, горела лампа. Как отец, так и гость скоро заснули. После всего этого продолжает обвиняемый Иван Шадури, вдруг с улицы они услышали крик, как он думает какой то большой птицы, а может быть и зверя. Будучи страстным охотником, он тотчас же схватил висевшее в простенке между упомянутыми двумя окнами, на гвозде двустольное ружье, заряженное на один ствол картечью, а на другой крупною дробью и так как на капсюлах не было пистонов, он Шадури став у лампы и держа ружье дулом против кровати на которой спал отец, взвел курки, надел один пистон и когда стал спускать курок, последний сорвался и последовал выстрел, причем от движения в воздухе лампа потягала. Сильно испугавшись он Шадури, бросился в соседнюю комнату за свичками и когда зажег лампу увидел, что отец лежит без движения, правая же сторона в верхней части груди и правое плечо были в крови, которой было много и на постели. Гость Иван Шадури спал по прежнему. Выбжав из комнаты он, Шадури направился к своему двоюродному брату Семёну Шадури и заявил ему о происшедшем и Семён собрав соседей, пошел к отцу, но последний пришел в себя лишь на следующий день и сказал, что он не слышал никакого выстрела. К этому обвиняемый Иван Шадури добавил, что он не имел никакого намерения убивать отца и жил с ним в ладу и лишь один раз за месяц до происшествия, отец кричал на него за то, что он не сумел связать воза. Объяснения Ивана Шадури хотя и были подтверждены некоторыми из допрошенных на предварительном следствии свидетелей относительно того, что он жил в ладу со своим отцом и следовательно не имеет никакого основания решиться на убийство его, но в виду показаний других свидетелей, конии уста-

повлено, что напротив отец и сын Шадури постоянно ссорились и были недовольны друг другом, показания первых свидетелей не заслуживает уважения. К этому убеждению приводит и самое предсмертное показание, данное Алексеем Шадури Князетскому Подлицейскому Приставу Князю Туманову, который удостоверит что покойный Шадури говорил ему, свидетелю, что он ничто не может сказать какими образом он был поражен своим сыном, так как не слышал даже самого выстрела и узнал о своем ранении лишь тогда, когда был разбужен племянником своим Семесом Шадури и тогда же почувствовал боль в груди и руках, что он Алексей Шадури, врагов не имеет, с сыном же своим Иваном живет давно не в ладу и если сын в него выстрелил, то с единственною целью убить его, неладные же отношения с сыном сложились у него из за того, что сын его получил воспитание в ремесленном училище, а он Алексей Шадури, остался простым мужиком и вследствие этого они ни в чем не сходились. Подтверждением предсмертного показания Шадури служат показания свидетелей Полковника Георгия Казбека и Александра Казбека, из коих видно, что вообще отношения Шадури отца и Шадури сына были дурными, недружелюбными и таковыми установились вследствие противоположности их характеров. Старик Шадури по словам свидетелей это честная, но суровая натура сложившаяся при условиях сельского быта и воспитанная в духе строгой дисциплины старого времени. Молодой же Шадури наименее всего был похож на своего отца. Человек способный, хороший и ловкий ремесленник, он тем не менее всегда производил впечатление человека душевно-больного. По выходе из училища, молодой Шадури поселился у своего отца и имени одного из них, Георгия Казбека. Скоро между стариком Шадури и сыном его начали обнаруживаться недружелюбные отношения. Сын держал себя как то странно, далеко от всех, почти, отчужденно, ни с кем не вступал в общение с высоко и даже презрительно относился к крестьянам, а также и к своему отцу. Вместо интересов сельского рабочего быта, кававшихся для него негуманными, у него явились такие например интересы, как вопрос о воздухо-плавании, которым он был занят. Представлял из себя вообще человека оторванного от своей родной почвы, крестьянской среды, молодой Шадури был таким образом полная противоположность своему отцу. Почти деспотическая натура последнего требовала себе полного подчинения и не переносила поведения своего сына. Поэтому между отцом и сыном часто происходили столкновения и старик не раз жаловался на своего сына Георгию Казбеку, вследствие чего последний вынужден



был прогнать молодого Шадури из своего имения, который и в отношениях своих к свидетелю Георгию Казбеку ввидуна было принять тон своего превосходства, презрительно-го ко всем окружающим его лицам. К этому свидетель Александр Казбек, говоря вообще о не ладных отношениях, существовавших между Шадури отцом и сыном, между прочим добавлял, что однажды отец прогнал сына из своей квартиры и что у них вследствие противоположных взглядов на жизнь, вши и явления происходили частая неприятности. Как то однажды Иван Шадури среди зимы прогнал квартирантку своего отца с маленькими детьми на улицу и лишь тогда отворил двери квартиры, когда отец его отдал квартирантке свои 5 рублей для передачи сыну как бы своих денег. Был случай, что Иван Шадури убил из своего револьвера свою собаку из за кусочка хлеба, а в другой раз тяжело избил маленького мальчика за брошенный им камень в ту же собаку. Одважды он снял с лошади урядника Шахро Казбека серебрянный нагрудник и сделал себе из него пояс. Из за всего этого у него происходили с отцом неудовольствия. Характеристика натуры обвиняемого Ивана Шадури, данная свидетелями Казбек, во всяком случае указывает на не добрых отношения Ивана Шадури к своему отцу, существовавших у них по уверению самого Ивана Шадури и указанных им свидетелей, а скорее отношения противоположного свойства, которые могли не только вызвать у сына неприязнь к отцу, как к единственному лицу, противодействовавшему всем его стремлениям и выходкам и не разделявшему убеждения его, не согласных со взглядами на жизнь самого отца, но и вызвать даже желание освободиться от такого отца, дескать путем убийства его. К заключению, что убийство Алексея Шадури было совершенно умышленно сыном его Иваном Шадури из за указанных выше побуждений и что объяснения последнего о случайном поранении своего отца жизнью, приводит показание Душетского уездного врача Юльскаго, приглашенного к коронному Алексею Шадури для оказания ему медицинской помощи, а также заключение экспертов, осматривавших часть спинки кровати со следами картечи, на котором сид в момент поранения Алексей Шадури, из коих с достаточною ясностью усматривается, что при том положении обвиняемого Ивана Шадури, у горевшей лампы, стоявшей на столике, о котором показал сам обвиняемый Шадури никоим образом нельзя было причинить тех повреждений, какие усмотрены на трупе Алексея Шадури и описаны в судебно-медицинском акте, а также оставить на спинке кровати такие следы от картечей, какие были усмотрены экспертами и что выстрел в Алексея Шадури был

რიცხვითი, т. е. убица, стреляя в свою жертву, приводила ружье довольно высоко — к плечу, причем выстрел был произведен почти перпендикулярно к поперечной оси тела жертвы.

Таким образом, на основании изложенного, житель Душетского уезда, с. Казбек, Иван Алексеев Шадури достаточно изобличается в том, что в ночь на 30 июля 1888 г. в с. Казбеке, с обдуманым заранее намерением лишил жизни отца своего Алексея Шадури, нанеся ему во время сна выстрелом из ружья, заряженного картечью, раны, в грудь, шею и руки, т. е. обвиняется в преступлении, предусмотренном 1449 ст. улож. о наказ. вследствие чего и на основ. 200, 208, 1260 и 1271 ст. у. у. предается суду Тифлисского Окружного Суда. Составлен 13 мая 1889 г. г. Тифлисе.

Список

лиц подлежащих вызову в Тифлисский Окружный Суд по делу об убийстве Алексея Шадури.

Обвиняемый

- 1) Иван Алексеев Шадури.

Свидетели

- 1) Биншетенский Полтавский пристав Ки. *Туманов*.
- 2) Душетский уездный врач. *И. И. Юльский*.
- 3) Полковник Георгий *Казбек*.
- 4) Александр Михайлов *Казбек*.
- 5) Рафаил Николаев *Казбек*.
- 6) Иван Васильев *Шадури*.
- 7) Иван *Ницхелаури*.
- 8) Семен Иосифов *Шадури*.
- 9) Махут *Хетагури*.
- 10) Михаил *Судмашвили*.
- 11) Шакро *Казбек*.
- 12) Эрнст Карлов *Вартов*.

Эксперты:

- 1) Штабс-Капитан туземной дружины *Татаров*.
- 2) Бухгалтер Душетского город. управления *Алавердов*.

³ два врача по усмотрению Окруж. Суда.

⁴

ВЕРНО

Помощ. Секретаря: (подпись)

თაზი მთქნისა.

ამგვარად მოისპო დიმიტრის ძმათ-ნაფიცის და ძვირფასი მეგობარის სი-
 ცოცხლეს; იმისავე საფლავში დაიმარხა დიმიტრის ხელწერილების ინბაფი... რა-
 საც მე ეჭვის თვლით უყურებ, რაც მე გამოცანათ მიმანია, იმან ზედმიწევ-
 ნით იცოდა! ჩემგან გამოთქმულ საკითხებს, ის მოჰყენდა სიმართლის შუქს...
 მაგრამ განჭრა.

საკვირველათა ტრიალებს ცხოვრების ჩარხი! ალოშეა ჩემს ოთახში იდგა,
 იმისი კრაოტი სწორეთ იმ ალაგას მდგარა, სადაც ჩემს ყმაწვილობაში მე მე-
 ძიხა ხოლმე, ძალიან ხშირათ სიხარულით სავსე, სასიამოვნო სიზმრებსა ეხე-
 დაჟდი, ალტაცებით, აღფრთოვანებული ვიღვიძებდი და დიდხანს ოცნებაში
 ვიყავ ხოლმე. ჩემმა მეგობარმა ალოშეამაცა ნახა იმავე ილაგას სიზმარი... მძიმე
 შემადრწუნებელი. ვეღარ ვაიღვიძა... ვაიღვიძეს და სინამდვილემ შეახარა!..
 თურმე ვანგებას სწორეთ ის, ჩემგან დასაყურებული კუთხე დაუნიშნავს
 ალოშეას საწამებელ ალაგად...

საზიზღარი და შემადრწუნებელი საქმე მოხდა!.. წარმოიდგინეთ: საღსალა-
 მათი, ჯერ კიდევ ყმაწვილი ვაჟაკი, დაღალული, თავის მყუდრო ლოგინში
 მძინარე. ამ საბარალოს თავისმა პირშმო შვილმა, ერთი მუჟა კარტკის საშუა-
 ლებით,—სამარეში ამოაყოფინა თავი!.. ტყუია შეშურდით? იქნება ასცდენიყო,
 ანაც იქნება კრილობიდან ამოეღოთ და დაჭრილს შევლებიყო რამე... მაგრამ
 ლომის დაკოდვა ვერ გაბედეს?! გამოიანგარიშეს რომ ალაგიდან აღორ ამღვარიყო.
 აფსუს ჩემო შეადრდნო ალოშეა! ცოდვა იყავ წასახდენათ...

ეს ბოროტმოქმედება წრეს გადასულია თავისი მკაცრობით და სისაძაგ-
 ლით!.. სხვა და სხვა გარემოებითაც შესანიშნავია ეს მკვლელობა და ამიტომ
 განსხვავებით, განსაკუთრებით ყურადღების ღირსია; არამც თუ ეხლა, შემდგ-
 შიაც, ვინდ რომ საუკუნეჟმაც ვაიაროს, მაინც საინტერესო იქნება ამგვარი ვა-
 რემოების გამოკვლევა.

შეიძლება მკითხოთ: ან კი რა მოხდა ისეთი გასაკვირვალი? მკვლელობა
 თითქმის ყოველ დღე ხდება: იდამიანი მოკვდა, დამარხეს, ყველანი მიუჭრდნენ...
 მიწა ცრილია—განსვენებული დავიწყებას მისცეს... მაგრამ მე? ესე ერთის
 შრით ვერ შევხედავ საქმეს...

(31) ამ დღეებში ოცდაათი წელიწადი შესრულდა ალოშეას სიკვდილის
 შემდგ, მაგრამ მე ჯერაც ვერ მომიხელება ეს შემადრწუნებელი საქმე, ისევ
 ისრე მალეღვებს, არა უფრო მეტათ! რაც უფრო მეტი დრო გადის უფრო
 ძვალში და ღბილში მიჯდება: ყოველ დღე ახალ-ახალ მოგონებასთან ერთი მე-
 ორზე საგულისხმო ვარ-მოვბანი მებატებიან თვალწინ და უფრო და უფრო
 მალეღვებენ... მწუვადება ჩემი ცნობის მოყვარება!..

ამ ბოროტმოქმედებამ ბევრნაირი ეჭვი გამოიწვია ჩემში და რაც უფრო
 მეტი დრო გადის და საქმეს უფრო და უფრო ღრმათ ვაკვირდები—ის ეჭვი
 უფრო და უფრო საფუძვლიანათ მიმანია.

საკადრისი არ არის უაზროთ ბოდვა და ამ ბრალის ასაცილებლათ საქ-

მეს გამოძიება ესაჭიროება. ფაქტების აწონ-დაწონას, საქმის საფუძვლიანად შესწავლას—გულმოდგინეთ დაკვირვება, ფთხალი და მიუღვამელი გამოძიება ესაჭიროება. მე, სწორედ ამ ვხვით მინდა შეუდგე ჩემის ეჭვების დასაბუთებას და ვეცდები რამდენადაც ძალ-ლონე შემწევს ამ გზას არ გადაუხვიო.

ვიცი რომ ეს ჩემი გულითადი წადილი ძნელი ასასრულებელია: ყველასთვის ცხადია, რომ რაც დრო და ჯამი გადის, საქმისა და გარემოებების ფეხი იცვლება: ბევრს მნიშვნელოვან გარემოებას ძალა და ელფერი ეკარგება. საქმის დაახლოვებით მცოდნენი თანდათან მცირდებიან და ვინც რჩებიან იმათი მეტსიერებაც ჩლუნგდება. ყველა ამ სიძნელის მიუხედავად მაინცა ვებედავ ამ მასალის დატოვებას...

საგანი ჩემის მოთხოვნისა, დიდათ პასუხის საგებია... მეშინიან ვაშმაგებული არ აეჩქარდე, ჩემდა უნებურათ სიმრუდე არა ვსთქვა... მაგრამ სინამდვილე მწამს! საქმე მეტის მეტათ საინტერესოა და ამასთან ჩემს მეტი ხმის ამომღები და გარემოების მცოდნე პატრონი არ შეგულება...

სრულის სიმართლის აღსადგენათ საჭიროთ მიმანინა საჯაროთ აღენუსხო ყველა გარემოება და სრულის მიუდგომლობით კვალდაკვალ მივეყვით საქმეს, მისთვის რომ ჩემი შეურყეველი დასკვნა მოვახდინოთ.

მე არ მაკმაყოფილებს სასამართლოს გამოძიება და იმისი ვინაჩენი!.. მე მივმართავ საზოგადოებას, იმ პირთ ვისაც ამ საქმის გარჩევაში რაიმე მონაწილეობა მიუღიათ, იმათ ვისაც ჩემს მოთხოვნაში დასახელებულ პირებთან რაიმე კავშირი ჰქონიათ, იმათ ვისაც აქ მოყვანილის ფაქტებისა რაიმე მასალა მოეპოვებათ: უნახავთ, გაუგონიათ. ყველა იმათ ვთხოვ, ვეცადებ განვევიზიარონ თავიანთი ცოდნა—შეხედულება მისთვის, რომ სიმართლე არ დაიხაროს!.. მე ჩემის მხრით უარსა ვყოფ ნათესაობაზე და ნათლიაობაზე: რაც უნდა მწარე იყოს სიმართლე, ყოელის ღონისძიებით ვეცდები იმის აღდგენას.

... გამოძიებულმა საქმეს ყოელის მხრით უნდა შემოუაროს: სადაც საეჭვო რასმე შეაჩნდეს, უნდა განსაკუთრებით დააკვირდეს, სიძნელემ არ უნდა შეაფერხოს აღამიანი, მისთვის, რომ საქმეს ნამდვილი შტეი მიაყენოს. თუ გამოჩნდებიან იმისთანა პირნი, რომელნიც გულმოდგინეთ, მიუდგომლათ საქმის გამოკვლევას ინტერესით მოეკიდებიან, მაშინ იმედი მაქვს ნათელი წყვილიან გარეწავს და ჩვენ მკვლევართ საშუალება მოგვეცემა ყველა საგანი, ინუ მოგლენა თავის ტანით და ფერით გაეაჩიოთ.

მე კერძოთ რასაცა ვკრძნობ და შედმიწევნით ვიცი, იმის შესამსებელ-ჩასაქვიტკირებელ წყაროებს ვეძებ; ვიპედოენებ, რომ არავისთვის და არაფრისთვის საწინააღმდეგო არ იყოს საქმის რამდენჯერმე გადათვალეირება.

შემოთაც ვსთქვი, რომ ჩემი ლაპარაკის საგანი, როგორც დიდათ საინტერესოა, ესე ორი იმოდენა სამძიმოა და პასუხის საგები ღეთისა და საზოგადოების წინაშე. იი ამისთანა ტვირთ ქვეშა ვკრძნობ ჩემს თავს და ამის გამო ჩემს ზნეობითი მოვალეობათი ვსთვლი ამ საქმეს ყოელის მხრით შემოუარო-აწწონ-დაწწონო და ჩემი დასკვნა ისე მოვახდინო. ამასთანავე აღვიარებ, რომ რომ ჩემის აზრის ძალით სხვის კისერზე მოხვევა სრულებითაც არა მსურს. ამ



ქართველთა
მწიგნობართა
კავშირი

ჩემს მოხსენებას კერძო ხასიათი უნდა შერჩეს; და თუ ვინმე ეს ჩემი ღრმით რწმენა, მითითება, უსაფუძვლოდ დაინახოს, თავისი ნებაა, გინდ გავით შემრიცხოს. მე მაშინ ისევ მა-ტოთ დავრჩები, როგორც ამ სტრიკონების წერის დროსა ვარ და ამით ჩემი რწმენა იოტის ტოლიათაც არ შეიარყვია!

მე ჩემს თავს ნებას მივსცემ და მოფრიდებლად, თამამათ გადავითავალიერებ იმ მკვლელობას საქმეს, რომლის განაჩენიც ცხლა გადავიკითხეთ: ყველა გარემოებას მოვიგონებ, ვაფითვალისწინებ, მთელის ჩემის ძალ-ღონით, სისწორით დავაკვირდები საქმეს და გავეყვები იქით, საითაც კვალი მიმიყვანს.

1) ვანიაშ თავისი მამა განზრახ მოჰკლა, თუ უნებურათ?

იმისი პასუხები თითონ საქმიდან სჩანს: სულმა თუმცა გაიმართლა: უნებურათ მოუფიდაო! მაგრამ ყველამ ვინც იმითი გაუმოგება იცოდა, ვინც ალაგობრივ საქმე გამოიძია და დავაკვირდა ყველასთვის ცხადია რომ განზრახ მოჰკლა. მაშასადამე დროს ნულარ დავაკვირებთ უბრალო ლაპარაკით და ფაქტი ფაქტად აღვიაროთ: დაახ, განზრახ მოჰკლა!

ჩვენ, ბოლღებულის ოქმიდან, მოწმეების ჩვენებიდან ვაფიგეთ, რომ ვანიას ყოვლიდ ბოროტი ბუნება ჰქონია. ამ ჰაბუტის გულში კაცობრიულს გუნანურს გრძნობას, სიყვარულს, — დაუხედავით იმისა, რომ ჰქვიანათ და განვითარებულ კაცათ ესც-ნით — თურმე ხიდაგი ვერ მოუკიდებია. რასაკვირველია სადაც სარწმუნოება და სიყვარული არა სუფევს, იქ ყველაშია ბოროტება აბიბინდება. ვანიასთანა ადამიანისათვის, მაშასადამე კაცის მოკვლა ადვილი საქციელი უნდა იყოს...

მაგრამ... ღნერთო ჩემო! ოთხეუბი მხეციც ვერ უნდა გააბოროტოს ადამიანი, რომ იმან ერჩოლოა, აენოს რამე ადამიანს! ან კიდევ უნდა მხეცს ადამიანისა შეეშინდეს და თავის დაცვის გრძნობამ ძულეზულ ჰკოს პირველი ის მივიდეს მტარზე იეროშით... ნუ თუ ვანიას ბოროტ ბუნებას სწავლამ იმდენა შალაშინი ვერ წაუსვა, რომ მხეცზე უარესად არ მოკვეთილიყო!

ბევრი გაკვგონია, რომ შეიღს მამა შემოკვდომოდეს, დედას — შვილი, ძმას ძმა, გულის საყვარელს სატრფო და სხ. ამგვარი უბედურება შესაძლებელია ჩხუბისა და გააფთრების დროს, როდესაც ურთიერთ შორის კავ-ირი გამწვავებულია და ადამიანი თავის დავიწყებამდენ, უმწვერვალეს გააფთრებამდენ მისულა; ანუ მოპირდაპირეთ, თავიანთი მოქმედებით ერთმანეთის ღიოსება შეუღახავთ, ერთმანეთი აღარ დაუბოგნიათ. ადამიანის შემოკვდომას და განზრახვით მკვლელობას, სხვა და სხვა გარემოება წინმიძღვის და ამის გამო სხვა და სხვა მსჯელობა უნდა ვიჭინოთ. ეს ბოროტმოქმედება იმითი არის შესანიშნავი, რომ გამოძიებამ ვერ აღმოაჩინა იმისთანა გამწვავებული მიხეზი, რომ შესაძლებელი ყოფილიყოს შვილისაგან მინარე მამის განზრახვით მოკვლა. მაშ მიხეზი რა იყო?

გარეგნულთ, სრულებით მშვიდათ დაუხედა ვანია თავის მამას: ქვეშაგები გაუშალა იმასაც და სტუმარსაც, ტანთ ვახადა (უმცროსობა გაუწია) თავს შეზარბოშებულ მამას, ლამაზა გააქრო და ვაფიდა. შემდეგ რა იუღის კერძი

გახდა, რამ აიძულა თოფით ხელში ქურდულათ ნიპარვა და თავის შრობელთა მამის მოკლა?..

სტიფან-წმინდას ბავშვებზე გაიგეს და დღესაც ზღაპრულ გარდმოცემით ჩაითვლება ვანიასგან თავის მძინარე მამ-ს მოკლა, მაგრამ საემოს გაორჯვის დროს, კარგმა აღვსატმა და სხვა და სხვა გარეშე პირებმა ყველაფერი ისე ხელოვნურათ შეცვალეს, რომ სულმა დაადგინა: შვილმა მამა უნებურათ, შემთხვევით მოჰკლაო.

ეს თქმა ნამდვილი სიცრუე იყო! მეტი და დიდხანს მკითხველი ჩემის გრძელის მოთხოვნით და ამის გამო მოკლეთ ვიტყვი, რომ მხოლოდ ვანიას გასამართლებლათ: განზრახვითი მოკლულს, შემთხვევითი მოკლული დაარქვას. ვინც ბრალდებულების ოქმს წაიკითხავს და წვრილან გარემოებას ც დააკვირდება იმათთვის ცხადზე-უცხადესი შეიქმნება, რომ შვილმა მამა განზრახ მოკლა. ნაშ მე სრული ნება შექვს ეს დასკვნა მოვახდინო: შვილმა მამა განზრახვით მოჰკლა!

2) რადგანაც შვილისაგან—მამის განზრახვით მოკლა ფაქტით ჩავთვალეთ, მაშ შეგვიძლიან განმეორებით ვიკითხოთ. რა მიხეხით? რამ აიძულა? რათა? როგორ?

თითონ ზედღურმა ალოშკამაც და სხვა მოწმეებმაც გამოამძიებელს მიუთითეს იმ გარემოებაზე, რომ მამა-შვილი ხშირათ ჩხუბობდნენ, ხასიათებით ვერ ეთვისებოდნენ ერთმანეთს და სხ. და სხ.

ჩემის აზრით ეს საბუთები იმ დამისთვის და მდგომარეობისათვის—სრულებით მკრთალია: მამა-შვილს იმ დღეს, არამც თუ უსიამოვნოება არ მოსულიათ ურთიერთ შორის (ერთი კერა მეტი შინ არა ყოფილა ალოშკა და იმ დამს მოსულა), უკანასკნელ ხანებში ტყილათ და განწყობით თურმე სცხოვრებდნენ (იხ. პავლე ლუდუშაურის ზემოთ მოყვანილი წერილი. პავლე ლუდუშაური კარის მეზობელი იყო ალოშკასი და დიდი მეგობარი). მაშ რა მიზეზს ჩაეჭიდოთ ხელი, რომ შესაძლებელათა ესცნოთ, რომ შვილმა მამა ხსრე ქურდულათ ავაშაკურათ, მძინარეს მიეპარა და მოკლა?!

ახლა ჩვენთვის მოვიზროთ: განა ცოტანი ესცხოვრობთ ერთს პერძვეშ სხვა და სხვა ხასიათისანი და ერთმანეთს არა ესცოდანთ? ამ მოაზრებას ისიც დაემატოთ, რომ ვანია იყო კარგი, გავაზგიშეპილი ხელოსანი, ოცდა ორის წლის ქაბუჯი, ფიზიკურათ მრთელი და ძლიერი, თავის და გვარობაზე სწავლული და განვითარებული. მაშასადამე, თუ მამასთან ვერა თავსდებოდა, მარჯვეთ შეეჭლო თავისი ცხოვრება თითონვე თავისი სურვილისამებარ მოეწყო. პავლე ლუდუშაური თავის წერილში (რომელიც ზემოთ მოვიყვანე) ეჭვის თვალთ უყურებს ვანიასგან განზრახ მამის მოკლას. „წაიძლება მეც მეფიქრნა-ლუდუშაური ანბობს-თუ არა მკოდნოდა რომ ამ ბოლოს წელს ისეთი კეთილი განწყობილება ჰქონდათ ერთმანეთში, რომ არ შამიძლიან ვიფიქრო რამე.“ და სხ. მე პარაფრას ვიკნობ ლუდუშაურს, ალოშკასი დიდათ დაახლოვებულა მეგობარი და მეზობელი იყო და ამის განო იმისი სიტყვა და აზრი სარწმუნოთ მიმანია. როგორც პავლეს აზრი, ისრე სხვებისაგან გარდმოცემული გარემოება



ნათლათ მიმტკიცებს, რომ იმათი განსხვავებული ხასიათები და წინა წლების უსიამოვნოება ძნელი წარმოსადგენია, რომ წინამძღოლი გამბდარყო იმ ლამის ბოროტ-მოქმედებისა.

მე შევხვდი ვანიას ვეკილს და შევეკითხე: რა მიზეზი გითხრათ თქვენმა კლიენტმა: რამ აიძულა, რომ იმისთანა მკაცრი ბოროტ-მოქმედება ჩაიდინა? სრულებით გაქვავებული იდგა ხოლმე და ჩემს გულმოადგენილს კითხვებზე არაფერს მეუბნებოდაო. მგონი განზრახ მოსულელობდა! სუდამაც, რადგანაც ნამდვილი მიზეზი ვერა ნახა შეკვლეობის გამოწვევისა, საბუთებით ვერა დაუმტკიცა რა, იძულებული შეიქნა გაემართლებინა.*

ვეკილიც გაკვირვებული იყო, რომ იმისმა უბუჟმა კლიენტმა ამისთანა მკაცრი ბოროტ-მოქმედება ჩაიდინა, უკვირდა იმისი ქცევა, მაგრამ ვეკილმა თავისი მოვალეობა კეთილათ შეასრულა-გაიმართლა!

ებლა, მას შემდეგ, ბევრმა დრომ განვლო: სასამართლოსაგან გამართლებული ბოროტ-მოქმედი ხელ-ახლათ აღარ დაისჯება, მასხასადამე აღარაფერი გვაბრკოლებს, ყოველივე ჩვენი მოახრება ხშირად, თამამათ წარმოვსტყვათ. ამა დაეკვირდეთ იმის გარეგანს საქციელს: განა უნებურათ რომ კაცი შემოგვაკედეს, ინსტინქტიურათ, სრულებით ანგარიშ მიუტყმლათ შემკრთალი, საშველათ არ მივესწრათებით? თქვენი მშობელი მამა, რომ შეგოგაკედესთ, გინდა კიდევ რომ არ გიყვარდეთ, განა შეიძლება, რომ იმ წამს არ მიეარდეთ და მამაკედეს თქვენი თანაგრძნობა არ გაუცხადოთ? განა წყენა არ დაგაფიწყდებთ და ცრემლებით იარებს არ მოჰბანით?.. მნახველები და იქ დამსწრენი ერთხმათ ამტკიცებენ: რომ არც ტირილით, არც სინანულით, არც კიდევ აღუღებთ, არ გამოუთქვამს თავისი მწუხარება. გარინდული რეტიანივით თურმე იდგა, როგორც იმ ღამეს, ისე შემდეგაც...

ახლა სხვა მხრიდან შევხვდეთ ამ საქციელს: განა განზრახვით აღამიანმა თავისი მოსისხლე მტერიც რომ მოჰკლას, გაბოროტებული ნიშნს მაინც არ მოუგებს? როდესაც აღამიანი თავის მტერს მოსპობს, თუ სიბრალულს ვერ იგრძნობს, სი დაპასისაგან მაინც არ გადმოჰყრის ცრემლებს?... განა ამგვარი სასტიკი საქმის მოქმედი თუ ერთის მხრით არა, ძეგრის მხრით მაინც არ გამოსთქვამს თავის გულის მოძრაობას? მკვლელმა სულის წინაშე შეიძლება დამალოს თავისი მოქმედების ძირითადი მიზეზები, მაგრამ თავის ძმადიკებთან, თავის მეგობრებთან, თავის ვეკილთან-არ შეიძლება ერთხელ მაინც არ წამოსცდეს სიმართლე, თუ რამ აიძულა აღამიანის სისხლის დაღვრა?.. რაც უნდა მკაცრი ხასიათისა იყოს აღამიანი, მაინც ბუნება მოითხოვს რითიმე აღნიშნოს, გამოსთქვას თავისი სიძულელი, ანუ მრისხანება.

მე ამ მკვლელობამ ძალიან დამაინტერესა და ამის გამო დაფინებით, გულმოდგინეთ ვეძიებდი და ყველა მნახველს დაწვრილებითა ვკითხავდი იმ დღეებში ვანიას მღვდომარეობას და მოქმედებას; თითქო ყველამ პირობა შეჰკრეს, ყველანი ერთსა და რგოვეს მიპასუხებდნენ: როგორც უხულო ტიქნა, ბურანში მყოფი აღამიანი ისრე იდგაო. და ესეთი დარჩაო როგორც პირველ დღეებში ისე შემდეგშიცაო.

საქართველო
გეოგრაფიული

ღმერთო ჩემო! ნუ თუ ამისთანა მდგომარეობა ბუნებრივია? ბრალდებუ-
ლების ოქმი გემახელს, რომ ვანია ბოროტი ხასიათებისა ყოფილა, მაგრამ ხომ
სულდგმულ ადამიანათ არის ცნობილი.. ამ გვართ კაცის მკვლელობა, ასრე
უაზროთ და უგულოთ კაცის გაქრობა, განა შესაწყენარებელია? არა! თუნდა
რომ ჩამომახარონ ამისი მთქმელი მაინც ვიტყვი, რომ რალაც სხვანაირი **ჯადო-
ქრობა**, წინა უძლია და ამ მიზეზით უცნაური მკვლელობა მოხდა...

ვანიას სულიერი მდგომარეობა იმ მკვლელობის დროს, ფრიად საინტე-
რესოთ ნიშანია, ამ გვარის ადამიანის ფსიხოლოგიის შესწავლა იქნება, რომ
ნასწავლ ხალხს საქმეს გაუჩენდა, ახალს საბუთებს მისცემდა... ჩვენში კი ყუ-
რიც არაფერ შეიბერტყა...

მე ძალიან შენანება, რომ ამისთანა მდიდარი მასალა, ასრე შეუმუშავებე-
ლი დაოჩა, მაგრამ... ვინ იცის? იქნება მაშინ, როდესაც ვანიას მნახველები,
ალარ ვიქნებით ქვეყანაზე, იქნება რამე გარემოებამ მაშინ ამოყოს თავი...

3) ბრალდებულების ოქმში ვითომდა, სულით ავთიმყოფათ დახატეს ვა-
ნია. ესეც არ შეჰაერის სინამდვილეს: ნუღამ სტეფანწმინდასა სცხოვრობს,
ცალკე მეკომურათ ითვლება, თავისი საქუთარის მარჯვენით ირჩენს თავს და
კოლშეილს, მას შემდეგ დიდმა ხანმა განვლო და არაფერი წრეს გადასული და
თვალთათვის საწოთირო საქმეს იმას არ მოუქმედებია. მართალია განსაკუთრე-
ბით არაფერს მეგობრობს, პირქუშათ ითვლება, მაგრამ მაინც სოფელში კარგს
მუშათ ითვლება, საერო-სათემო საქმეებშიც იღებს მონაწილეობას და ხან და
ხან საქმის მოთავედაცა ხდება. არც სოფლისაგან და არც მთავრობისაგან
ავათმყოფათ არ არის ცნობილი.

მაშ ვივითხოვთ რა იყო მიზეზი იმის შეჩვენებულის საქციელსა? რომელ-
მა კანონის ძალამ დაუხში ასრე უცნაურათ გული?... რომ დაახვია თავბრუე
რამ გააბოროტა ისრე, რომ შეგვხარა, გაგვაკვირეა თავისი უმაგალითო ბო-
როტ-მოქმედებითა?... მოჰკლა თავისი მშობელი მამა, მძინარე მინდობილი ადა-
მიანი!.. რათ დასჭირდა თავისი მშობლის სისხლის დანთბევა და ამითი შეი-
ლის გრძნობის შეურაცხყოფა?

ესეთი და მრავალი ამ გვარი კითხვები თავისთავათ გულის სიღრმიდან
ამოხეობენ... მეცნიერები ანზობენ: უმიზეზოთ მოქმედება შეუძლებელიაო. მაშ
სად არის მიზეზი, სათაური ამ გვარი მოქმედებისა?!.. ნეტა იმ დროს იმის
გულის სიღრმეში ჩამეხედნა: თუ იმის გრძნობა-გონება რა ძალას მოჰყვანდა
მოქმედებაში?... მაგრამ ვხლა კი, მე ყოველად მჯერა, შესაძლებლათ მიმანია
რომ თითონაც სინამდვილით არ იცის რა ძალამ მიიყვანა ამ შემაძრწუნებელს
ბიწიერებამდე?..

მე იმ დღიდან, რაც ახალციხეში ჩემი მატრვისცემა აღიარა (მოიგონეთ
ზემოთ ნაანბობი საქციელი ჩემზე გამოლაშქრება?) აღარა ვხედავ და სალაპარა-
კოთ ვერც გამოიწვევ, რადგანაც მეზიზღება... მაგრამ დიდი სურველი კი მაქვს
ამ კითხვების პასუხი მომესმინა... იმედი მაქვს, რომ ჩემი შოთბრობა მსმენელ-
საც აღუძრავს ცნობის მოყვარეობას, დააკვირდება ამისთანა იშვიათს მოვლენას



ქართველი
წიგნწერების
კავშირები

და ბოლომდე მომყვება, ჩემთან ერთად ასწონ-დასწონავს ყველა გაუგებებას და ამითი ზნეობით შემწეობას მამცემს.

თავი მესამე.

მე ზემოთ აღვნიშნე, რომ ამ მკვლელობის დროს სანდრო სტეფანწმინდას სკოპორობდა (ეს ხომ ბრალდებულების ოკმიდანაცა სჩანს). ალოშკას ჭირის-უფლებაც იმის არგუნა ბედმა: პირველი ის შევიდა მისაშველებლად!

ეს შემძრწუნებული მკვლელობა სწორეთ იმ დროს მოხდა, როდესაც სანდროს ახალი ნაწერები თუმცა აღარ იბეჭდებოდნენ (თითქო საფანელი შემოაკლდა), მაგრამ საზოგადოება ძველებურათ პატივისცემდა და ერთ დროს პატარა პატივის მცემელთა ჯგუფი ქონებრივ შემწეობასაც აძლევდა.

ეს ის დრო იყო, როდესაც სააფრუსხა, ხმა საუკეთესო ბელეტრისტისა — ქუხდა და ელაგდა, მაგრამ თითონ კი თავისი მშვენიერი ღოშა მარჯვედ ვეღარ მიშქონდა: მუხლი მოცვეცა, ნიადაგი ეცლებოდა, ეს ის დრო იყო, როდესაც მონხუბარძის თბუხულება ხელი-ხელ სატაცებლათ შეიქნა; მკითხველი საზოგადოება სანდროს დიდს თანაგრძნობას უცხადებდა, იმის მღვკომარებას დიდს უზრადლებას აქცევდა, მაგრამ მოხუბარძის კი საფანტი შემოაკლდა და უშკუთობით ჭკუაზე მოდიოდა! ეს ის დრო იყო, როდესაც სანდრო თბილისში ფენს ვეღარ იკიდებდა და აქა-იქ აწუდებოდა (ხან კახეთში, ხან ბათუმში და შემდეგ სტეფანწმინდას). ეს ის დრო იყო, როდესაც სანდროს სკინდისმა გაიღვიძა და დაუწყო ქეჯნა; სანდრო მიუბოლოდა თავის თავს, მაგრამ სად წაუვიდოდა, როდესაც იმის მწუხარების მიზეზი, შიგ იმაშივე დამკვიდრებულიყო... ისიც ადამიანი იყო, იმასაც ნერვები ჭქონდა, იმაზედაც იმოქმედა იმ მშვენიერმა მოთხრობებმა, რომლებიც სავსენი არიან ძმობისა და მეკობრობისა და სიბართლის მოძღვრებითა. საწყალი ჩემი სანდრო! თუმცა აქამდენ სინამდვილის ძიებით გამსჭვალული ჩენი გული, გაბოროტებული, იმისაზღინ შხამს იღებდა და ამითი იმის საუკუნო დიდებას ძირს უღრღნიდა... მაგრამ ეხლა კი, ეს მკვდარი გული, იმისადადი სიბრალულის მეტს აღ-რასა გრძნობს...

ისიც ხომ მოგახსენეთ, რომ ალიოშკა შადურმა დაიჭადა პროდესაც სანდრო ნოვა, მე დიმიტრის ხელწერილებს გამოვგლეჯამო. ამასაც მოგავგონებთ, რომ ხტულდენტს-ალოშკას კარის მეზობლები ვეკაცობას უქებდნენ და იმისი პირით იმეორებდნენ: „ერთხელ თქმა, მერე გარდათქმა, ვეკაცას არ შაშვენისო! ამასთან ალიოშკას ჯგუფი თინიანი, კერპი ხასიათი ვისაც უნახავს ან გაუგონია, ის დამეთანხმება, რომ ის სანდროს ნახვის უშალ ხელწერილებს მოსთხოვდა, აღარ მოუსვენებდა. ისიც ხომ მოგახსენეთ, რომ ალოშკა უკანასკნელს წერილში იგაგებთთა მწერდა: „მე და შენ რომ ვიცით, ის ერთი სულიერი აქ არის. მე რომ ვითხარ და შენ არა გჯეროდა, ეხლა ის ანბავი მართალი გამოდგა, თითონვე გამოტყდაო. მოვილ და დაწერილებით ყველაფერს გიანბობო. რასაკერველია, ზედმიწევნით არავინ იცის, იმათ შორის რა როგორ ითქვა (ალოშკამ ჩემამდი ვეღარ მოაღწია), მაგრამ მე რადგანაც ალოშკას ხასიათს კარგათ ვიცნობ, ის სანდროზე სამკედრო-სასიცოცხლო იერიშს მიიტანდა (რო-

საკვირველია სიტყვით!). მე, როგორც იმათ პირადად მცოდნეს, გარემოების ზედმიწევნით მცოდნეს ნება მაქვს თამამათა ვსთქვა: **ალოშკამ რაკი სანდრო ხელი იგდო**, სიძარის კარამდინ მიჰყვებოდა და ხელწერილების ანბავს წარმოათქმევინებდა. ვინც ალოშკას იცნობდა, ანუ ვინც იმის ხასიათს და მიმართულებას დააკვირდებდა, ის ადვილათ წარმოიდგენს და დანემოწმება, რომ იეროში სამკედრო-სასიცოცხლო იქნებოდა, სანდროს მწერლობის სახელისთვის.

სანდროსაც ამ საგნის გამო ალოშკას შიში და შორიდება უნდა ჰქონიყო: იმან კარგათ იცოდა, რომ მართო ალოშკა იყო იმის **დიდებისათვის** საშიში და მოპირდაპირე მტერი. სანდროს ზემო არ ეშინოდა (თუმცა ვახსოვდი კი), არაფრათ მაგდებდა, ზემს ღაპარაკს ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ ალოშკასი კი... უნდა შინებოდა. სანდროს უნდა სცოდნოდა, რომ რამდენ წელსაც უნდა გაეგლო შუა, მაინც ალოშკა თავისას ვაიტანდა, არ მოუსვენებდა და არც იადათ დაუსვამდა თავის ძმათ-ნათესებს დიმიტრის ხელწერილების შეთვისებას. ამ გვარად გულმხურვალეთ იცოდა საქმის მიდევნა, საბრალო ალოშკამ.

ამ გვარ გარემოებაში ზავარდნილი სანდრო, რაც უნდა მაგარი ნერვების პატრონი ყოფილიყო, მაინც იმ განუშორებელის ფიქრით გაელენთილი, „ვი ითუ გამამხილოსო, სიძარითლემ თავი ამოჰყოსო“ შეუძლებელია შუათავაში და შიშს ქვეშ არ ყოფილიყო... ეს საშინელი, სულის შემუთავი გრძნობა, სულ მუდამ თან დისდევდა საწყალ სანდროს! და თუმცა პირველ წლებში როდესაც მწერლობა დაიწყო ამ გარემოებას არაირად აგდებდა, მაგრამ შემდეგში კი სული შეეხუთა, მოსვენებას უკარგავდა. სახუმრო საქმე არ იყო! მოჩუბარძისთანა სახელოვანს მწერალს, თავის ბრწყინვალე ბედის-ვარსკვლავზე ერთი წერტილიც რომ **საეჭვო** შეემჩნია ვისმე, მაშინ მთლათ იმისი სხივები სამარცხვინო სიბნელეს უნდა მოეცვა...

...როდესაც სანდროს, პირველის წლების გამარჯვების ტკბილმა ოცნებამ გაუარა, როდესაც საოცარის და მოულოდნელის **დიდებულობის** ბურანდინ ერკვეოდა, მაშინ იგრძნო, რომ გარემოება ავალებდა, თავისი ბრწყინვალე მწერლობის სახელი, თავისისავე მარჯვენით კვლავ განეგრძო, მაშინ უძღურება იგრძნო: საკვებავე სურსათი გამოელია და ველარას ახერხებდა, პირველ წლებში გაადვილებული საქმე, ეხლა მეტის მეტათ მიძიმეთ ეჭენა, რადგანაც არც ცოდნა და არც ნიჭი არ შესწევდა.

თუმცა ცოტა ოდენ ნაწყვეტ-ნაწყვეტი მოთხრობები კიდევ შერჩენიყო, მაინც ყველა ეს იმისათვის უსარგებლო იყო. მაშინ საწყაღმა, თავისი თავი ჯოჯობათში იგრძნო!...

ამ გვარის ფიქრებით მოცული ადამიანი, მოდი და ნუ შეირყევა, ნუ გაგიედება?!...

მე ამით არ მიინდა ვსთქვა: სანდრომ ალოშკა თავისი ხელით მოჰკლამ ირამ არ ვანბობ, რომ ვანია დიდი მეგობარი იყო სანდროსი, მაგრამ არ შემოძლიან გვერდი აეუქციო იმ საგულისხმო მოვლენას, რომ გასაშტერებელის თავგანწირულობით ემსახურა ვანია სანდროს საქმეს!... სანდროს დიდების შესარჩენათ ერთათ ერთი უებარი წამალი იყო, რომ ალოშკა ამ წუთისოფლიდან გაენდევ-



ქართული
განმანათლებელი

ნა ვისმეს და ეს სწორეთ მისწრება იყო სანდროს მწერლობის დიდებისათვის... და ამ სანეტარო (და საზიზღარის) საქმის აღმსრულებელი შეიქნა ალოშკას პირ-მწო შვილი ვანია!... ნუ თუ ეს იყო ბედითი შემთხვევა? ვასაშტერებელია!...

სანდრო კარგათა გრძნობდა, რომ თავზე ბეწვით ეკიდა ბასრი ცული, რომლის მოწყვეტას ყოველ წამს ელოდა... ეს ბასრი ცული იყო ალოშკა შადური, რომელიც სტეფანწმინდიდან კბილებს უკრატუნებდა: ეს უკანასკნელი შემთხვევის ელოდა და ლოდინით გული ეღვოდა. მეც, რასაკვირველია, სანდროსათვის საექვეო ვიყავ, მაგრამ ჩემთან შელაქლანდარებული იყო, ქალი ვიყავ, კვალში და გზაში ვერ ჩაუდგებოდი, ამასთანავე იცოდა ჩემი სისუსტე: მიყვარდა, მებრალეობდა და ამისი დიდი იმედი ჰქონდა.

ადვილი მისახდომია, რომ სანდრო საწინეს მოუსვენარს მდგომარეობაში ჩაეარდა, მის შემდეგ, რაც პირველ ხარისხოვან მწერლათ სცნო საზოგადოებაში. საწყალი ჩემი სანდრო. იმისი მოუსვენარი მდგომარეობა და მტანჯველი ფიქრები ყოველად მესმის: ერთი წინ დაუხედავი სიტყვა კმაროდა ექვის დასაბადებლათ და რაკი საზოგადოებაში ეჭვი დაიბადებოდა იმისი ავტორობის შესახებ, მაშინ გათავებული იყო საქმე! თავს ველარაფრით იმართლებდა.

ამის გამო ნუ გაგვიკვირდება რომ ყოვლის ღონისძიებითა ცდილიყო: გაენთავისუფლებინა თავი ამისთანა სახიფათო მდგომარეობიდან.

თითონ რაც უნდა მოეხდინა მტრის მოსაგერებლათ, რაც უნდა საშუალება ეხმარა—მიეტყუებოდა, მაგრამ აქ რა შეაშია ვანია შადური, რომელმაც სანდრო ისე დროზე, მარჯვედ გამოიხსნა უბედურობისაგან?! დიდება შენთვის ღმერთო! ნუ თუ ამისთანა დიადი სიკეთე ვანიამ სანდროზე შემთხვევით დათესა?...

...სწორეთ აქ იღვიძებს და ფრთებს ისხამს ჩემი გაშმაგებული ეჭვი, რომელმაც თავისი სიმძლავრით ღამის არის დამბარჩოა... დაფარვა აღარ შემიძლიან! და ამით პასუხისგებაში ვაძლევ ჩემს თავს. ამ ეჭვმა მთლად შემიპყრო, ძვალსა და რბილში ვამიჯდა, სიგიჟემდინ მიმიყვანა, ასე რომ თითქმის სინამდვილეთ მიმანია....

ჩემგან შერდგენილის აზრის მოსმენას ვითხოვ და ჩემს რწმენას არავის ვავალებ. თავისი აზრის გამოთქმა არავის უნდა დაეძრახოს, მხოლოდ გამოთქმულს აზრს ნიადაგი კი უნდა ჰქონდეს! ამასთან ერთათ შესაძლებელი უნდა ვყოთ სხვა აზრებისაც თავმოყრა, მისთვის, რომ მკვიდრი მსჯავრი დაესლოთ: როგორც ხალხური ანდახა გვევალებს: „ასჯერ გაგზომოთ, ერთხელ გამოეკრათ!“

სახელმწიფო სასამართლომ დაადგინა: შეიღმა მამა უნებურათ მოკლაო და დამნაშავეს თავისუფლება მიანიჭა. მეც თავისუფლებას ვანიჭებ და ვანბობ: შეიღმა მამა მოკლა შემთხვევით ანუ... ღმერთო ჩემო სული მეხუთება... ენაც... შთაგონებით ე. ი. ჰიპნოზით!...

მე კარგათ მესმის, რომ ამისთანა მძიმე აზრის წარმოთქმას უაპველათ უნდა თანაუქლოდეს სწავლით და მეცნიერებით გამოკვლეული ნიადაგი, შემუშავებული საბუთები. მე კარგათ მესმის, რომ დაუსაბუთებლათ ამ გვარი დიდმნიშვნელოვანი აზრების გამოთქმა საკადრისი არ არის, მაგრამ რა ვქნა რომ

სხვა ახსნა არა აქვს ამ ზემოთ აღწერილს მკვლევობას!... კი ნუ შემირისხავთ, თქვენი ჭირიმე კეთილ ნუ ჩამქოლავთ ამისთანა უყიდურესის აზრის წარმოთქმისათვის, მხოლოდ მიწველეთ, მოაზრება გამიადვილეთ... აბა ლარი გაპკარით ყველა აქ მოყვანილს გარემოებას, მოქმედი პირების ნაიხზობს, დააკვირდით მკვლელის სატყეილს და იმედი მაქვს თქვენც დამეთანხმებით, რომ ამ რთულს საქმეში, რაღაც უხილავი ძალა მოქმედებდა და ამითი ყველანი იზნეოდნენ, საიდუმლოების ბურანში აბლაბუდასავით იხლართებოდნენ.

მე მეცნიერებაზე თავს არა ვდებ, დიდათა ვწუხვარ და მეკრძალება კიდევ ამ გვარი აზრების გამოთქმა, მაგრამ რა ვქნა, გული მერჩის... დალოცვილებო, ადამიანის სიცოცხლე თოხლო კვერცხი ხომ არ არის: აილეს და ადვილად გარდაყლაპეს! სინამდვილემ შეგვხარა, ამაზე ფიქრი და მოაზრება არავის აეკრძალება; ჩვენის აწონ-დაწონით არავინ გაიკიცხება, არავის უფლება არ შეიღობება და სიმართლე კი უფრო ნათლად გაბრწყინდება. მე ამ გარემოებათა ახლართვა—დახლართვაში სიბნელესა ვგრძნობ, როგორც უსინათლომ, შინდა თვალის გაეახილო და ამისთანა კანონიერის მისწრაფებისათვის—ნურავინ დამძრახავს. ვისთვისაც სინტერესო არ არის მიზეზები ამ წრეს გადასჯლის მკვლევობისა, იმან დღე ჩემი სიტყვები გივი ადამიანის ზოდვით ჩასთვალოს; ვინც ჩემს სიტყვებს და მოთხრობას არ ერწმუნება ის, რასაკვირველია, შემამჩვენებს კიდევ... მაგრამ, შეიძლება იმისთანა პირებიც გამოჩნდნენ, რომელნიც საგულისხმო რასმე ამონახამენ, ცნობის მოყვარეობა გაიტაცებდნენ და დინჯად, მიუღკომლად მსჯელობას იქონიებენ.

მე მხოლოდ ამ უკანასკნელებს მივპართავ, მოწიწებით კედს ვიხრი და ვეაჯები: მე მხოლოდ გარემოებას უხატავ, შეუშუშავებდეს ფაქტებს ხელთ ვაძლევ და დასკვნა და მსჯავრი კი თითონ დასდონ...

თავი მარტივი.

უსაქიროესათ მიმართა კიდევ ერთი მოაზრება წარმოვსთქვა: ერთ წუთს დაუჯეროთ საქმის გარჩევის დროს წარმოთქმულს აზრებს: შეიღობა მამა იმიტომ მოკლავ, რომ მამა ახირებული ხასიათის მკაცრი კაცი იყო. უწლიდა თავისებურს ცხოვრებას და ამისთვის მოიწადინა იმისი ნოშორება. ეს მოდი და შესაძლებლად ნივილოთ! მე? ჩემზე გამოლაშქრება რაღა მიზეზი იყო? ნუ თუ ესეც უბრალო შემთხვევა იყო?... გაუგებარია!...

ზემოთ აღწერილს, მკითხველი დავლალე იმისი მოთხრობით, თუ მე და ვანის როგორი დედა-შვილური განწყობილება გექონდა, ძმური და მეგობრული კავშირი. ექვსი წელიწადი თუმცა აღარა ვხედავდი, მაგრამ გულში ვხდიდი. ვალუებდი იმის სიყვარულს... ექვსი წლის უნახავი უცერად მოულოდნელად თავს დამეცა და ცოტა გაწყდა, მეც ალოშკას დღე დამაყენა... და ეს მოხდა სწორედ იმავე ზაფხულს, ერთი თვის განმავლობაში... რათა? რისთვის? რა დანაშაულისთვის?!... დამეძრახება, რომ ვიკითხო?

ალოშკას სიკვდილის შემდეგ და მიყვანი, ვანისაგან ჩემზე გამოლაშქრების აზრს ნუ, ღრმა რწმენით ვიტყვი: ჩემმა ლბობიერებამ (ამასთან დიდმა ვაფრთხი-



ლებამ, რადგანაც იმისმა გარეგანმა სანახაობამ და უცნაურმა ქცევამ თავხარი დამცა, შიში დამხადა). — შებოჭა იმისი უწმინდური განზრახვა, თორემ ყოვლად მონერბებული და შესაძლებელი იქნებოდა მეც ალოშკასავეთ იმისი მსხვერპლი გაემხდარევიყავ. როდესაც უსაქმურმა (ვერ მითხრა რათ მოვიდა) შთა და ველი გადმოლახა და ისე უცნაურათ, ჭინიანათ მიხირდებოდა, მაშინ მეც რომ ავუოლიყავ, აებირებულეყავ და იმას მე ხანჯლით ავეჭეწე — ესეც ბედნიერ შემთხვევათ ჩაითვლებოდა?... რა უშავს, ერთ თოხლო კვერცხს მეტს გარდაცულაპაედა... ვის რას დაეკლდებოდი, ან ამის გამოკვლევაში ვინ შევიდოდა?... ეს საიდუმლოებაც იმ საიდუმლოებასთან ერთად დაიმარტებოდა...

სანდროსა და ვანიის შორის მეგობრული კავშირი არავის გაუგონია, სანდრო ვანიის ვერ შეისყიდდა, და მაშ რომლის ხატის სასწაულს მივაწეროთ ეს საკვირველი მოვლენა, რომ ვანია შეიქმნა სანდროს მხსნელ იარაღად: ასე თავგანწირვით იერიშით მოვიდა ჯერ ჩემზე და შემდეგ ამისა, ერთის თვის შემდეგ თავისი მშობელი მანა მოჰკლა ჭურდულათ, ავაჯაკურად.... ველარა მანიფიქრებია რა, ვიბნევი...

როგორ არ შევშფოთდე: როდესაც სამაგალითო ქვეიანი ბავში, საზიზღარ ეშმაკათ, ბოროტ-მოიმკმედ ავაჯაკათ გარდაიქცა.... თქმა მიჭირს: სიტყვა ყელზე მადგება, მაგრამ რა გაეწყობა უნდა ვსთქვა: თუ გიპნოზში ყოფნა ადამიანისთვის შესაძლებელია, თუ შთაგონების ძალა ქვეყნიერებაზე ხუფევს, მაშინ ყოვლად შესაძლებლათ მიმაჩნია, რომ ვანიას ვიღამაც შთაგონა ჩემი და ალოშკას მოკვლა,

ვია ჩემს თავს... გულმოდგინე გამოკვლევა და სიმართლის ცოდნის სურვილმა, ეჭვის კვალი სანდროზე მიმატანინა.... რა თქმა უნდა, რომ ბევრს ეუცხოებება ჩემგან ასეთის თამაშის აზრის გამოთქმა. მართლა რომ საკვირველია! მე ჩემს ძმაზე ეჭვი მიმაქვს, ვაბრალებ შთაგონებით მეკვლელობას... ჩვენის საყვარელის მწერლის სახელს ვანაცვალე, ჩვენთვის გარეშე პირის, საზოგადოებისთვის უმნიშვნელო კაცის, უსწავლელის გლეხის სისხლის ძიებას... მართლა რომ მძიმე ბრალს რომ ვზედებ... ჭკუაზე ზომ არ შევიშაღე...

მე როგორც ორის თვალებით ბრმა, ჯოხის კაკუნით გზას ვიკვლე: მეზობელის გლეხის, ჩემის მეგობრის მართალს სისხლს ვეძიებ და ვია ჩემს თავს... ჩემის ძმის, ჩემის საბრალო სანდროს კუბოს თეცართან კი მიველი... ვაიმე და ვაგლახმე!... სწორეთ აქ დაეინახე მომბეტუტავე სანთლის შუქი, თითქოს სხვა და სხვა საგნებს ვარჩევ: გამოვლილი გზაც გადავთვალე, სადაც მოვედი იმასაც ვხედავ... კრძალვით შევეყურებ მოჩხუბარიძის საპატოი ძეგლს... შხამით შეგუბებული გული მეტუთება... თვალები მიბნელებდა, ველარა მიწამებია რა... კიდევ ერთი წუთიც და დედამიწას უნდა გავენთხე: ვასკდეს, რომ თან ჩამიტანოს!...

გული მიწუხს, დაწერილი ვეღარ გარდამიკითხავს, თავს ხარი დამცა!... ნაშ აბა კიდევ ჩამოვთვალო საეჭვო კითხვები:

1) ალოშკას უმედურების ღამეს, წყევლიდს, ბნელს ღამეში, როგორცვე თოფის ხმა ვაიგონა სანდრომ, პირდაპირ ალოშკასაკენ რათ ვაესწრაფა? ნეტა როგორ მიხვდა, რომ სწორეთ იმას ეჭირებოდა შევლა და არა სხვას? არავის-

თვის არ უკითხავს: ნეტა ვის გაუფარდა თოფით? უნდა მოვიგონოთ ის გარე-
მოგზაურობა, რომ არც კვიციანი, არც მიწვევლებისთვის ძახილი იქიდან არ მოისმოდა-
მირბოდა სანდრო და ინსტიტუტურათ გაჰყვინენ ყველანი ვინც იმასთან იყვნენ
რათ მოიქცა ასე, თითქოს ამ საქმეს მოელოდო?

2) თავის სახლის კაცი ანდროია ყაზბეგი ძალათ დიდიხანა თავისთან: ბნელი
ღამეა დაიბნევიო! ამ ყმაწვილს წყალი არა ჰქონდა გასაველელი და კლდე გადი-
საფარდნი, რომ სახიფათო ყოფილიყო იმისთვის ბნელაში სიარული. საგულის-
ხმოა, რომ კვლავს ამისთანა ზრუნვა იმისთვის არ გაუწევია. თოფის ხმა, რომ
შემოგსმა, თითონ ბეცმა მარჯვეთ იპოვნა ზხა: სირბილით თურმე აიარა და
თავის ყმაწვილს, თავისზე მრთელს და მხედველს კი გაუფრთხილდა. ესე გარე-
მოგზაურობა მე **საეჭვოდ** მიმაჩნია: მოწმეთ ხომ არ უნდოდა, რომ სანდრო იმ დროს
თავისთვის არხეინად, ვითომ უღარდელათ მუსაიდობდა? ამა თქვენც დააკვირ-
დით ამ გარენოებას.

3) სანდრო დიდ მონაწილეობას იღებდა ალოშკას მოვლა-პატრონობაში
(ალოშკას ჭირისუფლობაც იმას ერგო, როგორც დიმიტრისა).

როდესაც ალოშკას უნუგეშო მღვანირებობაც გამოირკვა, მაშინ თავმოყ-
რილი სოფელი ჩამოვიდა მომაკვდავთან და სთხოვა: „ვანიას თავი ჩვენ გვაჩქეუ-
მიტყევე ამისთანა უბედური და ბოროტი საქციელი, ნუ დაჰკარგავ!“ „შენის
პირით უთხარ გამოამძიებელს, რომ შენი დაკოვდა უნებურათ მოუვიდა.“ მაშინ
თურმე მომაკვდავმა უთხრა: „მე კი ტყვეილს ვერ ვიტყვი და თქვენ როგორც
გერჩიოთ ისე მოიქცითო.“ სოფელი ამ მკვლელობით ძრიელ შეშოთდა, მაშას
აღარა ეშველებოდა რა და შეილის გამოსახსნელით დიდათ შავიდა. პირადათ
მიანბნეს იქ დამსწრეთ, გულკეთილებმა მეზობლებმა: როგორ ასწავლიდნენ ვანიას
სად რა ეთქვა! ერთი გაკვირვებით შეუბნებოდა: „ისე გარინდული და უაზროთ
იღვარ, როდესაც პირველ ჩვენებას ართმევენენ; რომ მე მივეშველე და ვათქმე-
ვინე მისთვის, რომ უყურათ მოველა თოფი როგორ უნდა დაეჭირათ!“ ერთის
სიტყვით მთელი სოფელი ცდილობდა ჰაზუკი გამოველიჯა სამსჯავროს ბრჭყა-
ლებიდან. სანდრომ ეს ვარემოება კარგათ იცოდა, იმის თვალწინ ხდებოდა
ყველა ეს ანბავი და შავად მიმაჩნია, რომ ბროკტრორის როლით გამოვიდა.
ოქმიდან სიანს, რომ სხვა მოწმეებიც ვანიას ავობას და ბოროტებას ადასტო-
რებდნენ (ზოგი მოწამე არ იყო იქ და ზორიდან წერილით ჩვენება მისცა რო-
გორც მაგ. გ. ყაზბეგმა), მაგრამ სანდრომ ყველას გადააქარბა: თავისაგან გარ-
დაცემულს ნიმუშებით (გარდაიკითხეთ ბრალდებულების ოქმი) მოხელეებს არწ-
მუნებდა, რომ ვანიას ყველანიერი ავახაკობა გამოუვა ხელიდან, როდესაც მთე-
ლი სოფელი სთხოვდა მამაკვდავს მკვლელის პატივებას იმას რათ დასჭირდა ამის-
თანა უწყალო ჩვენების მიცემა? ასე გულმოღვინეთ რათ მოიწადინა ქვეყნისთვის
დაენახებინა ვანიას პირქუშობა, უგულობა, ავახაკობა?... ვინც იმათი ე. ი. სანდრო-
სი და ალოშკას **სადაო საიდუმლოება** არ იცოდა, რასაკვირველია, ამ მოქმედე-
ბას არაფერი უყრადღებდა არ მიატყვის, მაგრამ მე კი, ამ გვარი თავის გამოდბა
საეჭვოთ მიმაჩნია...

ამისთანა თავგამოდებული მოწამე საქმის გარჩევის დროს სამსჯავროს



ქართული
ენებისათვის

წინაშე ველარ გამოცხადდა... ველარ შესძლო... შეირყა საბრალო... რადგანაც სანდრო პირველ ხარისხიანი მოწამე იყო, იმის ლოდინში, რამოდენჯერმე გადაიდო საქმე, (საქმემ თითქმის ორ წლამდე გასტანა), მაგრამ ამაოდ... საავადმყოფოში ამოყო თავი.

ამისთანა მკაცრი ჩვენებით ხომ არ უნდოდა ყოველივე მკვი მოესპო? ალბათ უნდოდა, რომ გარეგნულათ, მეგობრათ ეჩვენებინა თავი, დავერწმუნებინეთ, რომ ალოშკას უბედურებას თანაუგძნობდა და სხვა იმის მეგობრებთან ერთად იმასაც დააკლდა ალოშკას სიციცხლე?...

ძალიან ნარჯვე და ადვილი საფიქრებელია! მეც რომ ზედმიწევნით არა მცოდნოდა იმათი ურთიერთ შორის გამწვავება, — მეც ასე ვიფიქრებდი! მეც სხვებთან ერთად სანდროს მოწმობას და თავის გამოდგებას — სიმართლის სამსახურათ ჩავსთლიდი, მაგრამ... ეხლა კი **საექვეთ** მიმიჩნია...

ამ საქმემ ისე ძრიელ იოკმედლა სანდროზე რომ დიდმა ხანმა არ გაიარა ყველამ ის აღიარა შეშლილათ და ცოტა ხანს უკან საგიეში შეიყვანეს.

საწყაოს ჩემს სანდროს დიდი და მძიმე მიზეზი ჰქონდა შერყევისა (საექიმო ნაწილს მე არ ვეხები: შეიძლება ექიმებმა სხვა გარემოებანიც გამოიხატეს იმის შერყევის მიზეზათ: თუ ერთი მიზეზი შეგორეს დაერთო — წით ჟარისი...), გარეშე პირებმა არაფერი იცოდა სანდროს და ალოშკას შუა **გამწვავებული დავა** და ამის გამო ბეგრაზა წვრილანმა გარემოებამ ჩვენამდინ ვერ მოაღწია, აგვეცდა შეუნიშნავათ...

ეხლა, როდესაც ცხადათა ეხედეთ ყველაფერს და შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ ჩვენი დაუფიქრარის მოჩხუბარების მდგომარეობა, იმისი გულნადები, ფსიხოლოგია, ეხლა თამამათ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ სანდროსათის ალოშკას სიკვდილი **მისწრება** იყო!...

არ შეგვიძლიან უუყოლდეოდ დავსტოვოთ ის გარემოებაც, რომ სანდრო სწორეთ იმ დროს სტეფანწმინდას გაჩნდა. სანდროს მშვენიერათ უნდა სკოდნოდა, რომ ალოშკას ზებვედრა და დიმიტრას ხელწერილებზე ლაპარაკის აღძვრა — ერთათ უნდა მომხდარიყო — ეს აუცილებელი იყო სანდროს სტეფანწმინდას არაფრისთანა საქმე არა ჰქონდა: ყველაფერი გაყდილი და შექმული ჰქონდა. სანდრო უგუნური კაცი არ იყო, რომ მართო სუფთა პაერის ჩასალაპავათ იქ წასულიყო და ამით, სახიფათო შეყრით და ბაასით თავის მწერულობის სახელისათვის ჩირქი მოეცხო. სანდროს ზედმიწევნით უნდა სკოდნიყო, რომ რაკი მოუხეზავს ალოშკას ზებვედრად, ის ამაზე იერისში მიიტანდა და ამასთან დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ გამარჯვება მტერს დარჩენოდა: სანდროს როგორც ზნობით არ შესწევდა სიმართლე, ისრე ფიზიკურათ, ძალღონითაც არ შეეძლო ალოშკასთან გამკლავება (ალოშკა მარჯვე მსროლელი იყო და მკლავ მაგარი). ვერ მოისყიდდა და ვერც შეაშინებდა. მაშ ერთი ბრძანეთ: ასე თამამათ რის იმედით უპირდაპირდებოდა, თავის ჯიუტს და გულმაგარს ძტერს, რომელიც დაჭრილ დათვიეთ მიწასა ბდღენიდა და კბილებს უკრეჭდა? ამისთანა გახრწნილი, სუსტი მეომარი რის იმედითა ჰბედავდა ხელწართულს ომსა? პირველმა თითონ მიკვირს, როგორ წადგა წინ ფეხი, მტერს

ქართული
ბიბლიოთეკა

დაუახლოვდა, დაენახე?!... ნუ თუ დავიწყებით მოუვიდა?... 7--8 წელიწადი ნუთუ ისეთი დიდი დრო გვანა, რომ მაგისთანა ერთგულს მძათ-ნაფიცი, თავისი ნათქვამი და დაქადება—დაავიწყდებოდა?... სანდრო მეტით კარგათ იცნობდა ალოშკას და ეს უკანასკნელი არა გვონიან მხედველობიდან მიეთარა...

აქ თავის-თავით თვალში გვეჩვენება სულით ავთამყოფი, ენიანი, მძინარა, ბიწიერის მიმართულებისა, უბედური ვანია, რომელიც იმ უბედურების დროს სანდროსთან ერთს ეზოში იდგა, სრულიად მარტო...

მაშ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ვაებატონი ყოფილა, ანუ გამხდარა იმისი ჭარი და ხმალი!... უნდა ვიფიქროთ, რომ ვანიას შერყეულმა ნერვებმა, იმისმა სხვა-ნაირობამ შეაძლებინა რახტის აღება და მოულოდნელით მტრის შემოსერა...

ვანიას ნდგამარეობა, ფსიხოლოგიური მიმართულება, ბოროტი ბუნება—ყოვლად გამოსადეგი უნდა ყოფილიყო ამგვარი მოქმედებისათვის.

ახლა გკითხავთ: ვანა ჩემი ეჭვი უადგილოა? უაზროა? შეუძლებელია?

განვიმეორებ: სანდრო კეკელიანი, დიდათ მოხერხებული და ამასთან ბედნიერი კაცი იყო და ყველა ზემოთ აღნიშნული გარემოება დიდის ხელოვნებით, მარჯვეთ გამოიყენა... ეს არის ჩემი დასკვნა.

... მე მრწამს რომ ალოშკას სიკვდილი უბრალო და ჩვეულებრივი მოვლენა არ იყო! ამ დაუჯერებელს უცნაურს გარემოებათა მსვლელობაში, რაღაცა უხილვი ძალა ტრიალობდა და ეს ყველა მხედველობაში უნდა ვიქონიოთ...

მკითხველი დავალღე, მაგრამ დიდის ბოდისით კიდევ ერთს მოგონებას მოგახსენებ.

ახალციხიდან თბილისში ჩაველი რამდენიმე დღით, სანდროს შევხედი, რომელმაც მისალმების შემდეგ მითხრა: „ქალო, ახალციხეში მინდოდა შენთან მოსვლა, მაგრამ ვანია ხელში ვერ ჩავიგდე... (მაშინ ვანიას ჯერ არ გაეთავებინა სახელოსნო სასწავლებელი და თბილისში იყო.)

—მერე, უვანიასოთ გზა ველარ მოაგენი?—შევეკითხე მე.

—ისრე... მინდა მომიყვანა...—მიპასუხა, თითქოს რაღაცა ფიქრებში ვართულმა.

მე ეს სიტყვები ყურში შემჩნა; მაშინ მივეირდა თუ სანდრომ რათა სცნო უსაჭიროებათ ვანიასთან ერთათ მოსვლა? მაგრამ ამ კითხვას მე თითონვე უპასუხე: სანდროს ალბათ ჩემი სიამოვნება უნდოდა, როდესაც ეს სიტყვები წარმოსთქვა: იცის, რომ ვანია შვილივით მიყვარს და მაშასადამე იმასაც რომ მოიყვანდა სიამოვნებას გამიორკეცებდა. ამ სიტყვებმა მაშინ უმნიშვნელოთ ჩაიარეს, მაგრამ ეხლა კი, საგულდებნით მიმაჩნია... ეჭვი მაქვს, რომ მე და ალოშკა მაშინვე ვყოფილებართ მიზანში ამოღებულნი...



თავი მხცარი

მე ამ ზემოსხენებულის ეჭვების და აზრების აღნიშვნა არცთუ შამესრულეობის: ვსწერდი დიდის კრძალვით და მიწიწებით ამისთანა უცნაურის მკვლელობის აქტს, როდესაც ეურნალი „მოამბის“ (მერვე ნომერი 1896 წ.) მომივიდა. გადავფურცლე და 49 ფურცელზე შევნიშნე მთელს რუსეთში ცნობილის, ნასწავლის და მშრომელი ქალის, ქალბატონ მ. მანასეინის სტატია „ბუნებრივი ხამწვდვები შთავონებისა“ ამ სტატიის სათაურში ვადამეტებულის ინტერესით მიიპყრო ჩემი ყურადღება და სასწრაფოთ ვადავითებე. საზოგადოთ შთავონების ძალა ისე მაინტერესებდა, რომ მთელის ჩემის ძალ-ღონით ვეძიებდი ამ საგანზე გამოთქმულის აზრების წაკითხვას და როდესაც ქართულს ლიტერატურაში წაგაწყვიდი ამ სათაურით სტატიას, რაღა თქმა უნდა სმენიდ ვადავიქცი.

პირველივე სიტყვები საკვირვლოდ შემამესმა ჩემს მკრთალს უსწავლელობით ღარიბს აზრებს ფრთები შეასხა! ის საშინელი, აუტანელი სიმძიმე, რომელსაც მე ვგრძნობდი—მეტის-მეტის რთულის ფაქტების გარდმოცემით თითქმის შემომსუბუქა, ამ პატივცემლმა მანდილოსანმა, თავისი სწავლით და შრომით შეძენილის აზრების გამოთქმით. ისეთი ნათელი-შუქი მიიაცენა ჩემს ხავეჭო საკითხებს რომ მე ბრმას, ამ დღიდან, თითქმის თეალის ჩინი მომანიჭა!... მე დღემდენ ჩემის სიტყვების სიმართლეს მხოლოდ ვგრძნობდი, და დღეის შემდეგ კი დანახვაც შესაძლებელად მიმაჩნია. ყველას კარგათ მოეხსენება, რომ ადამიანს თავისი ნათქვამი აზრების განმარტება და დასაბუთება, მხოლოდ მაშინ შეუძლიან, როდესაც ნათქვამ საგანზე ლიტერატურა უსწავლია. ეს ნაკლი მეტის მეტათ საგრძნობელია, ჩემის დღევანდელი მღვამირებისათვის და იმისთანა ტანჯვას მაგრძნობინებდა, რომ ღამის ბუხარში უნდა დამეწეა ეს ჩემი რვეული... მაგრამ, ერთის მხრით რწმენა და მეორეს მხრით დიდი და შეურყეველი სურვილი ნანახის და ვაგონილის ვახიარებისა—წინ მელობებოდა...

თუმცა სისრულით ვერც ეს პატარა სტატია აკმაყოფილებს ჩემს ცნობის-მოყვრეობას და სარწმუნო ვარ, რომ ვისაც ძრიელ დაინტერესებს ეს ჩემი მოთხრობა, ის რუსულს და სხვა და სხვა ტომების ლიტერატურაში კიდევ ბევრს განმარტებას ამონახავს, მაგრამ დღეისთვის საკმარისათ მიმაჩნია ქალბატონი მანასეინის სტატია და იმისი სიტყვებით შევაქვიტკირებ ჩემის მოთხრობის საგანს: ჰიპნოზისა და შთავონების შესახებ.

აი, რას მოგვითხრობს ზემოსხენებულს სტატიაში ჩემი უძლურების ექიმნი ქალბატონი მანასეინისა:

„ამ უკანასკნელს წლებში დიდი ყურადღება ნიქცია ჰიპნოტიზმში მყოფ ადამიანის შთავონებამ. ჰიპნოტიზმში ადამიანი მაშინ იმყოფება, როდესაც რაიმე საშუალების წყალობით იგი მოკლებულია საკუთარს, ნორმალურს ძალას მოსაზრებისას. ამ გვარი შთავონებანი, როგორც სრულიად სამართლიანათ შენიშნავს ბინე, ძალიან ნაკლებათ ემზავესებიან მას, რასაც ადამიანის ნორმალურ ცხოვრებაში ხდება“ და ს.

მეორე ფურცელზე ე. ი. 50 გვ. რამდენიმე ხანის ქვემოთ განაგრძობს:

„ამ გვარი დამამონავებელი ზედგავლენის მაგალითები ერთის პირისაგან მეორეზედ, ძალიან ხშირია სიხსლის სამართალში და დამნაშავეთა ვეჭვილი ხშირათ მიმართავენ ხოლმე ამ მოვლენას, რომ მით მინც შეუმსუბუქონ სასჯელი იმ უბედურთ, რომელთა დანაშაული მხოლოდ ხასიათის სისუსტეა. გარდა ამისა, ცხოვრების დაკვირვებამაც ცხადათ აღნიშნა ის გარემოება, რომ ფსიხიურათ ძლიერის ზედგავლენას ექვემდებარებიან ერთობ ახალგაზდანი“.

კიდევ რამდენიმე ხანის (სტრაქონის) ქვემოთ ბრძანებს:

„მის მაგიერ, რომ იგი გამოცდილებით, მეთოდით რაც შეიძლება სრულად შესწავლათ, პსიხოლოგებიც და იურისტებიც მით კმაყოფილდებოდნენ, რომ თვით ფაქტს აღიარებდნენ:—დაახ, ძლიერი ხასიათის პატრონს შეუძლიან სუსტი ხასიათის პატრონი დაიმონოსო. სახელმწიფოს-კი ამ გვარი ზედგავლენის გამო ყოველ წლივ ეღუპებოდა და ეღუპება ბიწიერების გუბეში მრავალი ახალგაზდა და სასარგებლო პირი. ამ დანაკლისს მინც უნდა გამოეწვია სისრულით შესწავლა იმ გარემოებათა, რომელთა გამო შესაძლებელი ხდება ამ გვარი მაზიანებელი გავლენა ერთი პირისა მეორეზე“.

აი ღმერთმა მარჯვენა შეგარჩინოს! მეც მაგის გაგონება მინდოდა, მეჭირებოდა, რაც ეხლა მაშენო ამ პატივცემულმა მინდილოსანმა!.. მანასადამე აღარავის გაუკვირდება რომ ვსთქვა: შესაძლებელათ მიმჩნია ფსიქიურათ ძრიელის ხასიათის მქონე სანდროს, დაემონავებინა სუსტი ხასიათის პატრონი ახალგაზდა კაბუჯი ვანია.

რადგანაც სანდროს გაჭირვებული მდგომარეობა და იმისი გამწვავებული თავმოყვარეობა ვიცი და ამასთან ალოშეასთან ხადავო საქმის გამო დიდი განხეთქილება, მიხწყული უნწყერეალესობამდინ მამ მეტი იტნება ვიკითხოთ: რათა? და რისთვის?

ამ ზღაპრულ ჯადოქრობას ყველა გარემოება ხელს უწყობდა: ვანიას ოჯახში მარტოკა ყოფნა, სანდროს სიახლოვე (ერთს ვალაგანში ორი სახლია, ერთში სრულებით მარტოკა ვანია დარჩა და მეორეში სანდრო იდგა), რომელსაც ადვილათ შეეძლო სხეებისაგან შექმნეულათ, დღევ და ღამევ ვანია ხელთ ეგდო. მძინარა ვანიას ბუნება, უეჭველია, სანდროს კარგითა ჰქონდა შესწავლილი და იმისი, ფსიხიურათ ძლიერის ადამიანის ზედგავლენა ექვს გარეშე ხდება. ერთი კვირა მეტი მამა შინ არა ჰყვანდა და არც არაფერ სხვა ჯალაბი, მამასა. დამე ძლიერის—ბუნებოვანის შთაგონება: როგორცე მოვა, მოჰკალიო, შესაძლებელათა ხდება... მოვიდა დაღალული, დაღუული კაცი, დუქანში ჩამოხტა თავისი სტუმრით, თითონ იეახშმა და შეიღს ბორკი აფუზავნა (ბრუნვა გაუწია) შენ ჩვენ ნუ მოგვიციდი იეახშმო, ჩვენ დასაძინებლათ მოვალთო. ვანიამ იეახშმა, ქვეშაგები მოღმზადა, მამა კარგ გუნებაზე შემოვიდა, ვანიაც მოწიწებით დაუხედა, ტანთ გახადა, ღამმა გაიტანა და... ერთმა საათმა აღარ გაიარა შევიდა და კარტრით გატენილი თოფით გულის პირი ჩაუნგრია... ნუ თუ ყველა ეს გარემოება ბუნებრივით ჩაითვლება?.. არა და არა!..



ამ, ზემოხსენებულ გარემოებათა ნიკოდესს, ნუ დამეძრახება, რომ ჩემი ეჭვი ხანამდვილეთ ჩავსთვალო.

თუნდ რომ ჩამომხარზონ ამისი მოქმელი მაინც ვიტყვი: ადოშკას სიკვდილი სხვანაირი მოვლენა არის, სხვა გვარი ჯადოქრობა დატრიალდა...

ამ სტრიქონების წერის დროს, როდესაც სრულს ჩემს მეხსიერებას ვაქოთებ, რომ შემთხვევის გამოსაჩვენებელი, შესაფერი გარემოებანი, დროებით მივიწყებულნი მოვიფიქრო, აი კიდევ რა გამახსენდა:

მგონიან დაახლოებით 1883 ანუ 4 წელს რამდენიმე დღით ახალციხიდან ტფილისს ჩავედი და, რასაკვირველია, ვანიი მოვიხმე და რაც ხანი იქ დავრჩი აღარ მოვიწორე; შეინტერესებოდა იმისი ცხოვრება და ყველა ვარდმოება. როცა დროს შეუტრჯედი, ვკითხავდი როგორა სცხოვრობს და რას აპირებს როცა სწავლის დაიბოლოებს. ჩემს კითხვებზე ვანიასაგან დამაკმაყოფილებელი პასუხი მივიღე და დიდათ სასიამოვნოთ დამრბა ის გარემოება, რომ თუმცა ქონებრივ ნაკლებათ იყო, მაგრამ მაინც თავის სწავლისა და მდგომარეობისა კმაყოფილი იყო. სხვათა შორის ვკითხე: მე რომ სანდოოსთან დავსტოვე, სხვაგან რათ ვადავიდა. როდესაც სახლის კერის ხარჯს მაინც ასტეებოდა?

— ოჰ, ველარ გავსძელ, ძალიან მაწვალდება! სანდოო არ მიშვებდა, მაგრამ ძლივს დაეახწიე თავი..

— და აგრე რიგით რითი წეგაწუხა? ვაკითხე მე.

— მძინარეს მაწვალდება ხოლმე და ცუდათა ვხდებოდი.

— როგორ?! გაკვირვებითა ვკითხე.

— რა ვიცი, მასბარათ მივდებდა! მეც არ ვიცი რას მიშვებოდა... დამიწვენდა ხოლმე, თითონ გვერდ მომიჯდებოდა, შემილოცავდა, დამაძინებდა და მერე რას ვსჩადიოდი აღარა მესმოდა რა!.. შემდეგში თითონვე მეტყუოდა ხოლმე: თურმე რასაც მეტყუოდა მეც იმას ვიმოქმედებდი. ამაყენებდა, გამგზავნიდა, რასაც მეტყუოდა მამატანინებდა, მალაპარაკებდა, ერთის სიტყვით რასაც ნიბძანებდა, — ვასრულებდი, მაგრამ როცა ვკითხავდნენ მეორე დღესა, მე რასაც ესჩადიოდი აღარა მახსოვდა რა?.. მეორე დღეს დარეტიანებულივით დავდიოდი, რა იყო და როგორ? ვეღარაფერს ველარ მოვიგონებდი... მეორე დღეს რომ გაფილვიძებდი ძალიან ცუდათა ვხდებოდი: თავბრუ მეხვეოდა ხოლმე, აღარც სწავლის თავი მქონდა და აღარც არა სხვისა, გაბრუნებული დავდიოდი ხოლმე. გაკეთილებსაც ვეღარ ვამზადებდი... მეც არ ვიცი რათა, მაგრამ ძალიან ცუდათ კი ვხდებოდი! ძლივს დაეახწიე თავი...

მე ვერ მივხვდი ვანიას შადურის ტიტინს, შიპნოტიზმისა და შთაგონებისა არა რა გამეგებოდა რა და აბა რას მოვიმხრებდი. შევსწუხდი ვანიას შეწუხებაზე და მხოლოთ ამის თქმა მოვახერხე: ნაშ კარგათ გიდექნია, რომ გარდასულხარ! ამასთან დარიგება მივეცი, რომ ყველა მაგისთანა ჯადოქრობას მორიდებოდა.

არ ვიცი ეხლა ვანიას ახსოვს რამე ამ გარემოებისა, (ოცდა ათმა წელმა განვლო მის აქეთ) შეუძლიან ამ სიტყვების განმეორება თუ არა? შიპნოზს თურ-

მე ისეთი თვისება აქვს, რომ რადგანაც ბურანში ვერ ერკვევა ადამიანი და უნებურათ ძალი მიხდელი მოქმედებს—არც არას თურმე დაიხსომებს.

შესაძლებელია ვანიას ეს სიტყვები არ ახსოვდეს, მაგრამ მე კი, არამც თუ ეს ვანიას ნათქვამი სიტყვები სინამდვილით მახსოვს, ის ოთახიც თავის მოწყობილებით სადაც ჩვენ ვისხედით ამ ლაპარაკის დროს, თითონ ვანიას სახე თავის ბავშვური ბუზღუნით—როგორც გუშინდელი დღე ისე სინამდვილით მახსოვს.

ვანიას ყმაწვილური, გაბუტული სიტყვების კილო: „ძალიან მაწვალებდა!“ უფრო ჩამეჭრა.

ეს ყველა ჩემი მოხსენებელი გარემოებანი ერთს საცერში რომ მოვაქციოთ, ერთს ავანდასტაში დავნაყოთ, ეს გამტკიცელი და განონაწერი შესაძლებელათ ჰყოფს, რომ როდესაც ვანიას ტფილისში სანდროსთან დავტოვე, მაშინ შეისწავლა სანდრომ ვანიას ბუნება. იმ დროს ვიღაც ფელტმანი იყო ტფილისში, რომელიც ყველას აკვირებდა თავისი სენსებით და მთელი ქალაქი ალაპარაკა. ვანიას სიტყვები: „შემილოცავედა და დამძინებდა ხოლმეო უნდა ვიფიქროთ, რომ მაშინ სანდრო თავის ძალსა სკდიდა ვანიას ნერვებზე, შეისწავლა იმისი ბუნება და როდესაც დარწმუნდა, რომ ვანია იმისი გამოსადეგი იარაღი, შეიძლება გამხდარიყო, მაშინვე შეარდგინა თავისი მოქმედების გეგმა. „მინდოდა მოესულეოთ შენთან და ვანია ვერ ჩავიგდებ ხელში“ ეს იმასა ნიშნავდა, რომ უვანიასოთ არც ესაჭიროებოდა ჩემთან მოხველა.

ვანიას ძმა ლევანი, ეხლაბანს დავაგაკაცებული შენხედა. სიამოვნებით მივესალმენით ერთმანერთს, მოვიგონეთ ის დრო, როდესაც ბაღლობაში ჩემთან იყო და სხვათა შორის ვკითხე: რათ მოიქცა ისრე უკნაურათ იმისი ძმა ვანია, ახალციხიდან ისრე უტყვართ და უდროვოთ რათ ვამოიტაცა?

— მაინც რა იყო მიზეზი შენის წაყვანისა?

— აბა რა ვიცი! მეცა მიწყინს, რომ სწავლას მომაცდინა. ვერა გავიგე რა: რათ მოიქცა ესრე? რომ მიეყვანდი რამდენჯერმე შავეკითხე: რისთვის და რათ მიეყვარ? მე უბლა ვნანობ, რომ უფროსის იმის ბძანებას მიეყვე, მაშინ პატარა ვიყავ და აბა რას ვიქნოდი.

მე აქ ჩემს თავს ნებას ვაძლევ, რომ ჩემი ეჭვი წარმოვსთქვა: შესაძლებელათ მიმაჩნია, რომ ვანია შიპანოვის ძალით შთაგონებული, განგებ იყო ჩემთან მოგზავნილი. მაგრამ რადგანაც შორი-გზა გამოიარა (300-400 ვერსამდენ) და რამდენიმე დღე-ღამე გზაში დაჰყო, უნდა ვიფიქრო, რომ შთაგონების ბურანი წელსუსტდა და ამიტომ ველარ შესძლო შთაგონებული აზრები განეხორციელებინა. ჩემი დაკეტილი ოთახის კარებთანაც მოვიდა შემოსასვლელათ (საბუთი მაქვს: ერთხელ გავიგე კარებს ვიღაც მოაწვა, მე ჯერ არ მეძინა, წავებნაურე, მაგრამ არ გავაღე. შემდეგში მანამ ვანია იქ იყო გოგოს აღარ ვინდობდი კარების დაკეტვას—მე თითონა ვკეტდი. სულ მოუსვენრათ ვიყავ). თურმე ბედისაგან არა ვყოფილვარ განწირული! ნება მაქვს ასე ვიფიქრო?... არა?!..

ქალ. მანასეინისაჲ მკადფიოდ დამიხატა, რომ ამ გვარი მოქმედება შესაძლებელია, მაშასადამე თუ შიპანოვის მყოფი ადამიანის შთაგონება შეხაძლ-



ბედია და თუ ჩემგან აღნიშნულ გარემოებით ერწმუნებით, მაშინ ჩემგან წარმოთქმული ეგვიპტი უსაფუძლოთ არ უნდა მიიღოთ. ამ გვარს მკვლევრობას სხვა ახსნა არა აქვს: ალოშკას უბრალო სისხლი ჩვეულებრივით არ დაიღვარა, სხვანაირათ საიდუმლოებით მოცული კანონის ძალა მოქმედებდა; უბედური ვანია კი მხოლოდ იარაღით იყო მოხმარებული, უსულო ტიკინასავით მოქმედებდა.

„ჭიპნოზის დროს შთაგონებათა შესახებ მთელი მწერლობა შესდგა.— ბრძანება ქალ. მანასეინისა, მაშ ვიწმედოვნებ, მწერლობა ამ იშვიათის ნიმუშითაც შეამსებს თავის საღაროს!...

როგორც ქალ. მანასეინისა მიხედვს, შთაგონების ძალას მეცნიერნი მიხედვდრიდნენ და ბევრი მათგანი დიდ ყურადღებასაც თურმე აქცევენ. ჩემისთანა უკოდინარებთან კი ჯერ-ჯერობით იმის მეტს ვერას მოუხწევია, რომ საზოგადოათ ღინანები, მძინარეები, ნერვებ შერყეული ახალგაზდები არიან შთაგონებისთვის ვარგისნი. ეს ჩამოთვლილი ყველა ზნეობანი ვანიასა სჭირდა და იმისი ბუნება საუკეთესო ნიდადათ უნდა ჩათვლილყო ჭიპნოზისათვის.

მძიმეა საგანი ჩემის მოთხრობისა.... ამისთანა მძიმე ბრალდებულობის წარმოთქმა ნერვებს მიშლის, დღე და ღამე მოსვენებას მიკარგავს!... სისხლის სამართალში ვაძლევ იმას, ვინც ქართველობამ თავის საუკეთესო შეილათ იღიარა.... ვანა შეიძლება ადამიანის შეილმა ამაზე მძიმე წუთები გამოიაროს!... ცრენლით ვეაჯვები იმ ხიმართლის ძალას, რომელსაც ტეშმარიტება ეწოდება და მე ასე ამიყოლია, რომ ბოლომდენ მომცეს ძალა ვსთქვა ის, რაც ჩემს წმინდა მოვალეობად მიმაჩინია... ტანში ერთხანტელი მივლის... ერთის მართლის ადამიანის სისხლის ძიების დროს, მეორის პალაჩათ გარდაცქეულებარ.... საშიშნელი და გამოუთქმელი გრძნობაა!...

ადამიანის გამართლებას ერთი სიტყვა ზღომებია და გამატყუნებას ათასიც არა ჰყოფნის! დავალე მსმენელი ერთის და იგივე აზრის სხვა და სხვანაირათ ზომით და ტრიალით, მაგრამ რა ვქნა, რომ ამისთანა რთულის საქმის გარდმოცემა მოვალეთა მხდის: „ასჯერ გაეზომო, ერთხელ გამოვსტკრა.“ რე თითონაც ვუძღურდები ამოდენა ღელვით, იშვიათის გარემოებათა მოგონებით, მაგრამ რა გაეწყობა.... მოტირალმა უნდა იტვიროს, მინამ გულს მოიოხებდეს, მანამ ცრენლი შეასრება....

....საკმაოდ აშკარად გამოიჩინა ყველა გარემოება, მოქმელის გატყვევა და დამალვა ველარ მოხერხდება. აქ საჭიროა სიმწვიდე და მიუღვამლობა როგორც მოქმელისთვის, ისე განგონისთვისაც მისთვის რომ სისწორით შეივინონ საქმის სინამდვილე.

თავი მათი.

ახლა სხვა მხრივ შეუდგეთ მსჯელობას. შემოვიფარვლოთ სანდრო: ჩამოვაცალოთ ლიზაები, ალოშკები და ვანიაები, წარმოვიდგინოთ ის მარტივით, დაუხლოვდეთ იმის ფსიხოლოგიას, შეესტვრეთ იმის ტერქში, ჩვიხედოთ იმის გულის სიღრმეში, უფრი დაუგდით იმის სულიერს საბჭოს, შევივინოთ იმის სულის მოძ-

რობის წყაროები, იმისი სულის კვეთების მიზეზები და მხოლოდ მაშინ მოვახ-
დნოთ დასკვნა.

დაბადებიდანვე სანდროს ვინაობა და გარემოება, იმისი სწავლა—განათ-
ლების სივრცე და სიდიდე, ზნეობის მიმართულება და ცხოვრებაში ბრძოლის-
თვის ვარგისობა შევიტყუეთ და ეს ყველაფერი ხომ ზემოთვე გვაქვს აღწერული,
და მაშასადამე მოჩხუბარიძის სურათი საესეებით შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ.
სანდრო ჩვენ ბედნიერათ აღვიარეთ და ამ სიტყვების სინამდვილეზე, ბოლოს
უფრო დავრწმუნდებით.

რასაკვირველია, მოჩხუბარიძის სურათის საესეებით წარმოსადგენათ საქი-
როა, ყველა ნანახი და გაგონილი (აქ აღწერული) მეხსიერებაში უნდა შევირ-
ჩინოთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ.

სანდროს ყველაფერი ხელს უწყობდა: შეძლებულის ღენერლის დედის-ერ-
თა შვილი, გუბერნანტების და გუვერნიორების ხელმძღვანელობით აღზდილი,
ფუფუნებაში გაზდილი, თვალტანად სასიამოვნო, ჯერ კიდევ ყმაწვილი კაცი,
კარგის ოჯახის შვილი—ერთის სიტყვით, რაც კი რამ მაღალ საზოგადოებაში
ტრიალისთვის საჭიროა, ყოვლის ღირსებით შემკული იყო გარეგნულით. ამო-
დენა ღირსების პატრონს აღამიანს, სადარბაზოთ გზები ყველგან ვახსნილი
ჭკონო და მაშასადამე მაღალ საზოგადოებაში შეძლო საპატოო ალაგი დაეჭი-
რა. ღმუხედავით ამისა, ამისთანა ბედნიერათ შეხამებულის ღირსების პატრონ-
ყმაწვილმა კაცმა, მაღალი საზოგადოების შეება—ლხენა უარ ჰყო: წმინდა მათ-
დის სერთუკის მაგიერათ მეცხვარის ფარაჯა წამოიხსნა, ნახის წკებლის მაგიე-
რათ მწყემსის კომბალა-ჯობი აიღო ხელში და მეცხვარეობას შეუდგა! ამაზე მე-
ტი ვმირობა ვის გამოუჩენია? „იმიტომ, რომ მუშა გლეხების ქირი და ვირა-
მი განიზიაროს, სწენიოს, იგემოს იმათი გაქირვება და შემდეგ საზოგადოების
გადმოსცეს—განუზიაროს.“ (იხ. „მწყემსის მოგონება“ ტომი IV)

1880 წ. ამისთანა ელფერით წარმოზღვა საზოგადოების წინაში (ამ დრომ-
დინ ნათესავეებს ვარდა საზოგადოება სრულებით არ იცნობს).

მართლა რომ დიდი სიამოვნება ვიგრძენით! უეცრათ, მოულოდნელათ ნი-
ქიერი და ენა წყლიანი მწერალი სასწაულებრ მოგვევლინა. მწერლობის ჯილა
დადგმული, დიდებულათ წარმოზღვა საზოგადოების წინაშე!... ბუნებით კეთილ-
ნი-ქართველობა აღტაცებაში მოვიდა: აღიარა თავისი საუკეთესო შვილათ და
მწერლის წინაშე ქალით-კაცამდენ „უკუდგეს და თაყვანი სცეს!“

პირველად მწერლის სახელი მოიხვეჭა „ელგუჯათი“ ამ ბრწყინვალე გამარ-
ჯებამ მოჩხუბარიძე აღაფრთოვანა, იდელოთ სახელის მოხვეჭამ—თავბრუ დაას-
ხა და უკან მიუხედავით, სულის კვეთებით მიისწრაფებოდა თავის ბრწყინვალე
სახელის სამუდამოთ შესარჩენათ.

მართალია სანდროს წერა უყვარდა, მაგრამ ცოდნა და მწერლობის ნი-
ქი—ხელს ვერ უწყობდნენ. ყველასთვის ცხადია აბდაზუღათ დაწერის და სახარ-
გებლო მოძღვრების ჩახაწერის სება და სხეიობა. საბრალოს უყვარდა წერა, მაგ-
რამ იმისი ნაწერები, უფრო მეტი მესტიკირული, უთავბოლო ლექსები იყო (ვინც



მოისურვებს გადათვლიერებას მიწარტოს წ. კ. საზოგადოებას სადაც იმისი ხელწერა იხანება).

მწერლობაში სანდრო შედრებოდა მშვიერს და მწყურვალს, რომელიც გრძნობს სიმშვილ-წყურვილის წიახზოვნილებას, მაგრამ ძალ-ღონე არ შესწევს იმის მოსაპოვებლო... მაგრამ, ღმერთი იმისკენ არის! ეს ცოდნით ვლახაკი ადამიანი ბედნიერია! ბუღმა გაუღიმა.... ეს დამწველი ადამიანი ერთს ტიელ-ობერს, უპატრონოთ მიტევებულს უღაბნოში, უცერთ წააწყდება გემოვნებით და ხელოვნებით შეზავებულს გაშლილს სუფრას! რაკი რომ მშვიერ-მწყურვალმა სასმელ-საქმელი უზვათ დინახა და არც არაფერი უწლიდა შესძლონიყო, ისიც რასაკვირველია შეაძდა! არც არავის ერიდებოდა და არცა სცხვენოდა. ადამიანის თვალი ხარბია: სკიპს და სეამს ვინამ შეუბლიან, ლამის ზედ უნდა შეასკდეს! დამწველი ადამიანი ვერც იმას მოიაზრებს: ვაინე არ მაწყინოსო, ვერც იმის გარჩევაში შევა, რომ ადვილათ მოსანელელები საზრდო მიდიოს და მძიმეს თავი დაანებოს. საზრდოს მოუნელებლობას მაშინლა იგრძნობს, მიხედება, როდესაც სიმშვილს და წყურვილს დაიკმაყოფილებს.....

ეს უბრალო შედარება ნურავის გაუცვირდება: სწორეთ ასე დამწველი იყო სანდრო, როდესაც უღაბნო—სტეფანწმინდას დიმიტრის განჯინას წააწყდა.... მიიხედ მოიხედა და როდესაც დამწველი არავინა ნახა, ისე მწიგნობარა, როგორც თითონა სტრდა. საღებდროთ ყველა ოჯახიშვილები შემოუფანტულეები იყენენ (ალოშკის რას შეპოვებოდა!). ჩვენმა მწყემსმა მოჩბუბარიძემ იმდენი სიფაქიზე ვერ გამოიჩინა, რომ იმის სჯაში შესულიყო: რომ სხვის ხელწერილების დასაქუთრება სხვისი უფლებების შელახვა არის და მაშასადამე ისეთი ბოროტ-მოქმედება, რომელიც არ მიეტოვება რიგიან ადამიანს. იმდენი რაინდობა, ვაეკაცობა ვერ გამოიჩინა, რომ ხელწერილების განოაშკარავება ენამუსა..... თავ-განწირულებათ ჩასთავალა?!...

ამისთანა მოქმედებას ხელი შეუწყო საიდუმლოებით მოცულმა გარემოებანაც. ეს საზოგადოებისადმი ძმობისა და სიძარტლის მქადაგებელი მწერალი (როგორის საბითაც 80 წ. წარმოვედივა) თავისი გამხეცებული მადის მონა შეიქმნა: შიოდა, ნაობრალს სუფრას წააწყდა და თავისთვის არხინათ შეეცა; წყურვილი ახრიაბდა, მთის უღაბნოში ნახა, რომ ანკარა წყალი ჩამოქუჩხუბებდა, დაეწაფა და თავდავიწყებით სეა, მანამ შეიძლო, მანამ წყურვილს მოიკლავდა. ამ შემთხვევაში მოჩბუბარიძე გეგბატება იმისთანა კაცათ, როგორებსაც უოველ დღე ვხედავთ. აქ საგანგებო არა არის რა: ხორციელმა ადამიანმა თავისი ხორციელი მოთხოვნილება დააკმაყოფილა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ ხორციელმა დაკმაყოფილებამ, საბრალოს, სულიერი შფოთვა და ზნეობით გაბრწინება მიანიჭა..... თუმცა ადამიანის ბუნებაში ბევრი მხეცური ინსტიქტი მოიპოვება, მაგრამ ღვთიღროც ხომ არის: სეინდისი! სეინდისი... სეინდისს გარდაუღდა!...

დიმიტრის ნაობრალი განძით, სანდრო წარზდა, საზოგადოების წინაშე.... (ეს ნამდვილი ფაქტია.) დიმიტრემ სწერა, შინახა, ციკს ნიავს არ აკარებდა, კრძალვით და მოწინებით მხოლოთ პატარა ნიმუში ნიანოდა საზოგადოებას

(იხ. „კრებული“ 1872 წ. №№ 10, 11, 12) ვნახოთ რას იტყვიანო? (ეს პატარა სტატია „მევენე სულეში“ შეღუმენელოთ დარჩა და ამ უბედურმა ნაბიჯმა ისეთი გაუბედავს უფრო გაუძნელა სხვა მოთხრობების დაბეჭდა). მოჩხუბარიძემ კი უხვი საშხადისით დატვირთულმა „დროების“ რედაქციაში მოიკალათია, საჯაროთ სწერა და ბეჭდა შინამ მოიჭანცებოდა. მოჩხუბარიძემ ოთხ-ხუთს წელიწადში იმდენი მოთხრობები დაბეჭდა რამდენსაც უფრო მეტი მწერლები 10-სა და 20-ს წელიწადს ვერ დასწერენ. იმან ისრუ გაიფარჯინა საქმე, იმისთანა ხელისნათ აჩვენა საზოგადოებას თავისი თავი, რომ ამ უკანასკნელს სჯეროდა ნიჭი და შემოქმედობითი კალამი მოჩხუბარიძისა საქსოვს წინდისავეთ ჯიბით ატარებდა თავის მოთხრობების მისალას: ლაბარაკის და განვაშის დროს, ყველგან სადაც წებედებოდა არხენით მიჯდებოდა და საქმობდა. თვლით აჩვენებდა ყველას, თითქოს დასამტკიცებელით, რომ იმისი საკუთარი ნაწერია, და ეხლაც ბევრს მნახველს უყვიოს იმისი მწერლობის ნიჭი. „საკვირველიაო—საზოგადოებაში გაისმოდა, ცოდნით დაქვეითებულია, ხან დახან ორს სტრიქონს შრიონით ვერ დასწერს და ჩემის თვლითა ვნახე რედაქციაში „ელგუჯასა“ სწერდა“ და სხ. მაშ მებრამეტე საუკუნეში მართო ერთი სასწაული ვნახეთ? უკოდინარმა, უსწავლემა, ცოდნით სავსე მოთხრობები სწერა, ...ხედაპირათ მართლა რომ საკვირველია!....

მე აქ ვაჭებ, ვეთაყვანები, იმის უნარს, მაგრამ ყველასთვის ცხადია, რომ ამისთანა გადაჭარბებული შეუბოვრობა მსწენელის და მკურნებელი საზოგადოების უპატივცემლობაა, იმათი კისერზე გადავდებია, თავებლობაია!...

რადგანაც ჩემსა და ჩემს მოსაუბრეს შორის საიდუმლოთ აღარ ითვლება ის ქეშმარიტება, რომ დიმიტრის ხელწერილები მოჩხუბარიძემ შეირჩინა და დაისაკუთრა მაშ ეხლა პირდაპირ შეგვიძლიან ჩვენის აზრის გამოთქმა. თუმცა მკვდრის გაცატცვა ყოველ შემთხვევაში მეტისმეტი უსყინდისობაა, წარმოდგენითაც კი აღამიანს ერუანტელი უელის... მაგრამ მაინც იმ ხელწერილების შერჩენას მე, ჩემის მხრით მიუტყებდი, რადგანაც მაღიან დარბს, ხიმდიდრემ თვლი წასტაცა; მე უფრო ის გარემოება მიმაჩნია დიდ დანაკლისათ, ის წარმოდგენა, რომ მოჩხუბარიძემ დიმიტრის ნაოხრალი ხელწერილები მგონიან, სისრულით, თავისი ელფერით ვერ დაბეჭდა და რაც დაბეჭდა ისიც დაახაზიჩრა, დაჯიჯგნა. დეე დაბეჭდა ისე როგორც ბედმა არგუნა, გინდა რომ თავისი სახელითაც!... მე არ შემძლიან გამწვავებულის გრძნობით ეს გარემოება არ უსაყვედურო უარესზე უარესობა კიდევ ის მოახდინა, რომ ბევრი დაფანტა, მოხპო! ეს მოქმედებანი ჩაითვლებიან მოჩხუბარიძის მამაკედინებელ ცოდვათ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ საგანზე მომეფალი თაობა სჯა-ბაასს გააჩაღებს, მოქმედობას თავის მსჯავრს დასდებს და სიმართლით მიუწყავს იმას, რაც დამისახურა. რასაკვირველია წამხდარს საქმეს ამითი აღარა ვშველებ რა: რაც დიდიფანტა, ის მოისპო, რაც მოისპო ის მოკვდა!...

უსათუძელოთ არ მიმაჩნია ზემოხსენებული სიტყვები: დაახაზიჩრა, დაჯიჯგნა, დაფანტა, მოხპო.

დიმიტრისა და სანდროს შუა დიდი მთები იყო: ისინი ერთმანეთს არა-

დერში ჰგვანდნენ!... დიმიტრის შეთხუზულს რვეულებს სანდრო არანც თუ მამობას, მამისნაცულობასაც ვერ გაუწევდა. როდესაც წარმოვიდგენთ ამ ორის ადამიანის სურათებს: იმით სხვა და სხვა სწავლა-განათლებას, მიმართულებას ზნეობას და საზოგადოთ დიდ განსხვავებას ყველაფერში, მაშინ ჩვენი გული სინანულით აივსება იმ წარმოდგენით, რომ ხელწერილებმა ჩვენამდინ სისრულით ეერ მიაღწიეს. დიმიტრი ყოველი მხრივ ნასწავლი, განვითარებული კაცი იყო: მე როგორც დიმიტრის ვიცნობდი და იმისი დალაგებული სჯა-ბაასი მახსოვს (და სხვანიც ბევრნი იცნობდნენ), დარწმუნებული ვარ, რომ უფრო მძლიერათ გაშლიდა ფრთასა და ჩვენ ღარიბ ლიტერატურას საკმაოდ შეამსებდა და შეამკობდა. არ დასცალდა, თითონვე გამხდარიყო ავტორი თავისი ნაოხრალისა... სწორედ, რომ შესაძრწუნებელი საქმე მოხდა!...

დაფანტვა და მოხპობა ხელწერილებისა ძირიელ ადვილი წარმოსადგენია: თითონ ბინძური და დაუდევარი კაცი იყო და დაწყობა დალაგება ვერ ეხერხებოდა, „საწერ სტოლზე ისე იყო ყოველივე მირეულ-წორეული, ვეგონებოდათ პატარა ბაშეებს უთამაშნით აქ, უცელქნით და თავი ისე დაუნებებიათო.“ (იხ. „ივერია“ 1893 წ. №266), მართა მიმღნი-ეაკოცა კმაროდა და გამბრახებული მოსამსახურე ბიჭი, რომ დაუზოგავათ მოესპოათ ის მატყლივით აწეწილი ქალაღები.

სანდროს სიკვდილის შემდეგ თბილისში შეგხვდი ერთს ჩემს მეგობარს და დავიწყეთ მოგონება დიმიტრისა და საზოგადოთ იმის მიმართულებაზე. სხვათა შორის ერთი გარემოება გავკახსენდა:

— გახსოვს—მითხრა მოსაუბრემ—დიმიტრი, რომ საზღვარ-გარეთიდან მოვიდა, რა საბითა მოუთმენელათ ელოდა თავის წიგნებს?!

ბერლინიდან თავისი ავლა-დიდება—ბარგი, რომელიდაც საეაქრო ამხანაგობის (სიითფისთვის) საშუალებით გამოეგზავნა და კარგა ხანს დაუგვიანდა, საშინლათა სწუხდა დაგვიანებას: არ დამეკარგოსო და ძალიან ხშირათ სინანულს აცბადებდა, რომ თან არ მოიტანა. მე გაეხუმრე: გახუნებული სტუდენტის სურათუკის გარდა რა ძვირფასი ნიეთები შენ გელაგება, რომ ავრე საშინლათა სწუხარ დაკარგვას და ამითი მოსვენებას იკარგავ მეთქი?!... იმან მიპასუხა: „ისიც დაუმატე შეგ დაცივნვას, რომ დაგლეჯილ სტუდენტის სერთუკთან ერთათ მიღავია ძალიან საკირო და ჩემთვის ძვირფასი ხელწერილები, რომლებს დაკარგვაც ჩემთვის ძალიან სამწუხარო იუნება.“ შემდეგ იმისი სიხარულიც მოვიგონეთ, როდესაც შავი ტყავის კარგათ მოზდილი ჩემოდანი მოუტანეს.... საწვალი დიმიტრი! თავის ხელწერილებს ისე უფრთხილდებოდა, რომ არამც თუ არავის გვაჩვენებდა,—ხალხური თქმულობისა არ იყვეს—ცივ ნიავსაც არ აკარებდა!

რომ წარმოედგინა თავისი ხელწერილების ბედიღბალი, ან გაგიედებოდა ანაც თავს აუტეხდა რასმე....

დიმიტრის რომ ხელწერილები დარჩა, და მთლათ ერთიანათ სანდრომ მიითვისა—ეს ნამდვილი უტყუარი მოხსენებაა; იმავ სიყმაწვილიდგანეე, რომ დიმიტრი ნიშდევარი და დიდი მოტრფიელე იყო ძველი მთის ხალხისა, თემისა

და იმათი ჩვეულებისა—ესეც უტყუარი ქეშმირიტება არის, მამის მიცვლის შემდეგ რომ დიმიტრი დატრიალდა შინ და ცამეტი წელიწადი სულ მუდამ მთაში და მთის ხალხში ტრიალებდა და იმათ ჭირ-ვარამს იზიარებდა—ამასაც ყველა ნაცნობი და მეზობელი დაადასტურებს, მუშაობდა შეუქმნეველად, სცხოვრობდა ღარიბად, ასე რომ თავისი ცხოვრებით სრულებით არ ერჩეოდა მკვიდრ მოხვევისკან.

მოჩუბარბიძისათვის ძალიან ადვილი და ხელსაყრელი იყო, იმ ხელწერილების შითვისება, სადაც მთა და მთის ხალხის ჩვეულება იყო აწერილი. მოჩუბარბიძემ მარჯვეთა და დიდის მოხერხებით ისარგებლა, როდესაც საზოგადოების წინაშე წარბეჭა ამისთანა ნაყოფიერის სამზადისით და ამით უკვედაც ჰყო თავისი სახელი.

სხვა საგნებზე ნაწერით ვერ ისარგებლებდა: ვერ გაუძღვებოდა წინ, ლელოს ვერ გაიტანდა და ამასთან უცოდინარობა და ყალბი მზარეები უფრო ადრე იჩენდნენ თავსა. ინდენათ ჰკვიანი იყო, რომ თუ იმისთანა შეხვედა რამე, რასაც ვერ მოიხელებდა—მოსპო!

ეს ჩემგან წარმოთქმული აზრი საბუთიანათ მიმანია.

გვეს გარეშეა, როდესაც დიმიტრის ხელნაწერები მოჩუბარბიძემ ხელში ჩაიგდო, მაშინ უეკველია თითონაც არ იცოდა სისრულით რა ღირსების ხელწერილები იყო და ამათის დასტამბით რა საბელი მოელოდა. მხოლოდ ერთზე იყო დარწმუნებული, რომ დიმიტრისთანა დინჯი და ნასწავლი კაცი აბდა-უბდათ არას დასწერდა; იშკარია, რომ სანდრომ ზედმიწევნით იცოდა, (ეს დაამტკიცა თავისი ჰკვიით), რომ დიმიტრის ხელწერილები ჰქონდა, რომელითაც თავისი თვალის ჩინივით უფროხილდებოდა და მაშასადამე კარგები და გამოსადგეგები უნდა ყოფილიყვნენ. სანდრომ მუნებით ჰკვიანმა, მწერლობის მონატურმა და ზნეობით... გათასხირებულმა, მაგრა ჩასკიდა ხელი! ამ მოქმედებას ყველა გარემოებად ხელი შეუწყო.

თბილისში, რომ ჩამოვიდა ამ ვანძით, მაშინ არ იცოდა რა ჩამოიტანა ე. ი. იორიანალური მოთხრობება, თუ ნათარგმნი, ეს გარეგონება თითონვე აღიარა, როდესაც ნაცნობებში წაიმოსოქვა (იხ. Новое слово. 1898 წ. № 3427) უფ. I. ანბობს: „დავით ერისთავმა ნიბხრაო—ბრძანებებს ავტორი—ყაბუჯს 25-ზე მეტი ნათარგმნი პიესები აქვსო.“ „Он заявил, г. о. ყაბუჯემა—что действительно очень много перевел, (!!) даже не помнить (?) сколько именно, но что у него все еще в беспорядке.“ იგულისხმეთ! არც ერთი ნათარგმნი! (მარტო) ნათარგმნი და ორიოდე სტრიქონი რა ანგარიშში ჩასაედებია? მაშასადამე თითონაც არ იცოდა რა ელაგა ყუთში).

დიმიტრი დალაგებული კაცი იყო და როგორც მნახველმა და ვანჯინიდან გადმოშლავებელმა ალოწკამ შიანბო, რვეულები ცალკეაქე ჰქონია შეკრულებით. შემოთაცა ესთქვი, სანდრო ბედნიერე კაცი იყო: პირდაპირ „ელგუჯას“ წააწვდა და ძლევა ნოსილი, მოულოდნელათ პირველ ხარისხოვან მწერლების რანგში ჩადვა. სანდრო არ მოელოდა ამისთანა სხივებს: თითონაც დაითრო.

თავისი მოთხოვნების მშვენიერებით, აღფრთოვანებულმა თავდავიწყებით დაიწყო მუშაობა.

რალი თქმა უნდა, რომ შეჰყვია თავის მდგომარეობას, შეითვისა პირველხარისხოვანი მწერლის სახელი და თამამათ გამოიფურებოდა, თავი მოსწონდა, ცმუტკავდა, უხაროდა ამისთანა მოულოდნელი გამარჯვება.

გაამაყებულს და თავმოყვარე სანდროს კარგათ ესმოდა, რომ თავისი განსაკუთრებული მდგომარეობა აეაღებდა, რომ თავისი მშვენიერი დროზა მალლა სჭირიყო! მისთვის, რომ საპატიო ხარისში შეერჩინა, მნახველებს უნდა სწეენბიყო სპეტაკათ, თითქოს ქვეყნის ბიწიერება, სიმრუდე და ბოროტება არ მიჰყარებიაო. ამ აზრებით განსკვალული მოჩხუბარიძე მშვენიერათ ასრულებდა თავის რაღას: დღე და ღამე თავგანწირულებით მუშაობდა, ბედისაგან დანაგრულათ, მაღალ სულოვანათ გვეტყენებოდა.

წრეს გადასულმა სახელის მოხვეჭისთვის ნდომა-წადილმა, სულის კვეთებამ იმისი არსება შეარყია! იმის გულს დიდის ღელვით მუღამ ძაგა-ძევი ვაპქონდა, იმისი ნერვები დიდის აღიაქოთით ძალზე იჭიებობდნენ და დაწყვეტასა ლამობდნენ. ვაშმაგებული მუშაობდა, არ იღალბებოდა, რადგანაც ეს მუშაობა იმისთვის ტკბილი და თავმოსაწონი იყო: ეს აცოცხლებდა, ასახლოებდა. მაგრამ... იმისმა კმაყოფილებამ დიდს ხანს არ ვასტანა: თათი-ხუთი წელიწადი და შემდეგ კი.... იმისი მდგომარეობა ვასაძაგლდა! იგრძნო, რომ საღარო უღარიბდება, თითონ უძღურდება და ნელ-ნელა ნიადაგი ეცლებას... აზროვანმა მწერლობამ სენდროს გაუღვიძა, და უწყალოთ ქეჯნა დაუწყა.... ადვილათ მოხვეჭილმა ბრწყინვალე მწერლის სახელმა დააეალა ზნეობით გასუფთავება, მაგრამ გვიანდა იყო!...

ამისთანა გარემოებით შებოქილმა საწყალმა სანდრომ შეოთვა დაიწყო, მოსვენება დაჰკარგა, აქა იქა აწყდებოდა. უსაქმოთ და უმზნოთ ბათუმ-ქუთაისში, ქართლ-კახეთში დაიარებოდა.

როდესაც პირველი წლების აღტაცების ბურანიღვან გამოირკვა, ოცნება როდესაც ვანჭრა და სინამდვილეთ შეეცვალა, თითონ მარტვით, თავისი ცოდნით და ნიჭით დარწა, მაშინ საფრთხეში იგრძნო თავი: ჯერ კიდევ ყმაწვილს, მწერლობა უნდა განეგრძო და ისეთი მომზიბლავის კალმითაც, როგორც მკითხველი საზოგადოება ნიაჩქია. დიახ, მაგრამ... მარტო წადილით რას ვახდებოდა: საფანელი შემოაკლდა, მზა მასალა შემოეღია და ახლა კი.... „ცოდნა თანა ზდევს მცოდნესა, რაზომცა დაიარების; არც ცხადის ძალით წაერთმის, არც მალვით მოიბარების.“ (დ. გურამიშვილი) „კოკაში რაც იღვა, იგივე უნდა წარმოღენილიყო.“ სანდრომ იგრძნო თავისი სახიფათო მდგომარეობა და სასოწარკვეთილებამი ჩავარდა... სწორეთ ამ დროს გულის შემზუთველს სურათს წარმოადგენდა: ბინძურათ ჩემული, შეშფოთებული ქუჩა—მაღაზიებში აქა იქა მოსიარულე. მნახველებზე ფუქსავატი, უსაქმო კაცის შთაბეჭდილებას ახდენდა.

იგრძნო თავის სახიფათო მდგომარეობა: სირცხელი, ვალვიძებული სენდროსი, საბრალოს სულს უხუთავდა. უკანასკნელს ძალ-ღონეს იკრფავდა, რომ საფლავის კარებამდენ მწერლობის ჯილით მისულიყო, ღელო ვაეტანა... ამას

მიღწევდა კიდევ, მაგრამ, ერთი მოუხეშავი, მხარბეკიანი, ჯიუტი გლეხი წინ ელობებოდა: ეს უწამლადა მუფდროებას... სანდროს არ შეიძლება დაეწყებოდა ის გარემოება, რომ მინამ ალოშვა შადური ცოცხალი იყო, მონაზარბიძის მწერლობის სახელი განსაცდელში იყო ჩაეარდნილი. ამისთანა უკიდურეს მდგომარეობაში მყოფს ადამიანს, რაც უნდა წრეს ვასული საქმე მოექმენდა თავის დასახსნელათ—ნიეტეება!

მე გრუანტელი მივლის ტანში, როდესაც წარმოვიდგენ სანდროს მდგომარეობას... ამ წუთისოველში რაღა დარჩენიყო საწყალს სანდროს, როდესაც იმისი მწერლობის სახელი დაეცემოდა? ვინც უნდა ყოფილიყო იმის ალავის, თუ თავის მოკვლას ვერ მოახერხებდა, მაშინ უთუოთ გაგეიდებოდა მხოლოთ ერთი საქმე ნისცემდა შვებას, ერთი გარემოება შეარჩენდა მწერლობის სახელს... ალოშვას სიკვდილი! მხოლოდ ეს იყო მისწრება იმისი ხსნისთვის!

სანდრომდენ მიამწია მუქარამ: „მე და სანდროს მარტო რევილვერები ჭაგვასწორებსო!“ და თუ რევილვერამდენ მივიდოდა საქმე, ხომ საიდუმლო გამოაშვარავდებოდა... მაშასადამე სხვა რამე უნდა ელონა, სხვა საშუალება უნდა ეხმარა...

აი სწორეთ ამ დროს დასკორდა ჭკვიანს და გამოცდილს მენავეს, თავისი უკანასკნელი ძალღონე მოეკრიფა და თითონვე დაესწრო იეროშით მისულა იმისკენ ვინც ლაგეარდოვან ცახე შავღრუბლათ ეჩვენებოდა!... პირველს ხანებში გათამამებულმა მენავემ ეს პაწია ღრუბელი თუმცა არარათ ჩაავდო, და ამაყათ მიაქროლებდა თავის კეკლუც ნავს, მაგრამ მხარბეკიან ბიჭთან შეყრის დროს თავისი თავი განსაცდელში იგრძნო: რაც უნდა ლალათ შეჯახებოდა მენავე ამ სალი კლდეს, მაინც სამარცხვინო დამარცხება მოელოდა... მაგრამ (ხომ აღვიარეთ) მონაზარბიძე ბედნიერი კაცი იყო და აქაც ბედმა არ უღალატა: მთარველ ანგელოზათ, უებარ წამლათ გარდაექცა ეანია შადური, რომელმაც ერთის მუჭა კარტეჩის საშუალებით შემუსრა თავისი მამა, სანდროს მტერი და იმისი ნაგი დედამიწის კიდესთან უგნებლათ მიიყენა...

სანდრომ საკვირველის მოაზრებით იმოქმედა და ძღვევა მოსილათაც გაიმარჯვა! მაგრამ ეს გამარჯვება იმის სულიერ დამარცხებათ გარდაექცა: ამისთანა წრეს ვასულმა ტრაგედიამ შემუსრა იმისი ძალღონე... სულით ავადმყოფი შეიქმნა! მე, ამითი ისე არ ვავთამამდები, რომ ექიმების დიაგნოზი უარვეყო-არა, მე მხოლოთ იმ ვარემოებათ აღვნიშნავ, რომლებიც ექიმებმა არ იცოდნენ; იმ მიზეზებს, რომლებიც ექიმებმა შენიშნეს იმის ორგანიზმში, ჩემგან აღწერილს მიზეზებთან საერთო არა აქვსთ რა და თუ იმის სუსტს ორგანიზმს ერთს მიზეზს მეორეც დაერთო—მით უარესი!

ხუ თუ ამისთანა აღშფოთებულს მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, შეიძლებოდა რო არ შეწლილიყო?!...

... ნთაში მომხდარ ტრაგედიას ესეთი ბოლო მოჰყვა: სანდრო ამ ამბების შემდეგ საგიეე სახლში შეიყვანეს და იქიდან ხომ... მკვდარი გამოვიტანეთ...

ვათავებ... აღარა მეთქმის რა... ეხლა მსმენელის საქმეა ამ საგანზე მსჯელობა და თავისი აზრის შერდგენა. მე მხოლოთ დამარჩენია სანდროს საავადმყოფოში ყოენა და იმისი უკანასკნელი წამების ანბის მოთხრობა...

ფინანსიური კაპიტალიზმის წინადადრის რუსეთ- სა და შვედეთში.

Слияние банкового и промышленного капиталов, в связи с образованием капиталистических монополий, сделало и в России громадные шаги вперед.

დახანი (1915 წ.).

წინასიტყვაობა.

ამ წერილების მიზანია უმთავრესად გამოარკვეოს რუსეთის ომის წინა-
დრის ეკონომიკის მდგომარეობა, ამ მხრივ საკითხის შესწავლას მრავალმხრივი
მნიშვნელობა აქვს. მოკლედ ეს მნიშვნელობა შემდეგ მომენტებში გამოიხატება:

1. უწინარეს ყოვლისა რუსეთის ეკონომიურ ლიტერატურაში ომის წინა-
დრის ეკონომიკა დღემდე ნაკლებად არის გამოკვლეული. მიუხედავად იმისა,
რომ ამ საკითხის შესახებ საერთოდ და კერძოდ სხვა და სხვა სამეურნეო-დარ-
გების გარშემო მრავალს სწერდენ რუსეთის ეკონომისტები (გოლშტეინი, ფინ-
ენოტაიესკი, ტუვან-ბარანოვსკი, ზაგორსკი, კაფენგაუზენი, ლევინი, ზიგი და
სხვ.) და ისტორიკოსები (პოკროვსკი, როჯკოვი), მაინც, ერთის მხრით, ყველა-
ზედ ნაკლებად არის შესწავლილი 1909—1913 წ.წ. სამრეწველო აღორძინების
პერიოდი, მეორეს მხრით კი დღემდე რუსეთის ლიტერატურაში სრულიადაა არ
იყო დასწული საკითხი რუსეთის ფინანსიური კაპიტალიზმის სისტემის შესახებ.
უკანასკნელ წლამდე არ გამოხატულა არც ერთი სერიოზული შრომა,
რომელშიც საფუძვლიანად ყოფილიყოს გაშუქებული საკითხი რუსეთის
სინამდვილეში თინამედროვე მონოპოლიურ კაპიტალიზმის წარმოშობისა და
მისი განვითარების მომენტების შესახებ. ეს დანაკლისი დღეს-დღეობით რამო-
დენადმე შეესებლები არის ანხ. ნ. ვანაგის აუცილებლად სერიოზული ნარკვე-
ვით. („Финансовый капитал в России накануне мировой войны“
1915 წ.) ამავე საკითხის დეტალურ განხილვას გეპირდება პროფ. ნ. როჯკოვი
თავისი შრომის („Русская история в сравнительно-историческом освеще-

ნიი*) მე-XII-ე ტომი („Последняя стадия в развитии мирового капитализма...“), რომელიც ჯერ-ჯერობით არ გამოსულა... ამხ. ვინაგის ზენოდ დასახელებულმა წიგნმა რუსულს პრესაში თავის დროზედ საინტერესო კამათი გამოიწვია. (იხ. „Вестник Коммунистической Академии № 11 და 12, 1925 წ.) ჭმათის მთავარ, შინაარს ჩვენ ამ წინასიტყვაობაში არ შევცხებით. ავღნიშნავთ მხოლოდ ერთს მთავარს მომენტს: ყველაზედ უფრო სადაო საკითხს რუსეთის ლიტერატურაში წარმოადგენს საკითხი მონოპოლიურ-კაპიტალიზმის წარმოშობის დროის, და მისი ხასიათის შესახებ რუსეთში. ანხ. მ. პოკროვსკიმ თავის უკანასკნელ შრომაში („Очерки по истории революц. движения в России XIX и XX в. в.“ 1924 წ.) პირველმა წამოაყენა ეს კითხვა და თავისებური პასუხიც გასცა. ამხ. პოკროვსკი, რომელსაც თავისებურად ესმის მონოპოლიური კაპიტალიზმის სისტემა, გადაჭრით სწერს, რომ ყველგვარი ნიშნები თანამედროვე იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმისა „უკვე გვაქვს მთელი მე-XIX-ე საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში და აუცილებლად კი მე-XIX-ე საუკ. 90-იან წლებში“. (გვ. 19). როგორც მკითხველი ქვეით დაინახავს, უინანსილო კაპიტალიზმის ეპოქა დასაბუთო ევროპისა და ამერიკაში იწყება მე-XIX-ე საუკუნოების მიწურულედბიდან და მე-XX-ის დასაწყისით. შესაძლებელი იყო, რომ კულტურულად და ეკონომიურად ჩამორჩენილ რუსეთს ეჩვენებინა თანამედროვე ევროპისათვის ვხა მონოპოლიური კაპიტალიზმისა და მისი განვითარების ფორმები? რასაკვირველია, არა. მთავარი შეცდომა ამხ. პოკროვსკის იმაში გამოიხატება, რომ იგი ლენინის კონცეპციიდან თანამედროვე კაპიტალიზმის შესახებ მხოლოდ ერთს მომენტს იღებს (მონოპოლია) და სრულიად უყურადღებოდ სტოევებს დანარჩენ ორ მომენტს. (1. წარმოების კონცენტრაცია და 2) საბანკო კაპიტალის შედუღება სამრეწველო კაპიტალთან). ამ ორ უნთავრეს მომენტს შეუძლებელია ადგილი ჰქონოდა მე-XIX-ე საუკუნის რუსეთის სინამდვილეში იმ საბით, რომ მონოპოლიური სისტემა რუსეთის კაპიტალიზმის მთავარ დასაყრდენ საფუძვლად გადაქცეულიყო. ფაქტი რუსეთში მონოპოლიური კაპიტალიზმის სისტემის განმტკიცების, უახლოესი დროის პერიოდს ეკუთვნის, როდესაც წარმოების კონცენტრაციამ და საბანკო კაპიტალის სისტემამ გადაამრული ადგილი დაიკირეს რუსეთის ეკონომიკაში. ამხ. პოკროვსკის ეს ძირეული შეცდომა საფუძვლიანად ვინაარკვია ნ. ვინაგმა. ავტორის აზრით, მონოპოლიური კაპიტალიზმის წარმოშობა ეკუთვნის რევოლიუციის (1905 წ.) შემდეგ ეპოქას, როდესაც საბანკო კაპიტალის შედუღება სამრეწველო კაპიტალთან უმაღლესს ხარისხამდე განვითარდა. ამავე დებულებას იცავს პროფ. ნ. როკოვიცი, როგორც ეს მისი შრომის მე-XI-ე ტომიდან სჩანს.

ჩვენ დასვებით ვიზიარებთ ნ. ვინაგისა და ნ. როკოვის დებულებას და ეს წერილიც უმთავრესად მათ დასკვნებზედ იქნება იგებული. აქვე გვინდა ავღნიშნოთ ამხ. ვინაგის შრომის ერთი საყურადღებო დეფექტიც. ავტორი თავის შრომაში უმთავრესად ებება საბანკო კაპიტალის სამრეწველო კაპიტალთან შესისხლბორცების (сращивание) საკითხს და ნაკლებად სცდილობს გამოარკვევის უახლოესი რუსული კაპიტალიზმის ხასიათი რუსეთის სიერთა ეკონომიური



სტრუქტურისა და საზოგადოებრივ-ეკონომიურ წყობილებასთან დაკავშირებით, ხარისხი და რაობა ფინანსური კაპიტალიზმისა ამა თუ იმ ქვეყანაში შესაძლებელი არის გამოკვლეული იქნეს მხოლოდ აღნიშნულ კითხვებთან ერთად.

2. ერთ-ერთ სადაო საკითხს მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის შეადგენდა და დღესაც შეადგენს შემდეგი კითხვა: იძლეოდა თუ არა რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა სოციალისტური რევოლუციის შესაძლებლობას. მენშევიზმა ამ კითხვაზედ უარყოფითად უპასუხა. აქედან წარმოსდგა მათი წმინდა წყლის ბურჟუაზიული პოლიტიკა კაპიტალისტური ურთიერთობის აუცილებელი განვითარების შესახებ. ბოლშევიზმა კი—დადებითად: აქედან წარმოსდგა ოქტომბრის რევოლუცია და გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა. რუსეთის ფინანსიური კაპიტალიზმის სისტემის გამოკვლევა შესაძლებლობას იძლევა ამ კითხვაზე სწორი პასუხის გასაცემად. თანამედროვე კაპიტალიზმში, კონცენტრაციისა და მონოპოლის საშუალებით, დაწინაურებულს ქვეყნებში უმაღლესად შეამზადა ნიადაგი სოციალისტური ეკონომიკის განსახორციელებლად. ეს კარგად ესმოდათ კ. კაუტსკის (1907 წ.) და რ. ჰილფერდინგს (1909 წ.). რუსეთის ეკონომიკა და იქ განშტკიცებული ფინანსიური კაპიტალი, კაპიტალისტური მეურნეობის საერთო ტენდენციების მიხედვით, ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენდა საერთო კაპიტალისტურ ეკონომიკის მთლიან ჯაჭვში. 1915 წ. ანხ. ნ. ლენინი სწერდა, რომ ეკონომიური ცხოვრების უსწორ-მასწორული (неравномерность) განვითარება კაპიტალისტური მეურნეობის ერთ-ერთ აუცილებელ მოვლენას წარმოადგენს (იხ. ლენინის მე-XIII-ე ტომი). მაგ. ამ უსწორ-მასწორობას კონკრეტულად გამოხატავს რომელიმე ქვეყნის ინდუსტრიის უმაღლესად განვითარება და სასოფლო ეკონომიკის ჩამორჩენილობა. კონკრეტულად ამის ხორკსხმულ მაგალითს იძლეოდა რუსეთის რევოლუციის წინაპრობის ეკონომიკა, როდესაც დასავლეთ ევროპის ფინანსიური კაპიტალის დახმარებით უმაღლესად განვითარდა ინდუსტრია, მონოპოლიურმა კავშირებმა და წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციამ ფართო ნიადაგი შეამზადეს უმაღლესი ეკონომიკისათვის წარმოების სფეროში, ხოლო სოფლის მეურნეობა ჯერ კიდევ პატრიარქალურ-ფეოდალურ ნაჭურჭში იღრჩობოდა და ბურჟუაზიული ურთიერთობის განშტკიცებისათვის იბრძოდა. ამგვარად რუსეთის რევოლუციის წინაპრობის ეკონომიკა ორი დამატრალურად საწინააღმდეგო გზით მიემართებოდა: ინდუსტრია გეგმა შეწონილ მეურნეობას მოითხოვდა, ხოლო სასოფლო ეკონომიკა ბურჟუაზიული ურთიერთობას ნატრობდა ფეოდალური ნაშთებისაგან განთავისუფლების მიზნით. ეს წინააღმდეგობა კაპიტალისტური მეურნეობის ერთ-ერთ დამახასიათებელ მომენტს წარმოადგენს. ამ წინააღმდეგობათა დადებითად გადაწყვეტა კაპიტალისტურ ეკონომიკისა და კაპიტალის ბატონობის პერიოდში შეუძლებელი არის. ანხ. ნ. ლენინის უდიდეს დამახმარებლას ისიც შეადგენს, რომ მან რეალურად დაინახა რუსეთის ეკონომიკის ეს გამოუვალი წინააღმდეგობა და შესაფერისი პროგრამა წამოაყენა პროლეტარული რევოლუციის გზით მისი გადასაწყვეტად. ლენინი ამბობდა: კაპიტალიზმი საერთო მასშტაბით უკვე შევიდა ღმობის და გახრწნის პერიოდში; საერთო-

შორისო ომმა განაიამყარა კაპიტალიზმის უფარვისობა და მისი დეგრადაცია. საწარმოო ძალთა ურთიერთობა შეუძლებელი არის განვითარდეს კაპიტალი-სტური მეურნეობის გზით. ამიტომ კაპიტალიზმის დარღვევა ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს წინმსწინაღობისა და ეკონომიური დაწინაურებისათვის. ჯერ კიდევ 1915 წ. მოგვცა ანხ. ლენინმა გარკვეული პლატფორმა იმის შესახებ, თუ როგორის გზითა და საშუალებით უნდა გაემარჯვა პროლეტარიატს საერთაშორისო კაპიტალზე. ამ პლატფორმის კონტურები შემდეგში გამოიხატებოდა: რევოლუციონურმა პროლეტარიატმა ერთს რომელიმე ქვეყანაში უნდა ჩაიგდოს ძალა-უფლება ხელში, მოაწყოს წარმოება საზოგადოებრივს ნიადაგზე და დაუპირისპირდეს კაპიტალისტურ მსოფლიოს ყოველგვარი რევოლუციონურის გზით. რუსეთი თავისი ეკონომიური პირობებით, ბუნებრივი-გეოგრაფიული მდგომარეობით და ფიზიკური ძალით ასეთი პლატფორმისათვის სწორედ მიზანშეწონილი გამოდგა. კერძოთ ფინანსიური კაპიტალის სისტემა რუსეთში, უმაღლესად კონცენტრაცია ქმნილი წარმოება ახალი, გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ძირითად საფუძვლად გადაიტკა და ამ დიდი ფაქტორის დახმარებით უნდა მოხდეს მსოფლო მეურნეობის გარდასვლა სოციალისტურს საფუძვლებზე კაპიტალისტური ურთიერთობის მიმე ტკივილების გვერდის ავლით.

3. ფინანსიური კაპიტალის სისტემის გამოკვლევას რუსეთში აქვს თავისი მესამე საინტერესო მხარეც. როგორც მკითხველი დაინახავს ამ წერილების თავშივე, თანამედროვე კაპიტალიზმში და იმპერიალიზმში მრავალგვარი ურთი-ერთობის ქსელი გააბა დაწინაურებულ სახელმწიფოთა და ჩამორჩენილ ქვეყ-ნებს შორის: ეკონომიურათაც და პოლიტიკურათაც ამ ურთიერთობას ახასია-თებს ის გარემოება, რომ უკანასკნელი ხდება პირველის ყოველმხრივი ობიექტი, დაწინაურებული კაპიტალიზმი ყვლეფს არა მარტო პოლიტიკურათ უფლება აყრილს და დამონებულ ერებს (კოლონიებს), არამედ საერთაშორისო უფლება-ში დამოუკიდებელ სახელმწიფოთ ცნობილ ერებსაც. აქ ისახება ა. წ. ნახევრად კოლონიალური ქვეყნების ტიპი. რუსეთი მდიდარი აღმოჩნდა თავისი ბუნებრივი დოვლათითა და ფიზიკური ძალით, მაგრამ ღარიბი ეკონომიურად—ტენიკითა და საწარმოო კაპიტალით. ევროპის ფინანსიურმა კაპიტალმა და იქ გამეფებულმა საბანკო სისტემამ, თავის საწველ ფურად გადააქცია დიდ-ტანიანი რუსეთის იმპერია და ფაქტიურად რუსეთის ეკონომიკის უმწვერვალესი სიმაღლები— ინდუსტრიის მთავარი დარგები—ინგლის-საფრანგეთ-ბელგია-გერმანიის კაპი-ტალისტთა კანტროლის ქვეშ აღმოჩნდა. რუსეთის საწვეურეო ცხოვრების ბედს ევროპის კაპიტალი განაგებდა და ბატონობდა. კითხვი იხადება: წარმოადგენდა თუ არა ძველი რუსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოს? თუ ამ კითხვას ბურ-ჟუახის საერთაშორისო უფლების საზომით განვიხილავთ—მაშინ რასაკვარ-ველია, რომ კი; მაგრამ საკმარისი არის ფორმალურ-იურიდიულ ნაქუპიდან განვათავისუფლოთ ეკონომიურ ურთიერთობის ძარღვები და საკითხი სამეურ-ნეო დამოკიდებულების სასწორზე გადავიტანოთ, მაშინ მათელი გახდება ჩვენთვის, რომ ძველი რუსეთი ტაპიურ ნახევრად კოლონიალურ ქვეყანას წარ-



ქართული
ენებისათვის

მოადგენდა. თუ ერთის მხრით რუსეთი თვით იყო იმპერიალისტური პოლიტიკის მატარებელი (სუბიექტი) და მახვილით დაპყრობილი ყავდა მრავალი ათეული ეროვნება, მეორე მხრით ევროპის ფინანსიურმა კაპიტალმა სრულიად მშვიდობიანის გზით თვით რუსეთი გადააქცია თავისი იმპერიალისტური მისწრაფების საექსპლოატაციო ობიექტად. ლენინმა 1915 წ. საერთაშორისო მისწრაფებით აღნიშნა ორგვაი ტიპი ნახევრად კოლონიალურ სახელმწიფოთა: ესენი არიან, ერთის მხრივ, აღმოსავლეთის ქვეყნები: ოსმალეთი, სპარსეთი, ჩინეთი; მეორეს მხრივ ევროპული ყაიდის სახელმწიფოები: პორტუგალია და არგენტინა. დღეს ჩვენ შეგვიძლია ამ სახელმწიფოთ მესამე ტიპი ნახევრად კოლონიალურ ქვეყნისა დაუშვათ: დიდ-ტანიანი ძველი რუსეთი, ნახევრად ბიუროკრატიული და ნახევრად კაპიტალისტური, თვით იმპერიალისტური პოლიტიკის სუბიექტი, მაგრამ იმავე დროს ევროპის კაპიტალის საწველ ფურად გადაქცეული სახელმწიფო. რუსეთის ფინანსიური კაპიტალის სისტემამ, ევროპის საბანკო და სამრეწველო კაპიტალთან ურთიერთობის კითხვის გამორკვევამ ნათელყო ეს სამარცხენო მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებოდა დიდი რუსეთი და მის ტერიტორიაზე მოსახლე ერები.

ოქტომბრის რევოლუციამ საზღვარი დაუდგა ევროპის კაპიტალის სამარცხენო ბატონობას რუსეთში მოსახლე ერებზე. აქ სწინ ოქტომბრის რევოლუციის უდიდესი ნაციონალური მნიშვნელობა (ჩვენ არას ვამბობთ მის საერთაშორისო მნიშვნელობაზე) არა მარტო დაჩაგრულ ერებისათვის, არამედ თვით რუსის ხალხისათვის. პროლეტარიატმა გაანთავისუფლა რუსეთში მოსახლე ყველა ერების სამეურნეო დოვლითი უცხოელთა ბატონობისა და ყველფისაგან და ერების საწარმოთ ძალები ნაციონალური ელემენტის—რევოლუციონური პროლეტარიატის ხელში დააგროვა. მე აქ ვხედავ წარმოების ორგვარ ნაციონალიზაციას: წარმოების ნაციონალიზაციისა ის, როდესაც მურნეობა თავისუფლდება უცხოელთა ბატონობისა და უფლებისაგან, ნაციონალიზაციისა ისიც, როდესაც ეს წარმოება სახელმწიფოში გაბატონებულ პროლეტარიატის ხელში გადადის.

თავი პირველი

ფინანსიური კაპიტალი ომის ფინანსროის მხრობაში და მისი ბასიოტი.

1. ფინანსიური კაპიტალის წარმოშობის საკითხი.

კაპიტალიზტური მეურნეობის მოწარმეობა, მე-XIX-ე საუკუნის მიწურულები და მე-XX-ე საუკუნის მოწარმეობა, უკუნის დასაწყისი კაპიტალიზტური მეურნეობის ისტორიისათვის განსაკუთრებულს ინტერესს წარმოადგენს. ამ ხანებში ევროპისა და ამერიკის მოწინავე ქვეყნებში ძველმა სამრეწველო კაპიტალიზმმა ადგილი დაუთმო კაპიტალიზმის შემდეგ საფეხურს:—მოხდა, ასე ვსთქვათ, მოწარმეობა კაპიტალიზტური მეურნეობისა.

მარქსისტულმა ისტორიო-გრაფიამ თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების წარმოშობის და განვითარების ისტორიაში შემდეგი უმთავრესი მომენტები აღნიშნა: პირველი პერიოდი, მე-**XVIII**-ე საუკუნის ნახევრიდან ვენის კონგრესამდე (1815 წ.), რომელიც შეიძლება აღინიშნოს როგორც ახალი ევროპიული საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის ეპოქად, ხასიათდება რევოლუციით ტენზიკის სფეროში (სამრეწველო გარდატეხა) და მსხვილი მანქანური წარმოების წარმოშობით*) მეორე პერიოდი (1815—1848) ხასიათდება რევოლუციით ტრანსპორტის სფეროში (რკინის გზები, ორთქლის ფლოტი). მესამე პერიოდი (1848—1871) ორთქლის ეპოქა-ეკონომიკურ სფეროში ორთქლის ტრანსპორტის განვითარებით, მსოფლიო ბაზრის გაფართოებით, აქციონერულ საზოგადოებათა ვაჭრულებით, ბანკების ახალ როლის წარმოშობითა და მათი ზრდით, საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში ფრიტრედერიზმის გამარჯვებით. მეოთხე პერიოდი (1871-მე **XIX**-ე საუკ. დისასრულამდე) იწყება ელექტრონის ეპოქით. მეხუთე პერიოდი-ეს არის ეპოქა ფინანსიური კაპიტალიზმისა (დაახლოებით მე-**XIX**-ე საუკ. დასაწყისიდან მსოფლიო ომამდე) ამ ეპოქის უმთავრესი ნიშნები ეკონომიკის სფეროში შემდეგში გამოიხატება: წარმოების კონცენტრაცია უმაღლესს წერტილს აღწევს, იზრდება აქციონერული საზოგადოებათა და მონოპოლიურ-კაპიტალისტურ ორგანიზაციათა (სინდიკატები, ტრესტები) რიცხვი, ხდება შესისხლბორცება საბანკო და სამრეწველო კაპიტალითა, ფართოვდება კაპიტალის ექსპორტი კოლონიებსა და ჩამორჩენილ ქვეყნებში, ისააგება სახელმწიფო კაპიტალიზმი. ამ პერიოდის შესახებ აიხსნა თავის შრომაში („გერმანიის მსხვილი ბანკების დამოკიდებულება ინდუსტრიისადმი.“) შემდეგს სწერს: „ერთ ქსელში მოქცევა სამრეწველო დაწესებულებებისა მათი ახალი შინაარსით, ახალი ფორმებით, ახალი ორგანიზებით, სახელდობრ: მსხვილი ბანკებით, რომელშიც ერთსა და იმავე დროს ცენტრალისტურიადც არის მოწყობილი და დეცენტრალისტურიადც, ხდება სახალხო მეურნეობის დამახასიათებელ მოვლენად არა უახლოეს 1890 წლებსა, შეიძლება თარიღი უფრო წინაც წამოეწიოთ და 1897 წელს დივსახელოთ; წელი, როდესაც ხდებოდა „გაერთიანება“ მსხვილ კაპიტალისტურ დაწესებულებებისა და ეს „გაერთიანებული“ დიდი დაწესებულებანი ქმნიდნ ბანკების დეცენტრალიზაციის პოლიტიკის ახალ ფორმებს. ამ თარიღის კიდევ წინ წამოწვევაც შეიძლება, ვინაიდან 1900 წლის კრიზისმა საოცრად დააჩქარა კონცენტრაციის პროცესი, როგორც მრეწველობის, ისე სამწყო დარგში. მან განამტკიცა ეს პროცესი. პირველად მაშინ იყო რომ მრეწველობასთან ურთიერთობა მსხვილ ბანკების მონოპოლიად გადაიქცა, კრიზისმა ეს ურთიერთობა ბევრად უფრო მკვიდრო და მლიერი გახადა.“

ამგვარად დასძენს თავისი მხრით **ნ. ლენინი**, — მე-**XX**-ე საუკუნე-ეს არის ის მიჯნა, საიდანაც იწყება ძველი კაპიტალიზმის ახალი შეცვლა, იწყება კაპიტალის ბატონობიდან საზოგადოთ-ფინანსიურ კაპიტალის ბატონობაზე

*) სამრეწველო კაპიტალიზმის ისტორიას დაწერილებით მკითხველი გაეცნობა პროფ. როტკოვის შრომაზე მე-**IX**-ე ტომზე: *Промышловый капитал в Зап. Европе и внеевропейских странах*.*

გადასვლა“ (ნ. ლენინი: იმპერიალიზმი...38) უკანასკნელი (მეექვსე) პერიოდი იწყება მსოფლიო ომით, როდესაც ფინანსიურ კაპიტალის განვითარება უმაღლესს ხარისხს აღწევს, ვითარდება სახელმწიფო კაპიტალიზმის ფორმები, როდესაც კაპიტალისტური მეურნეობა რღვევის პროცესში შევიდა და დაიწყო რევოლუციონური კრიზისის უდიდესი პერიოდი.²⁾

ამ გვარად ჩვენ ვხედავთ, რომ კაპიტალისტურმა მეურნეობამ შემდეგი უმთავრესი ფაზები განიარა თავისი არსებობის პირობებში: XVI—XVIII საუკუნეები, ეს არის ეპოქა საფაქრო კაპიტალის ბატონობისა; მე XVIII-ე საუკ. მეორე ნახევრიდან-მე XIX -ე საუკ. მიჯნამდე ხასიათდება სამრეწველო კაპიტალის ბატონობით, მე XX-ე საუკ. იწყება ფინანსიური კაპიტალის განმტკიცებით, ხოლო მსოფლიო ომი ხსნის კაპიტალიზმის დეგრადაციის პერიოდს.

პილფერდინგის შეცდომები კაპიტალისტური მეურნეობის მეცნიერული ანალიზი კ. მარქსის კალამს ეკუთვნის. მან მოგვცა უმთავრესად კაპიტალიზმის განვითარების ძირეული კანონები.

„კაპიტალის“ წინასიტყვაობაში (1867 წ.) მარქსი სწერდა: „ამ შრომის საბოლოო მიზანს შეადგენს თანამედროვე საზოგადოების განვითარების ეკონომიური კანონების აღსნა და ანალიზი იმ ცვალებადობათა, რომელთაც განიცდის ეკონომიური კატეგორიები ბურჟუაზიული ურთიერთობის პირობებში“. მაგრამ მარქსი სტოვიზმობდა და მოღვაწეობდა სამრეწველო კაპიტალიზმის პერიოდში. მისი მეცნიერული კვლევა-ძიების საგანი შეიქმნა უმთავრესად სამრეწველო კაპიტალიზმის სტრუქტურა და მისი ფორმება. თანამედროვე კაპიტალიზმა, რომელიც მარქსის შემდეგის პერიოდს ეკუთვნის, მიიღო სრულიად ახალი ფორმები; ეს ფორმები და თავისებურებანი მარქსის მეცნიერულ მოღვაწეობის დროს რამოდენიმე მხოლოდ ჩანასახის ფაზაში იმყოფებოდა და ამიტომ შეუძლებელია ისინი გამზდარიყვენ მარქსის კვლევა-ძიების სერიოზულ საგნად. მიუხედავად ამისა, ჩვენ დიუნახავთ ქვევით, რომ მარქს-ენგელსის ნაწერებში ზიელი რიგი დებულებებისა არის წამოყენებული, რომელიც ნათელს სხვის ფენენ თანამედროვე კაპიტალიზმის თავისებურ ფორმებს. ამ მხრივ მარქს-ენგელსის შემკვიდრეთ დასჭირდათ მხოლოდ გაფართოება მათი დებულებებისა.

თანამედროვე კაპიტალიზმს და მის ორგანიზაციულ ფორმებს უამრავი მკვლევარები ყავს, როგორც ბურჟუაზიულ ბანაკიდან, ისე სოციალისტურ წრეებიდანაც. გერმანიის ეკონომისტის ლიტერატურაში უახლოესი კაპიტალიზმის ფორმები დაწერილებით, ანალიზის საგანი გაადა. თვით სახელწოდება თანამედროვე კაპიტალიზმისა ლიტერატურაში სხვადასხვანაირია: მონოპოლიური კაპიტალიზმი, ფინანსიური კაპიტალიზმი, მოწესრიგებული კაპიტალიზმი, იმპერიალიზმი (ლენინი, კუნოვი); პროფ. ლითმანმა მას უწოდა ფასეულ ქალიღების ბატონობის კაპიტალიზმი. რასაკვირველია სახელწოდება უნდა გამოხატავდეს თვით კაპიტალისტური სტრუქტურის რეალურ შინაარსს.

²⁾ კაპიტალისტური საზოგადოების პერიოდიზაციის შესახებ იხ. ანხ. ლუკინის შრომა „Новейшая история Западной Европы“ т. 1 გვ. 7-11. 1923 წ.

ბურჟუაზიულ მკვლევართ კი არ ძალუძთ ჩასწვდენ კაპიტალიზტური ეკონომიკის სიღრმეში და სისწორით ასახონ კაპიტალიზმის განვითარების ძირეული კანონები. ასეთი „სისწორის“ ნებას მით არ აძლევს მათივე კლასიური შეგნება და ინტერესები. ამიტომ თანამედროვე კაპიტალიზმის ბუნების სისწორით ასახვა განგებამ წილად არგუნა მარქსისტულ მკვლევართ. ამ მკვლევარების გზაზედ მხოლოდ ორი-სერიოზული შრომა მოსჩანს. ეს არის რუდოლფ ჰილფერდინგის მსხვილ-ტანიანი შრომა „ფინანსიური კაპიტალი“ (1909 წ.) და ნ. ლენინის პოპულიარული ნარკვევი: „იმპერიალიზმი, როგორც უახლოესი ეტაპი კაპიტალიზმისა“ (1915 წ.)

ჰილფერდინგის შრომამ თავის დროზე დიდი გავლენა მოახდინა მარქსისტულ ეკონომიურ ლიტერატურაზე. „ფინანსიური კაპიტალი“ ვადაიქცა ერთ-ერთ საუკეთესო მეცნიერულ ნახელმძღვანელოდ თანამედროვე კაპიტალიზტურ მეურნეობის რთულ მექანიკის შესასწავლად; ეს წიგნი მარქსის კაპიტალის გავრძელებულ მეოთხე ტომად ითვლება. როგორც შემარჯებნე, ისე შემარჯვენე ერთა მარქსისტებისა ჰილფერდინგის მეცნიერულ დებულებებს ეყრდნობოდენ და მისი ანალიზით ხელმძღვანელობდენ თანამედროვე ეკონომიურ მოვლენების შესწავლის საქმეში. ლენინი თავისი ნარკვევის წინასიტყვაობაში ჰილფერდინგის შრომის შესახებ სწერდა: ...„ეს თხზულება წარმოადგენს ფრიალ ძვირფას თეორიულ ანალიზს „კაპიტალიზმის განვითარების უახლოეს ფაზისა“. 1916 წ. ამხ. კამენევი სწერდა: „ჰილფერდინგის ნარკვევების წმიდა-თეორიულ დანკნებს მრავალ რამეში ჰქონდათ, როგორც ამაში დღეს უკვე ადვილად შეიძლება დაერწმუნდეთ, წინასწარმეტყველური ხასიათი“. (И. Каменев: „Экономическая система империализма“ გვ. 13, 1916 წ.) ამ ბოლო ხანებში ჰილფერდინგის თეორიული ანალიზის წინააღმდეგ ამხედრდა კომუნისტური ლიტერატურა, როგორც რუსეთში, ისე გერმანიაშიც. ეს მიმდინარეობა, განსაკუთრებით იმპერიალიზმის პრობლემის საკითხში, ძირიანად უარყოფს ჰილფერდინგის ანალიზსა და როზა ლუქსემბურგის თეორიულ საფუძვლებზედ აპირებს დაყრდნობას. ერთ-ერთი კრიტიკოსთაგანი, ა. პლიეტკი, ჰილფერდინგის შრომის შესახებ სწერს: „ფინანსიური კაპიტალი“ თავისი პრინციპიალური შეცდომებით ხელს უშლის მარქსისტული თეორიული აზროვნების შემდგეს განვითარებას“. (И. Плиеткий: „Две теории империализма“. გვ. 119, 1924 წ.) ჩვენ არ შევდივართ საკითხის ფართოდ განხილვაში. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამხ. პლიეტკი ვერ ამჩნევს იმ გარემოებას, რომ ჰილფერდინგის მრავალი დებულებანი საფუძვლად უდებს ლენინის კონკეტკიას ფინანსიური კაპიტალის შესახებ, რომ უარყოფა ამ დებულებებისა არის არსებითად უარყოფა ლენინის თეორიისა თანამედროვე კაპიტალიზმის შესახებ. აქედან სრულებით არ გამომდინარეობს ის, რომ ჰილფერდინგის შრომა უცოდველი იყოს. მას აქვს მთელი რიგი შეცდომებისა, რომელთაც ჩვენ ქვევით შევხებით; მიუხედავად ამისა, ძალიაში უნდა დარჩეს ლენინის შეფასება ამ წიგნის შესახებ: ჰილფერდინგმა პირველმა მოგვცა ფრიალ მნიშვნელოვანი თეორიული ანალიზი თანამედროვე კაპიტალიზმის შესახებ და ამ უპირატესობას ჩვენ მას ვერ წავართმევთ.

რაში გამოიხატება ჰილფერდინგის შეცდომები?.. ერთ-ერთი საყურადღებო შეცდომა ავტორისა გამოიხატება ფულის თეორიის საკითხში. ეს შეცდომა თავიდანვე აღნიშნა კ. კაუტსკიმ, ხოლო უფრო ფართოდ მისი თეორიული საფუძვლები გამოაშკარავა 1920 წ. ამხ. ე. პრეობრაჟენსკიმ. მეორე ძირეული შეცდომა ავტორისა მის ოპორტუნისტულს მიდრეკილებაში გამოიხატება. დღეს ჰილფერდინგი ოპორტუნისმისა და რეფორმისმის საუკეთესო იდეოლოგიად ითვლება. ერთ დროს კი იგი მემარცხენე სოციალ-დემოკრატის სახელს ატარებდა.

მაგრამ მემარცხენე ს-დემოკრატ ჰილფერდინგის გარდაქმნა ოპორტუნისტად არ მომხდარა ყოფის ხელის დაკრით. ოპორტუნისმის ელემენტებს იგი უკვე ატარებდა თავის მემარცხენეობის პერიოდში. ეს მომენტი თავიდანვე შეიძინა ამხ. ლენინმა და, მიუხედავად შთავაზი დებულების მოწონებისა, ჰილფერდინგის შრომაში მაინც შენიშნა განსაზღვრული მიდრეკილება მარქსიზმისა და ოპორტუნისმის შეფუთვებისადმი. „იმპერიოლიზმი“.. (გვ. 11)

რაში გამოიხატება ჰილფერდინგის ოპორტუნისტული მიდრეკილება? ამ ოპორტუნისმის საფუძვლებს მე ვხედავ ჰილფერდინგის სოციალოგიურს მიდგომაში კითხვისადმი, თავისი შრომის წინასიტყვაობაში ავტორი სწერს: „არ შეიძლება არ ვალიაროთ ვალბად ის შეხედულება, რომელიც ყოველგვარ მიხვედ-მოხვედვას გარეშე ერთდაიგივეობას (ერთგვარობას) ზედავს მარქსიზმსა და სოციალიზმს შორის. მართლაც და, განხილული წმინდა ლოკუსის მართი, როგორც მეცნიერული სისტემა, ე. ი. დამოუკიდებლად მისი ისტორიული მნიშვნელობისა, მარქსიზმი წარმოადგენს უბრალო თეორიას საზოგადოების განვითარების შესახებ. ისტორიის მატერიალისტური გაგება იძლევა მის (თეორიის) საერთო ფორმულირაციას, ხოლო მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია იყენებს მას საქონლის წარმოების ეპოქაში. სოციალისტური დასკვნები არის მხოლოდ რეზულტატი ტენდენციებისა. ომენლიც იკვლევს გზას საქონლის წარმოებაზე აგებულ საზოგადოებაში“. ამგვარად ჰილფერდინგისთვის მარქსიზმი არის მხოლოდ თეორია საზოგადოების განვითარების შესახებ და ამ მოძღვრებაში არ შედის მარქსისტული რევოლუციონური სისტემა, როგორც მისი განუყოფელი ელემენტი. ეს უკვე წმინდა წყლის ოპორტუნისმია: ოპორტუნისმმა განდევნა მარქსიზმიდან მარქსიზმის რევოლუციონური სისტემა და შეჰდგ მის სოციალოგიურ დებულებების გადასაზღვრავად შეუდგა. ჰილფერდინგისათვისაც არ არსებობდა ეს რევოლუციონური სისტემა ის მხოლოდ ურახეპათ კმაყოფილდებოდა.

აღნიშნულ მომენტთან დაკავშირებით არა ნაკლებ საინტერესო საკითხს წარმოადგენს ჰილფერდინგისა და ლენინის მიდგომათა დაპირისპირება — წედარება თანამედროვე კაპიტალიზმის ბუნების გამოკვლევის საკითხში. ჰილფერდინგის წიგნი ააშკარავებს საკოჭლეს საკითხის მარქსისტულს გაშლქებაში. მარქსი უდიდესი სოციალოგი არის და იგი იკვლევს ცხოვრების არა ერთს რომელიმე მხარეს, არამედ მთელს სოციალურს ფორმაციას თავისი ყოველმხრივი მოვლენებით. მარქსმა უწინარეს ყოველისა თეორიულად შეისწავლა მატერიალისტური სოციალოგიის სახომით მთლიანი კაპიტალისტური წყობილება, როგორც

გარკვეული საზოგადოებრივი ისტორიული ფორმაცია. მან გამოარკვია კაპიტალიზმის როგორც სამეურნეო ფორმები, ისე სოციალ-პოლიტიკური და იდეოლოგიურ-კულტურული მხარეები. ანგვარად მარქსმა შეისწავლა და გამოარკვია კაპიტალიზმის ფორმაციის ხინთეთაური სახე, მისი სოციალ-გიური ბუნება. კაპიტალიზმის ეკონომიური კატეგორიები, მარქსისტული პოლიტიკურ ეკონომიის საკითხები, შეწონილი არის მარქსის სოციალოგიური გამოკვლევასთან ბოელი კაპიტალიზმის ფორმაციის შესახებ. ამიტომ არის, რომ მარქსის კაპიტალიზმის ერთ და იმავე დროს მარქსისტული სოციალოგიის ნათესაუდელსაც შეადგენს და მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის უდიდეს განმსაკ წარმოადგენს. მარქსი სოციალოგი გზას უკაფაეს მარქს-ეკონომისტს: აქ მთლიანი სახე კაპიტალიზმის ფორმაციისა ნათელს ეფრადებში მოსჩანს. აქ ჩვენ უხედავთ კაპიტალიზმის მურნეობის არა მარტო წარმოშობისა და მისი განვითარების ფორმებს, არამედ მისი დეგრადაციისა და უმადლეს წყობილებებში გადასვლის ფაქტორებსაც. კაპიტალიზმის მურნეობაში მარქსი დაინახა არა მარტო დადებითი, ანამედ უარყოფით მხარეებიც, რომელნიც არღვევენ მისი არსებობის საფუძვლებს და ნიადაგს უმზადებენ ახალი სახრჯადოებრაფი ფორმაციის წარმოშობას. მარქსის მიდგომა აქ დიალექტურ-ისტორიულია: კაპიტალიზმის ანალიზი ხდება მის დინამიზობაში.

ჰილფერდინგის შრომის აკლია, ერთის მხრით, სინთეზისში: მახში ცარბოზს ეკონომიისტი-მარქსისტი, მაგრამ არხად სჩანს მარქსისტი-სოციალოგი. ჰილფერდინგმა მოგვცა თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიური კატეგორიების ან ფორმების მეცნიერული ანალიზი, მაგრამ თვით შინაგანი ბუნება უახლესი კაპიტალიზმისა მისთვის გაუგებარი დარჩა, რადგან სოციალოგიური თვალსაზრისი განდევნილი აღმოჩნდა თავიდანავე მისი კვლევა-ძიების სფეროდან. შეიარეს მხრით, ჰილფერდინგს აკლია სწორი დიალექტიური მეთოდი: კაპიტალიზმის უახლოესი ფაზის წარმოშობასთან ერთად იგი ვერ ამჩნევს მისი დეგრადაციისა ან ლმობის პერიოდს, ვერ ამჩნევს იმ ელემენტებს, რომელნიც უნდა ვახდენენ ძველი წყობილების დამარღვეველ ან ახლო სოციალისტური ფორმაციის წარმოშობა ძალად. აქედან წარმოსდგა ჰილფერდინგის უდიდესი ცოდებები და მისი ოპორტუნისში. მან ვერ განიხილა კაპიტალიზმი, როგორც გარკვეული ისტორიული ფორმაცია და ვერ შეიგნო მისი ძირითადი ბუნება: ვერ დაინახა კაპიტალიზმის ლმობის პერიოდი და ამიტომ სრულიად ამომალა თავის სამოღვაწეო პროგრამიდან კაპიტალიზმის რევილუციონური ძალდატანების მეთოდით ვარდაქნის კიფხვა. სწორედ აქ გამოჩნდა ლენინის მეცნიერი სოციალოგიური ანალიზი. მან მოხდენილად ისარგებლა ჰილფერდინგის ეკონომიური ანალიზით თანამედროვე კაპიტალიზმის შესახებ და მარქსისტული სოციალოგიის კვლევის საზომით განიხილა უახლოესი კაპიტალიზმის ფორმაცია. ამ მხრივ პირველმა ლენინმა აღადგინა მარქსის კვლევისა და მიდგომის მეთოდი და პირველმა აღმოაჩინა თანამედროვე წყობილების პარახიტიზმი და ხრწნა. მიუხედავად თავისი სიპატარაისა და პოპულიარობისა, ლენინის ნარკვევი „იმპერიალიზმი, როგორც უახლესი ეტაპი კაპიტალიზმისა“



უდიდეს განძს წარმოადგენს სოციალისტურს ლიტერატურაში. იგი დაიწერა ორი დიდი ეპოქის მიჯნაზე, როდესაც ლპობაში შესული კაპიტალიზმი უკვე იწყობოდა რღვევის პროცესში და სოციალისტური რევოლუცია მშობიარობის ტკივილებს განიცდიდა. თუ ჰილფერდინგს ეკუთვნის პირველობა ფინანსური კაპიტალის ფორმების აღმოჩენის საკითხში, სწორი სოციოლოგიური განხილვა თანამედროვე მთლიანი კაპიტალიზმისა პირველად ლენინის მეცნიერული კვლევა-ძიების საგნად გარდაიქცა. პირველად მან დაუთქვეს კაპიტალიზმის დეგრადაციის საკითხს გარკვეული რევოლუციონური სამოღვაწეო პროგრამაში.

აქობამდე ჩვენ ვეხებოდით ჰილფერდინგის შეცდომებს უმთავრესად სოციოლოგიური კვლევა-ძიების სფეროდან ახლა შევხებით მისფინანსიურ კაპიტალის წარმოშობის საკითხის დაყენებას. ამ საკითხშიაც ჰილფერდინგი ორ უმთავრეს შეცდომებს უშვებს: ერთი ებება საბანკო და სამრეწველო კაპიტალის ურთიერთობის საკითხს; ამ კითხვას უფრო ვრცლად ჩვენ შევეხებით ცოტა ჰვევით; მეორე კი—თვით ფინანსიური კაპიტალის წარმოშობის მთავარ კითხვას. მარქსისტული ეკონომიკა სანერწეო ცხოვრების განვითარების მთავარ ფაქტორებს **საწარმოო ძალების წინსვლულობაში** ხედავს. იმდენად რამდენათაც იზრდება ჰვეყნის საწარმოო ძალები, იმდენათვე იზრდება მისი სამეურნეო ცხოვრება და მთელი სოციალ-პოლიტიკური შენობა. ამიტომ ეკონომიური ცხოვრების კლუვა-ძიება **საწარმოო ძალების** განვითარების ანალიზით უნდა იწყებოდეს, უნდა ირკვეოდეს ის ცვლილებები, რომლებიც ხდება **საწარმოო ურთიერთობაში**. ჰილფერდინგის „ფინანსიური კაპიტალის“ მთელი შენობა მარქსისტული ეკონომიკის ასეთი ნიღგომის დარღვევას წარმოადგენს. ავტორი პირველი რიგში აყენებს საბანკო და ფულის კაპიტალს და გამოკლევასაც იწყებს ფულის და კრედიტის საკითხით, ხოლო სამრეწველო და საწარმოო კაპიტალი და მათი განვითარების დონე უახლოეს პერიოდში მეორე რიგზედ აქვს დაყენებული, ჰილფერდინგის კვლევის მეთოდიდან გამოდის, რომ მთავარი წყარო იმ ცვლილებისა, რომელიც განიცადა კაპიტალისტური ფორმაციის უკანასკნელმა ფაზამ უნდა ვეძიოთ საბანკო და საკრედიტო კაპიტალის განვითარებაში, და არა სამრეწველო კაპიტალის გაფართოებაში. ბანკები და საკრედიტო სისტემა ხდება წარმოების განვითარების და წარპატების მთავარ წყაროდ და არა პირუტყლმა. ასეთი მიდგომა კითხვისადმი მარქსისტული კვლევა-ძიების სახით მიუღებელია ეს შეცდომა ჰილფერდინგისა საფუძლიანით აღნიშნა ანხ. **სტეპანოვი** 1922 წ. „ფინანსურ კაპიტალის“ შესამე გამოცემის წინასიტყვაობაში. სტეპანოვი სწერდა: „ჰილფერდინგი შექველად პირუტყლმა აბრუნებს ურთიერთობის საკითხს... გამოდის თითქოს დამახასიათებელი თვისებები კაპიტალიზმის უკანასკნელი ფაზისა შექმნილია არა საწარმოო ძალების განვითარებით, არამედ **სესხითი კაპიტალის** თავისებური ავტონომიური ევოლუციით თავისი შინაგანი კანონშეწონილობით. რასაკვირელია, ეს სწორი არ არის. ამგვარად ჰილფერდინგის ეკონომიური მიდგომა თავიდანვე შეიცავს სიყალბის ფესვებსა და პირდაპირ მიყვევართ საბანკო სისტემის როლის გადაქარბებული დახასიათება-

მღე. სულ სხვა გვარი არის ლენინის მიდგომა თავის ნარკვევში. ლენინისათვის ფულის ფუნქციები, კრედიტი, საბანკო კაპიტალი პირდაპირ დამოკიდებული არის საწარმოო ძალების განვითარებისაგან, წარმოების პროცესიდან. ამიტომ ლენინი თავის ნარკვევს პირდაპირ იწყებს თანამედროვე საწარმოო ძალების განვითარების გამოკვლევიდან, წარმოების კონცენტრაციის ცენტრალიზაციისა და მონოპოლიის თანამედროვე დონის შესწავლით. შენდევ იკვლევს საბანკო სისტემისა და მისი უახლოესი როლის მნიშვნელობას წარმოებისათვის, ამუშავებს საბანკო და სამრეწველო კაპიტალის ურთიერთობის კითხვას. აქ კვლევა-ძიების უპირველესს საგანს შეადგენს წარმოება და საწარმოო ძალების განვითარება თანამედროვე პირობებში, მეორე რიგში სდგას საბანკო კაპიტალი, რომლის როლი უშუალოდ დამოკიდებული არის საწარმოო ძალების განვითარების დონეზე. აქ მოსწაინს სწორი მარქსისტული მიდგომა კითხვისადმი; საწარმოო ბაზა ზდება უმთავრესს წყაროდ სამეურნეო ფორმების წარმატების საქმეში.

ლენინმა თანამედროვე კაპიტალიზმის წარმოშობის ისტორიაში შემდეგი უმთავრესი მომენტები აღნიშნა:

„(1) წარმოების კონცენტრაცია,

„(2) მონოპოლიები, მისგან გამოწვეული;

„(3) ბანკების გაერთიანება, ან შესისხლზორება მრეწველობასთან.—

აი, როგორი არის ისტორია ფინანსური კაპიტალის წარმოშობისა და წინაარსი ამ ცნებისა“. („იპკერიალიზმი“... 39) ასე სწერდა ლენინი ფინანსური კაპიტალის წარმოშობის ისტორიის შესახებ. აქ არის დაცული მარქსისტული მეთოდი ეკონომიური კვლევა-ძიებასა, რაც აუცილებლად აკლია პილდერდინგის დიდ-ტანიან შრომას, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს მომენტები მის წიგნში ამა თუ იმ სახით აღნიშნული არის. განვიხილოთ ყველა ეს მომენტები მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიური საზომით.

წარმოების კონცენტრაციისა და მონოპოლიის საკითხი.

წარმოების კონცენტრაცია ე. ი. საწარმოო დაწესებულებათა გაფართოება მკიდროთ არის დაკავშირებული კაპიტალიზმის განვითარებასთან, და ამიტომ წარმოადგენს აუცილებელს მოვლენას სპეციფიურ კაპიტალისტურ წარმოების წესის დროს; წარმოების კონცენტრაცია წარმოადგენს ძირითადი კაპიტალის ზრდის საბოლოო გამოძედავენებას, როდესაც შენდება დიდი სამრეწველო დაწესებულებანი, უმჯობესდება წარმოების ტეხნიკა, მასთანვე ზდება გაერთიანება საწარმოო პროცესების სხვა და სხვა ფასებისა და მუშა-ხელის დავროვება სულ უფრო და უფრო დიდს სამრეწველოებში. კონცენტრაცია კაპიტალისტური წარმოების ერთ-ერთ აუცილებელ კანონს წარმოადგენს. მარქსმა კაპიტალიზმის თეორიულ და ისტორიულ ანალიზის გზით დაამტკიცა, რომ თავისუფალი კონკურენცია წარმოშობს წარმოების კონცენტრაციას, ხოლო ამ კონცენტრაციის, თავისი განვითარების განსაზღვრულ დონის დროს—მონოპოლიამდე მი-

ყვეართ. (ლენინი). ამგვარად კონკურენციისა, კონცენტრაციისა და მონოპოლიის საკითხი მჭიდრო ლოკუტორის აუცილებლობით არის ერთი მეორეზედ გადაბმული.

მარქსის გაგებით წარმოების კონცენტრაცია წარმოადგენს კაპიტალისტური მეურნეობის პროცესის ორი უმთავრესი ფაქტის შედეგს: სახელდობრ კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესის შედეგს. ეკონომიურად ეს ორი პროცესი მკაცრად განსხვავდება ურთიერთისაგან. თეორიული გამოიჯენა ამ ორ პროცესის შორის მოგვცა კ. მარქსმა თავისი **კაპიტალის პირველ ტომში**. თავის ანალიზში მარქსმა გენიალურად წეიგნო უმთავრესი ტენდენცია კაპიტალისტური მეურნეობისა მონოპოლიის დამყარებისაკენ. კაპიტალის კონცენტრაციის შესახებ მარქსი სწერს:

„ყოველი ინდივიდუალური კაპიტალი წარმოადგენს ბევრად აუ ცოტად წარმოების საშუალებათა კონცენტრაციის და ამასთან შედარდებულს ბატონობას განსახლდრულს მეშათა არნიაზე. ყოველი დაგროვება ხდება ახალი დაგროვების საშუალებად. სიმდიდრის რაოდენობის ზრდასთან ერთად, რომელიც მოღვაწეობს როგორც კაპიტალი, დაგროვება აძლიერებს მის კონცენტრაციის ცალკე კაპიტალისტების ხელში და ამგვარად აფართოებს წარმოების საფუძველს მსხვილს მაშტაბში და წარმოების სპეციფიურ კაპიტალისტურ მეთოდებს. საზოგადოებრივი კაპიტალის ხრდა ხდება მრავალ ინდივიდუალურ კაპიტალის ზრდის საშუალებით“ (К. Маркс: «Капитал». т. I გვ. 448, 1906 წ.).

კაპიტალის ცენტრალიზაცია განვითარების სულ სხვა გვარი ფაზით ვითარდება; მარქსი სწერს: „ეს—კონცენტრაცია უკვე შექმნილ კაპიტალისა, მათი ინდივიდუალობის მოსპობა, ექსპროპრიაცია კაპიტალისტისა კაპიტალისტის მიერ, გარდაქმნა მრავალ წვრილ კაპიტალისა მცირე რიცხოვან მსხვილ კაპიტალად... ცენტრალიზაცია შეიძლება მოხდეს უკვე არსებულ კაპიტალების განაწილების უბრალო შეცვლის, საზოგადოებრივი კაპიტალის შენადგენელი ნაწილების რაოდენობითი დაჯგუფების უბრალო შეცვლის საშუალებით. კაპიტალი შეიძლება იქ ვაინარდოს უდიდეს რაოდენობამდე ზოგიერთთა ხელში, რადგან სხვა ადგილას იგი განოცალათ მრავალ ერთეულთ. ყოველ ცალკე წარმოების დარკში ცენტრალიზაცია მიადწევიდა თავის უკანასკნელს საზღვარს, თუ მასში ნოთიავსებული ყველა კაპიტალი შედუღდებოდა ერთს მთლიან კაპიტალში. ყოველს ცალკე საზოგადოებაში ეს საზღვარი იქნებოდა მიღწეული მხოლოდ იმ მომენტში, როდესაც მთელი საზოგადოებრივი კაპიტალი აღმოჩნდებოდა გაერთიანებული ერთი რომელიმე კაპიტალისტის, ან რომელიმე კაპიტალისტთა საზოგადოებას ხელში“ (იქვე—449—50).

მარქსის ანალიზით კაპიტალის ცენტრალიზაცია შეიძლება მოხდეს ორი გზით ა) ან ძალდატანებით, საშუალებით, როდესაც ეკონომიურად ძლიერი კაპიტალისტი იმორჩილებს ან და იპყრობს სუსტს, ბ) ან უფრო მშვიდობიანი გზით, აქტიონერულ საზოგადოებათა დაპარსებით.*) კაპიტალის ცენტრალიზა-

*) აქტიონერულ საზოგადოებასა და აქტიონერულ კაპიტალის ანალიზს მარქსი ერთად ეწება კაპიტალის შესახებ ტომის პირველ ნაწილში.

ციის უდიდეს გავლენას მრეწველობის განვითარების საქმეზე მარქსი შემდეგნაირად აღნიშნავს:

„სამრეწველო დაწესებულებების“ სიდიდის ზრდა ყველგან წარმოადგენს გამოსავალ პუნქტს მრავალთათვის უფრო ფართო შეერთებული მუშაობის მოსაწყობად, მისი ნატურიალური მამოძრავებელი ძალების უფრო ფართო განვითარებისათვის, ე. ი. განცალკევებულ და რუტინულ წარმოების პროგრესიული საშუალებით გადასაცემად საზოგადოებრივ-კომუნიკაციურ და მეცნიერულად მოწესრიგებულ წარმოების პროცესზე...

„კაცობრიობა დღემდე ურკინიგზოდ დარჩებოდა, რომ ეცადა იმ დღისათვის, როდესაც ცალკე კაპიტალისტები კაპიტალის დაგროვების საშუალებით შესძლებდნენ მოეწყობათ რკინის გზები. ცენტრალიზაციამ, წინააღმდეგ, აქციონერულ საზოგადოებათა საშუალებით თითქმის ერთი ხელსა მოქმედით გააკეთა ეს. აძლიერებს და აჩქარებს რა ამ გეგმად დაგროვების მოქმედებას, ცენტრალიზაცია მასთანვე აფართოებს და აჩქარებს კაპიტალის ტენზიურს შემადგენლობაში იმ გარდატეხებს, რომელნიც აღიღებენ მისი (კაპიტალის) მუდმივი (постоянная) ნაწილს მოძრავ ნაწილის ხარჯზე და მათსადაამე, შედარებით ამცირებენ მოთხოვნილებას შრომაზე“ (იქვე—451).

ამ ციტატებში მარქსმა გამოხატა მთავარი ტენდენცია სიერთოდ კაპიტალისტური მეურნეობისა. მარქსი სცხოვრობდა სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების ეპოქაში. მას არ შეეძლო მოეცა მეცნიერული ანალიზი თანამედროვე ფინანსიური კაპიტალიზმისა, რადგან ისეთი რამ მისი მოღვაწეობის პერიოდში არ ირსებოდა. მიუხედავად ამისა მან უკვე 1867 წ. შესძლო წინასწარ განეკვრიტა თანამედროვე მონოპოლიურ კაპიტალიზმის მთავარი მომენტები: ვინც გულდასმით გადაიკითხავს ზემოდ მოყვანილ ადგილებს მარქსის კაპიტალიდან, ის ნათლად შეამჩნევს, რომ მარქსი კაპიტალისტურ მეურნეობის განვითარების მთავარ ტენდენციას კაპიტალისტურ ცენტრალიზაციისა და მონოპოლიის დამყარებაში ხედავდა. ეს ტენდენცია საფსევებით გაამართლა თანამედროვე კაპიტალიზმმა და ის უმაღლესი ფორმები—კარტელები, ტრესტები, სინდიკატები, რომელნიც დღეს-დღეობით წარმოადგენენ კაპიტალისტური მეურნეობის ქვა-კუთხედს, ფაქტურად გამოსახავენ კაპიტალისტური მონოპოლიის დაწესებას წარმოებაზე. კაპიტალიზმის უახლოეს პერიოდში წარმოების კონცენტრაცია უმაღლეს ხარისხს აღწევს. ხოლო წარმოების კონცენტრაციის მიერ მონოპოლიის წარმოშობა ხანთოდ კაპიტალიზმის განვითარების თანამედროვე სტადიის ზოგადი და ძირითადი კანონია (ლენინი—16). მონოპოლიის წარმოება კი ორის მიმართულებით ხდება: ა) როგორც აღნიშნეთ მსხვილი კაპიტალისტური ორგანიზაციების განვითარებით, ბ) სახელმწიფოს ხელში სამეურნეო ძარღვების თავის მოყრით, სახელმწიფო მეურნეობის, უკეთ, სახელმწიფო კაპიტალიზმის განმტკიცებით.

მონოპოლიური ორგანიზაციების შესახებ გერმანელი მწერალი ფოგელშტეინი სწერდა: „საკარტელო მოძრაობამ ფეხი შესდგა თავის განვითარების მეორე ეპოქაში. წინანდელ წარმავალ მოვლენის მაგივრად, კარტელები მთელი



მეურნეო ცხოვრების ერთ-ერთი ხაფუძველი ხდება. კარტელები ზედღივდ იპყრობს მრეწველობის სხვადასხვა დარგს. უბირველესად ყოვლისა—ნედლი მასალის დამუშავებას.* ასე სწერდა ბურჟუაზიული ეკონომისტი ათიოდე წლის წინად, როდესაც საქართველო მოძრაობა აიყვანა უმაღლეს წერტილამდე იყო განვითარებული. მაგრამ ყური ვათხოვოთ ფრ. ენგელსს, თუ რას სწერდა იგი 80-იან წლებში ამავე ორგანიზაციების შესახებ სწორედ მაშინ, როდესაც მონოპოლიური ორგანიზაციები კაპიტალისტური წარმოებისა მხოლოდ ჩანასახში იმყოფებოდნენ.

„როგორც სამრეწველო ციბ-ცხელების პერიოდები თავიანთი უხაზდვრო ფართო კრედიტით, ისე თვით კრიზისები, რომელნიც არღვევენ მსხვილ კაპიტალისტურ დაწესებულებებს, აიძულებენ კაპიტალისტებს გამოიყენონ უდიდესი რაოდენობის წარმოების საშუალებითა ის განსაზოგადოებრივებული ფორმები, რომელთაც ჩვენ ვხვდებით ხვადასხვა სახის აქციონერულ საზოგადოებებში. ზოგიერთი ამ წარმოებისა და მიმოსვლის საშუალებათა, როგორც, მაგ., რკინის გზები, თავისი რაობით იმდენად კოლოსალურია რამ შეუძლებელი არის იქ გამოყენებული იქმნეს სხვა რომელიმე ფორმა კაპიტალისტური ექსპლოატაციისა. განვითარების განსაზღვრულ საფეხურზედ ეს ფორმაც არა საქმარისი ხდება; მრეწველობის ერთი რომელიმე დარგის მსხვილი მწარმოებელნი ერთდებიან „ტრესტში“, ე. ი. ხდება გაერთიანება წარმოების მოწესრიგების მიზნით; ისინი აწესებენ საქონლის საერთო რიცხვს, ანაწილებენ მათ ურთი-ერთ შორის და, ამგვარი სახით მათ მიერ წინასწარ დაწესებულ გასაყიდ ფასებს იღებენ. მაგრამ რადგან ასეთი ტრესტები პირველ ცუდ კონიუნქტურის დროსვე უმთავრეს ნაწილში ირღვევიან, სწორედ ამიტომ მათ (ტრესტებს) მიუყვამ წარმოება უფრო უმაღლეს განსაზოგადოებრივებულ კონცენტრაციისაკენ: რომელიმე მრეწველობის მთელი დარგი გარდაიქმნება მხოლოდ ერთ დიდ სააქციონერო საზოგადოებად და კონკურენცია შინაურს ბაზარზე ადგილს უთმობს ამ ერთად-ერთ საზოგადოების მონოპოლიას...“)

„ტრესტების სახით თავისუფალი კონკურენცია გადადის მონოპოლიაში, კაპიტალისტური საზოგადოების უკვემო წარმოება კაპიტულიაციას ახდენს კარზედ მომდგარ სოციალისტურ საზოგადოების გეგმიან წარმოების წინაშე (მართალია, ჯერ კიდევ კიდევ კაპიტალისტების სასარგებლოდ. მასთანვე ექსპლოატაცია ხდება იმდენად ძლიერი, რომ იგი აუცილებლად უნდა აღმოიფხვრეს. არც ერთი ხალხი არ შეეგუება ტრესტების ხელმძღვანელობის ქვეშ მოქცეულს ასეთს წარმოებას, ასეთს არა დაფარულს უველას ექსპლოატაციას კა-

* კაპიტალისტური პირველი ტომის ერთ-ერთ მწიგნობარში (1890) შემდეგ კომენტარებს უკეთებს ენგელსი მარქსის დებულებას: „ინგლისისა და ამერიკის უახლოესი „ტრესტები“ უკვე მოისწრაფებიან ამ მიზნისაკენ, ცდილობენ რა გაერთიანონ. უკიდურეს შემთხვევაში, ცალკე დარგების ყველა მსხვილი დაწესებულებანი ერთ დიდ აქციონერულ საზოგადოებაში ფაქტური მონოპოლიის დაწესებით“ („კაპიტალი“ გვ. 450).

კაპიტალისტთა ბანდების მიერ, რომელნიც კუპონებს კრეფენ (ცხოვრობენ კაპიტალისტების პროცენტით.*)

„ისე თუ ისე, ტრესტებითა თუ უტრესტოთ, სახელმწიფო, როგორც ოფიციალური წარმომადგენელი კაპიტალისტური საზოგადოებისა, იძულებული იქნება აიღოს თავის ხელში საქმის მართვა. ყველაზე უწინარეს ეს აუცილებლობა წარმოების გადასვლისა სახელმწიფოს საკუთრებაში დაიწყება მიმოსვლათა და ურთიერთობის მსხვილ საშუალებებში: ფოსტასა, ტელეგრაფსა და რკინის გზებზე. თუ კრიზისებმა გამოამტკიცეს ბურჟუაზიის უძლურება თანამედროვე საწარმოო ძალების მართვის საქმეში,—მსხვილი საპრეფერო დაწესებულებების მიმოსვლათა საშუალებების გადასვლაში აქციონერულ საზოგადოებათა და სახელმწიფოს ხელში დაამტკიცეს მისი (ბურჟუაზიის) ზედმეტობა. კაპიტალისტთა ყველა საზოგადოებრივ ფუნქციებს დღეს-დღეობით ახრულებენ დაქირავებული აგენტები. თვით კაპიტალისტებს აღარ დარჩათ სხვა საზოგადო საშოღვაწეო, გარდა შემოხავლის მოხვეჭისა, კუპონების კრეჭისა და ბირჟაზე თამაშისა, ხადაც სხვადასხვა ჯურის კაპიტალისტები ართმევენ ერთმანეთს კაპიტალს. კაპიტალისტური წარმოების წესმა, რომელმაც პირველად გამოიღწა მუშები, ამჟამად დენის თვით კაპიტალისტებს, მართალია, ჯერ კიდევ არა მრეწველობის სამარტაფო არმიისში, არამედ ზედმეტ მცხოვრებთა რიგებში.

„როგორც ფორმაც არ უნდა მიიღოს თანამედროვე სახელმწიფომ, ის დარჩება წმინდა კაპიტალისტურ მექანიზმად, კაპიტალისტების სახელმწიფოდ მთლიან იდეალურ კაპიტალისტად. რამდენიც უფრო მეტს წარმოების ძალებს დაიპურობს სახელმწიფო თავის საკუთრებაში, იმდენად სრულიად მოზღდება მისი გარდაქმნა ერთიანად კაპიტალისტურად, იმდენად მოტალაქეთა მეტი რიცხვის ექსპლოატაციას დაიწყებს იგი. მუშები დარჩებიან დაქირავებულ პროლეტარებად.

„კაპიტალისტური ურთიერთობანი არ ისობა, არამედ უფრო მწვეფდება. მაგრამ ეს გამწვევა იქნება უკანასკნელი ნაბიჯი მათი განვითარებისა. საწარმოო ძალების გადასვლა სახელმწიფოს საკუთრებაში არ ხწვევებს კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს, მაგრამ იგი შეიცავს მათი გადაწვევების ფორმალურ საშუალებას, შესაძლებლობას“ (ფ. შიგელს: „Развитие социализма от утопии к науке“ გვ. 44, 45, 46, 1923 წ.)

აქ მოცემული არის სწორედ გენიალური ანალიზი თანამედროვე მონოპოლიური კაპიტალიზმისა: არც ერთს ბურჟუაზიულ და სოციალ-პატრიოტულ ეკონომისტს არ დაუხასიათებია თანამედროვე კაპიტალიზმი და მისი ორგანიზაციები ისე სწორად, როგორც ეს ჩაიღინა ენგელსმა ჯერ კიდევ კაპიტალიზმის ახალი სტადიის გარიტრაჟზე. ამ დახასიათებაში აღსანიშნავია შემდეგი უმ-

*) აქ ენგელსის პროგნოზი რამოდენიმედ არ გამართლდა. თვით ენგელსის ბანაკში აღმოჩნდნენ უღირსი მუშები, კუცკის, ჰიდფერდინგისა და სხვთა, რომელნიც არამც თუ შეუთრდნენ ტრესტების ბატონობას, არამედ იარაღით ხელში ხელს უწყობენ ყოღად განწინილი კაპიტალიზმის ფორმის აღდგენას და განმტკიცებას.

თავრესი მომენტები, რომელნიც ძირითად ელემენტებს შეადგენენ თანამედროვე კაპიტალისტური პერიოდის: ა) წარმოების კონცენტრაციის უმაღლესად განვითარება და კონკურენციის გადასვლა მონოპოლიურ ურთიერთობაში, ბ) კაპიტალისტური ორგანიზაციის ახალი ფორმების (ტრესტების, აქციონერული საზოგადოება) და მათი უდიდესი როლის აღნიშვნა წარმოებაში; გ) კაპიტალისტური საწარმოო ძალების თავის მოყრა სახელმწიფოს ხელში; უკეთ: მონოპოლიურ კაპიტალიზმიდან სახელმწიფო კაპიტალიზმზე გადასვლა. დ) კრიტიკა თანამედროვე კაპიტალისტური ურთიერთობისა („კუპონების კრეკა“) და მათი აუცილებლად შეცვლა სოციალისტური წყობილებით.

ამ დაბასიათებაში არ არის აღნიშნული ბანკებისა და საერთოთ საბანკო კაპიტალის მნიშვნელობა თანამედროვე წარმოებაში, რასაც უდიდესი ღირებულება აქვს მიმდინარე კაპიტალიზმის დასახასიათებლად. მაგრამ ამ საკითხს ჩვენ განვიხილავთ სხვა საკითხთან დაკავშირებით.

რას გვეუბნება მარქს-ენგელსის ასეთი ანალიზი? ეს გვეუბნება იმას, რომ მათ სისწორით გაიგეს მთელი კაპიტალისტური ურთიერთობის მექანიკა და მრავალ ათეული წლების წინ განსპერტეს იმ ფორმების აუცილებლობა, რომელიც თანამედროვე კაპიტალიზმში მიიღო თავისი განვითარების შემდეგ საფეხურზე. წარმოების კონცენტრაცია გაძლიერდა, მონოპოლიურმა ტრესტებმა შესცვალეს დამოუკიდებელ კაპიტალისტთა კონკურენცია, კაპიტალისტური მეურნეობა მონოპოლიური ორგანიზაცია რეალურ სინამდვილედ გადაიქცა, ძველი კაპიტალიზმი მონოპოლიურ კაპიტალიზმით შეიცვალა; სახელმწიფო კაპიტალიზმში ჩაისახა; ყოველივე ეს მოვლენები ჩვენი ეპოქის ეკონომიური ცხოვრებების მთავარ საფუძვლებს წარმოადგენს; ყოველივე ეს ათეული წლების წინ იწინასწარმეტყველეს მარქს-ენგელსმა. ჰილფერდინგმა საინტერესო ანალიზი გაუკეთა თანამედროვე კაპიტალიზმს: ამ ანალიზიდან მრავალი ეკონომიური დებულება მისაღები და სწორია. არსებითად კი ეს დებულებანი დიდხანია იყო გატარებული მარქსიზმის პრიზმაში და ჰილფერდინგს დასჭირდა მათი დასაბუთება თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების ფაქტებიდან. ამ ფაქტების აღნიშვნაში ჰილფერდინგი უფრო ნიჭიერი კომპილიატორი გამოდის, ვინემ დამოუკიდებელი მოაზროვნე. მაგრამ ჰილფერდინგს ეკუთვნის საწინეო კაპიტალისა და საერთოდ ფინანსიური კაპიტალის დაბასიათების პრიორიტეტი. განვიხილოთ ეს საკითხიც.

ბანკების ახალი როლი და ფინანსიური კაპიტალი,

თანამედროვე კაპიტალიზმის პერიოდში გადაიჭრელს როლს თამაშობენ საბანკო კაპიტალი და მათი დამოკიდებულება სამრეწველო კაპიტალთან. ისტორია ფინანსიური კაპიტალის წარმოშობისა მჭიდროთ არის დაკავშირებული, ერთის მხრით, წარმოების კონცენტრაციის—მონოპოლიურ კავშირების წარმოშობის კითხვასთან, და მეორეს მხრით, ფართოდ განვითარებულ საბანკო სისტემასთან. „ბანკები—სწერს ლენინი,—ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში, მიუხედავად საბანკო კანონმდებლობის სხვადასხვაობისა, ერთი ათად აძლიერებენ

და აქარებენ კაპიტალის კონცენტრაციის პროცესს და მონოპოლიათა შექმნას. ფართოდ განვითარებულ საბანკო სისტემის წყალობით კაპიტალიზმმა უფრო შესდგა თავისი განვითარების ახალ სტადიაში. რაში გამოიხატება კონკრეტულად ბანკების ეს ახალი როლი წარმოებაში? ჰილფერდინგი საბანკო როლს და მის მორფოლოგიის საკითხს შემდეგნაირად ხსნის:

„ბანკების ძალა-უფლება იზრდება, მრეწველობისადმი ურთიერთობაში ისინი ხდებიან დამაკავშირებელი, ბოლოს და ბოლოს კი მათ ბატონებად; მათ, როგორც ფინანსიურ კაპიტალის წამომადგენლებს თავიანთის მიატეს სამრეწველო მოვება, ნზავსად იმისა თუ როგორი სახით წინეთ ძველი შეეახვე ითვისებდა თავისი „პროცენტის“ სახით გლების შრომის ნაყოფსა და სენიორის რენტას. გეგელიანეცი იტყოდა აქ უარყოფათა უარყოფის შესახებ: საბანკო კაპიტალიში უარყო სავაზმო კაპიტალი და თავის მზრით ნას უარყოფს ფინანსიური კაპიტალი. უკანასკნელი წარმოადგენს სავაზმო და საბანკო კაპიტალის სინტეზს და ეკონომიური განვითარების შეუღარებელი უფრო უმაღლესს საფეხურზედ ითვისებს საზოგადოებრივი წარმოების ნაყოფს“ (Р. Гильфердинг: „Финансовый капитал“. 384).

ბანკები სამრეწველო კაპიტალიზმის პერიოდში უმთავრესად კრედიტორის როლს თამაშობდენ წარმოების მიმართ: ისინი არ ერეოდენ მრეწველობის შინაურ საქმეებში, არ ერეოდენ წარმოების მოწესრიგების საქმეში: მათ უმთავრეს მიზანს შეადგენდა პროცენტების მიღება და გასესხებულ თანხის განაღდება. თანამედროვე პირობებში ეს ურთიერთობა ბანკებსა და მრეწველობის მასის იცვლება, ხდება მათი მჭიდრო დაკავშირება. ამ დაკავშირების ეკონომიური საფუძვლები ნახევარ საუკუნის წინეთ გამოარკვეია მარქსმა თავის კაპიტალიში, ჯერ ჩვენ მოვიყვანთ მარქსის შეხედულებას საერთოდ კრედიტის შესახებ. იგი სწერს:

„კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან ერთად ჩნდება ახალი ძალა—კრედიტი, რომელიც პირველად მორცხვად იპარება უდიდეს დამზმარე დავროვების როლში, უხილაფი ძაფეებით აგროვებს ცალკე კაპიტალისტთა ან კაპიტალისტების ასოციაციათა ხელში ფულის სიშუალებებს, რომელნიც გაფანტულნი არიან მცირე თუ ბევრი რაოდენობით საზოგადოების ხედაფენებში; ჩქარა იგი ხდება ახალ, ბასრ იარაღად კონკურენციაში და ბოლოს ვარდაიქცევა კაპიტალის ცენტრალიზაციის საქმეში უზარმაზარს სოციალურ მექანიზმად“ („Капитал“ т I გვ 449) სამრეწველო კაპიტალიზმის პერიოდში საკრედიტო სისტემა აუცილებლად თამაშობდა დიდ როლს და ჰქონდა „კოლოსალური ძალა ვაქრობასა და მრეწველობაზე“ (მარქსი); მაგრამ ეს გაელენა აღმოჩნდება უმნიშვნელო შედარებით იმ გაელენასთან, რომელიც მოიპოვა სამნეო სისტემაში თანამედროვე კაპიტალიზმის პერიოდში. ჰილფერდინგის შემოდ მოყვანილი ტრიადა—სავაზმო კაპიტალის—საბანკო კაპიტალით შეცვლისა და ამ უკანასკნელის უმაღლეს ფორმაში გადასვლის შესახებ—სრულიად სწორად ასახავს საკრედიტო სისტემის მორფოლოგიას. ასეთი ტენდენცია სამნეო საქმეში და მათი „უზარმაზარ სოციალურ მექანიზმად გადაქცევა“ მრეწველობის განვითარებისათვის არ



ქართული
ენების ინსტიტუტი

დარჩა შეუმჩნეველი მარქსისათვის. კაპიტალის მესამე ტომში მარქსი გადაჯიშობს სწერის შემდეგ: „საბანკო საქმე ხელიდან აცლის კერძო კაპიტალისტებსა და მეეაზმეებს კაპიტალის განაწილების საქმეს, როგორც განსაკუთრებულს საქმიანობას, როგორც საზოგადოებრივ ფუნქციას. ამიტომ ბანკი და კრედიტი ხდება ერთ და იმავე დროს ყველაზე უფრო მძლავრ საშუალებად კაპიტალისტური წარმოების გადასაყვანად მისი საკუთარი საზღვრების გადაღმა, და მასთანვე ერთ-ერთ მძლავრ ნაქადათ კრიზისების და სპეკულიაციისთვის“ („Кашитал“ ტ III, ნაწილი II-ე გვ. 144, 1908 წ.) ცოტა ქვევით მარქსი სწერს: „ბანკები ჰქმნიან საზოგადოების მასშტაბში ფორმას და სწორედ საერთო ანგარიშ-წარმოების და წარმოების საშუალებათა საერთო განაწილების მარტოდენ ფორმას“ (იქვე).

ჩვენ არ შევდივართ საკითხის დაწვრილებით ანალიზში; ზემოდ მოყვანილი ადგილები კაპიტალიდან ნამდვილად ამოწმებენ, თუ როგორ დიდ როლს ანიჭებდა მარქსი საკრედიტო სისტემის წარმოების განვითარებისა და მისი კონცენტრაციის საქმეში. მაგრამ ეს კიდევ არ სწევს ბანკების და წარმოების შვიდრო კავშირის საკითხს. დღევანდელი ეპოქა კი, როგორც დავინახავთ, ხასიათდება საბანკო და სამრეწველო კაპიტალის შესისხლბორცებით. ჰილფერდინგის სწორედ ამ მომენტში ხედავს ძირითად დამახასიათებელ თვისებას თანამედროვე ფინანსიური კაპიტალის. ავტორის განმარტებით, წარმოების კონცენტრაციის პარალელურად და ნაწილობრივ მისი გავლენით საბანკო საქმეშიაც ვითარდება მსხვილი მასშტაბით კონცენტრაცია. „წარმოების საკრედიტო ნიადაგზედ გადასვლა იწვევს ბანკების გაერთიანებას, როგორც, პირიქით, ბანკების გაერთიანება აჭარბებს კარტელების განვითარებას“ (ჰილფერდინგი). კაპიტალიზმის განვითარებისთან ერთად ინდუსტრიის დამოკიდებულება ბანკებისაგან იზრდება, ბანკები უკვე აღარ წარმოადგენენ კრედიტორებს სამრეწველო დაწესებულებებისათვის: მათ ხელში თანდათან გადადის ბატონობა მრეწველობაზე. ჰილფერდინგის განმარტება ფინანსიური კაპიტალის შესახებ შემდეგს ამბობს: „სამრეწველო კაპიტალის სულ უფრო და უფრო მეტი ნაწილი არ ეკუთვნის იმ მრეწველებს, რომელნიც ამ კაპიტალს ამუშავებს. ეს მრეწველნი კაპიტალს ლეზულობენ თავიანთ განკარგულებაში მხოლოდ ბანკის საშუალებით, რომელიც წარმოადგენს ამ კაპიტალის ნამდვილ ბატონს. მეორეს მხრით, ბანკსაც თავისი მუდმივ ზრდაში მყოფ კაპიტალის მოთავსება უზღვევს მრეწველობაში. ამის გამო იგი სულ უფრო და უფრო მეტად ხდება სამრეწველო კაპიტალისტად. ასეთ საბანკო კაპიტალ, — მასხანადამე კაპიტალს ფულის ფორმაში, — რომელიც სინამდვილეში იქცევა სამრეწველო კაპიტალად-მე ვუწოდებ ფინანსიურ კაპიტალს... ფინანსიური კაპიტალი-ეს ის კაპიტალია, ბანკების განკარგულებაში რომ იმყოფება და ამუშავებენ მრეწველები.“ („Фин.-кап“, 253).

ჰილფერდინგის ეს განმარტება დღეს არავის აკმაყოფილებს და მასში მთელი რიგი შესწორებებისა შეაქვთ. ეს განმარტება 1915 წელს გაათაროვა ლენინმა, როდესაც მან აღნიშნა მნიშვნელოვანი დეფექტი ჰილფერდინგის ფორმულირებაში; სახელობ, კაპიტალისტური მონოპოლიების როლის აღწერასაობა.

ლენინი განსაკუთრებულს ხაზს უსვამს კაპიტალისტურ მონოპოლიას, მისი აზრით წარმოების კონცენტრაციის ზრდას მიეყვება მონოპოლიის დაწესებისაკენ, რომელიც თანამშობს გადამჭრელ როლს კაპიტალისტური ცხოვრების ყველა სფეროში. ამიტომ ლენინის განმარტება ამბობს: „ფინანსიური კაპიტალი არის საბანკო კაპიტალი მცირეოდენ მონოპოლიურ მსხვილ ბანკებისა შერეობული მრეწველთა მონოპოლიურ კავშირების კაპიტალითა“... (გვ.-75). მივრამ, რაც სწორია და სინამდვილეს შეეფერება ჰილფერდინგის განმარტებაში, ეს გამოიხატება ბანკებისა და ინდუსტრიის შესისხლბორცებაში. ჰილფერდინგი ამ შეხორცების პროცესში გადამჭრელსა და გაბატონებულს როლს ანიჭებს ბანკებს. როგორც დავინახეთ, საბანკო და სამრეწველო კაპიტალის შეხორცების ფორმები შეიძლება ორნაირი იყოს, ასე რომ ჰილფერდინგის განმარტება ცალ მხრივობს. განმარტება ფინანსიური კაპიტალისა, როგორც შედეგებისა საბანკო და სამრეწველო კაპიტალისა, არ სწეკეტს კითხვას თუ რომელ ელემენტს ეკუთვნის უპირატესობა. უქანასენელი ხანის ეკონომიურმა ფაქტებმა გამოამყვადენეს ის ურყევი სინამდვილე, რო შეხორცება შეიძლება იყოს ხან სამრეწველო კაპიტალის უპირატესობით, ხან კი საბანკო კაპიტალის ხელმძღვანელობით. ასე მაგალითად, ამერიკაში ზოგიერთ შემთხვევებში ინიციატივა ბანკებთან ვაერთიანებისა გამოდიოდა სამრეწველო კაპიტალისაგან და მათ ხელში გადადიოდა ბანკებზე გამგეობა. (ფაქტებისათვის პროფ. ნაზარევსკის შრომა: „Очерки по истории и теории Коллективно-Капиталистического хозяйства“ I გვ. 359 და სხ. 1912.) გერმანიისათვის ამბ. ა. მენდელსონმა შემდეგი სხემა დაბატა: 900-იან წლებამდე — გერმანეთი ხასიათდებოდა სამრეწველო კაპიტალის ბატონობით; საუკუნის (XX-) დასაწყისიდან ომის დათავებამდე — ფინანსიურ-კაპიტალისტური სტადიით მსხვილი ბანკების ბატონობით, ომის შემდეგი პერიოდი ხასიათდებდა ინდუსტრიის ბანკების გაელენისაგან განთავისუფლებით და უპირატესობა გადადის სამრეწველო კაპიტალის ხელში. (А. Мендельсон: „К вопросу о формах финансового капитала“ ჟურ. „Плановое хозяйство“, № 1, გვ. 181-97 1925.) ასე, რომ ჰილფერდინგის განმარტება თითქოს ფინანსიური კაპიტალი ხასიათდებოდეს აუცილებლად საბანკო კაპიტალის ბატონობით არ არის სრული. ეს შეცდომა ჰილფერდინგისა აღნიშნული აქვს აგრეთვე ამბ. ი. სტეპანოვს ფინანსიურ კაპიტალის წინასიტყვაობაში. (1922 წ. გამოცემა).

კითხვა იბადება: თვით უმთავრესი განმარტება ჰილფერდინგისა სამრეწველო და საბანკო კაპიტალის მკიდროდ დაკავშირების შესახებ რამდენად ორიგინალურია? ჰილფერდინგს მოყავს ერთი ადგილი კაპიტალიდან, საიდანაც ირკვევა, რომ მარქს ეს გარემოება წინდაწინვე ჰქონდა გათვალისწინებული ციტატა ამბობს:

„Чем крупнее нарушения, тем большим денежным капиталом должен обладать промышленный капиталист, чтобы иметь возможность выждать их устранение. И так как по мере развития капиталистического производства расширяются размеры каждого индивидуального размера производства, а



вместе с тем возрастает и минимальная величина авансированного капитала, то это обстоятельство присоединяется к ряду других, в силу которых функция промышленного капитала все более становится монополией крупных денежных капиталистов, отдельных или ассоциированных¹⁾

ამ ციტატის შესახებ ჰილფერდინგი სრულიად სამართლიანად სწერს: „ამ გვარად, ბანკების ბატონობა მრეწველობაზე, რომელიც ახალი დროის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს, აქ ნაწინასწარმეტყველებია, იმ ეპოქაში, როდესაც ჯერ კიდევ ძლიერ სწანდენ ამ მოვლენის ჩანასახები“. (*Фин. кап.“-გვ. 101.) რომ საკითხი უფრო ნათელი გახდეს. ჩვენ მოვიყვანთ კიდევ ერთ ადგილს ფრ. ენგელსის წერილიდან, საიდანაც ნათელი ხდება მარქსიზმის მამამთავართა შეხედულება საბანკო და სამრეწველო კაპიტალების შეუღლების, შესისხლხორცების შესახებ. 1890 წ. ფრ. ენგელსი კ. შმიდტს სწერდა შემდეგს:

„როდესაც კი ფულით ვაჭრობა (საბანკო საქმე) გამოეყოფა საქონლით ვაჭრობას, მაშინ ეს საბანკო საქმე ლებულობს თავის საკუთარ განვითარებას, (წარმოებისა და საქონლის ვაჭრობით შექმნილ განსახლებულ პირობებიდან მათი სახლფრების შიგნით) აქვს თავისი განსაკუთრებული კანონები, განსახლებული თავისი საკუთარი ბუნებით, და განსაკუთრებული ფაზები. თუ ამას კიდევ ემატება ის, რომ საბანკო საქმე თავის შემდეგს განვითარებაში ფართოდება ფასიან ქაღალდების ვაჭრობით, რომ ეს ფასიანი ქაღალდები არა მარტო სახელმწიფო ქაღალდებია, არამედ მათ ემატებათ კიდევ სამრეწველო და სატრანსპორტო დაწესებულებათა აქციები, ამგვარი ხაზით საბანკო საქმე იპყრობს პირდაპირ ბატონობას წარმოების ნაწილზე, რომელიც საერთოდ და მთლიანად მაინც ბატონობს საბანკო საქმეზე¹⁾ ახეთს პირობებში პირადადმა მოქმედება საბანკო საქმეებისა (წარმოებაზე) ხდება კიდევ უფრო ძლიერი და კიდევ უფრო რაჟული. ბანკირები ხდებიან რკინის გზების, მაღაროების, მადნეულისა და სხვა მესაკუთრეებად. ეს წარმოების საშუალებანი ლებულობენ ორგვარ გარეგან სახეს: მათი წარმოების მიმდინარეობა ხუნდა შეეთანხმოს ხან უშუალო წარმოების ინტერესებს, ხან კი აქციონერების მოთხოვნილებებს, რამდენათ ისინი წარმოადგენენ ბანკირებს“... (К. Маркс и Ф. Энгельс „Письма“ გვ. 308.) ასე სწერდენ მარქსი და ენგელსი საერთოდ საბანკო სისტემისა და კერძოთ საბანკო კაპიტალისა და სამრეწველო კაპიტალის დიკავშირების, მათი შესისხლხორცების შესახებ იმ პერიოდში, როდესაც თანამედროვე კაპიტალიზმის ორგანიზაციული ფორმები ჯერ კიდევ ჩანასახის სტადიაში იმყოფებოდა. ვიმეორებთ, მარქსმა და ენგელსმა გენიალური სისწორით აღწესხეს კაპიტალისტური მეურნეობის ყველა მოვლენების ცვალებადობა კაპიტალისტურ ურთიერთობის პირობებში: აღწესხეს არა მარტო მიმდინარე კაპიტალიზმის ფორმები, არამედ სრული სისწორით განსჭირტეს უახლოესი კაპიტალიზმის შემდეგი საელი გზები და ფორმები. ჰილფერდინგს მხოლოდ მარქს-ენგელსის მიერ წარმოყენებულ ზოგად ფარულ დებულებების დეტალიზაცია დასჭირდა. სწორედ მარქს-ენ-

¹⁾ აქ გამოთქმული არის ის ღრმა აზრი მარქსისტული თეორიული ეკონომიკისა, რომელიც ამბობს, რომ საერთოდ წარმოების წესი სახლფრავს ეკონომიურ სხვა ფორმებს. ს. რ.

გელსის თეორიულ დებულების ანალიზიდან გამოდის ლენინი, როდესაც შემდეგს სწერს თანანდროვე საბანგო საქმიანობაზე:

„რაც შეეხება ბანკებისა და მრეწველობის მჭიდრო კავშირს, სწორედ ამ რიგში ყველაზე თვალნათლივ სჩანს ბანკების ახალი როლი. როდესაც ბანკი რომელსამე მრეწველს თამასუტს უნაღდებს, უხსნის მას მიმდინარე ანგარიშს და სხვ.-თითქო აქ მრეწველის დამოუკიდებლობა იოტის ოდენადაც არ მცირდება; ბანკიც თითქოს შუანავლობის უბრალო როლს არ სცილდება, მაგრამ როდესაც მზგაესი ოპერაციები ხშირდება და მკვიღრ ნიადაგზე დგება, როდესაც ბანკი თავის ხელში „აგროვებს“ აუარებელ კაპიტალს, როდესაც რომელსამე სამრეწველო დაწესებულების მიმდინარე ანგარიშის წარმოება საშვალეებას აძლევს (ეს კი ყოველთვის ასეა ხოლმე) მას დაწერილებით იცოდეს თავისი კლიენტის ეკონომიური მდგომარეობა—მაშინ ცხადია ხდება სრული დამოკიდებულება მრეწველ-კაპიტალისტებისა ბანკებისაგან.

„ამასთან ერთად ვითარდება, ასე ესაუკეთ, პირადი უნია ბანკებისა და ვაჭრობა-მრეწველობის მსხვილ დაწესებულებათა შორის; ხდება ორთავეს ვაჭრობისაგან აქციების შეძენის საშვალეებით, ან ბანკების დირექტორები შედიან სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა ზედამხედველ საბჭოებსა და გამგეობებში წევრებად და პირუტყ.“ („იმპერიალიზმი“ გვ. 33-4.) ლენინმა ზედმიწევნით შეისწავლა თანამედროვე ბანკებისა და სამრეწველო დაწესებულებეთა ურთიერთობის მექანიკა ბურჟუაზიულ ეკონომისტების ნარკვევების მიხედვით (რისსერი, შულცე, ვევერნიცი, ლიფმანი, ეიდელსი), და თითქმის დეტალურად გამოარკვია ამ ურთიერთობის კონკრეტული ფორმები. მსოფლიო მეურნეობაში შექმნილმა ახალმა პირობებმა ერთის მხრივ, თვით ბანკებს შორის, და მეორეს მხრით, ბანკებსა და სამრეწველო დაწესებულებათა ურთიერთობის ახალი ფორმები შექმნეს. ლენინის წიგნიდან მოყვანილ ციტატაში უკვე აღნიშნული იყო პირადი უნიის სისტემა. საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს ა. წ. მონაწილეობის (Leteiligung), ფინანსიური დახმარების (finanzierung) და დაფუძნების (Gründug) სისტემები: დასავლეთ ევროპის ბანკების და საერთოდ კაპიტალის ბატონობა რუსეთის მრეწველობაზე ხდებოდა აღნიშნულ სისტემის საშვალეებით: როგორც ქვევით დავინახავთ, უცხოეთის კაპიტალმა, მონაწილეობის სისტემის საშვალეებით, სრულიად მშვიდობიანი და ფარული გზით დაიპყრო რუსეთის მეურნეობის სიმაღლეები. რაში გამოიხატება ამ სისტემის მთავარი შინაარსი? მოკლეთ იგი გულისხმობს შემდეგს: რომელიმე სამრეწველო ან საბანგო დაწესებულება (A) რომელსაც აქვს მას მილიონი კაპიტალი, იძენს სხვა რომოდენიმე სამნეო ან სამრეწველო დაწესებულებების (B, B, B₂, B, B₃ და სხ.) აქციების ნაწილს, რომლის წყალობითაც იგი ხდება სრული ბატონ-პატრონი ამ დაწესებულებებისა. (ლენინის განმარტებით, საკმარისია გჭონდეთ 40⁰/₁₀₀ აქციების, რათა განაგებდეთ აქციონერულ საზოგადოების საქმეებს) თავისი მხრით ეს მეორე ჯგუფის საზოგადოებანი, მონაწილეობის სისტემის საშვალეებით, ფლობენ სხვა საზოგადოებათა (მესამე ჯგუფის: C, C₁, C₂, C₃, C₄, C₅) აქციებს, ეს უკანასკნელნი კიდევ შემდეგი ჯგუფებისა და სხვ. ანგვარად. ფაქტურად კი ყველა ამ საზოგადოებათა ბატონ-



საქართველო
კომუნისტური პარტია

პატრონი და კონტროლიორი ხდება პირველი საზოგადოება (A), რომელსაც ამგვარი სისტემით, მას მილიონი მანეთით შეუძლია თავის კონტროლის ქვეშ დააყენოს რამოდენიმე ასეული მილიონი. (დიაგრამა ასეთი მონაწილეობის შესახებ იხ. პროფ. გოლდშტეინის წიგნი: „Экономическая политика“ т. I, издание 2-ое, გვ. 235-6, 1913 წ.) მონაწილეობის სისტემა ფართოდ გავრცელებული არის ამერიკის საბანკო და სამრეწველო დაწესებულებებში. ჯერ კიდევ ომის წინა პერიოდში როკფელერმა, მორგანმა და ამერიკის ტრესტების სხვა მაგნატებმა მონაწილეობის სისტემის საშუალებით, სრულიად მშვიდობიანი და საზოგადოებისათვის დაფარული გზებით, ფაქტიურად დაიპყრეს ასეული მსხვილი სამრეწველო და სამწეო დაწესებულებანი. (კონკრეტულ სხემას ამის შესახებ იხლეთ პროფესორი ნაზარევიკი თავის შრომაში: „Очерки по истории об'единения американской промышленности“ т. I, 1912 წ.) მონაწილეობის სისტემას გერმანელი ეკონომისტი შეიმაში შემდეგნაირად ახასიათებს: „ხელმძღვანელი კონტროლს უწევს ძირითად (A) საზოგადოებას (სიტყვა სიტყვით: „დედა—საზოგადოება“) იგი კი თავის მხრით ბატონობს მასზე დამოკიდებულ საზოგადოებაზე („შვილი—საზოგადოება“-B). ეს უკანასკნელები კი—უფრო მცირე საზოგადოებებზე („შვილი—შვილებზე“-C) და ასე. ამნაირად, შესაძლებელია, მაინცა და მაინც დიდი კაპიტალი არ გქონდეთ და წარმოების უშველებელ დარგებზე კი ბატონობდეთ. მართლაც და თუ კი კაპიტალის 50% კონა სრულიად საკმარისია აქციონერულ საზოგადოების კონტროლის გაწევისათვის, ხელმძღვანელს სულ ერთი მილიონი გუთა იმისათვის, რომ ჰქონდეს შესაძლებლობა კონტროლი გაუწიოს „შვილი-შვილ საზოგადოების“ რვა (8) მილიონიან კაპიტალს. და თუ ამ მსჯელობას გაუყვებით, შესაძლებელია ერთი მილიონით—16, 32 და სხვ. მილიონის კონტროლის გაწევა“. (კიტატა ამოღებულია ლენინის წიგნიდან—40).

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის საქმეში, თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის ვითარებაში საბანკო სისტემას უდიდესი როლის აღსრულება მიენიჭა. დამწინაურებული ქვეყნების ინდუსტრიისათვის საბანკო სისტემა ხდება ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად გარეშე ბაზრებისა და ჩამორჩენილ ერების დაპყრობის საქმეში: მოწინავე სახელმწიფოებმა ბანკების საშუალებით გადააქციეს თავიანთ საწველ ფურად განუვითარებელი და ნახევრად განუვითარებელი ქვეყნები. ამიტომ თანამედროვე კაპიტალიზმის იმპერიალისტურ პოლიტიკაში საბანკო სისტემას ერთი საპატიო ადგილი აქვს დათმობილი. ლენინმა სრული სისწორით დაახსიათა თანამედროვე ბანკების ეკონომიური როლი მსოფლიო მეურნეობის საქმეში; იგი სწერს: „მონაპოლია გაიზარდა ბანკების საშუალებით. ბანკი, რომელიც წინად უბრალო საშუამავლო დაწესებულება იყო—ფინანსიურ კაპიტალის მონაპოლისტად გადაიქცა. მოწინავე კაპიტალისტურ ერების სულ რაღაც ხუთიოდე უმსხვილესმა ბანკმა განახორციელა სამრეწველო და საბანკო კაპიტალის „პირადი უნია“, ხელთ იგდო მთელი სახელმწიფოთა კაპიტალების და ფულად შემოსავლის უმეტესობაზე, მილიონებსა და მილიარდებზე ბატონობა. ფინანსიური ოლიგარხია, რომელიც თანამედროვე, ბურჟუ-

აზიულ საზოგადოების ყველა საეკონომიო და საპოლიტიკო დაწესებულებას გამოუკლებლავ აბამს თავის დამოკიდებულების ქსელში—აი, რელიგიური გამოხატულება იმ მონოპოლისა* (გვ. 104.)

ჩვენ შევეცადეთ გამოვეყრკვია ფინანსიური კაპიტალის წარმოშობის მთავარი მომენტები და ამ ცნების ეკონომიური შინაარსი: ახლა შევეცადეთ გამოვყრკვიოთ ფინანსიური კაპიტალის ეკონომიური პოლიტიკა და ის ცვლილებანი, რომელნიც შეიტანა მან საერთაშორისო სამეურნეო ურთი-ერთობაში.

ფინანსიური კაპიტალის ეკონომიური პოლიტიკა.

თანამედროვე სამეურნეო პირობებში კაპიტალისტური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიზანს შეიძლება გარეშე ბაზრებისა და სამეურნეო რაიონების დაპყრობა: დაწინაურებული კაპიტალიზმი ცდილობს რაც შეიძლება ფართო სამეურნეო ტერიტორია შეიძინოს და გადააქციოს იგი თავისი ყოველმხრივი ექსპლოატაციის ობიექტად. ამ მისწრაფების შესახებ ჰილფერდინგი სწერდა: „ფინანსიური კაპიტალს პოლიტიკა სამგვარი სახის მიზანს მისდევს: უწინარეს ყოვლისა იგი ცდილობს შექნას რაც შეიძლება ფართო სამეურნეო ტერიტორია, რომელიც—ეს მეორეა, შემოზღუდული იქნება სადაპოვნო კედლებში უცხოელთა კონკურენციისაგან და რომელიც აშკარად გადაიქცევა—მესამე მიზანი—ნაციონალურ მონოპოლიურ კავშირების საექსპლოატაციო არეღ* („Фин. Кап.“ გვ. 368).

სად უნდა ვეძიოთ ეკონომიური მიზნი ფინანსიური კაპიტალის ასეთი მისწრაფებისა? ამის ახსნა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მარქსის მიერ აღმოჩენილ კანონის საშეალებით მოგების ნორმის შემცირებისაკენ მიდრეკილების შესახებ. („Закон тенденции нормы прибыли к понижению“) კაპიტალის მესამე ტომში მარქსი სწერს: „საზღვდომ თვით ის მიზეზები, რომელნიც ახდენენ ფართო მუშათა არმიების კონცენტრაციას ცალკე კაპიტალისტთა მართველობის ქვეშ, ადიდებენ აგრეთვე ამუშავებულ ძირითად კაპიტალის რაოდენობას, ისე როგორც ნედლი და დამხმარე მასალებს,—ადიდებენ შედარებით უფრო ჩქარა, ვინემ გამოყენებულ ცოცხალ შრომის რაოდენობას* („Капитал“ т. III, часть I. გვ. 194—5 1907 წ.) ამგვარად ეკონომიური განვითარება იწვევს შემდეგ გარემოებას: ტენიკა დენის პროლეტარიატს საწარმოო დაწესებულებიდან, მანქანები ცოცხალ შრომის ადგილს იჭერს. ამ გარემოებას მისდევს შემდეგი ეკონომიური შედეგი: კაპიტალისტთა შემოსავალი თანდათან მცირდება, რადგან მათი მოგების მთავარი წყარო არის წარმოების პროცესში ჩაბმულ მუშა ხელისაგან აღკლებელი ზედმეტი ღირებულება. როდესაც მცირდება წარმოების პროცესში მუშა ხელი, კაპიტალისტთა შემოსავალიც კლებულობს. თანამედროვე კაპიტალიზმა ტენიკის გამოყენება წარმოების სფეროში უმწვერვალესად განაეითარა, თავის მხრით ამ გარემოებამ გამოიწვია მათი შემოსავლის შემცირება. ამ წინააღმდეგობის თავიდან ასაცილებლად კაპიტალიზმი ყოველგვარი საშეალებით მიექანება ჩამორჩენილ ქვეყნებისაკენ და მათი სამეურნეო რესურსების გამოყენებით (იაფი მუშა ხელი, იაფი ნედლი მასალა, გასასაღებელი ბაზარი და უმუშევრად დარჩენილ კაპიტალის ამოძრავება) ცდილობს



საქართველო
კომუნისტური პარტია

მიიღოს ზედმეტი მოგება. (сверх—прибыль) თანამედროვე კაპიტალიზმი აწესებს მონოპოლიის ეკონომიურად განუფითარებელსა და პოლიტიკურად დაუძღვრებულს ქვეყნებზედ, შეიარაღებული ძალდატანების საშუალებით ამსხვრევს მსხვილ კაპიტალისტურ ორგანიზაციასაც (თანამედროვე გერმანეთი, ავსტრია) და თავისი ყოველ მხრივი შემოსავლის წყაროდ ხდის მას. განვიხილოთ ფინანსიური კაპიტალის პოლიტიკა სამ უმთავრეს ეკონომიურ სფეროში.

ა) საქონლის ექსპორტის საკითხი. კაპიტალისტური მეურნეობის ძირითად მიმოდრავებელ ძალას წარმოადგენს მოგების რაც შეიძლება მეტი ნორმის მოხვეჭა. ტრესტების შექმნამ და წარმოების ტენდენციის გაუფჯობებებამ უკიდურესად გააღვიძა წარმოების პროცესი: იზრდება საქონელთა რაოდენობა, რომელნიც, შინაური ბაზრის შეზღუდვის გამო, ვერ ნახულობს გასაგალს ქვეყნის შიგნით. ამის გამო ნაციონალურ საზღვრებში მოგების ნორმა ეცემა საშუალოზე ქვევით. ამ უკანასკნელის გამოსწორების, კაპიტალი ნახულობს საქონლის ექსპორტის გაფართოებაში. „უფრო ნაკლები მოგების ნორმა სდენის საქონელსა და კაპიტალს მათი სამშობლოს გარედ“ (ბუხარინი). აქ აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი: საქონლის ექსპორტის საშუალებით ჩამორჩენილ ქვეყნებში კაპიტალისტებს საშუალება ეძლევათ არა მარტო მოგების საშუალო ნორმის გამოსწორებისა არამედ კიდევ დამატებითი მოგების მიღებისაც. მარქსი გამოდის რა შრომის ღირებულების თეორიიდან, საუცხოვო თეორიულ ახსნას იძლევა კაპიტალის შესაბამე ტომსა და „ზედმეტი ღირებულების თეორიაში“ არა მარტო მოგების საშუალო ნორმის გამოსწორების შესახებ საქონლის ექსპორტის საშუალებით, არამედ დამატებითი მოგების შესახებაც ამავე ექსპორტის წყალობით. კაპიტალში მარქსი სწერს: „კაპიტალს, რომელიც მოთავსებული არის საგარეო ვაჭრობაში, შეუძლია მოიტანოს უფრო დიდი მოგების ნორმა... ამგვარად ის ახდენს დამატებითი მოგების რეალიზაციას.“ („Капитал. т. III—გვ. 213¹) ამგვარად საქონლის ექსპორტის საშუალებით დაწინაურებულ ქვეყნების კაპიტალისტური ორგანიზაციები მოხდენილ ექსპლოატაციას ახდენენ ჩამორჩენილ ერების და უსიციხვილოდ ეზიდებიან ზედმეტ მოგებას თავიანთ სამშობლოში. ეკონომიური მიზეზები იმისა, თუ რად იზრდება საქონლის ექსპორტი, ე. ი. რად ფართოვდება რაოდენობა იმ საქონლისა, რომელიც ეძებს გასასაღებელ ბაზარს საგარეო ბაზრებზე, ნათელია. საერთოდ კაპიტალისტური საქონლის მეურნეობა ყოველთვის საჭიროებდა საგარეო ბაზარს, მაგრამ ფინანსიური კაპიტალის ეპოქაში ეს მისწრაფება საგარეო ბაზრისაკენ უმაღლესად აუცილებელი ხდება. მეორე მხრით, სფერო საერთაშორისო თავისუფალ ბაზრებისა სულ მცირდება. თანამედროვე კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის წარმოშობის დასაწყისიდან მსოფლიო ბაზრები დაკავებული აღმოჩნდა (კოლონიალური და საბაჟო პოლიტიკა) დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მიერ. თითქმის გამოუვადი მდგომარეობაა დაწინაურებულ ნაციონა-

¹) ამ საკითხის შესახებ თეორიული ანალიზი მკითხველს შეუძლია იხილოს ანხ. ბუხარინის შრომაში: „Нирвое хозяйство и универализм“ გვ. 72—80 1926 წ. და „Империализм и мировые капитализм“ გვ. 103—106, 1925 წ.

ლურ კაპიტალისტების, რადვან მისთვის შეუძლებელი ხდება საჭინლის რელი-
ზაციის შესაძლებლობა საგარეო ბაზრებზედაც. ამ კითხვის გადასაწყვეტად
კაპიტალი სცილილობს გამოიყენოს პოლიტიკური ძალა და შეიარაღებული არმია.
ამგვარად „საწარმოო ძალების უდიდესი ზრდა და შემცირება მინიმუმამდე,
უკანასკნელ ხანებში თავისუფალ ბაზრებისა, მპურობელთა საბაჟო პოლიტი-
კა, დაკავშირებული ფინანსნიურ კაპიტალის ბატონობასთან და ხვაჭკო
ფახეულობათა რელიზაციის დროს გამოწვეულ დაბრკოლებათა გამწვავება-
ნი ქმნიან სიტუაციას, სადაც ვდამპყრელი სიტყვა ეკუთვნის სამხედრო ტენ-
ნიკას“ (Н. Бухарин: „Мировое хозяйство и империализм“ გვ. 79—80).

ბ) მხოვლიობ ნედლი მასალის ბაზარზე კონკურენციის გამწვავება.
„მონოპოლიებმა გამოიწვიეს ნედლი მასალის წყაროების გაძლიერებული დიკა-
ცება. განსაკუთრებით კაპიტალისტურ საზოგადოების ფრიალ მნიშვნელოვან
კარტელებიან მრეწველობის წყაროებისა: ქვანახშირისა და რკინისა. ნედლი
მასალის უმნიშვნელოვანეს წყაროების მონოპოლიურად დაპატრონებამ საშინლად
გააძლიერა მსხვილი კაპიტალის ძალა-უფლება. მან გამწვავა კარტელიან და
არა კარტელიან მრეწველობის შორის არსებული წინააღმდეგობა“ (იმპერი-
ალიზმი—104). ასე სწურდა ლენინი ნედლი მასალის საკითხის შესახებ. თან-
მედროვე კაპიტალისტურ ურთიერთობის პირობებში. კაპიტალიზმის უახლოესი
ფაზა ხასიათდება საერთოდ და ყველა ქვეყნებში ნედლი მასალისა და საერ-
თოდ სასოფლო მეურნეობის პროდუქტებზე ფასის აწვეით. ამხ. ბუხარინის
მოხდენილ განმარტებით, ეს გარემოება აიხსნება ინდუსტრიისა და სასოფლო
მეურნეობის შორის არსებულ დისპროპორციონალიზმით, რომელიც განსაკუთ-
რებული სიმწვავით გამომდევნდა კაპიტალისტური განვითარების უკანასკნელ
პერიოდში; სასოფლო მეურნეობის განვითარება ვერ ეწევა თანამედროვე ინდუ-
სტრიის სწრაფ განვითარებას. გაფართოების პროცესში მყოფ მსხვილ წარმო-
ბისათვის ნედლი მასალის მოთხოვნილება პროპორციონალურად იზრდება,
ხოლო სასოფლო მეურნეობა, როგორც მიმწოდებელი ნედლი მასალისა გადამუ-
შავებულ ინდუსტრიისათვის, არა პროპორციონალურად ვითარდება ინდუს-
ტრიისთან შედარებით, და ამიტომ არ ძალუძს შესაფერისი რაოდენობით და-
აკმაყოფილოს მრეწველობის მოთხოვნილებანი. აქედან წარმოსდგა სასოფლო-
სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლი მასალის სიძვირე. მეორე მხრით, აღსა-
ნიშნავია ის გარემოება, რომ ნედლი მასალის ზოგიერთი ელემენტები (ქვან-
ახშირი, რკინა, ნავთი) მოთავსებული არის განსაზღვრულ ტერიტორიალურ რაი-
ონებში, რაც შესაძლებლობას ქმნის ზოგიერთ მოწინავე სახელმწიფოებისათვის
ნათხე მონოპოლიის გამოცხადებას. ფინანსიური კაპიტალი სცილილობს, რაც
შეიძლება იათ ფასებში მიიღოს რაც შეიძლება მეტი ნედლი მასალა. ის თავის
ყურადღებას აპრობს ნახევრად კაპიტალისტურსა და ნახევრად განათლებულ
ქვეყნებისაკენ, რომელნიც მდიდარი არიან სხვადასხვა სახის ნედლი მასალისა
და სასოფლო სამეურნეო პროდუქტებით,—და ცდილობს თავის მონოპოლიურ
საკუთრებად გადააქციოს ეს ქვეყნები. ეს თავის მხრით თავდება დიდ სახელ-
მწიფოთა შორის საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავებით, მეორე მხრით



ასეთსავე კონფლიქტისაკენ მიუყვებათ ნედლი მასალის (განსაკუთრებით ქვანახშირის, რკინის, ნავთის) უსწორმისწორ გადინაწილებას კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. ამგვარად ფინანსიური კაპიტალი თავისი პოლიტიკით ნედლი მასალის წყაროების საკითხში ამწეავენს საერთაშორისო კონფლიქტებს.

ე) კაპიტალის ექსპორტი. «ძველი კაპიტალიზმისათვის, რომლის დროს სახვებით ბატონობდა თავისუფალი კონკურენცია, ტიპური მოვლენა იყო საქონლის გატანა. უახლოეს კაპიტალიზმისათვის, როდესაც მონოპოლიები შეფლობს, ტიპური გახდა კაპიტალის გატანა». (ლენინი—52). მსხვილ კაპიტალისტურ წარმოების დროს კაპიტალის დიფერენცია და კონცენტრაცია შეუწყვეტელი ჩქარი ტემპით სწარმოებს, მაგრამ ნაციონალურს ნიადაგზედ, მეტროპოლიის საზღვრებში დავროვილ კაპიტალის დიდი რაოდენობა ვეღარ ნახულობს შესაფერისს მოგებიან გამოყენების შესაძლებლობას. შემდეგი ამოძრავება ახალი კაპიტალისა განსაზღვრულ ტერიტორიის საზღვრებში უკვე აღარ შეეფერება ფინანსიურ კაპიტალის პოლიტიკას (ამ პოლიტიკის მთ ვარი მომენტებია: 1) საქონლის შემცირება შინაურ ბაზარზე, რომ ამით 2) გაადიდონ ფასები პროდუქტებზე) და ეწეულება არა მარტო ზედმეტი, არამედ საშუალო მოგების ნორმისაც. მაგრამ კაპიტალს არ შეუძლია დარჩეს უმოქმედოთ; ეს კაპიტალის სიყვდილი იქნება. ამ მდგომარეობიდან განოსავალს ფინანსიური კაპიტალი ნახულობს კაპიტალის ექსპორტში. თანამედროვე კაპიტალისტურ მეურნეობის პირობებში კაპიტალის ექსპორტის გაძლიერება გამოწვეული არის არა იმ მიზნით თითქოს მისი მოთავსება აბსოლუტურად შეუძლებელი იყოს მეტროპოლიის ფარგლებში, თითქოს საწარმოო ძალთა განვითარებამ აქ უმაღლეს ხარისხამდე მიაღწია და მოხდა კაპიტალიზაცია მთელი ეკონომიკისა თავისი უმაღლესი ფორმით; თანამედროვე კაპიტალისტური მექანიკის პირობებში კაპიტალის ექსპორტი გამოწვეული არის ზედმეტი მოგების ძიებით. ამ პრობლემას ან გვარი სახით ხსნიდა მარქსი 50 წლის წინად. იგი სწერდა: «თუ კაპიტალი იგზავნება საზღვარ-გარეთ, ეს გამოწვეული არის არა იმით თითქოს მისი მოთავსება საქმეში ქვეყნის შიგნით აბსოლუტურად შეუძლებელი იყოს. ეს ხდება იმიტომ რომ საზღვარ-გარეთ ის (კაპიტალი) შეიძლება მოთავსებული იქნეს უფრო მაღალი მოგების ნორმით («Капитал» т. III часть 1-я, 227) მარქსის მოღვაწეობის პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ სამრეწველო კაპიტალიზმი ბატონობდა, კაპიტალის ექსპორტი არ თამაშობდა გადამჭრელ როლს მეურნეობაში. ფინანსიური კაპიტალის გაბატონებამ კაპიტალის ექსპორტის საკითხი მთელი თავისი სიმწვანით წამოაყენა. ჰილფერდინგი სწერს: «თავის თავად კაპიტალის ექსპორტი არ არის შედეგი კარტელების გავრცელებისა. ეს მოვლენა საერთოდ განუყოფელია კაპიტალისტურ განვითარებისაგან. მაგრამ კარტელების გავრცელება მკაცრად აძლიერებს წინააღმდეგობებს და ექსპორტის საკითხს აძლევს მკაცრ ბასიათს» (Гильф. — 265).

შემდეგი ცნობები ლენინისა საუცხოვოდ ამტკიცებს ჰილფერდინგის დებულებას.

ქართული
ენების
ფრანკებით

საზღვარ-გარეთ მოთავსებული კაპიტალი (მილიარდ ფრანკებით)

წლები.	ინგლისი.	საფრანგეთი.	გერმანეთი.
1862	3,6	—	—
1872	15	10	—
1882	22	15	?
1892	42	20	?
1902	62	27-37	12,5
1914	75-100	60	44

(ლენინი—53)

აქედან სჩანს, რომ კაპიტალის გატანის ტემპის გაძლიერება მკიდროდ დაკავშირებულია თანამედროვე მონოპოლური კაპიტალიზმის წარმოშობის პერიოდთან. უფრო საყურადღებოა შიკაგოს შემდეგი ცნობები ინგლისისათვის. მისი ცნობებით, ინგლისის კაპიტალი 1911—13 წლებში მოთავსებული იყო (ათასი გირვანქა სტერლინგით):

წლები.	სულ.	ქვეყნის შიგნით	კოლონიებში.	საზღვარ-გარეთ.
1911	196.216	32.244	60.932	103.040
1912	212.337	51.294	64.407	96.635
1913	248.237	50.709	99.569	97.958
1911—13	656.790	134.247	224.908	297.633

(Нахимсон: „Мировое хозяйство до и после войны т. I გვ. 31, 1924 წ.)

ამ ცხრილიდან ჩვენ ეხედავთ, რომ ინგლისიდან გატანილი კაპიტალი კოლონიებს და საზღვარ-გარეთ $4\frac{1}{2}$ მეტი არის შედარებით იმ კაპიტალთან, რომელიც მოთავსებული არის მეტროპოლიის ინდუსტრიაში.

კაპიტალის ექსპორტს თანამედროვე სამეურნეო პირობებში უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. ევროპისა და ამერიკის ფინანსიური ოლიგარხია კაპიტალის ექსპორტის სხვადასხვა ფორმების საშუალებით აბერებენ კაპიტალის შემტან ქვეყნების ეკონომიურ გაყვლეფასა და პოლიტიკურს დაშინებას. კაპიტალის ექსპორტი ერთი სამნიშვნელოვო საშუალება არის დიდ სახელმწიფოს მიერ ჩამორჩენილ ქვეყნების დასაშინებლად და იმპერიალისტური პოლიტიკის გასატარებლად. ეკონომიურად კაპიტალის ექსპორტის საშუალებით ევროპისა და ამერიკის მანკატები ექსპლოატაციის უმაღლეს ფორმას ანეთარებენ ჩამორჩენილ ქვეყნებში და ლებულობენ დამატებით მოგებებს. შარქის კაპიტალში არის შემდეგი მნიშვნელოვანი დახასიათება ამ საკითხის შესახებ: „...რაც შეეება კაპიტალებს, მოთავსებულთ კოლონიებსა და სხე., მათ შეუძლიათ მისცენ უფრო მაღალი მოგების ნორმები, რადგან იქ, უფრო მდებალი განვითარების წყალობით, მოგების ნორმა სერითოდ სდვას მაღლა, ხილა მონების, კულებისა და სხვათა გამოყენების პირობებში, მაღალია შრომის ექსპლოატაცია“. (Капитал т. III—213).

ეკონომიურად სრულად გასაგები და ნათელია, რატომ გახდა ტიპიურ მოვლენად უახლოეს კაპიტალიზმისათვის კაპიტალის ექსპორტის საკითხი. ომის



შემდეგი წარმოებაც ამ ფაქტს ნათელ სხივს ფენს. ამერიკის ფინანსიურმა კაპიტალმა, რომელიც უდიდესი ბანკირი შეიქმნა დღეს დღეობით, კაპიტალის ექსპორტის საშუალებით მთელი მსოფლიო დააყენა თავის გავლენის ქვეშ და წდაუყენის მზგავს გეგმების საშუალებით მთელს ევროპას ემუქრება კოლონიალ გადაქცევას. (Бубнов: „Американский финансовый капитал“ „Правда“ № 193, 1925 წ.).

კაპიტალის ექსპორტი თავისი მხრით, ამწვავებს კონფლიქტებს დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის და წარმოადგენს იმპერიალისტური პოლიტიკის სტიმულს. ფინანსიური კაპიტალი სკედილობს თავის მონოპოლიის ქვეშ დააყენოს მეტროპოლიის კაპიტალის მოსათავსებლად პირველ რიგში ნახევრად კაპიტალისტური ქვეყნები, სადაც იაფი შემოსავალი და იაფი ნედლი მასალა წარმოებას ზედმეტად მომგებიანს ხდიან (საკითხი კოლონიების შესახებ), ან და დააყენონ თავიანთ გავლენის ქვეშ ის ქვეყნები, სადაც სადამოყენო პოლიტიკა და სხვა სამეურნეო პარობები, აღიდებენ გატანილ კაპიტალის შემოსავლიანობას (საკითხი ნახევრად კოლონიების შესახებ).

2. იმპერიალიზმი, როგორც ფინანსიური კაპიტალის პოლიტიკა.

ფინანსიური კაპიტალის პრობლემასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული იმპერიალიზმის პრობლემაც, ისტორიულად თანამედროვე იმპერიალიზმი პირველად შეიქმნა იმ დიდი პროცესისა, რომელიც სამეურნეო ცხოვრების სფეროში საბანკო და სამრეწველო კაპიტალის შესისხლხორცებასა და მონოპოლიური კაპიტალიზმის განმტკიცებაში გამოიხატა. ისტორიკოსი დრიო ერთ-ერთ თავის შრომაში სწერდა, რომ იმპერიალიზმი მე-19-ე საუკუნის დანღვევის ყველაზე უფრო დამახასიათებელი თვისება არისო. მართლაც, როგორც ლენინი აღნიშნავს, საეკონომიო და საპოლიტიკო ლიტერატურა მეოცე საუკუნის დასაწყისიდან განსაკუთრებულს ყურადღებით ჩერდება იმპერიალიზმის ცნების გამოკვლევაზე და ცდილობს ამ მოვლენის ძირითად მიზეზის გამოანახვას: ეს მითაიხსენება, რომ თვით იმპერიალიზმი საერთაშორისო ცხოვრების ძირეულ ფაქტორად გადაიქცა და ეკონომიური მეცნიერებაც იძულებული შეიქმნა მისთვის ანგარიში გაეწია. იმპერიალიზმის ცნების ვარკვევაში პირველობა ინგლისის ეკონომისტს—მოხსონს ეკუთვნის, რომელმაც 1902 წელს გამოსცა ფრიალ საყურადღებო შრომა „იმპერიალიზმი“ სახელწოდებით (არის რუსული შემოკლებული გამოცემა—1918 წ.). მარქსისტული ლიტერატურაც მდიდარი არის იმპერიალიზმის ცნების გამოკვლევის საკითხში: კ. კაუცკი (მთელ რიგ წიგნებსა და წერილებში), მარკსი („კოლონიური პოლიტიკა და კაპიტალიზმის დამხობა“. 1907 წ.), მილფერდინგი („ფინანსიური კაპიტალი“ 1910 წ.), ოტო ბაუერი („ნაციონალური საკითხი და ს-დემოკრატია) მ. კუნოვი (მთელ რიგ წერილებში), როზა ლუქსემბურგი („კაპიტალის დაგროვება“ ორი ტომი 1913 და 1917 წ.) ლენინი („იმპერიალიზმი“.) ნ. ბუხარინი („მსოფლიო მეურნეობა და იმპერიალიზმი“ 1916 წ. და „იმპერიალიზმი და კაპიტალის დაგროვება“ 1924 წ.) ლ. კამენევი („იმპერიალიზმის ეკონომიური სისტემა“ 1916 წ.), გ. ზინოვიევი

„ომი და სოციალიზმის კრიზისი“ 1914—16 წ.) მ. პავლოვიჩი („იმპერიალიზ-
ში და მთელი რიგი ნარკვევებისა) სხვა და სხვა მიდგომით არკვევდენ იმპერია-
ლიზმის პრობლემას. მიუხედავით ლიტერატურის სიმდიდრისა, საკითხი მაინც თით-
ქოს გამოურკვეველი რჩება და დღესაც გაცხარებული კამათი სწარმოებს სხვა
და სხვა გაბატონებულ თეორიების მიმდევართ შორის. (მაგ. ვაისხენეთ კამათი
ლიუქსემბურგის თეორიის გარშემო კომუნისტურ ლიტერატურაში) ცოტა ქვე-
ვით ჩვენ შევხებით იმპერიალიზმის შესახებ უმთავრეს მარქსისტულ თეორიებს.
ახლა კი დავსვათ საკითხი: როგორი ადგილი უჭირავს იმპერიალიზმს თანა-
მედროვე კაპიტალიზმის განვითარების საქმეში, ან როგორ საფუძველზედ ყარდ-
ნობა თანამედროვე იმპერიალიზმი?

ჩვენ უკვე დავინახეთ თუ წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია რო-
გორ აძლევს თანამედროვე კაპიტალიზმს მონოპოლიურ ხასიათს. „ეკონომიუ-
რის მხრით ამ პროცესში ძირითადი მოვლენაა კაპიტალისტურ თავისუფალი
კონკურენციის შეცვლა კაპიტალისტური მონოპოლიებით“. (ლენინი) ეს უკვე
ნიშნავს კაპიტალიზმის გადასვლას თავისუფალ კონკურენციიდან, რომელიც წარ-
მოადგენს დამახასიათებელ თვისებას სამრეწველო კაპიტალიზმის, შემდეგ უფრო
უმაღლეს ეკონომიურ ფორმაციაზე, უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ურთი-
ერთობაზე. მაგრამ მონოპოლია არ სპობს სავსებით კონკურენციას; იგი უფრო
შევავე ხასიათს აძლევს კონკურენციის და ანვითარებს მას უფრო მსხვილი მას-
შტაბით, როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ, მონოპოლიურ კაპიტალიზმს აქვს გარ-
კვეული ეკონომიური პოლიტიკა. სწორედ ეს კაპიტალისტური მონოპოლია და
მისი სამეურნეო მისწრაფებანი შეადგენენ თანამედროვე იმპერიალიზმის ეკონო-
მიურ საფუძველს. 90-იან წლების მიწურულებში ლენინმა შემდეგნაირად დაახა-
სიათა კაპიტალიზმის მისწრაფება ექსპანსიისაკენ:

„... კაპიტალიზმს არ შეუძლია არსებობა და განვითარება თუ მუდ-
მივად არ აფართოვა თავისი ბატონობის სფერო, არ მოახდინა კოლონიზაცია
ახალი ქვეყნებისა და არ ჩაითრია არა კაპიტალისტური ქვეყნები მხოფლიო
მეურნეობის მიმდინარეობაში...“

„მაშასადამე, ბაზრის შექმნის პროცესს კაპიტალიზმისათვის აქვს ორი
მხარე, სახელდობრ: ვითარდება კაპიტალიზმი სიღრმით (в глубь), ე. ი. ხდება
შემდეგი ზრდა კაპიტალისტური მიწადმოქმედებისა და კაპიტალისტური მრე-
წველობისა განსაზღვრულსა და შემოთარგლულს ტერიტორიის ფარგლებში,—
და ვითარდება კაპიტალიზმი სიგანით (в ширь) ე. ი. ხდება კაპიტალიზმის ბა-
ტონობის სფეროს გაფართოება ახალს ტერიტორიებზე“ (Н. Ленин: т. III.
„Развитие капитализма в России.“ გვ. 485) აქ სხარტულად არის გამოთქმუ-
ლი ძირითადი მისწრაფება კაპიტალისტური მეურნეობისა და წარმოების. ასე-
თი მისწრაფება თანამედროვე ფინანსიურ კაპიტალიზმის სასიცოცხლო ინტერე-
სებს წარმოადგენს. მაგრამ ფინანსიურ კაპიტალს არ შეუძლია სწრაფად გაფარ-
თოვდეს მხოლოდ ეკონომიურ ძალდატანების საშუალებით. მან უნდა გამო-
იყენოს კაპიტალისტური სახელმწიფოს შეიარაღებული ძალაც, პოლიტიკური
ძალდატანების ფაქტორებიც. აქედან ჩვენ შეგვიძლია განვმარტოთ იმპე



რიალიზმის ფუნქციალური მნიშვნელობა: თანამედროვე იმპერიალიზმში არის ფინანსიურ კაპიტალის სოციალ-ეკონომიური პოლიტიკა. მაგრამ ასეთი განმარტება იმპერიალიზმისა ძირშივე განსხვავდება იმ განმარტებისაგან, რომელიც იყო მოცემული ჰილფერდინგისაგან და უკანასკნელ ხანებში (1914—15) კ. კაუტსკის მიერ.

იმპერიალიზმის ცნების უფრო სრულ განმარტებისათვის მე სიტყვას დაუთმობ ამხ. ნ. ბუხარინს, რომელმაც, ჩემის აზრით, სწორი სოციალ-ეკონომიური შინაარსი ჩასდვა თავის განმარტებაში:

„წინა თავში ჩვენ განვმარტეთ იმპერიალიზმი, როგორც ფინანსიურ კაპიტალის პოლიტიკა. ამით უკვე ახსნილია მისი ფუნქციალური მნიშვნელობა. ის წარმოადგენს ფინანსიურ-კაპიტალისტური სტრუქტურის მატარებელს, უმორჩილებს მსოფლიოს ფინანსიურ კაპიტალის ბატონობას, ძველი კაპიტალიზმის წინა დროისა ან ძველი კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობათა ადგალზე ის აყენებს ფინანსიურ კაპიტალიზმის საწარმოო ურთიერთობებს. სწორედ ისე, როგორც ფინანსიური კაპიტალიზმში არის ისტორიულად შემოსაზღვრული ეპოქა, დამახასიათებელი მხოლოდ უკანასკნელი ათეული წლებისათვის, სწორედ ასევე იმპერიალიზმაც, როგორც ფინანსიური კაპიტალიზმის პოლიტიკა, არის სპეციფიური ისტორიული კატეგორია.

„იმპერიალიზმი არის დაპყრობითი პოლიტიკა. მაგრამ არა ყოველი დაპყრობითი პოლიტიკა არის იმპერიალიზმი. ფინანსიურ კაპიტალს არ შეუძლია სხვაგვარი პოლიტიკა აწარმოოს, ამიტომ როდესაც ჩვენ ვამბობთ იმპერიალიზმის შესახებ, როგორც ფინანსიურ კაპიტალის პოლიტიკაზე, მისი დაპყრობითი ხასიათი იგულისხმება; მაგრამ ამის გაოდა, აქ არის ნაჩვენები თუ როგორ საწარმოო ურთიერთობებს ადგენს (воспроизводит) ეს დაპყრობითი პოლიტიკა“. (Пухирин: „Мировое хозяйство и империализм“ გვ. 109) უფრო მოკლედ რომ ვსთქვათ: იმპერიალიზმი არის ფინანსიურ კაპიტალიზმის სისტემა, რომლის დანიშნულებასაც შეადგენს, მთელს მსოფლიოში ფინანსიურ კაპიტალიზმის წარმოებების ურთიერთობების განმტკიცება, პოლიტიკურ ეკონომიურ ძაღდატანების საშუალებით.

საერთოდ მარქსისტულს ლიტერატურაში ჩვენ ვნახულობთ ორგვარ განმარტებას იმპერიალიზმის შესახებ, რომელნიც მკაცრად განსხვავდებიან ერთი მეორესაგან. სქემატურად შევებით ამ განმარტებებს.

ა) ჰილფერდინგ—კაუტსკის თეორია: იმპერიალიზმი არის ფინანსიურ კაპიტალის პოლიტიკა (მეთოდოლოგიურის აზრით). ომის წინა პერიოდში (1908 წ.) კაუტსკი იმპერიალიზმში ხედავდა მხოლოდ სამრეწველო კაპიტალიზმის მისწრაფებას აგრარულ ქვეყნების დაპყრობის საქმეში. მთელი უსრულობა და არც მარქსისტულობა ამ განმარტებისა ახსნილი არის ლენინის წიგნში (გვ. 74—9). შემდეგ კაუტსკივე გავლენა მოახდინა ჰილფერდინგის ფინანსიურმა კაპიტალმა და მანაც დაინახა იმპერიალიზმში თავისებური პოლიტიკა ახალი კაპიტალიზმისა. 1914—15 წ.წ. კაუტსკი სწერდა: „იმპერიალიზმი არის მხოლოდ ძალის ხაკოთხი და არა ეკონომიური აუცილებლობა. ის არამც თუ აუცილებელი არ

არის კაპიტალიზტური წარმოების წესისათვის არამედ მისი მნიშვნელობა კაპიტალიზტური წარმოებისათვის ძლიერ ხშირად შეუფერებლად ფასდება*. (И. Каутский „Национальное государство, империалистическое государство и союз государств“. 1917 г. გვ. 24). დღეს სოციალ პატრიოტების ბანაკში ასეთი განმარტება იმპერიალიზმისა არის გაბატონებული. ამ განმარტებას აქვს არა მარტო თეორიული, არამედ ჯალრესად პრაქტიკული მნიშვნელობა საერთაშორისო მენშევიზმის სამოღვაწეო პროგრამის გამოკვლევის დროს. ლენინი ამ თეორიის შესახებ სწერდა: „კაუცკის განმარტება მარტოოდენ იმით არ ხასიათდება რომ სწორი და მარქსისტული არაა. იგი გადაიქცა საფუძვლად მთელ წყება შეხედულებათა სისტემისა, რომელიც შორდება თავიდან ბოლომდე, როგორც მარქსისტულ თეორიას, ისე მარქსისტულ პრაქტიკას“ (ლენინი—79 გვ.). ჰილფერდინგ—კაუცკის თეორიის მიხედვით ფინანსიურ კაპიტალიზმს შეუძლია შეიცვალოს თავისი მეთოდები ადგილისა და გარემოების მიხედვით: დაპყროვისა და ძალდატანების პოლიტიკიდან, იმპერიალიზმიდან, ფინანსიურ კაპიტალს შეუძლია გადავიდეს სრულიად მშვიდობიან მეთოდზე, ამიტომ შესაძლებელი არის იმპერიალიზმის აღმოფხვრა კაპიტალიზტურ მეურნეობის ბატონობის პირობებში. არა ბრძოლა მთელი კაპიტალიზმის წინააღმდეგ, არამედ ბრძოლა მხოლოდ იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, რათა შესაძლებელი გახდეს კაპიტალიზმის დემოკრატიზაცია, კაუცკი სწერს:

„იმპერიალიზმისადმი ჩვენი დამოკიდებულება უნდა იყოს სწორედ ისეთივე, როგორც არის ჩვენი დამოკიდებულება შრომის ხელფასის შემცირებისადმი, სამუშაო დღის გადიდებისადმი, სასოფლო სანოვაგებზე ფასების აწვევისადმი გადასახადებისა და დაბეჯერის გზით და სხვა. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ იმპერიალიზმს არა ეკონომიური განვითარების შეფერებების მიზნით, არამედ იმ მიზნით, რომ ვიძულოთ კაპიტალიზტები გამონახონ სხვა გზები მოგების გადიდებისათვის ეკონომიურ ექსპლოატაციის სფეროში, მრეწველობის პროდუქტების გატანის გაფართოებისათვის, ნედლი და საკვები მასალების შენოტანისათვის. დაე, კაპიტალიზტებმა განახორციელონ ესენი არა იმპერიალიზმის გზით, არამედ უფრო გონიერების მომთხოვ დემოკრატიისა და თავისუფალი გაცვლის საშუალებით“. (კაუცკის დასახელებული წიგნი—92).

აქ მოცემული არის კაუცკიანიზმის მთავარი შინაარსი იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის საკითხში. კაუცკი და ჰილფერდინგი ვერ ამჩნევენ, რომ 1) თანამედროვე კაპიტალიზმი უკვე შევიდა ლუბისა და გახარწის პერიოდში, რომ მას აღარ შეუძლია საწარმოო ძალების განვითარება და ეკონომიურ პროგრესისთვის ზრუნვა, ამიტომ მისი დაძლევა ნიშნავს არა ეკონომიურ ცხოვრების განვითარების შეფერებას, არამედ საწარმოო ძალების განთავისუფლებას განმანადგურებელ სოციალურ ურთიერთობისაგან; 2) რომ იმპერიალიზმის დაძლევა შეუძლებელია არის კაპიტალიზმის ბატონობის პერიოდში, რომ იმპერიალიზმი აუცილებელი სისტემაა კაპიტალიზმისა და მისი აღმოფხვრა შესაძლებელი არის მხოლოდ და მხოლოდ თვით კაპიტალიზტური ურთიერთობის აღმოფხვრით. ამ



საქართველო

საბჭოთა კავშირი

თეორიამ სავსებით გამოამტკიცა მათი ავტორების სრული რაობის სრული შეხედულება.

კუნოვის თეორია: იმპერიალიზმში არის უახლოესი ეტაპი კაპიტალიზმისა. კუნოვის თეორია უფრო სდგას სიმართლის ხელოს, მაგრამ მასთანვე უფრო რეაქციონერია. ამ თეორიის ავტორი იმპერიალიზმის თანამედროვე კაპიტალიზმში ხედავს მხოლოდ პროგრესულ მოვლენებს, ამიტომ ის მთელი თავისი თეორიული ერთეულით ცდილობს დაიცვას იმპერიალიზმის აუცილებლობა. აქედან წარმოსდგა მისი სოციალ-იმპერიალიზმი. კუნოვი მომზბუ არის დიდ ტანიაშმა კაპიტალისტურმა ერებმა ჩაყლაპონ განუვითარებელი ეროვნული ერთეულები, რადგან ამას მოითხოვს კაპიტალიზმის განვითარების ინტერესები და აუცილებლობა კუნოვი და მისი მიმდევრები ვერ ხედავენ, რომ მონაპოლიურ კაპიტალიზმის ახალი ეპოქით უკვე დაიწყო კაპიტალისტური მეურნეობის უკანასკნელი დაკემის საფეხური: კაპიტალიზმი დიდი ხანია შევიდა შინაგანი რღვევისა და ლპობის პერიოდში, რომ თანამედროვე პროლეტარიატის ამხედრება და რევოლუციები ეს არის რეალური ნაყოფი მიმდინარე კაპიტალისტური ეკონომიკისა: —წარმოების ძალების ამხედრების თანამედროვე საწარმოო ურთიერთობის წინააღმდეგ. კუნოვ-დავიდისათვის უახლოესი კაპიტალიზმის პარაზიტიზმი და გაზრწნა არ არსებობს: ეს მათ ვერც თეორიულად წარმოუდგენიათ და ვერც რეალურად დაუნახავთ. ამიტომ ისინი „ამაყურად“ სდგანან ორივე ფეხებით იმპერიალიზმის ნიადაგზედ სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ.

ღ) როზა ლუქსემბურგის თეორია. ამ თეორიის ორიგინალიზმი იმაში გამოიხატება, რომ ის ხედავს იმპერიალიზმის ეკონომიურ საფუძვლებს არა თანამედროვე ფინანსიურ კაპიტალის სპეციფიურ სტრუქტურაში, როგორც სხვა თეორეტიკოსები, არამედ საერთოდ კაპიტალისტური მეურნეობის ეკონომიკაში იმპერიალიზმი ავტორისათვის წარმოადგენს კაპიტალის დაგროვების მეთოდს. „კაპიტალის დაგროვება-ს“ პირველ ტომში (გამოვიდა 1913 წ.) ლუქსემბურგისწერს: „იმპერიალიზმი წარმოადგენს კაპიტალის დაგროვების პროცესის პოლიტიკურ გამოხატულებას თავის კონკრეტულს ბრძოლაში დარჩენილ არაკაპიტალისტურ მსოფლიო წრეებისათვის.

„იმპერიალიზმი წარმოადგენს ისტორიულ მეთოდს კაპიტალის არსებობის ვაგრძელებისათვის“... (P. Диксбург: „Накопление капитала“ — т 1—2 გვ. 465 და 466) თავის „ანტიკრიტიკაში“ ავტორმა შემდეგნაირად განმარტა თავისი თეორია: „რომ იმპერიალიზმის ეკონომიური ფესვების ახსნა უნდა იქნეს სპეციალურად გამოყვანილი კაპიტალის დაგროვების კანონიდან და მასთანვე უნდა იქნეს შეთანაბრებული.—ეს არავითარ გეგს არ უნდა იწვევდეს, რადგან იმპერიალიზმი საერთოდ საყოველთაო ემპირიული მოწოდებით სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა კაპიტალის დაგროვების სპეციფიურ მეთოდს... მისი რაობა გამოიხატება კაპიტალის ბატონობის გავრცელებაში ძველი კაპიტალისტური ქვეყნებიდან ახალს ოლქებზე და ამ კაპიტალისტურ ქვეყნების სამეურნეო და პოლიტიკურ კონკურენტულ ბრძოლაში მზგავსი ოლქების დასაპყრობად“ (იქვე გვ. 560—61) ლუქსემბურგის განმარტებით კაპიტალისტს არ შეუძლია.

წარმოების პროცესიდან მუშის ექსპლოატაციის საშუალებით მიღებული ზედმეტი ღირებულების რეალიზაცია წმინდა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ამიტომ კაპიტალიზმის არსებობისთვის საჭირო არის არაკაპიტალისტური ფორმაციების არსებობა და მათი დაპყრობა. იმპერიალიზმიც აქ ასრულებს თავის ისტორიულ დანიშნულებას. ჩვენ აქ არ შევდივართ ავტორის დებულებების ანალიზში: საფუძვლიანი კრიტიკა ლიუქსემბურგის დებულებებისა აშხ. ნ. ბუხარინის კალამს ეკუთვნის (იხ. მისი: „იმპერიალიზმი და კაპიტალის დაგროვება“) ლიუქსემბურგს აუცილებლად ეკუთვნის ერთი მნიშვნელოვანი დამსახურება იმპერიალიზმის მარქსისტულად განმარტების საქმეში. პირველად მან სერიოზულად დაუყავიორა იმპერიალიზმის პრობლემა კაპიტალისტურ მექანიკის ვითარებას და დასახა იგი, როგორც ეკონომიური აუცილებლობა ბურჟუაზიული ურთიერთობის პერიოდში.

9) **ლენინი**—**ბუხარინის თეორია**. მრავალი ზედავს ლენინისა და ბუხარინის განმარტებათა შორის იმპერიალიზმის შესახებ სხვადასხვაობას, მაგრამ ვინც ღრმად ჩაუყვირდება საკითხს ის ვერ დაინახავს ღრმა თეორიულ განსხვავებას. მართალია ორთავე მკვლევარი სხვადასხვა სახელწოდებით ნათლავენ იმპერიალიზმს, მაგრამ როგორც ლენინი ამბობს თავისი წიგნის ერთ-ერთ ადგილას საქმე სახელწოდებაში კი არ არის, არამედ ცნებების ძირითად შინაარსის გამოკვლევაში: ჩენის ვაგებით ორივე ავტორმა თითქმის ერთი და იგივე ეკონომიური და სოციალ-პოლიტიკური შინაარსი ჩასდევს იმპერიალიზმის ცნებაში, მიუხედავად იმისა, რომ მიდგომა კითხვისადმი სხვადასხვა გვარი აქვთ. ჩვენ უკვე დავინახეთ ბუხარინის განმარტება. მისი ვაგებით იმპერიალიზმი არის ფინანსიური კაპიტალის პოლიტიკა, რომელიც „აღდგენს ფინანსიურ კაპიტალის საწარმოო ბაზას გაფართოებულ საფეხურზე“ (ბუხარინი—107). ლენინის განმარტება ამბობს: „იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის ის სტადია, როდესაც უკვე არსებობს მონოპოლიათა და საფინანსო კაპიტალის ბატონობა, როდესაც კაპიტალის გატანას უკვე უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როდესაც დაწყებულია ქვეყნიერების განაწილება საერთაშორისო ტრესტების მიერ და უკვე მოთაგებულია დედამიწის მთელი ტერიტორიის განაწილება კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის.“ (ლენინი-76) აქ არის მოცემული გარკვეული ეკონომიური და პოლიტიკური შინაარსი ცნებისა თავისი ბუთი დამახასიათებელი თვისებით. მაგრამ თავისებურება იმპერიალიზმისა მარტო ამ ბუთ თვისებაში არ გამოიხატება: იმპერიალიზმი გარკვეული ისტორიული კატეგორიაა და ამიტომ გარკვეული საზოგადოებრივი თვისებებურობის მატარებელი; ლენინი იძლევა სამს ახლ დამახასიათებელ თვისებას იმპერიალიზმისას: იმპერიალიზმი არის განსაკუთრებული ისტორიული სტადია კაპიტალიზმისა. ეს განსაკუთრებულობა სამგვარია: 1) იმპერიალიზმი არის მონოპოლიური კაპიტალიზმი; 2) პარაზიტული ან ღობაში შესული კაპიტალიზმი; 3)—მომაკვდავი კაპიტალიზმი“. აქ მოცემული არის, ასე ვსთქვათ, სოციოლოგიური ბუნება თანამედროვე კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის.

ლენინ-ბუხარინის განმარტებაში განსაკუთრებულის რელიეფობით არის წარ-



ოდგენილი ორი მომენტი, რომელიც მკაცრად ასხვავებენ ამ თეორიას ჰილფერ-დინგ-კაუციუს და კუნოვის თეორიებისაგან: ა) იმპერიალიზმი არის ეკონომიკურად კაპიტალიზმის აუცილებელი და გაუდაუვალი მოვლენა. იმპერიალიზმი არის თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიური აუცილებლობა და იგი შესისხლბორცებული არის მიმდინარე კაპიტალიზმის მექანიზმთან: დაძლევა იმპერიალიზმისა შესაძლებელია კაპიტალიზმის აღმოფხვრის გზით. ამით ეს თეორია განახვავდება ჰილფერდინგ-კაუციუს ოპორტუნისტულ განმარტებისაგან; ბ) იმპერიალიზმი აღდგენს (воспринимает) ფინანსიური კაპიტალიზმის საწარმოო ურთიერთობებს და ცერდნობა ლობაში შესულ, პარაზიტულ, მომაკვდავ, მონოპოლიურ კაპიტალიზმის ეკონომიურ საფუძვლებს. ამით ლენინ-ბუხარინის თეორია მკაცრად განსხვავდება კუნოვის რეაქციონერ ყბედობისაგანაც: იმპერიალიზმი არის პროლეტარიატის სოციალური რევოლუციის „წინა დღე“. (ლენინი) ასეთი არის სწორი სოციალოლოგიურ—ეკონომიური შინაარსი იმპერიალიზმის ცნებისა.

ჩვენ უკვე დაენახეთ თუ როგორი ფორმები მიიღო თანამედროვე კაპიტალიზმმა და როგორ წარმოიშვა კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაციის ნიადაგზედ მონოპოლიური ფავშირები, როგორ ხდება შესისხლბორცება საბანკო კაპიტალისა სამრეწველო კაპიტალთან და როგორი არის ეკონომიური პოლიტიკა უახლოესი კაპიტალიზმის საგარეო ბაზრების დაპყრობის საკითხში (ნედლი მასალა, საქონლის გასაღება, კაპიტალის ექსპორტი). თანამედროვე იმპერიალიზმი აღმოცენებული მონოპოლიურ კაპიტალიზმის ნიადაგზედ, ცდილობს რეალიზაცია მოახდინოს ფინანსიური კაპიტალის ამ პოლიტიკას, რეალურად განახორციელოს კაპიტალის მისწრაფება თავისი ტერიტორიის გარეგ; უკეთ, იმპერიალიზმის ამოცანას შეადგენს ფინანსიური კაპიტალის მონოპოლიური ბატონობის განმტკიცება მთელი მსოფლიოს მნიშვნელოვან სამეურნეო ერთეულებში, რადგან შემდეგი განვითარება და ზრდა ფინანსიური კაპიტალისა მჭიდროთ არის გადახლართული საგარეო ბაზრების საკითხთან: გაფართოება თავისი სახელმწიფოს საზღვრების გარეშე აუცილებლობით გამომდინარეობს ფინანსიური კაპიტალიზმის სტრუქტურიდან. დაპყრობითი პოლიტიკა აუცილებელი იარაღი ხდება თანამედროვე კაპიტალიზმის არსებობისათვის.

აქ ზედმეტი არ იქნება მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ იმ დამოკიდებულების ფორმებზე, რომელიც მყარდება ფინანსიურ კაპიტალის ბატონობის პერიოდში მსხვილ კაპიტალისტურ სახელმწიფოსა და უფრო სუსტს ქვეყნებს შორის. ამ საკითხთან არის მჭიდროთ გადახლართული ნაციონალური პრობლემის ფორმებიც. ლენინის კონცენტრაციით, იმპერიალიზმის პერიოდში არსებობს რამოდენიმე დამოუკიდებელი მსხვილი კაპიტალისტური სახელმწიფო და მთელი წყება კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ დამონებულ ერებისა. ლენინი სწერს:

„ფინანსიური კაპიტალი ისეთი მსხვილი, შეიძლება ითქვას, ისეთი გადაამწყვეტი ძალაა ყველა ეკონომიურ და ყველა საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში, რომ მას შეუძლია დაიმორჩილოს და ნამდვილად კიდევაც იმორჩილებს ისეთს სახელმწიფოებს, რომელნიც სარგებლობენ სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობისა“

ბით... მაგრამ რასაკვირველია ფინანსიური კაპიტალისთვის ყველაზე უფრო „სუსხიანი“ ყველაზე უფრო მეტი სარგებლობის მომტანია ისეთი დამორჩილება, რომელიც დამორჩილებულ ხალხთა და კუთხეთა პოლიტიკურ დამოკიდებულებების დაკარგვისთან არის დაკავშირებული“. (Н. Ленин сибир. сибр. т. XIII გვ. 300. ქართ. თარგმანის გვ. 69) ესე იგი, ფინანსიური კაპიტალი ცდილობს რაც შეიძლება სრულიად დამორჩილოს ჩამორჩენილ ქვეყნები და გადააქციოს ისინი თავის ექსპლოატაციის ობიექტად. ეს არის ტიპი კოლონიალური ქვეყნებისა. სადაც ფინანსიური კაპიტალი ვერ ახერხებს ჩამორჩენილ ქვეყნების სრულ დამორჩილებას, იქ აბამს ურთიერთობის სხვა გვარ ფორმებს. „ფინანსიური კაპიტალი და მისი შესაფერისი საერთაშორისო პოლიტიკა, რომელიც გამოწვეულია მსოფლიოს ეკონომიკურად და პოლიტიკურად დანაწილებისათვის დიდ სახელმწიფოთა შორის, წარმოებულ ბრძოლით ჰქმნის სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების მთელ რიგ გარდამავალ ფორმებს. თანამედროვე ეპოქისათვის ტიპურია არა მარტო ორი ძირითადი ჯგუფი ქვეყნებისა: 1) კოლონიების მფლობელნი და 2) კოლონიები, არამედ ის სხვა და სხვა ნაირი ფორმები დამოკიდებულ ქვეყნებსა, რომელნიც პოლიტიკურ-ფორმალურად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ითვლებიან, ნამდვილად კი გაბმულნი არიან ფინანსიურ და დიპლომატიურ დამოკიდებულების ქსელში... მსგავსი ურთიერთობანი დიდ და მცირე სახელმწიფოთა შორის ყოველდღის არსებობდა, მაგრამ კაპიტალისტურ იმპერიალიზმის ხანაში იგი სისტემად იკცევა, შედის „მსოფლიოს განაწილებით“ გამოწვეულ ურთიერთობათა ჯაჭვში, იქცევა ფინანსიურ კაპიტალის მსოფლიო ოპერაციათა ჯაჭვის რგოლად“ (Ленин იქვე 302-03, ქართულად 72 გვ.) თანამედროვე იმპერიალიზმმა, დაწვეული ვასული საუკუნის 80-იან წლებიდან, რეალურად განახორციელა ფინანსიური კაპიტალის მისწრაფება სამეურნეო ტერიტორიების დაპყრობის საქმეში და მე-XX საუკუნის მიჯნაზე დაამთავრა მიწების გადაყოფა დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის; ასე მაგ. ლენინის გამოკვლევით, ექვს დიდ სახელმწიფოს 437, 2 მილიონი მცხოვრებით და 16, 5 მილიონი კვად. კილომეტრის მიწაწყლით, ომის წინა ხანებში დაპყრობილი ჰქონდათ კოლონიები 65,0 მილ. კვად. კილომეტრისა და 523 მილიონი მცხოვრებით და ნახევრად კოლონიებში 361,2 მილიონი მცხოვრებით, სულ 884,6 მილიონი კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალური მიწები. ვისაც სურს ნაციონალური კუთხვის არსებითი გავება, მან არსებითი ყურადღება უნდა მიაქციოს სწორედ იმ ურთიერთობის ფორმებს, რომელიც მყარდება დიდ და ჩამორჩენილ ქვეყნებს შორის ფინანსიურ კაპიტალის ბატონობის პერიოდში. განა შეიძლება პატარა და ჩამორჩენილ ერების დამოუკიდებლობაზე ვილაპარაკოთ მაშინ, როდესაც ფინანსიური კაპიტალი ათას გვარ საშუალებით ახერხებს მის დამორჩილებასა და საექსპლოატაციო ობიექტად გადაქცევას? რასაკვირველია, არა. ამიტომ არის ურყევი ის დებულება, რომ ჩამორჩენილ ერების სრული განთავისუფლება შესაძლებელი არის მხოლოდ კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის დაძლევის გზით.

3. მსხვილი კაპიტალიზტური კავშირები ომის წინადადოს მსოფლიო მუშაუნობაში.

წარმოების მონოპოლიურმა ორგანიზაციებმა—სინდიკატებმა და ტრესტებმა—ომის წინა დროის კაპიტალისტურ მეურნეობის განვითარებაში მოიპოვეს გაბატონებული და გადამჭრელი მნიშვნელობა. მე XIX-ე საუკუნის მიწურულში და XX საუკუნის დასაწყისში ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში კონცენტრაცია ქმნილმა კაპიტალმა გამოიწვია მონოპოლიური კავშირების შექმნის პროცესი: ყოველი მხარე სავაჭრო-სამრეწველო მოღვაწეობისა მოკვდა კაპიტალისტურ ტრესტებისა და სინდიკატების ძლიერ გავლენის ქვეშ. მონოპოლიურმა კავშირებმა მოიპოვეს გადამჭრელი მნიშვნელობა არა მარტო მთელს სამეურნეო ცხოვრებაში არამედ ყველა პოლიტიკურს „ზედნაშენებსა“ და ბურჟუაზიული საზოგადოების საერთაშორისო ურთიერთობაში.

მაგრამ მონოპოლიური კავშირების განვითარება და ფინანსიური კაპიტალის წარმოება ნიშნავს ძველი სამრეწველო კაპიტალიზმის შეცვლას ახალი მონოპოლიური კაპიტალიზმით.

ლენინის გამოკვლივით საბოლოო შეცვლა ძველი კაპიტალიზმისა ახალით თავდება მე-XX-ე საუკუნის დასაწყისში, როდესაც კარტელები და ტრესტები გადაიჭკენ მთელი კაპიტალისტური მეურნეობის საფუძვლად. მაგრამ კარტელები და ტრესტები ამ პერიოდამდე იყო გამოყენებული სამეურნეო მოღვაწეობაში. პრფ. ვოლდშტეინის ცნობებით, კარტელები და სინდიკატები მათი თანამედროვე ფორმით გამოყენებული იყო ინგლისში მნიშვნელოვანის რიცხვით უკვე XVII საუკუნის ბოლოს; საფრანგეთში დიდი რევოლუციის შემდეგ, ხოლო გერმანეთსა და სხვა ევროპულს ქვეყნებში მე-XIX-ე საუკუნის ნახევრიდან. (Гольдштейн: „Экономическая политика“ т. I გვ. 27. 1907 წ.) მაგრამ ყველა ესენი წარმოადგენენ თანამედროვე მონოპოლიურ კავშირებისთვის ისტორიის წინააღმდეგობას. აქ მხოლოდ ჩანასახის პერიოდში იმყოფებიან ის ფორმები და ორგანიზაციები, რომლებმაც შემდეგი განვითარებით მოიპოვეს გაბატონებული მდგომარეობა მსოფლიო მეურნეობაში. 1915 წ. ლენინმა ბურჟუაზიული ეკონომისტების ნარკვევების მიხედვით შემდეგი უმთავრესი ეტაპები აღნიშნა მონოპოლიურ კავშირების განვითარების ისტორიაში:

ა) 1860—70 წ. წ. არის თავისუფალი კონკურენციის განვითარების უმაღლესი საფეხური; მონოპოლიები იმ ხანებში მხოლოდ ჩანასახში იმყოფებიან:

ბ) 1873 წლის კრიზისის შემდეგ ხდება განვითარება კარტელებისა, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ გამოანაკლისს წარმოადგენენ; კარტელები იმ დროს წარმატებულ მოვლენას შეადგენენ.

გ) მე-XIX-ე საუკუნის დამლევს, ალორძინების და 1900—1903 წლის კრიზისის დროს, კარტელები შეიქმნენ ცხოვრების ერთ-ერთ საფუძვლად. კაპიტალიზმი გადაიჭკა იმპერიალიზმად.

ეს უმთავრესი მომენტები მონოპოლიურ კავშირების შექმნისა მჭიდროდ არის დაკავშირებული მოწინავე ქვეყნების იმპერიალისტურ პოლიტიკის გამწვავე-

ბასთან მსოფლიოს ტერიტორიალურად გადაყოფისათვის: 70-იანი წლების შემდეგ იწევა (იმპერიალისტების) ციებცხელება და დატაცება მთელი მსოფლიოს ყოველ კუნძულში თავისუფლად დარჩენილ მიწებსა. ამ გვარად თანდათანობითი წარმოშობა მონოპოლიური კაპიტალიზმისა იწვევს შესაფერის ცვლილებებს პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობაში.

ამერიკა. ჰილვერდინგი ფინანსიურ კაპიტალის ყველაზე უფრო ტიპური ქვეყნებათ სთვლის ამერიკასა და გერმანიას.

ამერიკა—წარმოადგენს ყველაზე უფრო განვითარებულ სინდიკატებისა და ტრესტების სამშობლოს. წარმოების კონცენტრაციამ აქ უმწვერვალეს ხარისხს მიაღწია. საბანკო კაპიტალის კონცენტრაცია და მათი დამოკიდებულება ინდუსტრიასთან ამერიკის სამეურნეო ცხოვრების შინაშენლოვან ფაქტორად გადაიქცა. 1914 წ. მსხვილი საწარმოო დაწესებულებანი, რომელთა რიცხვი შეადგენდა ყველა დაწესებულებათა მხოლოდ 1,4%-ს, აწარმოებდნენ მთელი ქვეყნის თითქმის ნახევარს (48,6%) პროდუქციის. კარტელის მოძრაობა ამერიკაში დაიწყო გასული საუკუნის 60-იან წლებიდან, სამრეწველო აღორძინების პერიოდიდან 1900 წელში ამერიკაში ითვლებოდა 183 ტრესტი, რომელიც აერთიანებდა 2.029 დაწესებულებას. მუდის ცნობების მიხედვით 1904 წ. ამერიკაში იყო სულ 318 ტრესტი, რომელიც აერთიანებდა 5.238 სამრეწველო დაწესებულებას კაპიტალის 20.879 მილიონი დოლარის საერთო თანხით; 1904—1908 წლების პერიოდში ამერიკის კარტელებში შესულ დაწესებულებათა რიცხვი გაიზარდა 10.020-დღ, მხოლო მათი კაპიტალიზაცია 1904—1910 წ. წ. პერიოდში 30.331 მილიონ დოლარამდე. (М. Назаревский: „Очерки по истории объединения американской промышленности“ т I გვ. 218—19). ომამდე ამერიკის კარტელებისა და ტრესტების წილს შეადგენდა: რკინეულობისა და ფოლადის ჩამომსხმელ მრეწველობაში—84%; ქიმიურში—81%; ქაღალდის—60%; ნავთის ტრესტმა თავისი დაარსების დღიდან (1882 წ.) კონცენტრაცია უყო 80%-დან 90%-მდე, ნავთის ყველა პროდუქტებს. (იქვე—გვ. 217) თუ რამდენად ღრმად გადაწულთ არის სხვადასხვა სამრეწველო დაწესებულებანი ერთმანეთზე და რამდენად არის გაბმული კავშირი საბანკო კაპიტალისა და ინდუსტრიის შორის, ამის შესახებ ცნობებს იძლევა პროფ. ნაზარევისკი თავის შრომაში.

გერმანეთი. ომის წინა დროის გერმანეთში წარმოების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესი განვითარდა უფრო სხვა გზით, ვინემ ამერიკაში. სამეურნეო ცნობების უმთავრესი დარგები წარმოების სწრაფი კონცენტრაციის პროცესში გატარდნენ და მონოპოლია გერმანეთის მთელ ეკონომიკისა ხელში ჩაუვარდათ სამთო-მადნის, მანქანების მკეთებელსა და ელექტრონის მრეწველობის მსხვილ სინდიკატებსა და უფრო უმსხვილესს ბანკებს. გერმანეთში საკარტელო მოძრაობის დასაწყისი ეკუთვნის მე-XIX-ე საუკ. 60-იან წლებს. 1865 წ. გერმანეთში იყო მხოლოდ 5 კარტელი; 1890 წ.—210; 1905—350; სულ 1913 წ. პროფ. ლიფმანის ცნობით კარტელების რიცხვი აღემატებოდა 600-ს.

რეინ-ვესტფალის ქვანახშირის სინდიკატი (დაარსებულია 1893 წ.) 1913 წ. აერთიანებდა 64 დაწესებულებას, ამოკონდა 92,6% მთელი რურის ოლქის ამო-

ღებისა და 54% მთელ გერმანეთისა. ფოლადის ტრესტი 1904 წლიდან—მთელი ფოლადის ნახევარზე მეტს. ელსმენის ტრესტებმა (1903 წლიდან) თავიანთ განკარგულებაში დააგროვეს მთელი გერმანეთის ელექტრონით მომარაგების 40% (С. Загорский: „Синдикаты и тресты“ გვ. 95—105, 1914 წ.). საზნეო სისტემის კონცენტრაცია გერმანეთში უმაღლეს ხარისხამდე არის განვითარებული. ბერლინის ექვს ბანკს ეპურათ ხელში გერმანეთის თითქმის მთელი ეკონომიური ძალღონე და შესაფერის საერთაშორისო პოლიტიკასაც აწარმოებდნენ ჩამორჩენილი ქვეყნების ეკონომიურად დაპყრობის საქმეში.

ინგლისსა და საფრანგეთში წარმოების სინდიკატურად მოწყობა ისე არ არის განვითარებული, როგორც გერმანეთსა და ამერიკაში, თუმცა მრეწველობის კონცენტრაცია ამ ქვეყნებშიაც თავისი განვითარების უმაღლეს ხარისხს აღწევს. საფრანგეთის საბანკო სისტემა ცნობილია თავისი სავაჭრო პოლიტიკით.

მაგრამ სინდიკატებისა და ტრესტების განვითარება და შესისხლბორცვა საბანკო კაპიტალისა სამრეწველო კაპიტალთან მოხდა არა მარტო ნაციონალურს ფარგლებში, არამედ საერთაშორისო მასშტაბშიც: მე-XIX-ე საუკუნის დასასრულიდან და მე-XX-ის დასაწყისიდან აღმოცენდნენ მთელი რიგი ინტერნაციონალური ტრესტებისა, რომელნიც აერთებდნენ მრეწველობის მთელ რიგ დარგებსა და ბანკებს. ეს ფაქტები მოწმობენ იმას, რომ კაპიტალიზმმა, როგორც ეკონომიურმა მოვლენამ უკვე მოიშორა ნაციონალური ქერქი და მთელი მსოფლიო ჩაითრია თავის ბატონობის სფეროში. ფინანსიური კაპიტალის არსებობით მსოფლიო მთლიან ეკონომიურ ორგანიზმად გადაიქცა: ყოველი სანეურნეო კუნძული დედამიწის ბურთისა მაგარი ეკონომიური ჯაჭვებით არის გადახლართული მსოფლიო კაპიტალიზმის მექანიზმთან.

(მსოფლიო მეურნეობისა და საერთოდ კარტელური მოძრაობის შესახებ გარდა დასახელებული შრომებისა იხ. Н Бухарин: „Мировое хозяйство;“ Л. Дифман: „Картели и тресты“— 1925 г. М. Изольсон: „Крупнокапиталистические объединения в современном мировом хозяйстве“ 1924 г. Нахмисон: „Мировое хозяйство до и после войны“ 1924 г. И Гольдштейн „Экономия. политика. изд.“ 2-го 1913 г. მისიუე: „Синдикаты и тресты и современ. экономическая политика“ 1912 г. И. Рожков т. IX „Производственный капитализм Зап. Европы и вне европейских странах“ 1924 г. Цаверович: „Картели и тресты в России“ 1918 г.)

მხროვნება და ხელოვნება

III თანამგზავრებზე საქართველოში.

ვარდინთან კამათში პაოლო იაშვილმა დაიწუნა სახელწოდება „თანამგზავრი“. მან განაცხადა:

„მას შემდეგ რაც ხმარებაში შემოვიდა ტროცკის მიერ გასროლილი სიტყვა „თანამგზავრი“, მე სულ შიში მიპყრობდა,— ვითუ ჩვენც — „ციხფერ ყანწილები“, როგორც ლიტერატურული ჯგუფი მოგენათლონ აგრეთვე თანამგზავრებათ. საქართველოს სინამდვილეში (მესულაც არ მინდა ვიყო თავი) პროლეტარულ მწერალთა დიდი უმეტესობა არის ჩვენი თანამგზავრი ლიტერატურული გაგებით, რასაკვირველია; რაც შეეხება მწერალის პოლიტიკურ მხარეს — აქ უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ „ციხფერ ყანწიების“ წარმომადგენელნი არ ვეკუთვნით კატეგორიას იმ მოქალაქეებისა, რომლებიც ტერორისტულ აქტებს ახდენენ. ჩვენ მივიღეთ მოქალაქეობრივი უფლებები და სხვა არაფერი გვაინტერესებს. ჩვენ გვაინტერესებს, უმთავრესათ, ლიტერატურული მხარე, დანარჩენში კი ვეცდებით ვიქნეთ ნამდვილი მოქალაქენი.“¹⁾

ამავე თავის სიტყვაში იაშვილი ამბობს:

„მიმართულებანი რომელთა წარმომადგენელთ უწოდებენ საბაგელ (гнусное) სიტყვას თანამგზავრი.“

იაშვილი საქართველოში საკმაოდ ცნობილი პოეტია. ვარდა ამისა ის არის აგრეთვე ერთი ბელადთაგანი იმ ლიტერატურული მიმართულებისა, რომელიც უდიდეს პრეტენზიებს აცხადებს საქართველოს ხელოვნების ასპარეზზე. ამიტომ მოვიყვანეთ ჩვენ ამ პოეტის სიტყვიდან შედარებით გრძელი ამონაწერი. პაოლო იაშვილი ვერ გებულობს სწორად იმას, თუ რა მნიშვნელობით ვეძახით ჩვენ ამა თუ იმ პიროვნებას, თუ მიმართულებებს „თანამგზავრი.“ აქ პირველად ყოველისა ისმის საკითხი: „თანამგზავრი“ ვისი, ან რისი? მასუბი იქნება: რევოლუციის; იმ რევოლუციის — რომელიც არის დღეს, რომელსაც ჩვენ უწოდებთ

¹⁾ „Взрв востока“ 877.



ოქტომბრის რევოლუციის, პროლეტარულ რევოლუციას. მაშასადამე, როდესაც ვამბობთ „თანამგზავრი“ ამ შემთხვევაში იგულისხმება: თანამგზავრი ოქტომბრის რევოლუციის. ვინ არიან ეს „თანამგზავრნი“ ოქტომბრის რევოლუციის? ესენი არიან ის პირები, რომლებიც იღებენ ამ რევოლუციას, მომხრენი არიან მისი, საერთოდ მიდიან მისი გზით—ცდილობენ ყოველ შემთხვევაში—მაგრამ სავსებით არ ითქვიფებიან მასში, ყოველივეში არ ეთანხმებიან მის გზას და მის პოლიტიკას—მიყვებიან მას—მაგრამ ხშირად ბოროდებით, იქვეებით, უკან დახევით, და მხოლოდ რომელიმე საზღვრამდე.

„თანამგზავრები“ სხვა და სხვა ხარისხის არიან: ისეთები, რომლებიც დღეს თანამგზავრები არიან—ხვალ კი ასეთები არ იქნებიან—ისეთებიც რომლებიც ხვალ, პირიქით, რევოლუციის ნამდვილი მონაწილე და მეზობელი შეიქმნებიან. აქედან ცხადია: როდესაც ჩვენ რომელიმე პოეტს, ინჟინერს, ან ექიმს—უწოდებთ „თანამგზავრს“ ეს იმას ნიშნავს—რომ ეს პოეტი, ინჟინერი, თუ ექიმი—თავისი შრომით, შემოქმედებით, მუშაობით—მიყვება რევოლუციას, ემსახურება მას, არის რევოლუციის თანამგზავრი.

აჲ, როგორც ვხედავთ, დასაწუნი და დასაძრახი არაფერია,—რასაკვირველია, მისთვის, ვინც მართლაც ფიქრობს რევოლუციის თანამგზავრობას. ჩვენ ვიცით, რომ ბევრი არიან ისეთები—აი თუ გინდ პაოლო იაშვილის სპეციალობიდანაც—ე. ი. პოეტებშიც—ქართველ პოეტებშიაც—რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლებიან რევოლუციის თანამგზავრებად, რადგან ისინი არიან რევოლუციის მოწინააღმდეგენი, მისი მტრები. ასეთი ემიგრანტები ჩვენს რევოლუციას საუბედუროთ... უფრო მათთვის, ვიდრე რევოლუციისათვის—ბევრი ყავს,—ეგრედ წოდებულ ხელოვნების მოღვაწეებშიაც, კერძოდ საქართველოში. პატარა კუპრინები, ბალმონტები და შერეკოვსკები—ჩვენც გვყავს.—მხოლოდ ერთის გარჩევით: პირველნი ემიგრანტობენ საზღვარ-გარეთ, ესენი კი ჩვენში, რევოლუციის ქვეყანაში. მაგრამ ეს უფრო ჩვენი ბრალია, ვიდრე მათი: ეძლევათ ამის საშუალებას და ისინიც ცხადია—არ უკადრისობენ. რასაკვირველია—პაოლო იაშვილი შორს სდგას ამ ემიგრანტებისგან: ყოველ შემთხვევაში ასეთი ყოფილა მისი და მისი ლიტერატურული ჯგუფის არა ერთხელ მომხდარი საჯარო პოლიტიკურა განცხადება. ამიტომ—ჩვენ ვფიქრობთ—არავითარი საწყენი არ უნდა ექნეს არც პაოლო იაშვილს და არც ერთ სხვა რევოლუციის მომხრე პიროვნებას, თუ მიმართულებას—თუ კი მას ჩვენ—მიხედვით მისი მოღვაწეობისა—რევოლუციის თანამგზავრად ჩავთვლით, ასეთი სახელწოდებით მოვიხსენიებთ. რევოლუციის თანამგზავრის სახელწოდება უდიდესი საპატივცემლო და პასუხსაგები სახელწოდებაა და ვფიქრობთ—არც ისე ადვილათ და იათად რიგდება იგი.

თუ კი პაოლო იაშვილს ჩვენ უწოდებთ, ან და მის ჯგუფს—თანამგზავრებს: ეს უნდა გავიგოთ არა ისე, რომ პაოლო იაშვილი, ან და მისი ჯგუფი—თანამგზავრია კარლო კაღაძის, ან და პეტრე სამსონიძის—როგორც პოეტების—არამედ მხოლოდ ისე, რომ პაოლო იაშვილი, ან და მისი ჯგუფი თანამგზავრია რევოლუციის, კომუნისტური პარტიის მუშაობის, მიზეზილ ჯაფახიშვი-

ქართული
ენისწილობა

ღმა—რომელმაც შექვეა ეპოქა შექმნა რევოლუციის შემდგომ ქართულ პროზაში—და, რომელმაც რევოლუცია იმედოვნებს ნახოს სწორი ამსახველი— ჩვენ ვხედავთ არა თანამგზავს რომელიმე მოთხრობების მწერ კონუნისტ მწერლებისა—ეს სასაცილო იქნებოდა—არამედ თანამგზავს—ამისი უტყუარი ნიშნები არის—ნიკიტერ თანამგზავს რევოლუციისა ლიტერატურით, ხელოვნებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ: შეიძლება მწერალი, პოეტი ახლოს იყოს რევოლუციისთან, იზიარებდეს მის ვზას, ემხრობოდეს მის შინაარსს, ასევე ხატავდეს მის (რევოლუციის) თავის ნაწერებში—მაგრამ სრულებითაც არ იყოს მწერალი რევოლუციონერი—ამ სიტყვის წმინდა ლიტერატურული გაგებით—ე. ი. წერის მეთოდში, ფორმის საკითხებში და სხვა. შეიძლება პირიქითაც: მწერალი კონტრრევოლუციონერი, მოტრფილად ძველი ქვეყნის, ძველი შინაარსის და ძველი წესწყობილების—ამ ასეთი მწერალი—იქნეს უდიდესი სიტყვის რევოლუციონერი, ახალ ფორმის მოტრფილად, უდიდესი რეფორმატორი წერის მეთოდებში. ეს შეიძლება იყოს ასე. რასაკვირველია ეს მხოლოდ დროებითი მოვლენა იქნება და არა ხშირიც. ბოლოს და ბოლოს მწერალი რევოლუციონერი თავის შინაარსით, რევოლუციასთან დამოკიდებულებით, ასე ესაქვათ, რევოლუციონერი „პოლიტიკურად“—მონახავს თავის შესაფერ ფორმას, მოსძებნის შესაფერ სტილს, ისწავლის საკირო მეთოდებს მხატვრულ წერისა,—თუ კი ის ნამდვილი მწერალია—ე. ი.: ნამდვილად არის დაჯილდოებული მხატვარ-მწერლისათვის საკირო ნიჭით. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოკვდება—როგორც მხატვარი. მეორე მხრივაც: ფორმის რევოლუციონერი, სიტყვის რეფორმატორი—მაგრამ პოლიტიკურად რეაქციონერი—ბოლოს და ბოლოს: ან დაუმორჩილებს თავის ლიტერატურულ ნიჭს რეაქციას, ძველს, მომაკვდავს, ჩაებმება საბოლოო ბრძოლაში ახალს, რევოლუციის წინააღმდეგ—გამოიფიტება თავის შემოქმედებაში, დაკარგავს შინაარსს, არ ექნება ფორმისათვის შესაფერი მასალა—ჩამოშორდება ცხოვრებას და... ადრე თუ გვიან იტყობილივ მოკვდება როგორც პოეტი-მწერალი,—ან და ლიტერატურული მისი ნიჭი დასძლევს მასში მის პოლიტიკურ რეაქციონერობას, შეარიგებს, მიაღებინებს მას რევოლუციის და იგივე გაიზრდება ერთ-ორად როგორც პოეტი, მხატვარი. შესაძლოა ასეც მოხდეს: პოეტი, რომელიც დღემდის ეკუთვნოდა ძველ ქვეყანას, ძველ წესწყობილებას—დაკავშირებული იყოს თავის შემოქმედებით მასთან—დღეს შეცვალა: უარყოს ეს თავისი შინაარსი, თავისი მრწამსი ასე ვთქვათ: ის დაუყომირდა რევოლუციის და შედეგი: მოკვდა როგორც პოეტი... ის უკვე აღარაფერს სწერს. რაოდენიმეთ ასე დაემართა ვალერი ბრიუსოვს. კიდევ უფრო მეტად სერგეი გოროდევსის.

მართალია—საერთოდ ხელოვნების, კერძოდ პოეზიის ვხუბი ემორჩილებიან საბოლოო ანგარიშში იმავე კანონებს განვითარებისა და არსებობისა—როგორც სხვა მხარეები ადამიანის, კაცობრიობის შემოქმედებისა—იდეოლოგიისა—მაგრამ—ისინი მაინც ყველაზედ უფრო მეტი მიხვეულ-მოხვეული, ხშირად ერთი შეხედვით უჩვეულო მიმართებით მიდიან... ვასაკვირი აქ არაფერია... პოეზიის—საერთოდ ხელოვნების—სამყარო უმთავრესად გრძნობებია (უმთავ-



ქართველი
წიგლისწერები

რესად და არა მარტო, როგორც ამას ამხ. დუდუჩავა ფიქრობს) და, როგორც ცნობილია, გრძნობები ვაცილებით უფრო ეტანება „კაპრიზებს“ ვიდრე დამჯდარი ინტელექტი.

მოკლეთ: თანამგზავრებში ჩვენ ვგულისხმობთ: პოლიტიკურ (ე. ი. ნამდვილ) რევოლუციის თანამგზავრებს—რომლებსაც რაიმე ღირებულება აქვთ ლიტერატურული. ლიტერატურულ რევოლუციის თანამგზავრთ—ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვეხებით. ვიმეორებთ: როდესაც პაოლო იაშვილს ჩვენ ვეძახით: თანამგზავრს ეს მაშინ ნიშნავს: პაოლო იაშვილი არის ისეთი პოეტი, რომელიც თავის შემოქმედებაში იღებს რევოლუციის, ემბრობა მას, არის მისი თანამგზავრი. მხოლოდ ამას ნიშნავს ეს და სხვას არაფერს. ყოველ შემთხვევაში არა იმას—რომ პაოლო იაშვილი იყოს თანამგზავრი, მიმდევარი ზოგიერთ რევოლუციონერ მწერლების, კომუნისტ მწერლების. ჩვენ ჯერ ისე არ გაგებრიყვებულვართ, რომ „ჯაყოს ხიზნების“ ავტორი გამოვაცხადოთ ლიტერატურულ თანამგზავრათ „ოჯახის“ ავტორისა, თუმცა ეს უკანასკნელი მეტად პატივისცემა რევოლუციონერი და კომუნისტიცა.

— რასაკვირველია ყოველივე ზემოთ ნათქვამი სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ პაოლო იაშვილს დავეთანხმოთ, როდესაც ის ამბობს:

„საქართველოს სინამდვილეში (მე სულაც არ ნინდა ვიქო თავი) პროლეტარულ მწერალთა დიდი უმეტესობა არის ჩვენი თანამგზავრი, ლიტერატურული ვაცებით, რასაკვირველია“.

პაოლო იაშვილის ლიტერატურული მიმართულება „ყანწიზშია“: ე. ი. საქართველოს ნიადაგზე ხელოვნურად გადმონერგული „ნარევი“—რუსულ სიმბოლიზმის და ფრანგულ მოდერნიზმის...

ამ ლიტერატურულ მიმართულებას ვერაფერს წაართმევს ისტორიულ დამსახურებას—ქართულ მხატვრული ენის მიმართ.

ყანწილების სკოლამ ბევრი რამ შეიტანა ამ საქმეში. მიგრამ ეს იყო... დღეს კი „ყანწიზში“—თავისი წმინდა კანონებით და შინაარსით—როგორც ეს არის დასაბუთებული თვით ყანწილების მიერ—რეაქციონერი ლიტერატურული მიმართულება.

დიწერილებით ამის შესახებ ჩვენ შემდეგ ვილაპარაკებთ—ჯერ-ჯერობით კი ვჭაყუდილებით ამ შიშველი განცხადებით... ამის დამტკიცება დღეს ძალიან ადვილი საქმეა.

საილიუსტრაციოდ, ერთი ნაწყვეტი „ყანწიზმის“ არქივიდან:

1916 წელს ტიციან ტაბიძე—დღეს ფაქტიური ლიდერი ყანწელთა ორდენისა—სწერდა:

„არის ნიადაგი ჩვენში სიმბოლიზმისათვის? ქართველ ხალხში სცხოვრობს უკვდავი აქტიორული სული. იმას უნდა მუდამ სხვა იყოს, იმას უყვარს თეატრალიზაცია ცხოვრების; რატომ იღებება ქართველი ქალი? ესეც ხომ მოდის ბრალი არ არის. მიზეზი აქაც იგივეა, ეს აქტიორობა და თეატრალიზა-

საქართველო
საზოგადოებრივი

ცია ცხოვრების. ქართველ ხალხს უყვარს ნიღაბი, სიმბოლიზში სწორედ ფილოსოფია ამ ნიღაბის. და ამიტომ სიმბოლიზში ჩვენში აუცილებელია, ჩვენში მშათა ნიღაბი მოდერნიზმისთვის. (ქრზნალი „ციციანი ყანწები“).

„სიმბოლიზში ჩვენში შემოიტანა ვრ. რობაქიძემ“—ამბობს იმავე წერილში ტიციან ტაბიძე.

იმის გასარკვევად კი, თუ რა არის სიმბოლიზში მის მოყავს ურანგ მწერალ რემი-დე-გურმონის შემდეგი განმარტება:

„რა არის სიმბოლიზში? თუ დავეყრდნობით სწორ გრა-მატიკულ შნიშვნელობას სიტყვისას, თითქმის არაფერი. თუ კითხვას გავსწევთ განზე, მაშინ იმას შეუძლია აღნიშვნა იდეათა მთელი რიგის:

ინდივიდუალიზში ლიტერატურაში, შემოქმედების თავისუფლება, დასწავლილ ფორმულებში უარის ყოფა, ლტოლვა ყოველივე არაჩვეულებრივისადმი, უცნაურისადმიც კი. ის ნიშნავს კიდევ იდეალიზმს, სოციალურ რიგის ფაქტების უფლებულ ყოფას, ანტიანატურალიზმს, ტენდენციას მხოლოდ იმ ხაზების გადმოცემისას, რომელიც ერთ ადამიანს მეორისაგან ანსხვავებს“.

ჩვენ ვიღებთ ამ ფორმულას—ამბობს ტაბიძე. (დასახელებული წერილი).

სიმბოლიზმის ასეთი გაგებით და მებაირახტურეთ—შემოდგა ფეხი საქართველოს ლიტერატურულ ასპარეზზე—ყანწიზმა, საკმაო დავიანებით, მაგრამ შაინც მოახერხა მან—ამ მიმართულების დანაშაუ—ქართულ მხატვრულ ხელოვნებაზე. ყანწილების არც ერთ დანაშაუთებელს არ უარყვია შემდგომ თავისი შინაარსის ასეთი გაგება. პირიქით. მაგ.: წერილები იმავე ტიციან ტაბიძის, აგრეთვე ვალ. გაფრიდაშვილის ქრზნალ „მეოცნებე ნიამორებში“—დასატურებენ ზევით ნათქვამს. და ჩვენ ვამბობთ: ჩვენი ეპოქისთვის, რევოლიუციის ეპოქისათვის პოეზიას ასეთ გაგებით და შინაარსით—ჩვენ ვერ მივიღებთ, როგორც არამც თუ რევოლიუციის, არამედ უბრალო პროგრესის, წინ-სვლის პოეზიათ-გაგიჟებობთ: ასეთი შინაარსის ნქონე-ყანწიზში—დღეს რეაქციონური მიმართულებაა ლიტერატურაში. უსათუოდ.

არ უარყვით: ჩვენს რევოლიუციონურ ახალგაზდა მწერლებზე საკმაო გაელენას აბდენდა ყანწიზში. ნაწილობრივ შეიძლება ეხლაც არის ეს გაელენა გასაკვიარი აქაც არაფერია. მხოლოდ უნდა ითქვას: რაც დრო გადის ეს გაელენა უფრო და უფრო სუსტდება. უკვე ფაქტია და სინამდვილე: ზოგიერთები—ცვლახედ უფრო ნიჭიერი ჩვენი ახალგაზრდა რევოლიუციონერ მწერლობიდან უკვე საესებით განათავისუფლდნენ ასეთ გაელენისაგან მაგ.: კალაძე კარლო, მაშაშვილი, ლორთქიფანიძე, ქერული. ეს მეტად ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლები უკვე წარსულში ეძიებენ ყანწიზს—თუმცა მათი წარსული შეიძლება მხოლოდ ერთი-ორი წლით ისაზღვრებოდეს.



ქართული
გეგზაქმობა

ამიტომ არ არის მართალი პაოლო იაშვილი, როდესაც ამბობს აცხადებს: „პროლეტარულ მწერლობის დიდი უმეტესობა არის ჩვენი თანამგზავნი“. პროლეტარული მწერლები საქართველოში ყანწიზმის თანამგზავნი არასდროს არ ყოფილან—გაველენის ქვეშ ნაწილობრივ კი. ეხლა—დღეს—გაველენაც ძალიან უმნიშვნელოა, — რადგან—სხვის ყველაფერს რომ თავი დიფანებოთ... რას წარმოადგენს ყანწელთა ორდენი დღეს—როგორც კავშირი მწერლების, რომელთაც არა მარტო ისტორია აქვთ, არამედ აწმყო და მომავალი, რომლებიც არა მარტო წარსულით იხსენიებიან, არამედ ყოველ დღიურ დღევანდელ მუშაობით... პასუხი ყანწელებისათვის სასარგებლო მაინც და მაინც არ იქნება... „ლიტერატურულ გაგებითაც, რასაკვირველია“—საქართველოს სინამდვილეში პროლეტარულ მწერალთა დიდი უმეტესობა „არ არის უკვე ყანწელების არამც თუ თანამგზავნი, არამედ მათ მნიშველლოვან გაველენის ქვეშაც. ვიმეორებთ: იაშვილის ლიტერატურულ მიმართულებას საკმაო დამსახურება აქვს ქართულ სიტყვა-კაზმულ ხელოვნების ისტორიაში. პოლიტიკურად იაშვილი და მისი ომბანაგები—არ უარყოფენ რევოლიუციის თანამგზავრობას. თუ მით უნდათ, რომ ეს მათი სიტყვიერი განცხადებანი რევოლიუციის მომზადების შესახებ—ლიტერატურულ საქმედ იქცეს, საკიროა ყანწიზმს, როგორც მიმართულებას, თავი იხეიონ. ზოგიერთები მათ შორის უკვე ცდილობენ ამას. რასაკვირველია ეს ძალიან ძნელი პროცესია... ბერიისათვის იგი შეიძლება საბედისწეროც ვახდეს.. მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის. „ვიწინასარმეტყველებთ“: ყანწელები—ან დასძლევენ თავის ლიტერატურულ რეაქციონერ მიმართულებას—და პოლიტიკურ სიტყვიერ თანამგზავრობას რევოლიუციის მიმართ—ლიტერატურულ თანამგზავრობაში განაბორციელებენ, რასაც, ცხადია, უმთავრესი მნიშვნელობა აქვს; ამ შემთხვევაში ყანწიზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება ფორმალურადაც მოიხპობა (დარჩება მხოლოდ ისტორიაში), ყანწელები კი გადარჩებიან—როგორც პოეტები—ნაწილი მაინც.

ან—ლიტერატურული რეაქციონერობა დასძლევენ მათში პოლიტიკურ თანამგზავრობის სურვილს რევოლიუციისადმი: ყანწიზმი დროებით გადარჩება ფორმალურ ლიკვიდაციას. ცოტა ხანს შეიძლება ამ ომბანაგ ქვე მიმატოს მას სიმარე. მაგრამ: ეს იქნება მხოლოდ დროებითი. რევოლიუცია „ობიექტიურათ“ „ბუნებრივად“ შერს იძიებს მასზე—ყანწიზმი მოკვდება—და მასთან ერთად ყანწელებიც, როგორც პოეტები, მწერლები...

— ეს ბედი ჩვენ სრული დარწმუნებით შეგვიძლია უწინასწარმეტყველოთ—ქართულ დეკადანსის პოეტებს—ცისფერ ყანწელებს.

— პროცესი ჯერ ჯერობით ვითომ პირველი გზით მიდის. ყოველშემთხვევაში სიტუაციისონი და რევოლიუციისათვის გამოსადეგნი ლიტერატურით—ამ გზით წაიღვენ... ჩვენც ამის მოხარული ვიქნებით. კერძოთ, ვეიქრობთ, პაოლო იაშვილი—რომელიც ასე „უსამართლოთ“ იწუნებს „თანამგზავრის“ სახელწოდებას—გახდება ნამდვილი თანამგზავნი თავისი ხელოვნებით რევოლიუციისა. განცხადებებს პოლიტიკურ თანამგზავრობის შესახებ რევოლიუციისადმი ის—გა-

ნახორციელებს (ნაწილობრივ უკვე ამორციალებს) ლიტერატურაში. არც წააგებს.. როგორც პოეტი!!

სიტყვას მოყვება და პაოლი იაშვილს გაეხსენებთ ერთ მის დაპირებას: ძველი დროისაა იგი მაგრამ, ღირსია, რომ დავიწყებულნი არ იქნეს.

ყველას ესმოდა: ჩვენ თვით დავამსხვრევთ ჩვენს თავზე მოელუარე გვირგვინებს როდესაც ვიხილავთ, რომ პირველი ნაპერწყალი ჩვენი კოცონისა მოკვდა სამუდამით. ჩვენ ფარული თრთოლივით უარგყავთ საყვარელ დიდების ტახტს, როდესაც დავინახავთ, რომ სხვა მაღლობზე გაიხარა ახალმა განახლების კოცონმა. (*ცისფერი ყანწები* *პირველ თქმა*).

დარწმუნებით ვამბობთ: ამის დრო დიდი ხანია დადგა. რევოლუციამ „მოკლა ყანწიშმის კოცონის პირველი ნაპერწყალი“, რადგან მისთვის საჭირო არ იყო იგი. დიდი ხანია, რაც „გაიხარა სხვა მაღლობზე ახალმა განახლების კოცონმა“. ყანწლებმა თავის საკუთარი კოცონი უნდა ჩააქრონ და დარჩენილ ცეცხლის ენერჯის მარაგით—სხვა მაღლობზე გაჩენილ ახალ განახლების კოცონს—მიეშელონ... თუ შეუძლიათ.. დრო კი არის.. შეიძლება ხვალ გვიანაც იქნეს.. ყოველ შემთხვევაში ყანწლებზე კიდევ გვექნება უფრო დაწვრილებით ლაპარაკი.

ებლა კი იმის შესახებ, ვინც ქართულ მხატვრულ პროზაში პირველი გიბედული თანამგზავრია რევოლუციის: ჯერ კიდევ ახალ-გაზრდა, უთუოდ მეტად ნიჭიერი და განსაკუთრებით სიმპატიური მით, რომ იგი მოკლებულია ქართულ პოეზიაში ასე დიდად ფეხმოკიდებულ გრძნობას თავის-თავის განდიდებისა და უწინო პრეტენზიებისა, ხვალინდელი დღის იმედიანათ შემყურე.

დამნა შენგელაია.

ჩვენ სახლში მოდიოდნენ რკინის გზის მუშები, სკამებზე მოთხერხებლად, ტლანქად ისხდნენ და მზუთიან ხელებს პაკლით იწმენდნენ თავლებალგზნებულნი ლაპარაკობდნენ კომუნაზე, თანასწორობაზე, ერთობაზე.

მე აქ გავიგონე პირველად მარქსის სახელი და ამ სახელმა მაგრძობინა **ხიტკო და ხითხო ხიტყვებისა**.

მანამდე მე ვიცოდი კადრე ორი უცნაური სიტყვა: ღმერთი და თაფლი. სიტყვა თაფლს მე ვკამდი, ტკბილი იყო, მაგრამ ღმერთი ვერ დავამწყვდიე ჩემ შეგნებაში და მეშინოდა.

ახლა ყველა სიტყვა ჩემი ნაცნობ მეგობრები არიან. ზოგი ჩემი საყვარელია, ზოგი უცნობ დედოფალი, ზოგი სიტყვა ჩემთან ერთად წვება ლოკინში, ნებიერ ბავშვივით მკლავზე თავს დამადებს და მიეძინება.

მე მიყვარს სიტყვები როგორც კრიტიკის ოქრო და ფული.



საქართველო

მწიგნობართა კავშირი

როცა მე საბა სულხან ორბელიანის ლექსიკონი დავკარგე.—მე ისე ვიყავე—თითქოს დედა მომიკვდა.

ხშირად მემართება ასე, როცა ქუჩაში მივდივარ უცნობად რომელიმე სიტყვა დამინახავს, ამედევენება, საყვარელ ქალივით მომყვება გვერდით და იმეორებს თავის თავს უამრავ სახეებში, უძრავ ფერებში, თავს მაწონებს, შეაღერსება, რომ ხელი მკლავში გამოვდო და სახლში წაიყვანო.

ზოგი სიტყვა მაიმუნეით მანჭია, ზოგი ნიბლიასავით ყუჩი და ზოგი პროსტიტუციით უსირცხვილო.

ო, მე ძრიელ მიყვარს სიტყვებთან ცხოვრება!!

შეიძლება აქ ცოტა ვადაშეტბაე იყოს. აბა ვინ დიფერებს დენა-ნა შენგელაის, რომ საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონის დაქარგვის გამო იგი ისე მწუხრად იყო, თითქოს დედა მოუკვდა! მაგრამ ის რომ მას სიტყვა უყვარს „როგორც კრიეანგს ოჭრო და ფული“ ეს მართალია. თანამედროვე ქართულ პროზაში ასეთ სიტყვის მოსიყვარულე, მოტრფივადე მწერალს იშვითად ნახავთ. და რაც უმთავრესია: მას არა მარტო უყვარს სიტყვა, არამედ გრძნობს მას, იცის ყველაფერი მისი, ის „ცხოვერობს სიტყვებთან“, როდესაც დენა შენგელაის კითხულობთ—დაკვირვებით, ხალისით—ასე გგონიათ სიტყვები ცალკე ამოდიან სტრიქონებიდან, ცალკე იშლებიან და რალაც თავისებურ ყაიდაზე ლაგდებიან. თანამედროვე ქართველ ახალგაზდა მწერლებში არავის არ ემორჩილება ისე ცალკე სიტყვები, როგორც დენას. არც ერთი მათგანი—ისე არ აცოცხლებს სიტყვებს—როგორც „სანავარდოს“ და „ტფილისის“ ავტორი. დიდი კულტურის მქონეა გრიგოლ რომაე-ქიძე. ეს კულტურა—მას სიტყვების ხმარებაშიაც არ ეკარგება. მაგრამ მისი „გველის პერანგის“ მძიმე, უშობრაო—თუმცა ყოველგვარ ტენიკის კანონების დაცვით აშენებული და დალაგებული სიტყვები—ვერ შეედრებიან „ხან მიიმუნეით მანჭია, ხან ნიბლიასავით ყუჩი და ზოგან პროსტიტუციით უსირცხვილო“ სიტყვებს „სანავარდოდან“ და „ტფილისიდან“, სიკვდილი და უმობრაობა—არ ეკარება მათ. „მაიმუნები“ არიან, თუ „ნიბლიები“—ისინი ყოველთვის ცოცხალნი არიან.

უდიდესად ლამაზი და სიამოვნების მომგვრელია სადა და მხატვრული კლასიკური ენა—მიხვილ ჯავახიშვილისა. მოწყენა და დაღალვა არ იცის მისმა სიტყვებმა. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ლიტერატურაში „კვაკვი კვაკანტი-რამის“ ავტორმა რეკორდი აიღო „ინტერესიანი წერაში“. მაგრამ ეს „ინტერესი“ იქმნება „ჯაყოს ხიზნებში“ და „ლამბალო და ყაშაში“—არა მარტო და უმთავრესად სტილით, სიტყვების ხმარებით, მათი დალაგებით—არამედ იმით თუ რაზე მოთხოვნილია ეს სიტყვები, —შინაარსით, ამბავით. ცალ-ცალკე აღებული ჯავახიშვილის კლასიკური სიტყვაც ვერ ახდენს ისეთ ცოცხალ შთაბეჭდილებას—როგორც დენას ლექსიკონი. აქ არის შენგელაის სიძლიერე—მაგრამ აქვე მარხია მისთვის უდიდესი საფრთხეები.—უმთავრესი მათ შორის არის სიტყვის-დაშორება „საკმეზე“; ფორმის გაბატონება შინაარსზე. ეს საფრთხე—ფორ-

მის და შინაარსის ერთი მეორესგან დაშორებისა, პირველის გაბატონებით მეორეზე—უკვე სჩანს ხელსაბეზრით დემნას თითქმის ყველა ნაწერებში: განსაკუთრებით „სანაგარდოსი“ და „თბილისში“. და ეს საფრთხე განსაკუთრებით საშიშია, იმიტომ რომ დემნა რომანისტიკა, ის არ არის ლექსების მწერალი—რომლისათვის შედარებით ასეთ საფრთხეს არ წარმოადგენს არა პროპორციონალური გაბატონება ფორმისა შინაარსზე სიტყვისა სავანზე. დემნა რომანებს სწერს. რომანი კი აუცილებლივ მოითხოვს გაშლილ ამბავს, საინტერესო შინაარსს. მსოფლიო ლიტერატურამ არ იცის—არც ერთი მაგალითი იმისა—რომ რომანი გაეტანოს მარტო დალაგებულად და შესამჩნევად აშენებულ ფორმას, სიტყვას, უშინაარსოთ, უფაბულოთ, უსავანოთ. ცხადია ვერც დემნა შესძლებს ამას. ამიტომ აზნის უდიდესი ნაკლის ბეჭედი ყველა მის რომანებს—განსაკუთრებით „სანაგარდოსი“ და „თბილისი“. ფაბულა არ არის, შინაარსი არ არის, ამბავი არ არის. ან და თუ არის—ძალიან მკრთალი, ძალიან უფერული, თითქმის შეუმჩნევი, ყოველ შემთხვევაში ოთხმოცდა ათი პროცენტით შეჭმული სიტყვით, სამოსით. აქვე უნდა აღანიშნოს: სიტყვას, ფორმას—როდესაც არ ემარება შინაარსი; სავანი—არ ითვისებს მას, ვერ ეგუება, ვერ იფერავს, ვინაიდან ძალიან სუსტია, უილაჯო და არა საინტერესო—ასეთ პირობებში—მოლოს და ბოლოს თვით სიტყვაც, ფორმაც თანდათან კარგავს თავის მიმზიდველობას, მოსაწყენი ხდება, მრავალფეროვნებაში —ერთფეროვანი, კარგავს აზრს არსებობისა. წარმოგიდგენიათ საუკეთესო ტანსაცმელი—მკედრის ჩონჩხზე. ცალკე აღებული—იგი ლამაზი, მშვენიერი და მომზიბველია; მაგრამ თუ კი ჩონჩხს ჩააცმევთ—ყოველივე ამას დაკარგავს. მარტო დარჩენილი კი უაზრობაა—იმიტომ რომ ტანსაცმელი არის **ტანთსაცმელი**—როდესაც ის ამ ფუნქციას არ ასრულებს—იგი უაზრობაა—და უაზრობაში კი სლამაზნეს, სიმშვენიერეს ადგილი არა აქვს. ასევე სიტყვაც, ფორმაც: მათი არსებობა უაზრობაა—გარეშე იმ სავანისა, იმ შინაარსისა—რომლისათვისაც იგი იმარება, რომელსაც იგი მოსავს. დემნას შინაარსი, სავანი მკედრის ჩონჩხს თუ არ წააგავს—ყოველ შემთხვევაში, შესაფერი არ არის ფორმის, სიტყვის. და იმიტომ: ხშირად მოსაბეზრებელი ხდება—„სანაგარდოსი“ ლამაზად აშენებული შენობა პოეტურ ფორმისა, სიტყვების კომბინაციებისა და მათი ხმარებისა. ფორმალისტები არ დაგვეთანხმებიან, მაგრამ ვიტყვი მაინც: უშინაარსოთ ფორმა—რაც უნდ ცოცხალი იყოს გარეგნულად—ფაქტიურად მაინც მკედარია, ყოველ შემთხვევაში უაზროა, ზედმეტია. იმიტომაც არის, ვიმეორებ, რომ დემნა შენგელაის „ხან ნიბლისასავით ყუბი, ხან მიიმუნვივით მანჭია სიტყვები“—ცალ-ცალკე აღებული ვითომც ცოცხალია, მოძრავი, უცნაურით მომზიბველი, მაგრამ რომანის საერთო შენობაში მომამზრებელი და ხშირად მოსაწყენიც არის.

არის რაღაც მონოტონობა, ერთ-ნაირობა—უაზროთ მოყვანილ და ასევე უშინაარსოთ აგებულ—თუ გინდ ძალიან ლამაზ, კობტა და ცოცხალ ცალკე სიტყვების გროვაში.

—დემნა შენგელაიაზე საუკეთესოდ, მშვენიერად მტკიცდება მთელი უსუსურობა და უნიადგობა ფორმალისტებისა, რომლებიც მხოლოდ ფორმით, სიტყვით—



ფიქრობენ სიტყვიერ ხელოვნების შენებას. იქ სადაც მწერალი—შინაარს კლავს ფორმით, ან და საკმაო ყურადღებას არ აქცევს მას—იქ თვით ნაწერი კვდება, უნაყოფო გამოდის, ერთის მხრივ და თვით ფორმაც კარგავს თავის ობიექტურ სიმშვენიერეს მეორეს მხრივ, რადგან მისი არსებობა, შინაარსის, საგნის გარეშე—უაზრო ხდება. შეიძლება ითქვას—ფორმა აძლევს სახეს, სულს,—ნაწარმოებს; შინაარსი, საგანი—კი აზრს... უპირველთა ხელოვნება არ არის: უმეორით კი არაფერია, ან და მხოლოდ უაზრობა.

რაც უფრო მდიდარია ფორმა—რაც უფრო შესანიშნავით არის გამოყენებული სიტყვა, სტილი,—შენების ტენიკა—ე. ი. რაც უფრო მაღლა დგას ნაწერის ფორმალური მხარე: მით უფრო მეტი საფრთხე მოელის მწერალს—დაუკარგოს ფასი ამ ფორმას, თუ კი იგი საკმაო ყურადღებას არ აქცევს შინაარსს, საგნის წერისა, ტანთსაცმლის ობიექტს.

შემოგვედავებინა: დიდი მხატვარი, საუკეთესო ფორმით—მშვენიერი სიტყვებით—უბრალო, უმნიშვნელო შინაარსით—უდიდეს ღირებულების მქონე ნაწარმოებს შექმნის. პართალია. მაგრამ ეს სრულებითაც არ ეწინააღმდეგება ჩვენს აზრს. საქმე იმაში კი არაა (პოეტისათვის), მნიშვნელოვანია, თუ უმნიშვნელო ესა თუ ის საგანი, ესა თუ ის შინაარსი—რომელსაც იღებს შემოქმედების ობიექტით მწერალი—საქმე იმაშია—რომ ეს თუ გინდ ჩვენთვის მეტად უმნიშვნელო შინაარსი—სათანადო ყურადღებას იპყრობდეს ავტორისა, სათანადო სიყვარულით სარგებლობდეს მის მიერ; ფორმა უნდა გაიწალოს ამ შინაარსის მიხედვით. საქმე იმაშია, რომ შინაარსი ერთი წუთითაც არ უნდა დაავიწყდეს ავტორს; ის არ უნდა იმალებოდეს ტანთსაცმელში, არამედ უნდა სჩანდეს, რომ ეს ტანთსაცმელი სწორედ მას აცვია, რომ სწორედ მისთვისაა იგი შეკერილი. მაშინ შედეგით მოგვეცემა არა მხოლოდ სიტყვების შენობა, ესე იგი უაზრობა, არამედ მხატვრული ნაწარმოები—რომლის შინაარსი შეიძლება ჩვენთვის არის „უმნიშვნელო“ ე. ი. საზოგადო ინტერესს მოკლებული, შეიძლება რეაქციონური; ასეთ ნაწარმოების წინააღმდეგ ჩვენ ვიბრძობებთ, დავიწუნებთ მას, შეიძლება ცენზურასაც მივმართოთ მის წინააღმდეგ. მაგრამ: ეს ნაწარმოები მაინც ნაწარმოები იქნება; მასში იქნება აზრი—მისაღები ჩვენთვის, თუ არ მისაღები ეს სულ სხვა საქმეა და სხვა ჯურის საკითხი—ფორმა აქაც ვამართლებულია—რადგან მას ობიექტი—შინაარსი აქვს...

დემნა შენგელაია თვით გრძნობს თავის ნაკლს—ფაბულის, შინაარსის, საგნის ნაკლებით დამუშავებისა. ის უკვე აქცევს ამას ყურადღებას. ცდებიც მოახდინა მან შესაფერი ხასიათის. მისი უკანასკნელი რომანი „გურამ ბარამანდია“¹⁾—ამის უტყუარი ნიშანია. უნდა ითქვას: ეს რომანი საერთოდ სუსტია; ეტყობა აჩქარება, ზოგიერთი ადგილები—ვერ არის სათანადოთ დამუშავებული. ამ მხრივ იგი დიდათ ჩამოუყვარდება „სანავარდოს“, და „თბილისს“. მიუხედავად ამისა—ჩვენ მაინც უდიდესი იმედებით შევეგებეთ დემნას ამ ახალ მოთხრობას. და უმთავრესათ იმიტომ, რომ აქ დემნა ცდილობს გამოასწოროს ის ნაკლი თავის შემოქმედებისა, რომელიც მას ახლავს თავის წარსულში, და ვო-

¹⁾ „დარიალი“ № 1. „გურამ ბარამანდია.“

მელიც გამოიხატება შინაარსის მივიწყებაში. „გურამ ბარამანდია“—ში შენგელი-
ია—უფრო საინტერესოდ შლის შინაარსს. ამბავი აქ—უფრო მნიშვნელოვან
ადგილს იჭერს, მას შედარებით მეტი ყურადღება მიუძღვრია ავტორის.—ავ-
ტორს, რომ იმდენივე დრო და ენერგია დაეხარჯა ამ ნაწარმოებზე, რამდენიც
„სანაეარდოს“ მოანდობა—„გურამ ბარამანდია“ დიდათ გაუსწრებდა წინ
„სანაეარდოს“. „გურამ ბარამანდიას“ საერთო ნაკლი, როგორც მხატვრულ ნა-
წარმოებისა—აიხსნება, რასაკვირველია, არა იმით, რომ ავტორმა მასში მოინ-
დომა დაეცო ერთგვარი პროპორცია ფორმისა და შინაარს შორის—არამედ
იმით, რომ საერთოდ ვერ დაამუშავა ეს თავისი ნაწერი, ძალიან აჩქარებულად
გამოაჭვეყნა იგი. შეიძლება აქ—სხვა პირობებშიც ითამაშეს როლი.

ყოველ შემთხვევაში „გურამ ბარამანდია“—ში დემნას მიერ აღებული ხაზი—
მეტი ყურადღება მიაქციოს შინაარს, „ამბავს,“ მეტი ადგილი დაუთმოს მის
თავის შემოქმედებითი პროცესში, მეტი ინტერესით გაშალოს იგი—სავსებით
სწორია და მისაღები. ეს ხაზი დემნას—გადაარჩენს აუცილებელ დალუპვისაგან,
გამოფიტვისაგან; უამისოთ—დემნა „სანაეარდოზე“ და „ტელიისზე“ მოკვდება.

დემნას ძველი გზა—მარტო ფორმა, შინაარსზე თითქმის არაფერი—მო-
მავალში ვერაფერს მოგვეცემს ახალს იმაზე მეტს—რაც უკვე არის. და არამც
თუ ახალს—თვით „სანაეარდო“, ეს უველაზედ უფრო ფორმალისტური ნაყოფი
დემნას შემოქმედებისა—ხშირად ფალსივობს, ყალბობს—მით რომ ის ავსებულ-
ია განმეორებით, ერთი და იგივე ნაბატი რაოდენჯერმეა ნახმარი... ერთი და
იგივე სურათი—რაოდენჯერმეა გადაღებული. პირველ წაკითხვისას ეს ნაბატი,
ეს სურათი საუკეთესო შთაბეჭდილებას ახდენს, მისი თითოეული ხაზი, თითოეუ-
ლი შტრიხი ცოცხალია—დაუფიწყარია. ის აქ შეიძლება ქართულ ლიტერატუ-
რის კორიფეების სურათებს არც ჩამოუარდეს... მაგრამ... განმეორებული ერთ-
ხელ, ორხელ—ისინი კარგავენ თავის „ქალწულობას,“ უინტერესონი ხდებიან,
დაბოლოს მოშაბებრებელნიც...

„მალიარიას“ საშინელების—მშვენიერი სურათები აქვს დემნას „სანა-
ეარდოში.“ თვით რომანი—მალიარიას ფონზე და საფუძველზეა აგებული. რო-
დესაც პირველად ხვდებით „მალიარიას“ სურათს—იგი დაუფიწყარია თავის მხატ-
ვრული ასრულებით, ოსტატობით.

„ტრამა.

ქაობი და კონკუო.

ლელი და ლაქაში.

აქა-იქ ისლით დახურული წაფერდილი ქობები.

ქობების წინ პერანგის ამბარა, მუცელ-გასიებულ, გამოყვითლებულ ტყირპიან
გოგო-ბიჭების ფეხნიშველი ტანტალი და ქაკუნის თამაშობა.

მზისგან გამთბარ მწვანე ლორწოიან ქაობებში ჭეჭწარმავალთა ნებეირი
ზმორება და აორთქლილი ხაში ციებ-ცხელებისა.

ამიტომ ხდება, რომ: ეს რამდენჯერმე განმეორებული ტყირპიანი, მუცელ-დასიებული, ჩაყვითლებული გოგო-ბიჭების სურათები—დაბოლოს კარგავენ შინაარსს, აზრს და იქცევიან რაღაც თვითფასურ სიტყვებათ, სცილდებიან იმ შინაარსს, რომელსაც ისინი უნდა გამოხატავენ—ესე იგი გოგო-ბიჭებს და დაფრინავენ რაღაც თავისებურ სიტყვათა სამეფოში.

„თბილისშიაც“ ბევრი ასეთი განმეორებანი აქვს დემნას. „გურამ ბარამანდიანიშიაც“—ზნირად—„სანავარდოდან“ ამოღებულ სურათებს ნახავთ აქ... თუ გინდ იმავე ციებ-ცხელებახე...

რატომ ემართება ეს დემნა შენგელაის? ის ხომ პატარა მწერალი, უნიკო მხატვარი არ არის—რომ ამის ვაგებობს უნარი არ ჰქონდეს? და იმიტომ, რომ იგი პატარა მწერალი არ არის, უნიკო მხატვარი არ არის,—კიდევაც გაიგებს ის ამას. მან უკვე გაიგო ეს. ამბობენ, რომ „გურამ ბარამანდიას“ შინაარსი განსაკუთრებით მეორე ნაწილში—დემნას ორიგინალობის ნაყოფი არ არისო. ასახელებენ ესეეოლოდ ივანოვს, რომლის დიდი ვაგუნის და ზნირად მიბადებით არის შესრულებული, „ბარამანდიას“ მეორე ნაწილი. შეიძლება. დასაძრახი აქ მაინც და მაინც არაფერია. რასაკვირველია, მეორეთ დემნას ამის არავინ აპატიებს... იმიტომ, რომ მას—დემნა შენგელაის—ეს არ ეპატიება. საქართველო საკმაოდ მდიდარია, რომ დემნას შემოქმედების შინაარსი მისცეს... წარსულშიაც და დღევანდელშიაც. მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ დემნამ საჭიროდ დაინახა—თუ გინდ ნასესხები შინაარსითაც—დაბმარებოდა თავის ნაწარმოებს—მოწმობს იმას, რომ მან გაიგო და მიხედა—თავის ძველი—ფორმალისტური—გზის ნაკლულეგანებებს... არავინ არ ვაგვიგოს იმ დაგვარად, რომ ჩვენ ფორმას, სიტყვას მნიშვნელობას არ ვაძლევედეთ,—ხელოვნება უამათოდ არ არის... ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ დემნამ—ნიჭიერ ფორმას, სათანადო შინაარსი მისცეს. იმასაც უმატებთ: თვით ფორმა ვერ იარსებებს უამისოთ.

„სანავარდო“ არ განმეორდება, თუ განმეორდება მას არავინ წაიკითხავს,—რადგან მას ფასი არ ექნება... ამის „წინასწარმეტყველებაში“ ჩვენ არ შეეცდებით.

დაკავშირებით ამასთან—დემნას „ფუტურისტობის“ შესახებ. დემნა შენგელაია ეს რაოდენივე ხანია—იხსენიება და იწერება (გვართ და არა ნაწერებით)—ქართველ ფუტურისტებთან. ვამტყიცებთ, რომ დემნას მათთან არავითარი საერთო არა აქვს, როგორც მწერალს, როგორც ავტორს მის მიერ ხელმოწერილ ნაწარმოებებისა. შეიძლება ვინმემ შემოგვედაოს? ფუტურისტები ხომ ფორმალისტებია, დემნაც ასეთია—მაშასადამე საერთო ჰქონიათ. არავითარი ამის შესგავსი. დემნას ფორმალისტობა—დიამეტრალურად საწინააღმდეგოა—ფუტურისტების ფორმალისტობაზე. დემნა ფორმალისტია—შინაარსის, ამბავის, სიუჟეტის მიმართ. ე. ი. ის აბატონებს სიტყვას, ფორმას შინაარსზე;—მაგრამ თვით ფორმის, სიტყვის მიმართ—ის უაღრესად ანტი-ფორმალისტია. ფუტურისტისათვის—განსაკუთრებით ქართველ დადაისტ-ფუტურისტისათვის—სიტყვა მხოლოდ საბურთაო საშუალებაა. მას არც შინაარსი სწამს და არც სიტყვა, როგორც რაიმე აზრის მქონე. მისთვის თვით სიტყვებიც უშინაარსოა და უაზრო.



ის სიტყვის—უკან გარდა ანბანებისა და ბგერისა—არაფერს ხედავს. მას შეუძლია—ათასი სიტყვა გამოიფინოს დღეს—და ყველა ერთ-თვისად გაასაღოს. ფუტურისტს—ფაქტიურად სიტყვა არ უყვარს, რადგან ის არ უფლის მას... დემნა კი სატყვის უკიდურესა რაინდია; სიტყვაში ის—გარდა ასოებისა და ბგერისა, ხმისა—ხედავს უდიდეს შინაარსს, აზრს. ცალკე სიტყვებთან—სცხოვრობს ის, ცალკე სიტყვებს აცოცხლებს იგი. დემნა როდის იგონებს ახალ-ახალ სიტყვებს!! არც შეუძლია გამოიფინოს, რადგან იგი სიტყვაში სიყვარულის, ზრუნვის, შემოქმედების საგანს ეძებს—და ასეთს ვერც ისე ადვილად გამოიფინებ... დემნა სიტყვის მისტიკოსია—ამ სიტყვის სწორი გაგებით.. ჩვენ ამაში არ დავეთანხმებით მას, მაგრამ ეს ასეა. სიტყვაში ის ნახულობს იმას, რაც მასში ფაქტიურად არ არის. ყოველ შემთხვევაში ეს სრულებით არ არის ფუტურისტში. თუ „იზმების“ დასახელებაზე წავიდა საქმე—დემნა შენგელაია უფრო სიმბოლისტია ვიდრე ფუტურისტი. დემნა შენგელაიამ—თავის მისწავლებლათ უნდა ჩათვალოს—არა კრწიონიზმი, ხლებნიკოვი და მიაკოვსკი არამედ—ანდრეი ბელი და ზორის პილნიაკი...—„სანაფარდოს“ და „თბილისის“ ავტორი—როგორც მწერალი—ვერასოდეს ვერ დაიდგამს ლიტერატურულ სკამს ს. ჩიქოვანთან და ე. ლოლობერიძესთან ერთად. ეს იქნებოდა—საქართველოს ყოველგვარ არაჩვეულებრიობის ჩვეულ ლიტერატურულ ქვეყნისათვისაც არაჩვეულებრივი მოვლენა...

და თუმცა ჩვენი აზრით ამა თუ იმ მწერლის ორგანიზაციულ ჩაფარგვლას რომელიმე ლიტერატურულ ორგანიზაციაში დიდი დადებითი მნიშვნელობა არა აქვს; შეიძლება ხანდისხან პირიქითაც; ჩვენ ვფიქრობთ—სრულიად ადვილად შეუძლია ნიკიერ, თავისი თავის იმედის მქონე, მწერალს ინდივიდუალურად გაშალოს ფრთები და დაიპყროს თავისი სალიტერატურო ასპარეზი—ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა არა აქვს—თუ რომელი მწერალი, რომელ ორგანიზაციაში ითვლება—მაგრამ ჩვენ მაინც ვიტყვით: აჯობებს, თუ დემნა თავის სკამს იქ დადგამს, სადაც მისთვის არის ადგილი. ყოველ შემთხვევაში არა—ქართველ ფუტურისტებთან.

ჩვენ ვსთქვით: დემნა ხშირად სიტყვის მისტიკოსია თქვა. ე. ი. სიტყვაში ის ნახულობს, უნდა ყოველ შემთხვევაში დაინახოს ის—რაც იქ ნამდვილად არ არის, არც შეიძლება იყოს. მაგრამ დემნა არა მარტო სიტყვაშია მისტიკოსი. დემნას წერის მთელ ტონს, სტილს—მართალია მკრთალი, მართალია ბუნდოვანი—მაგრამ მაინც რაღაც მსგავსი მისტიკური ვუალისა ფარავს. შეიძლება აქ დამნაშავე იყოს—თვით სიტყვა... ყოველ შემთხვევაში ეს ასეა. ვუალი მსუბუქი მისტიციზმისა ხურავს დემნას ნაწერებს. გზა და გზა ეს ვუალი იხვევა, იკარგება—მაშინ ჩვენს წინ არის ჯანსაღი მწერალი, ამსახავი ჩვენი ცხოვრების სოციალური მხარეებისა. რეალისტი, ხშირად მხატვრულ ნატურალიზმამდეც დასული. მაგრამ ეს გზა-და-გზა. მაგრამ ეს მაშინ, როდესაც შენგელაია უცებ იხსენიებს შინაარსს—რომელიც უმრავლეს შემთხვევებში მივიწყებული ყავს მას. საერთოდ უნდა ითქვას: მაშინ როდესაც დემნა თავის შემოქმედების ფორმალისტურ გადახერხას თავს დაახწევს ე. ი. შინაარსისათვის გამოიყენებს ფორმას და არა

პირიქით—მისტიური ვჟალი, რომელიც საერთოდ ფარავს მის ნაწარმოებებს — დაიხვევა, დაიკარგება, თავის-თავად გაქრება. ამას გვიმტკიცებს ის შემთხვევითი ადგილები დემნას ნაწერებში, სადაც იგი შინაარსს, სივანს—საკმაოდ ამუშავებს, საჭირო ყურადღებას აქცევს.

„სანავარდო“ ყველაზე უფრო უკან დგას ამ მხრივ, — მაგრამ აქაც სწანს ასეთი ადგილები და არაერთხელ და ორხელ. რაზე მოგვითხრობს — უმთავრესად „სანავარდო“, რომდენათაც კი არის საერთოდ „მოთხრობა“ ამ რომანში? ყოველ შემთხვევაში — მთავარი აზრის გაგება ასე შეიძლება: ციებ-ცხელებიან, „მალიარიით“ მახაშმული სისხლის მქონე — ჩენნი უსაქმო ბრწყინვალე წოდების გადაგვარება, ამ გადაგვარების თითქმის ფიზიოლოგიური აუცილებლობა და ამ აუცილებლობით შექმნილი „ტრადედია“ აღნიშნისა, რომელსაც სურს დასძლიოს ამას, ცხოვრების სხვა გზა მონახოს. ასე შეიძლება „სანავარდოს“ მთავარი აზრის გაგება, თუმცა, ვიმეორებთ, სრულებით არ არის დამუშავებულია ეს მთავარი აზრი, ხშირად საწინააღმდეგო ადგილებსაც შეხვდებით — ყოველ შემთხვევაში თუ კი საერთოდ შეიძლება რაიმე მთავარ აზრზე ლაპარაკი „სანავარდოში“, — სწორედ ამაზე, უმთავრესი სიყალბე, ხელოვნურება ამ მთავარ აზრისა მდგომარეობს იმაში, რომ გადაგვარება, დაღუპვის აუცილებლობა — ახსნილია არა სოციალურ მომენტებით (უმთავრესათ), არამედ ფიზიოლოგიური და მდებარეობითი (ბუნება, ციებ-ცხელება და სხვა), ვიმეორებთ უმთავრესად, რადგან — ადგილ-ადგილ სოციალურ მომენტებსაც მიუთითებს ავტორი.

თავად-აზნაურობა გადაგვარდა, ისტორიის არქივს ჩაბარდა და დღეს მხოლოდ სულს ლაფავს — პოლიტიკურად და ყოფა-ცხოვრებაში — არა იმ მიზეზით, რომ მისი სისხლი მოწამლული იყო, რაღაც ბაცილებით, არა იმიტომ, რომ იგი მოსახლეობდა ციებ-ცხელებიან ადგილებში, ჭონჭყოში და ტრამში — განავლებები არ ბინადრობდენ იქ? — არამედ იმ მიზეზით, რომ ცხოვრების განვითარების ახალი ეკონომიური საფუძველი ხელს არ უწყობდა, ვერ ითმენდა — იმ სოციალურ ურთიერთ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობდა ბონდოს ბრწყინვალე წოდებასა და ვლებობას შორის.

— ეს უმთავრესი მიზეზი — რასაკვირველია მხატვრულ სარკვეში ვარდატეხილი — საკმაო სიცხადით, საკმაო ნათლად არა აქვს გაგებული, მიღებული და გადმოცემული თავის „სანავარდოში“ დემნას „გურამ ბარამანდიასი“ უფრო გარკვეულათ, უფრო მეტი ყურადღებით არის მოცემული ეს მომენტები. „გურამ ბარამანდიას“ მთავარი გმირი — თუ კი ასეთი სახელწოდება მიეცემა იმ მკრთალათ დახატულ პიროვნებას, რომელიც მთავარ როლს (შედარებით სხვებთან) თამაშობს მოთხრობაში — იმავ სოციალურ ურთიერთობის ნაყოფია, როგორც ბონდო — მთავარი „გმირი“ — „სანავარდოსი“. ბევრი საერთოა მათ შორის. შეიძლება ითქვას, რომ გურამი — ბონდო — ახალ პირობებში გადმოტანილი — რევოლუციის პირობებში.

„ოტია ბარამანდია (გურამის მამა) იჯდა წელამდე და ცეპულ წვერებით, ხელში კრიალოსანს ათამაშებდა და გველაზეა კლდაბზიკას ემუთაიფებოდა.



ქართული
განმანათლებელი

— მოურავო რაეა ნადირობის საქმე? წოველს მწყერებ-
ბი, მგვონია, ბევრი იქნეს და ამა შენ იცი, რაეა გააწაფი-
ებ მიმინოს.

— დარები ჯერ-ჯერობით კაია, ჩემო ბატონო და მოსა-
ვალმა იცის! თუ კაი მოსაფალი იქნა, მწყერებიც ბევრი იქნება!
აი ზომ ყველაფერი კაია, ბატონო მარა, რაცბა შინდა ვითხრა
სამხიარულო...

— სთქვი!

— კამისეულის ღელე რომაა, ბატონო, იქანე ყურდგ-
ლის ცურცილი უნახავენ.

— სად ბიკო?—წამოვიარდა ოტია. კრიალოსანი ჯიბეში
ჩაიღო და აღგზნებული თვალებით მოურავს შიაწერდა.

— ბრინჯოულასთან რომ კამისეულის ღელე უხოვს
დიდი ხსტე, რომაა იქანე ბატონო.

— სად იყავი მერე შე წუწკო ამდენ ხანს! ცხენი ჩქარა
და შეძებრები.

— და ასე ეზოში გაჩნდა ტუნების წრუპუნი, ძალღების
ყეფა, ცხენის კიბვინი და დიდი ბატონი ოტია და ბატონი-
შვილი ვისარიონ ბარამანდიები წავიდენ სანადიროდ.

ბრინჯოულასთან ოტია, მისი ვაფი ბესო და მოურავი
კუდაბუკუნი კურდღლის ცურცლს ამოწმებდნენ, კბილით
ჰკენეტდენ, გემოს უსინჯავდნენ. და როცა დარწმუნდნენ, რომ
ნამდვილათ ყურდღლის იყო, განჩნდა ძალღების სუნსული, გა-
ნაბული სიარული, სანამ კურდღელი ოცი ვერსის სიშორეზე
არ გამოავდეს...

— და საღამოზე ბატონს წკებლით გაბუფუყებულ შემ-
წვარ კურდღელს მიართმევდენ ხის შამფურზე და ოტია თავს
იწონებდა თავის მელლუე ნიტიფოსთან და მხვიალ ფუსუტი-
ასთან.

ასე ატარებდა დროს გურამის ბრწყინვალე წინაპრობა. სურათი დემნას
კარგადა აქვს ვადმოცემული. მშენიერად. ვადამეტებული არ იქნება—თუ კი
ასეთ სურათებს დაეით კლდიაშვილის ნაწერებშიც დაეწყებთ ძებნას.

რით ცხოვრობდა ბარამანდიით გვარეულობა?

„ზაფხულში, როცა თოხნა ვათავდებოდა, გლეხები სკრი-
დენ ტყეებს, იტკეოდა მიწაზე ასწლოვანი ნიგვები, ჰანდრე-
ბი, წაბლის ხეები და ასწლოვანი სისხლივით წითელი ურთხ-
მელები.

შემოდგომით სასახლეში ამოქონდათ ღალა: თაფლი, გა-
ცხევილი ღომი, თუთუნი, თევზი, ნადირის ხორცი, ვიდლები,
გობები, ყავარი და დარდიმანდი თეძომოტკეული მოურავი ცხენს
დააქანებდა ყანიდან ყანაში, კალოდან კალოზე, კრეფდა ღალას,



დაეობდა ბათმანის სიყალბეზე, ტვირთავდა ურმებს, სტენიდა ბატონის ბელღუმს პურიტ, სასიმიინდეებს სიმინდით, ხულას ლომით და ბრინჯით, ავსებდა მარნებს ლენით, ხალუმს ყველით, კოკებს თაფლითა და წოთი, ოდის თავანს ნიგვზით, ტყლაპით, ჯანჯუხებით და ნაწილს ნამალავათ თავის ოჯახში მიაპარებდა.

ოტია ამწნევდა მოურავს სიყალბეს, მაგრამ პირდაპირ ვერ უბედავდა, რომ მერე მეტის პარვა არ დაეწყო.

— კუდაბზაკუ, ბიჭო, ხელუკულმართობა არ შეგატყო, ხელუკულმართობა!

— რაზე იკადრებ, ბატონო! შენ თუ არა შენს შეილებს რაეა ულალატებ, ჩემს ხელში არიან გაზრდილი—მოიკატუნებდა თავს კუდაბზაკუნი.

— ჰო და ასე, კუდაბზაკუ, გახსოვდეს: ბატონს პატვის-ცემა უნდა და ხემწიფეს სამსახური“;

და მართლაც: პატვის სცემდნენ ბატონ ოტია ბარამანდიას, ხემწიფესაც ერთგულად ემსახურებოდნენ. კუდაბზაკუნი თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა. გლეხებს ტყავს აძრობდა და ბატონსა და ხელმწიფის წინაშე მოვალეობას პირნათლად იხდიდა. ამ დროს კი:

„საკოდავით გამოიფურებოდა ისლით დაბურული გლეხის სახლები.

წიკაში ეციდა გასამზეურებლად გამოუყენილი მწვირიანი ნიფხავ-პერანგი და ვინმე არგადასარჩენ გასათხოვარ გოგოს ერთი ხელი სამზითოვო: ორი ბალიში, ლეიბი, მუთაქა, ზეწარი და ქრელი თუნუქით მოკედილი ზანდუკი.

სახლის წინ გაძვალტყავებული ძაღლი იწევა, და შიშველი ბავშვები მოლნარზე დატანტალობდნენ. ცალ ხელში მჭადის ნატეხი ეჭირათ, მეორეში მჭავე კიტრი და მადიანათ ილუკებოდნენ. იყენენ: ტყირპით მუცელ გაბიზინებულნი გაყვიციანებულნი, მზისგან დამწვარი და ციებით გამოყვითლებულნი....

სალამოთი გასათხოვარი ძღაბი სამზეითო ქვეშავებს მიწიან სახლის კუთხეში დააბინავენდა, დაკონკილ ლოგინს გაშლიდა და დაიწყებდა ოცნებას ბატონიშვილ გურამზე, რომელმაც დღეს სალამოთი მას ირიბათ გადმოხედა.

მამამისი ლოგინში ტრიალებდა, დაბადებას იწყველიდა და დედას აგინებდა ბატონებს, რუს ხემწიფეს, ლმერთსა და მის გამჩენს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ქალიშვილი გურამმა ფეხმძიმეთ შეჰქმნა, ფეხზე აღგომას ვერ ჰბედავდა, სულ იჯდა, რომ წამობერილი მუცელი დაემალა. დედამ წყველისა და ლოყების



პოტნის შემდეგ გოდორში ჯდომა ურჩია, რომ მამას ფეხმძიმეობა არ შეემჩნია.

მამას აკვირვებდა ქალიშვილის ახლად შეძენილი ჩვეულება, ექვი შეეპარა, წამოაყენა, მიხვდა, წალდს ხელი წამოაველო.

მეორე დღეს იგი წისქვილის კოდში ნახეს:—თავი დაეხრაო“.

გვნატე ნინოშვილის შემდეგ—სახიფათოა ასეთ თემაზე წერა, მაგრამ ზევით მოყვანილ სურათზე „გურამ ბარამანდიადან“ გვნატეც მოაწერდა ხელს...

„გურამ ბარამანდიაში“ დემნა შენგელია შეეცადა მოეცა სამოქალაქო ომის სურათი. საქართველოში ვერ მონახა მან—სათანადო მასალა და რუსეთს, შორეულ ციმბირს მიმართა. ცხადია ხელოვნური, ნაწილობრივ ყალბი გამოვიდოდა იგი. რასაკვირველია—უფრო ძნელი იქნებოდა, პასუხსაგებიც—ასეთი სურათის დახატვა საქართველოს ცხოვრებიდან. დემნამ ვერ შეძლო, თუ ვერ გახვდა ჯერ ეს. მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ მან მიმართა ასეთ თემას—თუ გინდ ნასესხაც—ბევრის მთქმელია. პირველად ყოვლისა იმის, რომ მაშასადამე ასეთი მოთხოვნილება უკვე არის დემნას შემოქმედებაში. და თუ კი დღეს მას მკრთალი და ხელოვნური გამოუვიდა ეს სურათი—ხვალ, ვინ იცის? დემნა ახალგაზრდა, ნიჭიერია, მამიებელია, ერთ წერტილზე არ არის გაყინული, უმთავრესად მომავალშია—ამოცანას დასძლევს. საჭიროა ამისათვის მხოლოდ მტკიცე სურვილი და პოეტური გულწრფელობა. დემნას ორივე აქვს. და თუმცა მკრთალია და ხელოვნური სურათი სამოქალაქო ომისა „გურამ ბარამანდიაში“ იგი მიინც გვატყობინებს თუ ვის „მხარეზეა“ თვითონ ავტორი, ვის თანაუგრძობს მისი „შემოქმედება“, ვისთან უფრო ახლოსაა ის. გურამ ბარამანდია კაპიტნის ჩინით და ბონდარჩუკოს გვარიით—იბრძვის რევოლუციის წინააღმდეგ. ეს მეტად სინტერესო ფაქტია. გადაგვარებულ თავად-ახალგაზრდის წარმომადგენელი—რომელიც პატრიოტიზმის და ნაციონალიზმის განსახიერება საქართველოში—იქ ციმბირში, შორეულ რუსეთში ერთგულათ იბრძვის რევოლუციის წინააღმდეგ—კოლჩაკის სასარგებლოთ და თუმცა დემნა არაფერს ამბობს იმის შესახებ—თუ რა მიზეზებით მოხდა ეს, მაგრამ ჩვენთვის ცხადია და გასაგები, თუ რატომ უნდა მომხდარიყო ეს ასე.

სინდისის ქვეშ იბრძვის გურამ ბარამანდია ძველი ქვეყნის დასაცავათ. სინდისის ქვეშ—ახერცტინებს გლეხებს, სინდისის ქვეშ აროზგვინებს „ახალგაზრდა მეოცნებე ჩინელ ჩუ-ჰეი-ის, რომელსაც ასე უყვარდა პოეტ ლი-ბოს ლექსები“. და როდესაც

„ცა და საღვური განათდა და დღესავით წითლად და ტყის ხანძრის წითელ სინათლეში მოსჩანდა ხალხი: ცელებით, ნაჯახებით, ბიგებით, მოდიოდნ ისინი ყიეინით, ყვირილით.

კაპიტანმა ხმალს ხელი წაავლო, შეეარდა ფანჯარაზე და ხმალ ატყორცნილმა დაიღრიალა:

Ребята! в бой!

საქართველო
საბჭოთაო სოციალიზმი

მორტირები აბლავდნენ, სამთო ზარბაზნები ძაღლებივით ყეფდნენ, და ვაისმა დაჰრილთა კვნესა, ყვირილი, გმინვა.

წითლად განათებულ პერონზე რვა წლის თებშიშველი ბავში დარბოდა, ზმუოდა, ხან აქეთ ეცა, ხან იქეთ და მერმე ერთი დაიკვნესა და დაწვა მიწაზე... არ გაანძრეულა. ბონდარჩუქმა თვალი მოკრა ბავშვს, დათვივით დაიბლაელა:

Ураганным огнём! крой!

პარტიზანები ვადმოდიოდნენ ლიანდაგზე, დაჰრილ დაბოცილები რკინის გზის რელსებზე ტომრებივით ეცემოდნენ, ბლაოდნენ და არ ილეოდა, არ უჩანდა დასასრული მოზღვავებულ აჯანყებულ გლეხობას.

ასე სინდისის ტვეშ ებრძოდა—კაპიტანი ბონდარჩუქი—გურამ ბარამანდია—აჯანყებულ გლეხობას შორეულ ციმბირისა, სასიხარულოთ და სადღეგრძელოთ მეფვის რუსეთისა.

„დეღია, დეღია!.. დაკვნესა მომაკვდავ კაპიტანმა, ბუტბუტს სისხლი ამოცვა და სისხლის რწყევასი სულიც ამოარწყია.

— ამხანაგებო!..

ურრაააა! ურრაა?!

ნახევარ საათის შემდეგ სადგურის შენობაზე წითელი დროშა ფრიალებდა და ტყე იწვოდა უზარმაზარი.

ტელეგრაფისტი რეკდა აპარატში:

— ომსკი ხარ? მოგილოცავთ!.. სადგური აღებულა...“

ასე თაედება გურამ ბარამანდიას—ამბავი. და თუმცა ძნელად შესამჩნევ სიბრაღულით („დეღია, დეღია“) და შეცოდებით—მაგრამ მაინც გადაწყვეტით და საბოლოოდ სწირავს დემნა თავის გმირს მსხვერპლათ რევოლიუციას. იგი ამარჯვებინებს რევოლიუციას არა მარტო ფიზიკურათ, არამედ მორალურადაც. სულიერადაც. დემნა შენგელაია რევოლიუციის „ნომბრე“ მწერალია. ამ სიტყვის ნამდვილი ლიტერატურული გაგებით. ეს მომხრეობა ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი, გალესილი—იმდენათ რამდენათაც იგი—რევოლიუციის ასახვაც—არ ქონებია ჯერ დემნას მნიშვნელოვანად დასახული. მაგრამ იქ სადაც კი ეხება იგი რევოლიუცია—კონტრრევოლიუციას თუ გინდ გაკვრითაც მწერალის თანაგრძნობა ყოველთვის რევოლიუციის მხარეზეა.

„ფუნქცილიორი დგას უზარმაზარ შუბლივით და ხუთ ბოლოიანი წითელი ვარსკვლავი ანათებს ტფილისს.

მამა დავითი ფუნქცილიორის ძირს ეკლესიის საკურთხეველში ზის და წვერებს ივარცხნის, აკაკისა და ილიის საელავეებს სძინაეთ. ხანდახან გადმოდგება მამადავითზე ძახთაპირი და შეჰყეფს ხუთბოლოიან ვარსკვლავს!“... („თბილისი“.)

დემნა შენგელაია ძახთაპირთან არასოდეს არ იქნება ხუთბოლოიან ვარ-



სკვლავის წინააღმდეგ. თავად გურამ და ოტია ბარამანდიყის და ბონდო და ყარამან კილაძეების სამყარო უკვე დიდი ხანია განწირულია. ტყუილად კი არ ეუბნება „წყილებიანი ჰინჯა“ ბონდოს ავადმყოფ დედას—ციციანოს.

„თქვენც ვაწყლებით, გაპარტახდება ყველაფერი, მაგრამ ეს არაფერია, არაფერი! სამაგიეროდ მოვა წვიგ-მავარი ხალხი და ახლა ისინი დასწერენ ახალ მატინეს.“ („სანავარდო“).

ტყუილად კი არ იფოფრებიან სოფლის დედაკაცები:

მოდის რკინის ქაჯი, მოდის და მოახრეილებს ფოლადის კბილებს.

ვერაფერი შეაჩერებს, ვერაფერი შეაკავებს.

დასწერს ყველაფერს, გაიანდგურებს.

დგება ახალი რიჟრაჟი.

რიჟრაჟი დანთებული ცეცხლით და ყიფინით მოფრინდება ახალი წმინდანიანი ცეცხლის ფრთებით და დასწვავსლამეს.

დაიღუპება ძველი დიდება.

განიადდება იდათები და ჩვეულებანი.

ახალი ჰინჯენი გაჩნდებიან, ჰინჯები შერეულნი ცეცხლითა და ალმურით.“ („სანავარდო“).

ტყუილად კი არ ეუბნება ბონდო—თავის მამას ყარამანს:

„ახალ ქვეყანას ახალი ხალხი ქმნის! მე კი დაჩიავებული ვარ. ჩვენ შეგვიძლია წაეიდეთ! მოდის რკინის-გზა და ჩვენ უნდა დაეხუროთ მატინე... ახლა სხვები მოვლენ ჩვენს ადგილას, დაზიდულ ძარღვებითა და ახალი სისხლით, უგვა-რო ხალხი. ჩვენ წაეიდეთ მამაჩემო და ძველი დიდებით შევიტკიოთ თავი!.. ჩვენ ასლა მოხუცი ბერიკები ვართ!! როგორ არის? მე ერთი ტირილი გამიგია ბერიკებისა ქალაქში. როგორ არის?.. ჰო!

„მღვდელმა ამიგო ანდერძი, წინგს კითხულობდა გრძელსაო.

ბოლოს ლოცვა გაათავა, მიწას მაურიდენ ბეგრსაო,

მოვა ის გველი წითელი, მოიღერებდა ყელსაო,

ჯერ ხომ გაღამბავს ულვაშსა, მერე წვერს მიყოფს ხელსაო,

მას უკან ვიწყებ დიშლასა, დავემსგავსებო ტვერსაო“.

(„სანავარდო“).

ქკუაზედ შეშლილივით უტკერის და უსმენს თავიდა ყარამანი თავის შვილის ასეთს აღსარებას. და თიქრობს: გადირია ნამღვლიათ, თუ მთვრალია და ღვი-ნო ალაპარაკებს?! საბრალო ყარამანი! მისი შვილი ბონდო ასეთი ქკუიანი, ფხი-ზელი და მართალი არას დროს არ ყოფილა, როგორც ეხლა. ისეთი სიმართლე არასოდეს უთქვამს მას—როგორც ეხლა. ძველი მატინე დაიხურა. ახალ მატინეში კი ახალი ხალხი დაიწყებს წერას.. ეს ხალხი უკვე მოვიდა... ბონდოს წინათ გრძნობა ასი პროცენტით გამართლდა—ახალი ხალხი უკვე მოვიდა და უკვე დაგპატრონა—თავის საკუთრებას, რომელიც ამდენხანს, ყარამანებს, ბონდოებს

და გურამ ბარამანდიცხს ქონდათ მითვისებული. ერთ რამეში შეცდა ბონდო კობლაძე: არც ისე ადვილათ შესარიგებელი შეიქნა მისი ჭვეწვისათვის ახალ თაობის მოსკლა.

სისხლით და მახვლით—დაუხვდა ამ ახალ თაობას ყარამან და ოტიას გვირეულება და წოდება. გურამი—ციმბირშიაც იბრძოდა ამისთვის და კიდევაც შეაკლა თავი ძველი ჭვეწვის საქმეს.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო...

ვისთან არის დემნა შენგელია ამ ბრძოლაში—ძველი და ახალ ჭვეწვისა—როგორც მწერალი, როგორც მხატვარი? რასაკვირველია არა ბონდოსთან და ყარამანთან, არა გურამთან და ოტიასთან.

ასე გვეხატება დემნას სახე—როგორც მწერლის. წინააღმდეგობა არავინ დაგეწამოს: ვამბობდით—დემნას არა აქვს შინაარსი, საჯანს ყურადღებას არ აქცევს და სხვა. ეხლა კი გამოდის, რომ უდიდეს მნიშვნელობის საკითხებს ეხება ის და დადებითი პასუხსაც იძლევა მათზე. დიხა! მნიშვნელოვან საკითხებს ეხება დემნა თავის ნაწერებში, მაგრამ **ეხება** მხოლოდ, იგიც გაკვირით, იგიც ხან-დისხან—დრო გამოშვებით; მთლიანი შინაარსი, გაშლილი ამბები დემნას არა აქვს.. „სანაფარდოს“ ფორმას—ნოეთხოვება შესაფერი გაშლა შინაარსის.. ეს კი არ არის. იქ მხოლოდ ნაწყვეტებია შინაარსის, ჩვენ შევეცადეთ—ამ ნაწყვეტებით მოგვეცა დემნას სახე—როგორც ცხოვრების საკითხებით დაინტერესებულ მწერალს. შედეგი მივიღეთ—დემნასათვის მეტად ხელსაყრელი, ნაწყვეტები მოწმობენ და ამტკიცებენ ერთ რამეს: დემნას შეუძლია თავის ნაწერებში უდიდესათ მნიშვნელოვანი საკითხები გაშალოს და დიდი მწერლის ღირსათ გადაკრას ისინი.

დემნა შენგელიაში იბრძვის ორი მიმართულება: ერთია გზა ფორმალისმის, მისტიციზმის, გზა ანდრეი ბელის და ბორის პილნიაციის, მეორე კი ჯანსაღი რეალიზმის, ეპოქის საკითხებით დაინტერესების და მათი რევოლუციის ინტერესების მიხედვით გადაწყვეტის—გზა დავით კლდიაშვილის და ეგნატე ნინოშვილის. ჯერ კიდევ პირველი მიმართულება სჯობნის მეორეს.. მაგრამ რაც დრო გადის, ეს გამარჯვება პირველისა მეორეზე—უფრო და უფრო სუსტდება... მეტ ინტერესს, მეტ ხალისს, მეტ სიყვარულს—იჩენს მწერალი მეორე გზისადმი თავის შემოქმედებაში.

„წინასწარმეტყველება“ ძნელი საქმეა, მაგრამ მაინც ვიტყვით: ყველაფერი ამბობს იმას, რომ დემნაში დასძლევს რეალიზმი მისტიციზმს, დავით კლდიაშვილი ანდრეი ბელის. სხვათაშორის ამას მოწმობს ის ნაწყვეტებიც—რომლებიც ჩვენ მოვიხსენიეთ დემნას ნაწერებში,—როგორც მისი მხატვრულ აზროვნების ნიმუშები.

და თუ ეს ასე მოხთა—დემნა შენგელია შეიქნება საქართველოში რევოლუციოს დიდი თანამგზავრი მწერალი.

1905 წელი და ქართული მწერლობა

905 წელი ქართველი ხალხის ისტორიაში უმშვენიერესი და უდიდესი მომენტია.

ამ წელს ჩაება პირველათ ქართველი მშრომელი მასსა მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიულ მსვლელობაში და მაშინ ეხიარა იგი საკაცობრიო იდეალებს.

მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიული სიცოცხლის სივრცეზე მას არ განუცდია სოციალური რევოლუცია და, აი, ამ წელს მას წილათა ზედა რუსეთის ყოფილი იმპერიის ჩაგრულ ხალხთა და მასსათა მებრძოლ რიგებში მოწინავე ადგილი დაეკავება და დემოკრატიული რევოლუციის აუანგარდათ გამოსულიყო.

მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო საქართველოში 905 წელი და მრავალმხრივი და მრავალფეროვანი უნდა იყვეს მისი გამომხატველი მწერლობაც.

რუსული მწერლობა 905 წლის შესახებ მართლაც ასეთია, მაგრამ ეს არ ითქმის, საშუაბაროთ, ქართულ მწერლობაზე: დღემდის ჩვენ საქართველოს ფარგლებში 905 წლის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაც არა გვაქვს დაწერილი; და რაც შეეხება მხატვრულ მწერლობას, ამის ზომ ხსენებაც არ ღირს: დღემდის 905 წლის მოძრაობის შესახებ არც ერთი რიგიანი მოთხრობა, არც დრამა არ მოგვებოება.

მაგრამ 905 წ. ჩვენში იმდენათ მრავალმნიშვნელოვანი, შინაარსიანი და ხალხის ცხოვრების გეზის მიმცემი იყო, რომ არ შეიძლებოდა მასზე ჩვენშიაც მდიდარი პუბლიცისტურ-ჟურნალისტური მწერლობა არ შექმნილიყო; და მართლაც, უკანასკნელ იმდენათ ფართე და შინაარსიანია, რომ ერთ საფურნალო წერილში მისი ამოწურვა და მიმობღვა ყოველათ შეუძლებელია. ის ყოველშემთხვევაში რამდენიმე ტომს მაინც შეიცავს, ამიტომ ამ ქამათ ჩენნი თემა მეტათ შეზღუდული იქნება. ჩვენ შეგვხებით მხოლოთ კითხვას, თუ რას წარმოადგენდა 905 წელს ქართული მხატვრული მწერლობა და როგორ შეხვდა იგი ამ დიად ისტორიულ მომენტს.

905 წელმა სრულიად გაამართლა ძველი თქმა: „როცა იარაღი ეღარუნებს მაშინ მუზა სდუმს“-ო. განსაკუთრებით ეს ეხება მხატვრულ მწერლობას.

მეორე მხრით კი: მწერლობის ამ დარგს მხატვრული კრიტიკა „ცხოვრების სარკე“-დ სახავს—

და უნდა ვიფიქროთ რომ იგი მართლაც 905 წლის „ცხოვრების სარკე“ იქნებოდა, რომ ბრძოლის ვრიალს არ დაეფრთხო. ¹⁾

905 წლის ქართული ლექსი ვერც ამ უკანასკნელს ჰქმნიდა ღირსეულად, — და ამის მიზეზი არ იყო მხოლოდ: „იარაღის უღარუნი“—რევოლიუცია, არსებობდა მეორე მიზეზიც—რომელის დამტკიცებას ჰქვემოთ დაეინახავთ.

ღღეს ბევრ ამხანაგს, შეიძლება კიდევ უკვირდეს; თუ რატომ არის ქართული მწერლობა 17 წლიდან, უფრო კი 21 წლიდან „კრიჭა შეკრული“ და „მამაკედაეს“ დამზავებული?!—მაშინ, როდესაც ქართული მწერლობა საერთოდ არც ერთ კულტურულ ხალხის მწერლობას არ ჩამოუფარდებოდა.

ამ კითხვის გასარკვევით და გაკვირების გასათანტავად, ჩვენ ანალიზს გაუკეთებთ 905 წლის ცხოვრებას, ქართულ მწერლობის ისტორიულ ვითარებას, და ნათლად დაეინახავთ თუ რამ დაადუმა ამ წელს იგი.

I.

905 წელი საქართველოში.

ქართველი ხალხის ცხოვრება მთელი ასი წლის განმავლობაში რუსული თვითმპყობელობის რეჟიმ ქვეშ მიმდინარეობდა.

ეს რეჟიმი ქართველ ხალხს ორკეცით ჩაგრადა: **ეროვნულად და კლასობრივად** და როცა 905 წლის 9 იანვარს რუსეთის პირველმა რევოლიუციამ იფეთქა, იგი მას ორკეცივე აღზნებით შეეგება.

ეს იყო სტიქიური მხარე რევოლიუციის, მაგრამ რაც შეხება მის შეგნებულ მხარეს, აქ, ქართველი ხალხის ცხოვრებაში კიდევ უფრო მეტი უფრადღების ღირსი მოვლენი გამომგლენდა: ეროვნულად დაჩაგრული ხალხი, მთელი საუკუნის განმავლობაში ამ ხალხის მოწინავე ნაწილი ეროვნული იდეებზე აღზრდილი, რევოლიუციის დაწყების მომენტიდანვე მტკიცეთ, ერთსულოვნად დადგა პროლეტარულ პოზიციაზე. მაშინ როდესაც რუსეთის ჩამორჩენილი მასსები „მამა მეფისადმი“ ხეწნა-მუდარის და „პეტციების“ გზას ვერ გაცილებოდნენ.

პროლეტარული პოზიციას ჯერ ისევ 1898 წლიდან უმზადდებდა ქართველ ხალხს **საქართველოს ხოციალ-დემოკრატია** („მესამე დღის“).

თუ 1905 წლამდე მასში ეროვნული სულის კეთება სჭარბობდა, (თუმცა შოვინისტური არც მაშინ—), ამ წელს ყველასთვის აშკარა შეიქმნა, რომ ქართველი ხალხი მიუხედავად მისი ეკონომიურ-კლასობრივი ჩამორჩენილობისა (შედარებით რუსეთთან), თავგანწირულად იბრძვის არ „ეროვნული ინტერესებისათვის“ არამედ მუშათა კლასის იდეალისთვის.

¹⁾ ეხადია, როგორც ვეღაფერი, ისე შემოქმედებითი ცვლების შენელება შედარებითია: იგი რევოლიუციის ყოვრნას აძლგხებით ჰახვებით თუმცა „მანს აძლგეს“, მაგრამ ამ დროს ახალი ჰანგების შექმნა მას არ ძალუქს. იგი ამ მომენტში მხოლოდ „საყვირი“-ს როლს ასრულებს.

ქართველ ხალხის ამ სულიერმა გარდატეხამ შეტათ გააკვირვა და საგონებელში ჩაავდო იმ დროინდელი ქართველი ნაციონალისტი.

905 წლის ნაციონალისტურ ჟურნალ-გაზეთებს თუ გადაივლებთ თვალს ცხადათ შენიშნავთ, რომ ყველა ჯურის ნაციონალისტებს ვერ გაუგიათ, თუ რატომ გაჰყვა ქართველი ხალხი საქართველოს სოციალ-დემოკრატიას და რატომაა რომ ქართველი სოციალ-დემოკრატია ისე გაცხარებით და ხელალებით უარყოფს საქართველოსთვის, მაგალითათ, „ეროვნულ ავტონომიის“ მოთხოვნას. (ნახეთ ამაზე 905 წლ. გაზ. „ცნობის ფურცელის“ საპოლემიკო სტატიები ჟურ. „მოგზაურის“ წინააღმდეგ).

ქართველი ხალხის ინტერნაციონალური სულის კვეთება რევოლიუციასთან მებრძოლმა ადგილობრივმა მთავრობამაც მხედველობიდან გაუშვა პირველ ხანებში და მან ამიერ-კავკასიის ურთიერთ ეროვნულ ომში მისი ჩათრევაც მოინდომა.

აი რას სწერდენ დაბა სამტრედიიდან 1905 წელს 6 მარტს ჟურნალ „მოგზაურს“:

„ამ დღეებში სამტრედიიაში გავრცელდა ხმა, რომ ქართველები რუსებს უნდა დაეცან და ამოთელიტონო... ერთი სიტყვით ვიღაც თუ რაღაც მეორე ბატოს დღეებს“ ამაღლებდა, მაგრამ ხალხი თავის დროზე მიხვდა რაში იყო საქმე და დაამშვიდა შეშინებულები.“ (ნხ. „მოგზ. მე-8 №-რი გვ. 101).

905 წლის რევოლიუციის წინ პეტროგრადის მუშებს ბატოს მუშებმა დაასწრეს და 904 წლის 13 დეკემბერს ერთსულოვანი საერთო პოლიტიკური ვაფიცივა გამოაცხადეს, რის გავლენის ქვეშ საქართველოს რკინის გზის ლიანდაგზე მომუშავეები ჯერ ისევ 905 წლის იანვარის პირველ რიცხვებში (9 იანვარი-დე) ვაფიცივებს აცხადებენ და სამუშაოს ქირის მომატებას მოითხოვდენ.

მაგალითად: დ. სამტრედიიაში ილინის აბრეშუმის ძაფის საღებ ფაბრიკაში მომუშავე ქალებმა ჯერ ისევ 904 წლის დეკემბერის შუა რიცხვებში გამოაცხადეს ვაფიცივა, რის გამოც ეს ფაბრიკა მალე დაიხურა; მეორე: ფოთის რაიონში 905 წლის 3 იანვრიდან რკინის გზის ლიანდაგზე დღიურმა მუშებმა უარი თქვეს მუშაობაზე... რკინის გზის მთავრობამ ამ ამბის გამო განკარგულება მოახდინა ვაფიცივლი მუშების მაგიერ ოსმალები მოიწვიონ“.

როგორც სჩანს მთავრობას აქაც მოუხდომებია ქართველი მუშები ოსმალებს წააჩუბოს, მაგრამ აქაც იმედი გაცრუებია.

ამ ფაქტებიდან ისე, როგორც სხვა მრავალიდან, აშკარათ სჩანს, რომ ქართველ მუშებზე ორი მხრიდან ზღებოდა გავლენა. საერთო მუშათა მოძრაობის მხრიდან მუშათა საერთო და საბოლოო კლასობრივი ინტერესების დასაცვადათ და მთავრობის მხრიდან ეროვნული შუღლის ასატებათ, რომ მუშათა მოძრაობას პოლიტიკური და რევოლიუციონური ხასიათი დაჰკარგოდა.

როგორც ვიცით რუსეთის ბატოკრატია ასეთ პროვოკაციას 905 წლის რევოლიუციის თავიდან ასაშორებლათ მთელი იმპერიის სივრცეზე ატარებდა.

ამიერ-კავკასიის მთავრობამ ეს ტაქტიკა თათარ-სომეხთა ეროვნულ ურ-

თიერთობას შეუფარდა და მალე მიიღწია საწადელს. 905 წლის 6 თებერვალს დაიწყო ბაქოში თათარ-სომეხთა ელექტა, მოედო ერევანს, ვანჯას, ნახიჩევანს და სხვა... მუშათა მოძრაობის ხსენებაც გაქრა ამ ადგილებში და შეიქმნა „ბაქოს ამბები“.

ბევრი ქართველი მუშაც იმსხვერპლა ამ ეროვნულმა შინაურმა ომმა, მაგრამ მიუხედავად ამისა საქართველოს არც ერთ ადგილას ეროვნულ მძულვარების ნიადაგზე არც ერთი მკვლელობა არ მომხდარა.

საერთოთ კი 905 წლის იანვრიდან დაწყებული დღე არ გაივლიდა ისე, რომ ვინმე არ მოეკლათ განსაკუთრებით გურიაში, მაგრამ მოკლული ყოველთვის ხალხის რომელიმე მჩაგვრელი ბიუროკრატი, ან მემამულე, ან კიდევ აშკარა ჯაშუში აღმოჩნდებოდა ხოლმე და ისიც თითქმის ყოველთვის ეროვნებით არა ჯუჯო, არამედ ქართველი.

905 წლის ისტორიამ „ბაქოს ამბების“ შემდეგ იცის „გურიის ამბები“: პირველი აღმოცენდა ეროვნული მძულვარების, შუღლის და მტრობის ნიადაგზე, ხოლო მეორე მეფის თვითმპყრობელობისადმი, ბიუროკრატიული თვითნებობისადმი, მკვლეველ მემამულეებისა და შევახშებებისადმი, აგრეთვე მატყუარა სამღვდელეობისადმი მძულვარებით იყო ერთიანად ვალეენთილი.

სოციალ-დემოკრატიისთან ერთად სხვა რევოლუციონური პარტიებიც ამზადდებდნენ რუსეთში 905 წლის რევოლუციის ნიადაგს, მაგრამ, როგორც ვიცით, რუსეთის ცენტრის, პეტროგრადის მუშათა მასიურმა მოძრაობამ პირველ ხანებში გვერდი აუარა ამ რევოლუციონური პარტიების გეგმა-ტაქტიკას და თავისი ოპპორტუნისტული, „შამა მეფისადმი“ ხეყნა-მუდარის, „პეტიციის“ გზით წავიდა.

მან თავის წინამძღვრად არა რომელიმე ცნობილი სოციალ-დემოკრატი, ან სოციალისტ-რევოლუციონერი აირჩია, არამედ ოპოზიციონერი მღვდელი, გიორგი გაბონი.

პირველი რევოლუცია რუსეთში ამ მღვდლის ოპოზიციონური „გამოსვლით“ დაიწყო, რასაც 9 იანვრის „საშინელი ამბები“ მოჰყვა.

აი ამ „საშინელი ამბების“ პირდაპირი ზეგავლენით დაიწყო მთელს საქართველოში რევოლუციონური მოძრაობა სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელ-წინამძღოლობით და ამ მოძრაობის გული საქართველოს რომელიმე სამრეწველო ცენტრი კი არ იყო, არამედ წერილ-მწარმოებელი, გლეხური კუთხე, გურია, რომლის ცენტრი—ქალაქი დღესაც ნახევრად მიინც უფრო სოფელს წარმოადგენს, ვიდრე ქალაქს.

დაიწყო რევოლუციონური მოძრაობა და ისეთი მძლავრი, რომ პირველ დღეებშივე შეაფიქრინა ცენტრალური მთავრობა და მინისტრის—ვიტტეს განსაკუთრებული ყურადღებაც კი მიიქცია.

ადგილობრივმა კავკასიის მთავრობამაც, განსაკუთრებული ზომები მიიღო გურიის რევოლუციონური მოძრაობის ჩასაქრობათ: „მასთან მოსალაპარაკებლათ მთელს კავკასიაში ლიბერალიზმით და ჰუმანიზმით სახელგანთქმული მოხელე — სულთან — ყირიმ გირეი გაგზავნა.



საქართველოს
წიგნების კავშირი

თუ რა ხასიათის იყო გურიის რევოლუციონური მოძრაობა და როგორ არ ემზავებოდა მისი მოთხოვნების ბარათი გიორგი გაბონის მიერ შეფასადში წარდგენილ „პეტეციას“, ამას ყოველი ჩვენგანი ნათლად დაინახავს, თუ ეურნალ „მოგზაურის“ იმ დროინდელ კორესპონდენტებს გადახედავს (ნხ. ეურ. „მოგზაურის“ 905 წლის №7 და 8 №-რები).

„გურიის ამბებს“, რა თქმა უნდა, ნაციონალისტების მაშინდელი ორგანო ეურნალი „მოამბეც“ ებეზა. (905 წლის მარტის № 3).

აქ აღსანიშნავია, რომ დიდი გულის ტკივილით შენიშნავს „მოამბის“ მიმომხილველი, რომ გურიის ხალხის 15 მუხლისგან შემდგარ მოთხოვნათა შორის არც ერთს ეროვნული ხასიათი არ აქვს.

ბოლოს სასაოწარკვეთილებას მაინც არ ეძლევა და თავს შემდეგით იხსენიებს:

„გარდა ამისა ზოგიერთმა სოფლის საზოგადოებამ მოითხოვა დამალი და საშუალო სასწავლებელში ქართულად იყოს საგნების სწავლება... მოითხოვეს აგრეთვე ზოგიერთმა სოფლებმა სასამართლოში და საადმინისტრაციო დაწესებულებებში საქმის წარმოება ქართულს ენაზე“. (ნხ. ეურ. „მოამბის“ 1905 წლის (თებერვლის) 2 №-რი. „შინაური მომობილის გვ. 66.)

ეს „ზოგიერთი სოფლები“ ის ადგილები იყო, სადაც ჩვენი „სოციალისტ“ — ფედერალისტები „მუშაობდნენ“ და თავის ეროვნულ იდეებს აგრძელებდნენ. სადაც მათ რამდენიმეთ მცხოვრებლებზე „გავლენაც“ ჰქონდათ.

მაგრამ ხანოთოთ რუსეთის პირველი რევოლუცია საქართველოში კლასობრივი დროშით, კლასობრივი ლოზუნგით და კლასობრივი მოთხოვნებით დაიწყო და აქ არც ეროვნულ მოთხოვნას და არც რეფორმისტული იდეოლოგიებს (გაბონისებურს) არავითარი ადგილი არ ჰქონდა.

აი როგორი იყო იმ დროს ქართველი ხალხის რევოლუციონური სულის კვეთება.

აი რა უნდა გამოეხატა იმ დროინდელ მხატვრულს ქართულ მწერლობას, რომ მას თავისი ისტორიული დანიშნულება შეესრულებოდა და ქართველი ხალხის რევოლუციონური ენერგია ორგანიზაციულად იჭითკენ, იმ მიზნებისაკენ მიემართა, საითაც დიადი 905 წელი მიისწრაფოდა, ე. ი. ავითმპყრობელობის დამხობასა და პროლეტარიატის დიქტატურისაკენ.

II

ქართული მწერლობის ვითარება.

1905 წელს ჩვენი „მოესწრენ“ თითქმის ყველა ჩვენი 60-იან წლების დიდი მწერლები: ილია, აკაკი, ანტონ ფურცელაძე და სხვები. „მოესწრენ“ აგრეთვე შემდეგი თაობის მწერლებიც: შალვა დადიანი, დუტუ მერგელი, დავით კლდიაშვილი და სხვები.

მაგრამ მიუხედავად ამისა, 905 წლის გამოცემებში მათ ნაწერებს თითქმის ვერ შეხედებით. ნახავთ მხოლოდ ედვოშვილის, თომაშვილის, გოგოლაძის და

ვინმე ვ—ძის რამოდენიმე ლექსს, არ სჩანს არც ერთი მოთხრობა, არც ერთი დრამა.

მართალია რევოლუტია, როგორც ზემოთ ვთქვით, საერთოდ ჰქმნის ისეთ პირობებს, როცა საერთოდ „მუზა სდუმს“ და ხელოვანის შემოქმედების შესაძლებლობა ძალზე იზღუდება, მაგრამ ქართული მხატვრული მწერლობის ისეთ ნაირათ დაკნინება—დაღუბება, როგორც ეს ჩვენში მოხდა მარტო ამ საერთო მიზეზით არ აიხსნება. ამის მთავარი მიზეზი ჩვენ სხვაგან უნდა ვეძიოთ.

ქართული მწერლობის ხელახალი აღორძინება, „გავერობილება“ მეცხრამეტე საუკუნის 40-იან და 60-იან წლებში დაიწყო, როცა „ყრმათა აღრევას“ 60-იან წლების „დიდ რეფორმებს“ და „კაპიტალის დაგროვების“ პროცესს ქართველი ხალხის ცხოვრებაშიაც დიდი ადგილი მიეცა.

ასეთ ნიადაგზე შემუშავდა აღორძინებული ქართული მწერლობის ახალი იერი, ახალი ხასიათი და გეზი. **მაგრამ მისი ლეიტ-მოტივი მაინც ძველი დარჩა:** ეს ქართველი დიდი მკონის და იმავე დროის კავკასიის დიდი ბიუროკრატის გრიგოლ ორბელიანის მიერ მოცემული ლაზუნგი იყო:

**ჩვენი „ივერი“
აღდგეს ძლიერი
და დადგეს ერთად
სხვა ერთა შორის!“**

ეს აღორძინებული ახალი მწერლობა ეგრედწოდებული „ქართველი განათლებული საზოგადოების“ **მეორე თაობის მწერლობა** იყო.

პირველმა თაობამ, უშედეგო და უნაყოფო აჯანყება—შეთქმულობების ჩათუშვის შემდეგ „უღარდელ ქეიფობაში“ დალია სული და მეორე თაობას ზემოთ აღნიშნული მიზანი ანდერძით დაუტოვა.

მაგრა მეორე თაობის (ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი და სხვ.) პროგრამა-ტაქტიკა სხვა გვაოი იყო: ბანკი და ლოიალური ლიბერალიზმი—ეს იყო პროგრამა. რუსეთის მსხვილი ბიუროკრატის წინაშე მლიქვნელობა, მისი ზემოთ „ქართველურათ“ გამასპინძლება—ეს იყო მათი ტაქტიკა.

ეს ის დრო იყო, როცა რუსეთში „ყრმათა აღრევამ“ უკიდურეს წერტილს მიაღწია და რუს-ხელმწიფე, ალექსანდრე მეორე იძულებული გახდა რეფორმის ზნას დასდგომოდა.

ჩვენშიაც კი ამის გამო ახალგაზრდა ილია თავის კაბინეტში 1860 წელს თავისთვის სწერდა (ნ. ნ. გორდანის „ქართული პრესა“ გვ. 15-16): „მესმის, მესმის სანატრული **ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისაო!** ღმერთო! ეს ხმა ჩემს მამულშიც გამაგონეო!“...

ამნაირათ ქართველ მწერლებს ახალი თემა გაუჩნდათ: ეხლა მათ გლებთა მოძრაობისათვისაც უკრადლება უნდა მიექციათ და რადგან ამ მოძრაობას ჩვენში არც საყოთარი დამუშავებული იდეოლოგია და არც ორგანიზაცია არ ზააზნდა, ამიტომ მასზე წერაც და ზრუნვაც მაშინდელმა „ქართველმა განათლებულმა საზოგადოებამ“ იკისრა.

აი საიდან წარმოსდგა თითქმის ყველა ქართველი მწერლის დიდი და



გისაოცარი ლიბერალიზმი: გრიგოლ ორბელიანიც კი ერთ დროს, თუმცა იგი „ძველ თაობას“ (პირველ თაობას) ეკუთვნოდა, „მუშებზე“ სწერდა, ხოლო მეორე თავადი, რაზეღე ერისთავი ქართულ მწერლობაში ერთ უკეთეს „სახალხო მგოსნათ“ ითვლება.

ამნაირათ ქართულ მწერლობაში პირველ ლეიტ-მოტივს—„ივერიის აღდგენას“—მეორეც მივმართა: ეს იყო „მცირედი ძმის“ (გლეხის) აღდგენა.

„ივერიის“ და „მცირედი ძმის“ აღდგენა, აი რა დააწერა ქართულმა მწერლობამ თავის დროსაზე მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში.

მაგრამ ეს ლოზუნგი, როგორც ხედავთ შეურთებელი წინააღმდეგობას შეიცავს: „ივერიის“ აღდგენა ეს ბოლოს და ბოლოს ბატონყვამის აღდგენას ნიშნავს და ეროვნული ბრძოლის იდეას ატარებს, ხოლო „მცირედი ძმის“ აღდგენა, ეს მშრომელი ელემენტის ეკონომიური გამაგრებაა და სოციალური შინაარსს გულისხმობს, ე. ი. კაპიტალისტური დასაწყისის განმტკიცებას გვიქადის.

„ქართული განათლებული საზოგადოების“ მესამე თაობამ (არჩილ ჯორჯაძე, გრიგოლ რცხილაძე გიორგი ლასხიშვილი, საშსონ ფირცხალავა და სხვები) მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში ეს წინააღმდეგობა თითქო დასძლია და მოარიგა. მან „ივერიის“ აღდგენის საკითხი „ეროვნული ავტონომიით“ გადაქრა, ხოლო „მცირედი ძმის“ აღდგენის საკითხი ეროვნულ აღდგენას დაუკავშირებარა.

„გაუმარჯოს საქართველოს სახელმწიფოებრივ ავტონომიას, გაუმარჯოს საქართველოს მშრომელ ხალხსო, აი როგორი ლოზუნგით გამოვიდა მესამე თაობა 900-იან წლებში და ამ იდეით ერთიანათ გაივლინთა იმ დროინდელი ქართული მწერლობა.

მაგრამ თვით საქართველოს მშრომელი ხალხი ამ დროს სულ სხვა წყაროებიდან გამომდინარე იდეებით ივლინებოდა: არა მხატვრული მწერლობის გზითა და საშუალებით, არამედ სიტყვიერი და მწერლობითი პროპაგანდა-აგიტაციით. ეს იყო სოციალ-დემოკრატიული იდეები.

ამნაირათ 900-იან წლებში „ქართველი განათლებული საზოგადოება“, ე. ი. ინტელიგენცია და ქართველი მშრომელი ხალხი იდეოლოგიურ სფეროში ერთიმეორეს დაუპირდაპირდა:

პირველი რომ ძველების ლოზუნგს—„ივერიის“ აღდგენას იმეორებდა, მეორეს მაშინ ეს ლოზუნგი დავიწყებული ჰქონდა და საკუთარ ლოზუნგს—„ძირს თვითმპყრობელობა, ძირს თავადაზნაურობა, სამღვედელოება და ყველა მუქთა ხორეზიო“—გაიძახოდა.

აქედან ქართული მწერლობაც, როგორც ზემოთ ვთქვე, როგორც „ქართველი განათლებული საზოგადოების“ იდეოლოგიის გამომხატველი, ამ საზოგადოების ლოზუნგს ატარებდა თავის ნაწარმოებში და არა მშრომელი ხალხის.

მართალია მშრომელ ხალხსაც ჰყავდა მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ ათეულებში ჯერ ხელოსანი პოეტი, იოსებ დავითაშვილი, შემდეგ ევნატე ნი-

ქართული
ლიტერატურა

ნოშვილი—მაგრამ 900 წლებში ესენე უკვე აღარ იყვნენ, მათი „ჩანგი აღარ ტღერდა“ და სამწერლო ასპარეზი მხოლოდ „განათლებული საზოგადოების“ წარმომადგენელ მწერლებს დარჩენოდათ: დავით კლდიაშვილი, შალვა დადიანი, ვალერიან გუნია და სხვები.

მეორე მხრით სოციალდემოკრატიიდან ხელოვანი მწერლები ჯერ კიდევ არ გამოჩენილიყვნენ: ამისთვის ნიადაგი ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი და ასე ამ ნაირათ ქართულ მწერლობა იმ ხანაში ეროვნული იდეით განისაზღვრებოდა.

მართალია დღეს აკაკისებურ ამოცინებს—„თავშეხვეულს ვავექეცი, თა წითელამ დამიჭირა“...—აღარ თხზავდენ, მაგრამ სამაგიეროთ „ქართველო ხელი ხმალს იკარ, დროა მოდის გამარჯვებისა“-ო იმაზე ბევრს სწერდენ.

ერთი სიტყვით 900-იან წლებში ქართული მწერლობა ერთიანია, ეროვნულ იდეას შერჩა და რაცა ქართველმა ხალხმა 905 წელს კლასობრივი წითელი დროშა აღმართა, იგი ამაზე სახტით დარჩა: ვერ გავევო, თუ ხალხს რათ არ ესმის მისი ან მას თვითონ რათ არ ესმის ხალხის?!

დაღვა 905 წელი და მთელი საქართველო ერთიანათ რევოლუციონერობა მოძრაობამ მოიცვა: ყველგან გაფიცვები, „მიწების დატაცება“, ტერორისტული აქტები, დემონსტრაციები და შეიარაღებული შეტაკებები! ყველგან „მარსელიების“ გუგუნნი, არსად არავითარი ეროვნული: არც სიმღერა, არც მოთხოვნა!

ეს ისე მოულოდნელი და მიუღებელი იყო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ეროვნულ იდეით ნასაზრდოებ ქართველ მწერლებისათვის, რომ ქართველი ხალხის მუშათა კლასის იდეალებით გატაცების ვამო მხოლოთ ლა გაკვირვება დარჩენოდათ მათ.

III

905 წლის ქართული მხატვრული მწერლობა.

„ცეცხლის ხმები“ სქექდა, „დედამიწი ზანხარებდა!“ და ქართული პოეზია „საყვირის“ როლის შესრულებას უნდა შესდგომოდა.

გადავხედოთ იმ დროინდელ ჟურნალ-გაზეთებს და დავინახავთ, თუ როგორ შეასრულა მან ეს როლი.

იმ დროის პოეტი იროდიონ ევდოშვილი მიმართულებით ჯერ სოციალდემოკრატი გახდა, შემდეგ კი სოციალ-დემოკრატიის მიეკედლა.

მის მიერ მიმართულების ასეთი ცვლიც მაჩვენებელია მისი ინტელიგენტური რეცეის იმ დროინდელ ეროვნული და კლასობრივ პოზიციებ შორის.

905 წლის პირველი შეტევა საქართველოს მშრომელი ხალხის მხრივ იმდენათ ძლიერი იყო, რომ ამით პოეტი ერთიანათ გაიმსჯელა და თუმცა იმ დროს „სალდათობის“ ვამო მთავრობის ჯარში იყო გაწვეული და „ოფიცრის“ მუნდირში იყო გამოწყობილი, მაგრამ მაინც „გაბედა“ და მუშათა უბანში



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ნაძალადევი ერთ-ერთ პირველ მიტინგზე რევოლუციონერი სიტყვითაც გამოვიდა. იმავე დროს გახ. „ცნობის ფურცლიდან“ ჰეგეიანს აუწყა

„...იფეთქა აღმოსავლეთშიაც
წითელი დროშა გაშალა,
კლდეზე მიჯაჭვულ ამირანს
სხივები გადააყარა!“...

თუ რამდენათ ძლიერი იყო საქართველოში მუშათა მოძრაობა და რამდენათ საგულისხმიერო იყო მუშის ხმა, იმ ფაქტიდანაც ნათლად სჩანს, რომ ეს ხმა ზემოაღნიშნულ ეროვნულ იდეებით გაელენილ მწერლობაშიაც შეიჭრა და იქ თავისებურ მტკიცე და მკვეთრ კილოზე ძველის-ძველი რევოლუციონერი მუშის, დავით ნინოწმინდელის ლექსით გამოცხადდა.

„...მაგრამა ჩემი ურწმუნო
არ ეთანხმება გონება
და იმედს ჩემკენ მომავალს
არ უშვებს, წინ ელოდება...
მეძახის: ჯერედ შორსააო
რისიც აწი გაქვს იმედი
მსხვერპლია მისთვის საჭირო
და შრომა კაის წამხედი!
მეძახის: „კაცო არ დასცბრე,
ფარი არ დასდო ძირსაო,
ბრძოლა კვლავ გმართებს, უბრძოლოდ
ვერ მოიპოვებ ღზინსაო“...

ასე სწერდა მუშა ნინოწმინდელი ჯერ ისევ 905 წლის 17 თებერვალს, გახ. „ცნობის ფურცლის დამატებაში“ როცა რევოლუციას ჯერ კიდევ ფრთა არ გაეშალა და არაეინ იცოდა მეფის მთავრობა სანამდის დაიხვედა უკან და „17 ოქტომბრის ნანიფესტს“ გაიმეტებდა ხალხისთვის თუ არა...

მუშა ნინოწმინდელი ამას წინასწარ გრძნობს, მარა მებრძოლ ხალხს ლიბერალებივით „დაცბრომას“ კი არ ურჩევს, არამედ მტკიცეთ და დაჟინებით გაიძახის:

„...კაცო არ დასცბრე,
ფარი არ დასდო ძირსაო,
ბრძოლა კვლავ გმართებს“ და სხე...

რევოლუციის სტიქიური აბოზოჭრება იმდენათ ძლიერი იყო, რომ ეროვნული ბანაკის წარმოშიდგენელთაც ხმა ამოაღებინა და 905 წლის 10 აპრილს ლადო აზობაძის პირით შემდეგი გააცხადებია:

„... ჰქრება წყედიადში დრო უკულმართ ეამთსრბოლისა!
ახალ ცხოვრების სიოვ დაჰქირ, დაჰქროლე მედგრად.
თან წარგვიტავე, თან წარგვიღე ტალღავ ბრძოლისა!“

ბრძოლა კი საერთოთ, განსაკუთრებით კლასიური, რევოლუციონერი გააღმსებულ ბრძოლა, მთელი მშრომელი ხალხის ყველა ძალების დაქინვას შოით-

ქართული
ბიბლიოქოლი

ხოვდა იმ მომენტში მხოლოდ ერთ მ.ზნისთვის, სახელდობრ—თვითმპყრობელობის დისამოხობათ. სხვა საგანი, სხვა თემა, მაშასადამე, არც პოეზიისათვის არსებობდა.

და მართლაც: თუ წინათ ყველა ჟურნალ-გაზეთებში უმეტესად სიყვარულზე და ასეთ განყენებულ თემებზე, „სატრფოზე და მიჯნურობაზე“, „მოფარის ღამეებზე“ და სხვადასხვას ნახავდით, ეხლა მათი ჭკანებაც არა სჩანდა.

მხატვრული კრიტიკაც ივ. გომართლის პირით მხატვრულ მწერლებს ჟურნალ „მოგზაურიდან“ (№ 3 გვ. 43) მოუწოდებდა:—... „სიტყვა-კაზმული მწერლობა ეცდება დღევანდელი ცხოვრების დასურათებით ხალხს შეაგნებოს, თუ როგორია მისი ცხოვრება და როგორი უნდა იყოს... ამ გვარ მიზანს გარეშე დღეს ჩვენში სიტყვა-კაზმულ მწერლობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო“...

მაგრამ „ხალხის ცხოვრების დამსურათებელნი“ ეროვნულ ბანაკიდან ამ მომენტში ზემოთ აღწერილ გარემოების გამო დადუმებულნი იყვნენ, ხოლო რაც შეეხება სოციალ-დემოკრატიიდან გამოსულებს, მაგალითად „ეშმაკი“ და „თაჯუნას“, ისინი ცხოვრების „დასურათებას“ გვერდს უხვევდნენ და თავის მწვავე გესლიან იუმორს „ავტონომისტების“ წინააღმდეგ მიმართავდნენ ხოლმე; ასე რომ ს. დ. ჟურნ. „მოგზაური“-ს პოეზიაც და იუმორიც პოლიტიკის გამტარებელ ორგანოთ ხდებოდა.

ხოლოს რევოლიუციონერმა საქმემ ისიც მოითხოვა, რომ „ეშმაკი“ (ნესტორ კალანდაძე) ამ პოლიტიკურ იუმორსაც ჩამოშორებოდა და სულთან ყირიმ-გირეის გურიაში გაყოლოდა რომ, იქიდან საჭირო კორესპოდენციები მოუწოდებია ჟურნალისათვის.

ერთი სიტყვით ვინც კი ქართული მწერლობიდან ხმას იღებდა, ისიც თავისი ხმით მხოლოდ ბრძოლას საქმეს ემსახურებოდა; ყველაფერი რევოლიუციონერი-პოლიტიკური მიზნისაკენ იყო მიმართული.

აქედან ქართული მწერლობა, რამდენათაც ის იმ მომენტში შემოქმედების გუნებაზე იყო, იმდენათაც იგი მხოლოდ „რევოლიუციის საყვირის“ როლს ასრულებდა და მეტს არაფერს!

ესეც არ იყოს, რევოლიუცია თვით პოეზიას! განსახიერებელი მშენებრება!

დიდი სტიქიური მოვლენა—გრივალი, ქარიშხალი ან ზღვის ღელვა მხატვრის მიერ ისტორიულად ტილოზე გადატანილი, დახატული ისე ძლიერ ესთეტიურ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს, როგორც თვით ბუნებრივი ნამდვილი მოვლენა.

ასეა რევოლიუციის დროსაც: რევოლიუციის მკვრეტელი ნამდვილი რევოლიუციის ხილვით გაცილებით მეტ ესთეტიურ განცდას მიიღებს, ვიდრე მოთხრობილი ან დახატული რევოლიუციის მოსმენით.

რაც შეეხება თვით რევოლიუციონერ-მებრძოლს, ვინც ერთი შემოქმედებათაგანია თვით ამ რევოლიუციის, იგი მხატვარ-მწერლის მდგომარეობაში იმყოფება და ხელოვანის მზგავსათ თვითონვე განიცდის „შემოქმედების“ პროცე-



ქართველი
გამომცემლობა

სის მთელ იმ ნეტარებას, რასაც ყოველი ხელოვანი გრძნობს, როცა იგი ჰქმნის თავის ნაწარმოებს.

და თუ ეს ხელოვანი-მწერალი რევოლუციონერ-მებრძოლიც არის და ცხოვრებამ მას არჩევანი დაუყენა: ან მხატვრული შემოქმედება ან რევოლუციონერობაო, ცხადია, ის უკანასკნელს ირჩევს. ამით აიხსნება ის ამბავი, რომ ყველა რევოლუციებში რევოლუციონერი-ხელოვანი თავის საყვარელს ხელოვნებას ტოვებდა და ბრძოლის ველზე მიეშურებოდა.

სხვათა შორის ამითაც აიხსნება, თუ რევოლუციონერ ხანაში რატომ ისე მცირეა ხელოვანთა რიცხვი და რატომ ისე მწირია მათი შემოქმედება.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ, რევოლუცია თავის მიზნებისათვის უხვად არ სარგებლობს ხელოვნებით: ის მარჯვეთ იყენებს ყოველივე იმას, რაც უკვე შექმნილია ხელოვნების სფეროში და რევოლუციის ორგანიზაციულ ძალად გამხდარა. ასეთია მაგალითად, რევოლუციონერი ხასიათის მუსიკა, სიმღერა, ლექსი და სხვა...

905 წლის რევოლუციისათვის ყველა ორატორებს ერთად იმდენი საშაბური არ გაუწევიათ, როგორც მას, მაგალითად, „მარსელიეზის“ ჰანგმა გაუწია.

905 წელმა თავისი საკუთარი, დროებითი პოეზიაც შეტანა, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ.

რევოლუციონერი ხალხი მაშინდელი ისედაც მწირი და ზმირათ მიღწედილი მწერლობით არ ემაყოფილებოდა. მისი წრიდან გამოსული მელექსეები თვითონვე ჰქმნიდნენ რევოლუციონერ ზაირებს, სიმღერებს და ყოველივე ეს ხალხში მსწრაფლ ვრცელდებოდა.

მაგონდება ერთი ასეთი ზაირთავანი, რომელიც იმ დროს ძველმა მუშამ სოციალ-დემოკრატმა, ილიკო კობალეიშვილმა სახელდახელოთ შეადგინა და სამტრედიის რაიონში გაავრცელა.

აი ერთი ადგილი ამ ლექსიდან:

„...მკვირცხლ გურულთა მაგალითებს
სხვა მხარემაც მიჰყო ხელი:
მით რომ ყველას კისრათ აწვა
მძიმე ტვირთი და უღელი.
მიხედენ კიდევ შეერთებით
გაკეთდება ყველაფერი!
და გაისმა ყველგან ეს ხმა:
„გაუმარჯოს მშრომელ ხალხსო,
ძირს თავადი, აზნაური:
წოდებები ჩვენ არ გეწამსო!
ქრისტეს ჯვრით რომ ტყავს ვეძრობენ:
მღყდელნი—ფულით. მოსყიდულნი,
ძირს ისინიც, ძირს სუყველა!“

გაგვატყავს და „შეგვეკამეს
 გაისქელეს ჯიბე — ქისა!...“

905 წლის სარევოლიუციო პროკლამაციებიც არ იყო თავისებურ მხატვრობას მოკლებული: ზოგი მისი ადგილები მხატვრულ შთაბეჭდილებას ახდენდნენ მასსებზე და მით ერთი ვრძნობითა და აზრით ამ მასსებს აერთიანებდნენ, უძლეველ ძალათ ჰქმნიდნენ. აი, მაგალითად, როგორ იწყება ერთი იმ დროინდელი პროკლამაციათაგანი, რომლის ფურცლები იმ დროს საქართველოში ასი ათასობით ვრცელდებოდა:

„რევოლიუცია გრგვინავს! რუსეთის რევოლიციონური ხალხი ყალყზე შედგა და საიერიშით შემოგორცა მეფის მთავრობას! ფრიალბენ წითელ დროშები, შენდება ბარიადები, იარაღს იხსამს ხალხი, იერიშით მიდის სახელმწიფო დაწესებულებებზე, კიდევ გაისმა ვაგაკაცთა ყვირია, კიდევ ამღერდა მიყუჩებული ცხოვერება... რევოლიუციის გემმა იალქანი აუშვა და თავისუფლებისაკენ გაემართა!...“

905 წელი როგორც რუსეთში, ცხადია, ჩვენშიც საშინელი მარცხით დასრულდა: თვითმპყრობელურმა მთავრობამ მშრომელ ხალხის სისხლში ჩაახრჩო რევოლიუციონური მოძრაობა.

ამ დამარცხებამ შიშის ზარით შეიპყრო მასსები, მაგრამ რევოლიუციონური მებრძოლი ნაწილები ჩვენში კვლავ ბრძოლის განაგრძობდნენ.

საჭირო იყო მწერლობის მხრიდანაც შეშინებული მასსების გამხმევება და მებრძოლთადმი მათი თანაგრძნობის გამოწვევა.

და, აი, იმ დროის გაზეთებიდან ისმის პოეტ ნარკანის „ამაყი სულიდან“ ასეთი მიმართვა:

„... რას განაბულხართ, რას ჩამძვრალხართ მშიშარა კანში? სიციოცხლე გწყურიათ? შეიყვარეთ იგი, ვით ზღვის ყვავილს ჟეჟერს ტალღის ქანაობა, ვით ნიავს ღვთაებრივი ნაჟარდი, ვით მთისა ჩანჩქერს თავისუფლების სიმღერა! თავისუფლება გენატრებათ? — იბრძოლეთ ნარად! ამართული ხელები ძირს რათ დაგიშვიათ? ფეხქვეშ გაიგდეთ ძალმომრეობა!... ორგულთა ტანტი სახრჩობელაზე აიტანეთ! მაშინ იქნებით თავისუფალი, ამაყი, საბიერი, მხოლოთ მაშინ!“

ამა მომყვით, ვისაც სიციოცხლე გაყვარს!“

ასეთი მოწოდებები დაშინებულ ხალხისადმი და სხვა პრაგატიკ იყო მებრძოლი სოციალ-დემოკრატიის მხრიდანაც დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ, ვიდრე 1907 წლამდე.

მაგრამ ბოლოს მაინც ბრძოლის შეწყვეტა, შეჩერება და უკან დახვევა გადაწყდა მებრძოლთა შტაბში, სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ კომიტეტში ბალშევიკთა ფრაქცია ისევ იატაკ ქვეშ მიიმალა თავისი ლაშქრითა და იარაღით, ხოლო „ლეგალურ შესაძლებლობის“ გამოყენება მტკიცეთ გადაწყვიტა და ვითომ ისიც მშვიდობიან მუშაობას შეუდგა.

აი, ამასზე, იწინასწარმეტყველა ჩვენმა პოეტმა, იროდიონ ცედოშვილმა,



ჯერ ისევ 906 წლის მარტში, როცა თავის ლექსში — „მოუწვეველ სტუმარს“ — შემდეგი სიტყვა:

„... გონიერ მებრძოლს იხსნის სიჩუმე,
 და როცა გმირი განგებ მშვიდდება,
 მის გულში ცეცხლი ენთება თურმე,
 და უფრო მძლავრად აპრიადდება“.

და მართლაც! 905 წლის „გონიერი მებრძოლი“ სამრეწველო პროლეტარიატი და მისი პარტიის, სოციალ-დემოკრატიის ბალშევიკური ფრაქცია დროზე „ჩაჩუმებამ“ იხსნა 1906—7 წლებში; „განგებ დამშვიდებამ“ მისცა მას შემდეგ წლებში ყველა ლეგალური შესაძლებლობის რევოლუციონერთათ გამოყენების საშუალება; და 917 წელში ყველასთვის აშკარა შეიქნა, რომ ამ გმირთა—გმირის „გულში ცეცხლი ენთო თურმე“, რომელიც ამავე წლის ოქტომბრის დღეებში „უფრო მძლავრად აპრიადდა“ და რამაც რუსეთის თვითმპყრობელობა ბურჟუაზიითურთ ერთიანათ გადაბუფა!

დეკაბრისტები.

(1825—1925)

მას შემდეგ ასმა წელმა განვლო. კაცობრიობამ მთელი ეპოქა გაიარა. ახალ თაობათ ეს ამბავი თითქოს არც აინტერესებთ, რადგან დაკარგულ მარცვალს არაეინ დაეძებს მას შემდეგ, რაც იმავე ადგილას ნაყოფი გამოჩნდება. 100 წლის წინად მომხდარი ამბავი არც იმდენად უმნიშვნელოა, არამედ ის, როგორც სამართლიანად შენიშნა **პლენანოვმა** „შთამომავლობის სრული ყურადღების ღირსია“.

„ზარბაზნების გრიალმა სენატის მოედანზე გააღვიმა მთელი თაობა“—სწერდა დეკაბრისტების შესახებ გერცენი. რა იყო მიზეზი სენატის მოედნის ტრადიციის, ვინ იყვნენ ამ ტრადიციის მომქმედნი პირნი, რას მოითხოვდნენ ისინი და შესძლეს თუ არა მათ თავის მისწრაფების განხორციელება? ჭკემოთ ჩვენ შევეცდებით გავცეთ ამ საკითხზე პასუხი.

„რევოლუტია გამარჯვებული ჯანყია, ხოლო ჯანყი დამარცხებული რევოლუტია“—ო. ასე შეაფასა ანხ. **ლენინმა** 1905 წ. (9 იანვრის) ამბები. რა მოხდა სენატის მოედანზე 100 წლის წინათ: ჯანყი თუ რევოლუტია?—აი, პირველი საკითხი, რომელზედაც უნდა უპასუხოთ. 1825 წლის 14 დეკემბერი არ იყო რევოლუტია, ის უფრო ჯანყი იყო. მყისვე დამარცხებული, განადგურებული, მაგრამ არა უშედეგო, არა უაზრო,—არამედ მეტად გაბედული ცდა იმისი, რაც მხოლოდ რამოდენიმე ათეული წლების შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც მხოლოდ მომავალმა, მაგრამ სულ სხვა თაობამ, შეასრულა. დეკაბრისტები, 14 დეკემბრის გამირები ანუ ბურჟუაზიული ლიბერალიზმის „მოადგილენი“—როგორც მათ უწოდებს ტროცკი,—არ იყვნენ სოციალისტები, მათი უმრავლესობა არც დემოკრატი იყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, „ჩვენ მზათ ვართ მოწიწებით თავი დავხაროთ, ბურჟუაზიულ რევოლუტციონერთა ამ უფრო ადრინდელ თაობის წინაშეც, რომელიც თავის დროს ებრძოდა მეფის რეჟიმს. ეს ხაოზი, რომელიც მართლაც ნაღები იყო არისტოკრატიის, თავად-აზნაურობის და ოფიცრობისა,—სცილდებოდა თავის კლასს, ხმაღს იღებდა თავის ოჯახზე, ზურგს აქცევდა თავის პრივილეგიებს და თვითმპყრობელობას ბრძოლას უტახდებდა. მათ არ ჰქონდათ სოციალისტური პროგრამა, ისინი მხოლოდ ბურჟუა-



ზიუღი რევოლუციონერები იყვნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ თაობა მაინც არ ამბობს უარს მათ მიმკვიდრეობაზე. პირიქით ჩვენ ვამბობთ, რომ მათი მოქმედება სახელოვანი წარსულია და თავ-დაბლა ვესალმებით რევოლუციონერ ნაროდნიკების პირველ წარმომადგენელთ, რომელნიც ბალხისთვის თავსა სწირავენ იმ დროს, როცა მუშათა კლასი მხოლოდ ისახებოდა, როდესაც არ იყო პროლეტარიატი და არც შეიძლება ყოფილიყო კლასიური პროლეტარული პარტია.“ (ზინოვიევი).

დეკაბრისტები არ იყვნენ არც მეშები, არც გლეხები და არც ვაჭარ-მრეწველნი, არამედ რუსეთის მაშინდელი „მაღალი“ საზოგადოების, უმეტესად დიდ შემამულე თავად-აზნაურობის და სამხედრო არისტოკრატის წილიდან გამოსული პირები, დეკაბრიზმი ამიტომ არ იყო ბალხური მოძრაობა, არამედ ის იყო საზოგადოების ძლიერ განსაზღვრულ ნაწილის გამოაშკარებული უკმაყოფილება ჯანყის სახით, მიმართული მაშინდელი რუსეთის ეკონომიური სტრუქტურისა და თვითნებური აბსოლიუტიზმის წინააღმდეგ.

მისთვის რომ ნათელი გახდეს დეკაბრიზმის ნამდვილი ბუნება, რომ არ მოგვეჩვენოს იგი მაღალი წოდების რაიმე პოლიტიკურ ინტრიგათ, საჭიროა აღვნიშნოთ ამ მოძრაობის საფუძვლები. ამისათვის კი აუცილებელია შევხებით რუსეთის მე-XIX საუკუნის პირველი მეოთხედის სამეურნეო ურთიერთობას, რომელმაც წარმოართა იმ დროინდელი საზოგადოებრივი აზრი. დეკაბრიზმი მე-XIX საუკუნის პირველ მეოთხედის საზოგადოებრივი აზროვნება და მისი განხილვა რუსეთის მაშინდელ სამეურნეო რევოლუციისაგან დაცილებით შეუძლებელია, რადგან „საზოგადოებრივი აზროვნების მსვლელობა განისაზღვრება საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობით.“ (პლენანოვი).

მე XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთში გამეფებული იყო ბატონყმური მეურნეობა, იქ სამრეწველო კაპიტალიზმი ჯერ კიდევ სუსტი იყო მეურნეობაში, ფეოდალური ელემენტები სპარბობდნენ, სავაჭრო-სამრეწველო კლასი მცირე რიცხოვანი იყო, რუსეთი არ შედიოდა მსოფლიო მეურნეობის რთულ სისტემაში, სამეურნეო ცხოვრების რეკლამენტაცია სახელმწიფოს შეუზღუდელობას წარმოადგენდა. ამის შედეგობადა სითანადო პოლიტიკური იდეოლოგია—აბსოლიუტიზმი, რომელიც სტაბილურად უმთავრესად საზოგადოების მშრომელ კლასებს, ის ხელს უწყობდა საბაზო მეურნეობის ინერტიულობას, მკაცრი პოლიტიკური რეჟიმი ახშობდა ყოველგვარ ლიბერალიზმს. აბსოლიუტიზმი ეყრდნობოდა ბატონყმურ მეურნეობას და ამიტომ მედგრად იცავდა ფეოდალურ კლასს, სამრეწველო კლასი ჯერ კიდევ შორს იყო სახელმწიფოებრივ საქმეებისაგან. 1804 წ. რუსეთში იყო სულ 2. 423 საფაბრიკო დაწესებულება 95. 202 მუშით. სავაჭრო კაპიტალი უფრო სწრაფად იზრდებოდა, მაგრამ მისი ხვედრითი წონაც ფეოდალურ სამეურნეო სტიქიაში უნდა შენელო იყო.

ასეთ დროს ავიდა ტახტზე ალექსანდრე პირველი. სანამ ტახტზე ავიდოდა, ალექსანდრე პირდებოდა ბალხს რესპუბლიკას, აუცილებელ საქიროებათ სცნობდა ქვეყნის საუფლებლიან გარდაქმნას,—ბატონყმობის მოსპობას, საბალხო წარმომადგენლობას, მართვა-გამგეობის გაუმჯობესებას და სამეურნეო და-

ლების თავისუფალ განვითარებას. მაგრამ სამწუხაროდ სინამდვილეში წინააღმდეგი ვახდა. ალექსანდრე პირველმა უფრო მეტად ვაამაგრა აბსოლიუტიზმი. მთელი თავისი მეფობის განმავლობაში ლიბერალური საჩუქრების მოლოდინით ასაზრდოვია ხალხი, მთელი მისი მოღვაწეობა სახელმწიფოებრივ წყობილების გარდაქმნის დარგში არ გასცილებია კონსტიტუციონალურ გეგმებს, რომელთაც მუდმივად აღგენდენ, მაგრამ რომელიმე განუწყვეტლივ ჰქრებოდენ სამეფო კანცელარიაში. კონსტიტუციონალიზმის და ლიბერალიზმის გაზაფხულის მაგვრად, ალექსანდრეს გამეფებამ გამოიწვია მწვევე რეაქციონური ზამთარი, რადგან სახალხო წარმომადგენლობის ნაცვლად რუსეთის ბედ-იღბალი არქი-რეაქციონურ არაქრევეს გადაეცა. სახელმწიფო, მეფე, „კონსტიტუცია“ და „რესპუბლიკა“ არაქრევე იყო, ამ სახელიან არის დეკაბრისტული მე-XIX საუკუნის პირველი ნახევრის უსაზღვრო რეაქცია, თავისუფალი აზრის სასტიკი დევნა, პოლიტიკური რეჟიმის გაღრმავება და საზოგადოების მშრომელი კლასებისათვის აუტანელი სამხედრო ტვირთის დაკისრება. მაგრამ სწორედ საზოგადოებრივი ცხოვრების ამგვარად დაცემის დროს ძლიერდება საზოგადოებრივი აზრის აქტიობა, იზრდება ლიბერალიზმიც ფართოდება „ფრანკო-მასონობა“ და ოცნება რუსეთის მშვიდობიანი გარდაქმნის შესახებ, რაიც ნათლად გამოსკვივის პუშკინის შემდეგ სტრაიკონებიდან:

„Увижу ль я, друзья, народ не угнетенный
И рабство, надшее по манью царя“...

პეტრე დიდმა ჩამორჩენილი რუსეთის დახვედრული საზოგადოებრივი აზრი დაუახლოვა დაწინაურებულ დასავლეთის ცივილიზაციას. პეტრე დიდის შემდეგ ჩვეულებათ იქცა რაც შეიძლება მეტ ახალგაზრდათა ვაგზავნა საზღვარგარეთ განათლების შესაძენათ. ამ ახალგაზრდათა უმრავლესობა სულ სხვა მსოფლმხედველობით გამსჭვალული ბრუნდებოდა სამშობლოში, ვინემ ის იყო გამგზავრებისას. მაშინ, როდესაც კრძოთ მეთვრამეტე საუკუნეში რუსეთში გონებრივი დესპოტიზმი, და პოლიტიკური თვითნებობა მეფობდა, — დასავლეთში სრულებით ახალი ცხოვრება იწყებოდა, ადამიანის სრულყოფილებიანობის, აზრის თავისუფლებისა. პოლიტიკური ემანსიპაციის იდეები უხვად იზნეოდენ. ეს იდეები უცქველად დიდ გავლენას ახდენდენ რუსეთის ფეოდალურ ინტელიგენციაზეც, რომელიც ევროპული განათლების მისაღებად იგზავნებოდა უმთავრესად გერმანიასა და საფრანგეთში. ამ ფეოდალურ ინტელიგენციიდან გამოდიოდენ განმთავისუფლებელი იდეების ცნობილი მქადაგებლები, რომელნიც სამშობლოში დაბრუნებისას დასტროოდენ რუსეთის ბედკრულ მდგომარეობას და იღვწოდენ მის გარდაქმნისათვის. „ასეთი ხალხი — ამბობს პლუხანოვი — გეხვდება ჩვენ თვით მეთვრამეტე საუკუნეში, რომელთაც ესმით რუსეთის მაშინდელი მდგომარეობა და ყოველ ძალღონეს მიმართავენ რუსეთის ხალხის განთავისუფლებისათვის. ესენი იყენენ იდეოლოგიები, — რომელნიც („კომუნისტური მანიფესტი“-ს სიტყვებით, რომ ესთქვათ) ამაღლდენ ისტორიული მოძრაობის მსვლელობის თეორეტიულ ვაგებამდე. იმათ სძაგდათ ბატონეობა და ისწრაფოდენ სამოქალაქო თავისუფლებისაკენ. მაგრამ ამასთანავე მათ კარგათ ესმოდათ, რომ სამოქალაქო თავის-



ქართული
 ენციკლოპედია

უფლება შეუძლებელია იქ, სადაც არ არის საზღვარი მეფის თვითნებობისთვის. მეთვრამეტე საუკუნის განანთავისუფლებულ მისწრაფებათა აშკარა მატარებელი იყო უეჭველად, რადიშჩევი. ის უწოდებს მებატონეებს **შეუბრალებელ მხეცებს და გაუმაძღარ წურბელებს**. რადიშჩევს სძაგდა როგორც ბატონყმობა, ისე მეფის ძალაუფლებაც^{*)}.

რადიშჩევის სახით რუსეთის მოწინავე პროგრესიულად მოახროვენ საზოგადოება ლაპარაკობს, ეს საზოგადოება იგივე ფეოდალურია, გაბატონებული, პრივილეგიური, მაგრამ სინამდვილის მიმდევარი, განანთავისუფლებული იდეების მქადაგებელი, ბატონყმობის ისტორიული დრომოკმულობის, საზოგადოებრივ კეთილდღეობასთან მისი შეუთანხმებლობის მალიარებელი.

ერთ თავის ლექსში რადიშჩევი გადაჭრით ამბობს რევოლუციის აუცილებლობაზე:

„Встанет рать повсюду бранна,
 Надежда всех вооружит,
 В крови мучителя венчанна
 Обмыт свой стыд уж всяк снешит.
 Меч остр, я зрю, везде сверкает,
 В различных видах смерть летает
 Над гордой головой царя.
 — Дикуйте, склепанны народы,
 Се право ищенье природы
 На плаху возвело царя!“

ამ იდეებს მეტი ვასაელი ჰქონდა მე-XIX საუკუნის პირველ მეოთხედში. ეს იდეები მაშინდელ ფეოდალურ ინტელიგენციის ფართე მასებშიც შეიჭრენ და თავის მომხრეები სამხედრო არისტოკრატიაშიც იპოვეს. ეხლა უკვე თითოეული უკმაყოფილო ინტელიგენტი არ დასტირის მარტო რუსეთის ხალხის გოდვას, არ კმაყოფილდება მარტო აღშფოთების გამოთქმით სამარჯბენო ბატონყმობის და თვითნებური ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ ის საზოგადოების განსაზღვრული ნაწილის, (თუ კლასის და წოდების არა) ყოველ შემთხვევაში განსაზღვრული ჯგუფის, ფენის იდეოლოგიით ხდება, რომელიც ამ იდეის რეალიზაციას მოითხოვს არა მასონური ჰუმანიზმით, არა მშვიდობიანი საშუალებით, არამედ რევოლუციონური ბრძოლის ყველაზე მკაცრ და საიმედო საშუალებებით—შეიარაღებული გამოსვლით. ასეთი იყვნენ დეკარისტები, მათი მოღვაწეობა იწყება 1816 წლიდან, როდესაც პირველად მასონურ ლოცებში გაერთიანებული თავად-აზნაურული ინტელიგენცია, მოწინავე ოფიცრობა იმჰვალება რადიკალური პოლიტიკური მიზნებით და აარსებს ფართულ პოლიტიკურ საზოგადოებებს, რადგან მათი აზრით მასონური „შობა“, „მორალი“ „კეთილ მოქმედება“ უძლურია ცხოვრების კანონების წინააღმდეგ.

*) იხ. პლებანოვი „14 декабря 1825 г.“ გვ. 8, 9.

რუსეთის საზოგადოებრივმა აზრმა ალექსანდრე I ბატონიშვილს 10—15 წელიწადში განიცადა მნიშვნელოვანი ევოლუცია უფრო ლიბერალიზმიდან პოლიტიკურ რადიკალიზმისაკენ, რადგან ალექსანდრეს მეფობის მეოთხეტი გამოწვეულმა საზოგადოებრივმა ვითარებამ აამოძრავა მოწინავე საზოგადოებრივი აზრი, ჩვენ ხაზს უსვამთ ამ მოწინავე საზოგადოებრივ აზრს, სხვა აზრი არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო ჩამოყალიბებული მასზე, რადგან არ არსებობდა მუშათა კლასი, არ არსებობდა პროლეტარული მასა. მაგრამ მეორე მხრივ არც დეკარისტები, იყვნენ განსაზღვრული, მტკიცედ გარკვეული კლასის ან წოდების ინტერესების დამცველნი. „საერთოდ—ლაპარაკობს ტროცკი თავის „ლიტერატურა და რევოლუციის“ სიმართლეა იმის თქმა, რომ დეკარისტების მოძრაობა არ იყო წოდებრივ-კლასობრივი. რატომ? სწორედ იმიტომ, რომ დეკარისტები სკდილობდნენ რა არ არსებულ მომწიფებულ კლასების მაგიერობის ვაწევას,—ისინი ამით ბურჟუაზიულ ლიბერალიზმის მაგიერობას სწევდნენ, მათ მოადგილეობდნენ. ასეთი მოადგილეობა არ არსებულ ან სუსტად განვითარებულ კლასების, რომელიც ნიღაბს აფარებს ინტელიგენციის სოციალურ სისუსტეს, იტყევა მის იდეურ მოთხოვნებზე და აგრეთვე პოლიტიკურ პროფესიას. ჯერ არისტოკრატიული ინტელიგენცია „ბროზის“ მოადგილეობს, შემდეგ რაზნოჩინელი ხალხოსანი გლეხობის ადგილს იტყვას, დაბოლოს ინტელიგენტი მარქსიტი—პროლეტარიატს მოადგილეობს და, ამნაირად, მხოლოდ თანდათანობით სულს ესხმება ხორცი“.

ეს „მოადგილეობა“ დეკარისტების პოზიციისაში, რომლის დროს მოქმედნი პირნი ლაპარაკობენ არა იმას, რასაც მათ უკარნახებს კლასიური ინსტიტუტი, მათი საკუთარი კლასიური ინტერესი, არამედ იმას, რაიც გამოდის იდეოლოგიისაგან, ჭეშმარიტების და სამართლიანობის თეორეტიულ ზრახვებისაგან,—არ შეიძლება ყოფილიყო სავსებით თანამიმდევარი, არ შეიძლება ყოფილიყო თვით საფუძელიანი*.

ამგვარად დეკარისტებში არ არის არც ზეწოდებრივი ზეკლასიური, იდეალისტური მოძრაობა. დეკარისტებში,—როგორც ტროცკი ლაპარაკობს,—არ არსებულ, მოუმწიფებელი ანუ ჩამოუყალიბებელი, კლასის მიმდინარეობაა, ის განიცდის ცოტათ თუ ბევრად რუსეთის მთელი საზოგადოების მისწრაფების ვაფლენას, მაგრამ ამავე დროს მაინც უახლოვდება „უფრო მეტად“ იმ კლასის, წოდების მიზანს—საიდანაც გამოსულია მისი ხელმძღვანელთა უმრავლესობა. ეს წოდება—თავადანაურობაა, ეს კლასია—ფეოდალური მიწადმფლობელი. დეკარისტები მთლიანად ამ კლასს ეკუთვნიან, ამ წოდების შეიღებში არიან. ხოლო, როგორც აღნიშნავს პლენანოვი, „წოდებრივ შეხედულებებზე და წოდებრივ ინტერესებზე ამაღლებულნი“ და იმ გზების მაძიებელი, რომელთაც უმტკივნელოდ უნდა გამოიყვანონ დეკარისტების წოდება განვითარების ახალ გზაზე, მაგრამ, რადგან ეს შეუძლებელია არსებულ პირობებში ისე, თუ არ დაეძხო თვითმპყრობელობა, თუ არ შეირყა ფეოდალური წოდების ძველი ეკონომიური საფუძველი, თუ ეს „განათავისუფლება“ არ შეეხო. სხვა საზოგადოებრივ ფე-

* იხ. И. Подтав-кай „Геронтическое в русской революции“ ტ. I. გვ. 74.



ნებსაც. ამიტომ „თავისთავად“ დეკაბრისტების პროგრამა გულსხმობს გლეხობის და საფაქრო-სამრეწველო ჯგუფების ინტერესებსაც.

მე-XIX ს. უკუენის პირველ მეოთხედში ე. ი. იმ ხანაში, რომელსაც მიეკუთვნება დეკაბრისტების მოღვაწეობა, საგრძნობლად ირყევა თვითმყრობელ—ფეოდალურ წყობილების საფუძველი. ეს გამოიწვია სამრეწველო და სამიწადმოქმედო კაპიტალიზმის განვითარებამ. როგორც მრეწველობა, ისე ხასოფლო-მეურნეობა ძლიერ ნელა ვითარდებოდა, რადგან მთელი მეურნეობა შეზღუდული იყო აბსოლუტური პოლიტიკური ბრემით და, რაც მთავარია, ბატონყმური ურთიერთობით. მე-XIX საუკუნის პირველ ათეულ წელში რუსეთის მეურნეობა უკავშირდება მსოფლიო ბაზარს, ის წედის მსოფლიოსამეურნეო სისტემაში. ეს ურთიერთობა მყარდება ამ პერიოდში გაძლიერებულ პურის ექსპორტის გამო. ინგლისი უკვე სამრეწველო ქვეყანაა, იქ პურეულის კულტურას მნიშვნელობა ეკარგება და ამიტომ ინგლისი საჭიროებს პურს სხვა ქვეყნებიდან, ხდება პურეულის მნიშვნელოვანი იმპორტიორი, პურის უნთავრესი მიმწოდებელი კი რუსეთი გამოდის არა მარტო ინგლისისთვის, არამედ მთელი ინდუსტრიალურ ევროპისათვის. მიწადმფლობელი კლასი (მ. ბატონენი) პურს ჯველაზე რენტაბელურ საქონლად თვლიან, მხოლოდ ამისთვის საჭიროა სასოფლო მეურნეობის პროდუქციის ზრდა, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, შრომის რაციონალური გამოყენება. ფეოდალური გლეხური მეურნეობა ამას ვერ შესძლებს, რადგან იძულებითი შრომა („ბარშინა“) ნაკლებად ინტენსიურია, ის აღარ წარმოადგენს ეხლა თავად-აზნაურულ წოდების უზრაველესობისთვის კეთილდღეობის საფუძველს, საჭირო ხდება თავისუფალი შრომა, ხოლო მანამდე ფულადი და ნატურალური ბეგარის („ობროკის“) შეცვლა „ბარშინით“. აქედან წარმოიშვა ორი მიზნინარეობა წმინდა ეკონომიურ საფუძველზე რუსეთის თავად-აზნაურობაში: ერთი მომხრეა თავისუფალი შრომის დაუყონებლივი შემოღების, რომელიც გახდება სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის საფუძველი და ეს გამოიწვევს ბატონ-ყმობის მოსპობას—გლებთა განთავისუფლებას, ხოლო მეორე, რომელიც სკეპტიკურად უყურებს მოსალოდნელ რევოლიუციის სოფლის მეურნეობაში, პრივილეგიური პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის დაკარგვის წინაშე წინააღმდეგია ბატონ-ყმობის მოსპობის, გლებთა განთავისუფლების, მოითხოვს ავტარულ მეურნეობის შექმნას, მაგრამ არა თავისუფალი შრომის საფუძველზე, არამედ „ბარშინაზე“, „ობროკი“-ს სრული გაუქმებით ან მინიმუმამდე დაყვანით, ამის შესაფერისათ ყალიბდება თავად-აზნაურული კლასის განსხვავებული იდეოლოგია: ერთი უფრო რადიკალურია, მოითხოვს არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიურ სტრუქტურის ძირითად ცვლილებას, მეორე ზომიერია—შეკვეცილი, ლიბერალური, რომელიც ნაწილობრივი რეფორმების მომხრეა როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ სფეროში. მასასადავმ მათიანობა, აზრთა ერთგვარობა ფეოდალურ კლასში არ არსებობს.

შედარებით, განსხვავებულ მდგომარეობაში ვითარდებოდა სამრეწველო კაპიტალიზმი. ისე, როგორც ევროპაში, რუსეთშიც ის ვითარდება უმთავრესად

საქართველო

საშინაო მრეწველობის სახით, კუსტარული წარმოება ხელსაყრელია თავისუფალ გლეხებისთვის, რომელნიც ჰყდიან რა თავის ნაწარმოებს ვაჭარზე, სწრაფად მდიდრდებიან და იქცევიან პატარა კაპიტალისტებათ. კუსტარული მეურნეობა ფეხს იკიდებს ბატონ-ყმურ გლეხებშიც. მრავალი რუსი ფაბრიკანტი სწორედ გლეხებიდან გამოვიდა. (ასე მაგ. ცნობილი საეა შოროზოვი ყოფილი ყმა-გლეხი იყო, რომელმაც ფულთი დაიხსნა თავი მებატონისაგან). რუსეთის მსოფლიო სამეურნეო სისტემაში შესვლის გამო, მსოფლიო გაცვლა-გამოცვლაში ძლიერდება საგარეო ვაჭრობა სხვადასხვა ნედლეულობით, რომლის მეოხებით რუსეთის წვრილი ვაჭრები მოკლე ხანში დიდი კაპიტალის პატრონები გახდნენ და მსხვილ კაპიტალისტებათ იქცნენ. ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი გამრავლდა, მუშა ხელი გაიზარდა. 1804 წელს რუსეთში, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ 2.423 საფაბრიკო დაწესებულება იყო 95.202 მუშით, ხოლო 1825 წლისათვის—5.261 საწარმო 210.000 მუშით. მაგრამ სამრეწველო კაპიტალიზმი წააწყდა ერთ დიდ წინააღმდეგობას—ეს იყო ბატონ-ყმური შრომა. პირველი ქარხნები რუსეთში პეტრე დიდის მიერ დაარსდა ბატონ-ყმური შრომაზე დამყარებული, ე. ი. ფაბრიკა-ქარხნებში ყმა-გლეხები იხდიდნენ „ბარშჩინა“-ს ისევე, როგორც ფეოდალის მეურნეობაში, თუმცა არსებობდა ისეთი ქარხნებიც, რომელნიც თავისუფალ შრომას იყენებდნენ. საფაბრიკო „ბარშჩინა“, ისე როგორც საერთოდ ბატონყმური შრომა ზღუდავდა საწარმოო ძალების განვითარებას, ის ნაკლებად ნაყოფიერი იყო, მის მიერ უმნიშვნელო ზედმეტი ღირებულება იქმნებოდა. ეს მდგომარეობა აიძულებს მრეწველთა ეძიონ თავისუფალი მუშა ხელი, ხოლო რადგან მუშა ხელი იგივე გლეხობაა, რომელიც ყმაა, ამიტომ მრეწველნი იწყებდნენ ბრძოლას ფეოდალიზმის დასაშობად, გლეხების განსათავისუფლებლად და თავისუფალ მუშა-ხელის გამოყენებაზე გადასისვლელად. ესაა სამრეწველო ჯგუფების უმთავრესი ეკონომიური ინტერესი, რომელიც ეჯახება ფეოდალური კლასის დიდი უმრავლესობის მისწრაფებას. მრეწველნი გრძობენ ბატონ-ყმობის მოსპობის აუცილებლობას, რომელის მიღწევა შეუძლებელია სხვა გვარად, თუ არ დაემშო ძველი ეკონომიურ სისტემის დამცველი და მასზე დაყრდნობილი —თვითმპყრობელობა. თვითმპყრობელობის დამხობა წარმოადგენს სამრეწველო ჯგუფების მეორე და, შეიძლება ითქვას, არა ნაკლები მნიშვნელობის ეკონომიურ ინტერესს—სამეურნეო მოღვაწეობის („გრიუნდერობის“) და ინდივიდუალურ საქმიანობისაკენ მისწრაფებას.

ფეოდალური კლასის უმრავლესობის და სამრეწველო ჯგუფების ინტერესები არ იყვნენ სოლიდარული როგორც თავისუფალი სამუშაო ძალის (თავისუფალ გლეხის) საკითხში, ისე თვით სამეურნეო პოლიტიკის სფეროშიც. ფეოდალთა ინტერესები ეჯახებოდნენ სამრეწველო ჯგუფების ინტერესებს რუსეთში, გამოსადეგ კაპიტალისტური ფორმის საკითხებშიც. ფეოდალთა დიდი უმრავლესობა წინააღმდეგია სამრეწველო კაპიტალიზმის რადგან, მას მოუყვება ყმების განთავისუფლება, ის სპობს იძულებით შრომას, ის აღიარებს აგრარულ კაპიტალიზმს რომელიც უმეტესად უნდა ემყარებოდნენ იძულებით შრომას ან კიდევ მისი ერთი ნაწილი თანაბმავა გლეხთა განთავისუფლების, მაგრამ იმ პირობით თუ „გან-



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

თავისუფლებულ* გლეხისთვის შეიქმნება ისეთი სამეურნეო დამოკიდებულება, რომელიც მიიჯაჭვებს *თავისუფალ* გლეხს მიწადმფლობელის მეურნეობაზე. ფეოდალური კლასი ებრძვის ამის გამო ფაბრიკა-ქარხნებს, ამტკიცებს ავარული კაპიტალიზმის უპირატესობას სამრეწველო კაპიტალიზმთან შედარებით, უკმაყოფილოა არსებული სამრეწველო პოლიტიკით (პროტექციონიზმით¹⁾, რადგან ის აძვირებს ადგილობრივ ნაწარმოებს, შეუძლებლად ხდის უფრო იაფ და უმჯობესი ხარისხის უცხო ფაბრიკატის შექმნას და იწვევს სამრეწველო ფუნქციის ეკონომიურ გაძლიერებას, რაიც ძირს უთხრის თავის-თავად ფეოდალიზმს. ამ ნიადაგზე მე-XIX საუკუნის მთელი მეორე ათეული წლის განმავლობაში სწარმოებს ბრძოლა ფრიტრედერობასა და პროტექციონიზმს, ანუ ფეოდალურ წოდებასა და სამრეწველო ჯგუფებს შორის, რადგან „ეპიკრობის თავისუფლება ესაჭიროებოდა რუსეთის მებატონეს იმისთვის, რომ გაესაღებია ყველაზე შერბილსაყრელ პირობებში ბატონყმურა მეურნეობის პროდუქტები—ბურჟუაზიული პრინციპის თანდათან განვითარება სწობდა თვით ამ მეურნეობის საფუძველს, არათავისუფალ შრომას.“²⁾

ამ პერიოდში წარმოებულ ბრძოლას მრეწველებსა და მებატონეთა შორის უდიდესი გავლენა ჰქონდა მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და გაბატონებულ საზოგადოებრივ იდეოლოგიაზე. „ფაბრიკანტები ენერგიულად იცავდნენ პროტექციონისტულ ტარიფს და მთელი ძალღონით ცდილობდნენ თვით ისეთი უცხო საქონლის შემოზიდვის აკრძალვას, რომელზედაც დადებული იყო მაღალი ბაჟი. ფრიტრედერები კი უარყოფდნენ რუსეთისთვის ფაბრიკების აუცილებლობას და ამტკიცებდნენ, რომ რუსეთი მიწადმოქმედი ქვეყანაა და ფაბრიკები მას არ ესაჭიროება. ფაბრიკების ერთად ერთი გვარი, ფრიტრედერების აზრით—იყვენ პატარა საბატონო ფაბრიკები, რომელთაც ყმების საშუალებით ამუშავებენ მებატონეები საკუთარი მეურნეობის პროდუქტებს. ამგვარად, რუსული ცხოვრების თავისებურების გამო, ფრიტრედერები, რომელიც საზღვარგარეთ კაპიტალიზმის და ბურჟუაზიის იდეოლოგები იყვნენ, რუსეთში, პირიქით, თავადაზნაურთა იდეოლოგები და ბატონყმური წყობილების დამცველნი შეიქნენ.“³⁾

ამ ბრძოლას და ამასთანავე გლეხობის მღელვარებას ეკონომიურ მონობისაგან განსათავისუფლებლად ჰქონდა ადგილი 1813—1825 წლებში, ამავე ხანას ეკუთვნის დეკაბრისტების მოღვაწეობა, რომელთა მოძღვრება და პოლიტიკური განწყობილება ზემოთ დაბასიათებულ ფაქტორის უშუალო გავლენის ქვეშ ჩამოყალიბდა.

როგორ წარმოიშვა დეკაბრისტული მოძრაობა და ვინ იყვნენ მისი ხელმძღვანელები.

¹⁾ მოხედვათ იმისა, რომ აღტკანდრე პირველი ფრიტრედერი იყო, ის იძულებული გახდა 1811 წელს მიმზრახოდა ნაპოლეონის ე. წ. კონტინენტალურ ბლოკადას და შემოიღო პროტექციონიზმი, რომელმაც დააბრუნებულ ერთი წლის ნაცვლად 6-7 წელი გასტანა.

²⁾ იხ. მ. პოკროვსკი „Русская История“ ტ. III გვ. 265

³⁾ იხ. ტუგან-ბარანოვსკი „Русская фабрика в прошлом и настоящем“—206, 210, 215, 217.

როგოც აღვნიშნეთ, მასონურ საზოგადოებებში გაერთიანებული თავადაზნაურული ახალგაზრდობა, რომელზედაც უდიდესი გავლენა იქონია 1812-15 წლებში, ნაპოლეონთან ომის გამო საზღვარ-გარეთ მიღებულმა ლიბერალურმა შთაბეჭდილებებმა, — ეგრე კმაყოფილდება მასონური ჰუმანიზმით და 1816 წელს აარსებს პეტერბურგში „მამულის ერთგულ და ჰუმანიტარულ“ შეილა საზოგადოებას“. მასში შედიოდა მაღალი ოფიცრობა, რომელიც ისახედა პოლიტიკურ მიზნებს და მიისწრაფოდა აბსოლიუტური წყობილების წმენკისაკენ. საზოგადოების დაარსების ინიციატივა ეკუთვნის პოლკოვნიკ ალექსანდრე მურავიოვს.

„1816 წლის მეორე ნახევარში ის აწარმოებდა მოლაპარაკებას ასეთი საზოგადოების დაარსებისათვის ცნობილ სემიონოვის ლევიონის ოფიცერთან სერგეი და მათე მურავიოვ-ამოსტოლებთან და იაკუბკინთან. იაკუბკინმა თავისი მხრით ჩაითრია ფონ-ვიზინი. შემდეგ ამ წრეს შეუერთდნენ ნიკიტა მურავიოვი და თავადი ტრუბეცკოი. არც ერთ ამათთავანს პირველად არ გააჩნდა გარკვეული წარმოდგენა საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებზე. 1816 წლის დასასრულს, ნიკიტა მურავიოვმა შეიყვანა საზოგადოებაში პესტელი, რომლის მონაწილეობამ უცნაურ შესცვალა მდგომარეობა. პესტელის შემდეგ საზოგადოებაში შემოვიდნენ: თავადი ილია დოლოგოუკოვი, ნოვიკოვი, ლუნინი და სხვანი. ამორჩეულ ექნა კომისია საზოგადოების წესდების შესადგენათ, პესტელის, ტრუბეცკოის და დოლოგოუკოვის შემადგენლობით. კომისიის უშუალო ხელმძღვანელი, სულისჩამდგმელი და წესდების ფაქტიური შემდგენელი აღმოჩნდა პესტელი, რადგან მხოლოდ მას ჰქონდა განსაზღვრული გეგმა და შეგნებულათ დასმული მიზნები: მას სურდა რევოლუციონური საზოგადოების დაარსება, რომელიც შესძლებდა გადაწყვეტი მნიშვნელობის გადატრიალების მოხდენას. მისი იდეალი იყო კარბონარიების მზგავსი ორგანიზაციები, მაგრამ მან ბევრი გადმოიღო აგრეთვე მასონებისა და ილიუმინატებისაგან. საზოგადოების ზოგიერთი წევრები მოხრე იყვნენ ტერორისაც. ამ საზოგადოებამ თავის წესდების დამტკიცების შემდეგ მხოლოდ ოთხი თვე იარსება; მისი წევრთა უმრავლესობა არ თანაღრძნობდა პესტელის კარბონარიურ წესდებას და მის რევოლუციონურ განზრახვებს.

1817 წელს, პესტელის მიტავაში ყოფნის დროს საზოგადოების წევრთა უმრავლესობაში გაიმარჯვა ზომიერმა შეხედულებებმა და მშვიდობიანმა განზრახვებმა. მოსკოვში დარჩენილებმა იშოვეს გერმანიის „კეთილშოქმედების კავშირის“ წესდება, და ამ წესდების მზგავსათ, მხოლოდ ზოგიერთი უმნიშვნელო ცვლილებების შეტანით საზოგადოების ახალი წესდების შედგენა მიანდვეს სამ პირს—მიხ. და ნიკიტა მურავიოვებს და თავად ტრუბეცკოის. წესდების შედგენა გავრძელდა ოთხი თვე. ამ დროისთვის ალექს. მურავიოვმა შეადგინა დროებითი ფარული საზოგადოება სამხედრო სახელწოდებით. როდესაც, — წესდების მიხედვით, — დაარსდა ახალი საზოგადოება, მაშინ სამხედრო საზოგადოება დაწოდდა იქნა ახალ საზოგადოებას დაერქვა „კეთილდღეობის კავშირი“. პესტელი ამ კავშირს უარყოფითად შეხედა და



არ უყენია ის 1818 წლამდე. „კეთილდღეობის კავშირის“ წესდება ითვალისწინებდა მოღვაწეობის ოთხ დარგს: 1) კაცთმოყვარეობას, 2) განათლებას, 3) მართლმსაჯულებას და 4) საზოგადოებრივ მეურნეობას. კავშირის წევრთა მოქმედება მკრთალი იყო, ისინი რამოდენიმეთ ეხებოდნენ ბატონყმობის შერბილებას და განათლებას. მხოლოდ ერთ წევრს ამ კავშირისას—ლუნინს სურდა თავისი გლეხების განთავისუფლება უშიშოთ.

პესტელი კი, რომელიც ამ დროს სამხრეთ რუსეთში (ქ. ტულჩინში) იმყოფებოდა, — ცდილობდა, მიეცა კავშირისთვის ნამდვილი რევოლუციონური ხასიათი. ეს მან კიდევ შესძლო ტულჩინში. მაგრამ, საუბედუროთ, აქაც აღმოჩნდა მას მოწინააღმდეგენი. 1819 წლის მაისიდან 1820 წლის მაისამდე პესტელი სცხოვრობდა პეტერბურგში, აქ მან მოინდომა „კეთილდღეობის კავშირის“ ცენტრზე გავლენის მოხდენა. ეს მან მოახერხა კიდევ: მის მიერ რესპუბლიკის და რევოლუციის პროპაგანდამ, კავშირის პეტერბურგის წევრთა კრებებზე გამოთქმულმა აზრებმა ბევრი გაიტაცა. ასეთები იყვნენ ნიკიტა მურავიოვი და სერგეი მურავიოვი — ანოსტოლი. პესტელმა, მოამზადა რა ამგვარად ნიადაგი, 1820 წლის დასაწყისში კავშირის ძირითად თვითმართველობის კრებაზე დასვა პირველი შეხედვით თეორეტიული საკითხი, — იმის შესახებ თუ მმართველობის რომელი ფორმა არის უმჯობესი, — მონარქიული თუ რესპუბლიკანური. საბოლოოდ აღიარებულ იქნა ერთ ხმად რესპუბლიკანური მმართველობა. ეს იყო პესტელის დიდი გამარჯვება.

ამის შემდეგ პესტელი შეეცადა თეორეტიულ გადაწყვეტილების პრაქტიკულად განხორციელებას. მან მალე დასვა საკითხი, რუსეთში რესპუბლიკის შემოღების შესახებ მეფის მოკელის და „დროებითი მმართველობის“ დამყარების ვხით. პესტელს ამ შემთხვევაში უკერდა მხარს ნიკიტა მურავიოვი. მაგრამ ამ საკითხის გადაჭრაში უმრავლესობა პესტელის წინააღმდეგი აღმოჩნდა. ტულჩინში დაბრუნებისას პესტელმა გამოიყენა რა კავშირის 1820 წლის პირველი დადგენილება, გამოაცხადა იქ, რომ კავშირის მიერ მიღებულია მმართველობის რესპუბლიკანური ფორმა. აქ პესტელმა ვაიტიანა თავისი. პესტელის მიერ მოხდენილი გავლენა „კეთილდღეობის კავშირის“ პეტერბურგის წევრებზე მალე გაქჷრა. ამავე დროს გაეზცეულა ხმები, რომ თითქოს მთავრობამ გაიგო კავშირის არსებობა და ზოგიერთები რჩევას იძლეოდნენ, რეპრესიების თავიდან ასაცილებლად დაეშალათ კავშირი. ამ განწყობილების ზეგავლენით და აგრეთვე იმ ვარუთების გამო რომ კავშირის მოწინავე უმცირესობას სურდათ შეენარჩუნებინათ არსებითად საზოგადოება, — 1821 წლის დასაწყისში მოსკოვში მოიწვიეს კავშირის თვითმართველობათა წარმომადგენლების ყრილობა. ყრილობამ გადასწყვიტა „კეთილდღეობის კავშირის“ დაშლა. ბევრი ამ დადგენილებით მართლაც დაკმაყოფილდა. ხოლო ზოგიერთებმა მოინდომეს შეენარჩუნებინათ ისევ ეს საზოგადოება და ამიტომ გაეწმინდათ ეს კავშირი მერყევე ელემენტებისგან. კავშირის არსებობის მიზნით შედგენილ იქნა ახალი წესდება, რომლის პირველი ნაწილი ახლად შემოსულთა თვალის ასახვევით ფილანტროპიული ხასიათის იყო, ხოლო მეორე ნაწილი, თავის ამოცანად ისახავდა თვითმპყრობელობის შესულ-

დვას. ამის საშუალებებით კი დასახლებული იყო ჯარის მომზადება, ავტოკრატია, და პროპაგანდა ოფიცერთა და ჯარისკაცთა შორის. მოსკოვის ყრილობის მიზანდასრულებული ორგანიზაციის დაშლა მოინდოვეს აგრეთვე მოსკოვის ყრილობიდან დაბრუნებულმა ბურკოვმა და კომაროვმა. მიგრამ აქ ისინი პესტელის სასტიკ წინააღმდეგობას წაიწყდნენ. ამის შემდეგ ბურკოვი და კომაროვი გამოვიდნენ კავშირიდან. დარჩენილმა ცხრა წევრმა პესტელის მეთაურობით მიიღო რევოლუციონური და რესპუბლიკანური პროგრამა პესტელის მიერვე წამოყენებული. ჩქარა ამ კავშირს ჩამოსცილდა კიდევ ხუთი წევრი. დარჩა სულ ოთხი წევრი, რომელნიც ითვლებოდნენ სამხრეთის ახალი საიდუმლო საზოგადოების მარშლებათ 1).

დეკაბრისტთა საზოგადოების ჰქონდა ოთხი განყოფილება ანუ როგორც თვით უწოდებენ ოთხი თვითმართველობა. ასეთი მართველობა იყო: პეტერბურგში (მას ზნირად „ჩრდილოეთის საზოგადოებას უწოდებდნენ“), მოსკოვში, სმოლენსკის გუბერნიაში და ტულჩინში („სამხრეთის საზოგადოება“). მათგან უმთავრესი იყვნენ „ჩრდილოეთისა“ და „სამხრეთის“ საზოგადოებანი.

დეკაბრისტებმა ამავე ხანებში გაიგეს „შეერთებულ სლავიანთა საზოგადოების“ არსებობა, რომელსაც მეთაურობდა ბორისოვი. 1825 წელი მარტში მოხდა ამ საზოგადოების წევრთა ყრილობა, რომელზედაც ხსენებულმა ორგანიზაციამ მუშაობის ახალი გეგმა მიიღო. საზოგადოება უმთავრესს მიზნად ისახავდა ყველა სლავიანურ ტომთა განთავისუფლებას თვითმპყრობელობისაგან. ზოგიერთ სლავიანურ ეროვნებათა შორის ნაციონალურ შუღლის აღმოფხვრას და ყველა სლავიანთა გაერთიანებას ფედერატიულ კავშირში.“ ამ საზოგადოებას უფრო მეტი მისიურობა ახასიათებდა, ვიდრე დეკაბრისტებს. მათი წესდების მიხედვით „არავითარი გადატრიალება არ შეიძლება იქნეს მიღწეული ნაციის თანხმობის და დახმარების გარეშე.“ ეს საზოგადოება გადატრიალების შემდეგ მოითხოვდა გლეხების განთავისუფლებას, დემოკრატიული მმართველობის შემოღებას ხალხთა წარმომადგენლების კონგრესის საშუალებით. დეკაბრისტები ბესტუევი-რიუშინი დაუახლოვდა ამ საზოგადოებას და არწმუნებდა მის წევრებს სახელმწიფოებრივ გადატრიალების აუცილებლობაში. ბესტუევის მეოხებით „შეერთებულ სლავიანთა საზოგადოება“ გაერთიანდა დეკაბრისტების ტულჩინის განყოფილებასთან ანუ „სამხრეთ საზოგადოებასთან.“ თანამოაზრეთა გამრავლებისათვის „სამხრეთის საზოგადოება“ უკავშირდება ვარშავაში არსებულ პოლონეთის საიდუმლო ნაციონალურ საზოგადოებას—„პატრიოტულ საზოგადოებას“, რომელიც იბრძოდა პოლონეთის რუსეთისაგან ჩამოშორებისათვის. „სამხრეთის საზოგადოება“ შეჰპირდა პოლონელებს, რომ ის ცნობს პოლონეთის დამოუკიდებლობას (თუმცა როგორც ჭკვიით დაეინახავთ ეს არ გამოხატავდა დეკაბრისტთა სულისკვეთებას) იმ შემთხვევაში, თუ ის დეკაბრისტებთან ერთად იმუშავებდა თვითმპყრობელობის დაშლისათვის. ასეთი ძალები შეუდგენ დეკაბრისტები სახელმწიფოებრივ გადატრიალებისათვის მზადებას. მათი მთავარი მიზანი იყო მეფის მოკლა, მეფის გვარეულობის ამოწყვეტა და

1) იხ. ი. რაიკოვი—„Русская История“—ტ. X № 120-130.



დროებითი მთავრობის შედგენა დეკაბრისტებისაგან, რომელსაც იძულებით იცნობდა სენატი და სინოდი. დროებითი მთავრობა მოიწვევდა დამფუძნებელ კრებას, და გამოიმუშავებდა რუსეთის სახელმწიფოებრივ მმართველობის ფორმას. (მმართველობის თუ რომელ ფორმას ასახელებდნენ დეკაბრისტები და როგორი აზრითა სხვადასხვაობა სუფევდა მათ პოლიტიკურ პროექტებში, ამაზე ქვევით გვექნება საუბარი). დეკაბრისტებს ჯერ კიდევ 1823 წელს ჰქონდათ განზრახვა ჩავდნოთ ხელში მეფე ალექსანდრე I ბაბრუსიკში ჯარების დათვლიერების დროს, მაგრამ მოუშვადებლობის გამო ეს გეგმა თავის დროზე ვერ განხორციელდა.

ამის შემდეგ მათ იმავე გეგმის სისრულეში მოყვანა გადასწყვიტეს 1826 წლის მაისში. ეს უნდა მოხდარიყო ახალ საყდართან ჯარების დათვლიერების დროს. იქ უნდა მოეკლათ ალექსანდრე I, გამოეწვიოთ ამბოხება ჯარში და შემდეგ გაეღაშქრათ კიევი და მოსკოვი. გამარჯვების შესაძლებლობაზე დეკაბრისტთა შორის საკმაო მერყეობა სუფევდა. აჯანყების მოწყობას და მეფის მოკვლას ყველა აუცილებლად აღიარებდა, ხოლო მიზნის მიღწევა ბევრს მათგანს ძლიერ საეჭვოდ მიაჩნდა. „სწორედ ეს მდგომარეობა — ამბობს პლენხანოვი — შეთქმულების მომწყობთა იჭვი საკუთარი საქმის გამარჯვებაში, — შლის ჩვენს წინ მათი პსიქოლოგიის მეტად შესანიშნავ მხარეს. მიაჩნდათ რა ზოგჯერ საეჭვოთ თავის გამარჯვება — ფარული საზოგადოების წევრები ვერ მიდიოდნენ აშკარა აჯანყებაზე. ისინი ფიქრობდნენ რომ მათი დალუპვა დიდათ სასარგებლო იქნება რუსეთის პოლიტიკური აზროვნების განვითარებისათვის ამიტომ მზად იყვნენ თავი შეეწირათ შამულის ბედნიერებისათვის მათი პსიქოლოგიის ასეთი მხარე აშკარად გამოსჭევთ დეკაბრისტ რილეევის ცნობილ ნაწარმოების „Исповедь Навляйки“-დან.

„Известно мне: погибель ждет
Того, кто первый восстает
На притеснителей народа;
Судьба меня уж обрекла.
Но где, скажи, когда была
Без жертв искуплена свобода?
Погибну я за край родной, —
Я это чувствую и знаю.
И радостно, отец святой,
Свой жребий я благославляю!

„მეც ვარეშეა — განაგრძობს პლენხანოვი — რომ დეკაბრისტთა ზოგიერთი ნაწილი შეგნებულად მიდიოდა მოწამებრივ სიკვდილზე. მაგრამ ცნობილია, რომ მოწამებრივობისაკენ მისწრაფება არა თუ არ ანელებს აღამიანთა ენერჯიას, რომელთა ის გააჩნიათ, არამედ ათეკეცებს მას.“¹⁾

დეკაბრისტთა საზოგადოების არსებობა და მათი ზრახვები ხელისუფლებამ უკვე იცოდა. 1925 წლის ივნისში მეფე ალექსანდრე I გაიგო „სამბრთის

¹⁾ იხ. პლენხანოვი — 14 декабря 1825 г. გვ. 16, 17.

საქონელი
განაწილება

საზოგადოების* არსებობა უნტერ-ოფიცერ შერვულისგან. შერვული შვეზაენილი იქნა ჯაშუშით საზოგადოებაში. 13 დეკემბერს დაატყვევეს „სამხრეთის საზოგადოების“ ხელმძღვანელი პესტელი. აქედან იგი წაიყვანეს პეტერბურგში. აქ 14 დეკემბერს სენატის მოედანზე მოხდა დეკაბრისტების აჯანყება.

ეს აჯანყება გამოიწვია მოულოდნელმა მიზეზებმა, რომელთაც უფრო ფორმალური ხასიათი ჰქონდა. 1825 წელს 19 ნოემბერს ტახტაროვში უცნობი გარდაიცვალა მეფე ალექსანდრე I. მას დარჩა ორი ძმა: კონსტანტინე და ნიკოლოზი. არსებული წესების მიხედვით ტახტის მემკვიდრედ ითვლებოდა კონსტანტინე. კონსტანტინემ კი ადრევე განაცხადა უარი მემკვიდრეობაზე და ტახტი ნიკოლოზს გადასცა. ტახტზე უარის განცხადება კონსტანტინეს მხრივ — ძალდატანებით მოხდა. ეს ძალდატანება გამოწვეული იყო თვით მეფის ალექსანდრეს მიერ, რომელმაც სიცოცხლეშივე გადაულოცა სამეფო ტახტი ნიკოლოზს. მთელი 16 დღის განმავლობაში ტახტის მემკვიდრე არ სჩანდა, რადგან ტახტზე პრეტენზიას აცხადებდა ორივე ძმა, თვითმპყრობელობის მოატრფივალე მალაი წოდების სიმპატია კონსტანტინეს მხარეზე იყო. კონსტანტინე გამოცხადებულ იქნა კიდევ მემკვიდრეთ, მაგრამ ნიკოლოზმა არ დაუცადა საქმის გამორკვევას და მალაი თანამდებობის პირთა განსაზღვრული ნაწილის დახმარებით „გაუგებრობის“ აღსაყვთად დანიშნა 14 დეკემბერი მეფის ნიკოლოზ პირველისათვის შეფიცვის დღეთ. ამ გარემოებით ისარგებლეს დეკაბრისტებმა და გადასწყვიტეს ასეთი მოხერხებული მომენტის აუცილებლად გამოყენება. 11 დეკემბერს დეკაბრისტებმა წინასწარ კრებაზე გამოიმუშავეს გეგმა, რომლის მიხედვით თითოეულ მათგანს (რომელთაც ჯარის ნაწილებში საპატიო თანამდებობანი ექირათ) უნდა გამოეყვანათ გვარდიის ნაწილები სენატის მოედანზე და მოეზინათ აჯანყება სწორედ იმ დროს, როდესაც დაიწყება მეფე ნიკოლოზისათვის ფიცის მიცემა, მოგვლათ ნიკოლოზი და გამოეცხადებათ დროებითი მთავრობა. საიდუმლო საზოგადოების წევრთაგან, სანამ მოიწვევოდა ახალი სახელმწიფოებრივი ფორმის გამომუშავებელი საერობო სათათბირო (დამუშავებული კრება).

აჯანყებულები, მართლაც, 14 დეკემბერს გაემართენ მოედნისაკენ. სამწუხაროდ მთავრობა ამ აჯანყებას სასტიკად გაუმასპინძლდა. ამუშავდა არტილერია, გამოწვეულ იქნა ჯარის საიმედო ნაწილები და ბოლოს დიდი მსხვერპლით აჯანყება ჩაქრობილ იქნა. აჯანყების მეთაურები დაატყვევეს. ამ აჯანყებას უშუალოდ ხელმძღვანელობდა დეკაბრისტების „ჩრდილოეთის საზოგადოება“, 17 დღის შემდეგ „სამხრეთის საზოგადოება“ გამოიწვია ამზობენა ჩერნიგოვის პოლკში და ამ მიზნით დაიკავა ქალაქი ვასილკოვი. აქ ამზობებულ ჯარის კაცთა რიცხვი 1,000 ძლავს აღწევდა. მთავრობის ჯარებმა აქაც დატბრილეს მემამბოხენი, ტყვეთ ჩაიგდეს მისი მეთაურები და აღმოაჩინეს საზოგადოების ყველა წევრები. ორივე აჯანყების მეთაურები გაასამართლეს 1826 წელს 13 ივლისს, ხუთ მათგანს: პავლე პესტელს, კონდრატი რილევეს, სერგეი მურავიოვ — აბოსტოლს, პეტრე კახოვსკის და მიხეილ ბესტუჟევე — რიუმინს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, 116 კაცი გადაასახლეს ციმბირში, ჩასვეს საპატიმროებში და სხვა ასე დამთავრდა 14 დეკემბრის გმირთა აჯანყება.

ვინ უტერდა მხარს დეკაბრისტებს აჯანყებაში და რა იყო მათი პოლიტიკური იდეალი?

ყოველი აჯანყების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, მისი მასიურობა, ის, თუ რამდენადაა შეჯამებული მასებია შემოკრებილი აჯანყების იდეის გარშემო, თუ რამდენად პოპულიარულია, რამდენად ახლოსაა მასის სულითქვეყნებასთან ეს იდეა და რამდენად აქტიურია მასის მონაწილეობა აჯანყებაში. გარდა ამისა: აჯანყების გამარჯვებით დამთავრება მოითხოვს აჯანყების გეგმას, მის კანონ-შეწონილობას არსებულ სოციალ პირობებში და სოციალურ ძალთა განწყობილებებში. შემდეგ, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, აჯანყების სუბიექტური მხარესაც დიდი მნიშვნელობა აქვს. აჯანყების ხელმძღვანელებმა თავიანთ სულიერი განწყობილებით უნდა გაამზადონ მებრძოლი მასსა; თვით არ უნდა მოეჭყენ თავდაცვით მდგომარეობაში, რომელიც, ენგელსის თქმით, —სიკვდილია ყოველი შეიარაღებული აჯანყების. აჯანყება — ამბობს ლენინი — მისთვის, რომ გამარჯვებით დამთავრდეს, უნდა ემყარებოდეს არა შეთქმულებას, არა პარტიის არამედ მოწინავე კლასს. ამის გარდა, აჯანყება უნდა ემყარებოდეს ხალხის რევოლიუციონურ ილტყინებაზე, იგი უნდა ეყრდნობოდეს მოახლოებულ რევოლიუციის ისეთ გარდატეხის პუნქტს, როდესაც ხალხის მოწინავე რიგების აქტიურობა უძლიერეს სახეს ღებულობს, როდესაც ყველაზე ძლიერია მერყეობა მტრების რიგებში. მხოლოდ ასეთ პირობებში მიაჩნია შესაძლებელი და დასაშვებად რევოლიუცია ლენინს. თუ ასეთი პირობები არ არის — მაშინ ამ. ლენინის თქმით არის ბლანკიზმი, რომელიც ყოველთვის დამარცხებით ბოლოვდება.

დეკაბრისტები უმთავრესად მოკლებულნი იყვნენ ამ წინასწარ პირობებს, რომლებიც აუცილებელია აჯანყების გამარჯვებისთვის და სწორედ ამით აიხსნება, რომ ისინი სასტიკად დამარცხდნენ.

დეკაბრისტული მოძრაობა, როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ, არ იყო ხალხური მოძრაობა. ეს ხაზგასმით აღნიშნა ვერცენმა: — მათ არ გააჩნდათ ხალხის დახმარება და მათი ბედი ამით გადაიჭრა. ვინ უნდა ყოფილიყო ეს ხალხი? — რასაკვირველია, არა დეკაბრისტების წოდება, რადგან მისი მაღალი, მდიდარი ფენები წინააღმდეგი იყვნენ დეკაბრისტების პოლიტიკური იდეალის. ეს ხალხი ვერ იქნებოდა ვერც სამრეწველო კლასი — რადგან, როგორც ტროცკი ამბობს, ისინი აჯანყებისთვის მოუწოდებულნი იყვნენ. აჯანყებისთვის ვერც ვაჭრები იქნებოდნენ მომზადებული, რადგან ისინი თუმცა თანაუგრძობდნენ დეკაბრისტების იდეებს, მაგრამ ვერ გაჰყვებოდნენ ამ მოძრაობას რადგან მისი მეთაურები იყვნენ მეტ წილად მაღალი მებატონეები, რომლებთანაც ვაჭრებს არ აკავშირებდათ რაიმე ეკონომიური ინტერესი და მეორე მხრივაც, რუსეთის მაშინდელი ვაჭრები, როგორც აღნიშნა დეკაბრისტმა შტიინგელმა, — უფიცნი იყვნენ. ნამდვილი ხალხი — ე. ი. ფაბრიკების მცირე-რიცხოვანი მუშათა ჯგუფები და გლეხობა ვერ გაყვებოდა დეკაბრისტებს — ვინაიდან ისინი მათი კლასიური მოწინააღმდეგეთა — თავად-აზნაურთა ინტერესების გამომხატველნი იყვნენ, და რაც მთავარია, არ არსებობდა მუშათა კლასი, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით. ყველაზე ნაკლები იმედები ღე-

კაბრისტებს სწორედ გლეხობაზე უნდა დაემყარებიათ, რადგან გლეხობა თავად-აზნაურთა მიერ წამოწყებულ ყოველგვარ მოძრაობისადმი აპოლიტიკურად იყო განწყობილი.

*გლეხებს კარგათ ესმოდათ—ლაბარაკობს პლენანოვი—რომ მებატონეები ყოველ ძალღონით ეწინააღმდეგებიან და უნდათ წინააღმდეგ ბუნებრივად შათი განთავისუფლებას. მათი სიძულელი მებატონეებისადმი, ანაგრება პეტრობურგის თვითმპყრობელობას. თავად-აზნაურთა ყოველი ცდა ასეთი ისე შევლულად თვითმპყრობელი ძალაუფლება სწრაფად და სასტიკად დაიმსხვრეოდა დაბალი კლასის ერთსულოვან წინააღმდეგობაზე. გლეხობა რწმუნდებოდა, რომ თუ რაიმე გაუმჯობესება იყო შესაძლებელი, ის აუცილებლად მეფისაგან უნდა ყოფილიყო ბოძებული. ამიტომ ბუნებრივია, რომ გლეხობა ხალხის ყველაზე დიდ მტრებად სთვლიდა თავად-აზნაურობას რომლებსაც მათ ეჭვი შეჰქონდათ, როგორც მეფის მოჯანყებულნი. მებატონეებს კარგათ ესმოდათ, რომ გლეხობის აპოლიტიკურობა აქვს თავისი პოლიტიკური აზრი. იმათ არ შეეძლოთ არ ეგრძნოთ, რომ თვითმპყრობელობისთან ბრძოლაში, მათ გლეხობის სახით ყველაზე საშიში მოკავშირე ჰყავდათ. იმ ადგილებში, სადაც არ იყო შესაძლებელი მიწის „სიფიროვე“, გლეხებს, ალბათ, არაფერი არ ჰქონდათ იმის საწინააღმდეგო, რომ მიწის განსაზღვრული ნაწილი დარჩენოდათ მებატონეებს. მაგრამ იქ, სადაც ასეთი „სიფიროვე“ საგრძნობი იყო, იქ გლეხები მოითხოვდნენ მიწების ჩამორთმევას მემამულეთაგან, მათ გადაეცემას ხაზინისთვის და შემდეგ მიწის მომუშავეთა შორის თანაბრად განაწილებას („черный передел“).

ამიტომ მებატონეები, რომელნიც მიწის ასეთი გადანაწილების წინააღმდეგ გამოდიოდნენ, გლეხების თვალში იყვნენ ყველაზე ნაენე მოჯანყებუნი. ამისი ბუნებრივი შედეგი იყო აგრეთვე ის, რომ მიწადასაქმებულნი აყენებდნენ რა ასეთ რადიკალურ ეკონომიურ მოთხოვნილებას, (მიწის გადანაწილება, ისინი ამავდროს სრულებით არ აღიარებდნენ რაიმე პოლიტიკურ რადიკალიზმს. მათი თვალთახედვის არე მიწის გადანაწილებით შემოიფარგლებოდა. ამიტომ გამოდიოდნენ, ისე რომ მსხვილ ცენტრებში მუშებს და „ინტელიგენციას“ ხერხტდნენ სწორედ ჯარისკაცთა ფარაჯაში გადაცემულნი „სახელმწიფოს ობოლთა ის შეილები, რომელნიც სოფლებში არბევდნენ „თავად აზნაურთა ბუღეს“ და იყოფდნენ მათ ურთიერთ შორის.

მართლა, იყო შემთხვევები, როდესაც მიტინგებზე, რომელიც დიდ სოფლებში იმართებოდა, გლეხები ხშირად იწონებდნენ რევოლუციებს, რაიც, სხვათა შორის, დამფუძნებელ კრების მოწვევას მოითხოვდა. მაგრამ მიტინგის მონაწილეთა დიდ უმრავლესობისათვის სიტყვა „დამფუძნებელ კრებასთან“ არ იყო დაკავშირებული რაიმე გარკვეული პოლიტიკური წარმოდგენა. რევოლუციებს, სულ სხვაგვარად მოაზროვნე ხალხის მიერ დაწერილს, იმიტომ იწონებდა გლეხობა რომ ისინი (რევოლუციები) გარდა დამფუძნებელი კრებისა, რომელიც მათთვის გაუგებარი და არა საინტერესო იყო, შეიცავდნენ მიწის მომუშავეთათვის გასაგებ და ფრად წინააღმდეგობის მიწის გადანაწილების მოთხოვნას.



ნილებას...!*) „თავად-აზნაურობა იყო მაღალი, პრივილეგიური კლასი. ის ყველგადა გლახებს. მაშინდელ რუსეთის ეკონომიური განვითარებლობის გამო, თავად-აზნაურობა აწარმოებდა გლახობის ყველაზე უხეში ფორმით ექსპლოატაციას—**ბატონყმური დამოკიდებულების ფორმით**. ბატონყმობა განსაზღვრავდა გლეხების და თავად-აზნაურთა მთელ ურთიერთობას და ასეაქმდა თავის ბეჭედს რუსეთის მთელ სოციალ-პოლიტიკურ წყობილებას. თავად-აზნაურობასთან განუწყვეტელ ბრძოლაში ჩამბულ საკუთარ ძალებზე იმედ გატეხილ გლეხებს — მეფე იდეალად ყავდათ წარმოდგენილი, მიაჩნდათ ის ხალხის გულშემტკიცებად. ისინი მზად იყვნენ ხელისუფალთა თითის უბრალო ჩვენებით ამოეწყვიტათ მთელი თავად-აზნაურობა.*) მაშასადამე, გლეხობაც—ძირითადი მასსა არ ვაყვებოდა დეკაბრისტებს, როგორც თავად-აზნაურობის იდეოლოგებს, მაგრამ არც დეკაბრისტები ისწრაფოდნენ გლეხების გამოყენებისაკენ, ისინი დიდ იმედებს მხოლოდ ჯარზე ამყარებდნენ, რომელიც ბრმა დისციპლინის წყალობით უნდა გამოეყენებიათ აჯანყებაში. უფრო მეტ მონაწილეობას იღებდა დეკაბრისტების მოძრაობაში და საერთოდ 14 დეკემბრის აჯანყებაში თვით თავად-აზნაურობა, მაგრამ მხოლოდ საშუალო და განსაკუთრებით წვრილი თავად-აზნაურობა. «შეერთებულ სლავიანთა საზოგადოება», რომელიც დეკაბრისტებმა 1825 წელს შემოიერთეს, როგორც თქმით, თითქმის ღარიბ თავად-აზნაურთაგან შესდგებოდა და ამ ფენს ეკუთნოდა დეკაბრისტულ საზოგადოებათა ჩვეულებრივ წევრთა (არა ბელადთა) უმრავლესობა. აი, ის „მასსა“, რომელზედაც ემყარებოდა დეკაბრისტული მოძრაობა და რომელიც მოძრაობის ასე უეცარ დამარცხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

თვით დეკაბრისტების ბელადებიც არ წარმოადგენდნენ რაიმე კონტრაქტურ მასსას და, რაც მთავარია, მოძრაობის ბელადებს არ ჰქონდათ მთლიანი, ყველას მიერ აღიარებული, პოლიტიკური იდეალი. დეკაბრისტები ეკუთვნოდნენ თავად-აზნაურულ წოდებას, მაგრამ რამდენათაც თავად-აზნაურობა არ წარმოადგენდა მთლიან მასსას, არამედ ის დეკაბრისტების მოღვაწეობის პერიოდში იყოფოდა ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავებულ ეკონომიურ ჯგუფებად, ამიტომ დეკაბრისტების ბელადები სხვა და სხვა ეკონომიურ საფუძვლებზე იდგნენ და ჰქონდათ ერთმანეთისაგან განსხვავებული პოლიტიკური პროგრამაც. დეკაბრისტებში უნდა ვაგარჩიოთ ძირითადი პოლიტიკური მიმდინარეობა—კონსტიტუციონალურ—მონარქიული და რესპუბლიკანური, თუმცა ამ ორ მიმდინარეობათა შორის არის მრავალი გარდამავალი საფეხურიც.

ბარველის მეთაურია ტრუბეცკოი—ბრწყინვალე თავად-აზნაურული არისტოკრატიის წარმომადგენელი. ის წინააღმდეგია რესპუბლიკის, არ ცნობს აგრეთვე დროებითი მთავრობის დიქტატურას და, ემყარება მონარქიას, მხოლოდ მოითხოვს არსებულ წყობილებაში მნიშვნელოვან ცვლილების შეტანას. „ტრუბეცკოის პოლიტიკური იდეოლოგიის სოციალური აზრი—ლაბარაკობს

*) იხ. პლუზანოვი—История русской общественной жизни. ტ. I — გვ. 81, 82, 83.

** იხ. „პლუზანოვი „14 декабря 1825 г. გვ. 4.

როგოვი—სავსებით ვსავგებია: არსებითად დეკაბრისტების დიქტატორი იყო მეტი არაფერი, თუ არა მოღობერალო არისტოკრატი მეტად ზომიერ კონსტიტუციონალურ-მონარქიული ტიპის. მისი „პუნქტებიდან“ სჩანს, რომ ის ვითომდა სცნობდა სახელმწიფოში სხვა და სხვა სარწმუნოების შესაძლებლობას, მაგრამ არ აღიარებდა სინიღისის თავისუფლებას; ლაპარაკობდა ბატონყმობის მოსპობაზე, მაგრამ კონკრეტულად არ აყალიბებდა გლეხთა განთავისუფლების ეკონომიურ მხარეს“ დეკაბრისტებში, ყველაზე მეტი ყურადღების ღირსია—პესტელი, როგორც პუშკინი იხასიათებდა „ყველაზე კვიანი და ორიგინალური ადამიანი“—რესპუბლიკანიზმის იდეოლოგი და ნამდვილი რევოლუციონერი დეკაბრისტთა შორის. სავსებით სამართლიანია ის შეხედულება, რომელიც პესტელის „რუსული სიმართლე“-ს აღიარებს რუსეთის რესპუბლიკის პროექტით. პესტელი თავისი იდეოლოგიით ეყოფა ყველა დანარჩენ დეკაბრისტებს, მისი პროექტი არ ეფუძნება ტრუბეცკოის კონსტიტუციონალურ მონარქიას, არამედ ის ქადაგებს ისეთ სახელმწიფოებრივ ფორმულას, რომელიც დაეკამათებინებდა რუსეთის წერილ ბურჟუაზიას. ამიტომ პესტელი უმთავრესად, — თუ სავსებით არა— ბურჟუაზიული რევოლუციონერია, ის რუსეთის რობესპიერია, რომელსაც სურს „საზოგადოების აღორძინება და კეთილმოქმედების გაძეგება“. თუ რაიმე არის დეკაბრისტებში იაკობინური და კარბონარული—ეს პირველ რიგში პესტელშია. „პესტელის გეგმის საფუძვლებში უპირველესად ჩვენ ვხედავთ რაციონალიზმს, განჯინებულ, მათემატიკურ მეთოდს; შემდეგ—ეგალიტარობას, თანასწორობის პრინციპს; შემდეგ—დროებითი მთავრობის ცენტრალიზმს და დიქტატურას. ეს შეადგენდა იაკობინიზმის და კარბონარიზმის სულს. მაგრამ იაკობინელები და კარბონარიები მისწრაფებით და მიმართულებით იყვნენ არა თავდა-აზნაურები, არამედ ნამდვილი, შეუბღალავი ბურჟუები. ასეთ ბურჟუაზიულ იდეოლოგიით მოგვევლინა პესტელიც—ყველაზე იშვარა, ყველაზე უკიდურესი მავალითი იმისი, თუ როგორი ღრმა და გრძელი გაბზარვა მოხდა ფეოდალურ-ბატონყმურ კულტურაში, თუ როგორ ვიწროთ, დაიწყო რუსეთის თავდა-აზნაურობის გარდაქმნა ბურჟუაზიით.“ **)

პესტელის პროექტით, ყოველი სახელმწიფო უნდა მისწრაფოდეს „საზოგადოებრივ იდეალისაკენ. კეთილდღეობის მისაღწევად სახელმწიფო ეყოფა მთავრობათ და ხალხათ. ხალხს უფლება აქვს „მოითხოვოს მთავრობისაგან, რათა ის აუცილებლად მისწრაფოდეს საზოგადოებრივ და კერძო კეთილმოქმედებისაკენ, მთავრობა ხალხის კუთვნილებათ, ის დაწესებულთა ხალხის კეთილდღეობისათვის და არა ხალხი არსებობს მთავრობის კეთილდღეობისათვის.“ ამგვარად პესტელი მომხრეა ისეთი სახელმწიფოებრივი წყობილების, რომელიც განახორციელებს საზოგადოებრივ იდეალს, სახალხო კეთილდღეობას. მაგრამ სახალხო კეთილდღეობა, ეს საზოგადოებრივი იდეალი მას ესმის ისევე, როგორც ყოველ ბურჟუაზიულ რევოლუციონერს. მაგ.: ის ამყარებს მთლიან საარ-

*) დეკაბრისტების მიერ ტრუბეცკოი არჩეული იყო დიქტატორად, რომელსაც ხელმძღვანელობა უნდა გაეწია აჯანყებისათვის, მაგრამ აჯანყების დღეს ტრუბეცკოი არ გამოჩნდა, რითაც მან გამოიქვეყნა აჯანყებულთა დაბნელება.

***) იხ. როგოვი „Русская История“—ტ. X—გვ. 155, 156.



საქართველო

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

ჩვენო ცენსს, რაიც არჩევნებში მონაწილეობის საშუალებას უსპობს თითქმის მთელ გლეხობას. პესტელი საჭიროთ სცნობს წოდებრივობის მოსპობას, ბატონ-ყმობის გაუქმებას, თავად-აზნაურთა გათანაბრებას სხვა საზოგადოებრივ ელემენტებთან. მიწი, რომელიც ჩამოერთმევა თავად-აზნაურობას პესტელის თქმით ორ ნაწილად უნდა გაიყოს ყოველ თემში; ერთი ნაწილი საზოგადოებრივი მიწები, რომელსაც თემი ამუშავებს, მეორე—სახაზინა, რომელიც სახელმწიფოს ქონებას შეადგენს. სათემო მიწის გაყიდვა და არც დავირაყება არ შეიძლება. მებატონეს მხოლოდ ნახევარი მიწა ერთმევა იძულებით უსასყიდლოთ. მათ რჩებათ შემოსავალი.

პესტელი უარყოფს ყოველივე მას, რაიც აბრკოლებს საზოგადოებრივ სამეურნეო საქმიანობას, ის მოითხოვს ცეხების გაუქმებას, რომელთა რეგლამენტაცია ხელისნობის განვითარებას აბრკოლებს, ასევე უნდა გაუქმდეს ვაჭრობის და მთელი საქალაქო ცხოვრების ხელის შემშლელი პირობები. ამა თუ იმ ხელობის არჩევაში სრული თავისუფლება უნდა სუფევდეს. საჭიროა ინდივიდის მეტი თავისუფლება, საწარმოო ძალთა თავისუფალი განვითარება, რომლის გარეშე შეუძლებელია საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევა. ეს აზრი პესტელის ძირითადი დებულებაა. პესტელი წინააღმდეგია როგორც ბურჟუაზიულ ისე ფეოდალურ მსხვილი საკუთრების. მსხვილი მესაკუთრე—მისი შეხედულებით ხალხის მტერია. პესტელი ცდილობს რათა ყველა რაიმეს მფლობელი იყოს საზოგადოებაში, მაგრამ ის შორსაა ქონებრივ ემანსიპაციისაგან. ეს უკვე ეწინააღმდეგება მის ბურჟუაზიულ სულისკვეთებას, ეს ძირს უთხრის ინდივიდუალიზმს, რომელსაც წერილ-ბურჟუაზიული იდეოლოგი ვერ გასცილდება. კერძო საკუთრება პესტელის აზრით არ ქრება, არამედ ის სიმდიდრის საფუძველია. კეთილდღეობის აუცილებელი პირობაა. ყოველი მეურნეობა უნდა იქერდეს წმინდა შემოსავლის, რომლის მიხედვითაც უნდა გაიწიროს ფულადი გადასახადი.

პესტელი იმეორებს მოქალაქის უფლებათა და მოვალეობის შესახებ საფრანგეთის რევოლიუციის უმთავრეს პრინციპებს, როგორცაა: საკუთრების უფლება, პირადი თავისუფლების ხელშეუხებლობა, სახელმწიფოში ყველა თანამდებობათა დაკავების ერთნაირი უფლება, ბეჭდვის და სარწმუნოების თავისუფლება. აღსანიშნავია ის, რომ პესტელის რესპუბლიკანიზმი არ გულისხმობს მეორეს მხრივ ასეთივე თავისუფლებას რუსეთის ნაციონალურ განვითარებაში. ის, როგორც ყველა დანარჩენი დეკაბრისტები—ნაციონალისტია, რუსეთში შემაველ ყველა ეროვნებათაგან მას მხოლოდ პოლონეთის ცალკე არსებობა მიაჩნია დასაშვებად და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოლონეთი ნუღმიე კავშირს შეკრავს რუსეთთან და თავის ჯარს ყოველი ომის დროს რუსეთის ჯარს შემოუერთებს და იმ პირობით, თუ პოლონეთზე უკველად გავრცელდება მმართველობის ის პოლიტიკური ფორმა, რომელიც დამყარდება პესტელის თქმით იჯანყების შემდეგ რუსეთში. პესტელი შეუძლებლად სცნობს იმ ეროვნებათა დამოუკიდებლობას, რომელნიც ვერ ისარგებლებენ პოლიტიკური დამოუკიდებლობით თავისი სისუსტის გამო, ამიტომ მათთვის ხალხისნობის უფლება მოჩვენებითია და შეუძლებელი. აქედან პესტელის თეზისი—ხალხისნობის

საქართველო
საბჭოთაო

უფლება მხოლოდ იმ ეროვნებათ მიენიჭება, ვისაც საკუთარი თავის მოვლის, ამ მდგომარეობის შენარჩუნების ძალა შესწევს. პეტტელი ფედერაციის წინააღმდეგია, რადგან, ერთი მხრივ, ფედერატიულ სახელმწიფოში უზუნაესი ხელისუფლება „არსებითად იძლევა არა კანონებს, არამედ დარიგებას“, მეორე მხრივ ფედერაციას მიეცევიართ საოლქო სეპარატიზმამდე, ფედერაციის დროს რუსეთი აუცილებლად დაიშლებოდა მიელ რიგ წვრილ სახელმწიფოებად და ის დაპყრობავდა არა მარტო სიდიადეს და ძალის, არამედ პოლიტიკურ დამოუკიდებლობასაც.*)

პეტტელის პროექტით, რუსეთში შემავალმა ყველა წვრილმა ეროვნებებმა უარი უნდა განაცხადონ დამოუკიდებლობაზე, ამიტომ პეტტელი ფინლიანდიის თვით უბრალო ავტონომიასაც ვერ ურიგდება. რუსული ენა—პეტტელის თქმით—უნდა იქნეს რუსეთში შემავალ ყველა ერების საერთო-სავალდებულო ენათ. სხვა ენა, გარდა რუსულისა რუსეთის არც ერთ კუთხეში არ დაიშვება. ებრაელების საკითხი უნდა მოწესრიგდეს, მოისპოს ებრაელთა განცალკევება, 2 მილიონი ებრაელი უნდა გადასახლდეს პალესტინაში, დანარჩენები ვერ ისარგებლებენ ნამდვილი სამოქალაქო უფლებებით მანამდე, სანამ არ გარუსდებიან. ასეთია მოკლულ პეტტელის რესპუბლიკანიზმი და ნაციონალური სახელმწიფოს იდეა. სხვა დანარჩენნი ჯგუფები დეკარისტთა შორის, როგორცია რილევის და მუ. რაიგოვის—ითქვიფება, ისე როგორც დეკარისტთა უმრავლესობის შეხედულებანი, პეტტელის რესპუბლიკანიზმში. ასეთია დეკარისტის იდეოლოგია, ასეთი იყო მისი როლი რუსეთის საზოგადოებრივი აზრის ევოლუციაში, ასეთია კონცეპცია იმ ხალხის, რომელთაც ვერცხების თქმით, „სურდათ სახალხოთ განეცხადებიათ რუსული თავისუფლების აზრი, იცოდნენ რა, რომ ამისთვის ისინი დაიღუპებოდნენ. მაგრამ ეს აზრი ერთხელაც კი განცხადებული სახალხოთ არასოდეს არ მოკვდება“.

დეკარისტის გავლენა ფრიად დიდი იყო რუსეთის საზოგადოებრივ აზრზე და მთლიანად მთელ პოლიტიკურ ვითარებაზედაც. დეკარისტმა ჩაითრია რუსეთის საუკეთესო პოეტები, მწერლები, მოღვაწენი. მისი ტრადიციით წარმოიშვა რუსეთის უტოპიური სოციალიზმი, პეტრაშველთა სკილა, (1849 წ.) რომელმაც არა ნაკლები როლი ითამაშა რუსული პოლიტიკური რადიკალიზმის ზრდაში. დეკარისტმა საესებით მიიმხრო ცნობილი პოეტა პუშკინი. „პუშკინი—ლაპარაკობს ნესტორ კოტლიარეესკი—ერთად ერთი იყო თანამედროვე მწერალთა შორის, რომელმაც გაითვალისწინა ეს მოვლენა არა მარტო თავისთვის; ის არ შეუშინდა იმ ქარიშხალს, რომელმაც მოსტება და წაიღო მისი უახლოესი ლიტერატურული თანამებრძოლნი, ის მოუბრძოლდა ლაპარაკობდა ლექსებში მათზე, დიდ რომანში აპირებდა მათ მოგონებას; იხსენიებდა მათ წერილებში, არ სთქვა უარი მათზე მეფის წინაშეც, ფიქრობდა მათზე, როდესაც ამუშავებდა თავის პოლიტიკურ თეორიას ძველი თავად-აზნაურობის როლის შესახებ.“ დეკარისტების უდიდესი გავლენა ყველაზე მეტად სჩანს პუშკინის იმ ლექსში, რომელიც მან ჩაადეფეს მისწერა:

* ი. ბ. როჯევის „Русская История“—ტ. X გვ. 151.

„Пока свободою горим,
Пока сердца для чести живы,
Мой друг, отчизне посвятим
Души прекрасные порывы.
Товарищ, верь: взойдет она,
Заря пленительного счастья,
Россия вспрянет ото сна
И на обломках самовластья
Напишет наши имена.“

ახლოს იდგა დეკაბრისტებთან დოსტოვესკიც, განსაკუთრებით პირველ პერიოდში, როდესაც ის პეტრაშეველი იყო, რისთვისაც იგი ციხიბრში იქნა გადასახლებული. დოსტოვესკი ალტაცებით ხაზს უსვამს გარემოებას, რომ „ესი ჭკუისაგან“-ის გმირი—„ჩაკი—დეკაბრისტია. მთელი მისი იდეა—ძველის, ახლო წარსულის, გულუბრყვილო თაყვანისცემის უარყოფაშიაო.“ მნიშვნელოვანი იყო დეკაბრისტების გავლენა ლ. ტოლსტოიზეც, რომელმაც დაიწყო დიდი რომანის „დეკაბრისტების“ წერა, მაგრამ რომლის დასრულება ვერ შესძლო...

მას შემდეგ ასმა წელმა განელო. ბირონების და არაქმეების რუსეთი ისტორიული აფცილებლობით უფსკრულში გადაიჩეხა, საუკუნის გასწვრივ მრავალი დეკემბერი განმეორდა და მთელი ეს ხანა დასრულდა ისე, როგორც იწინასწარმეტყველა დეკაბრისტმა პოეტმა ოლოფესკიმ:

Наш скорбный труд не пропадет. —
Из искры возгорится пламя,
и просвещенный наш народ
Сберется под святое знамя.
Мечи скуем мы из цепей,
И пламя вновь зажжем свободы,
Она нагрянет на царей
И радостно вздохнут народы!

სერგვი ასენინი.

თავის წიგნში „ლიტერატურა და რევოლიუცია“ ტროცკი ათავსებს ესენინის მოტეტრიავე მწერალთა და რევოლიუციის თანამგზავრთა შორის. „რა არის ამ თანამგზავრებისათვის რევოლიუცია? თუ სხვებისათვის რევოლიუცია არის რესპუბლიკა, კლიუვეისათვის იგი—რუსეთია, თუ სხვებისათვის რევოლიუცია—სოციალიზმია, კლიუვეისათვის იგი არის ფანტასტიური ქალაქი—კიტევი. რევოლიუციის იქით ის ხედავს სამოთხეს, მაგრამ ეს „მუყიკური“ სამოთხეა, ხორბლის და თაფლის სამოთხე. კლიუვეი სოფლის პატრონია, მაგრამ უპირველეს ყოვლისა რევოლიუციის ჰქმნის ქალაქი.

როცა კლიუვეი უმღერის ლენინს, ძნელი გამოსაცნობია: ლენინია ეს.. თუ ანტი-ლენინი.

ბლოკისათვის რევოლიუციის ტენდენცია გამოიხატება შემდეგი შირიით:

რევოლიუციურ ნაბიჯით გასწიო!
სასტიკი მტერი სასტიკად დასციო.
მარჯვედ ვინტოვკა, ნუ გეშინია.
ჩვენ წმინდა რუსეთს ვესროლოთ ტყვია...
რუსეთს ტყიანს,
ბნელქობიანს;
სქელდღუმიანს!

ბლოკისათვის რევოლიუცია არის ამზობებული სტიქია:

ქარი, ქარი,
ყველგან მყოფი, შესაზარი!

ესენინისათვის რევოლიუცია არის პუგაჩოვის და რაზინის აჯანყება.*

(ტროცკი: „ლიტერატურა და რევოლიუცია“—ნაწილი პირველი)

მან კიდევაც დასწერა მთელი დრამა „პუგაჩოვი“, რომელშიდაც რევოლიუციის ჰქმნის სოფელი. რევოლიუცია მიიღო ესენინმა, რადგან ის ენათესავებოდა მის დაუდგრომელ მუნებებს, რადგან ის ამართლებდა მის ხეტიალს, მის უსახლკარობას.

როგორც ნოვეგოროდელი ვასკა ზუსლაევის შთამომავალს, მას უნდა შეებრძოლოს მთელ ქვეყანას.

ის ავიარა და სკანდალის მოყვარულია, რადგან სკანდალი აძლევს მას ამბოხების ილლიუზიას. მის ჰიზბლავს თავზე ხელაღებული და გაეფარდნილ კაცის პიქოლოგია.

ის სიძულვილით იგონებს მონარქიას და სწუველის მის სატრაპებს.

ლენინი მისთვის მზეა და სხვა რუსეთის მოქანდაკია, რომელსაც ახალ მოსესავეთ მიჰყავს ხალხი ბედნიერ მომავლისაკენ.

თუმცა ესენინი ღირს ამბოხს მარქსის „კაპიტალის“ წაკითხვაზე, მის იპყრობს ლენინის გრანდიოზული პიროვნება. თავის ნაწყვეტში პოემიდან „Гы-а-а-а—Пока“ ის გვაძლევს ბელადის ინტიმიურ პორტრეტს. ლენინი იყო უმდაბლესი დაბალთა შორის, მას უყვარდა ბავშვებთან თამაში, მას უყვარდა ერთად ერთი მკვლელობა—მწყერებზე ნადირობა. და იგი იყო სფინქსი, რომელმაც უცნაური ჯადოსნობით შეაბრუნა მთელი დედა-მიწა.“

ის თვითონ აღიარებს, რომ არ არის ახალი ადამიანი, რომ ერთი ფეხი წარსულში დაჩრა და ვერ დასწევია თანამედროვე ფოლადის რაზმს. შეიძლება ესენინი მართლაც უკანასკნელი პოეტია სოფლის.

ერენბურგი ამბობს თავის წერილში ესენინზე: „არის ბრძოლა ქალაქსა და სოფელს შუა. ამ ბრძოლაზე ლაპარაკობს ესენინი გინებით და ტირილით, რადგანაც ის არის უბრალო მაყურებელი. როდესაც ვერხარნა სკადა გადმოეცა სასოწარკვეთა სოფლის, რომელსაც სკამს ქალაქი, მან მოგვცა მოვლენათა პატეტური, მაგრამ მკვდარი მნიშობილება. ის, რაც ვერ შესძლო ჭკვიანმა ლიტერატორმა, პარიზის სიმვოლისტებს წრეებში აღზრდილმა, ის მოახერხა სახლში გაზრდილმა რუსმა პოეტმა, რომელიც წინაღ მწყვესავდა ძროხებს და ახლა ჰქმნის ლიტერატურულ სკოლებს“ (წიგნიდან: *Портреты современных поэтов*).

მთელი პოეზია ესენინის არის ნოსტალგია სოფლის, მოგონება სოფელზე, რომელმაც მისცა მას საუკეთესო სახეები და აგრეთვე სტიმული მთელი მისი შემოქმედებისათვის.

პოეტმა გვაგრძნობინა თავისი სიყვარული ბუნებისადმი.

ის უცხადებს ძმობას ყველა პირუტყვეს და ყველა მცენარეებს.

თავისი ლექსით „სიმღერა პურზე“ ესენინს სურს აუკრძალოს კაცობრიობას პურის ჭამა. მას უნდა შექმნას ახალი ვეგეტერიანიობა, რომ გადაარჩინოს ხორბლის თავთავები სიკვდილისგან.

ის, როგორც ფრანსუა ვიონი, ყველგან დაეხეტება, რომ დაამშვიდოს თავისი სულის გრივალი და კორიანტელი.

ქალაქმა მოსწამლა მისი უშუალო ბუნება თავისი შხამით და გადასცა იგი ალკოგოლს.

ლტოლვა სოფლისადმი სჩანს ესენინის ყველა ლექსებში.

ესენინი თითქო საკუთარ დედას ათქმევინებს იმას, რასაც თვითონ ფიქრობს. დედა სწერს (წერილი დედისაგან): „მე დაბებრდი. შენ რომ აქ ყოფი-

ლაყაყე, მე რძალიც მეყოლებოდა და შვილის-შვილიც. შენ დაჰქარგე შეილები ცოლი სხვას დაუთმე. შენ თვითონ გადავარდი ღვინის შორეულში. მე არ მონ-წონს, რომ შენ პოეტი ხარ. სჯობდა მიწის მუწა ყოფილიყავი და გაჰყოლოდი გუთანს.“

იგი ვერ შეეთვისა კულტურას, რომელიც მიჰქრის, როგორც მატარებელი.

მან გაიზიარა წითელფაფარიანი კვიცის იღბალი.

ო, საყვარელო, რა სულელი ხარ!

რა ამაოა ქენება შენი.

შე უბედურო, ნუ თუ არ იცი,

რომ დაამარცხა ცოცხალი ცხენი

ფოლადის ცხენმა?

კვიცმა არ იცის, რომ შეუძლებელია წარსულის დაბრუნება, როდესაც პეტენევი ორ სკვითელ ქილს სცვლიდა ერთ ზედაურზე.

ესენინი გაეძტა სოფელს, მაგრამ ვერასდროს ვერ დაივიწყა იგი.

ის ბრუნდება თავის სოფელში, („დაბრუნება სამშობლოში“) სადაც მას სთვლიან დიკარგულ შვილად. მაგრამ ყველაფერი უცხოა მისთვის და ის საკუთარ სოფელში უცხოელად გრძნობს თავის თავს.

პოეტი უიმედოდ დაძრწოდა ქალაქსა და სოფელს შუა.

თავისი გლეხური თვითამკვლელობით (თავის დახრჩობით) მან თითქოს მოინანია ღალატი სოფლის წინაშე.

ქალაქმა მოსწამლა ის ზოგემის შხამით, და იმსხვერპლა კიდევაც. რუსული ბოგემის მარტიროლოგს შეემატა კიდევ ერთი სახელი.

ესენინი არ არის უთვინსტომო პოეტი. მას ჰყავს პოეზიაში წინაპრები: კოლცოვი, ნიკიტინი, გოროდუკვი. მის ლექსებში ხმაურობს სხვა და სხვა პოეტების გავლენა, მაგრამ ეს გავლენა ნაყოფიერია. არის გავლენა ბლოკის, ნეკრასოვის, აპოლონ გრიგორევის და უმთავრესად პუშკინის.

იმაყინისტებთან ყოფნას თითქმის არაფერი მიუტნია ესენინისათვის. მან თვითონ გამოაცხადა ეს სკოლა გაუქმებულად: „распускаю инажилизм“

ყველაზე უფრო დადებითი იყო მისთვის პუშკინის გავლენა. ჩვენ ვხედავთ მის უგვიანეს ლექსებში პუშკინის ლეიტ-მოტივს, რომელიც ყოველთვის გამართლებულია, როგორც საშუალება.

ძველი იაზბი სულ სხვანაირად ისმის მის ლექსში და განიცდის ახალ მეტამორფოზას.

ესენინი ნამდვილი ზელოვანია და ოსტატია ლექსის. ის მოკვდა მაშინ, როდესაც სრულიად დაეუფლა სიტყვას, როდესაც ის შეიქნა ლექსის მანეტრო და მებატონე.

ის იყო ბლოკის ნამდვილი მემკვიდრე თავისი მოცარტული და სტიკიური ნიკით.

ბლოკს ენათესავენა ესენინი მთელი თავისი შემოქმედებით. მისი პოეზია ბლოკის „თორმეტის“ გაგრძელებაა და იმავე დროს იაროსლავნას მოთქმა ქალაქის კედელზე. („თქმულება იგორის ჯარის შესახებ“).

ბიზლიობრავია

„ლიანდაგი“—№ 1—2. საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ორგანო. ტფილისი. 1925 წ.

უდავოა ის აზრი, რომ ლიტერატურის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვილაპარაკოთ ლიტერატურული თვალსაზრისით. რასაკვირველია, ამით ჩვენ არ გვინდა ვსთქვათ ის, რომ ჩვენ ვიზიარებთ უკიდურეს ესტეტიზმს. მაგრამ მიუხედავად ამისა, როდესაც ლიტერატურის შესახებ ლაპარაკობენ არალიტერატურული გაგებით, არალიტერატურულ ფაქტს ლიტერატურულად ასაღებენ, მაშინ ნებისა ვაძლევთ ჩვენს თავს ესტეტიზმსაც წავეშობინოთ.

ამის თქმა საჭირო შეიქნა მაშინ, როდესაც გავცნობით საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ორგანო „ლიანდაგი“-ს ორ ნომერს.

როდესაც ვეცნობით „ლიანდაგი“-ს ლიტერატურულ შემოქმედებას, ადვილად ვრწმუნდებით, რომ ასეთ შემოქმედებას შეცდომით უწოდებენ პროლეტარულს, მაშინ, როცა, პირიქით, ის ყოველგვარ პროლეტარულს და ლიტერატურულს—გარეშე სდგას. და ტყუილად ცდილობს ზოგიერთი უპასუხისმგებლო პიროვნება, უნიკობისა და უსუსურობის ნიმუშები გაასაღოს, როგორც პროლეტარული ლიტერატურის ფაქტი.

„ლიანდაგი“-ს ორივე ნომერი შედგენილია შემთხვევითი, მეტად კრულ ნაწარმოებთაგან, როგორც ფორმალურ განსახიერებით, ისე შინაარსითაც. გარდა იმისა, რომ ამ ჟურნალის მასალები მხატვრულად უვარგისია,—მათ აქვია ის რევოლუციონური სული, რომელზედაც პრეტენზიებს აცხადებს პროლეტარული ლიტერატურა.

პირველყოფლისა ყურადღებას იქცევს ლექსების სათაურები: „სოფლის პეიზაჟი“, „პეიზაჟი“, „მესახანდრე სოფლიათ“, „სანდრო მესახანდრე“, „ხმა

სოფლიდან“, „ახალი სოფელი“, „შენოდგომა სოფელში“ და ა. შ.

გავეცნოთ თუ რას წარმოადგენს ამ ჟურნალის პოეზიის განყოფილება. ციტატებს მოვიყვანოთ ყოველგვარ ახსნა-განმარტების გარეშე, რადგანაც ისინი ისედაც მწვენიერად ლაღადებენ თავის მხატვრულ ღირებულების შესახებ:

1) „ლალიძესთან“ კბილს იწმენდს დადაბანი მშვიერი...
შეარყია ეთერი ალმა, კომუნისტურმა!..“

ბ. მაკარაია „პეიზაჟი“

2) „შარაში ისმის ბლავილი ხბორების,

ყოყინი კამეჩის...
არ „არის“ ტყვა... მიდიან მოდიან...
... ურმული ურემზე დღუს და გად-
მოღუსს.

ვილ-მარ. „სიმინდის ტყვა“.

3) ზემოდან ბრუტიანივით ქოხმახი თვალებს აყოლებს, და სპარსულ კეშანივით ზის და ყალიობს აბოლებს...
სიმშობთან, რალაც სინამდრე, სთვლენს ჩაგლეჯილი ჩოხებით აბლაბუდების სინაგრე, შეყენებული ჯოხებით!..

ნ. ზომლეთელი „შემოდგომა სოფელში“.

ასეთია „ლიანდაგი“-ს პოეზიის დამახასიათებელი ლექსები. საერთოდ არც სხებია აქ მოყვანილ ლექსებზე უკეთესი. დანარჩენ ლექსებშიაც ბოლომთ შეხვდებით ასეთ სიტყვებს: „ფრაზი“, „დგომა-დგოლში“, „რის“, „სადაც, როგორც“, „ამიტომ“ და სხვ.

შედარებით უკეთესია პროზის განყოფილება. აქ მოთავსებულია უსათოლო ნიკიერ ე. პოლემორდენოვის „საკეები“, პ. ლომაიას „შურის ძიების



გზით“, ა. ჩაიბაიას „ეპ“, „ლოთი“ და ვ. ჩაიბაიას „ნადე“. სხვა ნაწარმოებები არც პროზის განყოფილებაში ვარგა, რადგანაც მათ არა აქვთ არც თემის, არც ფორმის სიახლე და არც მხატვრული გაშლა. ასეთია: ვ. მალაქიაშვილის „სამნი“, ნინოწმინდელის „ქუჩის ფარანი“, შ. ჯანბერაძის „სამათი“, დევიძის „ხიფათიანი გზა“ და სხვ.

„ლიანდაგი“ ს № 2-ში მოთავსებულია „წერილი“ „დრამატურგიის პრობლემების“ შესახებ, ამ წერილის ავტორი გარდა იმისა, რომ მეტად აღვი-

ლათ და ვულგარულათ „სწავებს“ ამ მეტად რთულ საკითხს—ეჭვადღებებს იქცევის წერის „მოწოდური“ მანერით: (უცხო სიტყვები, უაზრო გამოთქმები და სხვ.).

ასეთია მოკლედ „ლიანდაგი“-ს ორი ნომრის ლიტერატურულ-მხატვრული წონა. ყურნალში თავმოყრილ ავტორების ლიტერატურული ვარჯიშობა, რომელიც მხატვრული თვალსაზრისით ყოვლად უსარგებლო ბალისტს წარმოადგენს, ასოციაციის მარკით არ უნდა საღებოდეს.

ბ. ე.

Ведение в изучение искусства и литературы по Марксу, Энгельсу, Ленину, Мерингу, Плеханову и Каутскому. Ленинград, 1925 г.

ხელოვნების საკითხებზე აუარებელი გამოცემები გვაქვს ახლა რუსულ ენაზე. ამ გამოცემებში საყურადღებოა ქრესტომატიული სახის კრებულები, სადაც მკითხველი ეცნობა ხელმძღვანელ მარქსისტების წერილებს და ნაწყვეტებს ხელოვნების შესახებ. კარგა ხანია გამოვიდა ორი ნაწილი მსხვილი გამოცემის—„Искусство и литература в марксистском освещении: ორივე ნაწილში მოცემულია მდიდარი მასალა. ამნაირივე ხასიათისაა ის კრებული, რომლის სათაურიც აქ გვაქვს ამოწერილი. გაირჩევა ეს იმიტ, რომ ამაში წარმოდგენილია მხოლოდ მარქსიზმის ასე ვთქვათ, კლასიკები—მარქსი, ენგელსი, მერინგი, პლენანოვი, ლენინი. მართა ამათი ნაწერებიდან არის ნაწყვეტები ხელოვნების შესახებ.

კრებული, როგორც თითონ ავტორი სამართლიანათ შენიშნავს, არ ჩაითვლება ამომწურველათ. აქ არ არის მოყვა-

ნილი მთელი მარქსი და ენგელსი. მათ ოთხტომიან მიწერამოწერაში კიდევ არის საყურადღებო სტრიქონები ამ საკითხებზე; არ შეიძლება მხედველობიდან გაშვება ამ სტრიქონების, მარქსს აქვს ძველ გერმანულ გამოცემებში წერილები და შენიშვნები, მაგ.: ფოგტთან კამათში, გრიუნის შესახებ, ქრისტიანულ ხელოვნებაზე, შელის და ბაირონის შედარება, ცნობილია მარქსის თუ ენგელსის (არ არის გამორკვეული) წერილი ჰეტეს შესახებ, არის მარქსის წერილები ჰეინესთან, მისი მიწერამოწერა ფრეილი გრატთან, ლასალთან, ლასალის ცნობილი ტრაგედიის შესახებ. ენგელსსაც მეტი აქვს ნაწერები, ვიდრე ამ კრებულშია ნაჩვენები. რუსულ ენაზე გამოცემული მეორე ტომი (მარქსის და ენგელსის თხზულებების) სულ ენგელსის წერილებიდან შედგება და მეტი წილი აქ ეხება ხელოვნების საკითხებს.

ეს მუშაობა—მარქსის და ენგელსის



ქართული
ბიბლიოთეკა

მთლიანათ გამოცემა ხელოვნების შესახებ მომავლის საქმეა კერძო.

რაც შეეხება გ. ვ. პლუხანოვს, მისი ნაწერები იმდენათ მისაწდომია მკითხველისთვის, რომ საჭირო არ არის იქიდან ნაწევრების ამოღება და ქრესტომატიული სახით გამოცემა. ამის მაგივრათ სჯობია ერთათ თაემოყრა მისი ნაწერების. ხელოვნების საკითხებს ის არ ეხებოდა სხვათა შორის. ამიტომ მარქსისტ მკითხველს უნდა ჰქონდეს პლუხანოვი მთლიანათ, და არა

მარტო ნაწევრებით. სხვაა მარქსი და ენგელსი, რომლებსაც შიგა და შიგ ანვთ ჩართული სტრუქტონები საერთოთ თაეის ნაწერებში.

კრებულს დიდი ღირებულება აქვს იმ საშუალო მკითხველისთვის, რომელსაც არ შეუძლია მთლიანი გადაკითხვა დიდი წიგნების და უნდა კი რომ ხელმისაწდომათ ექნეს მარქსისტული მასალა ხელოვნების შესახებ.

ს. დ.



შინაარსი:

მხატვრული ლიტერატურა

გვ.რ.

საქართველო

1. სერგეი ესენინი—ღაბრუნება სანშობლოში; ლენინ; თქვენ თუ გინახათ; თარგ. ვალ. გაფრინდაშვილისა	1—5
2. ვასო გორგაძე—მარია ვოლკონსკაიას	6
3. ა. ბუშერანგ—მაშაშვილი—Talla	7
4. ალექსანდრე ქუთათელი—ოქტომბერი	8
5! კონ. ლორთქიფანიძე—ნატერა	10
6. ნინო თარიშვილი—უზურში	11
7. ვ. პოლუმორდვინოვი—ფიქრები რევოლუციისაზე	12
8. იონა ვაკელი—ტფილისი	14
9. გრიგოლ ჩოხაძე—გველის პერანგი (გაგრძელება)	17
10. ნიკოლოზ მიწისფილი—შავი ვარსკვლავი	64
11. სერგო კლდიაშვილი—ქალაქი ხევში	69
12. დავით კლდიაშვილი—ჩემი ცხოვრების გზაზედ (გაგრძელება)	80

დასავლეთი

13. უპტონ სინკლერი—მეფე ნაბშირი (გაგრძელ.) თარ. კ. ქიქინაძის ქართულად, მხატვრობა და მკვლევარები	127
--	-----

14. ელიზაბედ ყაზბეგი—დ. ყაზბეგის და ა. ყაზბეგის ბიოგრ. მასა- ლები (გაგრძელება)	169
15. ზიმონ ხუნდაძე—ფინანს. კაპიტ. ომის წინაპროგნოსტიკა და ეკონომიკა	212
16. ვ. ზახტაძე—ცხოვრება და ხელოვნება	251
17. რაუდენ კალაძე—1905 წელი და ქართული მწერლობა	272
18. დ. ვაწავა—დეკაბრისტები	285
19. ვალერიან გაფრინდაშვილი—სერგეი ესენინი	305

ბიბლიოგრაფია

20. მ. ე.—„ლინდავი“—№ 1—2. საქართველოს პროლ. მწერალ. ასოციაცია	308
21. ს. დ.—Ведение в изуч. иск. в лит. по Марксу, Энгельсу, Ленину, Мерингу, Плеханову и Каутскому, Ленинград	309

„მნათობი“-ს

რედაქცია

ხელის მომწერლების და მკითხველთა სასურველად საუკრძოდ აცხადებს შემდეგს: რათა ხელის მომწერლებს დროზე და უნაკლოდ დაურეგდეთ ნომრები 1926 წლისათვის, ქურნალი „მნათობი“-ს რედაქცია თვითონვე მოაწყობს ქურნალის კანტორას.

ქურნალში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს საუკეთესო პოეტები, მწერლები და მეცნიერები.

ქურნალს თანამშრომლები ჰყავს როგორც საბჭოთა კავშირის ყველა დიდ ქალაქებში, აგრეთვე საზღვარგარეთაც.

1926 წლის განმავლობაში „მნათობი“-ს ყოველ ნომერში დაიბეჭდება ლიტერატურის და ხელოვნების ქრონიკა.

დაიწყო ხელის მოწერა 1926 წლისათვის

ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში და აგრეთვე სათანადო ქვითარებით და მანდატებით აღჭურვილ აგენტებთან.

წლიურად გამოვა 12 ნომერი ათ წიგნად და ხელის მომწერთათვის ეღირება 16 მანეთი, ნახევარი წლით—8 მანეთი, ცალკე ნომერი—2 მან. ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ქურნალ „მნათობი“-ს გავრცელების ძველი სისტემა ამიერიდგან გაუქმებულია; ქურნალის გავრცელების საქმე რედაქციამ ჩამოართვა კერძო პირებს და თვითონვე იკისრა იგი. ხელის მოწერა მინდობილი აქვთ სათანადო მანდატით აღჭურვილ „მნათობი“-ს კანტორის თანამშრომლებს:

- 1) ქ. თბილისში, ა/კ. რკინისგზებზე და მიეღ აღმოსავლეთ საქართველოში—ე. წულაია, ს. ცანავა, და ი. ხიფაზა.
- 2) ქ. ქუთაისში—ილია ლავთაძეს.
- 3) ქ. ქუთაისში (არის განყოფილება)—ახვლედიანს (აღასკომის წიგნის მაღაზიაში).
- 4) ქ. ფოთი, სამტრედია, ზონი და სამეგრელო—მიტ. გალდავაძეს.
- 5) ქ. ბათუმი—ტ. სიხარულიძეს.
- 6) ქ. ოზურგეთი—მ. ჰანუყვაძეს.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ივ. შაჩაბლის (სერგიევის) ქ. № 13 ხელოვნების სახაზღე, ოთახი 17.

P. S. ვისაც 1925 წლის რომელიმე ნომერი დააკლდა, გვაცნობოს სათანადო საბუთების წარმოდგენით და ნომერს მიიღებს.



საქართველოს
რესპუბლიკის
ქვეყნული ბიბლიოთეკა

- სერგო კლდიაშვილი: „თუთიყუში“—№ 5—6(13—14), № 11—12(19—20).
- ნიკოლო მიწიშვილი: „თებერვალი“—№ 10(18).
- კოლაუ ნადირაძე: „ტფილისის კონტრაბანდისტები“—№ 10(18).
- ტრიფონ რამიშვილი: „ამონაკენესი“—№ 7(15).
- გრ. რობაქიძე: „გველის პერანგი“ (რომანი)—№ 10(18) 11—12(19—20)
- ღია ჩიანელი: „საქართველო ციკლონებით“—№ 1(9), „საქ. სამფეროვანი“—№ 3(11).
- მიხ. ჯავახიშვილი: „ჯაყოს ხიზნები“—№ 1(9), „ყბაჩმ დაიგვიანა“—№ 3(11)
„მუსუსი“—№ 4(12), „ლიმბალო და ყაშა“—№ 5—6(13-14) და № 7(15),
„ოქროს კბილი“ № 8—9(16—17)
- დემნა შენგელაია: „ტფილისი“ (რომანის მასალები)—№ 7(15)

დრამატული ლიტერატურა

- პოლიკარმ კაკაბაძე: „ლისაბონის ტუსალები“ - № 4(12), 5—6(13—14)
- ტრიფონ რამიშვილი: „გაგირევიზის ტალკვესი“—№ 8—9(16—17).
- გრიგოლ რობაქიძე: „მალშტრემ“—№ 2(10).

თარგმნილი ლიტერატურა

- ვალ. ბრიუხოვი: „რუსეთის რევოლიუცია“—№ 2(10) თარგ. კ. ნადირაძის.
- ილია ერენბურგი: „ტრესტი დ. ე.“ თარგ. შ. ასათიანის—№ 1(9), № 2(10)
- აზატ-ვშტუნი: „გრიგალის ძახილი“—თარგ. კ. ნადირაძის—№ 2(10).
- ოშევა: „სპარსთა ლიტერატურა“—№ 2(10).
- ბორის პილნაიკი: „შიშველი წელი“ თარგ. დ. შენგელაიასი—№ 3(11), № 4(12),
№ 7(15), № 8—9(16—17).
- ერნსტ ტალდერი: „აკაი მასსა“—თარგ. გრ. რობაქიძისა—№ 1(9).
- ანატოლ ფრანსი: „ღმერთებს სწყურიათ“—თარგ. გ. ქ.—№ 3(11), № 4(1),
№ 5—6(13—14)

კრიტიკა, მხატვრობა, მემუარები.

- ვ. ბახტაძე: „ცხოვრება და ხელოვნება“—№ 8—9(16--17), № 11--12(19--20)
- ვ. გორგაძე: „უპტონ სინკლერი“—№ 8—9(16—17).
- ს. გორგაძე: „აკაკი წერეთელი“—№ 2(10)
- ს. დევდარიანი: „ჭოლა ლომთათიძე“—№ 7(15)
- მ. დუდუჩავა: „მარქსიზმი და ხელოვნება“—№ 2(10), „ფორმალიზმი ხელოვნებაში“—№ 10(18).
- ვ. ვაგანიანი: „რამოდენიმე მოსაზრება პროლეტარულ კულტურის შესახებ“—№ 7(15)
- რ. კალაძე: „აკაკი“—№ 2(10), „1905 წ. და ქართული მწერლობა“—№ 11—12(19—20)
- გ. კალანდარიშვილი: „ლიტერატურული სილუეტები“—№ 1(9).
- ლეონ მელიქსეთბეგი: „ახალი პრობლემა საქ. ისტორიაში“—№ 2(10)

- შ. რადიანი: „მარქსისტული კრიტიკის პრინციპები“—№ 8—9(16—17).
 ბ. უდენი: „1924 წელი ქარ. ლიტერატურაში“—№ 1(9), № 2(10).
 გერონტი ქიქოძე: „კონსტანტინე მენიე და ხელოვნების რევოლუციები“
 № 2(10), „ქართ. მხატვრ. და ფილოსოფიური“—№ 3(11).
 ე. ყაზბეგი: „დ. ყაზბეგის და ალ. ყაზბეგის ბიოგ. მასალები“—№ 1(9),
 3(11), 4(12), 8—9(16—17), 10(18), 11—12(19—20)
 ე. ჭიჭინაძე: „ალიტერატურა ქართ. შაირში და ეფესოს ტყაოსნის პრობლემა“—
 № 5—6(13—14), № 7(15)
 ვარლამ ხუროძე: „მიხეილ ჯავახიშვილი—ადამაშვილი“—№ 5—6(13—14)

მეცნიერება და პუბლიცისტიკა

- ბ. ამაღლობელი: „ძველი ქვეყანა ოქტომბრის რევოლუციის რვა წლის თავზე“—
 № 10(18)
 მოხე გოგიბერიძე: „ორგანოტროპიზმი“—№ 8—9(16—17)
 ს. გორგაძე: „ახალი სალიტ. ქართული ისტორიიდან“—№ 1—(9), № 3(11).
 ს. დევდარიანი: „მარქსიზმი და ხელოვნება“—№ 1(9), „ორი მიმართულება
 ბოლშევიზმის წინააღმდეგ“—№ 4(12).
 მ. დუდუჩავა: „მარქსიზმი და ხელოვნება“—№ 1(9), № 2(10).
 ი. ა. იაკოშვილი: „საბჭოები, როგორც პროლეტარულ დემოკრატიული ორგანიზაციები“—№ 8—9(16—17).
 ვ. შვალბლიშვილი: „ქიათურის შავი ქვის კონცესია“—№ 5—6(13—14)
 ნიკო მარი: „ქართველი ერის კულტურული შუბლი ენათ-მეცნიერების მიხედვით“—№ 4(12), № 5—6(13—14).
 გ. მუშიშვილი: „სისხლიანი კვირა“—№ 1(9)
 ი. ხტადინი: „ალმოსავლეების ხალხთა და უნივერსიტეტის პოლიტიკური ამოცანები“—№ 4(12).
 ს. ქავთარაძე: „სირიის საკითხი, როგორც ნიმუში იმპერიალისტური პოლიტიკისა“—№ 2(10), „საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები“—№ 3(11),
 № 4(12).
 ლ. ტროცკი: „ლენინი ტრიბუნაზე“, „ფილისტერი რევოლუციონერის შესახებ“—№ 1(9), „მენდელეევი და მარქსიზმი“—№ 10(18).

ბიბლიოგრაფია

ნოთავესებულია ბიბლიოგრაფია შემდეგი ავტორების წიგნებზე:

- ბ. ტაბიძე: „ჯონ-რიდი“ № 1(9); მ. ჯავახიშვილი: „ჯავახის ხონები“ № 3(11); კონსტ. ქიქინაძე: „ალიტ. ქართ. შაირში და „ეფესოს ტყაოსნის“ პრობლემა“ № 8—9, 16—17); დ. უდენი: „ექსპერიმენტალური ფსიქოლოგიის საფუძვლები“ № 5—6(13—14); ს. დანელია: „ატომისტური ფილოსოფია ძველ საბერძნეთში“ № 10(18); ბუშაშვილი: „სოფლიო ომი“ № 1(9); ქართ. მწერალთა ჯგუფი: „სალიტ. აღმანახი“ № 10(18); ელფონი: „საზოგადოებრივი მეცნიერება“ № 2(10); პლენაოვი: „ხელოვნება და საზოგადოებრივი მეცნიერება“ № 4(12); კონსტ. გამსახურდია: „დიონისის ღმირი“ № 5—6(13—14); პროფ. კეკელიძე: „ქართული ლიტერატურის ისტორია ტ. II“ № 3(11); ქართული ზეპირი მოძღვრობის აღმომი № 3(11); აღმანახი „წიგნის მკვლევარი“ № 2(10); იასამანი: „დეკრები ტ. I“ № 1(9); კრებული „რევი მეცნიერება“ № 2(10); პ. ქავთარაძე: „ლისაბონის ტუსალები“ № 8—9(16—17).

ი.გ. 3/12



ისნი სავი მანეთი

